



თქროს
ბიბლიოთეკა




39

თელრა
ღოსტოვესკი

გვედარი
სახლის
რანდერაბი

გვედარი სახლის რანდერაბი



შესავალი

ციმბირის მივარდნილ მხარეებში, ტრამალებში, მთებსა თუ გაუვალ ტყეებს შორის, აქა-იქ შეხვდებით პატარა ქალაქებს ერთი, ან ორიოდ ათასი მცხოვრებით, ხის უშნო სახლებითა და ორი ეკლესიით ერთი ქალაქში დგას, მეორე კი სასაფლაოზე. ეს დასახლებები მოსკოვის გარეუბნის კარგ სოფლებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ქალაქებს. აქ მრავლად არიან მაზრის პოლიციის უფროსები, პროკურორები და უმცროსი ოფიცრები. ციმბირის სიცივის მიუხედავად, აქაური ჩინოვნიკები განსაკუთრებით თბილად გრძნობენ თავს. აქ ცხოვრობენ უბრალო, არალიბერალი, ტრადიციების მიმდევარი ადამიანები. ჩინოვნიკები ოფიციალურად ციმბირის თავადაზნაურობას წარმოადგენენ. ისინი ან ადგილობრივები არიან, ან ძველი ციმბირელები, ანდა რუსეთიდან, უმეტესად, დედაქალაქიდან ჩამოსულები, რომლებიც მოიხიბლნენ ხელფასით, ორმაგი სამგზავრო ანაზღაურებითა და მომავლის მაცდუნებელი იმედით.

დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი, ვინც ცხოვრებას ალღოს უღებს, ციმბირში სიამოვნებით მკვიდრდება და უხვ და ტკბილ ნაყოფს მოიპოვებს. თუმცა ქარაფშუტები თავს ვერ ირჩენენ. მათ ციმბირი მალე ბებრდებათ და ნაღვლიანად ეკითხებიან საკუთარ თავს: აქ რატომ ჩამოვედითო. ისინი მოუთმენლად იხდიან სამსახურის კანონიერ ვადას, სამ წელიწადს, რომლის გასვლისთანავე დაუყოვნებლივ ხლაფორთობენ გადაყვანაზე და შინ ბრუნდებიან. ციმბირს კი ლანძღავენ და დასცინიან, თუმცა, სულ ტყუილად.

ციმბირში არა მარტო სამსახურებრივი, არამედ ბევრი სხვა კუთხითაც განცხრომით ცხოვრებაა შესაძლებელი. ჰავა შესანიშნავია; ბევრია მდიდარი და სტუმართმოყვარე ვაჭარი; მრავლად არიან შეძლებული უცხოელები. ქალიშვილები ვარდებივით ჰყვავიან და მკაცრად იცავენ ზნეობას. გარეული ფრინველი ქუჩებში დაფრინავს და მონადირეს თავზე დასტრიალებს. აქ უზომოდ ბევრ შამპანურს სვამენ. ხიზილალა

საუცხოლოა. ზოგ ადგილას მოსავალი უხვად მოდის. საერთოდ, კურთხეული მიწა-წყალია. მთავარია, კარგად დაამუშაონ, რასაც ციმბირში ნამდვილად ახერხებენ.

ერთ ასეთ მხიარულ და საკუთარი თავით კმაყოფილ, საყვარელი ადამიანებით დასახლებულ პატარა ქალაქში, რომლის მოგონება სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში, გადმოსახლებულ თავადს ალექსანდრ პეტროვიჩ გორიანჩიკოვს შევხვდი. ის რუსეთში დაიბადა; შემდეგ ცოლის მკვლელობისთვის მეორე თანრიგის გადასახლებულ-კატორღელი გახდა. ათწლიანი კატორღული სასჯელის მოხდის შემდეგ პატარა ქალაქ ვ.-ში დასახლდა, სადაც სიცოცხლის დარჩენილ დღეებს მორჩილად და უჩუმრად ატარებდა. უფრო სწორად, ის მიწერილი იყო ერთი გარეუბნის თემზე, მაგრამ ქალაქში ცხოვრობდა და თავს ბავშვების მეცადინეობით ირჩენდა.

ციმბირის ქალაქებში ხშირად შეხვდებით გადმოსახლებულ მასწავლებლებს. ისინი ძირითადად ასწავლიან ფრანგულ ენას, რაც ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად ძალიან საჭიროა. ამაზე ციმბირის შორეულ მხარეებში წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ.

ალექსანდრ პეტროვიჩის პირველად შევხვდი ერთ ძველ, დამსახურებულ, სტუმართმოყვარე მოხელე ივან ივანიჩ გვოზდიკოვთან, რომელსაც იმედის მომცემი ხუთი ქალიშვილი ჰყავდა. ალექსანდრ პეტროვიჩი მათ კვირაში ოთხჯერ ამეცადინებდა. თითო გაკვეთილში ვერცხლის ფულით 30 კაპიკს იღებდა. მისმა გარეგნობამ დამაინტერესა. ეს იყო მეტისმეტად ფერმკრთალი და გამხდარი, შუახნის ოცდათხუთმეტიოდე წლის, ღია კაცი. ყოველთვის ძალიან სუფთად, ევროპულ ყაიდაზე ეცვა. თუ დაელაპარაკებოდი, ძალზე დაკვირვებითა და ყურადღებით შემოგხედავდათ; თქვენს ყოველ სიტყვას თავაზიანად, დაფიქრებით მოისმენდა, თითქოს თქვენი კითხვით ამოცანა დაუსახეთ ან მისგან რაღაც საიდუმლოს გაგება გინდოდათ; ბოლოს, მოკლედ და მკაფიოდ გი პასუხებდათ, თუმცა მანამდე თავის თითოეულ სიტყვას გაანალიზებდა, ამასობაში თქვენ რატომღაც თავს უხერხულად იგრძნობდით და საუბრის დასრულებამდე ერთი სული გექნებოდათ.

ივან ივანიჩის მაშინვე მისი ამბავი გამოვკითხე. მითხრა, გორიანჩიკოვი უმწიკვლოდ და პატიოსნად ცხოვრობს, თორემ არც კი მოვიწვევდი ჩემი ქალიშვილების მასწავლებლად. თუმცა, ძალზედ მიუკარებელია, ყველას ემალება, უალრესად განათლებულია, ბევრს კითხულობს, მაგრამ ძალიან ცოტას ლაპარაკობს და მასთან საუბარი რთულიაო. სხვები ამტკიცებდნენ, უთუოდ შეშლილიაო, თუმცა ამ ნაკლის უმნიშვნელობასაც აღნიშნავდნენ; ქალაქის ბევრი საპატიო წევრი მზად არის ყოველნაირად მფარველობდეს ალექსანდრე პეტროვიჩის; ის გამოსადეგი კაცია, განცხადების წერა შეუძლია და ასე შემდეგო. ვარაუდობდნენ, რუსეთში კარგი ნათესაობა უნდა ჰყავდესო. თუმცა გამოსახლების დღიდანვე მათთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა, ერთი სიტყვით, საკუთარი თავის მტერიაო. ამასთანავე, ყველამ იცოდა მისი თავგადასავალი ცოლი ქორწინების პირველსავე წელს ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა და დანაშაული თავადვე აღიარა (რამაც ძალზე შეუმსუბუქა სასჯელი). ასეთ დანაშაულს კი ყოველთვის უბედურებად თვლიან და დამნაშავე ებრალებათ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს უცნაური კაცი ჯიუტად გაურბოდა ყველას და კარდაკარ მხოლოდ მოსწავლეებთან დადიოდა.

თავდაპირველად განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდი; შემდეგ, თვითონაც არ ვიცი რატომ, თანდათან დამაინტერესა. მისი იდუმალება მიზიდავდა. ვერავინ გაესაუბრებოდა. რასაკვირველია, შეკითხვაზე ყოველთვის მპასუხობდა, თანაც ისეთი სახით, თითქოს ამას თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა; თუმცა, მისი პასუხის შემდეგ საუბრის გაგრძელება რატომღაც მიჭირდა: ასეთი საუბრების შემდეგ სახეზე ყოველთვის ერთგვარი ტანჯვისა და დაღლილობის ნიშანი აღებეჭდებოდა ხოლმე.

მახსოვს, ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს ივან ივანიჩისგან ერთად ვბრუნდებოდით. უცებ აზრად მომივიდა, თუთუნის გასაბოლებლად შინ მიმეწვია. სახეზე ენითაუწერელი შიში გამოეხატა. დაიბნა. რაღაცასუთავბოლოდ ბურტყუნებდა. უცებ ღვარძლიანად შემომხედა და მოპირდაპირე მხარეს გაიქცა. სახტად დავრჩი. მას შემდეგ, თითქოს

სულ შეშინებული მიყურებდა. მაგრამ მაინც არ მოვეშვი. რატომღაც გული მიმიწევდა მისკენ და ერთი თვის შემდეგ სრულიად უმიზნოდ ვესტუმრე. რასაკვირველია, სულელურად და თავხედურად მოვიქეცი. ის ქალაქის განაპირას ცხოვრობდა, მოხუც მეშჩან ქალთან, რომელსაც ტლექიანი ქალიშვილი ჰყავდა; ამ უკანასკნელს კი უკანონო შვილი, ათიოდე წლის, მშვენიერი, მხიარული გოგონა. მე რომ მივედი, ალექსანდრ პეტროვიჩი მას გვერდით ეჯდა და კითხვას ასწავლიდა. ჩემ დანახვაზე ისე დაიბნა, თითქოს რაიმე დანაშაულზე წავასწარი. სკამიდან წამოხტა და გაშტერებით დამაცქერდა. როგორც იქნა დავსხედით; ჩემს ყოველ გამოხედვას გაფაციცებით აკვირდებოდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებულ, საიდუმლო ამრს ეძებსო. მივხვდი, პათოლოგიური ეჭვიანი რომ იყო. სიძულვილით მიყურებდა, ლამის მეკითხებოდა: „მაღლე წახვალ აქედან?“ გამოველაპარაკე ჩვენს ქალაქზე, მიმდინარე ახალ ამბებზე; ის დუმდა და ღვარძლიანად იღიმებოდა; აღმოჩნდა, რომ ქალაქის ყველაზე ჩვეულებრივი, ყველასთვის ცნობილი ახალი ამბები არ იცოდა და არც აინტერესებდა. შემდეგ ჩვენი მხარის საჭირბოროტო საკითხებზე ვესაუბრე. მდუმარედ მისმენდა და თვალეში ისე უცნაურად მომჩერებოდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, შემრცხვა. გარდა ამისა, ფოსტიდან ახლადმიღებული წიგნებითა და ჟურნალებით კინაღამ გავაღიზიანე; ისინი ხელში მეჭირა და ჯერ კიდევ გაუხსნელი შევთავაზე. მათ ხარბად გადახედა, მაგრამ უმაღვე გადაიფიქრა, მოუცლელობა მოიმიზება და შეთავაზებაზე უარი მითხრა. ბოლოს გამოვემშვიდობე. გამოსვლისთანავე შევება ვიგრძენი. მრცხვენოდა და უაღრეს სისულელედ მეჩვენებოდა ჩავციებოდი კაცს, რომლის მთავარი მიზანიც ამქვეყნისგან რაც შეიძლება შორს ყოფნა იყო. მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა. მახსოვს, წიგნები სულ არ შემომჩნევია მასთან, გამოდის, ტყუილად ლაპარაკობდნენ, ბევრს კითხულობსო. მაგრამ, ერთი-ორჯერ, გვიან ღამით მის ფანჯარაში სინათლეს მოვკარი თვალი. რატომ ათენებდა ღამეებს? რას აკეთებდა? იქნებ წერდა, მაგრამ რას? სამი თვით ქალაქიდან გამგზავრება მომიწია. სახლში ზამთარში დავბრუნდი და შევიტყვე, ალექსანდრ პეტროვიჩი შემოდგომაზე მარტოობაში გარ-

დაცვლილიყო: ექიმისთვის ერთხელაც არ დაუძახია; ქალაქში ის თითქმის დავიწყებოდათ. მისი ბინა ცარიელი დამხვდა. დაუყოვნებლივ გავიცანი განსვენებულის დიასახლისი. ვვარაუდობდი, მისი მდგმურის შესახებ ინფორმაცია გამომეცანცქლა: ხომ არ წერდა რაიმეს? ორ შაურად გარდაცვლილის დარჩენილი ქალაღდებით სავსე კალათა გამომიტანა. დედაბერი გამომიტყდა, ორი რვეული უკვე გავხარჯეო.

ეს იყო პირქუში და გულჩათხრობილი დედაკაცი, რომელსაც ძნელად თუ დასტყუებდით რამეს. თავის მდგმურზე ახალი ვერაფერი მითხრა. მისი თქმით, ის თითქმის არაფერს აკეთებდა: თვეობით არ გადაშლიდა წიგნს, კალამს არ აიღებდა; სამაგიეროდ, მთელ ღამეებს ოთახში ბოლთას სცემდა, მუდამ რალაცაზე ფიქრობდა და ზოგჯერ თავისთავსაც ელაპარაკებოდა. ძალიან შეუყვარდა დიასახლისის შვილიშვილი კატია; ეალერსებოდა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მისი სახელი გაიგო. ის ყოველ ეკატერინობას ვიღაცას პანაშვიდს უხდიდა. სტუმრებს ვერ იტანდა; ებოდან მხოლოდ ბავშვების სამეცადინოდ გადიოდა. აღმაცერად უყურებდა დიასახლისის მოხუც ქალს, როცა ის კვირაში ერთხელ ოთახის დასალაგებლად მიაკითხავდა. სამი წელი მასთან თითქმის კრინტი არ დაუძრავს. კათიას შევეკითხე: თუ გახსოვს შენი მასწავლებელი-მეთქი? მდუმარედ შემომხედა, კედლისკენ შებრუნდა და ატირდა. მაშასადამე, ამ კაცს თავის შეყვარება შეძლებია.

წავიღე მისი ქალაღდები და მთელი დღე ვარჩევდი. ქალაღდების სამი მეოთხედი ფარატინა ფურცელი გამოდგა: ზოგზე უმნიშვნელო რამ ეწერა, ზოგი კი მოსწავლეებს კალიგრაფიაში სავარჯიშოდ გამოეყენებინათ. აქვე იყო ერთი, საკმაოდ სქელი, წვრილად ნაწერი და დაუმთავრებელი რვეული, შესაძლოა, თვით ავტორისგანაც მიტოვებულ-მივიწყებული. მასში აღექსანდრ პეტროვიჩის კატორღაში გატარებული ათწლიანი ცხოვრება უთავბოლოდ იყო აღწერილი. ალაგ-ალაგ წერას თითქოს იძულებით წყვეტდა და აგრძელებდა სხვა ამბავს უცნაურ, შემზარავ მოგონებებს, მის უკიდურეს სულიერ აფორიაქებას რომ მოწმობდა. ეს ნაწყვეტები რამდენჯერმე გადავიკითხე და თითქმის დავრწმუნდი: ისინი დაწერილი იყო სიგიჟისას. მაგრამ კატორღული ჩანაწერები

„მკვდარი სახლის სცენები“, როგორც თვითონ უწოდებს მათ, საინტერესო მომეჩვენა. სრულიად ახალმა სამყარომ, აქამდე უცნობმა, ზოგი ფაქტის უცნაურობამ, დაღუპულ ადამიანებზე გამოთქმულმა ზოგიერთმა განსაკუთრებულმა შენიშვნამ გამიტაცა და ბევრი რამ ცნობისმოყვარეობით წავიკითხე. შესაძლოა ვცდები, მაგრამ, დაე, მკითხველმა თავად განსაჯოს...

1.1 მკვდარი სახლი

ჩვენი საპყრობილე ციხის განაპირას, მიწაყრილთან იდგა. დღის სინათლეზე ღობის ჭუჭრუტანიდან, გინდა თვალი მოკრა რამეს, მაგრამ მხოლოდ ცისკიდური და შამბნარიანი მაღალი მიწაყრილი მოჩანს. მიწაყრილზე დღედაღამ გუშაგები მიდი-მოდიან. იქვე გაიფიქრებ, გავაწლები და ამ ღობიდან დავინახავ იმავე მიწაყრილს, გუშაგებს და ცისკიდურს. იმ ცისას კი არა, საპყრობილის თავზე რომაა, სხვა, შორეული, თავისუფალი ცისას.

წარმოიდგინეთ ორასი ნაბიჯი სიგრძისა და ასორმოცდაათი ნაბიჯი სიგანის დიდი ეზო, რომელიც მთლიანად შემობღუდულია არაწესიერი ექვსკუთხა, ანუ მიწაში ღრმად ჩასობილი, ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი, გარდიგარდმო თამასებით გამაგრებული და თავწაწვეტებული მაღალი ბოძების ღობით ესაა საპყრობილის გარე გალავანი. მის ერთ-ერთ მხარეს ჩადგმული იყო მყარი ჭიშკარი, რომელსაც გუშაგები დღედაღამ იცავდნენ და მუდამ დაკეტილი ჰქონდათ; მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში აღებდნენ პატიმრების სამუშაოზე გასაშვებად. ჭიშკრის გადაღმა იწყებოდა ნათელი, თავისუფალი სამყარო, სადაც ადამიანები ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ და რომელიც გალავნის შიგნით მყოფ-თათვის აუხდენელი ზღაპარი იყო. საპყრობილე სრულიად განსაკუთრებული და განუმეორებელი სამყარო იყო; აქ ჰქონდათ საკუთარი კანონები, ტანსაცმელი, წეს-ჩვეულებები. ეს იყო ცოცხალ-მკვდარი სახლი ცხოვრების სულ სხვაგვარი ნირითა და ადამიანებით. სწორედ ამ თავისებური კუთხის აღწერა განვიზრახე.

გალავანში შესვლისთანავე რამდენიმე შენობას დაინახავთ. შიდა განიერი ეზოს ორივე მხარეს გაჭიმულია ორი ერთსართულიანი, გრძელი ძეგური სახლი ყაზარმები. აქ თანრიგებად განაწილებული პატიმრები ცხოვრობენ. მომდევნო გალავნის სიღრმეში კიდევ არის ასეთი ძეგური. ეს სასადილოა. აქვე კიდევ ერთი შენობაა, სადაც სარდაფები, ბელალები და ფარდულებია განლაგებული. ეზოს შუაში სწორი, საკმაოდ დიდი მოედანია. დილას, შუადღეს და საღამოს აქ მწყობრში დგებიან

პატიმრები. გუშაგები მათ ითვლიან და ამოწმებენ. ზოგჯერ ეს პროცედურა დღეში რამდენჯერმეც ხორციელდება გააჩნიათ გუშაგებს: რამდენად ეჭვიანები და სწრაფადმთვლელები არიან.

შენობებსა და გალავანს შორის დიდი, ცარიელი სივრცეა. აქ, ნაგებობების უკან, ზოგიერთ მძიმე ხასიათის პატიმარს, რომელიც ადამიანებს

გაურბის, თავისუფალ დროს სიარული უყვარს. ამ დროს ყველასგან მოფარებულნი საკუთარ ფიქრებში არიან ჩაძირულნი. ამ სეირნობისას მათ პირქუშ, დაღდასმულ სახეებში ჩახედვა და მათი ფიქრების ამოცნობა მიყვარდა. ერთი გადმოსახლებულის საყვარელი გასართობი ბოძების თვლა იყო. მას ათას ხუთასამდე ბოძი ჰქონდა აღრიცხული. თითოეული ბოძი მისთვის ერთ დღეს ნიშნავდა; ყოველდღე თითო ბოძს მონიშნავდა და, ამგვარად, დაუთვლელი ბოძების რაოდენობის მიხედვით პატიმრობის დარჩენილ დღეებს ანგარიშობდა. ღობის რომელიმე მხარის დამთავრება გულწრფელად უხაროდა. აქ კიდევ ბევრი წელი უნდა გაეტარებინა, მაგრამ საპყრობილეში კაცი მოთმინებას ეჩვევა.

მინახავს, როგორ ემშვიდობებოდა ამხანაგებს ახლადგათავისუფლებული პატიმარი, რომელმაც კატორღაში ოცი წელი გაატარა. რამდენიმეს საპყრობილეში მისი მოსვლა ახსოვდა ის იყო ახალგაზრდა, უდარდელი; საკუთარ დანაშაულსა და სასჯელზე არ ფიქრობდა. აქედან კი გადიოდა გაჭაღარავებული, მოხუცებული, გულჩათხრობილი და ნაღვლიანი. ექვსივე ყაზარმა მდუმარედ შემოიარა. ყოველ ყაზარმაში შესვლისას ხატზე ლოცულობდა, შემდეგ მდაბლად თავის დაკვრით ამხანაგებს ემშვიდობებოდა და სთხოვდა, ცუდად ნუ გამიხსენებთო.

კიდევ ერთი ამბავი მახსოვს: ერთ პატიმარს, უწინ შეძლებულ ციმაბირელ გლეხს, საღამოს ჭიშკართან დაუძახეს. ნახევარი წლის წინ კი შეატყობინეს შენი ყოფილი ცოლი სხვას გაჰყვაო; საშინლად დადარდიანდა. ახლა მისი ყოფილი ცოლი მოსულიყო საპყრობილეში და მოსაკითხი მოეტანა. ორიოდ წუთი ისაუბრეს, წამოიტირეს და საუკუნოდ გაშორდნენ ერთმანეთს. როცა ყაზარმაში ბრუნდებოდა, მის სახეს მოვკარი თვალი... დიახ, აქ მოთმინების სწავლა შეიძლება.

დაბინდებისას ყველანი ყაზარმებში შევყავდით და მთელი ღამით შიგ გვკვეთავდნენ. ყოველთვის მიმძიმდა ეზოდან ყაზარმაში შესვლა. ეს იყო გრძელი, დაბალი, ჩახუთული, ქონის სანთლებით სუსტად განათებული ოთახი. ახლაც ვერ გამიგია, როგორ გავძელი იქ ათი წელიწადი. ტახტის ნაცვლად სამი ფიცარი მეგო: ეს გახლდათ მთელი ჩემი ალაგი. მარტო ჩვენს ოთახში ასეთ ტახტებზე ოცდაათამდე კაცი იყო მოთავსებული. ზამთარში ადრე გვკვეთავდნენ; მაშინვე არავინ იძინებდა; თითქმის ოთხი საათი ისმოდა ხმაური, ღრინანცელი, ხორხოცი, გინება, ჯაჭვების ჩხარუნი; ამას თან ერთვოდა ბოლი და ჭვარტლი, გადაპარსული თავები, დაღდასმული სახეები, ჩამოხეული სამოსი, ყველაფერი გაღლანძღული, შერყვნილი... დიხაც, გამძლეა ადამიანი! ის ისეთი არსებაა, რომელიც ყველაფერს ეჩვევა. ვფიქრობ, ესაა საუკეთესო განმარტება.

საპყრობილეში ორას ორმოცდაათამდე პატიმარი ვეტეოდით ეს რიცხვი თითქმის არასოდეს იცვლებოდა. ზოგი მიდიოდა, ზოგი მოდიოდა, ზოგიც კვდებოდა. რა ჯურის ხალხს არ ნახავდით აქ! რუსეთის თითქმის ყველა გუბერნიიდან, ასევე შეხვდებოდით სხვადასხვა ეროვნების ხალხს, კავკასიიდან გადმოსახლებულ რამდენიმე მთიელსაც კი. ყველა დანაშაულის ხარისხისა და მისჯილი წლების რაოდენობის მიხედვით იყოფოდა. პატიმრების უმრავლესობას სამოქალაქო თანრიგის გადმოსახლებული კატორღელები წარმოადგენდნენ. ისინი იყვნენ ყოველგვარ ქონებაზე უფლებააყრილი დამნაშავენი, საზოგადოებისგან მოკვეთილი ნაგლეჯები, სამუდამო განკიცხვის ნიშნად სახებზე დაღდასმულები. მათ რვიდან-თორმეტ წლამდე ვადით აგზავნიდნენ სამუშაოდ. შემდეგ კი ციმბირის რომელიმე თემში დაასახლებდნენ.

იყვნენ სამხედრო თანრიგის დამნაშავეებიც. მათ ქონებრივი უფლება არ ჰქონდათ ჩამორთმეული, როგორც, საერთოდ, რუსულ სამხედრო პატიმართა ასეულშია. აგზავნიდნენ მცირე ვადით, რომლის დასრულების შემდეგ ჯარისკაცებად ბრუნდებოდნენ ძველ ადგილას, ციმბირის სასაზღვრო ბატალიონებში. ბევრ მათგანს განმეორებით ჩადენილი მძიმე დანაშაულისთვის კვლავ აპატიმრებდნენ და ამჯერად უკვე

ოც წელს უსჯიდნენ. ამ ჯგუფს „მუდმივებს“ უწოდებდნენ. თუმცა, ისინი საკუთრების უფლებას მთლიანად მაინც არ ჰკარგავდნენ. დაბოლოს, იყო ყველაზე საშიში დამნაშავეების მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელშიც უმეტესად სამხედროები შედიოდნენ. ამ ჯგუფს „განსაკუთრებული განყოფილება“ ეწოდებოდა. აქ დამნაშავეებს მთელი რუსეთიდან გზავნიდნენ. ისინი საკუთარ თავს თავადვე მიიჩნევდნენ მუდმივებად. მათ კანონით ორმაგად და სამმაგად უნდა ემუშავათ. ციმბირში ყველაზე მძიმე კატორღული სამუშაოების დაწყებამდე ეს პატიმრები საპრობილემოში ჰყავდათ. „თქვენ ვადით უნდა იყოთ აქ, ჩვენ კი კატორღის ბოლომდე“, ეუბნებოდნენ ისინი სხვა პატიმრებს. შემდეგ გავიგე, ეს ჯგუფი გაუუქმებიან. გარდა ამისა, ჩვენს ციხეებში გაუუქმებიან სამოქალაქო წესები, სამაგიეროდ, შემოუღიანთ სამხედრო პატიმართა ერთი მთლიანი ასეული. რასაკვირველია, ამის პარალელურად შეიცვლებოდა უფროსობა. ამრიგად, მე ვწერ ძველ დროზე, დიდი ხნის წინანდელ ამბებზე...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ეს სიზმარში ნანახს ჰგავდა. მახსოვს, როგორ შევედი საპრობილემოში. დეკემბრის საღამო იყო; უკვე ბინდდებოდა; ხალხი სამუშაოდან ბრუნდებოდა; შემოწმებისთვის ემზადებოდნენ. უღვაშებიანმა უნტეროფიცერმა, ბოლოს და ბოლოს, გამიძლო ამ უცნაური სახლის კარი, სადაც უამრავი წელი უნდა გამეტარებინა; გადამეტანა სხვადასხვა ჭირ-ვარამი, რაზეც უშუალოდ განცდის გარეშე დაახლოებითი წარმოდგენაც არ მექნებოდა. მაგალითად, ვერაფრით წარმოვიდგენდი იმ საშინელებასა და წამებას, რომ ათწლიანი კატორღული სასჯელისას არც ერთხელ, არც ერთი წუთით მარტო არ ვიქნებოდი. სამუშაოზე ყოველთვის ბადრაგი გვახლდა, სახლში კი ორას ამხანაგთან ერთად ვცხოვრობდი და არასდროს — მარტო! ამას უნდა შევგუებოდი!

აქ იყვნენ უნებლიე და პროფესიონალი მკვლელები; ავაზაკები და ავაზაკთა ატამანები; ქურდბაცაცები და ჯიბგირები; იოლი საშოვრისა და მუქთა პურის მაძიებელი მაწანწალები. იყვნენ ისეთებიც, რომლებზეც ძნელი სათქმელია, რატომ მოხვდნენ აქ. თითოეულს თავისი თავ-

გადასავალი ჰქონდა ნამთვრალევივით ბუნდოვანი და მძიმე. საერთოდ, საკუთარ წარსულზე ცოტას ლაპარაკობდნენ, არ უყვარდათ და, ალბათ, ცდილობდნენ, განვლილ დროზე არც ეფიქრათ. მათგან ვიცნობდი იმდენად მხიარულსა და უდარდელ მკვლევლებს, რომლებსაც, შემოძლია სანაძლეო დავდო, სინდისის ქენჯნა არასოდეს უგრძენიათ. მაგრამ იყვნენ დაღვრემილებიც, თითქმის ყოველთვის მდუმარენი. საერთოდ, თავის ცხოვრებაზე იშვითად საუბრობდნენ; ცნობისმოყვარეობასაც არავინ იჩენდა, წესად არ ჰქონდათ. იშვიათად, უსაქმურობისას თუ წამოიწყებდა ვინმე თავის ამბავს. მას ცივად და უქმურად უსმენდნენ. აქ ვერავის გააკვირვებდით. „ჩვენ განათლებული ხალხი ვართ!“ ამას რაღაც უცნაური თვითკმაყოფილებით ხშირად იმეორებდნენ.

მასხოვს, ერთხელ ნასვამმა ავაბაკმა (ზოგჯერ კატორლაში დალევა შეიძლებოდა) მოჰყვა, ხუთი წლის ბიჭს ყელი როგორ გამოჭრა: სათამაშოთი მიიტყუა, რომელიღაც ცარიელ ფარდულში შეიყვანა და იქ მოკლა. მანამდე მხიარულმა მთელმა ყაზარმამ, ახლა ერთხმად შეჰყვირა და ავაბაკი იძულებული გახდა გაჩუმებულიყო. თუმცა ეს აღშფოთებული პატიმრების ყვირილი არ იყო. მათ ავაბაკი გააჩუმეს იმიტომ, რომ ამაზე ლაპარაკი იქაური წესებით მიუღებელი იყო. სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავ, ისინი, პირდაპირი მნიშვნელობით, მართლაც განათლებულები იყვნენ. ნახევარზე მეტმა წერა-კითხვა იცოდა. აბა, სხვა რომელიმე ადგილას, სადაც რუსები მასიურად იკრიბებიან, გამოყოფდით ორას ორმოცდაათკაციან ჯგუფს, რომელთაგან ნახევარს წერა-კითხვა ეცოდინებოდა? ყური მოვკარი, ვიღაცას ასეთი მონაცემებით დაუსკვნია, თითქოს განათლება ხალხს ღუპავს. ეს შეცდომაა: აქ სრულიად სხვა მიზეზია. თუმცა, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ განათლება ადამიანში მედიდურობას აღვივებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ნაკლი.

ყველა ჯგუფი ერთმანეთისგან ტანსაცმლით განირჩეოდა. ერთი ჯგუფის ჩაცმულობა ასეთი იყო: ქურთუკის ნახევარი მუქი რუხი ფერის იყო, მეორე ნახევარი უფრო ბაცი; ასევე იყო შარვალი: ცალი ტოტი ბა-

ცი ფერის, მეორე მუქი რუხი. ერთხელ, მუშაობისას პატიმრებს მეპურე გოგონა მოგვიახლოვდა, მე დიდხანს მათვალაიერებდა, უცებ გადაიხარხარა და წამოიძახა: „ფუ, რა საძაგლობაა! არც რუხი მაუდი ჰყოფნის, არც შავი!“ ზოგის ქურთუკი ღია ფერის მაუდის იყო და სახელოები მუქი ნაცრისფერი ჰქონდა. თავებსაც სხვადასხვანაირად პარსავდნენ: ზოგისთვის სიგრძეზე გადაეპარსათ, ზოგისთვის სიგანეზე. ერთი შეხედვით ამ უცნაურ ოჯახში რაღაცნაირად ძლიერი ერთიანობა შეიმჩნეოდა. ყველაზე გამორჩეული პიროვნებებიც კი, რომლებიც უნებლიეთ ბატონობდნენ სხვებზე, ცდილობდნენ საპყრობილის საერთო დინებას მიჰყოლოდნენ. დაბოლოს, ვიტყვი, რომ ამ ხალხში, ზოგიერთი მხიარული ადამიანის გარდა, რომლებიც ამის გამო სძულდათ, იყვნენ პირქუში, შურიანი, საშინლად პატივმოყვარე, ტრაბახა, ბრაზიანი და უაღრესად ფორმალისტი ადამიანებიც.

მათ არაფერი უკვირდათ და ამას ღირსებად მიიჩნევდნენ.

ყველა იმას ფიქრობდა, როგორ დაეჭირათ თავი გარეგნულად. მაგრამ ხშირად ყველაზე ყოყოყური გამომეტყველება ყველაზე სულმდაბალი გამომეტყველებით ელვის სისწრაფით იცვლებოდა. თუმცა რამდენიმე ძლიერი ადამიანი იყო. მათ თავიუბრალოდ ეჭირათ, არ იპრანჭებოდნენ. მაგრამ უცნაურია, ამ ძლიერი ადამიანებიდან რამდენიმე უკიდურესად, თითქმის ავადმყოფურად პატივმოყვარე გახლდათ. საერთოდ, პატივმოყვარეობასა და გარეგნულ მხარეს უპირატესობას ანიჭებდნენ. უმრავლესობა გარყვნილ-გათახსირებული და არამზადა იყო. ჭორებსა და მითქმა-მოთქმას ხომ საზღვარი არ ჰქონდა: ეს იყო ჯოჯოხეთი, საშინელი უკუნეთი. მაგრამ ვერავინ ბედავდა საპყრობილის შინაგანაწესსა და დადგენილ ადათებს ამხედრებოდა.

იყვნენ გამორჩეული ბუნების ადამიანები, რომლებიც ძნელად, მაგრამ მაინც ემორჩილებოდნენ ამ წესებს. საპყრობილეში მოდიოდნენ ისეთი ხელაღებულებიც, რომლებსაც თავისუფლად ცხოვრების დროს ყოველგვარი დაბრკოლება გადაელახათ, ისე, რომ ბოლოს რაიმეს აშავებდნენ, თითქოს უნებლიეთ, ყოველგვარი მიზნის გარეშე, ბოდვისა და ბურანის მდგომარეობაში; ხშირად უაღრესად გაღიზიანებული

პატივმოყვარეობის გავლენითაც. მართალია, ზოგი მათგანი საპყრობილეში მოსვლამდე ქალაქებსა და სოფლებს შიშის ზარს სცემდა, მაგრამ აქ მოსვლის შემდეგ მაშინვე ხმას აწყვეტინებდნენ. ახლადმოსული მიმოიხედავდა, ხვდებოდა, რომ მისთვის არასასურველ ადგილას მოხვდა, რომ აქ ვერავის გააკვირვებდა, შეუმჩნეველად თვინიერდებოდა და საერთო ფერხულში ებმოდა. ეს საერთო ფერხული გარეგნულად რაღაც ღირსეულ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომლითაც განმსჭვალული იყო საპყრობილის თითქმის ყოველი მცხოვრები, თითქოსდა კატორღამისჯილის სახელი რაღაც საპატიო წოდება ყოფილიყო. არაფრის რცხვენოდათ და არაფერს ნანობდნენ. გარეგნულად მორჩილები იყვნენ, ასე ვთქვათ, ოფიციალური, რაღაც მშვიდი რეზონიორები, „ჩვენ დაღუპულები ვართ, ამბობდნენ ისინი, არ შეგეძლო თავისუფლად ცხოვრება, ახლა იდექი მწყობრში!“ „ყურს არ უგდებდი დედ-მამას, ახლა ყეყეჩ ზედამხედველებს დაუჯერე“. „არ გინდოდა ოქრომკედი, ახლა ირტყი თავში კეტი“. ყოველივე ამას ხშირად წარმოთქვამდნენ შეგონების, ჩვეულებრივი ანდაზებისა და მახვილსიტყვაობის სახით, მაგრამ არასოდეს სერიოზულად. ყველაფერი ეს მხოლოდ სიტყვები იყო. ალბათ, საკუთარ უკანონო საქციელს შინაგანად ვერავინ აცნობიერებდა.

თუ არაკატორღელი პატიმარს მისი საქციელის გამო გაკიცხავს და გალანძღავს (თუმცა რუსულ ხასიათს არ სჩვევია დამნაშავის გაკიცხვა), გინებას ბოლო არ ექნება. თანაც ყველა გინების დიდოსტატი იყო!.. იგინებოდნენ დახვეწილად, მხატვრულად. გინებას მეცნიერებად თვლიდნენ. შეურაცხყოფის მიყენებას ცდილობდნენ არა იმდენად საწყენი სიტყვით, რამდენადაც საწყენი აზრით, იდეით, სულით, ეს კი უფრო საშინელი და მომწამვლელია. გაუთავებელი ჩხუბი პატიმრების ამ მეცნიერებას კიდევ უფრო ავითარებდა. ეს ხალხი ჯოხის შიშით მუშაობდა; მაშასადამე, იყვნენ უსაქმურები და გარყვნილები. თუ უწინ არ ეთქმოდათ გარყვნილნი, კატორღაში ირყვნებოდნენ. აქ თავისი ნებით არცერთი მოსულა. ერთმანეთისთვის ყველა უცხო იყო.

„ემშაკს სამი წყვილი ქალამანი გაუცვდა, სანამ ჩვენ ერთად შეგვყრიდა“, აბობდნენ საკუთარ თავზე. ამიტომ ჭორები, ინტრიგები, დედაკაცური დასმენა, შური, შფოთი, სიბოროტე ამ ჯოჯოხეთურ ყოფაში განუკითხავად ბატონობდა. ვერც ერთი დედაკაცი ვერ შეძლებდა იმდენ დედაკაცურს, რამდენსაც ზოგიერთი ამ მკვლელთაგანი. ვიმეორებ, მათ შორის იყვნენ ძლიერი, გამობრძმედილი, უშიშარი ადამიანები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ძლევასა და მბრძანებლობას. თავისდაუნებურად მათ პატივს სცემდნენ; ისინი კი, თავის მხრივ, თუმცა ხშირად ძალიან უფრთხილდებოდნენ სახელს, ცდილობდნენ სხვები არ გამოეწვიათ; ტყუილად არავის ლანძღავდნენ და აგინებდნენ; თავი ღირსეულად ეჭირათ; იყვნენ წინდახედულნი და თითქმის ყოველთვის ემორჩილებოდნენ უფროსებს, თუმცა ეს არ იყო ვალდებულების გამო მორჩილება, ეს უფრო რაღაც ურთიერთშეთანხმებით, ურთიერთსარგებლობის შეგნებით ხდებოდა.

მახსოვს ერთხელ ერთ-ერთ ასეთ პატიმარს, უშიშარ და გამბედავ კაცს, რომელსაც უფროსები მხეცური მიდრეკილებებით იცნობდნენ, რაღაც დანაშაულის გამო დასასჯელად გამოუძახეს. ზაფხული იყო, არასამუშაო დღე. შტაბოფიცერი, საპყრობილის უახლოესი და უშუალო უფროსი, დასჯაზე დასასწრებად მოვიდა კორდეგარდიაში, რომელიც ჩვენს ჭიშკართან იყო განთავსებული. პატიმრები მაიორს ფატალურ არსებად თვლიდნენ და მისი შიშით კანკალებდნენ. ის უსაზღვროდ მკაცრი იყო. როგორც კატორღელები ამბობდნენ: „ადამიანებს პირდაპირ თავს ესხმოდა“. ყველაზე მეტად ეშინოდათ მისი გამჭოლი, ფოცხვერისებური გამოხედვის, რომელსაც ვერაფერს გამოაპარებდი. როგორც იტყვიან, ყველაფერს თვალდახუჭული ხედავდა. საპყრობილეში შესვლისას უკვე იცოდა, მეორე ბოლოში რას აკეთებდნენ. პატიმრები ცხრათვალას ეძახდნენ. მისი მმართველობის სისტემა არასწორი იყო. თავისი ფიცხი, უკუღმართი საქციელით ისედაც გაბოროტებულ ადამიანებს უფრო აბოროტებდა. უფროსად რომ არ ჰყოლოდა კომენდანტი, კეთილშობილი და გონიერი კაცი, რომელიც მის სიველურეს ხანდახან ანელებდა, ის თავისი მმართველობით დიდ უბედურებას და-

ატრიალებდა. ვერ გამიგია, რა იღბალმა გადაარჩინა. სამსახურიდან მთელი და უვნებელი წავიდა, თუმცა სამართალში მისცეს.

დასასჯელად გამოძახებული პატიმარი გაფითრდა. საერთოდ, ის წყნარად და გაბედულად უწევებოდა რობგებს, შემდეგ კი მხნედ და მშვიდად წამოდგებოდა. ამ ამბავს ფილოსოფიურად უყურებდა. მას ყოველთვის ფრთხილად ექცეოდნენ.

მაგრამ, ამჯერად რატომღაც უდანაშაულოდ მიიჩნევა საკუთარ თავს. გაფითრდა და ბადრაგისგან მალულად სახელოში მეჩექმის მჭრელი ინგლისური დანის შეცურება მოასწრო. დანებსა და სხვა მჭრელ იარაღებს საპყრობილეში სასტიკად კრძალავდნენ. ხშირად მოულოდნელად ჩხრეკდნენ ყველაფერს და დამნაშავეებს მკაცრად სჯიდნენ; მაგრამ ძნელია, ქურდს საგანგებოდ დამალული ნივთი უპოვო. საპატიმროში დანები და ხელსაწყოები მუდმივად სჭირდებოდათ, ამიტომ ჩხრეკის მიუხედავად, ისინი ყოველთვის ჰქონდათ. როგორც კი ჩამოართმევდნენ, მაშინვე ახლები ჩნდებოდა.

მთელი კატორღა ღობეს ეცა და ბოძებშუა ნასვრეტებიდან გულისფანცქალით იყურებოდა. ყველამ იცოდა, პეტროვი ამჯერად რობგებს არ დაუწევებოდა და მაიორის აღსასრული დადგებოდა. მაგრამ გადამწყვეტ წუთს ჩვენი მაიორი ეტლში ჩაჯდა და გაემგზავრა, ეგზეკუციის შესრულება კი სხვა ოფიცერს მიანდო.

„სწორედ განგებამ უშველა“, ამბობდნენ პატიმრები.

რაც შეეხება პეტროვს, უსიტყვოდ აიტანა სასჯელი. რისხვამ მაიორის წასვლისთანავე გადაუარა. პატიმარი მორჩილი და მომთმენია გარკვეულ მიჯნამდე, მაგრამ არსებობს უკიდურესობა, რომელსაც არ უნდა გადასცდეთ. მართლაც, არაფერია ამ უცნაური მოუთმენლობისა და ჭირვეულობის გამოვლინებებზე უფრო საინტერესო.

ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანი რამდენიმე წელიწადს ითმენს, წყნარადაა, იტანს უსასტიკეს სასჯელს და უცებ რაღაც პატარა, უმნიშვნელო რამეზე ფეთქდება. ერთი შეხედვით, მას გიჟიც შეიძლება ეწოდოს.

უკვე აღვნიშნე, რომ ამ ადამიანებისთვის არ შემიმჩნევია მონანიების ნატამალიც კი, არ მინახავს ვინმე თავის დანაშაულზე ოდნავ მაინც დაფიქრებულის. უმრავლესობა საკუთარ თავს ქვეცნობიერად უდანაშაულოდაც კი თვლიდა. ეს ფაქტია. რასაკვირველია, პატივმოყვარეობა, ცუდი მაგალითები, ყოჩაღად თავის მოჩვენების სურვილი, ცრუ მორცხვობის გრძნობა მნიშვნელოვანწილად ამის მიზეზია. მეორე მხრივ, ვის შეუძლია თქვას, ჩაწვდის ამ დასამარებულთა გულებს და იქ ამოვიკითხე მთელი ქვეყნისგან დაფარული საიდუმლო? ხომ შეიძლებოდა, ამდენი წელი მათ გულებში უმნიშვნელო რამ მაინც შემემჩნია, დამეჭირა ისეთი ნიშან-თვისება, რაც მათ შინაგან დარდსა და ტანჯვას დაადასტურებდა, მაგრამ ასეთი რამ ნამდვილად არ ყოფილა. დიახ, მოცემული მზა თვალსაზრისით დანაშაულის შეცნობა ძნელია და მისი ფილოსოფიაც უფრო რთულია, ვიდრე ვარაუდობენ. რასაკვირველია, საპყრობილე და იძულებითი მუშაობის სისტემა დამნაშავეს ვერ გამოასწორებს; ამით მას მხოლოდ სჯიან და საზოგადოების სიმშვიდეს უზრუნველყოფენ; ბოროტმოქმედთა თავდასხმისგან იცავენ. დამნაშავეს კი საპყრობილე და გაძლიერებული კატორღული მუშაობა მხოლოდ სიძულვილს, აკრძალული სიამოვნების წყურვილსა და საშინელ თავქარიანობას უვითარებს. მტკიცედ მწამს, რომ კარგად ცნობილი ეს სისტემაც აღწევს მხოლოდ მცდარ, მოჩვენებით,

გარეგნულ მიზნებს. იგი ფიტავს ადამიანს, უღიზიანებს სულს, ასუსტებს და აშინებს, შემდეგ ზნეობრივად გამომშრალ მუმიას, ნახევრად შეშლილს, გამოსწორებისა და მონანიების ნიმუშად წარმოადგენს. რასაკვირველია, დამნაშავეს სძულს საზოგადოება, რომელიც მას დამნაშავედ მიიჩნევს, საკუთარი თავი კი ყოველთვის

მართალი ჰგონია. გარდა ამისა, დანაშაულისთვის ის უკვე დაისჯა, ამიტომ თავს განწმენდილად თვლის.

დაბოლოს, შეიძლება ისეც ვიმსჯელოთ, რომ იძულებულები გავხდეთ დამნაშავე გავამართლოთ. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ არსებობს ზოგიერთი ისეთი დანაშაული, ყველგან და ყოველთვის, ყოველგვარი კანონით, ქვეყნის და-

საბამიდან რომ ითვლება უდავო დანაშაულად და ასეთად ჩაითვლება მანამდე, სანამ კაცობრიობა იარსებებს. მხოლოდ საპყრობილეში თუ მოისმენ ყველაზე საშინელ ამბებს, ყველაზე შემზარავი მკვლელობების ისტორიებს სრულიად თავშეკავებულად, ბავშვურად, სიცილით.

მეხსიერებაში განსაკუთრებით ერთი მამის მკვლელი ჩამრჩა. თავადაზნაურთა წრიდან გამოსული, მსახურობდა და სამოცი წლის მამის უძღები შვილი გახლდათ: აღვირახსნილად ცხოვრობდა, ვალებში ეფლობოდა. მამა უშლიდა, ცდილობდა გონს მოეყვანა. მამამისს ჰქონდა სახლი, ხუტორი სავარაუდოდ, ფულიც. ამიტომ ის შვილმა მემვიდრეობის ხელში ჩაგდების მიზნით მოკლა. დანაშაული ერთი თვის შემდეგ გამომჟღავნდა. მკვლელმა თვითონ განუცხადა პოლიციას, მამაჩემი უგბოუკვლოდ გაქრაო. მთელი ის თვე გარყვნილად ცხოვრობდა. ბოლოს, მის არყოფნაში, პოლიციამ ეზოში, კანალიზაციის თხრილში ჩაქმულ-დახურული გვამი იპოვა. მკვლელს მისთვის ჭაღარა თავი მოეჭრა და ტანზე მიედო, ხოლო თავქვეშ ბალიში ამოედო. მან თავი დამნაშავედ არ სცნო; თავადაზნაურობის წოდება, ხარისხი აჰყარეს და ოცი წლით კატორღაში მუშაობა მიუსაჯეს.

კატორღაში ის ყოველთვის შესანიშნავ და მხიარულ გუნებაზე იყო. ეს გახლდათ თავქარიანი, უკიდურესად განუსჯელი კაცი, თუმცა სულელი არ იყო. მისთვის განსაკუთრებული სისასტიკე არასოდეს შემიმჩნევია. პატიმრებს ის სძულდათ, მაგრამ არა დანაშაულისთვის, რაზეც კრინტსაც არ სძრავდნენ, არამედ ახირებულობისთვის, რადგან თავდაჭერა არ შეეძლო. მამამისს საუბრისას ზოგჯერ მოიგონებდა. ერთხელ როცა მემკვიდრეობით დაავადებებზე მიაბობდა, დასძინა: „აი, მამაჩემი სიკვდილამდე არაფერს იტკივებდა“. ასეთი მხეცური უგრძობობა, რასაკვირველია, შეუძლებელია. ეს ფენომენია; აქ რაღაც თანდაყოლილი ნაკლია, მეცნიერებისთვის დღემდე უცნობი რაღაც ფიზიკურზნეობრივი სიმახინჯე და არა უბრალოდ დანაშაული. მე არ მჯეროდა ამ დანაშაულის, მაგრამ მის თანამემამულეთა მიერ მოთხრობილი ფაქტები იმდენად ნათელი იყო, რომ იძულებული ვიყავი დამეჯერებინა.

პატიმრებმა გაიგონეს მამისმკვლელი ერთხელ სიზმარში როგორ ყვიროდა: „დაიჭი, დაიჭი! თავი მოჰკვეთე, თავი, თავი!..“

საერთოდ, ძილში თითქმის ყველა პატიმარი ბოდავდა. ამ დროს უფრო მეტად ქურდულ ჟარგონს, დანებს, ნაჯახებს ახსენებდნენ. „ჩვენ ნაცემი ხალხი ვართ, ამბობდნენ ისინი, შიგნეულობა გამონგრეული გვაქვს. ღამლამობით იმიტომაც ვყვირით“.

სახელმწიფოსთვის მუშაობა კატორღაში მათი ვალდებულება იყო: პატიმარი ასრულებდა დაკისრებულ სამუშაო განაკვეთს და საპრობილემო ბრუნდებოდა. სამუშაო სძულდათ. უსაქმურად საპრობილემო გაძლება ძალიან რთულია.

მეტ-ნაკლებად განვითარებული, ბევრისმნახველი და სიცოცხლეს მოწყურებული ყველა პატიმარი აქ იძულებით შეყრილი ხროვანა, რომლებიც ძალით მოწყვიტეს საზოგადოებასა და ნორმალურ ცხოვრებას. როგორ შეძლებენ ისინი ამ ახალ ყოფას შეეგუონ? მართო უსაქმურობისგან განუვითარდებოდათ ისეთი დანაშაულებრივი თვისებები, რომლებზეც უწინ წარმოდგენაც არ ჰქონდათ. უსაქმურად, კანონიერი საკუთრების გარეშე ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია, გაირყვება, მხეცად გადაიქცევა. ამიტომაც, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საპრობილემო თითოეულს თავისი ხელობა და საქმე ჰქონდა.

ზაფხულის გრძელ დღეებს სახაზინო საქმე თითქმის მთლიანად ავსებდა. მოკლე ღამეში გამოსაძინებელი დროც აღარ რჩებოდათ. მაგრამ ზამთარში

პატიმრებს დაბინდებისთანავე საპრობილემო კეტავდნენ. რა უნდა ექნათ ზამთრის გრძელ, მოსაწყენ ღამეს? ამის გამო თითქმის ყველა ყაზარმა, აკრძალვის მიუხედავად, უზარმაზარ სახელოსნოს ჰგავდა. მართალია, შრომა, საქმიანობა დაშვებული იყო, მაგრამ საპრობილემოებში ხელსაწყო-იარაღების გამოყენებას სასტიკად კრძალავდნენ. მათ გარეშე კი მუშაობა შეუძლებელი იყო. მალულად მუშაობდნენ და, შესაძლოა, უფროსობა ამას არც ისე დიდ ყურადღებას აქცევდა. საპრობილემო მოსულმა ბევრმა პატიმარმა თავდაპირველად არაფერი იცო-

და, მაგრამ აქ სხვებისგან სწავლობდა და გათავისუფლებისას კარგ ოსტატად გადიოდა. აქ იყვნენ ხარაზები, მეწაღეები, მკერავები, დურგლები, ზეინკლები, ჩუქურთმის მჭრელები, იუველირები. იყო ერთი ებრაელიც, ისაია ბუმშტეინი, იუველირი და მევახშე. ყველა შრომობდა და გროშებს შოულობდა. შეკვეთებს ქალაქიდან იღებდნენ.

ფული გარკვეულწილად თავისუფლებაა, ამიტომაც თავისუფლება-აღკვეთილი კაცისთვის ათჯერ უფრო ძვირფასია. მთავარია ფული ჯიბეში უჩხრიალბედეს და მისი დახარჯვა რომც არ შეეძლოს, პატიმარი მაინც ნახევრად დამშვიდებულია. მაგრამ ფულის დახარჯვა ყოველთვის და ყველგან შეიძლება. მით უმეტეს, რომ აკრძალული ხილი ორჯერ უფრო ტკბილია.

კატორღაში ღვინის შოვნა შეიძლებოდა. თამბაქო სასტიკად აკრძალული იყო, მაგრამ ყველა ეწეოდა. პატიმარს ფული და თამბაქო სურავანდისა და სხვა დაავადებებისგან იცავდა, მუშაობა კი დანაშაულის ჩადენისგან. უმუშევარი პატიმრები მინის ჭურჭელში ჩასმული ობობებით ერთმანეთს დაჭამდნენ.

ყაზარმაში მუშაობაც და ფულიც აკრძალული იყო. ხშირად ღამით პატიმრებს მოულოდნელად ჩხრეკდნენ, ყველაფერ აკრძალულს ართმევდნენ. სადაც არ უნდა დაემაღათ ფული, ზოგჯერ მაინც პოულობდნენ. ნაწილობრივ ამის გამოც იყო, რომ პატიმრები ფულს არ ინახავდნენ და მაშინვე სასმელში ხარჯავდნენ. ამიტომ ჰქონდათ საპყრობილეში ღვინო; ყოველი ჩხრეკის შემდეგ დამნაშავეს, ქონების ჩამორთმევასთან ერთად, მკაცრად სჯიდნენ. თუმცა შემოწმების შემდეგ პატიმრები დანაკლისს მაშინვე ივსებდნენ: დაუყოვნებლივ იძენდნენ ახალ ნივთებს და ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. უფროსებმა იცოდნენ ეს, დასჯისას არც პატიმრები ბუმბუნებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცხოვრება ვეზუზგე დასახლებულთა არსებობას წააგავდა.

ვინც ხელობა არ იცოდა, სხვა გზით შოულობდა ფულს. ზოგი ქორვაჭრობდა ზოგჯერ ისეთ რაღაცებს ჰყიდნენ, რომ საპყრობილის გარეთ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, არამც თუ ეყიდა ან გაეყიდა, არამედ

ნივთად ჩაეთვალა. მაგრამ კატორღაში ძალიან უჭირდათ, ამიტომ აღებ-მიცემობას დიდი გასაქანი ჰქონდა. უკანასკნელი ჩვარიც კი ფასობდა და რაიმედ გამოიყენებოდა. საპყრობილეში სიღარიბის გამო ფულსაც სრულიად სხვა ფასი ჰქონდა, ვიდრე გარეთ. დიდი და მძიმე შრომის საზღაური კაპიკები იყო.

ზოგი ფულს მევახშეობითაც შოულობდა. გაკოტრებულ, ილაჯგაწყვეტილ პატიმარს, თავისი უკანასკნელი ქონება მევახშესთან მიჰქონდა და უზარმაზარი პროცენტით რამდენიმე გროშს იღებდა. თუ ის დაგირავებულ ნივთებს დროზე არ გამოისყიდდა, მათ დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ გაუყიდდნენ; მევახშეობას იქამდე გაედგა ფესვი, რომ გირაოში სახელმწიფო საკუთრებასაც კი იღებდნენ; მაგალითად: თეთრეულს, ფეხსაცმლის მასალას და ყველა პატიმრისთვის აუცილებელ სხვა ნივთებს. მაგრამ ასეთი გარიგებისას ხანდახან საქმე სხვაგვარ, თუმცა არც თუ ისე მოულოდნელ მიმართულებას იღებდა; დამგირავებელი მაშინვე, ბევრი ლაპარაკის გარეშე, მიდიოდა უნტეროფიცერთან, საპყრობილის უფროსთან, სახელმწიფო ნივთების დაგირავების გამო მევახშეს აბეზღებდა და ყველაფერს უმაღლეს ართმევდნენ, ისე რომ, ზემდგომ უფროსობასაც კი არ მოახსენებდნენ. საინტერესოა, რომ ამის გამო არ ჩხუბობდნენ: მევახშე ყველაფერს უსიტყვოდ და პირქუშად აკეთებდა, თითქოს საქმის ასეთ დაბოლოებას ელოდაო. შესაძლოა, საკუთარ თავს უტყდებოდა, დამგირავებლის ადგილას მეც ასევე მოვიქცეოდიო. ამის გამო მოგვიანებით თუ შეაგინებდა, ისიც არა გაბრაზების, არამედ მხოლოდ სინდისის გასაწმენდად.

საერთოდ, ერთმანეთს საშინლად ქურდავდნენ. სახაზინო ნივთების შესანახად თითქმის ყველას საკეტიანი სკივრი ჰქონდა. ეს ნებადართული იყო; მაგრამ სკივრი საქმეს ვერ შველოდა. ვფიქრობ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი გაქნილი ქურდები იყვნენ. ერთმა პატიმარმა, ჩემდამი გულწრფელად განწყობილმა კაცმა (ამას სრულიად თამამად ვამბობ) კატორღაში ერთადერთი ნებადართული წიგნი ბიბლია მომპარა. ის იმავე დღეს გამომიტყდა, თუმცა არა მონანიების, არამედ სიბრალულის გამო, რადგან დაინახა, როგორ გამწარებული ვეძებდი.

იყვნენ მიკიტნებიც, სწრაფად გამდიდრებული ღვინითმოვაჭრენი. ამბზე სხვა დროს საგანგებოდ მოგიყვებით, საკმაოდ ღირსშესანიშნავი ამბავია. საპყრობილეში ბლომად იყვნენ კონტრაბანდისტებიც; ამიტომ არაა გასაკვირი, ასეთი შემოწმებისა და ბადრაგობის მიუხედავად, საპყრობილეში ღვინო როგორ შემოჰქონდათ.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: კონტრაბანდა, თავისი ხასიათით, განსაკუთრებული სახის დანაშაულია. თუ ფიქრობთ, რომ ზოგიერთი კონტრაბანდისტისთვის ფული და სარგებელი მეორეხარისხოვანია, არ ცდებით. კონტრაბანდისტი გატაცების, მოწოდების ზეგავლენით მუშაობს. ის ნაწილობრივ პოეტია: რისკავს, საშინელ საფრთხეს არ ეპუება, ეშმაკობს, ათასგვარ ხერხს მიმართავს, ნემსის ყუნწში ძვრება, ზოგჯერ რაღაც შთაგონებითაც მოქმედებს. ეს ერთგვარ აზარტულ თამაშს ჰგავს.

ერთ ვეება აღნაგობის პატიმარს ვიცნობდი, მაგრამ იმდენად თვინიერს, წყნარსა და მორჩილს, რომ საკვირველია, როგორ აღმოჩნდა საპყრობილეში. იმდენად შემგუებლური ბუნებისა იყო, საპყრობილეში ყოფნისას არავისთან უჩხუბია. ის დასავლეთ რუსეთიდან იყო. კონტრაბანდისტობისთვის გაასამართლეს. რასაკვირველია, ვერ მოითმინა და ღვინის შემოტანა დაიწყო. არადა, ვინ იცის წარსულში ამისთვის რამდენჯერ დასაჯეს. მერედა, როგორ ეშინოდა გაროზგვის?! უნდა ითქვას, რომ ღვინის კონტრაბანდას მისთვის ძალიან მცირე შემოსავალი მოჰქონდა. ამ ახირებულს ხელოვნება ხელოვნებისთვის უყვარდა. დედაკაცივით მუდამ წუწუნებდა. დასჯის შემდეგ იფიცებდა, აღთქმას დებდა, კონტრაბანდისტობაზე ხელს ავიღებო. რამდენიმე თვე პირობას ვაჟკაცურად ასრულებდა, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ ითმენდა... ამგვარი ხალხის წყალობით საპყრობილეში ღვინო უღევად გვქონდა.

დაბოლოს, არსებობდა შემოსავლის კიდევ ერთი წყარო; მართალია, ამით პატიმრები არ მდიდრდებოდნენ, მაგრამ ეს მუდმივი და მაღლიანი საქმე იყო მოწყალება. საზოგადოების უმაღლეს კლასს წარმოდგენაც არა აქვს, როგორ ზრუნავენ „უბედურებზე“ ვაჭრები, მეშინა-

ნები მთელი ჩვენი ხალხი. მოწყალება თითქმის მუდმივია ეხმარებოდნენ პურით, ნამცხვრებით, იშვიათად ფულითაც. ამ მოწყალების გარეშე პატიმრებს, უფრო მეტად კი ბრალდებულებს, რომლებსაც მსჯავრდებულებზე უფრო მკაცრ პირობებში ამყოფებენ, ძალზე გაუჭირდებოდათ. მოსაკითხს პატიმრები თანაბრად ინაწილებენ. თუ ყველას არ ჰყოფნის, პურს თანაბრად დაჭრიან, ზოგჯერ ექვს ნაწილადაც და თითოეული პატიმარი თავის წილს შეჭველად მიიღებს.

მახსოვს, ფულადი მოწყალება პირველად მივიღე. ეს იყო საპყრობილეში ჩემი მისვლიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ; დილის სამუშაოდან გუშაგთან ერთად მარტო ვბრუნდებოდი. გვერდით ჩამიარეს დედამ და შვილმა, ანგელოზივით მშვენიერმა ათიოდე წლის გოგონამ. ერთხელ უკვე მყავდა ნანახი. დედა ჯარისკაცის ქვრივი იყო. მისი ქმარი, ახალგაზრდა ჯარისკაცი, გაასამართლეს და ჰოსპიტალში პატიმართა პალატაში გარდაიცვალა. ამ დროს მეც იქ ვიწექი. ცოლმა და ქალიშვილმა დასამშვიდობებლად მოაკითხეს; ორივე მწარედ ტიროდა. ჩემს დანახვაზე გოგონა წამოწითლდა, დედას რაღაც წაუჩურჩულა, ქალიც მაშინვე შეჩერდა. ფუთაში ხურდა ფული მოძებნა და გოგონას მისცა. ისიც გამომეკიდა. „აჰა, უბედურო, ღვთის გულისთვის აიღე კაპიკი“, მიყვიროდა. თანაც წინ მისწრებდა და ხელში ფულს მაჩრიდა. ავიღე მისი კაპიკიანი, უზომოდ კმაყოფილი გოგონა დედასთან დაბრუნდა. ამ კაპიკიანს დიდხანს ვინახავდი.

1.2. პირველი შთაბეჭდილებები

საპყრობილეში ჩემი პირველი თვე და, საერთოდ, პირველი ხანა, თვალწინ ცხოვლად მეხატება, ხოლო მომდევნო წლები მკრთალად მახსოვს, ზოგიერთი მათგანი კი თითქოს სულ გაქრა, ერთმანეთში აითქვიფა და ერთ მთლიან, მძიმე და ერთფეროვან შთაბეჭდილებად ჩამომიყალიბდა.

ასე მგონია, ყველაფერი, რაც ჩემი კატორღის პირველ დღეებში განვიცადე, თითქოს გუშინ მოხდა. ალბათ, ასეც უნდა იყოს.

კარგად მახსოვს, საპყრობილეში მისვლისთანავე უფრო იმან გამაოცა, რომ ჩემ ახალ ცხოვრებაში რაიმე განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი, ან უკეთ რომ ვთქვათ, მოულოდნელი ვერაფერი აღმოვაჩინე. ყველაფერი ეს ჩემს წარმოდგენაში თითქოს უწინაც არსებობდა.

ციმბირში მიმავალი ჩემი ხვედრის წინასწარ გამოცნობას ვცდილობდი, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე უცნაურ მოულოდნელობებსა და ყველაზე შემზარავ ფაქტებს ვაწყდებოდი. მხოლოდ საპყრობილეში კარგა ხნის ყოფნის შემდეგ გავაცნობიერე პატიმრის ცხოვრების მთელი განსაკუთრებულობა, მოულოდნელობა, რაც სულ უფრო და უფრო მაოცებდა. ვალიარებ, ამ ყველაფერთან შეგუება კატორღაში ჩემი ხანგრძლივი ყოფნისას ვერ შეეძელი.

საპყრობილეში მოხვედრისას ჩემი პირველი შთაბეჭდილება, საერთოდ, უსაზიზღრესი იყო; მაგრამ უცნაური ამბავია! მიუხედავად ამისა, მომეჩვენა, რომ პატიმრის ცხოვრება უფრო ადვილი იყო, ვიდრე მანამდე წარმომედგინა. პატიმრებს, მართალია, ბორკილები ედოთ, მაგრამ მთელ საპყრობილეში თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ, იგინებოდნენ, მღეროდნენ, საკუთარ თავზე მუშაობდნენ, ჩიბუხს აბოლებდნენ, ზოგი ღვინოსაც სვამდა, ხოლო ღამლამობით ზოგიერთი ყომარბაზობდა კიდევ.

რაც შეეხება კატორღულ სამუშაოს, მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ რეალურად ეს სამუშაო იმდენად მძიმე არაა, რამდენადაც გეჩვენება; ამის მიზეზი მარტივია: ეს იძულებითი, სავალდებულო

სამსახურია, რომელიც ჯოხის შიშს ემყარება. მაგალითად, გლეხი მინდორში უფრო მეტს მუშაობს, მით უმეტეს ზაფხულში, როცა ღამითაც უწევს მუშაობა. მაგრამ ის საკუთარი თავისთვის მუშაობს, გონივრული მიზნით, ამიტომ გაცილებით უფრო ეადვილება შრომა, ვიდრე კატორღელს. ეს უკანასკნელი ძალდატანებით მისთვის სრულიად უსარგებლო სამუშაოს ასრულებს. ერთხელ გავიფიქრე კიდევ, თუ ადამიანის მოსპობა და განადგურება უნდათ, ის უნდა დასაჯონ ყველაზე საშინელი სასჯელით, ისეთით, უდიდეს ავაზაკ კაცისმკვლელსაც რომ შეაძრწუნებს და დააფრთხობს. ამისთვის საკმარისია ეს ადამიანი დაასაქმონ მისთვის სრულიად უსარგებლო და უაზრო სამუშაოზე. მართალია, პატიმრისთვის კატორღული შრომა უინტერესო და მოსაწყენია, თუმცა, როგორც სამუშაო გონივრულია: კატორღელი ამზადებს აგურს, თხრის მიწას, ლესავს, ამენებს; ასეთ მუშაობას აზრიც აქვს და მიზანიც. კატორღელს ზოგჯერ საქმე იტაცებს, ცდილობს, უფრო უკეთ და მარჯვედ იმუშაოს. მაგრამ ის რომ აიძულონ, მაგალითად, ერთი გოგზაკიდან მეორეში გადაასხას წყალი, მეორედან კი პირველში, ნაყოს ქვიშა, გადაიტანოს მიწის გროვა ერთი ადგილიდან მეორეზე და პირიქით, ვფიქრობ, პატიმარი მალე თავს ჩამოიხრჩობდა ან ათას დანაშაულს ჩაიდენდა, სიკვდილისთვისაც მზად იქნებოდა, ოღონდ ასეთი დამცირების, შერცხვენისა და წამებისგან დაეღწია თავი. რა თქმა უნდა, ასეთი სასჯელი წამებად, შურისგებად გადაიქცეოდა, და უაზრო იქნებოდა, რადგან ვერავითარ გონივრულ მიზანს ვერ მიაღწევდა. მაგრამ რაკი ყოველგვარი იძულებითი შრომა ასეთი წამების, უაზრობის, დამცირებისა და შერცხვენის ნაწილს უთუოდ შეიცავს, კატორღული სამუშაოც თავისუფალ შრომაზე ბევრად უფრო მტანჯველია, სწორედ იმით, რომ იძულებითია.

საპყრობილეში ზამთარში, დეკემბერში მივედი და ჯერ წარმოდგენაც არ მქონდა საზაფხულო სამუშაოებზე, რომლებიც ხუთჯერ უფრო მძიმეა. ზამთარში ჩვენს საპყრობილეში სახაზინო სამუშაოები ცოტა იყო. პატიმრები ირტიშზე დადიოდნენ ძველი ორჩხომელების სამტკრევად, სახელოსნოებში მუშაობდნენ, კომუნალური შენობების წინ

თოვლს კვალავდნენ, ალებასტრს გამოწვავდნენ, ნაყავდნენ და ა.შ. ზამთარში დღე მოკლე იყო, მუშაობას მალე ამთავრებდნენ და საპყრობილეებში ადრე ბრუნდებოდნენ. აქ მათ, თუ საკუთარ თავს საქმეს არ მოუძებნიდნენ, გულხელდაკრეფით ჯდომის მეტი თითქმის არაფერი ელოდათ. ამგვარად, მხოლოდ პატიმრების მესამედი საქმიანობდა; დანარჩენები ჩხირკედელაობდნენ; ყაზარმებში უაზროდ დაეხეტებოდნენ; იგინებოდნენ; ერთმანეთს ინტრიგებსა და ოინებს უწყობდნენ; როცა ფული ჰქონდათ, თვრებოდნენ; ღამღამობით კარტში უკანასკნელ პერანგს აგებდნენ. ყველაფერ ამას დარდის, უსაქმურობისა და ერთფეროვნების გამო აკეთებდნენ.

შემდეგ მივხვდი, რომ თავისუფლების აღკვეთისა და იძულებითი შრომის გარდა, კატორღულ ყოფაში კიდევ ერთი სატანჯველია, შესაძლოა, უფრო ძლიერიც, ვიდრე ყველა დანარჩენი. ეს გახლავთ იძულებით ერთად ცხოვრება. რა თქმა უნდა, ერთად სხვაგანაც ცხოვრობენ, მაგრამ საპყრობილე ხომ ისეთი ადამიანების თავშესაყარია, რომლებთან ერთად ყოფნასაც ბევრი არ მოისურვებდა; დარწმუნებული ვარ, ამით გაუცნობიერებლად ყოველი კატორღელი იტანჯებოდა.

კვება სამყოფი მეჩვენა. პატიმრები ირწმუნებოდნენ, რუსეთის ევროპული მხარის პატიმართა ასეულებში ასე არ კვებავენო. ამის მსაჯულად მე ვერ გამოვდგები, იქ არასდროს ვყოფილვარ. ამასთან, საჭმელს ზოგი თავად ყიდულობდა. გირვანქა ძროხის ხორცი ნახევარი კაპიკი ღირდა, ზაფხულში სამი კაპიკი, მაგრამ საჭმელს მხოლოდ ისინი ყიდულობდნენ, ვისაც ფული მუდმივად ჰქონდა. კატორღელთა უმრავლესობა კი საერთო ქვაბიდან იკვებებოდა. პატიმრებს განსაკუთრებით ის უხაროდათ, ყველას თითო პურს რომ გვაძლევდნენ. წონით რომ მოეცათ, პატიმრების მესამედიღამშეოდა. ერთი სიტყვით, პური სამყოფად გვქონდა. მას ადგილზე აცხობდნენ, განსაკუთრებით გემრიელი იყო და მთელ ქალაქში კარგად იყიდებოდა. ეს საპყრობილის ღუმლების დამსახურება გახლდათ. შჩი კი არაფრად ვარგოდა. მას საერთო ქვაბში ამზადებდნენ, ცოტა ბურღულს უმატებდნენ და წყალწყალა, მქი-

სე გამოდიოდა, განსაკუთრებით სამუშაო დღეებში. შიგ ხოცობის უზომო რაოდენობამ შემზარა, პატიმრები კი ამას აინუნშიაც არ აგდებდნენ.

პირველ სამ დღეს სამუშაოდ არ წამიყვანეს. ასე ექცეოდნენ ყველა ახალმოსულს: ნამგზავრს ასვენებდნენ. მაგრამ მეორე დღეს დასაჭედად მაინც მომიხდა საპყრობილედან გამოსვლა. დამადეს უფორმო, რგოლებიანი, „ჟღარუნა“ ბორკილები, როგორც მას პატიმრები ეძახდნენ. მათ გარედან ატარებდნენ. ფორმიანი ბორკილი კი მუშაობისთვის იყო განკუთვნილი და შედგებოდა არა რგოლებისგან, არამედ ოთხი, თითქმის თითის სიმსხო, რკინის წნელებისგან, რომლებიც ერთმანეთთან სამი რგოლით იყო შეერთებული. მას შარვლის ქვეშ ატარებდნენ. შუათანა რგოლზე ღვედს აბამდნენ, რომელსაც თავის მხრივ პირდაპირ პერანგზე შემორტყმულ ქამრის ღვედზე ამაგრებდნენ.

მახსოვს ჩემი პირველი დილა ყაზარმაში. კორდეგარდიაში, საპყრობილის ჭიშკართან დაფდაფს დაჰკრეს და ათი წუთის შემდეგ უნტეროფიცერმა ყაზარმების გაღება დაიწყო. პატიმრები იღვიძებდნენ. ექვსმაგად შეკრული ქონის სანთლის მქრქალ შუქზე სიცვიისგან აკანკალებულნი თავიანთი ნარებიდან დგებოდნენ. ნამძინარეზნი, უმეტესწილად, დუმდნენ, მოლუშულები ამთქნარებდნენ, იზმორებოდნენ, დადაღულ შუბლებს იჭმუნხიდნენ. ზოგი პირჯვარს იწერდა, ზოგი უკვე აყალმაყალს ტეხდა.

საშინელი ბული იდგა. კარის გაღებისთანავე ზამთრის სუფთა ჰაერი შემოიჭრა და ყაზარმას ორთქლის ბოლქვებად მოეფინა. წყლის ვედროებთან პატიმრები შექუჩდნენ; მორიგეობით იღებდნენ ციცხვს, წყალს პირში იგუბებდნენ და ამ წყლით ხელ-პირს იბანდნენ. წყალს პარაშნიკი წინა ღამით იმარაგებდა. როგორც წესი, არტელი ყველა ყაზარმაში მომსახურეობისთვის თითო-თითო პატიმარს ირჩევდა. მეპარაშე სამუშაოდ არ გაჰყავდათ. მას ყაზარმა უნდა დაესუფთავებინა: იატაკი და ნარები გაეხეხა, გაერეცხა, ღამის გოფზაკი შეეტან-გაეტანა, ორჯერ ახალი წყალი მოეტანა დილით პირის დასაბანად, დღისით კი სასმელად.

ერთადერთი ციცხვის გამო უცებ ატყდა ჩხუბი.

საით, შე ლოქო! ბუბღუნებდა ერთი პირქუში, მაღალ-მაღალი, ხმელხმელი, შავგვრემანი, რაღაც უცნაურ კორძებიანი და თავგადაპარსული პატიმარი, თან მუშტს ჰკრავდა მეორეს, სქელსა და დაბალს, მხიარულ, ღაჟღაჟა პირსახიანს, მოიცადე!

აბა, რა გაყვირებს! მოცდა, ბიძია, ჩვენთან ფული ღირს; თავად დაიკარგე აქედან! წამომჭიმია აქ მონუმენტივით. ესე იგი, ძმებო, არავითარი ფორტიკულტიარობა არ გააჩნია.

ამ „ფორტიკულტიარობამ“ ერთგვარი ეფექტი იქონია: ბევრს გაეცინა. მხიარულ სქელოსაც მხოლოდ ეს უნდოდა. ის, ეტყობა, ყაზარმაში რაღაც ნებაყოფლობითი ტაკიმასხარას როლს თამაშობდა. მაღალმა პატიმარმა ზიზღით შეხედა.

გაგსიებია ფაშვი! თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა მან, ნახე, როგორ

გამომსკდარა აქაური ფუნთუშებით! უხარია, ხსნილზე თორმეტ გოჭს მოვიგებო.

შენ რა უცხო ფრინველი ხარ ვითომ? გაცხარდა უცებ მეორე და სახე წამოენთო.

საქმეც ისაა, რომ უცხო ფრინველი ვარ!

რანაირი!

ამნაირი.

რანაირი ამნაირი?

აი, ამნაირი.

მაინც რანაირი?

ერთმანეთს სახეში თვალებით შეაფრინდნენ. სქელო პასუხს ელოდა და მუშტები შეკრა, თითქოს მზადაა ჩხუბი დაიწყოსო. მეგონა, იჩხუბებდნენ. ჩემთვის ეს ყველაფერი სიახლე იყო და ცნობისმოყვარეობით შევეყურებდი. მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ ყველა ამგვარი სცენა მშვიდობით მთავრდებოდა. თამაშდებოდა როგორც კომედია, ისე, საერთო სიამოვნებისთვის; ჩხუბამდე კი თითქმის არასდროს მიდიოდა საქმე.

ეს საპყრობილისთვის დამახასიათებელი რიტუალი იყო და მის ზნე-ჩვეულებებს გამოხატავდა.

მაღალ-მაღალი პატიმარი მშვიდად და მედიდურად იდგა, გრძნობდა, რომ უყურებდნენ და ელოდებოდნენ, პასუხით თავს შეირცხვენდა თუ არა; დაიცავდა თუ არა საკუთარ ღირსებას, ანუ მართლაც რომ ფრინველი იყო და კონკრეტულად, რომელი ფრინველი. გამოუთქმელი ზიზღით ცერად გადახედა თავის მოქიშპეს, მეტისმეტად რომ წყენოდა, როგორღაც მხარბევიდან, მაღლიდან დაბლა, თითქოს ჭიალუას დასცქერისო და ნელა, გარკვევით წარმოთქვა: ფასკუნჯი!..

ესე იგი, ვითომ ფასკუნჯი ვარო. პატიმრის ამ მოსწრებულ პასუხზე გადაიხარხარეს.

არამზადა ხარ, ფასკუნჯი კი არა! აღრიალდა სქელო, იგრძნო, ჩავიჭერიო და ლამის გაცოფდა.

როგორც კი სიტუაცია გამწვავდა, მოკინკლავეები მაშინვე ჩააჩუმეს.

რას აყაყანდით! შემოუძახა მთელმა ყაზარმამ.

სჯობს, იჩხუბოთ, რა გაღრიალებთ! დაიძახა ვიღაცამ კუთხიდან.

არ გაუშვა, თორემ სცემენ ერთმანეთს! გაისმა პასუხად. გულადი ხალხია ჩვენთან, ფიცხელი: შვიდნი ერთს არ გავექცევით...

ორივე მაგარია! ერთს გირვანქა პურისთვის უკრეს აქ თავი; მეორე ქოთნებში დაძვრებოდა, მჟავე მაწონი შეუჭამა დედაბერს, სამაგიეროდ, წკეპლაც იგემა.

აბა, აბა! გეყოფათ, დაიყვირა წესრიგის დამცველმა ხეიბარმა, რომელიც ყაზარმაში ცხოვრობდა და კუთხეში საგანგებო ტახტზე ეძინა ხოლმე.

წყალი, ბიჭებო! ნევალიდ პეტროვიჩს გაულვიძია! ნევალიდ პეტროვიჩს, გულითად ძმას!

ძმა... სადაური შენი ძმა ვარ? ერთი მანეთისაც არ დაგვილევია ერთად, და, ძმაო! ბუზღუნებდა ხეიბარი, თან ხელს ფარაჯაში ჰყოფდა.

დილის შემოწმებისთვის ვემზადებოდით; თენდებოდა. სასადილოში ბლომად ხალხი შეჯგუფდა. პატიმრები, ჯუბანაცმულნი და თავზე სა-

ნახევროდ მოგდებული ქუდებით, პურთან მოგროვილიყვნენ, რომელსაც მათ მზარეული ურიგებდა. მზარეულებს არტელი ირჩევდა, თითო სასადილოში ორს. მათთან ინახებოდა პურისა და ხორცის ერთადერთი საჭრელი დანა.

თავდახურული, ქამრებშემორტყმული, სამუშაოზე გასასვლელად მომზადებული პატიმრები მაგიდებს შემოუსხდნენ. ზოგიერთს ბურახიანი ხის ჯამი ედგა წინ. ბურახში პურს ფხვნიდნენ და ხვრეპდნენ. აუტანელი ყაყანი და ღრიანცელი იყო; ზოგი კუთხეებში კეთილგონივრულად და წყნარად მუსაიფობდა.

ბებერ ანტონიჩს გაუმარჯოს, შეგერგოს პურმარილი! ჩაილაპარაკა ერთმა ახალგაზრდამ და ერთი კუჭტი, უკბილო პატიმრის გვერდით ჩამოჯდა.

გაგიმარჯოს შენც, თუ არ გიცნობ, ჩაიჩიფჩიფა მან თავაუღებლად და უკბილო ღრძილებით პურის ღოღნა განაგრძო.

კი მარა, ანტონიჩ, მე ცოცხლებში აღარც კი მეგონე, ღმერთმანი.

არა, ჯერ შენ წადი საიქიოს, მერე მე.

მეც მათ გვერდით დავჯექი. ჩემგან მარჯვნივ ორი დარბაისელი პატიმარი საუბრობდა. ეტყობოდათ, ერთმანეთისთვის თავის მოწონებას ცდილობდნენ.

მე ვერაფერს მომპარავენ, ამბობდა ერთი. მე, ჩემო ძმაო, თავად შეშინია, ვინმეს რამე არ ავაცანცლო.

არც მე ვარ ადვილად ხელწამოსაკრავი; დავწვავ.

რას დაწვავ! ეგეთივე წყალწაღებული ხარ... სხვა სახელი არც მოგეძებნება... აი, ნახავ, გაგფცქვნის, და მერე ზედაც არ შემოგხედავს. მე ჩემი გითხარი. ამას წინ თვითონ მომაკითხა. სად გინდა, რომ წაიყვანო? ვიფიქრე, ფედკაჯალათთან მივიყვან-მეთქი. იმას კიდევ ფორშტადტში სახლი ედგა, სოლომონა ურიასგან ნაყიდი, აი, იმისგან, მერე რომ თავი ჩამოიხრჩო...

ვიცი. მიკიტნად იყო აქ სამი წლის წინ, მეტსახელად გრიშკა ბნელ სამიკიტნოს ეძახდნენ; ვიცი.

ჰოდა, არ გცოდნია; ეგ სხვა ბნელი სამიკიტნოა.

როგორ თუ სხვა! შენც ამბობ, რაღა! თუ გინდა, იმდენ მოწმეს მოგიყვან...

მომიყვან! ვინ შენ და ვინ მე?

შენ ვინაო? შენ მიცემიხარ კიდევც, ამას არც დავიტრაბახებ, და კიდევ, ვინ გგონივარ?!

მე გიცემივარ? ვინც მე მცემს, ის ჯერ არ დაბადებულა, ვისაც ვუცემივარ, ის მიწაში წევს.

ჭირსაც წაუღიხარ!

აი, ციმბირის წყლული შეგეყაროს.

შენ კი დაგჭრას ოსმალს ხმალმა!.. და ლანძღვა-გინება გამართეს.

აბა, აბა, აყაყანდნენ ახლა აქ! შემოუძახეს მათ ერთხმად. გარეთ შიმშილით კუჭი უხმებოდათ; აქ ფუნთუშებს მიაგნეს და სიხარულით აღარ იციან, რა ქნან...

მაშინვე ჩააჩუმეს. ლანძღვა-გინება, ენის „ბრახუნი“ რამდენიც გენებოთ, ასე ერთობოდნენ, ნაწილობრივ, პატიმრები. მაგრამ ჩხუბი იშვიათად თუ ატყდებოდა. ყველამ იცოდა, რომ ჩხუბის ამბავს მაიორს აცნობებდნენ; დაიწყებოდა გამოძიება, მოვიდოდა მაიორიც ერთი სიტყვით, არავისთვისაა სახეირო. ამიტომაც ჩხუბის უფლებას არავის აძლევენ. სხვა არა იყოს რა, თავად მეტოქენიც გასართობად უფრო ილანძღებიან. ხშირად თვითონვე იტყუებენ თავს, დაიწყებენ საშინელი სიფიცხით, გააფთრებით... გაიფიქრებ: არიქა, დახოცეს ერთმანეთით. მაგრამ შეცდებით: მივლენ განსაზღვრულ წერტილამდე და ერთმანეთს გაეცლებიან. ყოველივე ეს თავდაპირველად მიკვირდა. განგებ მოვიყვანე აქ ჩვეულებრივი კატორღული საუბრის მაგალითები. პირველად მიჭირდა გაცნობიერება როგორ შეიძლება ილანძღებოდნენ სიამოვნებისთვის და ამით ერთობოდნენ! თუმცა, არც პატივმოყვარეობა უნდა დაგვაფიქედეს. პატიმრები ხომ საუკეთესო მაგინებელს პატივისცემით ეპყრობოდნენ; მხოლოდ ეგ იყო, მსახიობივით ტაშს არ უკრავდნენ.

ჯერ კიდევ წუხანდელიდან მოყოლებული შევნიშნე, რომ აღმაცერად მიყურებენ. უკვე შევამჩნიე რამდენიმე პირქუში მზერა. ზოგი პატი-

მარი კი ახლომახლო მიტრიალებდა. ფიქრობდნენ, ფული ექნებაო, მე-პირფერებოდნენ; ახალი ბორკილის ტარებას მასწავლიდნენ. რა თქმა უნდა, ფულით მიშოვეს ბოქლომიანი პატარა ზანდუკი, რომელშიც ჩემი თეთრეული და აქ მოცემული ნივთები შევინახე. მეორე დღესვე ყველაფერი მომპარეს და იქეიფეს. ერთი მათგანი შემდგომში ჩემი უერთგულესი მონა გახდა, თუმცა, ჩემი გაქურდვის არცერთ მოხერხებულ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა. ამას სრულიად უსირცხვილოდ აკეთებდა, თითქმის შეუგნებლად, როგორც რაღაც ვალდებულებას და ამის გამო გაბრაზებას, საყვედურებს არანაირი აზრი არ ჰქონდა.

სხვათა შორის, მათ მირჩიეს, რომ თუ ჩაისა და ჩაიდანს იყიდი, ურიგო არ იქნებაო. დროებით კი სხვისი მიშოვეს ქირით, მირჩიეს მყოლოდა მზარეული. თვეში ოცდაათ კაპიკად ყველაფერს მოგიმზადებს, თუ ცალკე ჭამას და სანოვავის ყიდვას მოისურვებთო... რა თქმა უნდა, ფულიც ისესხეს ჩემგან. ერთი დღის განმავლობაში თითოეულმა სამჯერ მაინც მთხოვა.

ყოფილი თავადაზნაურები კატორღაში საერთოდ ათვალწუნებულეები ჰყავდათ და მტრულად უყურებდნენ. იმის მიუხედავად, რომ ისინი უკვე პატივაცრილნი და სავსებით გათანაბრებულნი არიან დანარჩენ პატიმრებთან მაინც არასდროს სცნობენ მათ თავიანთ ამხანაგებად. ამას გაცნობიერებულად, წინასწარგანზრახვით კი არ აკეთებენ, არამედ სრულიად შეუგნებლად. ისინი გულწრფელად გვაღიარებდნენ აზნაურებად, თუმცა

თავადვე უყვარდათ ჩვენი გაღიზიანება ჩვენივე დაცემით.

ახლა მორჩა მათი საქმე! გათავდა! რაც უნახავთ, ვეღარ ნახავენ! ტკბილსიტყვაობდნენ ჩვენზე.

ისინი ჩვენი ტანჯვა-წამებით ტკბებოდნენ. ჩვენ კი მათი თანდასწრებით ტანჯვას არ ვამჟღავნებდით. თავდაპირველად სამუშაოზე განსაკუთრებით ვინაგრებოდით, რადგან მათსავით ღონიერები არ ვიყავით და კარგად ვერ ვმუშაობდით. ხალხის (განსაკუთრებით ასეთი ხალხის) ნდობისა და სიყვარულის მოპოვებაზე ძნელი არაფერია.

კატორღაში რამდენიმე თავადაზნაური იყო, მათ შორის ხუთიოდე პოლონელი. კატორღელებს საშინლად არ უყვარდათ ისინი, კიდევ უფრო ნაკლებად სწყალობდნენ, ვიდრე გადმოსახლებულ რუს თავადაზნაურებს. თავის მხრივ, პოლონელებიც (ვგულისხმობ მხოლოდ პოლიტიკურ დამნაშავეებს) მათ ერთგვარი დამამცირებელი, გამკენწლავი თავაზიანობით ექცეოდნენ, მათგან თავი შორს ეჭირათ და პატიმრებისადმი თავიანთ ზიზღს ვერაფრით მალავდნენ.

ზოგიერთი კატორღელის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად დაახლოებით ორი წელი დამჭირდა. ბოლოს კი თითქმის ყველას შევეუყვარდი და „კაი ბიჭად მაღიარეს“.

ჩემ გარდა საპატიმროში კიდევ ოთხი რუსი თავადაზნაური იყო. ერთი მათგანის სულმდაბალი და საძაგელი, საშინლად გახრწნილი და მოწოდებით ჯაშუშის ამბები ჯერ კიდევ საპყრობილეში მოსვლამდე ვიცოდი და მასთან პირველი დღეებიდანვე ყოველგვარი ურთიერთობა გავეწყვიტე. მეორე ის მამისმკვლეელი იყო, რომლის შესახებაც უკვე ვიამბეთ, მესამე აკიმ აკიმიჩი ნათლად დამამახსოვრდა. ასეთი უცნაური კაცი იშვიათად შემხვედრია: ტანად მაღალი, ხმელ-ხმელი, ცოტას მოიშტერებდა. საშინლად უბირი, ზედმიწევნით რეზონიორი და გერმანელივით აკურატული. კატორღელები აბუჩად იგდებდნენ. მაგრამ მისი კვიმატი, მომთხოვნი და შარიანი ხასიათის გამო ბევრს მასთან კამათის ეშინოდა. ის თავიდანვე გაშინაურებოდა კატორღელებს, ლანძღავდა მათ, ეჩხუბებოდა კიდევ. როგორც პატიოსნების განსახიერება, რაღაც ფენომენურ მოვლენას წარმოადგენდა. უსამართლობის შემჩნევისთანავე უსათუოდ ჩაერეოდა, თუნდაც მისი საქმე არ ყოფილიყო. ძალიან გულუბრყვილო იყო, მაგალითად, როცა პატიმრებს უწყრებოდა: ზოგჯერ საყვედურობდა, ქურდები ხართო, და სერიოზულად არწმუნებდა, ნუ იქურდებთო. ადრე კავკასიაში პრაპორშჩიკა მსახურობდა. პირველი დღიდანვე დავახლოვდით და თავისი თავგადასავალიც მაშინვე მიაშობო: კავკასიაში ქვეითთა პოლკის იუნკერობიდან დაეწყო, დიდხანს ზიდა ჭაპანი. ბოლოს ოფიცრის ხარისხი მიეცათ და რომელიღაც ციხესიმაგრეში უფროსად გაეგზავნათ. ერთ ე.წ. შემორიგებულ მე-

ზობელ თავადს მის ციხესიმაგრეზე ღამით თავდასხმა მოეწყო და ცეცხლი წაუკიდებინა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩავარდნოდა. აკიმ აკიმიჩმა იეშმაკა და არავისთვის უთქვამს, რომ ბოროტმოქმედის ვინაობა იცოდა. დანაშაული ე.წ. შემოურიგებლებს გადააბრალებს. ერთი თვის შემდეგ კი აკიმ აკიმიჩმა თავადი მეგობრულად სტუმრად მიი პატიჟა. ისიც მივიდა, ვერაფერს მიხვდა. აკიმ აკიმიჩმა თავისი რაზმი ჩაამწყვრივა და თავადი საჯაროდ ამხილა. დაუმტკიცა, რომ ციხისთვის ცეცხლის წაკიდება ბოროტება იყო. იქვე გულდასმით დაარიგა როგორ უნდა იქცეოდეს შემორიგებული თავადი, დაბოლოს, დახვრიტა. ამის შესახებ უფროსობასაც იმწამსვე დაწვრილებით აცნობა. ამ დანაშაულის გამო ის გაასამართლეს, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ განაჩენი შეუმსუბუქეს და ციმბირში, მეორე თანრიგის კატორღაში თორმეტი წლით გადმოსახლეს. ამბობდა: არასწორად მოვიქეცი, ეს ამ თავადის დახვრეტამდეც ვიცოდი. შემორიგებული თავადი კანონის მიხედვით უნდა გასამართლებულიყო; მიუხედავად ამისა, თავის დანაშაულს მაინც ბოლომდე ვერ აცნობიერებდა.

აბა, რას ბრძანებთ, მან ხომ ცეცხლი წაუკიდა ჩემს ციხესიმაგრეს? მაშ, თაყვანს ხომ არ ვცემდი ამისთვის! მი პასუხებდა ხოლმე შეკამათებაზე. პატიმრები აკიმ აკიმიჩს დასცინოდნენ, შერეკილიაო, მაგრამ როგორც წესიერსა და ხელმარჯვე ადამიანს, მაინც პატივს სცემდნენ.

აკიმ აკიმიჩმა თითქმის ყველა ხელობა იცოდა. ის გახლდათ დურგალი, მეწაღე, ხარაზი, მღებავი, იუველირი, ზეინკალი. ეს ყველაფერი კატორღაში თავად შეესწავლა: ერთხელ შეხედავდა და გააკეთებდა. აკეთებდა სხვადასხვანაირ ყუთებს, კალათებს, ჩარჩოებს, ბავშვის სათამაშოებს, გაჭქონდა ქალაქში და ჰყიდდა. ამრიგად, ცოტაოდენ ფულს აგროვებდა და დაუყოვნებლივ ყიდულობდა დამატებით თეთრულს ან უფრო რბილ ბალიშს.

დასაკეცი ლეიბიც იშოვა. ყაზარმაში ერთად ვცხოვრობდით და პირველ დღეებში ძალიან მეხმარებოდა.

სამუშაოდ გასვლის წინ პატიმრები კორდევარდიის წინ ორ რიგად ეწყობოდნენ; მათ წინ და უკან თოფებგატენილი ბადრაგი ჯარისკაცები

ჩამწკრივდებოდნენ. შემდეგ გამოდიოდა საინჟინრო ნაწილის ოფიცერი, კონდუქტორი და სამუშაოზე ბედამხედველებად მომუშავე რამდენიმე დაბალჩინიანი ინჟინერი. კონდუქტორი პატიმრებს ითვლიდა და, საჭიროებისამებრ, სამუშაოდ ჯგუფჯგუფად გზავნიდა.

სხვებთან ერთად საინჟინრო სახელოსნოსკენ გავემართე: ეს იყო სხვადასხვა მასალით გაჭედნილი დიდ ეზოში მდგარი ქვის დაბალი შენობა. მასში განლაგებული იყო სამჭედლო, საბეინკლო, სადურგლო, სამღებრო და სხვა სახელოსნოები. აკიმ აკიმიჩი ამ სამღებროში მუშაობდა, ხარშავდა ოლიფას, აზავებდა საღებავს, აკეთებდა ავეჯს.

ბორკილების ხელახლა დაჭედვის მოლოდინში აკიმ აკიმიჩს საპრობილეში მიღებულ ჩემს პირველ შთაბეჭდილებებზე ჩამოვუგდე სიტყვა.

დიახ, თავადაზნაურები არ უყვართ, შენიშნა მან, განსაკუთრებით პოლიტიკურები, ჭირივით ეჯავრებათ; არცაა გასაკვირი, ჯერ ერთი, თქვენ სულ სხვა ხალხი ხართ მათგან სრულიად განსხვავებულები. მეორეც, ყველა მათგანი ნაცემევი ან სამხედრო ბეგარამოვლილია. თავად განსაჯეთ, შეუძლიათ მათ თქვენი სიყვარული? აქ ცხოვრება ძნელია. რუსეთის პატიმართა ასეულებში კიდევ უფრო ძნელია. აი, იქიდან გადმოსულნი არიან ჩვენთან, ჰოდა, ლამის ველარ გაძღნენ ჩვენი საპრობილის ქებით, თითქოს ჯოჯოხეთიდან სამოთხეში მოხვდნენ. საქმე სამუშაოს სიმძიმეში კი არ არის. ამბობენ, იქ, პირველ თანრიგისაში, უფროსები მთლად სამხედროები არ არიანო. ყოველ შემთხვევაში, სხვა წესი და რიგი ჰქონიათ. ამბობენ, იქ გადასახლებულს შეუძლია თავისი სახლი ჰქონდესო. მე იქ არ ვყოფილვარ და ვერაფერს დავამტკიცებ. არც წვერს პარსავენ; მუნდირები არ აცვიათ. თუმცა, ეს უკეთესიცაა. ჩვენთან რომ მუნდირები აცვიათ და გაპარსულნი დადიან, რაც არ უნდა იყოს, წესრიგი მეტია და თვალსაც უხარია. დიახ, მათთან სწორედ ეს არ მომწონს. აქ იყვნენ: კანტონისტები, ჩერქეზები, რასკოლნიკები, მართლმორწმუნე გლეხები ოჯახსა და საყვარელ შვილებს მოცილებულნი, ურიები, ბოშები და სხვა გაურკვეველი წარმოშობის ხალხი. უნდათ თუ არა, უნდა შეეგუონ, შეეხმატკბილონ ერთმანეთს, ერთად

დაიძინონ, თავისუფლება კი როგორია: ზედმეტ ლუკმას ჩუმად ჭამდნენ; ყოველ გროშს ჩექმაში მაღავდნენ.

მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ვიცოდი. ერთი სული მქონდა, სანამ ჩვენს მაიორზე შევეკითხებოდი. აკიმ აკიმიჩი გულახდილად მელაპარაკა, თუმცა, მახსოვს, სასიამოვნო შთაბეჭდილება არ დამრჩა.

იმ კაცის უფროსობის ქვეშ ყოფნამ კიდევ ორ წელს მომიწია. ყველაფერი, რაც აკიმ აკიმიჩმა მასზე მიაძბო, მართალი აღმოჩნდა, იმ განსხვავებით, რომ სინამდვილე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ხოლმე, ვიდრე უბრალოდ ნაამბობი. ის მართლაც საშინელი ვინმე იყო; როგორღაც უფროსს ორას ვაცზე თითქმის განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა. თავისთავად, უწესო და ავზნიანი იყო, მეტი არაფერი. პატიმრებს თავისი ბუნებრივი მტრებივით უყურებდა. ეს იყო მისი პირველი და მთავარი შეცდომა. მაიორი ნიჭიერი კი იყო, მაგრამ ყოველივე, თვით სიკეთეც კი, მასში დამახინჯებული სახით ვლინდებოდა. თავშეუკავებელი და გაავებული ზოგჯერ ლამითაც კი შემოიჭრებოდა ხოლმე ყაზარმაში. თუ მარცხენა გვერდზე ან გულაღმა მწოლიარეს მოჰკრაფდა თვალს, მეორე დილას ტყავს აძრობდა: „მარჯვენა გვერდზე გადაბრუნდი და ისე დაიძინე, დაიმახსოვრე, რასაც გიბრძანებენ!“

მაიორი ყველას ეჯავრებოდა და შავი ჭირივით ეშინოდათ. ბოროტი და ღაჟღაჟა სახე ჰქონდა. ყველამ იცოდა, რომ მაიორს მისი დენშჩიკი, ფედკა, როგორც უნდოდა ისე ათამაშებდა. ყველაზე მეტად კი თავისი პუდელი ტრეზორკა უყვარდა. მის ავადმყოფობას ძალიან განიცდიდა, დარდისგან ლამის ჭკუაზე შემცდარიყო. ამბობდნენ, როცა ძალლი მოუკვდა, ისე ქვითინებდა, თითქოს ერთა

დერთ ვაჟიშვილს ეთხოვებოდაო. ერთი ვეტეჟიმი გარეთ გამოაგლოდა, როგორც სჩვეოდა, კინალამ ჩხუბიც აუტეხა. როცა ფედკასგან გაიგო, საპყრობილეში ერთი პატიმარი თვითნასწავლი ჩინებული ვეტეჟმიაო, მაშინვე გამოაძახებინა: მიშველე! გადაარჩინე ტრეზორკა და ოქროთი აგავსებ! შესძახა პატიმარს. ეს იყო ციმბირელი გლეხი, ეშმაკი და ჭკვიანი,

მართლაც ჩინებული ვეტეჟიმი, მაგრამ გლეხუჭა.

ვუყურებ ტრეზორკას, უამბობდა პატიმრებს მაიორთან ვიზიტზე კარგა ხნის მერე, როცა ეს ამბავი აღარავის ახსოვდა, ვუყურებ: წევს დივანზე, ქათქათა ბალიშზე; ვატყობ, ანთება აქვს, სისხლია გამოსაშვები და მორჩება ძაღლი, ღმერთმანი! თან ვფიქრობ: რომ ვერ მოვარჩინო, ვაითუ ფეხი გაფშვიკოსთქო?! არა-მეთქი, ვუთხარი, თქვენო კეთილშობილებავ, დაგვიანებულია. გუშინ ან გუშინწინ ამ დროს რომ დაგეძახებინე მოვარჩენდი, ახლა კი უღონო ვარ, ველარაფერს ვუშველი...

ასე რომ, ვერ უშველეს ტრეზორკას.

ჩვენი მაიორის მკვლელობის მცდელობის ამბავი პატიმრებმა დაწვრილებით მომიყვნენ.

უკვე რამდენიმე წელია ჩვენთან მოიყვანეს ძალიან წყნარი პატიმარი. თითქმის არასდროს ლაპარაკობდა. ამიტომ დაასკვნეს, უთუოდ ვინმე ღვთის გლახააო. განათლებული იყო და ბოლო წელიწადი დღე-დაღამ სულ ბიბლიას ჩაჰკირკიტებდა. შუაღამისას, როცა ყველა იძინებდა, ადგებოდა, თაფლის სანთელს აანთებდა, ღუმელზე შეძვრებოდა, წიგნს გადაშლიდა და გათენებამდე კითხულობდა. ერთ დღესაც, უნტეროფიცერთან მივიდა და განუცხადა, სამუშაოზე არ გავდივარო. აცნობეს მაიორს. ის გაბრაზდა და მაშინვე მოირბინა. პატიმარი ეცა და წინასწარ მომზადებული აგური მოუქნია. მაგრამ ააცდინა. დააკავეს, გაასამართლეს და დასაჯეს.

ყველაფერი ძალზე სწრაფად მოხდა. სამ დღეში საავადმყოფოში გარდაიცვალა. მომაკვდავი თურმე ამბობდა, არავის მიმართ ბოროტება გულში არ მქონია; მხოლოდ სიკვდილი მინდოდაო. სხვათა შორის, ის რასკოლნიკთა არც ერთ სექტას არ ეკუთვნოდა. საპყრობილეში პატივისცემით იხსენებდნენ.

როგორც იქნა, ბორკილები ხელახლა დამიჭედეს. ამასობაში სახელოსნოს კალაჩის გამყიდველი ქალები მოადგნენ. ზოგიერთი სულ პატარა გოგონა იყო. მომწიფებამდე, ჩვეულებისამებრ, კალაჩს დაატარებდნენ გასაყიდად; დედები აცხობდნენ, ისინი კი ჰყიდდნენ. როცა იზ-

რდებოდნენ, უკალაჩებოდ დადიოდნენ; ასე მოსდგამდათ ოდითგანვე. იყვნენ მოზრდილნიც. კალაჩი ნახევარი კაპიკი ღირდა და თითქმის ყველა პატიმარი ყიდულობდა.

თვალი მოვკარი ერთ პატიმარს, უკვე ჭალარა, მაგრამ ლოყებლაჟ-ლაჟა დურგალს, რომელიც გამყიდველ ქალებს შემპარავი ღიმილით მიელაქუცა. მათ გამოჩენამდე კისერზე წითელი ყუმაშის ნაჭერი მოიხვია. ერთმა მსუქანმა, ჩოფურა დედაკაცმა კალათა დაზგაზე ჩამოდო და საუბარი გააბეს: რატომ არ მოხვედით იქ გუშინ? თვითკმაყოფილი ღიმილით დაიწყო პატიმარმა.

ერთი უყურეთ! მე მოვედი, მაგრამ თქვენ სადღა ბრძანდებოდით? მიუგო თამამად დედაკაცმა.

ვინ და ვინ?

მარიაშკა მოვიდა, ხავროშკა მოვიდა, ჩეკუნდა მოვიდა, კაპიკიანი მოვიდა...

რას ნიშნავს ეს? დავეკითხე აკიმ აკიმიჩს, ნუთუ?..

ხდება ხოლმე, მომიგო მან და მორიდებით თვალეხი დახარა, რადგან ზედმიწევნით უბიწო ადამიანი გახლდათ.

ეს, რა თქმა უნდა, ხდებოდა, მაგრამ ძალზე იშვიათად, თანაც დიდ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული. საერთოდ კი, თუნდაც, მაგალითად სმას, უფრო მეტი მოხალისე ჰყავდა, ვიდრე ამგვარ საქმეს, მიუხედავად იძულებითი ცხოვრების მთელი ბუნებრივი სიდუხჭირისა. ქალებამდე ძნელად თუ მიგვიწვდებოდა ხელი. საჭირო იყო დროისა და ადგილის შერჩევა, შეპირება, პაემნის დანიშვნა, განმარტოებული ადგილის მოძებნა, რაც განსაკუთრებით ძნელი იყო. განსაკუთრებით ძნელი იყო ბადრაგების დაყოლიება და ამ ყველაფერში ბევრი ფულიც იხარჯებოდა. მიუხედავად ამისა, რამდენჯერმე სატრფიალო სცენის მოწმე გავხდი. მასხოვს, ზაფხული იყო და ირტიშის პირას ფარდულში სამნი ვისხედით. რაღაც გამოსაწვავ ქურას ვახურებდით; მებადრაგეები კეთილი ადამიანები იყვნენ. ბოლოს, დაადგათ საშველი, მოვიდა ორი „სუფლიორი“, როგორც პატიმრები ეძახდნენ მათ.

სად დაიკარგეთ ამდენ ხანს? ალბათ, ზვერკოვებთან შერჩით არა? მიეგება პატიმარი მასთან მისულებს, რომლებსაც დიდი ხანია უკვე ელოდებოდა.

მე დავიკარგე? წელან აგერ კატკატი უფრო დიდხანს იჯდა მესერზე, ვიდრე

მე მათთან ვიყავი, მხიარულად მიუგო დედაკაცმა.

ეს მთელ დუნიანზე უბინძურესი ქალი იყო. სწორედ ეს გახლდათ ჩეკუნდა. მასთან ერთად კაპიკიანიც მოსულიყო. მისი გარეგნობის აღწერა შეუძლებელი იყო.

თქვენც რა ხანია არ მინახიხართ, ახლა კაპიკიანს მიუბრუნდა მუსუსი, რა ხდება, რაღაც გამხდარი მეჩვენებით.

იქნება ასეც იყოს. წინათ, უჰ, რა მსუქანი ვიყავი, ახლა კი თითქოს ნემსი გადამცდენოდეს.

დადიხართ ხომ ჯარისკაცებში?

უკაცრავად, ეს უკვე ბოროტ ენებს მოუჭორავთ თქვენთვის. თუმცა, ეგრე იყოს! ჯარისკაცის გულისთვის თუნდაც ფეხი მელრძოს! ჯარისკაცის სიყვარულს ნეტავი რა სჯობია!

მოეშვით იმათ, ჩვენთან იარეთ, ჩვენ ფულიანები ვართ.

ეცადეთ, უფრო ნათლად წარმოიდგინოთ ეს მუსუსი თავგადახოტრილი, ბორკილებგაყრილი, ზოლებიან ტანისამოსში და ბადრაგებით გარშემორტყმული.

როგორც კი გავიგე, რომ საპყრობილეში დაბრუნება შემეძლო, აკიმ აკიმიჩს გამოვემშვიდობე, ბადრაგი ვიახლე და ყაზარმისკენ გავემართე. ყველა უკვე თავს იყრიდა. სამუშაოდან ყველაზე ადრე განაკვეთზე მომუშავენი ბრუნდებოდნენ. სამუშაოზე პატიმრის შრომისუნარიანობა რომ აამაღლონ, მას სამუშაო განაკვეთს ჰპირდებიან. ხანდახან ბევრ სამუშაოს აძლევენ, მაგრამ მაინც ორჯერ უფრო სწრაფად ამთავრებენ, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა, მაგალითად, სადილობამდე მუშაობას აიძულებენ. პატიმარი განსაზღვრულ, დაკისრებულ სამუშაოს დაამთავრებს თუ არა, შინისკენ არხეინად მიაბიჯებს და გზად უკვე აღარავინ აჩერებს.

ერთად არ სადილობდნენ ვისაც როდის მოუწევდა, ვინც უფრო ადრე მოვიდოდა სასადილოში ყველა ერთად მაინც ვერ დაეტეოდა. მე შჩი გავსინჯე, მაგრამ მიჩვეული არ ვიყავი და პირი ვერ დავაკარე, ჩაი ავიდულე. ჩვენ მაგიდის ბოლოს დავსხედით. თან ერთი ამხანაგი მახლდა, ჩემსავით აზნაური.

პატიმრები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ჯერ ისევ ხალვათობა იყო. ხუთკაციანი ჯგუფი ცალკე, დიდ მაგიდასთან დაჯდა. მზარეულმა მათ ორ ჯამში შჩი დაუსხა და შემწვარი თევზიც ბლომად მიართვა. რალაცას აღნიშნავდნენ და საკუთარი პურმარილი გაეშალათ. ჩვენ აღმაცერად გადმოგვხედეს. შემოვიდა ერთი პოლონელი და გვერდით მოგვიჯდა.

რალაც კაი სუნი მცემს! სასადილოში შემოსვლისთანავე რიხიანად დაიძახა ერთმა მაღალმა ტუსადმა და ყველას თვალი გადაგვაველო.

ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა, კუნთებიანი და ხმელ-ხმელი. რალაცნაირი ეშმაკური და ხალისიანი გამომეტყველება ჰქონდა. განსაკუთრებით მისი სქელი, ქვედა ჩამოწეული ტუჩი იქცევდა ყურადღებას, რომელიც მის სახეს საოცრად კომიკურ იერს სძენდა.

ჰა, როგორ გეძინათ?! სალამს ბანზე რატომ მიგდებთ? ჩვენს კურსკელებს ვახლავარ! დასძინა მან და საკუთარ პურმარილზე მსხდომთ მიუჯდა, დაგელოცოთ სუფრა! მიიღეთ სტუმარი.

ჩვენ კურსკელები არა ვართ, ძმობილო.

მამ ტამბოველებს ვახლავართ!

არც ტამბოველები ვახლავართ. წადი, გზა მონახე, მდიდარი გლეხი მოძებნე და იმას გაუწოდე ხელი.

ჩემს სტომაქს, ძმებო, დღეს ელეთ-მელეთი მოსვლია; კი მარა, სად ვნახო მდიდარი გლეხი?

აი, გაზინი, მდიდარი გლეხია. მასთან მიდი.

დიდ ამბავშია, ძმებო, დღეს გაზინი, ქეიფობს. მთელი ქისა გაფლანგა.

ოციოდე ვერცხლის მანეთიანი აქვს, შენიშნა მეორემ. ჩემმა მზემ, ხელსაყრელია მიკიტნობა.

ჰა, არ მიიღებთ სტუმარს? აბა, ისევ შჩის შევხვრეპ.

წადი, ჩაი ითხოვე. ეგერ ბატონები სვამენ.

რის ბატონები, რა ბატონები, აქ ბატონები არ არიან, პირქუშად ჩაილაპარაკა ერთმა, კუთხეში მიყუჟულმა პატიმარმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო.

გეახლებოდით ჩაის, მაგრამ თხოვნა მერიდება, ამბიციური ვარ, შენიშნა სქელტუჩა პატიმარმა და კეთილი თვალით გადმოგვხედა.

თუ გინდათ, მე მოგცემთ, ვუთხარი და მოვი პატიჟე, გნებავთ?

მნებავსო? რას მიქვია მნებავს? მაგიდასთან მოვიდა.

ერთი ამას დახედეთ, სახლში შჩი ენატრებოდა, აქ კი ჩაის გემო გაუგია. ბატონების სასმელი მოუნდა რაღა, ჩაიბურტყუნა პირქუშმა პატიმარმა.

კი მაგრამ, აქ სხვა არავინ სვამს ჩაის? შევეკითხე მე, მაგრამ პასუხის ღირსი არ გამხადა.

აი, კალაჩებიც მოაქვთ. ბარემ კალაჩიც იყოს.

შემოიტანეს კალაჩები. ახალგაზრდა პატიმარს მთელი აცმა მოჰქონდა და ჰყიდდა. კალაჩის გამყიდველი ქალი მას მეათე ცალს უთმობდა, რითაც ხეირობდა.

კალაჩები, კალაჩები! გაჰყვიროდა სასადილოში შემოსული პატიმარი, მოსკოვური, ცხელ-ცხელი! მე თვითონ გეახლებოდით, ფული რომ მქონდეს. ჰეი, ბიჭებო, დარჩა უკანასკნელი: ვის გყლიათ დედა?

დედობრივი სიყვარულის ხსენებაზე ყველას გაეცინა, რამდენიმე ცალი გამოართვეს.

რას იტყვით, ძმებო, თქვა მან, გაზინი დღეს ისე გადაჰყვა ღრეობას, ბოლოს ცუდად გაათავებს. ღმერთმანი! ცხრათვალა შემოუსწრებს.

დამალავენ. რაო, მაგარი მთვრალია?

აუჰ! გაავებულია, მოდის და საშველს არ გაძლევს.

ანუ მუშტი არ ასცდება!

ვისზე ლაპარაკობენ? ვკითხე ჩემ გვერდით მჯდომ პოლონელს.

პატიმარია ერთი, გაზინი. აქ ღვინით ვაჭრობს. ფულს იშოვის თუ არა, სვამს. უღმობელია და ბრაზიანი. ფხიზელი წყნარია, მაგრამ

მთვრალი მტრისას. პატიმრებს დანით დაერევა ხოლმე. მაშინ კი, იცოცხლე, ჭკუაზე მოჰყავთ.

ეგ როგორ?

დაახლოებით ათი პატიმარი მივარდება და გონების დაკარგვამდე სცემენ. ერთი სიტყვით, სიკვდილის პირას მიიყვანენ. მერე ნარებზე გააწვენენ და ჯუბას გადაათარებენ.

კი მაგრამ, ხომ შეიძლება, შემოაკვდეთ?

სხვა შემოაკვდებოდათ, ეგ არა. ძალიან ძლიერია. აქ ყველაზე ღონიერი და ყველაზე მაგარი აგებულებისაა. მეორე დილით სავსებით სალი და უვნებელია.

მითხარით, გეთაყვა, პოლონელის დაკითხვას ვაგრძელებდი, აგერ ისინიც ხომ საკუთარ საჭმელს ჭამენ, მე კი ჩაის ვსვამ. და მაინც ისე მიყურებენ, თითქოს ეს ჩაიც შურდეთ, რატომ?

ჩაი აქ არაფერ შუაშია, ამიხსნა პოლონელმა, იმიტომ ილესებიან, თქვენ თავადი ხართ და მათ არ ჰგავხართ. ბევრი იმასაც ფიქრობს, როგორ მოგდონ შარი. თქვენი შეურაცხყოფა და დამცირება ძალიან უნდათ. აქ კიდევ ბევრ უსიამოვნებას წააწყდებით. საერთოდ, ყველა ჩვენგანისთვის ეს ძალზე მძიმე ყოფია. ეს აუტანელია. გულგრილი უნდა იყო, ამ ყველაფერს რომ შეეგუო. აქ კიდევ ბევრი უსიამოვნება გელით; გაგლანძღავენ ჩაისა და ცალკე ჯამისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ხშირად აქ საკუთარ საჭმელს მიირთმევს, სხვებიც მუდამ ჩაის სვამენ. მათთვის შეიძლება, თქვენთვის კი არა. ეს მითხრა, სუფრიდან წამოდგა და წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მისი სიტყვები ამიხდა...

1.3. პირველი შთაბეჭდილებები

მ.-ცკის (პოლონელი, რომელიც მესაუბრებოდა) წასვლისთანავე გალემილი, მთვრალი გაზინი სასადილოში შემოვარდა.

პატიმარი მთვრალია დღისით-მზისით, როცა ყველა ვალდებული იყო სამუშაოზე გასულიყო; მთვრალია, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავს მკაცრი უფროსი, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება გამოჩენილიყო; კატორღელებს აკონტროლებდა უნტეროფიცერი, რომელიც მუდამ ციხეში იყო; ზედამხედველობდნენ გუშაგები, ინვალიდები ერთი სიტყვით, მთელი ამ მკაცრი რეჟიმის პირობებში, ის ერთიანად ცვლიდა ჩემს წარმოდგენებს პატიმრის ყოფა-ცხოვრებაზე.

დიდი დრო დამჭირდა, სანამ კატორღის პირველ დღეებში ჩემთვის გამოუცნობ ყველა ამგვარ ფაქტს ჩავწვდებოდი.

უკვე აღვნიშნე, რომ პატიმრებს ყოველთვის ჰქონდათ საკუთარი სამუშაო, რომელიც მათი კატორღული ცხოვრების ბუნებრივი მოთხოვნილება იყო; ამას გარდა, პატიმარს გაგიჟებით უყვარს ფული, ყველაზე მეტად, თითქმის

თავისუფლებასავით აფასებს და თუ ჯიბეში უჩხრიალებს, თავსაც არხეინად გრძნობს. ხოლო თუ ფული არა აქვს, დაღონებული, მოწყენილი, მოუსვენარია და სულიერად ეცემა.

პატიმარი ფულისთვის ყველაფერზე მიდის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საპყრობილეში ფული ასე ძვირად ფასობდა, მის იღბლიან მფლობელს მაინც არასოდეს ჰქონდა. ჯერ ერთი, ძნელი იყო ისე შეგენახა, არ მოეპარათ ან არ ჩამოერთმიათ. თუ მოულოდნელი ჩხრეკისას მაიორი მიაგნებდა, მაშინვე წაართმევდა და, შესაძლოა, ამ ფულს პატიმრების კვების გაუმჯობესებაზე ხარჯავდა. ასეა თუ ისე, ჩამორთმეული მასთან მიჰქონდათ. უმეტესად კი ი პარავდნენ: სანდო არავინ იყო. შემდგომში ჩვენთან ფულის საიმედო სამალავი აღმოაჩინეს. შესანახად მოხუც სტაროვერს აძლევდნენ, რომელიც ჩვენთან სტაროდუბიდან, ოდესღაც ყოფილი ვეტკელების დაბიდან მოსულიყო...

თემას ოდნავ გადაუხვევ, რადგან არ შემიძლია მასზე რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა.

ეს იყო სამოციოდე წლის ტანმორჩილი ჭაღარა ბერიკაცი. გაცნობისთანავე უჩვეულოდ გამაოცა. ის სხვა პატიმრებს არ ჰგავდა: იმდენად მშვიდი და თვინიერი ჩანდა, რომ მახსოვს, განსაკუთრებული სიამოვნებით ვუყურებდი მის ღია, ნათელ, წვრილ-გასხივოსნებულ-ნაოჭშეყრილ თვალებს. მასთან ხშირად ვსაუბრობდი. ასეთ კეთილ, მშვიდ ადამიანს იშვიათად შევხვედრივარ. არადა, ის მძიმე დანაშაულისთვის დააპატიმრეს. სტაროდუბელ სტაროვერებს შორის გაჩნდნენ მოქცეულები. მთავრობა მათ ყველაფრით ხელს უწყობდა და დანარჩენების მოსაქცევადაც ყოველ ღონეს ხმარობდა. მოხუცმა სხვა ფანატიკოსებთან ერთად გადაწყვიტა, მისი თქმით, „რჯულზე მყარად მდგარიყო“. მათ ერთმორწმუნეთა მშენებარე ეკლესია დაწვეს. მოხუცი, როგორც ერთ-ერთი წამომწყები, კატორღაში გადაასახლეს. შეძლებული მეშხანი იყო, ვაჭრობდა; შინ ცოლ-შვილი დატოვა, მაგრამ გადასახლებაში უყოყმანოდ წავიდა, რადგანაც იმდენად დაბრმავებულიყო, რომ ამას „სარწმუნოებისთვის ტანჯვად“ მიიჩნევდა. მასთან თანაცხოვრებიდან მცირე დროში დამებადა კითხვა: როგორ შეეძლო ამ თვინიერ, ბავშვივით უწყინარ კაცს მეამბოხე ყოფილიყო? რამდენჯერმე გამოველაპარაკე „სარწმუნოებაზე“. ურყევად იცავდა თავის რწმენას, მაგრამ არასოდეს არავითარი ბრაზი, არავითარი სიძულვილი არ იგრძნობოდა მის პასუხში. ამავე დროს ეკლესია დაწვა და ამას არც უარყოფდა. თავისი საქციელითა და ამისგან მიღებული „ტანჯვით“ მას უნდა ეამაყა. როგორ არ ვაკვირდებოდი, საიდან არ ვუტრიალე, მაგრამ სიამაყისა და პატივმოყვარეობის რაიმე ნიშანწყალიც კი არასოდეს შემიმჩნევია. საპყრობილეში სხვა სტაროვერებიც გვეყავდნენ, უმეტესად ციმბირელები. ისინი მეტად განვითარებულნი, გაქნილნი, უსაშველოდ მედავითნენი, მეწვრილმანენი, ქედმაღალნი, ყოყონნი, ცბიერნი, თავშეუკავებელნი იყვნენ; თავისებურ დიალექტზე ლაპარაკობდნენ. მოხუცი მათგან სრულიად განსხვავდებოდა. ის, ალბათ, როგორც მათზე უფრო ნაკითხი მედავითნე, კამათს თავს არიდებდა; ძალზე გულღია და მხი-

არული იყო. ხშირად იცინოდა იმ უხეში, ცინიკური სიცილით კი არა, როგორც კატორღელებს სჩვეოდათ, არამედ ხალასი, წყნარი სიცილით, რომელშიც უხვად იხატებოდა ბავშვური გულუბრყვილობა, რაც მის ჭალარას განსაკუთრებით უხდებოდა.

შესაძლოა, ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, სიცილით ადამიანის გამოცნობაც შეიძლება. თუ სრულიად უცნობი ადამიანის სიცილი მოგეწონათ, გაბედულად თქვით, კარგი ვაციაო. მოხუცს საპყრობილეში ყველა პატივს სცემდა და ის ამით სულაც არ ყოყნობდა. პატიმრები ბაბუას ეძახდნენ და არასოდეს აწყენინებდნენ. ნაწილობრივ გავიგე, როგორი გავლენა შეიძლება ჰქონოდა მას თანამორჩმუნებზე. მიუხედავად მოჩვენებითი სიმტკიცისა, რომ კატორღულ ცხოვრებას იტანდა, მასში იმალებოდა ღრმა, უკურნებელი სევდა, რომლის დაფარვასაც ცდილობდა. ყაზარმაში ერთად ვცხოვრობდით. ერთხელ, ღამის სამ საათზე, გამეღვიძა და ჩუმი, ყრუ ტირილი შემომესმა. მოხუცი ღუმელზე იჯდა (რომელზეც ადრე, ღამლამობით, მაიორის მოკვლის მსურველი პატიმარი ლოცულობდა) და თავისი ხელნაწერი წიგნიდან ლოცვებს კითხულობდა. თან ტიროდა. მესმოდა, დროგამოშვებით როგორ ამბობდა: „ღმერთო, ნუ გამწირავ! ღმერთო, შემეწიე! ჩემო პატარებო, საყვარელო შვილებო, ველარასოდეს ვნახავთ ერთმანეთს!“ ძალიან შემეცოდა.

პატიმრები სწორედ ამ მოხუცთან ინახავდნენ ფულს. კატორღაში თითქმის ყველა ქურდობდა, მაგრამ მოხუცის რატომღაც ყველას სჯეროდა. იცოდნენ, მიბარებულ ფულს ისეთ საიდუმლო ადგილას ინახავდა, ვერავინ მიაგნებდა. მოგვიანებით მე და რამდენიმე პოლონელს თავისი სამალავი გაგვიმხილა. ეს იყო ხესთან შეზრდილი როკი . მისი ამოღებისას ხეში დიდი ღრმული ჩნდებოდა. ბაბუა სწორედ იქ მალავდა ფულს და შემდეგ ზედ ისევ როკს ადებდა. ასე, რომ ვერავინ ვერასოდეს მიაგნებდა.

თხრობას გადავუხვიე. იმას ვამბობდი პატიმრებს ჯიბეში ფული რატომ არ უჩერდებოდათ: მისი შენახვის სიძნელის გარდა, ამისი მიზეზი საპყრობილეში გამეფებული სევდა იყო. თავისუფლებას მოწყურებული პატიმარი თავისი სოციალური მდგომარეობით იმდენად ქარაფშუ-

ტა და მოუწესრიგებელია, რომ, ბუნებრივია, „ფრთის გაშლის“ სურვილი გაუჩნდება; მზადაა, ქეიფსა და დროსტარებაში უკანასკნელი ვაკეები დახარჯოს, ოღონდ თავისი დარდი ერთი წუთით მაინც დაივიწყოს. უცნაურია, ზოგი მათგანი თავაუღებლად, ზოგჯერ თვეობით მხოლოდ იმიტომ მუშაობდა, რომ ერთ დღეს მთლიანად გაეფლანგა. მომდევნო რამდენიმე თვე, ახალ დროისტარებამდე ისევ გულმოდგინედ ირჯებოდა. ბევრ მათგანს ახალი, თანაც უთუოდ პარტიკულარული ხასიათის ნივთების მომარაგება უყვარდა: რაღაც უფორმო, ციმბირული შავი შარვლების, ხიფთანების. მასიურად მოიხმარდნენ ჩითის ხალათებსა და სპილენძის ბალთებიან ქაბრებს. სადღესასწაულოდ გამოი პრანჭებოდნენ და საჩვენებლად ყველა ყაზარმას ჩამოუვლიდნენ. კარგად ჩაცმულის თვითკმაყოფილება ბავშვობაში გადასდიოდათ: ისედაც ბევრ რამეში ბავშვებივით იქცეოდნენ. ხშირად პატიმრებს ყველა ვარგი ნივთი უმაღვე უქრებოდათ. ზოგჯერ იმავე საღამოს აგირავებდნენ ან მუქთად ანიავებდნენ. ქეიფი, ჩვეულებისამებრ, სადღესასწაულო დღეებს ან ვინმეს დაბადების დღეს ემთხვეოდა: პატიმარი დილით ადგომისთანავე, ხატს სანთელს უნთებდა და ლოცულობდა; შემდეგ გამოეწყობოდა, სადილს შეუკვეთავდა. ყიდულობდა ძროხის ხორცს, თევზს, ამზადებინებდა ციმბირულ პელმენებს, მერე მიდგებოდა და ხვადავით მიაძღებოდა. თითქმის ყოველთვის მარტო, ამხანაგებს იშვიათად თუ დაუძახებდა. შემდეგ ღვინოც გაჩნდებოდა: მოქეიფე გამოილეშებოდა, ბარბაციითა და ბორძიკით ყაზარმებს შემოივლიდა. ცდილობდა, ყველასთვის გაეგებინებინა მთვრალი ვარ და ვქეიფობო. ამით საყოველთაო პატივისცემის მოპოვება უნდოდა. რუსი მთვრალი ვაცისადმი რაღაც სიმპათიას გრძნობს. საპყრობილეში ვი მოქეიფესადმი მოკრძალებულნიც ხდებოდნენ. საპყრობილურ ღრეობაში თავისებური არისტოკრატიზმიც იყო. შეზარხოშებული პატიმარი აუცილებლად მუსიკოსს ქირაობდა. ციხეში ერთი პოლონელი დემერტირი ჯარისკაცი გვყავდა, მეტად უხამსი ვინმე იყო, მაგრამ ვიოლინოზე უკრავდა და მთელი მისი ავლადიდება საკრავიც მუდამ თან ჰქონდა. არავითარი ხელობა არ იცოდა და იმით გაჰქონდა თავი, რომ მხიარული მუსიკის და-

საკრავად მოქეიფეებისგან ფულს იღებდა; კერძოდ, მთვრალი პატრონის უკან ყაზარმიდან ყაზარმაში დადიოდა და ვიოლინოს მთელი ძალღონით აწრი პინებდა. სახეზე ხშირად მოწყენილობა და დარდი ეხატებოდა. მაგრამ დაყვირება: „დაუკარ, ფული მომიცია!“ აიძულებდა საკრავი ეწრი პინებინა.

ქეიფის დაწყებამდე პატიმარი დარწმუნებული იყო, რომ თუ მეტისმეტად გამოთვრებოდა, უთუოდ მიხედავდნენ, დასაძინებლად დააწვენდნენ და უფროსების გამოჩენისთანავე სადმე მიმალავდნენ. ამას გულწრფელად აკეთებდნენ. თავის მხრივ, საპყრობილეში წესრიგის დამცველ უნტეროფიცერსა და ინვალიდებს შეეძლოთ მშვიდად ყოფილიყვნენ: მთვრალი რაიმე უწესობას ვერ ჩაიდენდა. მას მთელი ყაზარმა პატრონობდა; თუ აურ-დაურევდა, ან ჩხუბს ატეხდა, წამსვე მოათვინიერებდნენ, თუ საჭირო იყო, გაკოჭავდნენ კიდევ. ამიტომაც საპყრობილის დაბალი მოხელენი ლოთებს არ იმჩნევდნენ. მათ კარგად იცოდნენ, თუ ღვინოს აუკრძალავდნენ, უარესი იქნებოდა. მაგრამ, საიდან შოულობდნენ ღვინოს?

ღვინოს საპყრობილეშივე ე.წ. მიკიტნებისგან ყიდულობდნენ. ასეთი რამდენიმე კაცი გახლდათ. განუწყვეტლივ და სარფიანად ვაჭრობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ლოთები და უბრალოდ მოქეიფენი ბევრნი არ იყვნენ, რადგან ქეიფს სჭირდებოდა ფული, რომელსაც პატიმარი ვაჭირვებით შოულობდა. ვაჭრობა იწყებოდა, მიმდინარეობდა და მთავრდებოდა საკმაოდ ორიგინალური წესით. ზოგმა პატიმარმა, ვთქვათ, არ იცის ხელობა და არც მუშაობა სურს (ასეთებიც იყვნენ), მაგრამ ფული უნდა; თანაც მოუთმენელი

კაცია, სწრაფად გამდიდრება სურს. დასაწყისისთვის ცოტაოდენი ფულიც გააჩნია და ღვინით ვაჭრობას იწყებს: გაბედული წამოწყებაა, დიდ რისკს მოითხოვს. შეიძლება ამისთვის ზურგზე მოხვედროდა და საქონელიცა და კაპიტალიც ერთბაშად დაეკარგა. მაგრამ მიკიტანი ბედავს ამას. ფული ჯერ ცოტა აქვს, ამიტომ პირველად თავად შემოაქვს ღვინო საპყრობილეში და, რასაკვირველია, სარფიანად ასაღებს. ამას რამდენჯერმე აკეთებს და, თუ უფროსებს ხელში არ ჩაუვარდა, ფებს

სწრაფად მოიკიდებს. ნამდვილ ვაჭრობას უკვე აქედან იწყებს. ხდება მეწარმე, კაპიტალისტი, ჰყავს აგენტები და თანაშემწეები; თავს საფრთხეში დიდად აღარ იგდებს, სულ უფრო მეტად კი მდიდრდება. მის ნაცვლად თანაშემწეები რისკავენ.

საპყრობილეში ბევრია გაკოტრებული, წაგებული, უკანასკნელ კაპიკამდე ჯიბეგამოცარიელებული, არაფრისმცოდნე, საცოდავი და ჩამოტყავებული, მაგრამ ერთგვარად გამბედავი და თავგზიუნებული პატიმარი. ასეთი ადამიანების ერთადერთი კაპიტალი მხოლოდ ზურგია, რომელიც შეუძლიათ რამედ გამოიყენონ. გაკოტრებულები ამ უკანასკნელ კაპიტალს ბრუნვაში უშვებენ. მეწარმეს ღვინის შემოტანაზე მიექირავებიან. მდიდარ მიკიტანს ამნაირი მუშაკი რამდენიმე ჰყავს. სადღაც, საპყრობილის გარეთ არის ასეთი კაცი რომელიმე ჯარისკაცი, მეშჩანი, ზოგჯერ ვინმე გომბიო, რომელიც მეწარმის ფულითა და გარკვეულ, შედარებით არც თუ უმნიშვნელო, საზღაურად სამიკიტნოში ღვინოს ყიდულობს და რომელიმე მოფარებულ ადგილას მალავს, სადაც პატიმრები სამუშაოდ დადიან. მომწოდებელი, თითქმის ყოველთვის, არაყს ჯერ აჭაშნიკებს და დარჩენილს წყალს უმატებს. პატიმარი წუნია ვერ იქნება, ისიც საქმეა, ფული მთლად რომ არ დაკარგა და არაყი მოუტანეს. მართალია, რაღაცნაირი, მაგრამ მაინც არაყი. სწორედ ამ მომწოდებელთან მიდიოდნენ საპყრობილის ფრთხილი მიკიტნისმიერ წინასწარ მითითებული შემტანები ხარის ნაწლავებითურთ. ამ ნაწლავებს ჯერ გამორეცხავდნენ, შემდეგ წყლით ავსებდნენ, გაჭიმავდნენ და ასე ნოტიოდ ჰქონდათ, რაშიც დროდადრო არაყს ინახავდნენ. არყით სავსე ნაწლავებს კი პატიმარი შეძლებისდაგვარად სხეულის ყველაზე დაფარულ ადგილას იხვევს. რასაკვირველია, აქ თავს იჩენს კონტრაბანდისტის მთელი მოხერხებულობა, ქურდული სიეშმაკე. საქმე, ნაწილობრივ, მის ღირსებასაც ეხება. მან ხომ ბადრაგები და ყარაულები უნდა გააცუროს! ამას ახერხებს კიდეც: კარგი ქურდი ბადრაგს, ზოგჯერ რომელიმე რეკრუტს ყოველთვის მოატყუებს. ბუნებრივია, ბადრაგს წინასწარ აკვირდებიან, ამასთან, გაითვალისწინებენ დროს, ადგილს. მაგალითად, ღუმლის ოსტატი პატიმარი ღუმელზე აძვრება: ვინ

დაინახავს, რას აკეთებს იქ? ბადრაგიც თან ხომ არ აჰყვება. საპრობილესთან მიახლოებისას ის, ყოველ შემთხვევისთვის, ფულს მოიმარჯვებს ვერცხლის თხუთმეტ ან ოცკაპიკიანს, და ჭიშკართან ეფრეიტორს ელოდება. სამუშაოდან დაბრუნებულ თითოეულ პატიმარს ყარაულში მდგარი ეფრეიტორი თავით ფეხებამდე ჩხრეკს და საპრობილის კარს ამის შემდეგ უღებს. ღვინისშემტანი იმედოვნებს, მოერიდებათ ბოგერთი ადგილის ძალზე გულდასმით მოსინჯვად, მაგრამ ბოგჯერ, გაქნილი ეფრეიტორი იმ ადგილებამდეც აღწევს და ღვინოს პოულობს. მაშინ უკანასკნელი საშუალებაა რჩება: კონტრაბანდისტი უხმოდ და ბადრისგან მალულად ეფრეიტორს ხელში დამალულ ფულს აჩრის. ბოგჯერ უმართლებს, ასეთი მანევრის შედეგად საპრობილეში უვნებლად შედის და ღვინოც შეაქვს. ხან არ გასდის, მაშინ იძულებულია თავისი უკანასკნელი კაპიტალით, ე.ი. ზურგით გაასწოროს ანგარიში.

მოახსენებენ მაიორს კაპიტალს მწარედ უწვეპლავენ; ღვინოს ართმევენ, კონტრაბანდისტი ყველაფერს საკუთარ თავზე იღებს, მეწარმეს არ აბეზღებს, თუმცა იმიტომ კი არა, რომ გაცემას ერიდება, არამედ იმიტომ, რომ დასმენა მისთვის არახელსაყრელია მაინც გაწვეპლავენ! მართალია, თუ ორივეს გაწვეპლავენ, კარგი ნუგეში იქნებოდა მისთვის, მაგრამ მეწარმე კიდევ სჭირდება; თანაც, წინასწარი შეთანხმებით, აჭრელებული ზურგის სანაცვლოდ კონტრაბანდისტი მეწარმისგან არაფერს იღებს.

რაც შეეხება დამსმენებს, ისინი საპრობილეში მრავლად არიან. მათ არავინ დასცინის, გულისწყრომით არავინ ეპყრობა და მათთან მეგობრობენ კიდევ. ზოგადად, საპრობილეში დასმენის ინსტიტუტის კრიტიკას არავითარი აზრი არა აქვს, მაინც ვერავის ვერაფერს გააგებინებ.

ის აზნაური პატიმარი, სულმდაბალი და საზიზღარი, რომელთანაც ყოველგვარი ურთიერთობა შევწყვიტე, მაიორის დენშჩიკ ფედკასთან მეგობრობდა და ჯაშუშად ემსახურებოდა. დენშჩიკი კი პატიმრების ამბებს სიტყვასიტყვით მაიორთან არაკრავებდა. ჩვენთან ეს ყველამ იცოდა და არავის უფიქრია ეს არამზადა დაესაჯა ან გაეკიცხა.

მაგრამ ამბავს გადავუხვიე. რასაკვირველია, ღვინო თუ არაყი მშვიდობითაც შეაქვთ: მაშინ მეწარმე მოტანილ ნაწლავებს ჩაიბარებს, ფულს გადაიხდის და დაიანგარიშებს. თუ ნახავს, რომ საქონლის შემოტანა ძვირი დაუჯდა, მაშინ მეტი მოგების მიზნით, კიდევ ერთხელ გადასცლის არაყს, თითქმის ნახევრამდე შეაზავებს წყლით და მყიდველს დაელოდება. პირველსავე დღესასწაულზე, ზოგჯერ კი სამუშაო დღესაც, მყიდველი გამოჩნდება; ეს არის პატიმარი, რომელიც რამდენიმე თვე ვირივით მუშაობდა, კაპიკებს აგროვებდა, რომ წინასწარ განსაზღვრულ ერთ დღეს სმაში გაეფლანგა. ეს დღე საცოდავ მაშვრალს ძილშიც და მუშაობაში გართულსაც სულ ეზმანებოდა და საპყრობილის ერთფეროვან ცხოვრებას მიმზიდველობას ანიჭებდა. ბოლოს, აღმოსავლეთით ნათელი დღის განთიადიც გამოკრთება: ფული დაგროვებულია, არ ჩამოურთმევიათ, არ მოუპარავთ და მიკიტანთან მიაქვს. ისიც ჯერ ღვინოს აწოდებს, შეძლებისდაგვარად სუფთას; სულ ორჯერ შეზავებულს; მაგრამ ნაკლულა ბოთლს მაშინვე წყალს ამატებს. ფინჯანი ღვინისთვის ხუთ-ექვსჯერ მეტს ახდევინებდნენ, ვიდრე სამიკიტნოში. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ასეთი ფინჯანი უნდა დაეღია და რამდენი უნდა გადაეხადა, რომ დამთვრალიყო! მაგრამ სმასა და თავშეკავებას გადაჩვეული პატიმარი საკმაოდ სწრაფად შეზარხოშდება და სანამ ფული სულ არ შემოეხარჯება, დალევას აგრძელებს. შემდეგ კი სასმელს ნივთებზე ცვლის: მიკიტანი ერთდროულად მევახშეც არის. პატიმარს მასთან პირველად ახლადშეძენილი პარტიკულარული ნივთები მიაქვს. შემდეგ ძველმანებს მიაყოლებს, დაბოლოს, სახაზინოსაც მიადგება. ლოთი უკანასკნელ ძონძსაც რომ გაანიავენს, დასაძინებლად წვება და მეორე დილით მიკიტანს ნაბახუსევზე თუნდაც ერთ ყლუპს ამაოდ ევედრება. ნაღვლიანად იტანს გაჭირვებას და იმავე დღესვე მუშაობას იწყებს, კვლავ თვეობით შრომობს, თავაუღებლად; მომავალ ქეიფზე ოცნებობს და თანდათან გამხნევენს იწყებს; ეს ბედნიერი დღე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ოდესმე ხომ მაინც მოვა!

რაც შეეხება მიკიტანს, რამდენიმე ათეულ მანეთს რომ ივაჭრებს, ღვინოს წყლით აღარ აზავებს, რადგან თავისთვის უნდა. კმარა ვაჭრო-

ბა! დროა თვითონაც მოილხინოს! იწყება ქეიფი, ჭამა-სმა, მუსიკა, სახსარი ბლომად აქვს; იმადღიერებს ციხის უახლოეს, დაბალი ჩინის უფროსებს. ზოგჯერ რამდენიმე დღე ქეიფობენ. ღვინოს მალევე ათავებენ; მთვრალი მიკიტანი მიდის სხვა მიკიტნებთან, რომლებიც უკვე ელოდებიან. ის უკანასკნელ კაპიკამდე სვამს. პატიმრები ნაქეიფარს როგორც უნდა უვლიდნენ, უფროსებს მაიორს ან მორიგე ოფიცერს ზოგჯერ თვალში მაინც მოხვდებოდათ. მიჰყავთ კორდეგარდიაში, თუ კაპიტალს აღმოუჩინენ, ართმევენ და როზგავენ. გაბერტყვის შემდეგ ყაზარმაში ბრუნდება და რამდენიმე დღეში კვლავ მიკიტნობას იწყებს.

ზოგი მოქეიფე, რასაკირველია, შეძლებული, ლამაზმანებზეც ოცნებობს და ზოგჯერ მუშაობის ნაცვლად ჩუმად, დიდი ფულის ფასად მოსყიდული ბადრაგის თანხლებით, საპყრობილიდან სადმე ფორშტატში გაძვრება. იქ, ქალაქის განაპირას რომელიმე მყუდრო სახლში ქეიფობს და ბევრ ფულს ფლანგავს. ფულისთვის პატიმარსაც არ თაკილობენ; ბადრაგს კი როგორმე წინასწარ, საქმის ცოდნით, შეარჩევენ. ასეთი ბადრაგები ციხის მომავალი კანდიდატები არიან. თუმცა ფულით ყველაფრის გაკეთება შეიძლება, ამიტომ მსგავსი მოგზაურობები თითქმის ყოველთვის საიდუმლოდ რჩება. უნდა ითქვას, რომ ასეთი მოგზაურობები ძალზე იშვიათია; ამისთვის ბევრი ფულია საჭირო და ლამაზმანების მოყვარულებიც სხვა, გაცილებით ნაკლებ სახიფათო საშუალებებს მიმართავენ. საპყრობილეში ჩემი ცხოვრების პირველი დღეებიდანვე ერთი ახალგაზრდა, ლამაზი პატიმრით დავინტერესდი. სიროტკინს ეძახდნენ. ბევრ რამეში საკმაოდ გამოუცნობი არსება გახლდათ. უპირველეს ყოვლისა, მისმა მშვენიერმა პირისახემ გამაოცა; მაქსიმუმ ოცდასამი წლის იქნებოდა. განსაკუთრებულ განყოფილებაში იყო, ე.ი. უვადოში, მაშასადამე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო დამნაშავედ ითვლებოდა. წყნარი და თვინიერი იყო, ცოტას ლაპარაკობდა; იშვიათად იცინოდა; ცისფერი თვალები ჰქონდა, სწორი ნაკვთები, ნაზი პირისახე, ღია ქერა თმა; ისეთი პირმშვენიერი იყო, ნახევრად გადაპარსული თავიც კი ნაკლებად აუშნოებდა. ხელობა არ იცოდა,

მაგრამ ცოტა ფულს ხშირად შოულობდა. ზარმაცი იყო, ჭუჭყიანი დადიოდა. თუ სხვა ჩააცვამდა კარგად, ზოგჯერ წითელ ხალათსაც, ეტყობა, უხაროდა: ყაზარმებში დადიოდა, თავს იწონებდა. არ სვამდა, ბანქოს არ თამაშობდა, თითქმის არავის ეჩხუბებოდა. ზოგჯერ ყაზარმების უკან სეირნობდა: დადიოდა ჯიბეებში ხელჩაწყობილი, ჩუმი, ჩაფიქრებული. ძნელი წარმოსადგენი იყო, რაზე ფიქრობდა. ხანდახან ცნობისმოყვარეობა წაგძლეოდა და დაუძახებდი, შეეკითხებოდი რამეს, წამსვე გი პასუხებდათ, თანაც რაღაც მოწიწებით, პატიმრებისთვის უჩვეულოდ, მაგრამ ყოველთვის მოკლედ, ძუნწად; ათი წლის ბავშვით კი შემოგხედავდათ. ფული თუ გაუჩნდებოდა აუცილებელს არაფერს იყიდდა, ქურთუკს შესაკეთებლად არ მისცემდა, ახალ წაღებს არ შეიძენდა. სამაგიეროდ, იყიდდა კალაჩს, თაფლაკვერს და შეექცეოდა თითქოს შვიდი წლის ბავშვით.

„ჰეი, სიროტკინ! ეტყოდნენ ზოგჯერ პატიმრები, შე ყაზანელო ობოლო!“

არასამუშაო დროს სხვა ყაზარმებში დაეხეტებოდა. თითქმის ყველა თავისი საქმით იყო გართული; მარტო ის დაყიალობდა. უმეტესად დაცინვით ეტყოდნენ რამეს (სიროტკინსა და მის მეგობრებს ხშირად დასცინოდნენ), ხმის ამოუღებლად შებრუნდებოდა და სხვა ყაზარმაში გასწევდა; თუ გაამასხარავებდნენ, წითლდებოდა. ხშირად მიფიქრია, რამ მოიყვანა ეს თვინიერი, მიამიტი არსება საპყრობილეში-მეთქი. ერთხელ ჰოსპიტლის პატიმართა პალატაში ვიწექი. სიროტკინიც ავად იყო და ჩემს გვერდით იწვა, როგორღაც, საღამოს, ერთმანეთს გამოველაპარაკეთ; მოულოდნელად გამოცოცხლდა და მიაბო, როგორ განაწესეს ჯარისკაცად, გაცილებისას როგორ მისტიროდა დედამისი და როგორ უჭირდა, ვერ ეგუებოდა რეკრუტობას. იქ ყველა მიბრაზდებოდა, მკაცრად მექცეოდა, უფროსები ხომ თითქმის ყოველთვის ჩემით უკმაყოფილონი იყვნენო...

მერედა, რით დამთავრდა? შევეკითხე მე, რისთვის მოხვედი აქ? ისიც განსაკუთრებულ განყოფილებაში... ეჰ, სიროტკინ, სიროტკინ!

მე, ალექსანდრ პეტროვიჩ, მხოლოდ წელიწადი დავყავი ბატალიონში. აქ კი იმიტომ მოვხვდი, რომ ჩემი ასეულის უფროსი გრიგოლ პეტროვიჩი მოვკალი.

მსმენია, სიროტკინ, თუმცა არ მჯერა. აბა, შენ ვისი მომკვლელი ხარ.

ასე მოხდა, ალექსანდრ პეტროვიჩ, ძალიან გამიჭირდა.

სხვა რეკრუტები როგორღა ცხოვრობენ? რასაკვირველია, დასაწყისში ჭირს, შემდეგ ეჩვევიან, შეხედავ, საუკეთესო ჯარისკაცი გამოდის. შენ, ალბათ, დედამ გაგანებივრა. თაფლაკვერებითა და რძით თვრამეტ წლამდე გკვებავდა.

დედას მართლაც ძალიან ვუყვარდი. რეკრუტად რომ წავედი, ლოგინად ჩავარდა, როგორც გავიგე, აღარც ამდგარა... ბოლოს რეკრუტობამ მეტად გამამწარა, უფროსმა ამითვალწუნა, ყველაფერზე მსჯიდა... რისთვის? ყველას ვემორჩილები, წესიერად ვცხოვრობ; ღვინოს არ ვსვამ, არაფერს ვესესხები; ეს კი, ალექსანდრ პეტროვიჩ, ცუდია, კაცი რომ დაესესხება ვინმეს. გარშემო ყველა ისეთი გულქვაა ცრემლსაც ვერავის დაანახებ; ხანდახან წახვალ სადმე მოფარებულ ადგილას და ტირილით გულს იჯერებ. ერთხელაც ყარაულში ვდგავართ. ღამეა. ჰაუპტვახტის ყარაულში დამაყენეს, იარაღის სადგარებთან. შემოდგომაა, ქარი ქრის, ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან. მომწყინდა, გულზე დარდი მომაწვა. თოფი ფეხთან დავიდე, ხიშტი მოვიხსენი, გვერდზე დავდე. მარჯვენა ჩექმა წავიძრე, ლულა მკერდზე მივიშვირე, ზევიდან დავაწეე და ფეხის ცერა თითით გამოვკარი. ვხედავ არ გავარდა. თოფი შევათვალაიერე, საპირწამლე გამოვწმინდე, ახალი დენთი დავაყარე და ისევ მკერდზე მივიბჯინე. მერე და რა? დენტმა იფეთქა, თოფი კი მაინც არ გავარდა. ვფიქრობ, ეს რა ამბავია-მეთქი. ჩექმა ჩავიცვი. ხიშტი გავაკეთე, მდუმარედ მიმოვდივარ. გადავწყვიტე, თუნდაც მოვკვდე, ოღონდ შორს რეკრუტობისგან-მეთქი. ნახევარი საათის შემდეგ ჩამოვლაზე მოდის უფროსი ზედამხედველი. „განა ასე დგანან ყარაულში?“ ჯიქურ შემომბიტია. თოფი მოვიმარჯვე და ხიშტი ლულამდე ვაძგერე.

ოთხი ათასი ჯოხი დამარტყეს. აქ მოვედი, განსაკუთრებულ განყოფილებაში.

ის ტყუილს არ ამბობდა. აბა, რისთვის გამოგზავნიდნენ განსაკუთრებულ განყოფილებაში? ჩვეულებრივი დანაშაულისთვის უფრო მსუბუქედ სჯიან. თუმცა, თავის ამხანაგებში მხოლოდ სიროტკინი იყო ასე მოხდენილი. მის თანატოლებს კი, რომლებიც თხუთმეტამდე იყვნენ, უცნაური შესახედაობა ჰქონდათ.

ორსამს არა უშავდა, დანარჩენები კი მოსულელოები, საზიზღარნი, ნამდვილი ფეთხუმები იყვნენ; ზოგი ჭაღარაც კი (თუ საშუალება მომეცა, ამ ჯგუფზე უფრო დაწვრილებით სხვა დროს მოგიტხრობთ). სიროტკინი გაზინთან მეგობრობდა. სწორედ მასთან, სასადილოში მთვრალი რომ შემოვარდა და საპყრობილურ ცხოვრებაზე პირვანდელი წარმოდგენა ამირ-დამირია.

გაზინი საშინელი ვინმე იყო. საზარელ, აუტანელ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. მასზე უფრო მხეცური და შემზარავი რამ უბრალოდ ვერ წარმომედგინა. ტობოლსკში მინახავს, ცნობილი ყაჩაღი კამენევი; მინახავს სოკოლოვი დაუნდობელი, მკვლელი, ჯარისკაცებს გამოქცეული პატიმარი. მაგრამ ჩემზე გაზინის მსგავს საზიზღარ შთაბეჭდილებას არცერთი მათგანი არ ტოვებდა. ხანდახან მეგონა, ჩემს წინაშე დიდ, ვეება, ადამიანისხელა ობობას ვხედავ-მეთქი. თათარი იყო, საპყრობილეში ყველაზე ღონიერი, საშუალოზე მაღალი, ჰერაკლეს მსგავსი აგებულების, არაპროპორციულად უზარმაზარი, საზიზღარი თავი ჰქონდა; ოდნავ მოხრილი დადიოდა, ქვეშ-ქვეშ იყურებოდა. მასზე ციხეში უცნაური ხმები დადიოდა. იცოდნენ, რომ სამხედრო იყო, მაგრამ პატიმრები ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, ნერჩინსკიდან გამოიქცაო. ეს რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს, არ ვიცი. ციმბირში რამდენჯერმე გადმოუსახლებიათ და გაქცევას ყოველთვის ახერხებდა. გვარებს იცვლიდა. ბოლოს ჩვენს საპყრობილეში, განსაკუთრებულ განყოფილებაში მოხვდა. ამბობდნენ, პატარა ბავშვების მოკვლა სიამოვნებდაო. ბავშვს სადმე მოხერხებულ ადგილას შეიტყუებდა, ჯერ შეაშინებდა, აწვალებდა და პატარა მსხვერპლის ძრწოლა-

კანკალით გულს რომ იჯერებდა, წყნარად, ნება-ნება, სიამოვნებით კლავდა.

იმ მძიმე შთაბეჭდილების გამო, რასაც ის ყველაზე ახდენდა, ამას შეიძლება უგონებდნენ კიდევ. მაგრამ მთელი ეს ჭორი სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო მასზე. სხვათა შორის, ფხიზელი კეთილგონივრულად იქცეოდა. ყოველთვის წყნარად იყო, არავის ეჩხუბებოდა და კინკლაობას გაურბოდა. მაგრამ თითქოს სხვების მიმართ ზიზღის გამო, თავს ყველაზე მალლა აყენებდა. ცოტას და ერთგვარი წინასწარგანზრახვით ლაპარაკობდა. მიუკარებელი ჩანდა. ყოველი მისი მოძრაობა ნელი, მშვიდი, თვითდაჯერებული იყო. თვალეზზე ეტყობოდა, საკმაოდ ჭკვიანი და ეშმაკი იყო, მაგრამ მის გამომეტყველებასა და ღიმილში რაღაც მედიდურ-დამცინავი და სასტიკი ყოველთვის იმალებოდა. ღვინით ვაჭრობდა. საპყრობილეში ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ მიკიტნად ითვლებოდა. მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე თავადაც თვრებოდა და მისი ბუნების მთელი სიმხეცეც მაშინ ვლინდებოდა. შეზარხოშებული პატიმრებს თითქოს წინასწარგანზრახულად, ბოროტულად დასაცინოდა. ბოლოს, მთვრალი საშინლად გააფრთხილებოდა, დანას სტაცებდა ხელს და ადამიანებზე იწევდა. პატიმრებმა იცოდნენ მისი ღონის ამბავი; გაიფანტებოდნენ და მიიმალეობდნენ; გაზინი ყოველ შემხვედრზე იწევდა. მაგრამ მისი ჭკუაზე მოყვანის საშუალებას მალე მიაგნეს. ათამდე კაცი უცებ ერთად ეძგერებოდა და სცემდნენ. ამ ცემაზე უფრო სასტიკი რამის წარმოდგენა შეუძლებელია: დიდხანს ურტყამდნენ მკერდში, გულთან, მუცელში. მხოლოდ მაშინ მოეშვებოდნენ, როცა გრძნობას დაკარგავდა და მკვდარივით მიესვენებოდა. სხვა ვინმეს ასე ცემას ვერ გაუბედავდნენ: შემოაკვდებოდათ, თუმცა გაზინს ეს არ ემუქრებოდა. ცემის შემდეგ სრულიად გრძნობადაკარგულს ჯუბაში ახვევდნენ და ნარზე აწვენდნენ... გამოშუშდებაო, იტყოდნენ.

მართლაც, მეორე დილას თითქმის ჯანსაღი წამოდგებოდა: სამუშაოზე ჩუმად, მოღუშული გადიოდა. ყოველთვის, როცა გაზინი გაილესებოდა, საპყრობილეში იცოდნენ, რომ მისთვის ეს დღე აუცილებლად ცემა-ტყეპით დამთავრდებოდა. თავადაც იცოდა ეს და მაინც თვრებო-

და. ასე იყო რამდენიმე წელიწადი. ბოლოს შეამჩნიეს, რომ ის მოტყდა, სხვადასხვა სატკივარს უჩიოდა, შესამჩნევად დაძაბუნდა; საავადმყოფოში სულ უფრო ხშირად დადიოდა... „ხომ მოტყდა!“ თავისთვის ამბობდნენ პატიმრები.

სასადილოში შემოვიდა იმ საძაგელი ვიოლინოიანი პოლონელის თანხლებით, რომელსაც მოქეიფენი ქირაობდნენ. სასადილოს ცენტრში გაჩერდა, მდუმარედ და დაკვირვებით ათვალეირებდა დამსწრეებს. ყველა გაყუჩდა. ბოლოს, როცა მე და ჩემი ამხანაგი დაგვინახა, ბრაზიანად და დამცინავად შემოგვხედა, კმაყოფილებით ჩაიცინა, თითქოს რაღაც მოიფიქრაო, და ბარბაცით ჩვენს მაგიდას მოუახლოვდა.

ნება მომეცით, შეგეკითხოთ, დაიწყო მან (რუსულად ლაპარაკობდა), რომელი შემოსავლითაა აქ ჩაის სმა რომ გაგიმართავთ?

ჩემს ამხანაგს უხმოდ გადავხედე. ვხვდებოდი, ჩუმად ყოფნა სჯობდა: შეკამათებისთანავე გახელდებოდა.

გამოდის, ფული გქონიათ, განაგრძობდა დაკითხვას. გამოდის, ფული ბლომად გქონიათ, ჰა? განა კატორღაში იმისთვის მოხვედით, რომ ჩაი სვათ? ჩაის დასალევად მოხვედით? ხმა ამოიღეთ, თქვე...

როცა მიხვდა, რომ გაჩუმება გადაწვევით და ყურადღებას არ ვაქცევდით, სიბრაზისგან წამოჭარხლდა და აცახცახდა. მის გვერდით, კუთხეში, იდგა დიდი ხონჩა, რომელშიც პატიმრები სადილის ან ვახშმისთვის გამზადებულ დაჭრილ პურს აწყობდნენ. იგი დიდი იყო, ნახევარ საპყრობილესთვის სამყოფ პურს იტევდა. ახლა კი ცარიელი იდგა. ორივე ხელი დასტაცა და მოგვიღერა. ცოტაც და თავებს გაგვიხეთქავდა. მკვლელობა ან მკვლელობის განზრახვა პატიმრებს უსიამოვნებას უქადდა: დაიწყებდნენ ძიებას, ჩხრეკას, სიმკაცრეს გააძლიერებდნენ, ამიტომ პატიმრები ცდილობდნენ ამ უკიდურესობამდე არ მისულიყვნენ ახლა კი ყველა გაინახა და შედეგს ელოდა. არავინ დაგვიცვა; გაზინი არავინ შეაჩერა, იმ ზომამდე ვძულდით. ეტყობოდათ, ჩვენი სახიფათო მდგომარეობა სიამოვნებდათ... მაგრამ ხიფათი ალაღბებდგე აგ-

ვცდა. ის-ის იყო ხონჩა უნდა დაერთყა, დერეფნიდან ვილაცამ დაუყვირა: გაზინ, ღვინო მოი პარეს!

ხონჩა იატაკზე დაახეთქადა გიჟივით გავარდა.

განგებამ უშველათ! ერთმანეთს ეუბნებოდნენ პატიმრები. შემდეგაც დიდხანს იმეორებდნენ ამას.

ველარ გავიგე, მართლა მოი პარეს ღვინო, თუ ჩვენს გადასარჩენად მოიტყუეს. სალამოს, ყაზარმების ჩაკეტვის წინ, სიბნელეში მესერთან დავებორიალობდი, გულზე შავი ნალველი მომწოლოდა. შემდგომში, მთელი ჩემი კატორღული ცხოვრების პერიოდში, ასეთი მძიმე სევდა არასოდეს მიგრძენია. პატიმრობის პირველი დღის გადატანა ძნელია, სადაც უნდა იყოს: ციხეში, საკანსა თუ კატორღაში... მაგრამ მახსოვს, ყველაზე უფრო ერთი აზრი მიტრიალებდა, რომელიც შემდეგში, საპყრობილეში ცხოვრების განმავლობაში, აკვიატებულივით მუდამ თან მდევდა და ჩემთვის ახლაც გაუგებარია: ერთსა და იმავე დანაშაულზე უთანასწორო სასჯელი. მართალია, დანაშაულის ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია, მაგალითად, ერთმაც და მეორემაც ადამიანი მოკლა: ორივემ საქმის ყველა გარემოება აწონ-დაწონა, ერთსაც და მეორესაც თითქმის ერთნაირი სასჯელი გამოუტანეს. მაგრამ ნახეთ ორივე დანაშაულში როგორი სხვაობაა. მაგალითად, ერთმა კაცი მოკლა ისე, არაფრისთვის, ერთი თავი ხახვისთვის გზაზე გამოვიდა, მოკლა გზადმიმავალი გლეხი, რომელსაც მხოლოდ ერთი თავი ხახვი ჰქონდა. „რა გაეწყობა, მამილო! საშოვარზე გამგზავნე: აი, გლეხი მოვკალი და მას მხოლოდ ერთი თავი ხახვი აღმოაჩნდა“.

„სულელო! ერთი თავი ხახვი კაპიკია! ასი სული ასი თავი ხახვია. ეს კი ერთი მანეთია! (საპყრობილის ლეგენდა). მეორემ კი ავხორცი ტირანი მოკლა, რათა საცოლის, დის, ქალიშვილის ღირსება დაეცვა.“

ერთმა მოკლა მაწანწალობით, მაძებრების მთელი ათასეულით გარშემორტყმულმა, თავისი თავისუფლებისა და სიცოცხლის დაცვისას, ხშირად შიმშილისგან სიკვდილის პირას მისულმა; მეორე სიამოვნების გამო პატარა ბავშვებს კლავს. კმაყოფილია, როცა ხელებზე მათ

თბილ სისხლს გრძნობს; მათი შიშის, უკანასკნელი ფართხალის ყურე-ბით ტკბება.

და მერე რა ხდება?! ერთიც და მეორეც კატორღაში ერთად არიან. მართალია, ვადებში განსხვავებაა, მაგრამ ძალიან მცირე. დანაშაულებებს შორის განსხვავება კი საკმაოდ დიდია. რამდენი ხასიათიცაა, იმდენივე ვარიაციაა. ამ სხვაობის შერიგება, შერბილება შეუძლებელია. ეს ასეთი თავისებური გადაუჭრელი ამოცანაა ასე ვთქვათ, წრის კვადრატურაა! მაგრამ ეს უთანასწორობა სულაც რომ არ არსებობდეს, შეხედეთ მეორე რამეს, სასჯელის შედეგების სხვაობას... აი, ერთი ადამიანი, რომელიც კატორღაში სანთელივით იღვება, დნება; აგერ მეორე, რომელმაც აქ მოსვლამდე არც კი იცოდა ამქვეყნად ამგვარი მხიარული ცხოვრება თუ არსებობდა ერთად თავმოყრილი ამდენი ადამიანი! დიახ, საპყრობილეში ასეთებიც მოდიან.

მაგალითად, განათლებულ, პატიოსან, შეგნებულ და მგრძნობიარე კაცს სასჯელად საკუთარი გულისტკივილიც ეყოფა. მას ყველა სასჯელზე მეტად ეს სატანჯველი ღრღნის, საკუთარ თავს ჩადენილი დანაშაულისთვის უფრო შეუბრალებლად და მკაცრად გაკიცხავს, ვიდრე ყველაზე უწყინარი კანონი.

აი, მის გვერდით მეორე დამნაშავე კი მთელი კატორღის განმაფლობაში ერთხელაც არ დაფიქრდება ჩადენილ მკვლელობაზე. საკუთარ თავს დამნაშავედაც კი არ თვლის. ისეთებიც არიან, კატორღაში მოხვედრის მიზნით დანაშაულს განზრახ რომ სჩადიან. ამით ისინი თავისუფლების უფრო მძიმე კატორღიდან გაქცევას ცდილობენ. საპყრობილეში ასეთებს ამცირებდნენ, არასოდეს იკვებებოდნენ კარგად და დილიდან საღამომდე თავისი მეწარმისთვის მუშაობდნენ. კატორღაში უფრო იოლ სამუშაოს ავალებენ, ვიდრე შინ; პური თავსაყრელადაა და თანაც ისეთი, როგორიც არც კი დასიზმრებია; დღესასწაულებზე ძროხის ხორცს მიირთმევს, მოსაკითხი მოსდის; ორიოდ გროშის შოვნის შესაძლებლობაც აქვს. ახლა საზოგადოება? თაღლითი, მოხერხებული, ყოვლისმცოდნე ხალხი; და ის მოწიწებული, განცვიფრებული შეჭ-

ყურებს თავის ამხანაგებს. ასეთები ჯერ არასოდეს უნახავს. ისინი ამ-
ქვეყნად ყველაზე მაღალ საზოგადოებად მიაჩნია.

განა სასჯელი ამ ორივესთვის ერთნაირად საგრძნობია? თუმცა, რა
საჭიროა გადაუჭრელ ამოცანებზე თავის მტვრევა! დაფდაფის ხმაა...
აბა, ყაზარმებისკენ.

1.4. პირველი შთაბეჭდილებები

ბოლო შემოწმება დაიწყო. ამის შემდეგ თითოეულ ყაზარმას თავისი საგანგებო საკეტით კეტავდნენ. პატიმრები გათენებამდე ასე ჩაკეტილები იყვნენ.

დილა-საღამოს ეზოში ჩამწკრივებულ პატიმრებს უნტეროფიცერი ორი ჯარისკაცის თანხლებით ამოწმებდა. ხშირად ეს ცერემონია შინაურული წესით ტარდებოდა: ყაზარმებშივე ამოწმებდნენ. ახლაც ასე იყო. შემოწმებლებს ხშირად თვლა ერეოდათ, მიდიოდნენ და ისევ ბრუნდებოდნენ. ბოლოს, საბრალო ყარაულებმა, როგორც იქნა, სასურველი რიცხვი მიიღეს და ყაზარმა ჩაკეტეს. ყაზარმაში ოცდაათამდე პატიმარი ეტეოდა. ისინი ნარებზე საკმაოდ მჭიდროდ შექუჩულიყვნენ. ძილისთვის ჯერ ადრე იყო. ცხადია, ყველა რაღაცით უნდა დაკავებულიყო.

უფროსთაგან ყაზარმებში ერთი ინვალიდილა (ადრეც ვახსენე) რჩებოდა. თითოეულ ყაზარმას ჰყავდა ასევე ზემდეგი პატიმარი, რომელსაც მაიორი კარგი ყოფაქცევითვის ნიშნავდა. ბევრჯერ ზემდეგებიც გაბმულან სხვადასხვა ოინბაზობაში; მაშინ გაროზგავდნენ, ჩამოაქვეითებდნენ და სხვებით შეცვლიდნენ. ჩვენს ყაზარმაში ასეთ უფროსად მოგვევლინა აკიმ აკიმიჩი, რომელიც, ჩემდა გასაკვირად, პატიმრებს ხშირად უყვიროდა. ისინი კი დასცინოდნენ. ინვალიდი მათზე ჭკვიანი იყო და არაფერში ერეოდა; როცა საჭირო იყო, მაშინ თუ ამოიღებდა ხმას, ისიც მხოლოდ ზრდილობისთვის, სინდისის გასაწმენდად. ჩუმად იჯდა თავის საწოლზე და ჩექმებს აკერებდა. პატიმრები თითქმის ყურადღებას არ აქცევდნენ.

ჩემი კატორღული ცხოვრების პირველ დღეს ერთ რამეს დავაკვირდი და მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ სწორად მიხვდი, კერძოდ: პატიმრების გარდა ყველა დაწყებული ბადრაგით, ყარაულის ჯარისკაცებითა და დამთავრებული ყველა იმ მოხელით, ვისაც კატორღულ ყოფასთან შეხება აქვს პატიმარს რაღაც გაზვიადებულად უყურებს, თითქოს შემფოთებული ყოველ წუთს ელის: აი, ახლა დანით მეცემა რომე-

ლიმე მათგანით. ყველაზე შესანიშნავი კი ისაა, რომ პატიმრები ამას ხვდებოდნენ: ჩვენი ეშინიათო და ამით, ეტყობა, გარკვეულწილად, თამამდებოდნენ.

პატიმრებისთვის ყველაზე კარგი უფროსი ისაა, ვისაც მათი არ ეშინია. საერთოდაც, მიუხედავად თავგზეულადებულობისა, პატიმრებს ის უფრო მოსწონთ, როცა ენდობიან. ამით პატიმრის გულის მოგებაც კი შეიძლება. მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც მომხდარა, ვინმე უფროსი საპყრობილეში უბადრაგოდ შემოსულა. უნდა გენახათ, როგორ უკვირდათ პატიმრებს უკვირდათ კარგი გაგებით. ასეთი უშიშარი სტუმრისგან პატიმრები ყოველთვის პატივისცემას გრძნობდნენ. რაიმე ცუდიც რომ ჰქონოდათ განზრახული, მისი თანდასწრებით არაფერი მოხდებოდა.

პატიმრების ყველგან ეშინიათ, თუმცა რატომ, სიმართლე გითხრათ, არ მესმის. ამას ერთგვარი საფუძველი, რასაკვირველია, აქვს, თუნდაც პატიმრის, აღიარებული ყაჩაღის გარეგნობით რომ დავიწყოთ. გარდა ამისა, კატორღის ყველა მნახველი ხვდება, რომ მთელი ეს ჯგრო ხალხი აქ თავისი სურვილით როდი შეკრებილა; რომ ყოველგვარი ზომების მიუხედავად, ცოცხალ ადამიანს ფიტულად ვერ გადააქცევ: შერჩება გრძნობები, ცხოვრებისა და შურისძიების წყურვილი, ვნებები და მათი დაკმაყოფილების მოთხოვნილება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღრმად დარწმუნებული ვარ, პატიმრებისადმი შიში ამაოა. ადამიანი დანით არც ისე იოლად და ტყუილუბრალოდ ეცემა ვინმეს. ხოლო თუ საფრთხე მაინც არსებობს და ზოგჯერ რეალურიც, მაშინ ამგვარი უბედური შემთხვევების იშვიათობის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი უმნიშვნელოა. რა თქმა უნდა, ახლა მე ვლაპარაკობ მსჯავრდადებულ პატიმრებზე, რომელთაგან ბევრს კიდევ უხარია, ბოლოს და ბოლოს, საპყრობილემდე მივალწიეთო (ზოგჯერ ასე კარგია ახალი ყოფა!), მაშასადამე, წყნარი და მშვიდობიანი ცხოვრებისთვის არიან განწყობილნი: ესეც არ იყოს, ჭეშმარიტ ბოროტმოქმედებს ზედმეტად თავგასულობის უფლებას თვითონვე არ მისცემენ. ყველა კატორღელს, რაც უნდა გულადი და თავხედი იყოს, კატორღაში ყველაფრის ეშინია. ბრალდე-

ბული პატიმარი კი სხვა ამბავია. მას მართლაც შეუძლია ეცეს სრულიად უცხო კაცს ისე, არაფრისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ, მაგალითად, ხვალ დასასჯელად გასვლა უწევს, და თუ ახალ დანაშაულს ჩაიდენს, მაშინ დასჯაც გადაიწევს. აქ მთავარი მიზანი თავდასხმაა რაც შეიძლება სწრაფად უნდა „შეცვალოს თავისი ხვედრი“, რადაც უნდა დაუჯდეს ის. ერთი ამდაგვარი უცნაური ფსიქოლოგიური შემთხვევაც გვქონდა.

ჩვენთან საპყრობილეში, სამხედროთა ჯგუფში ერთი, ქონებაზე უფლებამწარჩუნებული პატიმარი იყო, რომელიც ადრე ჯარისკაცად მსახურობდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ორი წლით საპყრობილეში გამოგზავნეს. ის უზომოდ ბაქია და მშიშარა იყო. ბაქიაობა და სილახრე რუს ჯარისკაცში საერთოდ იშვიათია. ჩვენი ჯარისკაცი საქმით ყოველთვის დაკავებულია, რომც უნდოდეს, ბაქიაობისთვის ვერ მოიცილის. ხოლო თუკი ბაქიაა, თითქმის ყოველთვის უსაქმური და ლაჩარია. დუტოვმა (ამ პატიმრის გვარი) ხანმოკლე ვადა მოიხადა და სასაზღვრო ბატალიონში გავიდა; მაგრამ ყველა, ვისაც საპყრობილეში გამოსასწორებლად აგზავნიან, აქ უფრო ნებივრდება. ამიტომ ხშირად ისე ხდება, რომ გათავისუფლებიდან ორ-სამ კვირაში ხელახლა ასამართლებენ და კვლავ საპყრობილეში მიჰყავთ. მაგრამ უკვე არა ორი-სამი წლით, არამედ „მუდმივთა“ ჯგუფში, თხუთმეტი ან ოცი წლით. ასეც მოხდა. საპყრობილედან ორი-სამი კვირის გასულმა დუტოვმა იქურდა და იჩხუბა. კვლავ გაასამართლეს და მკაცრად დასაჯეს. მწყობრშუა გატარების წინა დღეს, მოსალოდნელი დასჯით დამფრთხალი ყველაზე სულმდაბალი ლაჩარავით, პატიმართა ოთახში შემოსულ ყარაულის ოფიცერს დანით ეცა. რასაკვირველია, კარგად ესმოდა, რომ ასეთი საქციელით განაჩენს მეტისმეტად დაიმძიმებდა და კატორღული მუშაობის ვადას გაიხანგრძლივებდა. მაგრამ ამ შემთხვევაში მისთვის მთავარი იყო, რამდენიმე დღით ან თუნდაც რამდენიმე საათით, დასჯის საშინელი წუთი გადაეწია. შეშინებულმა თავდასხმისას ოფიცერი ვერც კი დაჭრა. ყველაფერი ფორმალურად გააკეთა ახალი დანაშაულის ჩადენისთვის, რომ ხელახლა გაესამართლებინათ.

ბრალდებულისთვის დასჯის წინა წუთი, რა თქმა უნდა, საშინელებაა. პატიმრობის წლებში ბევრი ასეთი ვნახე. ბრალდებულ პატიმრებს უფრო ჰოსპიტალში ვხვდებოდი, პატიმართა პალატებში, როცა მეც ავად ვიყავი. რუსეთში ყველა პატიმარმა იცის, რომ ყველაზე მეტად მათ ექიმები თანაუგრძნობენ.

ისინი პატიმრებს არასოდეს განასხვავებენ, როგორც ამას უნებლიეთ, უბრალო ხალხის გარდა, თითქმის ყველა აკეთებს. ესენი პატიმარს დანაშაულისთვის, რაც უნდა საშინელი იყოს ის, არასოდეს კიცხავენ, პირიქით, შეუწოდებენ კიდევ. დიახ, მთელ რუსეთში დანაშაულს უბედურებას ტყუილად როდი ეძახიან, ხოლო დამნაშავეებს უბედურებს! ეს უაღრესად მრავალმნიშვნელოვანი განსაზღვრებაა, მით უმეტეს მაშინ, თუკი ინსტინქტურად, შეუგნებლადაა ჩადენილი.

ექიმები ბევრ რამეში პატიმართა მფარველები არიან, განსაკუთრებით ბრალდებულების, რომელთა მდგომარეობაც მსჯავრდადებულებზე უფრო მძიმეა... და, როცა ბრალდებული მისთვის საშინელი დღის სავარაუდო ვადას გამოითვლის, ამ მძიმე წუთის თუნდაც ცოტათი გადასაწევად ციხის საავადმყოფოში მიდის; ხოლო როცა იქიდან გამოწერენ და იცის, საბედისწერო დღე ხვალ დამიდგებაო, ძალზე აღელვებულია. თავმოყვარეობის გამო ზოგი თავისი გრძნობების მიჩქმალვას ცდილობს, მაგრამ ამხანაგები მოჩვენებითი, ნაძალადევი სითამამით არ ტყუვდებიან.

თუმცა თანაუგრძნობენ და არაფერს ამბობენ. ერთ ახალგაზრდა ჯარისკაც პატიმარს ვიცნობდი, მკვლელს, რომელსაც გაროზგვის მაქსიმალური რაოდენობა მიუსაჯეს. იმდენად დაფრთხა, ბურნუთმეზავებული ღვინის დალევა გადაწყვიტა. სხვათა შორის, ბრალდებული დასჯის წინ ღვინოს ყოველთვის იმარაგებს. ვადამდე დიდი ხნით ადრე შემოაქვს, ცეცხლის ფასად შოულობს. ბრალდებული ყველაფერზე უარს იტყვის, მაგრამ მეოთხედი შტოფი ღვინის ფულს მაინც მოაგროვებს დასჯამდე თხუთმეტი წუთით ადრე დავლევო. პატიმრებს სწამთ, ნასვამს გაროზგვისას ნაკლებად სტკივაო.

მაგრამ თემას გადაუხვიე. საწყალი ახალგაზრდა ბურნუთიანი ღვინოს დაღვეისთანავე ავად გახდა, სისხლნარევი ღებინება დაეწყო და საავადმყოფოში თითქმის უგონოდ წაიყვანეს. ღებინებამ გულ-მკერდი ძალიან დაუზიანა და რამდენიმე დღეში ჭლექის ნიშნები აღმოაჩნდა. ნახევარი წლის შემდეგ კი გარდაიცვალა. მისმა მკურნალმა ექიმებმა ვერ გაიგეს, როგორ შეეყარა სენი. ზოგი დამნაშავე თუ დასჯის წინ სულმოკლეობას იჩენს, ზოგი პირიქით, მეთვალყურეს გულადობით აკვირვებს. რაღაც უგრძობლობამდე მისული გულადობის რამდენიმე მაგალითი მახსოვს.

ამგვარი ფაქტები ხშირად ხდებოდა. განსაკუთრებით ერთ საზარელ დამნაშავესთან შეხვედრა დამამახსოვრდა. ზაფხულში, ერთ დღეს პატიმართა პალატებში ხმა გავარდა, ამ საღამოს ორლოვს სჯიან (ცნობილი ყაჩაღი იყო, გაქცეულ ჯარისკაცთაგან) და შემდეგ პალატებში მოიყვანნო. ავადმყოფი პატიმრები ორლოვის მოლოდინში ამტკიცებდნენ, რომ მას მკაცრად დასჯიანო. ყველა აჩოჩქოლდა. ვალიარებ, ცნობილი ყაჩაღის გამოჩენას მეც მოუთმენლად ველოდი, რადგან მასზე სასწაულები დიდხანს მესმოდა.

ეს გახლდათ ავაზაკი, რომელიც აუღელვებლად კლავდა მოხუცებსა და ბავშვებს, უაღრესად მტკიცე ნებისყოფისა და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული იყო. ბევრი მკვლელობა ჩაიდინა და მწკრივში ჯოხებქვეშ გავლა მიუსაჯეს. საღამოს მოიყვანეს. პალატაში ის-ის იყო ჩამობნელდა და სანთლები აანთეს. ორლოვი თითქმის უგრძობლად იყო, საშინლად გაფითრებული, ხშირი, კუპრივით შავი თმა ასწეწოდა, ზურგი შესიებოდა, სისხლისფერ-მოლურჯო გახდომოდა. პატიმრები მთელი ღამე თავს დასტრიალებდნენ, წყალს უცვლიდნენ, გვერდს უნაცვლებდნენ, წამალს აძლევდნენ, თითქოს სისხლით ნათესავს, რომელიმე თავის კეთილისმყოფელს უვლიანო. მეორე დღეს გონს მოვიდა და პალატაში ერთი ორჯერ გაიარ-გამოიარა. გავოცდი: საავადმყოფოში მეტად დასუსტებული და განაწამები მოვიდა. განკუთვნილი ჯოხების ნახევარი ერთბაშად დაჰკრეს. ექიმმა დასჯა მხოლოდ მაშინ შეაჩერა, როცა სუსტი აგებულებისა და ხანგრძლივი პატიმრო-

ბისგან გამოფიტული დამნაშავე სიკვდილის პირას იყო. ვინც ოდესმე შეხვედრია ბრალდებულ პატიმრებს, მათი ღონემიხდილი, გამხდარი, მკრთალი სახეები და აღგზნებული გამოხედვა დიდხანს დაამახსოვრდებოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ორლოვი სწრაფად მომჯობინდა; ალბათ, შინაგანი, სულიერი ენერგია დაეხმარა. ეს მთლად ჩვეულებრივი კაცი არ იყო. მას მთელი კვირა ვაკვირდებოდი. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, მასზე უფრო ძლიერი, რკინისებური ხასიათის ადამიანს ცხოვრებაში არასოდეს შევხვედრივარ. არადა, ტობოლსკში ასეთი ცნობილი კაცი, ყაჩაღების ყოფილი ატამანი ვნახე. ის ნამდვილ მხეცს ჰგავდა. მის სიახლოვეს ინსტინქტურად იგრძნობდით, რომ ის საზარელი არსება იყო. მან თავისი სულიერი სიჩლუნგითაც შემადრწუნა. მის სულიერ თვისებებზე ხორცი ისე გაბატონებულიყო, ერთი შეხედვითვე ეტყობოდა, რომ ის მხოლოდ ფიზიკური სიამოვნებისადმი, ტკბობისადმი, ავხორცობისადმი იყო მიდრეკილი. დარწმუნებული ვარ, კორნეევი (ამ ყაჩაღის გვარია) დასჯის წინ სულიერად დაეცემოდა და შიშისგან აცახცახდებოდა, თუმცა შეეძლო მკვლელობა წარბშეუხრელად ჩაედინა.

სრულიად საპირისპირო იყო ორლოვი. მისთვის სულიერება უფრო მნიშვნელოვანი იყო. როგორც ჩანს, ეს კაცი შეუზღუდავად მბრძანებლობდა საკუთარ თავზე; მას ყოველგვარი ტანჯვა და სასჯელი სძაგდა და ამქვეყნად არაფრის ეშინოდა. მასში იყო მხოლოდ დაუსრულებელი ენერგია: მოქმედების, შურისძიების წყურვილი დასახული მიზნის მიღწევის სურვილი. მაოცებდა მისი უცნაური ქედმაღლობა, ყველაფერს როგორღაც წარმოუდგენელი მედიდურობით უყურებდა, მაგრამ ოჩოფეხებზე შედგომას არ ცდილობდა, ვფიქრობ, ეს რაღაც ბუნებრივად გამოსდიოდა. ყველაფერს როგორღაც ურყევი სიმშვიდით უყურებდა, თითქოს, ამქვეყნად არაფერი აკვირვებსო. მშვენივრად ესმოდა, სხვა პატიმრები პატივისცემით შესცქეროდნენ, მაგრამ მათ წინაშე სულაც არ ი პრანჭებოდა, მაშინ, როცა ყოყლოჩინობა და პატივმოყვარეობა თითქმის ყველა პატიმარს ახასიათებს. ის ჭკვიანი და უცნაურობამდე

გულდია იყო, თუმცა, არავითარ შემთხვევაში ყბედი არ ეთქმოდა. შეკითხვებზე პირდაპირ მპასუხობდა, გამოჯანმრთელებას ველი, რათა რაც შეიძლება მალე გავიარო დარჩენილი სასჯელი; თავდაპირველად, დასჯის წინ, მეშინოდა, ვაითუ ვერ გადამეტანაო.

„ახლა კი, დაუმატა და თვალი ჩამიკრა, საქმე მოთავებულა. მოვიბდი დანარჩენსაც და მაშინვე ნერჩინსკში ჯგუფს გამაყოლებენ, მე კი გზიდან მოვცოცხავ. აუცილებლად მოვცოცხავ! ზურგი მალე მაინც შემისორცდებოდეს!“ გაწერას ხუთი დღე მოუთმენლად ელოდა. ხანდახან მეტად სასაცილო და მხიარული მეჩვენებოდა. ვცადე მის თავგადასავალზე გამოვლაპარაკებოდი. გამოკითხვისას ცოტა არ იყოს შეიჭმუნებოდა ხოლმე, მაგრამ ყოველთვის გულლიად მპასუხობდა. როცა გააცნობიერა, რომ მინდოდა მის სინდისს ჩაწევდომოდი და თუნდაც სინანულის მაგვარი რამ მეპოვნა, ზიზღით და ქედმაღლურად შემომხედდა; თითქოს უცებ მის თვალში პატარა, სულელ ბიჭუნად გადავიქეცი, ვისთანაც დიდვიით საუბარი არ შეიძლებოდა. თითქოს შევებრალე კიდევ. ცოტა ხანში ყოველგვარი ირონიის გარეშე დამცინოდა, და, დარწმუნებული ვარ, მართოდ დარჩენილს, ჩემი სიტყვების გახსენებისას, ალბათ, გულში კიდევ რამდენჯერმე გაეცინა. ზურგი მთლად არც კი მოშუშებოდა, როცა გაეწერა. მეც მაშინ გამწერეს და ჰოსპიტლიდან ერთად დავბრუნდით: მე საპყრობილეში, ის კი ჩვენი საპყრობილის გვერდით მდებარე კორდეგარდიაში, სადაც ადრეც არაერთხელ იყო. დამშვიდობებისას ხელი ჩამომართვა, მისი მხრიდან ეს დიდი ნდობის ნიშანი გახლდათ. ვფიქრობ, ასე იმიტომ მოიქცა, რომ საკუთარი თავითა და ამ წუთით ძალიან კმაყოფილი იყო. არსებითად, მას არ შეეძლო არ ვძულებოდი და მორჩილ, სუსტ, საცოდავ და მასთან შედარებით ყოველმხრივ დაბლა მდგომ არსებად არ მივეჩნიე. მეორე დღესვე ხელახლა დასასჯელად გაიყვანეს... ჩაკეტვის შემდეგ ყაზარმამ უცებ რაღაცნაირი, განსაკუთრებული სახე მიიღო ნამდვილი საცხოვრებლის, ოჯახური კერის იერი. პატიმრების ჩემი ამხანაგების შინაურულად ნახვა მხოლოდ ახლა შეემძლო. დღისით უნტეროფიცერს, ყარაულებსა და სხვა უფროსებს ყოველ წუთს შეუძლიათ საპყრობილეში მოვიდნენ,

ამიტომაც საპყრობილის ყველა ბინადარს როგორღაც უფრო სხვანაირად უჭირავს თავი, მოუსვენრადაა, თითქოს ყოველ წუთს რაღაცის მოლოდინშია, რაღაცას უფრთხისო.

როგორც კი ყაზარმა ჩაკეტეს, ყველა წამსვე მშვიდად განლაგდა, თითოეული თავის ადგილას, თითქმის ყველა ხელსაქმით დაკავდა. ყაზარმა უცებ განათდა. თითოეულს საკუთარი სანთელი და ხის შანდალი ეჭირა. ვინ ჩექმის დაკერება დაიწყო, ვინ ტანსაცმლის; ყაზარმაში ჰაერი უფრო და უფრო მძიმდებოდა. მოქეიფეთა ჯგუფი კუთხეში, გაშლილი ხალიჩის წინ ბანქოს ჩაუჯდა. თითქმის ყოველ ყაზარმაში იყო ისეთი პატიმარი, რომელსაც ერთარშინი გაქუცული ხალიჩა, სანთელი და წარმოუდგენლად გაქონილი ბანქო ჰქონდა. ყველაფერ ამას მაიდანნი ეწოდებოდა. კარტის საქმოსანი მფლობელი მოთამაშეებს ღამეში თხუთმეტიოდე კაპიკს ახდევინებდა. თამაშობდნენ „სამფას“, „სერობიას“ და სხვ. ყველა თამაში აზარტული იყო. თითოეული მოთამაშე შავ ფულს წინ დაიხორავებდა და ვიდრე ერთიანად არ წააგებდა ან თავის ამხანაგებს არ გაფცქვნიდა, არ დგებოდა. ზოგჯერ შუაღამემდე, ზოგჯერ კი გარიჟრაჟამდე, ყაზარმის გაღებამდე თამაშობდნენ.

ჩვენს ოთახში, ყველა ყაზარმის მსგავსად, ყოველთვის იყვნენ მათხოვრები, გლახაკები, წაგებულები ან ლოთობით გაკოტრებულები, ანდა უბრალოდ ბუნებით მათხოვრები. მე ვამბობ „ბუნებით“ და განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ. მართლაც, ჩვენს ხალხში ყველგან, რა ვითარება, რა პირობებიც უნდა იყოს, ყოველთვის არიან და მომავალშიც იქნებიან უცნაური ადამიანები თვინიერნი და მეტად გამრჯენი, მაგრამ, თითქოს ბედმა არგუნაო, მაინც მათხოვრები. ისინი ყოველთვის დაჩაჩანაკებულნი, ბოგანონი არიან, ყოველთვის მიგდებულებით გამოიყურებიან, დამწუხრებული იერი აქვთ; სულ დაბრიყვებული ჰყავთ, მუდამ გასაგზავნ-გამოსაგზავნად იყენებენ ჩვეულებრივად მოქეიფენი, ან უცებ გამდიდრებულნი და აღზევებულნი. ყოველგვარი წამოწყება, ყოველგვარი ინიციატივა მათთვის დარდი და ჭირია. ისინი თითქოს იმ პირობითაც დაბადებულან, რომ თავად არაფერი წამოიწყონ და მხოლოდ სხვას ემსახურონ. თავისი ნებით კი არ იცხოვრონ, სხვის დაკ-

რულზე იცეკვონ. მათი დანიშნულება მხოლოდ სხვისი ნების აღსრულებაა. ამიტომ ვერავითარი გარემოება, ვერავითარი გადატრიალება მათ ვერ გაამდიდრებს. ყოველთვის მათხოვრებად დარჩებიან. შევნიშნე, რომ ამგვარი ადამიანები გვხვდებიან არა მარტო უბრალო ხალხში, არამედ ყოველგვარ საზოგადოებაში, ფენაში, პარტიაში, ჟურნალებსა და ასოციაციაში. ასევე ხდებოდა თითოეულ ყაზარმაში, თითოეულ საპყრობილეში, და როგორც კი მაიდანნი შედგებოდა, ერთი ამგვართაგანი წამსვე გაჩნდებოდა მომსახურედ. საერთოდ, მას ყველა მოთამაშე ერთად მთელი ღამით ხუთიოდე ვერცხლის კაპიკად ქირაობდა. მას მთელი ღამე ყარაულში დგომა ევალებოდა. მეტწილად ის ექვსი-შვიდი საათი ოცდაათ გრადუსიან ყინვაში დერეფანში სიბნელეში იდგადა ითოშებოდა. ყოველ ნაბიჯს ყურს უგდებდა.

პლაცმაიორი ან ყარაულები საპყრობილეში ზოგჯერ გვიან ღამით ჩუმად შემოდრიოდნენ და თავს წაადგებოდნენ მოთამაშეებს, მომუშავეებსა და ზედმეტ სანთლებსაც, რომლებიც ეზოდანაც ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, როცა უცებ დერეფნიდან ეზოში გამავალი კარის საკეტის ჩხარუნი ატყდებოდა, დამალვა, სანთლების ჩაქრობა და ნარზე წამოწოლა გვიანლა იყო. მაგრამ, რადგან ამის გამო გუშაგ მსახურს მაიდნის წევრები სცემდნენ, მას მარცხი იშვიათად მოსდიოდა. ხუთი კაპიკი საპყრობილის პირობებშიც კი უთუოდ სასაცილოდ უმნიშვნელო საზღაური იყო. მაგრამ ამ და ყველა სხვა შემთხვევაში საპყრობილეში დამქირავებელთა სიმკაცრე და დაუნდობლობა ყოველთვის მაოცებდა. „ფული აგიღია, სამსახურიც იცოდე!“ ეს ურყევი არგუმენტი იყო. გაცემულ გროში დამქირავებელი იღებდა ყველაფერს, რისი აღებაც შეეძლო, შეძლებისდაგვარად, ზედმეტსაც, და მაინც კიდევ თვლიდა, მსახური ჩემთან ვალშიაო. მთვრალი, ფულის უანგარიშოდ მარჯვნივ და მარცხნივ მფანტავი, უთუოდ მოატყუებდა მსახურს. ამდაგვარი რამ არა მარტო საპყრობილეში ან მაიდანში შემიმჩნევია. უკვე ვთქვი, ყაზარმაში ყველა თავის საქმეს მიუჯდა-მეთქი. მოთამაშეების გარდა უსაქმოდ ხუთიოდე კაცი იყო. ისინი დასაძინებლად მალევე დაწვნენ. ნარზე ჩემი ადგილი კართან იყო. ნარის მეორე მხარეს აკიმ აკიმიჩი იწვა. ის ათ-

თერთმეტ საათამდე მუშაობდა, რაღაც ნაირფერ ჩინურ ფანარს აწებებდა რომელიღაც ქალაქიდან საკმაოდ ძვირად შეეკვეთათ. ფანარზე თავაუღებელი მუშაობდა; სამუშაოს დამთავრებისთანავე ყველაფერი წესიერად დაალაგა, თავისი ლეიბი გაშალა, ილოცა და ვალმოხდილივით დაწვა. ყოველ წვრილმანს პედანტურად ასრულებდა. ალბათ, თავი ძალიან ჭკვიან კაცად უნდა ჩაეთვალა, როგორც საერთოდ ყველა გონებაჩლუნგ და შეზღუდულ ადამიანს სჩვევია. პირველი დღიდანვე არ მომივიდა თვალში, თუმცა, მახსოვს, მასზე ბევრი ვიფიქრე. განსაკუთრებით ის მიკვირდა, ასეთი პიროვნება ცხოვრებაში წარმატების ნაცვლად საპყრობილეში რომ აღმოჩნდა.

ახლა მოკლედ ჩვენი ყაზარმის შემადგენლობაზე. იქ დიდხანს უნდა ვყოფილიყავი და თავიდანვე მიხდოდა მცოდნოდა, რა ხალხთან მექნებოდა საქმე. გასაგებია, რომ მათ ხარბი ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი. ჩემი ადგილიდან მარცხნივ კავკასიელ მთიელთა ჯგუფი განლაგებულიყო, რომლებიც, უმეტესად ძარცვისთვის, სხვადასხვა ვადით გადმოესახლებინათ. მათგან: ორი ლეკი იყო, ერთი ჩეჩენი, სამი კი დაღესტნელი თათარი. ჩეჩენი პირქუში და კუშტი არსება გახლდათ. თითქმის არავის ელაპარაკებოდა, გარშემო ყოველთვის სიძულვილით, ქვეშევრდომი იყურებოდა, სახიდან გესლიანი, დამცინავი ღიმილი არ სცილდებოდა. ერთი მაღალი, გამხდარი მოხუცი ლეკი კეხიანი ცხვირით პირწავარდნილ ყაჩაღს ჰგავდა. სამაგიეროდ, მეორემ, ნურამ, პირველი დღიდანვე ჩემზე ყველაზე საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა. ხანშიშესული ჯერაც არ ეთქმოდა: ტანმორჩილს, ჰერაკლესავით დაკუნთულს, ქერას, ცისფერი თვალები და პაჭუა ცხვირი ჰქონდა. ადრე მუდმივად ცხენზე ჯდომისგან ფეხები მოგრეხოდა. მთელ სხეულზე ნახიშტარ-ნატყვიარები აჩნდა. კავკასიაში შემორიგებულთა რიცხვს ეკუთვნოდა. მაგრამ ჩუმჩუმად შეურიგებელ მთიელებთან დადიოდა და მათთან ერთად თავს ესხმოდა რუსებს. ყოველთვის მხიარული, ყველასადმი ალერსიანი, კატორღაში ყველას უყვარდა. უსიტყვოდ მუშაობდა, მშვიდი და წყნარი იყო, თუმცა ხშირად პატიმრული ცხოვრების სისაძაგლისა და სიბინძურის შემყურე აღშფოთებას ვერ ფარავდა. ყო-

ველგვარი ქურდობა, თაღლითობა, ლოთობა და საერთოდ უპატიოსნება აღიზიანებდა. მაგრამ, ამის გამო არ ჩხუბობდა.

კატორღაში არაფერი მოუპარავს, არავითარი ცუდი საქციელი არ ჩაუდენია. უაღრესად ღვთისმოსავი იყო. ლოცვებს კითხულობდა; მაჰ-მადიანთა დღესასწაულების წინ ფანატიკოსივით მარხულობდა და მთელ ღამეებს ლოცვაში ატარებდა. ყველას უყვარდა და მისი ალაღ-მართლობა სწამდათ.

„ნურა ლომია!“, ამბობდნენ პატიმრები.

ასე შერჩა ეს ზედსახელი. დარწმუნებული იყო, რომ კატორღის გარკვეული ვადის შემდეგ კავკასიაში დააბრუნებდნენ; მხოლოდ ამ იმედით ცხოვრობდა. ვფიქრობ, მოკვდებოდა, ეს რწმენა რომ დაეკარგა.

საპყრობილეში მოსვლის პირველსავე დღეს სხვებში გამოვარჩიე. სხვა კატორღელების ბრაზიან, მოღუშულ, დამცინავ სახეებს შორის მის კეთილ, მიმზიდველ სახეს ადვილად გამოარჩევდით. კატორღაში სულ ნახევარი საათის მისული ვიყავი, რომ გვერდით ჩავლისას მხარზე ხელი მომითათუნა და კეთილი თვალები მომანათა. ჯერ ვერ გავიგე, რას ნიშნავდა ეს. რუსული ცუდად იცოდა. ამის შემდეგ მალე ისევ მომიახლოვდა და კვლავ ღიმილით, მეგობრულად მხარზე ხელი დამკრა. ასე გაგრძელდა სამ დღეს. როგორც შემდეგ მივხვდი, მისი მხრიდან ეს სიბრაღულს ნიშნავდა. გრძნობდა, რომ საპყრობილესთან შეგუება მიმძიმდა; უნდოდა თავისი მეგობრობა გამოემჟღავნებინა, გავემხნეებინე და მის მფარველობაში დავრწმუნებულიყავი. კეთილი და გულუბრყვილო ნურა!

სამი დაღესტნელი თათარი ძმები აღმოჩნდნენ. ორი ხანშიშესული იყო, მესამე ალექსანდრე ოცდაორი წლის იქნებოდა. მისმა მშვენიერმა, შუბლგახსნილმა, ჭკვიანურმა და კეთილ-შიამიტურმა სახემ ერთი შეხედვითვე მიმიზიდა. გამიხარდა, რომ ბედმა მეგობრულად ის მარგუნა და არა სხვა ვინმე. მისი შინაგანი ბუნება მის ლამაზ, შეიძლება ითქვას მშვენიერ სახეზე იკითხებოდა. სანდომიანი, ბავშვივით მიმნდობი ღიმილი დასთამაშებდა; დიდრონი, შავი თვალებით ისე გულთბილად და ალერსიანად შემომყურებდა, რომ ყოველთვის განსაკუთრებულად მსიამოვ-

ნება; დარდასა და წუხილს მიმსუბუქებდა. უფროს ძმას (ძმები სხვადასხვა სამუშაოზე იყვნენ გამწესებულნი) ერთხელ ებრძანებინა, ხმალი აელო, ცხენზე შემჯდარიყო და რომელიღაც ექსპედიციაში ერთად წასულიყვნენ. მთიელთა ოჯახებში უფროსებს იმდენად დიდ პატივს სცემენ, რომ ბიჭს უარის თქმა არც უფიქრია. ისიც კი ვერ გაბედა ეკითხა, სად მიდიოდნენ. მათ კი ამის თქმა საჭიროდაც არ ჩათვალეს. საქურდლად მიდიოდნენ, გზაში მდიდარი სომეხი სოვდაგარი უნდა გაეძარცვათ. ასეც მოხდა. ბადრაგი ამოჟლიტეს, სომეხი მოკლეს და მისი საქონელი გაიტაცეს. მაგრამ საქმე გახსნეს; ყველანი შვი პყრეს, გაასამართლეს, ამხილეს, დასაჯეს და ციმბირში კატორღულ სამუშაოებზე გადმოასახლეს.

სასამართლომ ალექსეი შეიწყალა და სასჯელის ვადა შეუმცირა. ის ოთხი წლით გადმოასახლეს. ძმებს უყვარდათ უფრო მამობრივი, ვიდრე ძმური სიყვარულით. გადასახლებაში მათი ნუგეში იყო. ჩვეულები-სამებრ, დაღვრემილნი და მოღუშულნი, მისი შეხედვისას ყოველთვის გამოცოცხლდებოდნენ და გამოლაპარაკებისას (იშვიათად ელაპარაკებოდნენ, რადგან ჯერ ისევ ბავშვად თვლიდნენ და მასთან სერიოზულ საქმეზე არც მსჯელოდნენ) მკაცრი სახეები გაებადრებოდათ. ვხვდებო-დი, რაღაც სახუმარო, თითქმის ბავშვურ რამეზე საუბრობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთს გადახედავდნენ და გულკეთილად გაეღიმე-ბოდათ.

თავად თითქოს ვერ ბედავდა მათთან გამოლაპარაკებას ისეთი მოკრძალებული იყო; ძნელი წარმოსადგენია, ეს ახალგაზრდა კატორ-ღაში ღმობიერ გულს, უმწიკვლობას, გულწრფელობას, სიმპათიურო-ბას როგორ შეინარჩუნებდა; ან შეძლებდა: არ გაუხეშებულებოდა, არ გარყვნილებოდა. მიუხედავად მთელი თავისი მოჩვენებითი სირბილისა, ის მართლაც ძლიერი და მოხდენილი არსება გახლდათ. შემდგომში კარგად გავიცანი ქალწულივით უმანკო იყო. საპყრობილეში ვინმეს ცუდი, ცინიკური, ბილწი ან უსამართლო, ძალადობრივი საქციელი გუ-ლისწყრომის ცეცხლს ანთებდა მის ლამაზ თვალებში და ამით კიდევ უფრო ლამაზდებოდნენ. ყმაწვილი კინკლაობასა და ლანძღვას გაურ-

ბოდა. თუმცა თავს არავის დააჩაგვრინებდა; არც არავის წაჩხუბებია: ყველას უყვარდა და ეფერებოდა. ჩემთან თავდაპირველად მხოლოდ თავაზიანობას იჩენდა. ნელ-ნელა შემეჩვია. რასაც მისმა ძმებმა მთელი თავიანთი კატორღის განმავლობაში ვერ მიაღწიეს, მან რამდენიმე თვეში შეძლო: მშვენივრად ისწავლა რუსული. მეტად ჭკვიანი, თავდაჭერილი და დელიკატური, უკვე ბევრ რამეზე დაფიქრებული ყმაწვილის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

აქვე აღვნიშნავ: ალეის სრულიადაც არა ვთვლი ჩვეულებრივ არსებად. ჩემთვის მასთან შეხვედრა ერთ-ერთი საუკეთესო მოგონებაა. ზოგი ადამიანი იმდენად კეთილშობილია, ღვთისგან იმდენად დაჯილდოებული, რომ მათი უარესობისკენ შეცვლა შეუძლებლად მოგეჩვენებათ. მათი იმედი ყოველთვის გაქვთ. მე ახლაც მშვიდად ვარ მის გამო. ნეტა, ახლა სად არის?..

ერთხელ, საპყრობილეში უკვე კარგა ხნის მოსული ვიყავი, ნარზე წამოწოლილს რაღაც მძიმე ფიქრები მომაწვა. ყოველთვის საქმეში გართული და შრომისმოყვარე ალეი ამჯერად არაფერს აკეთებდა, თუმცა დაძინებამდე ჯერ კიდევ ადრე იყო. მუსლიმანური დღესასწაული ჰქონდათ და არ მუშაობდნენ. იწვა, ხელები თავქვემ ამოედო და ისიც რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო.

რაო, ძალიან გიმძიმს ახლა? მკითხა უცებ. ცნობისმოყვარეობით შევათვალე. ალეისგან, ყოველთვის დელიკატური, ზრდილი, გულისხმიერი ბიჭისგან, ასეთი პირდაპირი კითხვა უცნაურად მომეჩვენა. ყურადღებით დავაკვირდი და მის სახეზე მოგონებებით აღძრული იმდენი სევდა და ტანჯვა ამოვიკითხე, რომ მაშინვე დავრწმუნდი, ამ წუთს მასაც არანაკლებ უმძიმდა. ჩემი ვარაუდი გავუმხიარე, ამოიხვნეშა და ნაღვლიანად გაიღიმა. მიყვარდა მისი ღიმილი, მუდამ ნაზი და გულთბილი. გარდა ამისა, გაღიმებისას ისეთი მარგალიტით თეთრი კბილები უჩანდა, მსოფლიოში ულამაზესი ქალიც კი ინატრებდა.

რა იყო, ალეი, დარწმუნებული ვარ ახლა იმაზე ფიქრობდი, თქვენთან, დაღესტანში, როგორ აღნიშნავენ ამ დღესასწაულს?

დიახ, მი პასუხა აღფრთოვანებულმა და თვალები გაუბრწყინდა: სა-
იდან იცი, რომ ამბზე ვფიქრობდი?

რატომაც არ უნდა ვიცოდე! რაო, იქ უკეთესია, არა?

ოო! რატომ ამბობ მაგას...

ახლა თქვენთან, ალბათ, ნაირფერი ყვავილებია, სამოთხეა...

ოოჰ, სჯობს, ნუ იტყვი! მეტად აღელდა.

მომისმინე, ალეი, და გყავდა?

მყავდა, მერე შენ რა?

ნამდვილად მზეთუნახავია, თუ კი შენ გგავს.

ისეთი ლამაზია, მთელ დაღესტანში ბადალი არ ჰყავს! ძალიან ლა-
მაზია!

ისეთი არც გინახავს. დედაც ძალიან ლამაზი მყავდა.

უყვარდი დედას?

აჰ, რას ამბობ! ნამდვილად, ჩემზე დარდს გადაჰყვებოდა. ყველაზე
საყვარელი შვილი ვყავდი. დაზე მეტად, ყველაზე უფრო მე ვუყვარდი...
დღეს ჩემთან იყო სიზმარში და დამტიროდა.

გაყუჩდა. იმ საღამოს კრინტი აღარ დაუძრავს. მაგრამ ამის შემდეგ
ჩემთან საუბარს ყოველთვის ცდილობდა. თუმცა მოწიწებით მეპყრო-
ბოდა და ვერ ბედავდა, პირველი თავად გამომლაპარაკებოდა. სამაგი-
ეროდ, ძალიან უხაროდა, როცა მე მივმართავდი.

ვეკითხებოდი კავკასიაზე, მის ადრინდელ ცხოვრებაზე. ძმები ჩემ-
თან საუბარს არ უშლიდნენ. პირიქით, მოსწონდათ კიდევ. როცა და-
ინახეს, რომ უფრო და უფრო მეტი სიყვარულით ვექცეოდი, ჩემდამიც
უფრო აღერსიანები გახდნენ.

ალეი მუშაობაში მეხმარებოდა, რითაც შეეძლო, სამსახურს მიწევ-
და ყაზარმეშიც. ეტყობოდა, უხაროდა, როცა რაიმეთი მდგომარეობას
მიმსუბუქებდა.

ამ მისწრაფებაში მცირეოდენი დამცირების ან რაიმეს გამორჩენის
მცდელობაც კი არ იყო; ეს იყო თბილი, მეგობრული გრძნობა, რომელ-
საც გულლიად გამოხატავდა. სხვათა შორის, მას სხვადასხვა ხელობის

ნიჭიც ჰქონდა: კერავდა ჩექმებს, რამდენადაც შეეძლო, დურგლობაშიც გაიწაფა. ძმები აქებდნენ და ეამაყებოდნენ.

ალეი, მომისმინე! ვუთხარი ერთხელ, რატომ არ სწავლობ რუსულ წერა-კითხვას, ვინ იცის, აქ, ციმბირში, მომავალში როგორ გამოგადგეს?!

ძალიან მინდა, მაგრამ ვისგან ვისწავლო?

ცოტანი არიან მცოდნენი? გინდა გასწავლო?

აჰ, მასწავლე თუ შეიძლება! ნარიდანაც კი წამოიწია და ვედრებით მომაჩერდა.

მეორე საღამოსვე შევუდექით. მე მქონდა ახალი აღთქმის რუსული თარგმანი წიგნი, რომელიც საპყრობილეში აკრძალული არ იყო. უანბანოდ, მხოლოდ ამ წიგნით, ალეიმ რამდენიმე კვირაში კითხვა მშვენივრად ისწავლა. სამიოდე თვის შემდეგ მწიგნობრული ენა ესმოდა. გატაცებით, თავდავიწყებით სწავლობდა.

ერთხელ მთელი ქადაგება ერთად წავიკითხეთ; შევნიშნე, ზოგიერთ მონაკვეთს რაღაც განსაკუთრებული გრძნობით გამოთქვამდა.

შევეკითხე, მოგწონს თუ არა, რაც წაიკითხე-მეთქი. სწრაფად შემომხედა, ლოყები შეუფაკლდა.

აჰ, დიახ! მომიგო. დიახ, ისა წმინდა წინასწარმეტყველია, ისა ღვთის სიტყვებს ამბობდა. რა კარგია!

რა უფრო მოგწონს?

სად მოუწოდებს: მიუტევებდე, გიყვარდეს, ნურავის აწყენინებ და მტრებიც გიყვარდესო? აჰ, როგორ კარგად ამბობს!

ძმებისკენ მიტრიალდა, რომლებიც ჩვენს საუბარს უსმენდნენ, და გაცხარებით რაღაცას ეუბნებოდა. ისინი ერთმანეთს დიდხანს და სერიოზულად ელაპარაკებოდნენ და თანხმობის ნიშნად თავს აქნევდნენ. შემდეგ მომმართეს დინჯი და მოწყალე, ე.ი. წმინდა მუსლიმანური ღიმილით, რომელიც სწორედ იმ სიდინჯის გამო მომწონს, ამ ღიმილს რომ ახლავს, და დამიდასტურეს: ისა ღვთის წინასწარმეტყველი იყო და უდიდეს სასწაულებს ახდენდაო. თიხისგან ჩიტი გააკეთა, სული შეუბერა და ჩიტი გაფრინდაო... და რომ ეს მათ წიგნებშიც უწერიათ. ამას მე-

უბნებოდნენ და სწამდათ, რომ ისას შექცებით მათამებდნენ; ალექსი კი ბედნიერი იყო, რადგან მისმა ძმებმა მოისურვეს, ჩემთვის ესამოვნებინათ.

წერის საქმეც ძალიან კარგად მიდიოდა. ალექსიმ იშოვა ქალაქი (არ დამანება, ჩემი ფულით მეყიდა), კალმები, მელანი და სულ რაღაც ორ თვეში შესანიშნავად წერდა. ამან მისი ძმები გააოცა. ისინი უსაზღვროდ კმაყოფილები და ამაყები იყვნენ. არ იცოდნენ, ჩემთვის სამაგიერო რით გადაეხადათ. მუშაობისას, თუ ერთად ყოფნა მოგვიწევდა, რიგრიგობით მეხმარებოდნენ და ამით თავს ბედნიერად გრძნობდნენ. აღარაფერს ვამბობ ალექსიზე. მას, შესაძლოა, ძმებივით ვუყვარდი. არასოდეს დამავიწყდება, როგორ წავიდა საპყრობილედან. ყაზარმის უკან გამიყვანა, კისერზე შემომეხვია და ატირდა. უწინ არასოდეს უკოცნია ჩემთვის და არც უტირია: „შენ იმდენი სიკეთე მიყავი, იმდენი სიკეთე, მეუბნებოდა, რომ ამდენს მშობლებიც კი ვერ გამიკეთებდნენ. კაცად მაქციე, ღმერთი გადაგიხდის, მე კი არასოდეს დაგივიწყებ...“

სად არის, სად არის ახლა, ჩემი კეთილი, საყვარელი, საყვარელი ალექსი!..

ჩერქეზების გარდა, ყაზარმაში პოლონელების მთელი ჯგუფი გვყავდა, რომლებიც განკერძოებულ, სხვა პატიმრებისგან თითქმის სრულიად მოწყვეტილ ოჯახს ქმნიდა.

უკვე აღვნიშნე, განკერძოებულობისა და რუსი კატორღელებისადმი სიძულვილისთვის ისინიც ყველას სძაგდა-მეთქი. სულ ექვსნი იყვნენ; განაწამები, ავადმყოფი ხალხი გახლდათ. ზოგიერთი განათლებული იყო (მათზე დაწვრილებით შემდგომში ვილაპარაკებ). საპყრობილეში ჩემი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ზოგიერთ წიგნს ხანდახან სწორედ მათგან ვშოულობდი. პირველმა წიგნმა ჩემზე ძლიერი, უცნაური, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა (ამაზეც მერე მოგიყვებით). ჩემთვის პოლონელები მეტად საინტერესონი იყვნენ, თუმცა ბერისთვის, დარწმუნებული ვარ, სრულიად გაუგებარნი.

ზოგი რამ პირადად თუ არ გამოსცადე, ისე ვერ განსჯი. ერთს ვიტყვი: ზნეობრივი გაჭირვება ყველა ფიზიკურ ტანჯვაზე მძიმეა. კატორღაში

მიმავალი მდაბიო თავის საზოგადოებაში მიდის, თუმცა, შეიძლება იგი მასზე უფრო განვითარებული იყოს. რასაკვირველია, მან ბევრი რამ დაკარგა სამშობლო, ოჯახი, ყველაფერი... მაგრამ მისი გარემო არ შეცვლილა. განათლებული კაცი კი, რომელსაც კანონით მდაბიოს იდენტური სასჯელი აქვს, ხშირად მეტს კარგავს. მან ყველა მოთხოვნილება, ყველა ჩვევა უნდა დაიოკოს, გადავიდეს მისთვის დაუკმაყოფილებელ გარემოში, მიეჩვიოს სხვა ჰაერით სუნთქვას... ის წყლიდან ამოგდებული თევზია. ხშირად კანონით გათვალისწინებული სასჯელი მისთვის სხვაზე ათჯერ უფრო მტანჯველია. ეს ჭეშმარიტებაა... თუნდაც საქმე ეხებოდეს მხოლოდ მატერიალურ ჩვევებს, რომლებზეც ხელი უნდა აიღოს.

მაგრამ პოლონელები განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენდნენ. ექვსივე ერთად იყო. ჩვენი ყაზარმის ყველა კატორღელიდან მათ მხოლოდ ერთი ურია უყვარდათ და, შესაძლოა, იმიტომაც, რომ ის მათ კარგად ართობდა. ჩვენი ურიკო სხვა პატიმრებსაც უყვარდათ, თუმცა დაცინვას არ აკლებდნენ. ის ერთადერთი იყო ჩვენთან, რომლის გახსენებამაც ახლაც მეცინება. მის დანახვამაც ყოველთვის გოგოლის ურია იანკელი მახსენდებოდა „ტარას ბულბადან“, რომელიც ნამდვილ წიწილას დაემსგავსა, როცა თავის ცოლთან კარადაში ღამის გასათენებლად ტანთ გაიძრო. დიახ, ისაია ფომინი, ჩვენი ურიკო, ძალიან ჰგავდა გაპუტულ წიწილას. ეს იყო ხანშიშესული ორმოცდაათიოდე წლის, ჩია, სუსტი, ეშმაკი და ამავე დროს ბრიყვი, უტიფარი, ყოყოჩი და საშინლად მშიშარა კაცი. მთელი სახე რალაცნაირი ნაოჭებით დაქსელვოდა. შუბლსა და ღაწვებზე ეშაფოტზე მიღებული გაროზგვის დაღები აჩნდა. ვერაფრით გამეგო, სამოც ჯოხს რანაირად გაუძლო. მას მკვლელობაში ედებოდა ბრალი. ერთი რეცეპტი ჰქონდა, რომელიც მისიანებმა ეშაფოტისშემდეგ ექიმისგან მიუტანეს. ამ რეცეპტით დამზადებული მალამო ორ კვირაში დაღს მოაშორებდა. მაგრამ, საპყრობილეში მალამოს გამოყენებას ვერ ბედავდა, თავისი თორმეტწლიანი პატიმრობის ვადის დამთავრებას ელოდა. დასახლებაში რომ გავალ, ამ მალამოს მერე მოვიხმა-

რო, ამბობდა. „თოლემ ცოლს ველ სევილთავ, მითხრა ერთხელ, მე კი ძალიან მინდა ცოლი სევილთო“.

მასთან მუდამ ვმეგობრობდი. ყოველთვის შესანიშნავ გუნებაზე იყო. კატორლაში იოლად გაჰქონდა თავი. ხელობით იუველირი გახლდათ. ქალაქიდან, სადაც იუველირი არ ჰყავდათ, შეკვეთები თავსაყრელად ჰქონდა. ამით მძიმე შრომაც აიცილა თავიდან. რასაკვირველია, მევახშეობდა კიდევ და პროცენტებითა და გირაოთი მთელ კატორლას ფულით ამარაგებდა. საპატიმროში ჩემზე ადრე იყო მისული. ერთი პოლონელი დაწვრილებით მომიყვა, რა სასაცილოდ დაიწყო მისი „კარიერა“ საპატიმროში, მაგრამ ამაზე შემდგომ...

ჩვენი ყაზარმის დანარჩენი საზოგადოება შედგებოდა ოთხი ხანდაზმული და მედავითნე სტაროვერისგან, რომელთა შორის იყო სტაროდუბელი მოხუცი და ორი-სამი პირქუში მალოროსიელი, ოცდასამიოდე წლის ახალგაზრდა კატორღელი, რომელსაც მოცუცქნული სახე და თხელი, პატარა ცხვირი ჰქონდა. მას რვა კაცი ჰყავდა მოკლული. დაბოლოს, ერთ-ერთი ყალბი ფულის მჭრელთაგანი ჩვენი ყაზარმის ხუმარა იყო; რამდენიმე მოღუშული, თავდაგადაპარსული, მახინჯი, მდუმარე და შურიანი არსებები, ირგვლივ რომ ქვეშ-ქვეშ სიძულვი

ლით იყურებოდნენ და მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი კიდევ მრავალ წელს, მთელი კატორღის განმავლობაში ასე მოღუშულნი, მდუმარენი და საზიზღარნი ყოფილიყვნენ.

ყოველივე ამან ჩემი ახალი ცხოვრების პირველ უსიხარულო საღამოს მხოლოდ გაიელვა, გაიელვა ბოლსა და ჭვარტლში, გინებასა და გამოუთქმელ ცინიზმში, მძიმე ჰაერში, ბორკილების ჩხარუნში, წყევლა-კრულვასა და უტიფარ ხორხოცში. ცარიელ ნარბე წამოვწექი, თავთით ჩემი ხალათი ამოვიდე (ბალიში ჯერ არ მქონდა), გემოდან ტყაპუჭი დავიფარე. დიდხანს თვალი ვერ მოვხუჭე, თუმცა პირველი დღის საშინელი და მოულოდნელი შთაბეჭდილებებით ერთიანად გაწამებულგათანგული ვიყავი. ჩემი ახალი ცხოვრება მხოლოდ ახლა იწყებოდა. წინ კიდევ ბევრი რამ მელიოდა, რაზეც არასდროს მიფიქრია და ვერც კი წარმომედგინა.

1.5. პირველი თვე

საპყრობილეში მისვლიდან სამი დღის შემდეგ სამუშაოდ წამიყვანეს. კარგად მახსოვს მუშაობის პირველი დღე, თუმცა არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ჩემს მდგომარეობაში ყველაფერი ისედაც არაჩვეულებრივი იყო. მაგრამ ესეც ერთ-ერთი პირველი შთაბეჭდილება გახლდათ, ყველაფერს ხარბად ვაკვირდებოდი.

პირველი სამი დღე უმძიმეს ფიქრებში გავატარე. „აი, ჩემი ხეტიალის დასასრულიც. ციხეში ვარ! ყოველ წამს ვბუტბუტებდი, აი, ჩემი ნავსაყუდელი მრავალი წლის განმავლობაში, ჩემი კუთხე, სადაც ეჭვით, ავადმყოფური გრძნობით შევდივარ... ვინ იცის, ეგებ, წლების შემდეგ, როცა აქაურობას დავტოვებ, კიდევ დამენანოს...“ ვუმატებდი ღვარძლნარევი ირონიით, რაც ზოგჯერ საკუთარი ჭრილობების განგებ გაღიზიანების მოთხოვნილებაშიც გადადის, თითქოს შენივე ტკივილით დატკობას ლამობ, თითქოს უბედურების მთელი სიღრმით შემეცნებაში მართლაც იყოს რაიმე სიამე. ის აზრი, რომ დროთა განმავლობაში ამ კუთხის დატოვება დამენანებოდა თავისი საშინელებით თავადვე მაკვირვებდა: ყოველთვის მჯეროდა ადამიანის საოცრად შემგუებლური ბუნებისა, მაგრამ ყოველივე ეს მომავალში უნდა გამომეცადა. ჯერჯერობით კი გარშემო ყველაფერი მტრული, საშინელი მეჩვენებოდა.

ამ ველურმა ცნობისმოყვარეობამ, როგორც ჩემი ახალი პატიმარი-ამხანაგები მათვალისწინებდნენ, მომეტებულმა სიმკაცრემ მათ კორპორაციაში უცებ გაჩენილი ახალბედა აზნაურისადმი, სიმკაცრე, რაც ზოგჯერ თითქმის სიძულვილამდეც აღწევდა ყოველივე ამან ისე დამტანჯა, სამუშაოზე მალე გასვლას ვნატრობდი. მინდოდა, ბარემ ერთბაშად გამეგო და გამომეცადა მთელი ჩემი უბედურება, რათა დროულად ჩავბმულიყავი საერთო ფერხულში. რასაკვირველია, მაშინ ბევრ რამეს ვერ ვაცნობიერებდი, იმასაც კი, რაც ცხვირწინ მქონდა ირგვლივ მხოლოდ მტრულ სახეებს ვამჩნევდი; არადა, რამდენიმე ალერსიანმა, სა-

სიამოვნო სახემ იმთავითვე მეტად გამამხნევა. ყველაზე თბილად აკიმ აკიმიჩი მექცეოდა. აგრეთვე, სხვა პატიმართა დაბღვერილ და სიძულვილით აღსავსე სახეებს შორის შეუძლებელი იყო არ შემემჩნია რამდენიმე კეთილი და ხალისიანიც. „ყველგან არიან ცუდი და კარგი ადამიანები, ფიქრობდი თავის დასამშვიდებლად, ვინ იცის? ეს ადამიანები, შესაძლოა, იმათზე უარესები სულაც არ არიან, რომლებიც ციხის მიღმა დავტოვე“. ფიქრობდი და ჩემივე აზრის გამო ორჭოფულად თავს ვაქნევდი. ეეჰ, ღმერთო ჩემო, მაშინ რომ მცოდნოდა, ეს აზრი რაოდენ საღი იყო?!

აი, მაგალითად, ერთი აქაური კაცი, პატიმარი სუშილოვი, ნორმალურად მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გავიცანი, არადა, კატორღის წლებში მუდამ ჩემ სიახლოვეს ტრიალებდა. ახლა, როცა იმ კატორღელებზე ვლაპარაკობ, რომლებიც სხვებზე უარესები არ იყვნენ, უნებლიეთ, მაშინვე ეს ადამიანი მახსენდება. სუშილოვი მე მემსახურებოდა. მეორე მსახურიც მყავდა, პატიმარი ოსი პი, რომელსაც აკიმ აკიმიჩმა პირველი დღეებიდანვე გაუწია რეკომენდაცია; მითხრა, თვეში ოცდაათ კაპიკად ყოველდღიურად ცალკე მოგიმზადებს კერძს, თუ საპყრობილისა გეზიზნება, და საშუალება გაქვს საკუთარი ჭამო. ოსი პი ერთ-ერთი იმ ოთხ მზარეულთაგანი იყო, ვისაც პატიმრები შერჩევით ნიშნავდნენ ჩვენს სასადილოში, თუმცა მათაც სრული უფლება ჰქონდათ მიეღოთ ან არ მიეღოთ ეს არჩევანი; ახალდანიშნულზე მეორე დღესვე შეგეძლო უარი გეთქვა. მზარეულები სამუშაოზე არ გადიოდნენ; მათ მხოლოდ პურის ცხობა და შჩის მომზადება ევალებოდათ. ჩვენთან მათ მზარეულებს კი არ ეძახდნენ, არამედ თითხნიებს (მდედრობით სქესში); ამას ზიზღით კი არ ეუბნებოდნენ, მით უმეტეს, მზარეულებად, შეძლებისდაგვარად, თადარიგიან და პატიოსან ხალხს ირჩევდნენ, არამედ ისე, ალერსიანი ხუმრობით, რაც მათ სრულიადაც არ სწყინდათ. ოსი პს თითქმის ყოველთვის, უკვე რამდენიმე წელია, ზედიზედ ირჩევდნენ მზარეულად; ხანდახან დროებით თავად თუ იტყოდა უარს, როცა მეტისმეტად შემოაწვებოდა სევდა და თან ღვინის შემოტანის სურვილიც აიტანდა.

ოსი პი საოცრად პატიოსანი, უწყინარი ადამიანი იყო. თუმცა კონტრაბანდისტობის გამო იჯდა. ეს სწორედ ის კონტრაბანდისტი ახოვანი ყმაწვილია, ზემოთ რომ ვახსენე; ყველაფრის ეშინოდა, განსაკუთრებით როგვების; წყნარი, უნო, ყველასადმი ალერსიანი, არასდროს არავის წაჩხუბებია; საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად სიმბდალისა, კონტრაბანდის სიყვარული ისე ძლიერ გასჯდომოდა ძვალრბილში, ამ საქმეს თავს ვერ ანებებდა. სხვა მზარეულებთან ერთად ღვინით ვაჭრობას განაგრძობდა, მაგრამ, არა ისე ფართო მასშტაბით, როგორც, მაგალითად, გაზინი, რადგან ბევრის შესასყიდად გამბედაობა არ ჰყოფნიდა.

ოსი პთან ყოველთვის შეხმატკბილებულად ვცხოვრობდი. რაც შეეხება საკუთარ კვებას, ამას უმნიშვნელო ფული სჭირდებოდა. თავის შესანახად თვეში ერთი ვერცხლის მანეთი მყოფნიდა, ცხადია, თუ არ ჩავთვლით პურს, რომელიც საერთო იყო, და ზოგჯერ შჩისაც, რომელსაც მხოლოდ მაშინ გეახლებოდით, როცა ძალიან მშოიდა; მართალია, შჩი მეზიზღებოდა, მაგრამ თანდათან მივეჩვიე. ჩვეულებისამებრ, დღეში ერთ ნაჭერ ძროხის ხორცს ვყიდულობდი, ერთი გირვანქა ძროხის ხორცი ზამთარში ჩვენთან გროში ღირდა. ბაზარში რომელიმე ინვალიდთაგანი მიდიოდა. წესრიგის ზედამხედველი ე.წ. ინვალიდი ყოველ ყაზარმაში იყო. მათ თავად იკისრეს ვალდებულება, პატიმართა საყიდლებისთვის ყოველდღე ბაზარში ევლოთ და ამაში გასამრჯელოს თითქმის არ ითხოვდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაღაც ნასუფრალს. ამას თავიანთი სიმშვიდისთვის აკეთებდნენ, სხვანაირად შეუძლებელი იყო პატიმრებს შეგუებოდნენ. მათ მოჰქონდათ თამბაქო, აგურა ჩაი, ძროხის ხორცი, კალაჩები და სხვ. გარდა ღვინისა. თუმცა პატიმრები ხანდახან მათ ღვინით უმასპინძლდებოდნენ. ზედიზედ რამდენიმე წელიწადს მაჭმევდა ოსი პი შემწვარი ძროხის ხორცს. როგორ სწვავდა? ეს სხვა საკითხია, თუმცა საქმე ამაში როდია. საოცარია, ჩემი პატიმრობის განმავლობაში ოსი პისთვის ორიოდღე სიტყვა თუ მითქვამს მხოლოდ. საუბარში ბევრჯერ გამოვიწვიე, მაგრამ რატომღაც

ლაპარაკი არ ეხერხებოდა. მხოლოდ იღიმებოდა, „ჰოს“ ან „არას“ იტყოდა; ეს იყო მთელი მისი პასუხი.

ოსი პის გარდა, სუშილოვიც მეხმარებოდა; ის არც მომიწვევია და არც მიძებნია. როგორღაც თავად მი პოვა და მომეტმასნა. არც კი მახსოვს, ეს როგორ და როდის მოხდა. მრეცხავად დამიდგა. ყაზარმებს უკან სპეციალურად საამისოდ სანარცხე ორმო იყო მოწყობილი, პატიმართა საცვლებს სწორედ ამ ორმოს თავზე სახაზინო ტაშტებში რეცხავდნენ. ამას გარდა, ჩემს საამებლად, სუშილოვი ათასგვარ რამეს კისრულობდა: ჩაის მიდუღებდა, სხვადასხვა დავალებაზე დარბოდა, ჩემი ქურთუკი შესაკეთებლად დაჰჭონდა, თვეში ოთხჯერ ჩექმებს მიწმენდდა. ყოველივე ამას ისე გულმოდგინედ, ფაციფუციტ აკეთებდა, თითქოს მოსწრებაზე იყო, არიქა, სხვა საქმეც მაქვსო. ერთი სიტყვით, თავისი ბედი მთლიანად ჩემსას დაუკავშირა და ყველა ჩემი საქმე თავის თავზე აიღო. მაგალითად, ის არასოდეს იტყოდა: „თქვენ ამდენი პერანგი გაქვთ, ქურთუკი გაგხევიათ“ და სხვ. არამედ ყოველთვის იმეორებდა: „ჩვენ ახლა ამდენი პერანგი გვაქვს, ჩვენ ქურთუკი გაგხევია“. სულ თვალებში შემომციცინებდა და, ვფიქრობ, ეს მთელი თავისი ცხოვრების უმთავრეს დანიშნულებად მიაჩნდა. სხვა ხელობა, ან როგორც პატიმრები ამბობდნენ, ხელსაქმე არ იცოდა და, ალბათ, მხოლოდ ჩემგან შოულობდა ფულს. რამდენიც შემეძლო, იმდენს ვუხდიდი, ე.ი. გროშებს, ის კი ყოველთვის კმაცოფილი რჩებოდა. სხვებს რომ არ მომსახურებოდა, ვერ სძლებდა. მე, ალბათ, იმიტომ ამირჩია, რომ სხვებზე თავაზიანი და პატიოსანი ვიყავი. ის ერთი იმათგანი იყო, რომლებსაც გამდიდრება, წელში გამართვა არ უწერიათ.

ასეთები ჩვენთან მაიდანის ყარაულობას კისრულობდნენ და მთელ ღამეებს ცინვაში დერეფანში ყურყუტებდნენ, მცირე ხმაურსაც აყურადებდნენ, პლაცმაიორი ხომ არ მოდისო. თითქმის მთელი ღამე ფხიზლად დგომისთვის ხუთიოდე ვერცხლის კაპიკს იღებდნენ, ხოლო თუ დოცლაპიობას გამოიჩინებდნენ, ყველაფერს კარგავდნენ და ზურგითაც პასუხს აგებდნენ. ასეთ ადამიანებს, როგორც წესი, საკუთარი მეობა არა აქვთ, ყველგან და თითქმის ყველას წინაშე, საერთო საქმეებში

არა მეორეხარისხოვან, არამედ მესამეხარისხოვან როლს ასრულებენ. ყველაფერი ეს თითქოს თანდაყოლილი აქვთ.

სუშილოვი მეტად საცოდავი არსება გახლდათ; სრულიად უენო და დაჩაგრული, ყველასგან მიგდებულიც კი; თუმცა არავინ სცემდა, ბუნებით იყო ასეთი. რატომღაც ყოველთვის მეცოდებოდა. ისე ვერ შევხვდავდი, სიბრალული რომ არ მეგრძნო. რატომ მეცოდებოდა, ვერ აგისხნით. ვერც დაელაპარაკებოდი. აზრს თავს ვერ უყრიდა; მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდებოდა, როცა რაიმეს დაავალებდი. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამით სიამოვნებას ვანიჭებდი.

სუშილოვი ტანად არც მაღალი იყო, არც დაბალი, თვალად არც კარგი, არც გონჯი, არც სულელი, არც ჭკვიანი, არც ახალგაზრდა, არც ბებერი, ოდნავ ჩოფურა, ნაწილობრივ ქერა. გარკვეულად მასზე ვერაფერს იტყოდით. მხოლოდ ერთი კია (რამდენადაც ამას მივხვდი), თავისი სიბეჩავისა და უენობის გამო ის ეკუთვნოდა იმავე ამხანაგობას, რომელშიც სიროტკინი ტრიალებდა. პატიმრები ზოგჯერ დასცინოდნენ, უმთავრესად იმიტომ, რომ ციმბირში ჯგუფთან ერთად მიმავალი, გზად შენაცვლებულიყო და ეს წითელი პერანგისა და ერთი ვერცხლის მანეთიანისთვის გააკეთა. ასეთ უმნიშვნელო ფასად გაჰყიდა თავი. შენაცვლება ვინმესთან სახელის და, მაშასადამე, ხვედრის გაცვლასაც ნიშნავს. რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეს უტყუარი ამბავია და ჩემი იქ ყოფნის დროს ჯერ კიდევ სრული ძალა ჰქონდა ციმბირში გადასახლებულ პატიმრებში, როგორც გადმოცემით ნაკურთხსა და გარკვეული ფორმებით განსაზღვრულ ჩვეულებას. თავდაპირველად დაუჭერებლად მეჩვენა, თუმცა ბოლოს აშკარად დავრწმუნდი.

აი, რა ხდება: ვთქვათ, ციმბირში გადასახლებულთა ჯგუფს გზავნიან; მიდიან ყველანი: კატორლაში, ქარხანაში, დასახლებაში გამწესებულნი; გზად ერთად მიდიან, მაგალითად, პერმის გუბერნიაში, რომელიმე გადასახლებულთაგანი გადაწყვეტს სხვას შეენაცვლოს. ვთქვათ, ვინმე მიხაილოვს, მკვლელს ან სხვა დიდ დამნაშავეს, მრავალი წლით კატორლაში წასვლა ჭკუაში არ მოსდის. დავუშვათ, ის ეშმაკი, გაქნილი კაცია, საქმეში გამოქეჩილი; ჰოდა, ისიც გადასახლებულებში

ვინმე უბირს, დაჩაგრულს, უენოს, შედარებით მცირე ვადამისჯილს ეძებს. ბოლოს აღმოაჩენს სუშილოვისმაგვარს.

სუშილოვი შინაყმათაგანია და უბრალოდ ახალმოშენედ გადაასახლეს. უკვე ათასხუთასამდე ვერსი გამოუვლია, რასაკვირველია, უკაპიკოდაა. ისედაც, აბა, როგორ შეიძლება სუშილოვს თუნდაც კაპიკი ჰქონდეს?! მიდის დაღლილ-დაქანცული, სახაზინო ტანსაცმლის ამარა; საჭმელი საზოგადო, არსად ელოდება ტკბილი ლუკმა, ყველას ემსახურება და საზღაურად სპილენძის საცოდავ გროშებს აძლევენ. მიხაილოვი გამოელაპარაკება სუშილოვს, დაუახლოვდება, დაუძმაკაცდება კიდევ და დასასრულს ღვინით უმასპინძლდება. ამ დროს სთავაზობს, ხომ არ გინდა შემენაცვლო. მე, მიხაილოვი, ასე და ასე, კატორლაში მივდივარ, მაგრამსხვანაირ კატორლაში „განსაკუთრებულ განყოფილებაში“. მართალია, ისიც კატორლაა, მაგრამ განსაკუთრებული, მაშასადამე, უკეთესიცო. განსაკუთრებული განყოფილების ასავალ-დასავალი ბევრმა უფროსმა პეტერბურგშიც კი არ იცოდა ხეირიანად. ციმბირში გამოყოფილი იყო ე.წ. არახალხმრავალი საგანგებო ადგილი (ჩემ დროს იქ სამოცდაათ კაცამდე იქნებოდა), რომ მისი კვალის მიგნებაც კი ჭირდა.

შემდგომში ბევრ ციმბირში ნამსახურს შევხვედრივარ, რომლებმაც „განსაკუთრებული განყოფილების“ არსებობის შესახებ პირველად ჩემგან გაიგეს. კანონთა კრებულში მასზე სულ ექვსიოდე პწკარია ნათქვამი: „ციმბირში ყველაზე მძიმე კატორლული სამუშოების შემოღებამდე, ამა და ამ ციხესთან ყველაზე საშიშ დამნაშავეთათვის იქმნება განსაკუთრებული განყოფილება“. ამ განყოფილების პატიმრებმაც კი არ იცოდნენ: სამუდამოდ იყვნენ თუ ვადით. ვადას არ უნიშნავდნენ, ეუბნებოდნენ ყველაზე მძიმე სამუშაოების შემოღებამდეო, სულ ეს იყო; მაშასადამე, „მთელი კატორლის“ ვადით. რა გასაკვირია, თუ ეს არც სუშილოვმა იცოდა და არც არავინ ჯგუფში. თვით მიხაილოვის ჩათვლით, რომელიც მასზე წარმოდგენას თავისი მძიმე დანაშაულის მიხედვით თუ შეიქმნიდა, დანაშაულისა, რომლის გამოც უკვე სამი-ოთხი ათასი ვერსი გამოეწვო. მაშასადამე, კარგ ადგილას არ აგზავნიდნენ, სუში-

ლოვი კი დასახლებაში მიდის; ამას რა სჯობს? „არ გინდა შევენაცვლოთ?“ შეზარხოშებული სუშილოვი, ალალი ვაცი, მიხაილოვისადმი მადლიერებით აღვსილი (მან ხომ პატივი სცა!), ხათრით უარს ვერ ეუბნება. ამასთან, ჯგუფში გაგებული აქვს შენაცვლება დასაშვებია, სხვები ხომ ენაცვლებიან, მაშასადამე, უჩვეულო და გაუგონარი აქ არაფერიაო და ეთანხმება. უსინდისო მიხაილოვი, სუშილოვის მეტისმეტი მიაძი-ტობით სარგებლობს და მისგან წითელ პერანგად და ვერცხლის მანეთად მოწმეების თანდასწრებით გვარს ყიდულობს. მეორე დღეს სუშილოვი გამოფხიზლდება, მაგრამ ისევ ასმევენ, უარის თქმა არც ივარგებს: ვერცხლის მანეთიანი უკვე გაფლანგულია, ცოტა ხანში აღარც წითელი პერანგია მთელი. არ გნებავს? მაშინ ფული დააბრუნე. სად იშოვოს სუშილოვმა ვერცხლის მანეთიანი? არ მისცემს და არტელი აიძულებს: არტელი ასეთ ფაქტებს მკაცრად სჯის. ამასთან, თუ პირობა მიეცი, უნდა შეასრულო კიდევ. არტელი ამასაც მოითხოვს, თუ არა და გაიძულებენ, გცემენ, დაგაშინებენ, უკიდურეს შემთხვევაში, ჩაგაძაღლებენ კიდევ.ლე ასეა. ასეთ საქმეში არტელმა ერთხელაც რომ ღმობიერება გამოიჩინოს, სახელების გაცვლის ჩვეულებაც გაქრება. თუ ვინმე პირობაზე უარს იტყოდა და ფულის აღების შემდეგ გარიგება არ შედგებოდა, მაშინ ვინდა შეასრულებდა პირობას? ერთი სიტყვით, ეს არტელის, საერთო საქმეა და ჯგუფიც ამგვარ შემთხვევებში მკაცრია. ბოლოს სუშილოვი მიხვდა, რომ თავს ველარ დააღწევდა და ბედს შეურიგდა. ამას მთელი ჯგუფის გასაგონად აცხადებენ და არტელს უმასპინძლდებიან. მათთვის, რასაკვირველია, სულერთია: მიხაილოვი წავა ჯანდაბაში თუ სუშილოვი. ღვინო ხომ დააღვინეს, აპურმარილეს, მაშასადამე სუ! პირველსავე ეტაპზე გვარებს წაიკითხავენ. „მიხაილოვ!“ „ვარ!“ სუშილოვი ეხმაურება. „სუშილოვი!“ „ვარ!“ იძახის მიხაილოვი, და გზას განაგრძობენ. ამ ამბავს მეტად აღარც იხსენებენ. ტობოლსკში ჩასულ

გადასახლებულებს ახარისხებენ. „მიხაილოვს“ დასახლებაში გზავნიან, „სუშილოვს“ კი, გაძლიერებული დაცვის თანხლებით, განსაკუთრებულ განყოფილებაში უკრავენ თავს. ამის შემდეგ ყოველგვარ პრო-

ტექსტს აზრი ეკარგება, შეუძლებელიცაა. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, როგორ დაამტკიცებ სიმართლეს? რამდენ წელს გაჭიანურდებოდა ეს პროცესი? რა იცი, კიდევ რა გელოდება? სად არიან მოწმეები? კიდევ რომ ყოფილიყვნენ, მოწმედ ვინ დაუდგებოდა? ჰოდა, ასეც მოხდა, რომ სუშილოვმა ვერცხლის მანეთიანისა და წითელი პერანგისთვის „განსაკუთრებულ განყოფილებაში“ ამოყო თავი.

პატიმრები სუშილოვს დასცინოდნენ არა იმიტომ, რომ შეენაცვლა (თუმცა მსუბუქ სასჯელიანებს, რომლებიც მძიმე სასჯელიანებს ენაცვლებოდნენ, როგორც შარში გახვეულ ბრიყვებს, ჩვეულებისამებრ, ზიზღით უყურებდნენ), არამედ მეტისმეტად უმნიშვნელო საზღაურის გამო წითელი პერანგი და ვერცხლის მანეთიანი, დიდებულთა! ზოგადად დიდ თანხაზე ენაცვლებიან. მაგალითად, რამდენიმე ათეულ მანეთსაც კი იღებენ. სუშილოვი კი ყველას თვალში ისეთი უსიტყვო, უპიროვნო და უბადრუკი იყო, რომ დაცინვადაც არ ღირდა.

რამდენიმე წელი ერთად ვცხოვრობდით. თანდათანობით ძალიან შემეჩვია; ამას აშკარად ვგრძნობდი. მეც ძალიან შევეჩვით. ერთხელ ამას თავს ვერასოდეს ვაპატიებ მან რაღაც თხოვნა არ შემისრულა, ფული კი ის-ის იყო გამომართვა, ამიტომ მკაცრად ვუთხარი: „აი, სუშილოვ, ფულს იღებთ, საქმეს კი არ აკეთებთ!“

სუშილოვს კრინტი არ დაუძრავს, მოწყენილი ჩემ საქმეზე გაიქცა.

ორიოდე დღე გავიდა. ისევ სევდიანი იყო. შეუძლებელია, ასე ჩემს სიტყვებს ემოქმედა-თქო, ვფიქრობდი. ვიცოდი, ერთი პატიმარი, ანტონ ვასილიევი, დაჟინებით სთხოვდა რაღაც გროშიან ვალს. უთუოდ ფული არა აქვს და რცხვენია მთხოვოს-მეთქი. მესამე დღეს ისევ მე გამოვიჩინე ინიციატივა: „სუშილოვ, მგონი ანტონ ვასილიევისთვის ფული გჭირდებათ. ინებეთ“. ამ დროს ნარზე ვიჯექი. სუშილოვი წინ მედგა. სახტად დარჩა, თავად რომ შევთავაზებ ფული. უმწეო მდგომარეობაში იყო. უკანასკნელ ხანებში, მისი აზრით, ისედაც ერთობ ბევრი წაიღო ჩემგან, ამიტომ ვერ წარმოედგინა, თუ კიდევ მივცემდი. ჯერ ფულს შეხედა, მერე მე, უცებ შეტრიალდა და გავიდა. ძალიან გამიკვირდა.

გავყევი. ყაზარმების უკან დავეწიე. თავი საპყრობილის ღობეზე მივდო და ხელებით ჩამოყრდნობოდა. „სუშილოვ, რა დაგემართათ?“ ვკითხე. არ შემომხედა. ჩემდა განსაცვიფრებლად, შევამჩნიე, რომ სადაცაა ატირდებოდა. „თქვენ, ალექსანდრ პეტროვიჩ... ფიქრობთ, წამოიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტ და თან გვერდზე იყურებოდა: რომ მე თქვენ... ფულისთვის... მე კი... მე... ეეჰ“. აქ ის კვლავ მესრისკენ შებრუნდა, ზედ შუბლით მიეხეთქა და ატირდა. კატორლაში მტირალ ადამიანს პირველად ვხედავდი. ძლივს დავაწყნარე.

ამ ამბის შემდეგ კიდევ უფრო გულმოდგინედ მემსახურებოდა და „ყურადღებას მაქცევდა“. ვგრძნობდი, რომ უხეშ, მკაცრ ტონს ის არასდროს მაპატიებდა. ამ დროს სხვები დასცინოდნენ, წარამარა აბუჩად იგდებდნენ, ზოგჯერ ლანძღავდნენ მათთან სრულ თანხმობაში და მეგობრულად ცხოვრობდა, არც არასოდეს სწყენია. დიახ, ძალზე ძნელია ადამიანის გამოცნობა, დიდი ხნის ნაცნობობის მიუხედავადაც!

ჩემი კატორღული ცხოვრება ჭეშმარიტი სახით მხოლოდ შემდგომში, უკვე თავისუფლებაში გავაცნობიერე. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ხარბი, მომეტებული ყურადღებით ვაკვირდებოდი, ისეთი რამეც ვერ შევნიშნე, რაც ცხვირწინ მქონდა. ბუნებრივია, ჯერ თვალშისაცემი, მკვეთრად გამორჩეული მოვლენები მათაცებდა, მაგრამ მათაც, შესაძლოა, არასწორად აღვიქვამდი და ჩემს სულში მხოლოდ მძიმე, უიმედოდ მწუხარე შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩემმა შეხვედრამ პატიმარ ა.-ვთან, რომელიც საპყრობილეში ჩემზე ცოტა ადრე იყო მოსული და გადასახლების პირველ დღეებში განსაკუთრებით მწვავე შთაბეჭდილებით გამაოცა. თუმცა, საპყრობილეში მისვლამდეც ვიცოდი, რომ აქ ა.-ვს შეხვდებოდი. მან ისედაც მძიმე დღეები კიდევ უფრო მომიშხამა და სულიერი წამება გამიორკვეცა...

ეს იყო ადამიანის დაცემის ყველაზე საზიზღარი მაგალითი, რომელმაც საკუთარ თავში ყოველგვარი ზნეობრივი გრძნობა მოკლა. ა.-ვი ის ახალგაზრდა აზნაური მამაკაცი იყო, რომელიც ყველას პლაცმაიორთან აბეზღებდა და მაიორის დენშიჩი ფედკას ემეგობრებოდა.

სწავლაზე გულაყრილი ა.-ვი მოსკოვში მისი გარყვნილი ზნის გამო აღშფოთებულ მშობლებს წაეჩხუბა, პეტერბურგში ჩავიდა და ფულის საშოვნელად ერთ უსაზიზღრეს დაბეზღებას არ მოერიდა: გადაწყვიტა ათი კაცის სიცოცხლე გაეყიდა, რათა აღვირახსნილი ავხორცობისადმი დაუცხრომელი წყურვილი დაუყოვნებლივ დაეკმაყოფილებინა. პეტერბურგით, მისი საკონდიტროებითა და მეშჩანკსის ქუჩებით მოხიბლული, გარყვნილებას ისე დახარბდა, რომ, თუმცა უტკუო ადამიანი არ გახლდათ, უგუნური და უაზრო საქმე იკისრა. მალე ამხილეს: უდანაშაულო ადამიანების დაღუპვა მოენდომებინა, სხვები მოეტყუებინა, ამისთვის ათი წლით ციმბირში, ჩვენს საპყრობილეში გადმოასახლეს. ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, ცხოვრებას ახლა იწყებდა. ბედის ასე საშინლად დატრიალებას, წესით, უნდა ჩაეფიქრებინა, მის ბუნებაში შინაგანი ჭიდილი ან რაიმე გარდატეხა გამოეწვია. ის კი თავის ახალ ყოფას სრულიად მშვიდად შეურიგდა, მცირეოდენი ზიზღიც არ უგრძვნია, არც ზნეობრივად აღშფოთებულა; საკონდიტროებისა და მეშჩანკსის სამი ქუჩისგან განშორების გარდა, არც არაფერს ნაღვლობდა. მხოლოდ აუცილებელი სამუშაო ამინებდა. დარწმუნებული იყო, კატორღელის წოდება კიდევ უფრო მიხსნის ხელ-ფეხს გაცილებით მეტი სისაძაგლე და სიბილწე ჩავიდინო. „კატორღელი, ასეა თუ ისე, მაინც კატორღელია; რადგან ასეა, მაშასადამე, უფლება აქვს იფლიდოს კიდევ და ეს სულაც არაა სათაკილო“. ამ საძაგელ პიროვნებას ვიხსენებ, როგორც ფენომენს. რამდენიმე წელი მკვლელებში, გარყვნილებსა და პირწავარდნილ ავაზაკებში გავატარე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთი სრული ზნეობრივი დაცემა, ასეთი აშკარა გარყვნილება და ასეთი უხამსი სულმდაბლობა, როგორიც ა.-ვში ბუდობდა, არასდროს შემხვედრია. ზემოთ ვახსენე, ჩვენთან ერთი მამისმკვლეელი აზნაური იყო, მაგრამ მრავალი სარწმუნო ფაქტი მქონდა, რომ ისიც კი ა.-ვთან შედარებით კეთილშობილი და ადამიანური იყო. ჩემთვის ა.-ვი სამუდამოდ დარჩა ხორცის რაღაც ნაჭრად, რომელსაც ჰქონდა კბილები და კუჭი; ყველაზე უხეშ და მხეცურ სიამოვნებათა დასაკმაყოფილებლად მას შეეძლო ადამიანი სრულიად გულგრილად მოეკლა. დანაშაულის კვალის დასა-

ფარად ყველაფერზე წავიდოდა. არაფერს ვაჭარბებ, რადგან კარგად გავიცანი. ეს მაგალითია იმისა, სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი, თუ შინაგანად არავითარი ნორმით, არავითარი კანონით არაა დაოკებული.

დიახ, მეზიზღებოდა მისი მუდამ დამცინავი ღიმილი. ეს იყო სიმახინჯე, ზნეობრივი კვაზიმოდო. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ეშმაკი და ჭკვიანი იყო, მის მოხდენილ გარეგნობას მცირეოდენი განათლება და ნიჭი ავსებდა. არა, ასეთი ადამიანებით შემდგარ საზოგადოებას ვამჯობინებ ხანძარს, შავ ჭირსა და შიმშილს! უკვე აღვნიშნე, საპყრობილეში ჯაშუშობა და დაბეზლება ჰყვოდა. ამის გამო პატიმრებს არანაირი პროტესტის გრძნობა არ ჰქონდათ. პირიქით, ა.-ვთან ყველა მეგობრობდა და მას უფრო კეთილგანწყობით ექცეოდნენ, ვიდრე ჩვენ. იმის გამო, რომ ლოთი მაიორი სწყალობდა, პატიმრებში მეტი წონა და მნიშვნელობა ჰქონდა. სხვათა შორის, მაიორს დააჯერა, პორტრეტების გადაღება შემოძლიაო (პატიმრებს არწმუნებდა, გვარდიის პორუჩიკი ვიყავიო). მაიორმაც ბრძანა, სამუშაოდ მასთან გაეგზავნათ სახლში, რასაკვირველია, მისი პორტრეტის დასახატად. სწორედ იქ დაუახლოვდა დენშჩიკ ფედკას, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თავის ბატონზე, მაშასადამე, საპყრობილეში ყველასა და ყველაფერზე.

ა.-ვი მაიორთან მისივე მოთხოვნით გვაბეზღებდა, არადა, როცა დალევდა, ლოყაზე სილას აწნავდა და ლანძღავდა: შე ჯაშუშო და მაბეზღარაო! ჩვენმა მაიორმა, მგონი, მართლაც დაიჯერა, რომ ა.-ვი შესანიშნავი მხატვარი იყო, ლამის ბრიულოვიც კი; თუმცა, თავს მაინც უფლებამოსილად თვლიდა, მას ალიყურით გამასპინძლებოდა, აქაოდა, მართალია, მხატვარი ხარ, მაგრამ კატორღაში ბრიულოვიც რომ იყო, მაინც შენი უფროსი ვარ და რასაც მინდა, იმას გიზამო. სხვათა შორის, ა.-ვს აიძულებდა მისთვის ჩექმები გაეხადა, საძინებლიდან ღამის ქონის გატანას ავალეებდა და მიუხედავად ამისა, მაინც დიდხანს თვლიდა გამოჩენილ მხატვრად. პორტრეტის დახატვა უსასრულოდ გაჭიანურდა, თითქმის წელიწადი. ბოლოს მაიორი მიხვდა, რომ ატყუებდა; როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ პორტრეტს საშველი არ ადგებოდა, უაზ-

რო შტრიხებში თავი ვერ ამოიცილო, გაწყრა, მხატვარი მიბეგვა და დასასჯელად შავ სამუშაოზე გაგზავნა. ა.-ვი ამის გამო შეწყუბდა, მუქთახორობაზე, მაიორის ნასუფრალსა და მეგობარ ფედკაზე უარის თქმ ემძიმებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ა.-ვის გამობურძაყების შემდეგ მაიორმა მ.-ის დევნა შეწყვიტა. ამ პატიმარზე ა.-ვი განუწყვეტლივ ცუდს ჩასჩინებდა და აი, რატომ: ა.-ვის საპყრობილეში მოსვლისას მ.-ი მარტო იყო. ძალიან ნაღვლობდა. არაფერი ჰქონდა საერთო სხვა პატიმრებთან, მათ ძრწოლითა და ზიზღით უყურებდა. მათთან საერთო ენა ვერ მოძებნა. ისინიც სიძულვილით პასუხობდნენ. საერთოდ, მ.-ის მსგავსი პატიმრების მდგომარეობა საპყრობილეში საშინელებაა. მიზეზი, რის გამოც ა.-ვი საპყრობილეში მოხვდა, მ.-თვის უცნობი იყო. ა.-ვი მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე და მაშინვე დაარწმუნა, მეც თითქმის იმისთვის გადმომასახლეს, რისთვისაც შენო. მ.-ს ძალიან გაუხარდა მეგობარი რომ იპოვა. კატორღის პირველ დღეებში უკან დასდევდა, ანუგეშებდა, ეგონა, ძალზე იტანჯებო. ატმევდა, უკანასკნელი ფული მისცა. აუცილებელი ნივთები გაუყო; მაგრამ ა.-ვს ის მაშინვე სწორედ ამ კეთილშობილებისთვის შესჯავრდა და, რაც მთავარია, სრულიად არ ჰგავდა მას. ყველაფერი, რაც მ.-მა მას საპყრობილესა და მაიორზე გაუზიარა, ა.-ვმა პირველივე შემთხვევისთანავე მაიორს ჩაუკარკლა. მაიორს ამის გამო საშინლად შესძულდა მ.-ი და ჩაგრაავდა; რომ არა კომენდანტი, უბედურება დატრიალდებოდა. როცა მ.-მა მისი სიმდაბლის ამბავი გაიგო, ა.-ვი სირცხვილს ნამდვილად არ შეუწყუხებია, პირიქით, მასთან შეხვედრას არ ერიდებოდა და დამცინავად უმზერდა. ამაზე რამდენჯერმე თავად მ.-მა მითხრა. ეს საზიზღარი არსება შემდეგ ერთ პატიმართან და ბადრაგთან ერთად გაიქცა, მაგრამ ამაზე შემდგომ.

თავდაპირველად ა.-ვი მეც მეტენებოდა, ეგონა, ვერ გავშიფრავდი. მან მომიწამლა კატორღის პირველი დღეები. საშინელ სიბილწესა და სიმდაბლეში ჩავარდნილი ვაცის ნახვამ შემადრწუნა. ერთხანს ვიფიქრე კიდევ, რომ სატუსალოში ყველაფერი საშინლად შერყვნილი იყო.

მაგრამ ვცდებოდი: ყველაზე ა.ვის მიხედვით მსჯელობა არ შეიძლებოდა.

პირველ სამ დღეს სევდიანი დავეხეტებოდი, ჩემს ნარზე ვიწექი, აკიმ აკიმიჩის რეკომენდაციით სანდო პატიმარს პერანგების შესაკერად ჩემზე გაცემული სახაზინო ხამი ტილო ვანდე, რასაკვირველია, ფული უნდა გადამეხადა (თითო პერანგში რამდენიმე გროში). აკიმ აკიმიჩის დაჟინებული რჩევით შევიძინე დასაკეცი, ტილოშემოკერებული ქერის ლეიბი ლავაშვით თხელი, მატყლით გატენილი ბალიში, რომელიც საშინლად მაგარი მეჩვენა.

აკიმ აკიმიჩი ყველა ჩემი ნივთისთვის ადგილის მოსანახად ბევრს ირჩებოდა, ამ საქმეში თავადაც მონაწილეობდა: სხვა პატიმრებისგან ძონძები გაცვეთილი ქურთუკები და შარვლები მაყიდინა, ნაკუწებად დაჭრა და თავისი ხელით საბანი შემიკერა. სახაზინო ნივთები ვადის გასვლის შემდეგ ტუსაღის საკუთრებაში რჩებოდა და, რასაკვირველია, მაშინვე იქვე საპყრობილეში ყიდდნენ. ნივთს, რაგინდ ნახმარიც უნდა ყოფილიყო, მუშტარი მაინც გამოუჩნდებოდა. თავდაპირველად ეს ყველაფერი მიკვირდა. ზოგადად, ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო ხალხთან. თავადაც ისეთივე მდაბიოდ ვიქეცი, ისეთივე კატორღელად, როგორც ისინი იყვნენ. მათი ჩვევები, წარმოდგენები, აზრები თითქოს ჩემულისგან განსხვავებული იყვნენ. მათი წარმოდგენა არ მქონდა, თუმცა ციდან მოვლენილი არ ვყოფილვარ; მაგრამ სინამდვილე სულ სხვა რამეა, ვიდრე ის, რასაც ცოდნით და სხვათა ნათქვამით წარმოიდგენ. მაგალითად, რას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ასეთი რამეები, ასეთი ძველმანებიც გამომადგებოდა?! რომ ამ ძველმანებით შეკერილ საბანს დავიფარებდი.

ძნელი წარმოსადგენია პატიმრის ტანისამოსისთვის განკუთვნილი მაუდის სახეობა. გარეგნულად თითქოს მართლაც ჰგავდა სქელ ჯარისკაცულ მაუდს, მაგრამ ოდნავ ხმარებაში უკვე რალაც ხოლიხივით ხდებოდა და უღმობლად იჩეჩებოდა. თუმცა მაუდის ტანსაცმელს ერთი

წლის ვადით აძლევდნენ, მაგრამ ამ ვადის გატანა არ იყო იოლი. პატიმარი მუშაობს, ზურგით ტვირთი გადააქვს, ტანსაცმელი ეხეხება და მალე ეხევა. ტყაპუჭს სამი წლით იძლეოდნენ და, როგორც წესი, მთელი ამ ხნის მანძილზე ტანსაცმლად, საბნად და ქვეშაგებადაც ხმარობდნენ. მაგრამ ტყაპუჭი მაგარია, თუმცა მესამე წელს, ანუ ხმარების ვადის ბოლოს, იშვიათად ნახავდით ვინმეს, უბრალო ტილოთი დაკერებული რომ არ სცმოდა. ამის მიუხედავად, ვადის გასვლის შემდეგ საკმაოდ გაცვეთილიც ორმოციოდე კაპიკ ვერცხლად იყიდებოდა. ზოგიერთი, უკეთესად შენახული კი ვერცხლის ექვს ანშვიდ უზალთუნადაც. კატორღაში ეს დიდი ფული იყო. ფული კი, როგორც აღვნიშნე, საპყრობილეში ყოვლისშემძლე გავლენით სარგებლობდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აქ ვისაც თუნდაც ცოტაოდენი ფული ჰქონდა, ათჯერ ნაკლებად წვალობდა, ვიდრე სავსებით არაფრისმქონენი. თუმცა, ამ უკანასკნელთ ხაზინა ყველაფრით უზრუნველყოფდა, ამიტომაც ციხის უფროსობას მიაჩნდა, რომ პატიმრებს ფული არაფერში სჭირდებოდათ!

ჩემი აზრით, რომ არა საკუთარი ფული, პატიმრები შეიშლებოდნენ ან ბუზებივით დაიხოცებოდნენ (მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრით უზრუნველყოფილნი იყვნენ!) ანდა გაუგონარ ბოროტმოქმედებას ჩაიდნდნენ, ერთნი დარდისგან, მეორენი კი რაც შეიძლება მალე დასჯის სურვილით, იქნებ, როგორმე შევიცვალოთ ხვედრიო (ტექნიკური გამოთქმა). თუ პატიმარი სისხლნარევი ოფლის ფასად შოულობს ორიოდე გროშს, ანდა ხშირად ფულისთვის ქურდობას, ძალადობასა და თაღლითობასაც არ ერიდება და მერე უგუნურად, ბავშვური ქარაფშუტობით ხარჯავს, ეს სრულიადაც არ ამტკიცებს, თითქოს ფულის ყადრი არ იცოდეს ამას იმისთვის აკეთებს, რასაც ფულზე ერთი საფეხურით მაღლა აყენებს! და იცით, რა არის ეს? თავისუფლება, ან თუნდაც ოცნება თავისუფლებაზე. პატიმრები კი დიდი მეოცნებენი არიან. ამაზე ქვემოთაც შევჩერდები, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და გეტყვით: უნდა დამიჯეროთ, მე მინახავს ოცი წლის ვადით გადმოსახლებულნი, რომლებიც უაღრესად მშვიდად მეუბნებოდნენ, მაგალითად, ასეთ რამეს: „მოიცადე, ღვთის წყალობით, ვადას დავასრულებ, და მაშინ“ ... სიტყვა „პატიმ-

რის“ მთელი დედააბრი ნიშნავს თავისუფლებამოწყურებულ ადამიანს, ხოლო, როცა ის ფულს ხარჯავს, უკვე თავის ნებასურვილისამებრ იქცევა. მიუხედავად ყოველგვარი დაღის, ბორკილებისა და საპყრობილის საძულველი გალავნისა, რომლის წყალობითაც წუთისოფელი დაეხშო და მხეცივით გალიაში გამომწყვდეულა, მას შეუძლია იშოვოს ღვინო, ანუ აკრძალული სიამოვნება, ილაპარაკოს უწმაწურად, ზოგჯერ (მაგრამ, არა ყოველთვის) მოისყიდოს კიდევ თავისი უშუალო უფროსები, ინვალიდები და უნტეროფიცერიც კი, რომლებიც თვალს არიდებენ, როცა პატივცემული პატიმარი კანონსა და შინაგანაწესს არღვევს. უფრო მეტიც, შეუძლია, თავი გამოიჩინოს, ანუ ამხანაგებს თავი მოაჩვენოს და თუნდაც დროებით საკუთარი თავიც დაირწმუნოს, რომ მას გაცილებით მეტი თავისუფლება და ძალაუფლება აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, მოკლედ, შეუძლია იქეიფოს, შფოთი ატეხოს, ვინმე მიწასთან გაასწოროს ან დაუმტკიცოს, რომ ყველაფერი შეუძლია, რომ ყველაფერი „მის ხელშია“; მაშასადამე, თავი დაირწმუნოს იმაში, რაზეც საწყალი კაცი, ჩვეულებისამებრ, ფიქრსაც ვერ ბედავს. ალბათ, ამიტომაც შეიმჩნევა პატიმრებში, ფხიზელ მდგომარეობაშიც კი, საყოველთაო მიდრეკილება ქეიფისადმი, ტრაბახისადმი, საკუთარი პიროვნების კომიკური და უაღრესად გულუბრყვილო, თუნდაც მოჩვენებითი განდიდებისადმი. ბოლოს და ბოლოს, ამ ყველაფერში ხომ არის ერთგვარი რისკი, მაშასადამე, არის ცხოვრების თუნდაც რაღაც აჩრდილი, თავისუფლების თუნდაც შორეული ლანდი. ხოლო რას არ მისცემ თავისუფლებაში? რომელი ყელზე მარყუჟჩაჭერილი მილიონერი არ გაიღებდა მთელ თავის ქონებას თავისუფლების სანაცვლოდ?

უფროსობას უკვირს, როდესაც რომელიმე პატიმარს წლობით მორჩილად, სამაგალითოდ უჭირავს თავი, სანაქებო ქცევისთვის ათისთავადაც კი დანიშნეს, და უცებ, სრულიად მოულოდნელად, თითქოს ეშმაკი შეუძვრაო, იქეიფებს, შფოთს ატეხს, ზოგჯერ სისხლის სამართლის დანაშაულსაც კი ჩადენს, მაგალითად, აშკარად უდიერად მოექცევა უფროსს, ან ვინმეს მოკლავს, ან გააუპატიურებს და სხვ.

ამ ადამიანის ასე მოულოდნელი აფეთქების (ამას მისგან ყველაზე ნაკლებ მოელოდნენ) მიზეზი, შესაძლოა იყოს დაგროვილი ბოლმის შმაგი გამოვლინება, ინსტინქტური სევდა საკუთარ თავზე, თავის გამოჩენის სურვილი ანდა თავს ისე ძალიან დამცირებულად გრძნობს, რომ გონებას კარგავს, ცოფდება. მისი მდგომარეობა რამდენადმე ცოცხლად დამარხულ, კუბოში უეცრად გამოღვიძებულ ადამიანს ჰგავს, რომელიც სახურავის ახდას ცდილობს. არადა, ნებისმიერი პატიმარი ოდნავადაც რომ დაფიქრებულიყო, დარწმუნდებოდა, რომ მთელი მისი მცდელობა ამოივსებს ემსახურებოდა; მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მას დაფიქრებისთვის აღარ სცალია. აქ გონებას სიშმაგე სჯაბნის. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ პატიმარში პიროვნების ყოველგვარი თვითნებური გამოვლენა დანაშაულად ითვლება; ამ შემთხვევაში კი მისთვის სულ ერთია, დიდი იქნება ეს დანაშაული თუ მცირე. თუ ქეიფია ქეიფი იყოს, თუ რისკია რისკი იყოს, თუნდ მკვლელობისაც. ხოლო თუ დალევა დაიწყო, ისე გაიტაცებს ეს საქმე, რომ ვეღარც დააოკებ! ამიტომ, ყოველმხრივ სჯობს, საქმე აქამდე არ მივიდეს. ამ შემთხვევაში ყველა წყნარად იქნება.

დიახ, მაგრამ, ამას როგორ უნდა მიაღწიო?

1.6. პირველი თვე

საპყრობილეში მისვლისას ცოტაოდენი ფული მქონდა. ბევრი არ წამიღია, ვიცოდი, ჩამომართმევდნენ, ამიტომ რამდენიმე მანეთი სახარების ყდაში დავმალე. საბედნიეროდ, სახარების შეტანას არ კრძალავდნენ.

სახარება, შიგ ჩაკრული ფულით, ტობოლსკში მანუქეს იმ რუსებმა, გადასახლებაში უკვე რამდენიმე ათეული წელი რომ იტანჯებოდნენ და ყოველ უბედურში მოძმეს ხედავდნენ. ციმბირში, ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებსაც ლამის თავიანთი ცხოვრების დანიშნულებად მიაჩნიათ უბედურებისთვის ძმური დახმარების გაწევა. სრულიად უანგაროდ, როგორც ღვიძლ შვილებს, ისე თანაუგრძნობენ და ბრუნავენ მათზე. არ შემიძლია, ერთი შეხვედრა არ გავიხსენო.

ქალაქში, სადაც ჩვენი საპყრობილე იყო, ერთი მანდილოსანი, ქვრივი ნასტასია ივანოვნა ცხოვრობდა. რასაკვირველია, სანამ საპყრობილეში ვიყავით, არც ერთ ჩვენგანს არ შეეძლო პირადად გასცნობოდა მას. ამ ქალს თავისი ცხოვრების მიზნად თითქოს გადასახლება უღებოსადმი დახმარება აერჩია. ჩვენზე ყველაზე მეტად ბრუნავდა. ოჯახში პატიმარი ჰყავდა, თუ მისთვის ძვირფასი, ახლობელი ადამიანი, ჩვენსავით დაზარალდა, არავინ იცოდა. ეს კია, თითქოს განსაკუთრებულ ბედნიერებად მიიჩნეოდა, რაც შეეძლო, ჩვენთვის ყველაფერი გაეკეთებინა.

რასაკვირველია, ბევრის თავი არ ჰქონდა, ძალზე ღარიბულად ცხოვრობდა; მაგრამ, პატიმრები, ვგრძნობდით, რომ საპყრობილეს გადაღმა უერთგულესი მეგობარი გყავდა. სხვათა შორის, ის ხშირად გვატყობინებდა ჩვენთვის მეტად საჭირო ცნობებს.

როცა საპყრობილე დავტოვე, სანამ სხვა ქალაქში ჩავიდოდი, პირველ რიგში, მასთან შევიარე და პირადად გავიცანი. თავის ახლო ნათესავთან ფორშტადტში ცხოვრობდა. მასზე ვერც მოხუცებულს იტყოდით, ვერც ახალგაზრდას; არც ლამაზი იყო, არც უშნო, ვერც იმას მიხვდებოდით, ჭკვიანი იყო თუ განათლებული, სამაგიეროდ, მის იდუმალ სახეზე

მაშინვე ამოიკითხავდით უსაზღვრო გულკეთილობას, დაუძლეველ სურვილს ჩვენთვის ესია მოვინებინა, მდგომარეობა შეემსუბუქებინა...

ჩემს ამხანაგთან ერთად მასთან თითქმის მთელი საღამო გავატარე. სულ თვალეში შემოგვციცინებდა. იცინოდა, როცა ჩვენ ვიცინოდით, ჩქარობდა, ყველაფერზე გვეთანხმებოდა; ფაციფუცობდა, ცდილობდა, შეძლებისდაგვარად, კარგად გაგვმასპინძლებოდა; მოგვართვა ჩაი, საუბმე, ტკბილეული. დარწმუნებული ვარ, მეტიც რომ ჰქონოდა, ჩვენთვის სიხარულით გაიღებდა.

დამშვიდობებისას პაპიროსის შესანახი კოლოფები გვაჩუქა, რომლებიც მუყაოსგან თავად დაემზადებინა (ღმერთმა იცის, როგორ შეაკოწიწა), გარედან ფერადი ქაღალდები დაეწებებინა. სწორედ იმნაირი, დაწყებითი სკოლის არითმეტიკის სახელმძღვანელოს გარეკანს რომ აკრავენ (შესაძლოა, ამას მართლაც რომელიმე არითმეტიკა შეეწირა). ორივეს სილამაზისთვის, გარშემო შემოვლებული ჰქონდა ოქროსვარაყიანი ქაღალდის არშია, რომლის საშოვნელად, ალბათ, საგანგებოდ დაიარა დუქნები. „თქვენ პაპიროსს ეწევით, მაშ, შეიძლება გამოგადგეთ კიდევ“, ისე თქვა, თითქოს თავისი საჩუქრის გამო ბოდიშობსო... ზოგიერთები ამბობენ (მეც გამიგონია და წამიკითხავს), მოყვასისადმი უმაღლესი სიყვარული ამავე დროს უდიდესი ეგოიზმიცააო. თუმცა, ამ შემთხვევაში ეგოიზმს სწორედაც რომ ვერ ვხედავდი.

ერთი სიტყვით, საპყრობილეში მისვლისას დიდი ფულის პატრონი არ ვყოფილვარ, მაგრამ მაშინ როგორღაც არ შემეძლო სერიოზულად გავბრაზებულყავი იმ პატიმრებზე, რომლებიც სულ რამდენიმე საათის მისულს, ერთხელ მოტყუების შემდეგ, მეტად მიაძიტურად კვლავ (თანაც

რამდენჯერმე!) მომადგებოდნენ ხოლმე სასესხებლად.

გულახდილად ვაღიარებ: ძალიან მწყინდა, რომ ამ გულუბრყვილოდ ეშმაკ ხალხს (როგორც მეჩვენებოდა), სწორედაც რომ ბრიყვ, დოცლაპია ადამიანად უნდა ჩავეთვალე და აბუჩადაც უნდა ავეგდე, რადგან ფულზე არც მეხუთედ ვეუბნებოდი უარს. მათ სჯეროდათ, თვალში ნაცარს ვაყრიოთ. არადა, უარით რომ გამესტუმრებინა, დარ-

წმუნებული ვარ, შეუდარებლად მეტ პაცივისცემას იგრძნობდნენ ჩემ-
დამი. ამას ვაცნობიერებდი, მაგრამ, რატომღაც უარს მაინც ვერ ვეუბ-
ნებოდი.

არადა, პირველ დღეებში სერიოზულად ვფიქრობდი, საპყრობილე-
ში თუ როგორ და რა სიმაღლეზე უნდა დამეყენებინა თავი, უკეთ რომ
ვთქვა, როგორ დამოკიდებულებაში უნდა ვყოფილიყავი მათთან.
ვგრძნობდი და ვაცნობიერებდი, მთელი ეს გარემო ჩემთვის სრულიად
ახალი იყო, რომ უკუნ სიბნელეში მოვხვდი და ამდენ წელიწადს ბნელ-
ში ხელის ფათურით ვერ ვიცხოვრებდი. რაიმე გზა უნდა მეპოვა. ბო-
ლოს გადავწყვიტე, უწინარეს ყოვლისა მოვექცეულიყავი ისე, როგორც
გული, ჩემი სინდისი მიკარნახებდა. მაგრამ ისიც ვიცოდი, ეს ხომ მხო-
ლოდ აფორიზმი იყო, პატიმრული ცხოვრება კი სრულიად მოულოდ-
ნელ პრაქტიკას მთავაზობდა.

ყაზარმაში ჩემი დაბანაკების წვრილმანი საზრუნავი რაზეც უკვე ვი-
ლაპარაკე და რაშიც აკიმ აკიმიჩის წყალობით ჩავები რამდენადმე
მართობდა კიდევ, მაგრამ, ამის მიუხედავად, სულ უფრო მაწამებდა სა-
შინელი, სულის მომშხამავი სევდა: „მკვდარი სახლი!“ ვიმეორებდი
ჩემთვის, როცა ხანდახან, ბინდბუნდში, ჩვენი ყაზარმის კართან მდგა-
რი ვაკვირდებოდი პატიმრებს, რომელთაც უკვე მოეყარათ თავი სამუ-
შაოს შემდეგ და ზანტად დაეხეტებოდნენ საპყრობილის ეზოში, ყაზარ-
მიდან სასადილოებში და უკან. მათი სახისა და მოძრაობის მიხედვით
ვცდილობდი, ამ ხალხის ხასიათი გამომეცნო. ისინი ჩემ წინ პირქუში ან
მეტისმეტად მხიარული (ეს ორი გამომეტყველება ყველაზე უფრო ხში-
რია კატორღაში) სახეებით დახეტილობდნენ, ილანძღებოდნენ ან უბ-
რალოდ საუბრობდნენ. დაბოლოს, ზოგიერთი სულაც მართლ სეირნობ-
და, თითქოსდა ჩაფიქრებულნი, წყნარად, ნელ-ნელა, ზოგი დაღლილი
და აპათიური სახით, სხვები (აქაც კი!) ყოყოყურად, უპირატესობის დე-
მონსტრირებით, გვერდზე ქუდმოქცეულნი, მხრებზე ტყაპუჭმოსხმულ-
ნი, თავხედურ-ეშმაკური და უტიფარი ღიმილით იმზირებოდნენ.

„ყველაფერი ეს ჩემი გარემოა, ჩემი ახლანდელი სამყაროა, ვფიქ-
რობდი მე, რომელშიც, გინდა, არ გინდა, უნდა იცხოვრო... ვცადე კი-

დევ მათ შესახებ რაიმე გამეგო აკიმ აკიმიჩისგან, ვისთან ერთადაც, მარტოობის გასაქარვებლად, ხშირად ვსვამდი ჩაის. აქვე უნდა აღვნიშნო: პირველ ხანებში ჩაი თითქმის ჩემი ერთადერთი საკვები იყო. აკიმ აკიმიჩი ჩაიზე უარს არ ამბობდა და თავადვე ანთებდა ჩვენს სასაცილო, თვითნაკეთ, თუნუქის პატარა სამოვარს, რომელიც მ.-სგან ვიქირავე. აკიმ აკიმიჩი, ჩვეულებისამებრ, ერთ ჭიქას (ჭიქებიც მას ჰქონდა) მდუმარედ და დინჯად დაღევდა, სამოვარს დამიბრუნებდა, მაღლობას მიხდიდა და მაშინვე ჩემი ლოგინის გაშლას შეუდგებოდა. მაგრამ იმას, რისი გაგებაც მინდოდა, ვერ მეუბნებოდა; ვერ გაეგო, რატომ მაინტერესებდა ჩემ ირგვლივ მყოფი თუ მეზობელი კატორღელების ხასიათის ნიუანსები. რაღაც ეშმაკური, ჩემთვის მეტად დასამახსოვრებელი ღიმილით მისმენდა. ალბათ ფიქრობდა: „კი არ უნდა გამომკითხო, თავად უნდა გამოსცადო“.

მეოთხე დღეს კორდეგარდიის წინა მოედანზე, საპყრობილის ჭიშკართან, როგორც ყოველთვის, დილაადრიან პატიმრები ორ რიგად ჩამწკრივდნენ. წინ, პირით მათკენ, და უკან გაიჭიმნენ ჯარისკაცები, გატენილი ხიშტიანი თოფებით. თუ პატიმარმა გაქცევა სცადა, ჯარისკაცს უფლება აქვს მას ესროლოს; მაგრამ ამას უკიდურეს შემთხვევაში აკეთებს, რადგან სროლისთვის პასუხსაც აგებს.

ასევე ხდება კატორღელთა აშკარა ამბოხების დროსაც, მაგრამ ასე აშკარად გაქცევას აბა, ვინ გაბედავდა? ადგილზე იყვნენ საინჟინრო ნაწილის ოფიცერი, კონდუქტორი აგრეთვე საინჟინრო ნაწილის უნტეროფიცრები და სამუშაოების ზედამხედველი ჯარისკაცები. ამოიკითხეს გვარები. ის პატიმრები, რომლებიც სამკერვალოში მუშაობდნენ, ყველაზე ადრე იგზავნებოდნენ, საინჟინრო ხელმძღვანელობა მათ არც ეხებოდა; ისინი, საკუთრივ, საპყრობილისთვის მუშაობდნენ, მთელ საპყრობილეს მოსავდნენ.

შემდეგ მიდიოდნენ სახელოსნოებში მომუშავენი, ბოლოს უბრალო შავი მუშები. მეც ოციოდე სხვა პატიმართან ერთად ციხის გადაღმა, გაყინული მდინარისკენ გავემართე. ორი სახაზინო უვარგისი ორჩხომელი უნდა დაგვეშალა და საწვავად გამოგვეყენებინა. ასეთი ძველი მა-

სალა ძალიან იაფი იყო. ქალაქში შეშა ლამის მუქთად იყიდებოდა, რადგან ირგვლივ ხშირი ტყე იყო. ასეთ საქმეზე მხოლოდ იმიტომ გვგზავნიდნენ, რომ გულხელდაკრეფილნი არ ვყოფილიყავით. ამას ყველა კარგად აცნობიერებდა. ასეთ სამუშაოს ყოველთვის ზანტად, უგულოდ ჰკიდებდნენ ხელს. მაგრამ სულ სხვა იყო, როდესაც სამუშაო თავისთავად წარმოადგენდა საქმიან, ღირებულ საქმეს; მით უმეტეს, თუ ამ სამუშაოს თავად მოითხოვდნენ. ამ შემთხვევაში, ისინი თითქოს გამხნელებულნი (თუმცა აქედან არანაირ სარგებელს არ ელოდნენ), ილაჯს იწყებდნენ, რათა საქმე სწრაფად და კარგად დაესრულებინათ; იყო აქ რაღაც, რაც მათ თავმოყვარეობას აქვებდა. ამ სამუშაოში კი, რომელიც უფრო პროფორმისთვის სრულდებოდა, ვიდრე საჭიროებისთვის, სამუშაო განაკვეთის გამოთხოვა ძნელი იყო, რადგან მხოლოდ დაფდაფამდე, დილის თერთმეტ საათამდე, უნდა გემუშავა.

თბილი და ნესტიანი დღე იყო. თოვლი ლღვებოდა. ჩვენი ჯგუფი ჯაჭვების მსუბუქი ჟღარუნით, ციხის გადაღმა, მდინარის ნაპირისკენ გაემართა. მართალია, ჯაჭვებს ტანსაცმელი გვიფარავდა, მაგრამ მაინც ყოველ ნაბიჯზე წვრილ და მკვეთრ ლითონის ხმას გამოსცემდა: ორისამი კაცი გამოგვეყო, რათა ცვიჰაუზიდან აუსცილებელი ხელსაწყოები წამოეღო. სხვებთან ერთად მივდიოდი და თითქოს გამოვცოცხლდი კიდევ. მინდოდა, რაც შეიძლება მალე მენახა და გამეგო: რა და როგორი იყო კატორღული სამუშაო? ანდა მე, ჩემს ცხოვრებაში პირველად როგორ შევძლებდი მუშაობას?!

დღემდე ყველა წვრილმანი მახსოვს. გზაზე რომელიღაც მოკლეწვერა მეშინაი შემოგვხვდა. შეჩერდა და ჯიბეში ხელი ჩაიყო. ჯგუფიდან წამსვე გამოგვეყო პატიმარი, ქუდი მოიხადა, ნაწყალობევი ხუთი კაპიკი მიიღო და მაშინვე მკვირცხლად მობრუნდა. მეშინამა პირჯვარი გადაიწერა და გზას გაუდგა. ეს ხუთი კაპიკი იმავე დილას შეჭამეს კალაჩები იყიდეს და მთელ ჯგუფს თანაბრად უწილადეს.

ჩვენს ჯგუფში ერთნი, ჩვეულებისამებრ, პირქუში და სიტყვაძუნწნი იყვნენ, სხვები გულგრილნი და უხალისონი, დანარჩენი ერთმანეთთან ზანტად ყბედობდნენ. ერთს რაღაც საშინლად უხაროდა და ოხუნჯობდა,

მღეროდა, ლამის აცეკვებულიყო. ყოველ შეხტომამზე ბორკილებს აჟღარუნებდა. ეს სწორედ ის დაბალი და ჩაფსკვნილი პატიმარი იყო, საპატიმროში ჩემი მისვლის პირველ დილას პირის დაბანისას მეორე პატიმარს რომ წაეჩხუბა, აქაოდა, როგორ გაბედე და თავს ფასკუნჯი უწოდებო. ამ მხიარულ ახალგაზრდას სკურატოვს ეძახდნენ. ბოლოს მან რომელიღაც დარდიმანდული სიმღერა წამოიწყო, რომლის მხოლოდ მისამღერი მახსოვს: ჩემ გარეშე მაქორწინეს მე წისქვილში ვიყავი. ბალაიკაღა გვაკლდა.

მისმა არაჩვეულებრივმა მხიარულმა განწყობილებამ, რასაკვირველია, ზოგი პატიმარი მაშინვე აღაშფოთა, ზოგმა ლამის შეურაცხყოფადაც მიიღო.

აღმუვლდა! საყვედურით ჩაილაპარაკა ერთმა.

მგელს ერთი სიმღერა ჰქონდა, ისიც ტულელმა გადაიღო! ხოხლური კილოთი შენიშნა მეორე პირქუშთაგანმა.

ვთქვათ, ტულელი ვარ, მაშინვე მიუგო სკურატოვმა, თქვენ კი თქვენს პოლტავაში ანტრიებით დაიხრჩვით.

სტყუი! თითონ რას მიირთმევდი? ქალამნით შჩის ხვრეპავდი!

ახლა კი თითქოს ეშმაკი კაკლით გკვებავდეს, დაუმატა მესამემ.

მე, ძმებო, მართლაც აზიზი კაცი ვარ, ყველას გასაგონად მსუბუქი ხვნეშით პასუხობდა სკურატოვი, აქაოდა, ჩემ აზიზობას ვნანობო. პატარაობიდანვე შავქლიავსა და პამპრუსიულ ფუნთუშებზე გამოვიცადე (ე.ი. გავიზარდეო. სკურატოვი განგებ ამახინჯებდა სიტყვებს), ჩემს ღვიძლ ძმებს კი მოსკოვში ახლაც საკუთარი დუქანი აქვთ, „პროხოჟი რიადში“ ქარით ვაჭრობენ, მდიდრდებიან რაღა ვაჭრები.

შენ რიღათი ვაჭრობდი?

სხვადასხვა რაღაც-რულაცებით. აი, სწორედ მაშინ ვიგემე, ძმებო, პირველი ორასი...

ნუთუ მანეთი! დაასრულა ერთმა ცნობისმოყვარემ, რომელიც ამდენი ფულის გაგონებაზე შეკრთა.

არა, ჩემო საყვარელო, მანეთი კი არა, ჯოხი. ლუკა, ჰეი, ლუკა!

ვისთვის ლუკა ვარ, შენთვის კი ლუკა კუმინი! უგულოდ გამოეხმაურა წვეტიანცხვირა ჩია პატიმარი.

კარგი, ლუკა კუმინი, ჯანდაბას, მასე იყოს.

ვისთვის ლუკა კუმინი ვარ, შენთვის კი ბიძია.

კარგი, ჯანდაბას, იყავი ბიძია, ლაპარაკადაც არ ღირს. კარგი სიტყვის თქმა კი მინდოდა. მაშ ასე, ძმებო, აი როგორ მოხდა, რომ მოსკოვში ცოტა ხანს ვინავარდე, საბოლოოდ თხუთმეტი წკეპლა მითავაზეს და გამომისტუმრეს. აი, მე...

რისთვის გამოგისტუმრეს? გააწყვეტინა ერთმა გულმოდგინე მსმენელმა.

კარანტინში ნუ ივლი, შპუნტს ნუ დაღევე, ნუ ილაზღანდარებო. ასე რომ, ვერც კი მოვასწარი, ძმებო, მოსკოვში ნამდვილად გამდიდრება. ძალიან, ძალიან, ძალიან კი მინდოდა გავმდიდრებულიყავი, ისე მინდოდა, არც კი ვიცი, როგორ ვთქვა.

ბევრს გაეცინა. სკურატოვი მოხალისე ხუმარათაგანი იყო, უკეთ რომ ვთქვათ, იმ მასხარათაგანი, რომლებიც თავიანთი პირქუში ამხანაგების გამხიარულებას ერთგვარ ვალდებულებად მიიჩნევდნენ და, რასაკვირველია, ამაში ლანძღვის გარდა, მათ ვერაფერს გამორჩეობდნენ. ერთი სიტყვით, შესანიშნავი ვინმე იყო.

შენზე ხომ ახლაც შეიძლება სიასამურის მაგიერ წანადირება, შენიშნა ლუკა კუმინმა, შეხედეთ, მხოლოდ ტანისამოსი აცვია ასი მანეთისა.

სკურატოვს ყველაზე გაცვეთილი ტყაპუჭი ეცვა, ყოველი მხრიდან საკერებლები უჩანდა. მან საკმაოდ გულგრილად, მაგრამ ყურადღებით დაიხედა ტანზე.

სამაგიეროდ, თავი ფასობს ძვირად, ძმებო, თავი, თქვა მან, მოსკოვს რომ ვემშვიდობებოდი, ისლა მანუგეშებდა, თავი თან მახლავს-მეთქი. მშვიდობით, მოსკოვო, გმადლობ აბანოსთვის, თავისუფლებისთვის, გემოზე ამატრელეს! ტყაპუჭს კი, ძვირფასო ჩემო, რას უყურებ?!

ეგებ, შენ თავს ვუყურო.

მაგას თავი საკუთარი კი არა, ნაჩუქარი აქვს, კვლავ ჩაერთო ლუკა. ტიუმენში ჯგუფთან ერთად რომ მოდიოდა, ქრისტეს გულისთვის უწყალობეს.

რაო, სკურატოვო, ალბათ, რაიმე ხელობა გქონდა?

რის ხელობა! გამყოლი იყო, გარგოსები დაჰყავდა, ქვებს უზიდავდა, შენიშნა ერთმა პირქუშთაგანმა, ესაა მთელი მისი ხელობა.

მე მართლაც ვცადე ჩექმების კერვა, პასუხობდა სკურატოვი, თითქოს გესლიანი შენიშვნა ვერ გაიგო, სულ ერთი წყვილი შევკერე.

ყიდულობდნენ მაინც?

ჰო, გამოტყვრა ისეთი, ჩანს, ღვთისა არ ეშინოდა, მშობლებს არად აგდებდა;

დასაჯა ზენაარმა, აკი იყიდა.

სკურატოვის გარშემო ყველანი სიცილისგან გადაფიჩინდნენ.

მართლა. მერე კიდევ ერთხელ ვმუშაობდი, უკვე აქ, უაღრესი სიმშვიდით განაგრძობდა სკურატოვი, სტეფან ფეოდოროვიჩ პომორცევს, პორუჩიკს, საპირეებს ვუცვლიდი.

მერედა, კმაყოფილი დაგირჩა?

არა, ძმებო, უკმაყოფილო. საშვილიშვილოდ გამომლანძღა, კარგი პანღურიც ამომკრა, ძალზე გაბრაზდა, ეჰ, მიმტყუნა ცხოვრებამ, მიმტყუნა წყეულმა!

შემოიჭრა ეზოში, აკუ-ლი-ნას ქმა-არი...

და მოულოდნელად ხტუნვასა და ფეხების ბაკუნს მოჰყვა.

შეხე, საზიზღარი ადამიანი! ჩაიბურტყუნა ჩემ გვერდით მიმავალმა ხოხოლმა და მოცეკვავეს სიძულვილით შეუბღვრა.

უმაქნისი ვაცია! გადაჭრით და სერიოზული სახით დაასკვნა მეორემ. ნამდვილად არ მესმოდა, რისთვის ბრაზობდნენ სკურატოვზე, საერთოდაც რატომაა, რომ ყველა მხიარულ პატიმარს (ეს პირველ დღეებშივე შევნიშნე), თითქმის ყველა აბუნად იგდებს. ხოხოლისა და სხვების რისხვას პიროვნულ თვისებას ვაწერდი, მაგრამ აქ პიროვნებები კი არა, ბრაზი მოქმედებდა, ბრაზი იმის გამო, რომ სკურატოვი თავდაჭერილი არ იყო, საკუთარ ღირსებას მოჩვენებითი ფარისევლობით

არ იცავდა, რაც თითოეულ კატორღელს ძვალრბილში გასჯდომოდა, ერთი სიტყვით, მათივე თქმით, ის „უმაქნისი“ ადამიანი გახლდათ.

თუმცა ყველა მხიარულს ასე როდი უბრაზდებოდნენ; ყველას ასე აბუჩად როდი იგდებდნენ. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ როგორი მოპყრობის უფლებას აძლევდა მათ: კეთილი და მოუქნელი კაცი მაშინვე იჩაგრებოდა. ამან გამაოცა. მაგრამ იყვნენ მხიარულებიც, რომელთაც ემარჯვებოდათ და უყვარდათ შეღრენა და არავის არაფერს შეარჩენდნენ. სხვები იძულებულნი იყვნენ, მათ პატივისცემით მოქცეოდნენ. პატიმართა ამავე ჯგუფში იყო ერთი ამგვარი ბასრკბილიანი, არსებითად კი მეტად ხალისიანი და უაღრესად საყვარელი პიროვნება, რომელიც უკვე შემდგომში გავიცანი. ამ ახოვან, ბრგე ყმაწვილს, ლოყაზე დიდი მეჭეჭი აჯდა; თუმცა საკმაოდ ლამაზი და გამჭრიახი გახლდათ, ერთობ სასაცილოდ გამოხედდა ჰქონდა. მას პიონერს ეძახდნენ, რადგანაც ოდესღაც პიონერებში მუშაობდა. ახლა კი განსაკუთრებულ განყოფილებაში იმყოფებოდა. მასზე კიდევ მომიწევს საუბარი.

თუმცა, ყველა „სერიოზული“ ტუსადი ისე ექსპანსიური როდი გახლდათ, როგორც მხიარულებამდე დაგეშილი ხოხოლი. კატორღაში იყვნენ რამდენიმენი, პირველობას, ყოველგვარი საქმის ცოდნას, მოხერხებულობას, მტკიცე ხასიათსა და ჭკუას რომ ჩემულობდნენ. ბევრი მათგანი მართლაც ასეთი იყო, დასახულ მიზანს აღწევდა, ანუ პირველობდა და მნიშვნელოვან ზნეობრივ გავლენას ახდენდა თავის ამხანაგებზე. ეს ჭკუის კოლოფები ერთმანეთს ხშირად ძალიანმტრობდნენ (თითოეული მათგანი ბევრს ყელში ჰყავდა ამოსული). ისინი სხვა პატიმრებს საკუთარი ღირსების შეგნებითა და მოწყალე თვალითაც კი უყურებდნენ, უაზრო ჩხუბს ერიდებოდნენ, უფროსებში კარგი სახელი ჰქონდათ, სამუშაოებზე ერთგვარი განმკარგულებლის როლს ასრულებდნენ და არც ერთი მათგანი შარს არ მოგდებდა, მაგალითად, სიმღერისთვის; ასეთ წვრილმანებამდე თავს არ იმდაბლებდნენ. ჩემ მიმართ ყველანი, მთელი კატორღის განმავლობაში, დიდად თავაზიანნი, მაგრამ სიტყვაძვირნი იყვნენ, ამასაც თითქოს საკუთარი ღირსების გამო აკეთებდნენ. მათზე მერეც ვისაუბრებ.

ნაპირს მივადექით. ქვევით, მდინარებზე, წყალში გაყინული ძველი ორჩხომელი იდგა. ის უნდა დაგვეშალა. მდინარის გაღმა ლურჯად მოჩანდა ველი; დაღვრემილი, უკაცრიელი მიდამო... მეგონა, ყველა ერთბაშად ეძგერებოდა სამუშაოს, მაგრამ არც უფიქრიათ. ზოგი ნაპირზე მიმოყრილ მორებზე ჩამოჯდა; თითქმის ყველამ ჩექმებიდან ქისები ამოაძვრინა, შიგ ადგილობრივი თუთუნი ჰქონდათ, ბაზარში ფურცელ-ფურცელ გირვანქას სამ კაპიკად რომ ყიდდნენ; თვითნაკეთი, ხის მომცრო ტარიანი, მოკლე ჩიბუხები ამოიღეს და გააბოლეს. ბადრაგის ჯარისკაცებმა რკალი შემოგვარტყეს და მოწყენილები გვდარაჯობდნენ.

ნეტავ ვის მოეპრიანა ამ ორჩხომელის დაშლა? თავისთვის ჩაილაპარაკა ერთმა, ისე, რომ არავისთვის მიუმართავს.

ნაფოტი ხომ არ დასჭირდა?

ვისაც ჩვენი არ ეშინია, სწორედ მან მოისაზრა, შენიშნა მეორემ.

ამ გლეხუჭებს საით გაუწევიათ? ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ იკითხა პირველმა, რომელმაც, რასაკვირველია, წინა კითხვის პასუხი არ შეიმჩნია და შორს გლეხების გროვაზე მიუთითა, გაუკვალავ თოვლზე რაღაცას რომ მიათრევდნენ. ყველა ზანტად მიტრიალდა და უსაქმურობისგან მათი აბუხად აგდება დაიწყეს. სულ ბოლოს მიმავალი ერთ-ერთი გლეხი, ძალიან სასაცილოდ მიბაჯბაჯებდა, ხელებგაშლილი და გვერდზე თავგადაგდებული, რომელზეც წოწოლა გლეხური ქუდი ჩამოეფხატა, მისი ფიგურა თოვლზე მკაფიოდ ინაკვთებოდა.

დახეთ, ჩვენი ძმა პეტროვიჩი როგორ გამოწყობილა, შენიშნა ერთმა გლეხური კილოს გამოჯავრებით. აღსანიშნავია, რომ პატიმრები რამდენადმე ქედმაღლურად უყურებდნენ გლეხებს, თუმცა მათი ნახევარი გლეხობიდან იყო.

ბიჭებო, ის ნაბოლარა ისე დადის, თითქოს ბოლოკს რგავსო.

ვიღაც ყეყეჩია, უთუოდ ბევრი ფული ექნება, შენიშნა მესამემ.

ყველას გაეცინა, მაგრამ კვლავ ზანტად, თითქოს უნდობლად. ამასობაში კალაჩების გამყიდველი ქალი მოვიდა, მარჯვე და მკვირცხლი დედაკაცი.

ნაწყალობევი ხუთკაპიკიანით კალაჩები გამოართვეს და იქვე თანაბრად გაიყვეს.

საპყრობილეში კალაჩებით მოვაჭრე ყმაწვილმა ორ ათეულამდე გამოართვა, თან ევაჭრებოდა, ძველი წესისამებრ, ორი კი არა, როგორმე სამი კალაჩი მიეცა. ქალი არ თანხმდებოდა.

იმას მაინც არ მომცემ?

კიდევ რალა გინდა?

აი, რასაც თაგვი არ სჭამს.

ჩასკდი! წამოიკვილა დედაკაცმა და გადაიკისკისა.

ბოლოს გამოჩნდა სამუშაოთა ზედამხედველი, ჯოხიანი უნტეროფიცერი.

ჰეი, თქვენ, რას წამოსკუპულხართ! დაიწყეთ!

ჰოდა, ივან მატვეიჩ, დავალება მოგვეცი, წაილაპარაკა ერთმა „უფროსთაგანმა“ და ნელ-ნელა წამოდგა.

რატომ წელან, განაწილებისას, არ იკითხეთ? ორჩხომელი დაშაღეთ ესაა დავალება.

ბოლოს, როგორც იქნა, წამოლაგდნენ და ფეხათრევით მდინარისკენ ჩაიკრიფნენ. აქა-იქ ჯგუფში სწრაფად გაჩნდნენ „განმკარგულებლებიც“, ყოველ შემთხვევაში, სიტყვიერად მაინც; აღმოჩნდა, რომ ორჩხომელი კი არ უნდა დაგვეჩეხა, არამედ ძელები უნდა გადაგვეჩინა და, შეძლებისდაგვარად, ორჩხომელის ძირში, მთელ მის სიგრძეზე ხის ლურსმნებით გარდიგარდმო ჩაჭედებული კაუჭები, რაც ხანგრძლივი და მოსაწყენი სამუშაო გახლდათ.

აი, იქნებ ჯერ ეს პატარა ძელი გადავართოთ. აბა, ბიჭებო, შევუდგეთ! დაიწყო ერთმა „არაგანმკარგულებელმა“, არც უფროსთაგანმა, უბრალოდ შავმა მუშამ, უენო და წყნარმა კაცმა, აქამდე რომ ჩუმად იყო; მოიღუნა და დამხმარეთა მოლოდინში მსხვილ ძელს ხელები მოსჭიდა. არავინ მიეშველა.

უცებ არ ასწიო შენმა მზემ! ვერც შენ ასწევ, ვერც შენი ბაბუა, დათვიც რომ მოვიდეს, ვერც ის ასწევს! ბუზღუნით გამოსცრა ვილაცამ კბილებში.

მაშ, რა ვქნათ, ძმებო, როგორ დავიწყოთ აღარც კი ვიცი... წაიბუტბუტა შეცბუნებულმა წინამასწარამ, ძელს მოეშვა და წელში გაიმართა. მთელ სამუშაოს ვერ მოერევი... რას გამოხტი?

ორ ბატს არ ანდობს კაცი, აქ კი პირველი ეჩხირება... მეცამეტე გოჭი!

ძმებო, ეს არაფერია, ბოდიშობდა შეცბუნებული, ეს მხოლოდ ისე...

ბოლოს და ბოლოს, შალითები ხომ არ ჩამოგაცვათ? იქნებ საბამთროდ თქვენს დამწნილებას მიბრძანებთ? ისევ შეუყვირა ზედამხედველმა, თანაც გაკვირვებული უყურებდა ოცკაციან ჯგუფს, რომელმაც არ იცოდა, საქმე საიდან დაიწყო აბა, დაიწყეთ, ჩქარა!

აჩქარებით ვერაფერს გააკეთებ, ივან მატვეიჩ.

გეყოფა, შენ ისედაც არაფერს აკეთებ; ჰეი, საველიევ! ლაქლაქა, შენ გეუბნები: რას უდგახარ? რას დაგიჭყეტია თვალები?... დაიწყე.

მერე და მარტო ხომ არ დავიწყებ?

სჯობს თითოეულს სამუშაო დავალება განგვისაზღვროთ, ივან მატვეიჩ.

ითქვა ცალ-ცალკე დავალება არ იქნება-მეთქი. დაშლით ორჩხოველს და შინ წახვალთ. დაიწყეთ!

ბოლოს შეუდგნენ, მაგრამ უხალისოდ, უგულოდ, მოუქნელად. გულიც კი დაგწყდებოდა, როცა ამ ჯანმაგარ, საგონებელში ჩავარდნილ მომუშავეთა ჯგუფს შეხედავდი. ის-ის იყო პირველი, ყველაზე პატარა კაუჭის ამოღება დაიწყეს, აღმოჩნდა, რომ იმტვრეოდა. „თითონ იმტვრევა“, თავის გასამართლებლად ზედამხედველს მიუტანეს. მაშასადამე, ასე მუშაობა შეუძლებელი იყო, რამენაირად სხვამხრიდან უნდა მოეფლოთ. გაჩნდა გაუთავებელი ბჭობის საბაბი სხვაგვარად როგორ მოქცეულიყვნენ? რა ელონათ? რასაკვირველია, საქმე თანდათან ლანძღვა-გინებადმდეც კი მივიდა, ჩანდა, უფრო შორსაც შეტოპავდნენ... ზედამხედველმა კვლავ შეუძახა და ჯოხი დაუქნია, მაგრამ კაუჭი ისევ გატყდა. ბოლოს გაირკვა, ცულები არასაკმარისი იყო, კიდევ უნდა მოეტანათ. მაშინვე გამოყვეს ორი ყმაწვილი და ბადრაგის თანხლებით ხელსაწყოს ამოსატანად საპყრობილეში გაგზავნეს. მათ მოლოდინში და-

ნარჩენები არხეინად ჩამოსხდნენ ორჩხომელაზე. ისევ თავიანთი ჩიბუხები ამოიღეს და გააბოლეს.

ზედამხედველმა ბოლოს გადააფურთხა.

თქვენს ხელში სამუშაოს ხეირი არ დაეყრება! ეჰ, რა ხალხი ხართ, რა ხალხი! წაიბურტყუნა ბრაზით, ხელი ჩაიქნია და ჯოხის ტრიალით საპყრობილეში გასწია.

ერთი საათის შემდეგ მოვიდა კონდუქტორი. პატიმრებს გულდამშვიდებით მოუსმინა. ბოლოს განუცხადა: კიდევ ოთხი კაუჭი უნდა ამოიღოთ, ოღონდ ისე, რომ აღარ დაამტვრიოთო. ამას გარდა, ორჩხომელის ნაწილიც უნდა დაეშალათ, იმ პირობით, რომ შემდეგ ყაზარმაში დაბრუნების უფლება მიეცემოდათ. საკმაოდ რთული დავალება იყო, მაგრამ, ღმერთო, უნდა გენახათ, როგორ დაიწყეს! სად გაქრა სიზარმაცე?! აკაკუნდნენ ცულები. ერთნი ორჩხომელიდან ლურსმნებს აძრობდნენ, დანარჩენები მარდად და ოსტატურად იღებდნენ კაუჭებს, რომლებიც, ჩემდა გასაოცრად, ამჯერად სრულიად მთელნი და დაუზიანებელნი რჩებოდა. გაჩაღდა მუშაობა; უცებ ყველა რაღაც უჩვეულოდ დაჭკვიანდა. არცერთი ზედმეტი სიტყვა, არც ლანძღვა-გინება; თითოეულმა იცოდა, რა ეთქვა, რა გაეკეთებინა, სად დამდგარიყო. დაფდაფამდე ზუსტად ნახევარი საათით ადრე მიცემული სამუშაო დამთავრეს და დაღლილი, სრულიად კმაყოფილი პატიმრები შინისკენ გაემართნენ. თუმცა დანიშნულ დროსთან შედარებით სულ რაღაც ნახევარი საათი მოიგეს.

ჩემ მიმართ მათ ერთი თავისებურება შევნიშნე: მუშაობისას სადაც არ მივეტმასნე საშველად, ყველგან ზედმეტ ბარგად აღმიქვეს. ყველას ხელს ვუშლიდი, ყველა ლამის ლანძღვით მიშორებდა...

რომელიმე უკანასკნელი გლახაკთაგანი, ყველაზე მდარე მუშაც კი, მასზე უფრო მარჯვე და ჭკვიანი ამხანაგების წინაშე კრინტსაც რომ ვერ სძრავდა, ისიც კი თავის ვალდებულებად მიიჩნევდა, ჩემთვის დაეყვირა, თუკი გვერდით დავუდგებოდი. ბოლოს ერთმა თამამმა პირდაპირ და უხეშად მითხრა: „სად მიძვრებით, გასწით აქედან! რას ეჩრებით, სადაც არ გეკითხებიან?“

გაება მახეში! წამსვე ბანი მისცა მეორემ, გიჯობს, ყულაბა აიღო, მითხრა მესამემ, წადი, ფული აგროვე ეკლესიის ასაგებად, თუთუნში წასაგებად, აქ არაფერი გესაქმება.

იძულებული ვიყავი ცალკე დავმდგარიყავი; ცალკე დგომა კი, როცა ყველა მუშაობს, როგორღაც უხერხულია, მაგრამ განზე რომ გავედი და ორჩხომელის ბოლოში გავნაპირდი, მაშინვე წამომამახეს: აი, როგორ მუშებს გვაყოლებენ; რის მაქნისები არიან? არაფრის!

ყველაფერ ამას, რასაკვირელია, განგებ ამბობდნენ, ვინაიდან ამით ყველა ერთობოდა. ნებისმიერ თავადაზნაურზე გული ხომ უნდა მოეფხანათ! და, რა თქმა უნდა, უხაროდათ, ამის შემთხვევა რომ მიეცათ.

მივხვდი, ჩემი პირველი პრობლემა ამ ხალხთან მოქცევა და თავდაჭერა იყო. ვერძნობდი, მსგავსი დაპირისპირება მათთან მომავალშიც ხშირად მექნებოდა. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე, არ გადამეხვია ჩემი სამოქმედო გეგმიდან, რომელიც ამ დროისთვის ნაწილობრივ უკვე მოფიქრებული მქონდა; ვიცოდი, სწორი გზით მივდიოდი. სახელდობრ, გადავწყვიტე თავი რაც შეიძლება უბრალოდ და დამოუკიდებლად დამეჭირა, მათთან დაახლოების სწრაფვა საერთოდ არ უნდა გამომემჟღავნებინა; ჩემგან არც უკადრისობა უნდა ეგრძნოთ, თუ ისინი თავად მოისურვებდნენ ჩემთან დაახლოებას; მათი მუქარისა და სიძულვილის არ უნდა შემშინებოდა, შეძლებისდაგვარად, ისეთი სახე მიმელო, ვითომ ვერც კი ვამჩნევდი ამას; მათ ყაიდაზე არ უნდა მეცხოვრა და არც ზოგიერთ, მათ ადათ-ჩვევისთვის ამება მხარი. ერთი სიტყვით, მათ არ უნდა მივტმასნოდი. ერთი თვალის გადავლება დამჭირდა, რომ მივმხვდარიყავი, ასეთი საქციელით მხოლოდ მათ სიძულვილს მოვიმიკიდი. მაგრამ, მათი გაგებით, მე უნდა დამეცვა და პატივი მეცა ჩემი აზნაურული წარმოშობისთვის (შემდგომში ეს დადასტურდა), ანუ გავნაზებულიყავი, გავპრანჭულიყავი, მათ მოვრიდებოდი, ყოველ ნაბიჯზე მებუზუნა, რაღაც მეუკადრისა. სწორედ ამგვარად ესმოდათ თავადაზნაურობა. ისინი, რასაკვირველია, ამისთვის გამლანძღავდნენ, მაგრამ გულში მაინც პატივს მცემდნენ. ასეთი როლი კი საჩემო არ გახლდათ. არასოდეს ვყოფილვარ მათეხური გაგებით აზნაური. სამაგიეროდ,

თავს სიტყვა მივეცი, მათთვის არასდროს მიმეცა ჩემი განათლების, ჩემი შეხედულებების დამცირებისა თუ დაცინვის უფლება. თუ საამებლად მათ წაველაქუცებოდი, დავეთანხმებოდი, არ მოვერიდებოდი და გულის მოსაგებად მათ ჩვევებამდე დავმდაბლდებოდი, ამას მაშინვე მშიშრობასა და სიმხდალეს ჩამითვლიდნენ და ზიზღით მომექცეოდნენ. ა.-ვი მაგალითისთვის არ გამოდგებოდა: ის მაიორთან დადიოდა და თავადვე ეშინოდათ მისი. მეორე მხრივ, არც ის მინდოდა ცივი და მიუკარებელი თავაზიანობით ჩავკეტილიყავი, როგორც პოლონელები იქცეოდნენ. ახლა ძალიან კარგად გავაცნობიერე: პატიმრებს იმის გამო ვძულდი, მათსავით მუშაობა რომ მოვინდომე, არ ვენაზებოდი და არც ვეპრანჭებოდი; თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, შემდგომში იძულებული გახდებოდნენ და ჩემზე შეხედულებას შეიცვლიდნენ, მაინც საშინლად მაწუხებდა, რომ ახლა თითქოს მათ ჩემი სიძულვილის უფლება ჰქონდათ, რადგან ეგონათ, სამუშაოზე ველაქუცებოდი. საღამოს, როცა სადილშემდგომი სამუშაოს დამთავრებისას საპყრობილეში დაღლილი დავბრუნდი, ისევ მძიმე სევდამ შემეპყრო: „რამდენი ათასი ასეთი დღეა კიდევ წინ, ყველა ამნაირი, ყველა ერთნაირი!“ შებინდებისას, ყაზარმების უკან, ღობის გასწვრივ მდუმარედ დავხეტებოდი. უცებ ჩვენი შარიკა შევნიშნე, ჩემკენ მორბოდა. შარიკა ჩვენი საპყრობილის ძაღლი იყო, ისეთი, როგორებიც არიან ხოლმე ასეულის, ბატარეისა და ესკადრონის ძაღლები. ის საპყრობილეში უხსოვარი დროიდან ბინადრობდა, არავის ეკუთვნოდა, ყველა პატრონად მიაჩნდა და სასადილოს ნარჩენებით იკვებებოდა. ეს იყო არცთუ ბებერი, საკმაოდ დიდი, კუდბუთქუნა, შავ-თეთრხალებიანი, ჭკვიანთვალე-ბიანი ნაგაზი. არავინ არასოდეს მოფერებია, ყურადღებას არავინ აქცევდა. როცა ხელს ვუსვამდი, თვინიერად იდგა, ალერსიანად მიყურებდა და კმაყოფილების ნიშნად კუდს აქიცინებდა. ალბათ, მე ვიყავი პირველი, ვინც მიეფერა. როგორც კი ჩემგან სითბო იგრძნო, ყველგან მეძებდა. ყაზარმებს უკან რომ მომნახა, წკმუტუნით ჩემკენ გამოქანდა. არც კი ვიცი, რა დამემართა, საკოცნელად თავზე ხელი მოვხვიე, წინა თათებით მხრებზე შემომახტა და სახეს მილოკავდა. „აი, მეგობარი,

რომელსაც განგება მიგზავნის“, გავიფიქრე და ყოველთვის, როცა შემდგომ, ამ პირველ მძიმე და პირქუშ ჟამს, სამუშაოდან ვბრუნდებოდი, უპირველეს ყოვლისა, მაშინვე ყაზარმების უკან გავრბოდი. წინ სიხარულისგან აწკმუტუნებული შარკა მიმიძლოდა; თავზე ხელს ვხვევდი და ვკოცნიდი, ვკოცნიდი და რაღაც ტკბილი, ამასთან, აუტანლად მწარე გრძნობა გულს მიკუმშავდა. მახსოვს, მსიამოვნებდა კიდევ იმაზე ფიქრი, რომ საკუთარი ტანჯვით თავს ვიქებდი, რომ ამქვეყნად ერთადერთი არსებალა დამრჩა, ვისაც ვუყვარვარ, ერთადერთი სანდო მეგობარი ჩემი ერთგული ძაღლი შარკა!

1.7. ახალი ნაცნობობა.

პეტროვი მაგრამ დრო მიდიოდა და მეც თანდათანობით ვეგუებოდი გარემოს. დღითიდღე სულ უფრო და უფრო ნაკლებ მაკვირვებდა ჩემი ახალი ყოფის ყოველდღიური მოვლენები. უცნაურ ამბებს, გარემოს, ადამიანებს ყველას რაღაცნაირად შეეჩვია თვალი. კატორღულ ცხოვრებასთან შერიგება შეუძლებელია, მაგრამ მომხდარ ფაქტად მისი აღიარება კარგა ხანია დროული იყო. ყველაფერი, რაც კი ჩემთვის ჯერ ისევ აუხსნელი რჩებოდა, შეძლებისდაგვარად, დავივიწყე. დაკარგულივით აღარ დავეხეტებოდი საპყრობილეში და დარდსაც არ ვამჟღავნებდი. პატიმრების საზარელი ცნობისმოყვარე მზერას ისე ხშირად აღარ ვეფეთებოდი, აღარც ადრინდელი დაუფარავი თავხედობით მაკვირდებოდნენ. ჩემდა სასიხარულოდ, როგორც ჩანს, მეც შევეჩვიე მათ. ყაზარმაშიც გავშინაურდი. ჩემი ადგილი ვიცოდი და ისეთ რამეებზეც ვხუჭავდი თვალს, რომელთაც, მეგონა, ვერასდროს შევეგუებოდი. რეგულარულად ყოველ კვირას თავის ნახევრის გადასაპარსად დავდიოდი. ყაზარმიდან კორდეგარდიაში რიგრიგობით გამოგვიძახებდნენ (ვინც არ გადაი პარსავდა, პასუხს აგებდა), სადაც ასეულის დალაქები ჯერ თავს გვისაპნავდნენ და მერე უბლაგვესი სამართებლით დაუნდობლად გვჯიჯნიდნენ; ამ წამების გახსენებაზე ახლაც ჟრუანტელი მივლის.

თუმცა გამოსავალი მაინც მოიძებნა. აკიმ აკიმიჩმა სამხედრო ჯგუფის ერთ პატიმართან გამაგზავნა, რომელიც კაპიკად საკუთარი სამართებლით პარსავდა და ამით ფულსაც შოულობდა. სახაზინო დალაქებისთვის თავი რომ აერიდებინათ, მასთან ბევრი კატორღელი დადიოდა, თუმცა სათუთი არავინ იყო. ჩვენი პატიმრები დალაქს „მაიორს“ ეძახდნენ რატომ, არ ვიცი. ახლა, ამას რომ ვწერ, თვალწინ მიდგას ეს „მაიორი“, მაღალი, ხმელ-ხმელი, უნო, სულ მუდამ თავისი საქმით გართული, გვარიანად ენაბლუ ჭაბუკი. ხელში სულ ღვედი ეჭირა, დღენიადაც უსვამდა ზედ თავის ისედაც მახვილ სამართებელს; დიდი გულმოდგინებით მისცემოდა ამ სამუშაოს, რომელიც თავისი ცხოვრების

დანიშნულებად მიაჩნდა. უნდა გენახათ, როგორი კმაყოფილი იყო, როცა სამართებელი გალესილი ჰქონდა და ვინმე გასაპარსად მიადგებოდა. მსუბუქი ხელით თბილი წყლით გასაპნავდა და მონღომებით პარსავდა. ალბათ, თავისი ხელოვნებით ტკბებოდა, ეამაყებოდა. გასამრჯელოს ისე დაუდევრად იღებდა, თითქოს ამით ამბობდა, რომ საქმე ხელოვნებაშია და არა ამ კაპიკიანშიო.

მასხენდება, პლაცმაიორისგან როგორ მაგრად მოხვდა ა.-ვს, როცა მორიგი დასმენისას ჩვენს დალაქს წინდაუხედავად მაიორი უწოდა.

პლაცმაიორი გაათურდა, საშინლად ეწყინა. „ტარტაროზო, იცი, რას ნიშნავს მაიორი? ღრიალებდა პირზე დუჟმორეული, თან ა.-ვს თავისებურად უსწორდებოდა, გესმის, რას ნიშნავს მაიორი?! ვილაც არამზადა კატორღელს უცებ მაიორი დაარქვა, ამის პირში თქმასაც კი მიბედავს!“ მხოლოდ ა.-ვს შეეძლო ასეთ კაცს შეგუებოდა.

თავისუფლებაზე ოცნება საპყრობილეში ცხოვრების პირველი დღიდანვე მომეძალა. როდის დავასრულებდი მისჯილ ვადას? ამის ათასნაირად გამოთვლა ჩემი საყვარელი საქმე იყო. სხვაგვარად ფიქრიც კი არ შემეძლო. დარწმუნებული ვარ, ასე იქცევა ყველა თავისუფლებააღკვეთილი. არ ვიცი, ჩემსავით ფიქრობდნენ და ითვლიდნენ თუ არა კატორღელები, მაგრამ მათ საოცრად ქარაფშუტულმა იმედიანობამ იმთავითვე გამაკვირვა. პატიმრის, თავისუფლებააღკვეთილის იმედი სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ჩვეულებრივად მცხოვრები ადამიანისა. თავისუფალი ადამიანიც, რასაკვირველია, იმედით ცოცხლობს (მაგალითად, ბედის შეცვლის, ახალი საქმის დაწყების...), მაგრამ ის მოქმედებს და ცხოვრების ორომტრიალში სავსებით ერთვება.

პატიმრის საქმე სხვაგვარადაა. დავუშვათ, ესეც ცხოვრებაა ყაზარმული, კატორღული; მაგრამ, ვინც უნდა იყოს კატორღელი და რა ვადითაც უნდა იყოს გადასახლებული, ვერ შეძლებს გადაჭრით, ინსტინქტურად, უპირობოდ მიიღოს თავისი ხვედრი. ყოველი კატორღელი აქ თავს სტუმრად გრძნობს. ოც წელიწადს ორი წელიწადივით უყურებს და სრულიად დარწმუნებულია, საპყრობილედან გასვლისას, ორმოცდათხუთმეტი წლისაც, ისევე ყოჩაღად იქნება, როგორც ახლაა, ოცდათ-

ხუმეტი წლისა. „მომავალი წინაა“, ფიქრობს და ჯიუტად იშორებს ყოველგვარ ეჭვსა თუ აბეზარ ფიქრებს. განსაკუთრებული განყოფილების უვადოდ გადმოსახლებულთაც კი ზოგჯერ იმედი ასულდგმულებდათ, ეგებ, უეცრად პიტერიდან ნებართვა მოსულიყო: გადააგზავნეთ ნერჩინსკში, მაღაროებში და ვადა დაუნიშნეთო. ეს ხომ დიდებულია: ჯერ ერთი, ნერჩინსკამდე ლამის ნახევარი წლის სავალია, ჯგუფთან ერთად სიარული საპყრობილესთან შედარებით ბევრად უკეთესია! ნერჩინსკში დაასრულებ ვადას და მერე... ასეთია ზოგიერთი უკვე გაჭალარავებულის ვარაუდი!

ტობოლსკში მინახავს კედელზე მიჯაჭვული: ჯაჭვის სიგრძე ერთი საუენია; იქვეა ტახტი. მიჯაჭვული ციმბირში ჩადენილი უაღრესად მძიმე დანაშაულისთვის ისჯება. ასე სხედან ხუთი წელიწადი, ათწლობითაც. უმეტესად ყაჩაღები. მიჯაჭვული, რომელიც მე ვნახე, ბატონს ჰგავდა; ოდესღაც სადღაც მსახურობდა. ჩიფჩიფით, მიკნავებული ხმით ლაპარაკობდა. ტკბილად იღიმებოდა. თავის ჯაჭვს გვაჩვენებდა, გვიხსნიდა, საწოლზე მოხერხებულად როგორ უნდა დავწოლილიყავით. თავისებური მამა აბრამის ბატკანი ბრძანდებოდა. ასეთები მორჩილად იქცევიან და კმაყოფილნი ჩანან, თუმცა თითოეულს ერთი სული აქვს, ვადას როდის დაასრულებს. მერედა, რისთვის?

ის აგურის დაბალთაღებიანი, დახუთული, ნესტიანი ოთახიდან გამოვა, საპყრობილის ეზოში გაივლის და მორჩა! საპყრობილედან გასვლას არასოდეს აღირსებენ. ეს თავადაც მოეხსენება, ჯაჭვს ახსნიან, მაგრამ საპყრობილეში სიკვდილამდე დარჩება, თანაც ბორკილებით! იცის ეს და მაინც საშინლად სწყურია ჯაჭვის ვადის დასრულება.

ეს სურვილი რომ არა, ხუთი თუ ექვსი წელი ჯაჭვით დაბმული როგორ გაძლებდა? ხომ მოკვდებოდა ან ჭკუაზე შეცდებოდა?!

ვგრძნობდი, მუშაობა ტანჯვისგან მიხსნიდა, თანაც სხეულს გამიჯანსაღებდა, გამამაგრებდა. გამუდმებულ სულიერ მღელვარებას, ნერვების აყოლას, ყაზარმის დახუთულ ჰაერს შეეძლო ერთიანად მოვეშალე, „რაც შეიძლება ჰაერზე ხშირად ყოფნა, ყოველლიური შრომა, სიმძიმეების თრევის შეჩვევა და თავს გადავირჩინ-მეთქი, ვფიქრობდი, გავ-

მაგრდები, გამოვალ ჯანმრთელი, მხნე, ძალღონით სავსე, არ დავბერდები“. არც შევმცდარვარ: მუშაობა და მოძრაობა მეტად წამადგა.

გაოგნებული შევეყურებდი ერთ-ერთ ჩემს ამხანაგს (თავადი იყო), სანთელივით როგორ დნებოდა. საპატიმროში ჩემთან ერთად შემოვიდა ახალგაზრდა, ლამაზი, მხნე, იქიდან კი ნახევრად მოშლილი, გაჭაღარავებული, ჯანმრთელობაშერყეული გამოვიდა, „არა, ვფიქრობდი მისი შემყურე, მე მინდა ვიცოცხლო და ვიცოცხლებ კიდევ!“ სამაგიეროდ, შრომის სიყვარულისთვის კატორღელებისგან მხვდებოდა, დიდხანს მგესლავდნენ ზიზღითა და დაცინვით. მაგრამ ყურადღებას არავის ვაქცევდი და მხნედ ვმუშაობდი, მაგალითად, თუნდაც ალებასტრის გამოწვასა და დაფხვნაზე, ეს იყო ჩემ მიერ ათვისებული პირველი საქმე. ამ სამუშაოს იოლად გავართვი თავი. საინჟინრო უფროსობა, შეძლებისდაგვარად, მზად იყო აზნაურებისთვის შრომა შეემსუბუქებინა, რაც არა შელავათი, არამედ სამართლიანობა იყო. უცნაური იქნებოდა სანახევროდ სუსტი ჯანისა და ფიზიკურ შრომას მიუჩვეველი ადამიანისგან იგივე დავალების შესრულება მოგეთხოვა, რასაც ნამდვილ მუშას უსაზღვრავდა დებულება. მსგავსი „ნებივრობა“ ყოველთვის როდი სრულდებოდა და თუ სრულდებოდა, ისიც თითქოს მალულად: ამას მკაცრად უთვალთვალენ. მძიმე სამუშაოების შესრულებაც საკმაოდ ხშირად გვიხდებოდა და მაშინ, რასაკვირველია, თავადაზნაურები, სხვებთან შედარებით, ორმაგად ვიტანჯებოდით.

ალებასტრზე, ჩვეულებისამებრ, სამ-ოთხ კაცს ამწესებდნენ, მოხუცებს ან ჯანსუსტებს; მათ შორის, რასაკვირველია, ჩვენც; გარდა ამისა, ერთ საქმისმცოდნე მუშაკსაც გვამაგრებდნენ. როგორც წესი, რამდენიმე წელი ზედიზედ სულ ერთი და იგივე ალმაზოვი დადიოდა. მკაცრი, შავგვრემანი და ხმელხმელი კაცი, ხანშიშესული, უკარება და ზიზღიანი. ჩვენ ვერ გვიტანდა. თუმცა, იმდენად სიტყვაძვირი იყო, რომ ჩვენზე ბუზღუნიც კი ეზარებოდა.

სარდაფი, სადაც ალებასტრს წვავდნენ და ფშვნიდნენ, მდინარის უდაბურ, ციცაბო ნაპირას იდგა. ზამთარში, განსაკუთრებით ბინდიან დღეს, მდინარისა და მოპირდაპირე ნაპირის ყურება მოსაწყენი იყო.

რადაც სევდისმომგვრელი, გულისჩამწყვეტი სუფევდა ამ ველურ და უდაბურ პეიზაჟში; კიდევ უფრო მიძიმდა, როცა თოვლის თეთრ, უნაპირო სუდარაზე მოკაშკაზე მზე გამოჩნდებოდა. გული გიწევდა გაფრენილიყავი ამ ველისკენ, რომელიც მეორე ნაპირზე იწყებოდა და სამხრეთით უკიდევანოდ იშლებოდა.

ალმაზოვი, ჩვეულებისამებრ, უხმოდ და კუშტად შეუდგებოდა საქმეს ხოლმე ჩვენ თითქოს გვრცხვენოდა კიდევ, რომ ჯერონად ვერ ვეხმარებოდით. ის კი განგებ მუშაობდა მარტო, არ მოითხოვდა ჩვენგან დახმარებას, რათა მის წინაშე თავი დამნაშავედ გვეგრძნო და საკუთარი უსარგებლობა გვენანა.

მთავარი საქმე ღუმლის გახურება იყო, რათა შიგ ჩაყრილი ალებასტრი გამოგვეწვა, რომელსაც ხშირად ჩვენ ვეზიდებოდით. მეორე დღეს, როცა ალებასტრი სავსებით გამოიწვებოდა, ღუმლიდან ვიღებდით. თითოეული ჩვენგანი მძიმე უროს იღებდა, ალებასტრიან საგანგებო ყუთს წინ დაიდებდა და ამტვრევდა. ეს ძალიან სასიამოვნო სამუშაო იყო. მყოფე ალებასტრი კარგად იფშვნებოდა და სწრაფად იქცეოდა თეთრ, მბრწყინავ მტვრად! მძიმე უროებს ვიქნევდით და ისეთ ჭახა-ჭუხს ვტეხდით, თვითონვე გვიკვირდა. ბოლოს, დაღლასთან ერთად შვებასაც ვგრძნობდით. ლოყები გვიწითლდებოდა, სისხლი უფრო სწრაფად გვიმოძრავებდა. ალმაზოვიც კი ისე გულმოწყალედ გვიყურებდა, თითქოს მცირეწლოვანი ბავშვები ვიყავით. თავის ჩიბუხს გააბოლებდა და თუ შემთხვევით დაილაპარაკებდა, აუცილებლად ბუზღუნით. ყველასთან ასე იქცეოდა, ისე კი, მგონი, კეთილი ადამიანიც იყო.

სხვა სამუშაოზეც გადამიყვანეს სახელოსნოში ჩარხის ბორბალი უნდა მეტრიალებინა. ბორბალი დიდი და მძიმე იყო. მის დატრიალებას ცოტა ძალღონე როდი სჭირდებოდა, მითუმეტეს, როდესაც ხარატი რომელიმე ჩინოვნიკის კერძო ავეჯს, კიბის რიკულის მსგავს რაიმეს ან დიდი მაგიდის ფეხებს ჩარხავდა, რაც ლამის ხის მორს საჭიროებდა. ამ შემთხვევაში დანადგარს ერთი კაცის ძალღონე არ ეყოფოდა და ორს გვაგზავნიდნენ მე და კიდევ ერთ აზნაურ ბ.-ს. ამ სამუშაოს რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ ვასრულებდით. სუსტი აგებულების, დალე-

ული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბ.-ს გული აწუხებდა. საპყრობილეში ჩემ-
ზე ერთი წლით ადრე მოხვდა თავის ორ ამხანაგთან ერთად ერთი მო-
ხუცი იყო, რომელიც დღედაღამ ლოცულობდა (რისთვისაც პატიმრები
დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ. ის ჩემი იქყოფნის დროს გარდაიცვა-
ლა), მეორე კი ჯერ კიდევ ქორფა, ღაჟღაჟა, გულადი ჭაბუკი, რომელ-
მაც დასუსტებული ბ. საპყრობილემდე შვიდასი ვერსი ატარა. მათი მე-
გობრობა სანიმუშო იყო. უზომოდ განათლებული, კეთილშობილი,
დიდსულოვანი ბ. სწეულებას მოეშალა და ხშირად ჭირვეულობდა.
ბორბალს ერთად ვატრიალებდით, რაც გვართობდა კიდევ. ერ-
თდროულად საუცხოო მოციონიც გამომდიოდა.

ძალიან მიყვარდა გადმოთოვლაც, რაც ზამთრობით, ქარბუქის შემ-
დეგ, ჩვეულებრივ, საკმაოდ ხშირად გვიხდებოდა ხოლმე. ქარბუქი ზოგ
სახლს ფანჯრების ნახევრამდე ჩამალავდა. ზოგს კი თითქმის სულ ფა-
რავდა. ქარბუქის ჩადგომისას, მზის ამოსვლისთანავე, ყაზარმებიდან
სახელმწიფო შენობების გადასათოვლად დიდ ჯგუფებად გამოგვყრიდ-
ნენ, ნიჩბებს გვირიგებდნენ, ყველას ერთადდავალებას მოგვცემდნენ,
ზოგჯერ ისეთს, რომ გვიკვირდა, რანაირად უნდა გაგვერთმია თავი;
მაგრამ ყველანი ერთსულოვნად შევუდგებოდით ხოლმე საქმეს.

ფხვიერი, ახლადდადებული, ზემოდან ოღნავ მოყინული, მზით გაბ-
რწყინებული თოვლი უზარმაზარ გუნდებად მოხერხებულად იდებოდა
ნიჩაბზე და მოელვარე მტვრად ქცეული ჰაერშივე იფანტებოდა. პატიმ-
რები ამ სამუშაოს თითქმის ყოველთვის მხიარულად ასრულებდნენ.
ზამთრის სუფთა ჰაერი და მოძრაობა ახურებდა მათ. ყველა ხალისდე-
ბოდა. ისმოდა სიცილი, წამოძახილი, ხუმრობა, გუნდაობდნენ... მაგ-
რამ, აბა, როგორ იქნებოდა, კეთილგონიერებასა და სიცილმხიარუ-
ლებაზე მწყრალად მყოფებს არ ეყვირათ! საყოველთაო აღტაცება, რო-
გორც წესი, ლანძღვა-გინებით მთავრდებოდა.

ნელ-ნელა ნაცნობთა წრის გაფართოებაც დავიწყე. უფრო სწორად,
ეს თავისთავად ხდებოდა. ამაზე არც ვფიქრობდი. ჯერ ისევ სევდა და
ეჭვი მძლევედა; პირველად პატიმარი პეტროვი მეწვია. სიტყვა „მეწვია“
ხაზგასმით აღვნიშნავ. პეტროვი განსაკუთრებულ განყოფილებაში,

ჩვენგან ყველაზე დაშორებულ ყაზარმაში ცხოვრობდა. ამას გარდა, საერთოც სრულიად არაფერი გვექონდა და ვერც გვექნებოდა. მაგრამ პირველ ხანებში პეტროვი თითქოს სავალდებულოდ მიიჩნევდა ლამის ყოველდღე მოსულიყო ჩემთან ყაზარმაში ან გავეჩერებინე შაბაშისას, როცა ყაზარმებს უკან ბოლთას ვცემდი, შეძლებისდაგვარად, ყველას თვალთაგან მოცილებული. თავდაპირველად ეს არ მსიამოვნებდა, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, მალე მისი სტუმრობა მართობდა კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც განსაკუთრებული გულგახსნილობით არ გამოირჩეოდა.

დაბალ, ჩასხმულ, მოხერხებულ, მოუსვენარ პეტროვს საკმაოდ სასიამოვნო სახე ჰქონდა: ფერმკრთალი, ფართოყვრიმალებიანი; გამოხედვა გაბედული. თეთრი, ხშირი და წვრილი კბილები ჰქონდა, ქვედა ტუჩებქვეშ დასრესილ თუთუნს იყრიდა. თუთუნის ღეჭვა ბევრ კატორღელს სჩვეოდა. თავის ასაკზე პატარა შეხედულების ჩანდა. ორმოციოდე წლისა იქნებოდა, არადა მხოლოდ ოცდაათს თუ მისცემდით. ყოველთვის მეტისმეტად ძალდაუტანებლად საუბრობდა, თავი უაღრესად ზომიერად ეჭირა, უფრო სწორად, მეტად წესიერად და თავაზიანად. მაგალითად, თუ შეამჩნევდა მარტო ყოფნა მინდოდა, მაშინვე ორიოდე სიტყვას მეტყოდა და დამტოვებდა. ყოველთვის მაღლობას მიხდიდა ყურადღებისთვის, რასაც, რასაკვირველია, არცერთ სხვა პატიმარს არ ეტყოდა. საინტერესოა, რომ ჩვენ შორის ასეთი ურთიერთობა არა მარტო პირველ დღეებში, რამდენიმე წელიწადს მუდმივად გრძელდებოდა, მაგრამ ნამდვილ მეგობრობაში არ გადაზრდილა, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი ერთგული იყო. დღემდე ვერ ვაცნობიერებ, კერძოდ, რა უნდოდა ჩემგან? თუმცა შემდეგში რამდენჯერმე გამეჭურდა, მაგრამ როგორღაც შემთხვევით ი პარავდა; ფულს თითქმის არასოდეს მთხოვდა. მაშასადამე, ჩემთან არც ფულის, არც რაიმე სხვა ინტერესის გამო არ მოდიოდა.

ისეთი გრძნობა მექონდა, თითქოს ჩვენს საპყრობილეში კი არ ცხოვრობდა, არამედ სადღაც შორს, სხვა სახლში, ქალაქში და ჩემთან გავლით შემოივლიდა ხოლმე, რათა ახალი ამბები გაეგო, ენახა, ჩვენ ყვე-

ლანი როგორ ვცხოვრობდით; ყოველთვის სადღაც მიეჩქარებოდა, თითქოს ვიღაც მიატოვა და იქ ელიანო, თითქოს რაღაც დაუმთავრებელი საქმე დარჩაო. ამავე დროს ზედმეტად არ წრიალებდა. გამოხედვაც რაღაც უცნაური ჰქონდა: თვალცივი, რამდენადმე დამცინავი, მაგრამ გაბედული. მუდამ სადღაც შორს იყურებოდა, საგანს მიღმა, თითქოს ცხვირწინ მდებარე საგანს იქით ცდილობს სხვა, უფრო შორეულის დანახვასო. ეს დაბნეულ იერს ანიჭებდა. ხანდახან განგებ დავკვირვებოვარ, ნეტავ საით წავა, ნეტა, სად ელოდებიან-მეთქი; მაგრამ რომელიმე ყაზარმისკენ ან სასადილოსკენ გაუტევდა. იქ რომელიმე მოსაუბრეს მიუჯდებოდა, ყურადღებით უსმენდა, იშვიათად თავადაც ჩაერეოდა საუბარში და საკმაოდ ცხარედაც, შემდეგ უცებ დამუნჯდებოდა. ლაპარაკობდა თუ ჩუმად იჯდა, მაინც ეტყობოდა, ამას მხოლოდ ისე, სხვათა შორის აკეთებდა, თითქოს სადღაც საქმეზე მიეჩქარებო. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ არანაირი საქმე არ ჰქონია,

სრულიად უსაქმურად ცხოვრობდა (რასაკვირველია, თუ არ ჩავთვლით სახაზინო სამუშაოებს); არავითარი ხელობა არ იცოდა და ფულიც თითქმის არასდროს გააჩნდა, რაც ნაკლებ აღელვებდა. საუბრის თემაც უცნაური ჰქონდა: მაგალითად, სადმე მარტოს მომიხელთებდა, ანაზღად მომიტრიალდებოდა. მუდამ ჩქარა დადიოდა. ნაბიჯით მომიახლოვდებოდა ხოლმე, იფიქრებდით, მორბოდაო.

გამარჯობათ.

გაგიმარჯოს.

ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

არა.

აი, ნაპოლეონზე მინდოდა მეკითხა. ხომ იმის ნათესავია, თორმეტ წელში რომ იყო? (პეტროვი განათლებული კანტონისტი იყო).

ნათესავია.

რას ამბობენ, როგორი პრეზიდენტიაო?

კითხვას ყოველთვის სწრაფად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სვამდა, თითქოს აუცილებლობა მოითხოვდა, პასუხი რაც შეიძლება მალე მიეღო. გეგო-

ნება, მეტად მნიშვნელოვან, გადაუდებელ საქმეზე აგროვებს ცნობებსო.

ავუსხენი, როგორი პრეზიდენტიც იყო, და დავუმატე, შეიძლება მალე იმპერატორიც გახდეს-მეთქი.

ეს როგორ?

შეძლებისდაგვარად, ესეც განვუმარტე. გულდასმით მისმენდა, კარგად იგებდა და სწრაფადაც აცნობიერებდა.

ჰმ. ალექსანდრ პეტროვიჩ, მინდოდა, თქვენთვის მეკითხა: მართალია, რომ ამბობენ, არიან ისეთი მაიმუნები, ხელები ქუსლებამდე სწვდებათ, სიდიდით კი ყველაზე მაღალ ადამიანს უტოლდებიანო?

დიახ, ასეთებიც არიან.

მაინც რომელი?

რამდენადაც ვიცოდი, ესეც ავუსხენი.

სად ცხოვრობენ?

ცხელ ქვეყნებში. კუნძულ სუმატრაზე.

ეს რა, ამერიკაშია? იმასაც ამბობენ, თითქოს იქ ადამიანები ყირა-მალა დადიანო.

ყირამალა არა. თქვენ ანტი პოდებზე მეკითხებით.

ავუსხენი რა არის ამერიკა და, შეძლებისდაგვარად, ანტი პოდებიც. ისეთი ყურადღებით მისმენდა, თითქოს საგანგებოდ ანტი პოდების ამბის გასაგებად მოსულიყო.

ა-ა! აი, შარშან გრაფის ასულ ლავალიერზე წავიკითხე, ადიუტანტისგან არეფიევმა წიგნი მოიტანა. მართალია, რაც წერია, თუ უბრალოდ მოგონილია? დიუმას მოგონილი.

რასაკვირველია, მოგონილია.

აბა, მშვიდობით, გმადლობთ.

და პეტროვიც გაუჩინარდებოდა; არსებითად ჩვენ სხვაგვარად თითქმის არასოდეს გვისაუბრია.

მისი ისტორიით დავინტერესდი. როცა მ.-მ ჩვენი ნაცნობობის ამბავი შეიტყო, გამაფრთხილა: ბევრი კატორღელი მაშინებდა, მით უმეტეს კატორღის პირველ დღეებში, მაგრამ არც ერთ მათგანს, გაზინსაც კი,

ისეთი საშინელი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე, როგორც ამ პეტროვსო.

ყველაზე გამბედავი და უშიშარია ყველა კატორღელს შორის, ამბობდა მ., ყველაფერს ჩაიდენს, არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს, თუ ჟინმა მოუარა, თქვენც დაგკლავთ, თან ისე უბრალოდ დაგკლავთ, წარბსაც არ შეიხრის, არც ინანებს; ფიქრობ, სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს.

ამ შეფასებამ ძლიერ დამაინტერესა, მაგრამ მ.-მ ვერაფრით ამიხსნა, რატომ ეგონა ასე. ძალიან უცნაურია, ამის შემდეგ რამდენიმე წელს პეტროვს თითქმის ყოველდღე ვესაუბრებოდი, გულით შემეთვისა (თუმცა, რისთვის, არ ვიცი), და მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ საპყრობილეში კეთილგონივრულად ცხოვრობდა, შემზარავი არაფერი ჩაუდენია, მაინც, როცა ვუყურებდი და ველაპარაკებოდი, ვრწმუნდებოდი, რომ მ. მართალი იყო; რომ პეტროვი, შესაძლოა, ყველაზე გაბედული, უშიშარი და სავსებით თავნება კაცი იყო. რატომ მეჩვენებოდა ასე, ვერ აგიხსნით.

სხვათა შორის, პეტროვი სწორედ ის პატიმარი იყო, პლაცმაიორის მოკვლა რომ მოინდომა, როცა დასასჯელად გამოიძახეს და როცა მაიორი

„სასწაულმა იხსნა“ მის დასჯამდე წავიდა. სხვა დროს, ჯერ კიდევ კატორღამდე, მისთვის წვრთნის დროს პოლკოვნიკს გაერთყა. ალბათ, მანამდეც ბევრჯერ იყო ნაცემი, მაგრამ ამჯერად ვეღარ მოითმინა და ყველას თვალწინ დანა გაუყარა.

რასაკვირველია, ეს მხოლოდ აფეთქება იყო, როცა აღელვებულ, ცხელ გულზე უცებ მთლიანად გამოაჩინა თავისი ბუნება. ასეთი რამ მას იშვიათად ემართებოდა. რადგან კეთილგონიერი და თვინიერიც გახლდათ. პეტროვში ძლიერი, მძაფრი ვნებებიც იმალებოდა, მაგრამ ნაკვერცხალი ჩუმად ღვიოდა. ყოყონობისა და ქედმაღლობის ნასახიც არასოდეს შემიმჩნევია მისთვის, რასაც ვერ ვიტყვოდი სხვებზე. იშვიათად ჩხუბობდა, მაგრამ გამორჩევით არავისთან მეგობრობდა, გარდა სიროტკინისა. ისიც მაშინ, როცა ის სჭირდებოდა. თუმცა, ერთხელ სერიოზული გაბრაზებაც შევამჩნიე. რომელიღაც ნივთს არ აძლევდნენ,

ცარიელზე დაესვათ. ზორბა, მაღალ-მაღალი, ჩხუბისთავი, დამცინავი, ერთობ გაბედული, სამოქალაქო თანრიგის პატიმარი ვასილ ანტონოვი ეკამათებოდა. უკვე დიდი ხანია ყვიროდნენ და ვიფიქრე, ალბათ, უბრალო მუჯლუგუნებით დაასრულებდნენ.

პეტროვი, თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც უკანასკნელი კატორღელივით ჩხუბობდა და ილანძლებოდა. მაგრამ ამჯერად სულ სხვა რამ მოხდა. ის უცებ გაფითრდა, ტუჩები აუთრთოლდა და ჩაულურჯდა, მძიმედ სუნთქავდა. ადგილიდან წამოდგა და ნელა-ნელა, უხმოდ, ფეხშიშველა (ბაფხულობით ფეხშიშველა სიარული უყვარდა) ანტონოვს მიუახლოვდა. ხმაურიან ყაზარმაში უცებ სიჩუმემ დაისადგურა. ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით. ყველა დაძაბული ელოდა, რა მოხდებოდა. ანტონოვი დასახვედრად წამოხტა, სახეზე ფერი აღარ ედო... ვერ ავიტანე და ყაზარმიდან გავედი. მეგონა, გასვლასაც ვერ მოვასწრებდი, მომაკვდავის ღრიალს გავიგონებდი.

საბედნიეროდ, ამჯერადაც საქმე არაფრით დამთავრდა. სანამ გააფთრებული პეტროვი მიუახლოვდებოდა, ანტონოვმა უხმოდ და საჩქაროდ გადაუგდო სადავო ნივთი (საქმე ეხებოდა რაღაც საცოდავ ძველმანს); რასაკვირველია, ორიოდე წუთის შემდეგ ანტონოვმა მაინც შეუკურთხა ცოტა, სინდისის გასაწმენდად და ღირსებისთვის, რათა ეწვენიებინა, არც ისე შემეშინდაო. მისი გინებისთვის პეტროვს ყურადღება აღარ მიუქცევია, არც კი უპასუხა; გინებას რას დაეძებდა, საქმე ხომ მოიგო. ძალიან კმაყოფილი ჩანდა, ძველმანიც დაისაკუთრა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ ძველებურად, უსაქმური სახით დაეხეტებოდა ყაზარმებში, ეგება სადმე საინტერესო რამ მოვისმინოო.

მასზე იფიქრებდით, ყველაფერი აინტერესებსო. თუმცა, უმეტესად ყველაფრისადმი გულგრილი რჩებოდა და აქეთ-იქით უსაქმოდ დაყილობდა. ის შეიძლება ისეთი მარჯვე მუშაკისთვის შეგედარებინათ, სამუშაოს რომ ბდღვირს გაადენს, მაგრამ ჯერჯერობით არა და არ ასაქმებენ, ჰოდა, ისიც საქმის მოლოდინში პატარა ბალღებს ეთამაშება.

ჩემთვის გაუგებარი იყო, რა უნდოდა საპყრობილეში, რატომ არ გარბოდა. ძალიან რომ მოენდომებინა, ამას ნამდვილად მოახერხებ-

და. ისეთ ადამიანებზე, როგორც პეტროვია, გონება მანამდე მბრძანებლობს, სანამ რაიმეს მოისურვებდნენ. თუ გადაწყვეტს, მორჩა, ველარაფერი დააკავებს. დარწმუნებული ვარ, მშვენივრად მოახერხებდა გაქცევას, ყველას გააცურებდა; კვირაობით ულუკმაპუროდ სადმე ტყეში ან მდინარისპირა ლელიანში გაძლებდა. როგორც ჩანს, ამაზე ჯერ არ ფიქრობდა.

სერიოზული მსჯელობა, განსაკუთრებული საღი აზრი მისთვის არასოდეს შეემიძნევია. ასეთი ადამიანები მხოლოდ ერთი იდეით იბადებიან, რაც მათ მთელი სიცოცხლე შეუგნებლად ამოძრავებთ. ასე ბორგავენ მანამ, სანამ სასურველ საქმეს არ იპოვიან; მაშინ კი თავი ჩაღადაც აღარ უღირთ. ყოველთვის მიკვირდა, კაცი, რომელმაც პოლკოვნიკს დანა გაუყარა, აქ ასე უსიტყვოდ როგორ უწვება რობგებს-მეთქი. ზოგჯერ გაჯოხვასაც არ აკლებდნენ, როცა ღვინოზე წაასწრებდნენ. ხელობის არმქონე ყველა კატორღელივით მასაც ღვინო შემოჰქონდა. რობგებსაც თითქოს საკუთარი თანხმობით უწვებოდა, ანუ აცნობიერებდა, რა საქმისთვისაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც მოგვეკლათ, არაფრით დაუწვებოდა.

ისიც მიკვირდა, რომ მიუხედავად ჩემდამი აშკარა ერთგულებისა, მაინც მქურდავდა. ამგვარი რამ პერიოდულად წამოუვლიდა. სწორედ მან მომპარა ბიბლია, რომელიც მხოლოდ ერთი ადგილიდან მეორეზე უნდა მიეტანა, სულ რამდენიმე ნაბიჯზე. გზად მუშტრის პოვნა მოასწრო, გაყიდა და ფული მაშინვე ღვინოში გაფლანგა. ასეა, ძალიან მონუნდა დაღვეა და ხომ უნდა აესრულებინა?! დიახ, ასეთი ადამიანი სწორედაც რომ ხუთ შაურად მოკლავს ვინმეს, რათა ამ ხუთი შაურით ერთი ბოთლი დალიოს. სხვა დროს ასეულათასებსაც კი ყურადღებას არ მიექცევს. საღამოს თავად განმიცხადა, მოვიპარეო. ეს ყოველგვარი უხერხულობისა და მონანიების გარეშე, სრულიად გულგრილად თქვა, როგორც ძალზე ჩვეულებრივი რამ. ვცადე, კარგად გამომელანძლა, ჩემი ბიბლია მენანებოდა. აუღელვებლად, მორჩილად მისმენდა, მეთანხმებოდა, ბიბლია მეტად სასარგებლო წიგნიაო. გულწრფელად წუხდა, უიმისოდ რომ დავრჩი, მაგრამ მოპარვას არ ნანობდა. ისე დამაჯერებ-

ლად მიყურებდა, მაშინვე გავჩუმდი. ჩემს ლანძღვას, ალბათ, იმ მოსაზრებით ითმენდა, შეუძლებელია ამისთანა საქციელისთვის არ გამოძღვანდნო; მაშ, დაე, გული მოიფხანოს, თავი შეიქციოს, იცაცხანოსო. მაგრამ, არსებითად ყოველივე ეს სისულელეა, ისეთი სისულელე, სერიოზულ კაცს თქმისაც უნდა შერცხვესო. ფიქრობ, საერთოდაც ბავშვად მთვლიდა, ლამის ჩვილ ყრმადაც, რომელსაც ამქვეყნად ყველაზე უბრალო რამეებიც არ გაეგება. თუ, მაგალითად, მეცნიერებისა და წიგნების გარდა, სხვა რაიმეზე გამოველაპარაკებოდი, მართალია, მი პასუხებდა, მაგრამ მხოლოდ ზრდილობისთვის, ყველაზე მოკლე პასუხით კმაყოფილდებოდა. ხშირად საკუთარ თავს ვეკითხებოდი, საერთოდ ეს კაცი კითხვებს რატომ სვამდა? ვიდრე ვუპასუხებდი, აღმაცერად ეჭვით გავხედავდი: ხომ არ დამცინის-მეთქი. მაგრამ არა, როგორც წესი, სერიოზულად და ყურადღებით მისმენდა; თუმცა, ხანდახან არცთუ დიდი ყურადღებით, რაც ზოგჯერ მწყინდა. კითხვებს ზუსტად იძლეოდა, გარკვევით; მაინცდამაინც არ აოცებდა ჩემგან მიღებული პასუხები, თითქოს დაბნეულიც იყო... მეჩვენებოდა აგრეთვე, რომ ფიქრობდა, თითქოს ჩემთან, სხვებისგან განსხვავებით, მხოლოდ წიგნებზე შეიძლებოდა ლაპარაკი. მისთვის აზრის შეცვლის უნარი არც მე შემეწევდა.

დარწმუნებული ვარ, კიდევ ვუყვარდი და ეს ძალიან მაკვირვებდა. იქნებ უმწიფარ, არასრულყოფილ ადამიანად მთვლიდა, იქნებ ჩემდამი იმ განსაკუთრებული სახის სიბრალულს გრძნობდა, რასაც ყოველი ძლიერი არსება ინსტინქტურად განიცდის მეორის, სუსტისადმი... არ ვიცი. თუმცა, ყოველივე ეს ხელს არ უშლიდა გავექურდე. მაგრამ მჯერა, გაქურდვის დროსაც ვებრალეობოდი. შესაძლოა, ფიქრობდა, როცა ხელს ჩემს ავლადიდებაში ჰყოფდა, ეჰ, რა საცოდავი კაცია, თავისი ქონების დაცვასაც კი ვერ ახერხებსო. ეგება, სწორედ ამის გამო ვუყვარდი. ერთხელ შემთხვევით წამოსცდა: მართლაც მეტისმეტად კეთილი ადამიანი ხართ და ისე უბრალო, ისე უბრალო, მეცოდებით კიდევცო. ოღონდ, ალექსანდრ პეტროვიჩ, საწყენად ნუ მიიღებთ, მე ხომ გულწრფელად გითხარითო, დასძინა წუთის შემდეგ.

ასეთ ადამიანებს ზოგჯერ შემთხვევა ეძლევათ რომელიმე გადამწყვეტ, საყოველთაო მოძრაობის ან გადატრიალების დროს უცებ მკვეთრად და მკაფიოდ გამოიჩინონ თავი; სხვებს თავი დაამახსოვრონ. ასეთები ერთბაშად მოქმედების ხალხად იქცევიან, თუმცა არც ტრიბუნის ადამიანები არიან და არც ლიდერობა ხელეწიფებათ; მაგრამ მთავარ შემსრულებლებად და წინა რიგებში გვევლინებიან. უბრალოდ, ყოველგვარი განსაკუთრებული შეძახილების გარეშე იწყებენ. სამაგიეროდ, მთავარ დაბრკოლებას პირველნი გადალახვენ; აშკარა საფრთხისკენ უყოყმანოდ, უშიშრად, პირდაპირ მიიწევენ. და ყველა ბრმად აედევნება. მიდიან ბოლო ზღუდემდე, სადაც, ჩვეულებრივ, თავსაც დებენ.

არ მჯერა, პეტროვმა კარგად დაასრულოს. ის რაღაც წუთში ყველაფერს ერთბაშად მოსწყვეტს, და თუ აქამდე არ დაიღუპა, მაშასადამე, შემთხვევა არ მისცემია. თუმცა, ვინ იცის, ეგებ დიდხანს იცოცხლოს და უმიზნოდ აქეთ-იქით მოწანწალე სიბერით მოკვდეს. ვფიქრობ, მ. მართალი იყო, როცა ამბობდა, მთელ კატორღაში პეტროვი ყველაზე გამბედავი ადამიანიყო.

1.8. შეუპოვარი ადამიანები. ლუჩკა

შეუპოვარ ადამიანებზე მსჯელობა ძალიან ძნელია. კატორღაში, ისევე, როგორც ყველგან, ისინი საკმაოდ ცოტანი იყვნენ. შესახედავად თითქოს მართლაც შემზარავია ასეთი ადამიანი; ზოგიერთებზე ისეთ რამეებს ყვებიან, წარმოიდგენ და ძალაუწებურად მოერიდები. შინაგანად რაღაც მაიძულებდა თავდაპირველად ამ ადამიანებისთვის გვერდი ამევლო. შემდგომ ბევრ რამეზე შევიცვალე აზრი, ყველაზე საზარელ მკვლელებზეც კი. ზოგს არავინ მოუკლავს, მაგრამ იმაზე საზიზღარია, ვისაც ათი მკვლელობა ჩაუდენია.

ზოგიერთ დანაშაულზე კი წარმოდგენასაც ვერ შეიქმნიდი: ისეთი უცნაურობებით იყო მოცული. ამიტომაც ვამბობ, მდაბიო ხალხში ზოგი მკვლელობა გამოწვეულია ყველაზე უცნაური მიზეზებით-მეთქი.

მაგალითად, საკმაოდ ხშირად გვხვდება, მკვლელის ასეთი ტიპი: ცხოვრობს კაცი წყნარად და მორჩილად, მწარე ხვედრს ითმენს. ვთქვათ, გლეხია, შინაყმა, მეშჩანი ან ჯარისკაცი. უცებ აიწყვიტა; აევსო მოთმინება და თავის მტერსა თუ შემავიწროვებელს დანა ჩასცა. სწორედ აქ იწყება უცნაურობა. ადამიანი უცებ საზღვარს გადავა პირველად მოკლა მტერი. ეს დანაშაულია, მაგრამ გასაგები მაინცაა. აქ არის მოტივი. შემდეგში კი, მტერ-მოყვარეს ვეღარ არჩევს, პირველ შემხვედრსა თუ გამვლელ-გამომვლელს კლავს, გასართობად, უხეში სიტყვისთვის, გამოხედვისთვის, კრიალოსნისთვის, ან ისე, უბრალოდ: „გამეცა გზიდან, არ შემომეყარო, ვერა ხედავ, მოვდივარ!“ ადამიანი თითქოს თვრება, თითქოს ციებ-ცხელების ბურანშია. თითქოს სანუკვარი ზღვარი ერთხელ უკვე გადალახა და ახლა იმით ტკბება, რომ მისთვის წმინდა აღარაფერი არსებობს; თითქოს ერთი სული აქვს, ერთბაშად გადაახტეს ყოველგვარ კანონიერებასა და ხელისუფლებას, ყველაზე აღვირახსნილი და უსაზღვრო თავისუფლებით დატკბეს, რომელიც სავსეა საშინელებებით და რასაც შეუძლებელია არ გრძნობდეს. ამასთან, ისიც იცის, საზარელი წამებით დასჯა რომ ელის. ყოველივე ეს რამდენადმე ჰგავს იმ შეგრძნებას, როდესაც მაღალ კოშკზე გადმომდგარი

ადამიანი მზადაა მის ფეხქვეშ განროხმულ უფსკრულში გადაეშვას: ბარემ მალე, ყველაფერი დასრულდესო! და ეს ემართებათ მანამდე ყველაზე მორჩილ და უსაჩინო ადამიანებსაც.

ზოგი მათგანი ამგვარი ჯოჯოხეთით თავსაც კი იწონებს. რამდენადაც უწინ მივიწყებული იყო, იმდენად ახლა ესწრაფვის იკობტაოს, სხვები შეაშინოს. ამ შიშით დატკბეს, ის ზიზღიც უყვარს, რასაც სხვებში იწვევს. „თავგზებელაღებულის“ იერს იღებს და ხანდახან მოუთმენლად ელის სასჯელს, წესის აგებას, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, თვითონაც ემძიმება ამ მოჩვენებითი „თავგზებელაღებულის“ იერის ტარება. საინტერესოა, რომ მთელი ეს განწყობილება, მთელი ეს მოჩვენებითობა, ზუსტად ეშაფოტამდე გრძელდება. ეშაფოტზე კი ადამიანი უცებ ტყდება, უსუსურდება, ჩვრად იქცევა, სლუკუნებს ხალხს შეწყალებას სთხოვს. თუ საპყრობილეში ცოცხალი დაბრუნდა, ხედავთ: ისეთი დორბლიანია, ისეთი ცინგლიანია, ისე საცოდავი, გიკვირთ კიდევ: „ნუთუ ამან ექვსი კაცი მოკლა?“

რასაკვირველია, ზოგიერთები დიდხანს არც საპყრობილეში თვინიერდებიან. კიდევ შემორჩებათ ხოლმე რაღაც მოჩვენებითობა, ერთგვარი ბაქიბუქობა. აი, განა ისა ვარ, ვინც გეგონეთ: ექვსი სულის გამო ვზივარო. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც თვინიერდება, ხანდახან მხოლოდ თავს თუ შეიქცევს: გაიხსენებს თავის ვაჟკაცურ გაქანებას, დროსტარებას, იმდროინდელ ამბებს, როცა „თავგზებელაღებულის“ იყო. თუ ვინმე მიამიტს ი პოვის, გვარიანი მედიდურობით გაეპრანჭება წაეტრაბახება და თავის „საქმენ საგმირონს“ დიდი ამბით უყვება. თანაც ისე, რომ არ ამჟღავნებს, ამაზე საუბარი თვითონვე რომ სწყურია ვითომ, აი, რა კაცი ვიყავიო!

ჰო, საოცარია რაოდენ გააღმასებულია ეს პატივმოყვრული სიფრთხილე, როგორ განზრახ დაუდევრულია ზოგჯერ ასეთი საუბარი, როგორი წინასწარდაზღვირებული კობტაპრუწობა ვლინდება მოამბის ხმაში. საოცარია, სად ისწავლა ამ ხალხმა?!

ერთხელ, პირველ მოწყენილ დღეებში, ერთ გრძელ საღამოს, ტახტზე უსაქმოდ წამოწოლილმა, ერთი ამგვარი ამბავი მოვისმინე და

მთხრობელი, გამოუცდელიობით, საშინელ ბოროტმოქმედად, ერთობ რკინის ვაცად მივიჩნიე, მაშინ, როცა პეტროვს ლამის დავცინოდი.

საუბრის თემა ასეთი გახლდათ, რომ მან, ლუკა კუმბიჩმა, სხვა არაფრისთვის, გარდა საკუთარი სიამოვნებისა, ერთი მაიორი მიაწვინა. უკვე ვახსენე, ჩვენი ყაზარმის პატარა, თხელ-თხელი, ცხვირწაწვეტილი პატიმარი ლუკა კუმბიჩი სამხრეთში დაბადებული რუსი იყო, შინაყმად მსახურობდა. მასში მართლაც იყო რალაც მძაფრი, ყოყოჩური, იტყოდით: „პატარა ჩიტია, გული კი დიდი აქვსო.“ მაგრამ პატიმრები ინსტინქტურად სცნობენ ხოლმე ადამიანს. დიდად არაფრად აგდებდნენ, ან როგორც კატორღაში იტყვიან: „მას ძალიან ნაკლებად სცემდნენ პატივს“. საშინლად პატივმოყვარე იყო. ამ საღამოს ნარბე წამომჯდარი პერანგს კერავდა. საცვლის კერვა ხელობად ჰქონდა. გვერდით ეჯდა ბლუ და გონებაშებლუდული, მაგრამ კეთილი და ალერსიანი, ტანმალალი, ჩაფსკვნილი ყმაწვილკაცი, ტახტის მეზობელი კობილინი. ლუჩკა კი თავის მეზობელს ხშირად ეკინკლავებოდა, ქედმაღლურად, დამცინავად და დესპოტურად ექცეოდა, რასაც კობილინი თავისი მიამიტობით, ნაწილობრივ, ვერც კი ამჩნევდა. შალის წინდას ქსოვდა და ლუჩკას გულგრილად უსმენდა. ის საკმაოდ ხმამაღლა და გარკვევით ყვებოდა. უნდოდა ყველას მოესმინა. თუმცა, პირიქით, თავს ისე აჩვენებდა, ვითომ მართო კობილინს უყვებოდა: მაშინ, ჩემო ძმაო, ჩვენი ადგილიდან ჩ.-ში მასახლებდნენ, წამოიწყო და თან ნემსით ცოდვილობდა, მაწანწალობისთვის, რაღა.

ეგროდის, დიდი ხანია? შეეკითხა კობილინი.

აგერ, ბარდა რომ შემოვა, მეორე წელიწადი დაიწყება. მოკლედ, მივედით თუ არა კ.-ში, მცირე ხნით საპყრობილეში ჩამსვეს. ვუყურებ: თორმეტიოდე კაცი გვერდით მიზის, სუყველა ხოხოლი, ეგეთი მოსულეები, ჯანიანები, მოზრეებივით ჩამკვრივებულნი, მარა ისეთი მორჩილნი: საჭმელი ცუდი აქვთ, მათი მაიორი წაღმა-უკუღმა ატრიალებს, როგორც მის მოწყალებას მოენებებება (ლუჩკამ განგებ დაამახინჯა სიტყვა). ვზივარ ერთი დღე, ვზივარ მეორე დღე; ვხედავ ლაჩარი ხალხია. „ვეუბნები, ამ სულელს რას ელოლიაგებით-მეთქი?“

„აბა, სცადე და შენ ელაპარაკე!“ კიდეც დამცინიან. გაჩუმებული ვარ. ერთი მათგანი ვაჰ, რა სასაცილო ხოხოლი იყო, ძმებო, დაუმატა უცებ, ამასთან კობილინს თავი მიანება და საერთოდ ყველას მიმართა. გვიყვებოდა, როგორ ასამართლებდნენ და სასამართლოს როგორ ელაპარაკებოდა: ცრემლად ვიდვრებოდი, ვტიროდი. შინ ცოლ-შვილი დავტოვე-მეთქი, ვეუბნებოდი. თავად ეგეთი ზორბაა, ბრგე, ჭაღარა. ვეუბნები, მომისმინე-მეთქი: ხმაც არ გამცა! ეშმაკის შვილი, სულ წერდა და წერდა. გულში ვამბობდი, ერთი ჩაგაძაღლა და შენზე მასეირა. ის კი სულ წერს და სულ წერს, მერე როგორ წერს! მაშინ იყო წახდა ჩემი საქმე... ვასია, აბა, ერთი ძაფი მომეცი. კატორღისა დამპშალია.

ბაზრისაა, მიუგო ვასიამ და ძაფი მიაწოდა.

ჩვენი სამკერვალოებისა უკეთესია. ამას წინ კი ნევალიდი (ინვალიდი) გავაგზავნეთ. ჰოდა, რომელ უნამუსო დედაკაცს ართმევს ნეტავ? განაგრძობდა ლუჩკა და სინათლეზე ძაფს უყრიდა.

ნათლიდედას, ალბათ.

ალბათ, ნათლიდედას.

მერე მაიორი? შეეკითხა სრულიად მივიწყებული კობილინი.

ლუჩკაც ამას ელოდებოდა. მაინც მაშინვე არ დაიწყო. ის კი არა, თითქოს კობილინს ყურადღებაც არ აღირსაო. მშვიდად გაასწორა ძაფი, დინჯად და ზანტად შეინაცვლა ფეხი და, როგორც იქნა, მხოლოდ ამის შემდეგ ალაპარაკდა: ბოლოს ავაბორგე ხომ ჩემი ხოხოლები; უხმეს მაიორს, მე კი დილიდანვე მეზობლისგან ჟულიკი ვითხოვე, ავიღე და დავმალე, ყოველ შემთხვევისთვის, რაღა; გავეშებუდიცო მაიორი. გამოქანდა. აბა, ვეუბნები, ხოხოლებო, არ შეკრთეთ-მეთქი, მათ კი შისისგან ლამის სული გაეპაროთ; კანკალებენ რაღა. შემოვარდა მაიორი; მთვრალია. „ვინ არის აქ?! რა ხდება აქ?! მეფეც მე ვარ და უფალიც მე ვარ!“

როგორც კი თქვა: მეფეც მე ვარ და უფალიც მე ვარო!, წინ წამოვდექი, განაგრძობდა ლუჩკა, დანა სახელოში მაქვს.

არა-მეთქი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, თითონ კი ნელ-ნელა სულ ვუახლოვდები, აბა, ეგ როგორ იქნება, მეფედ და უფლადაც თქვენ გვყავდეთ?

„აა, მაშ ეს შენა ხარ, შენა? დაიყვირა მაიორმა, ბუნტის თავო!“

არა-მეთქი (თითონ კი სულ უფრო ვუახლოვდები), არა-მეთქი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, როგორც, ალბათ, თქვენ თითონაც მოგეხსენებათ და უწყით, უფალი ჩვენი, ყოვლისშემძლე და ყველგან-მყოფი, ერთია; მეფეც ერთი გვყავს თვით ღვთისგან დანიშნული. თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჯერ მხოლოდ მაიორი ჩვენი უფროსი ბრძანდებით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მეფის წყალობით და საკუთარი დამსახურებით-მეთქი.

რაო-რაო-რაო-რაო! ისე აკაკანდა, ლაპარაკი ვეღარ მოახერხა, სუნთქვა შეეკრა. გაშტერდა კაცი.

ღიახ, აი როგორ-მეთქი! ვეტაკე უცებ დანით, შიგ მუცელში ტარამდე მივეცი. მარჯვედ გამომივიდა. დაგორდა და მხოლოდ ფეხებსლა ას-ხმარტალებდა. დანა მოვისროლე.

ნახეთ, ვეუბნები. ხოხოლებო, ახლა გაიყვანეთ-მეთქი.

აქ ერთი შენიშვნა მაქვს. სამწუხაროდ, ასეთი გამოთქმები: „მეფეც მე ვარ და უფალიც მე ვარ!“ და მრავალი მისთანა, ძველად მეთაურებს შორის საკმაოდ გავრცელებული იყო. თუმცა, უნდა ვადიარო, ასეთი მეთაურები ცოტანილა თუ შემორჩნენ და, შესაძლოა, უკვე სულაც გადაშენდნენ. შევნიშნავ, რომ ასეთი გამოთქმები უყვარდათ და ამით განსაკუთრებით კოპწიაობდნენ, უმეტესად, დაბალი საფეხურიდან დაწინაურებული მეთაურები. ოფიცრის ჩინი ზოგჯერ მათში გადატრიალებას ახდენს. ხანგრძლივი ჭაპანწყვეტისა და ხელქვეითობის დაბალი საფეხურების გადალახვის შემდეგ, ისინი უცებ თავს ოფიცრებად, უფროსებად, კეთილშობილებად წარმოიდგენენ; წარმატებას დანატრულებულს უეცრად თავბრუ ესხმით და თავიანთი სიძლიერისა თუ მნიშვნელობის ცნებას აზვიადებენ, რასაკვირველია, მხოლოდ დაქვემდებარებული ჩინების მიმართ. ზემდგომთა წინაშე კი ძველებურად პირომონეობენ, რაც სრულიად არ სჭირდებათ და ბევრ უფროსს ამის გამო

ეჯავრება კიდევ. ზოგი პირმოთნე ჩქარობს, განსაკუთრებული გრძნობამორევით განუცხადოს ზემდგომებს, რომ, როგორც დაბალი ჩინიდან გამოსულ ოფიცერს, „თავისი ადგილი სამუდამოდ ახსოვს“. ასეთები ხელქვეითებს ლამის შეუზღუდველ მბრძანებლებად ევლინებიან. რასაკვირველია, ახლა საეჭვოა კიდევ გამოჩნდნენ ასეთები, რომ იღრი-ალონ: „მეფე და უფალი ეს მე ვარო“. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ისე არაფერი აღიზიანებს პატიმარსა და საერთოდ ყველა ხელქვეითს, როგორც უფროსის ამგვარი გამოთქმები. ეს უტიფრული თვითგანდიდება, გაზვიადებული აზრი საკუთარ დაუსჯელობაზე, ყველაზე მორჩილ ადამიანშიც კი სიძულვილს ბადებს და უკანასკნელ მოთმინებას აკარგვინებს. საბედნიეროდ, ყოველივე ეს თითქმის წარსული ამბავია. ასეთებს მაღალი უფროსობა ყოველთვის დევნიდა. ამის რამდენიმე მაგალითი მეც ვიცი.

საერთოდაც, ხელქვეითს უფროსის ყოველგვარი ქედმაღლური დაუდევრობა აღიზიანებს, ყოველგვარი ზიზღი მათთან ურთიერთობაში. ზოგიერთებს ჰგონიათ, მაგალითად, თუ პატიმარს კარგად ატყევენ. კარგად შეინახავ, ყველაფერს კანონით შეასრულებ, მეტი არაფერია საჭირო. ესეც შეცდომაა. ყოველი ადამიანი, თუნდაც ინსტინქტურად, თუნდაც შეუგნებლად, რაგინდ დაბეჩავებულებს უნდა იყოს, მაინც მოითხოვს პატივისცემას თავისი ადამიანური ღირსებისადმი. პატიმარმა თვითონაც იცის თავისი მდგომარეობა, რომ პატიმარია, განკიცხულია, იცის თავისი ადგილი უფროსობის წინაშე; მაგრამ ვერავითარი დაღე-ბით, ვერავითარი ბორკილებით ვერ აიძულებ დაივიწყოს, რომ ადამიანია. რადგან ის ჭეშმარიტად ადამიანია, მაშასადამე, ადამიანურად უნდა მოეპყრა. ღმერთო ჩემო! დიახ, სწორედ ადამიანურ მოპყრობას ძალუძს გააადამიანოს ღვთისაგან განდგომილიც კი. სწორედ ასეთი „უბედურები“ საჭიროებენ ყველაზე ადამიანურ მოპყრობას. ესაა მათი ხსნა და სიხარული. მე შევხვედრივარ ასეთ გულკეთილ, კეთილშობილ მეთაურებს. მინახავს, რა ზემოქმედებას ახდენდნენ ამ დამცირებულებზე, რამდენიმე ალერსიანი სიტყვა და პატიმარი თითქოს ზნეობრივად აღსდგაო. ბავშვებით უხაროდათ და ბავშვივით უყვარდათ.

კიდევ ერთ უცნაურობას აღვნიშნავ. მეტისმეტად ძმაბიჭური და მეტისმეტად გულკეთილი მოპყრობა პატიმრებს არ უყვართ. პატიმარმა უფროსს პატივი უნდა სცეს, მაგრამ ზემოხსენებულ შემთხვევაში ის როგორღაც მისდამი პატივისცემას კარგავს. მოსწონს, როცა მის უფროსს აქვს ორდენები, წარმოსადეგია, მას სწყალობს, მკაცრიცაა და წარჩინებულის; სამართლიანიც და თავის ღირსებასაც იცავს. პატიმრებს ასეთები უფრო უყვართ: მაშასადამე, თავისი ღირსებაც შეინარჩუნა, მათაც არ აწყენინა, გამოდის, ყველაფერი კარგად და ლამაზადაა...

ალბათ, კარგად შეგახურებდნენ ამისთვის? მშვიდად შენიშნა კობილინი.

ჰმ, იცოცხლე, შემახურეს, მართლაც მაგრად შემახურეს. ალეი, ერთი, მაკრატელი მოიტა! ეს რაო, ძმებო, დღეს მაიდანნი არ არის?

წელან გამოთვრნენ, შენიშნა ვასიამ, რომ არ გამომთვრალიყვნენ, იქნებოდა კიდევ.

რას მიქვიან რომ! რომისთვის მოსკოვში ას მანეთს იძლევიან, შენიშნა ლუჩკამ.

შენ რამდენილა გითავაზეს, ლუჩკა, სუყველაფრისთვის? ისევ წამოიწყო კობილინი.

მითავაზეს. ძვირფასო მეგობარო, ას ხუთი. აბა, რა გითხრათ, ძმებო: კინალამ მომკლეს, აყვა ლუჩკა და ისევ მიატოვა კობილინი აი, როგორც კი გადამიწყვიტეს ეს ას ხუთი, სრული ცერემონიით წამიყვანეს... მანამდე კი გაჯოხვა არ მეგემნა. აუარება ხალხი მოზღვავდა, მთელ ქალაქს ჩამოერბინა: ყაჩაღსა სჯიანო, მკვლელსაო, რაღა. მართლაც როგორი შტერია ეს ხალხი, არც კი ვიცი, რანაირად გამოვთქვა. ტიმოშკამ გამხადა, დამდო, დამძახის: „გამიძელ, დაგცეცხლავე!“ ველოდები: რა იქნება-მეთქი. პირველი ისეთი გადამაწნა, ყვირილი მოვიწვინე, პირიც გავაღე, მაგრამ სადღა მქონდა ხმა, გამპარვოდა, რაღა. მეორეც ისეთი გადამიჭირა, გინდ დაიჯერე, გინდ არა, აღარც მეყურებოდა, როგორ დაითვალეს ორი. როცა გონს მოვედი, მესმის ითვლიან: მეჩვიდმეტე. ასე, ჩემო ძმაო, ოთხიოდეჯერ გადმომიღეს ტაიტიდან. ნახევარნახევარ საათს მასვენებდნენ, წყალს მასხამდნენ. ყველას თვალებგად-

მოკარკლული შევეყურებდი, თანაც ვფიქრობდი: „ვერ გავაღწევ-მეთქი...“

გააღწიე კი? გულუბრყვილოდ ჰკითხა კობილინმა.

ლუჩკამ უაღრესი ზიზღით აათვალიერ-ჩაათვალიერა; გაისმა ხარხარი ნამდვილი ყეყეჩია!

სხვენში მოისუსტებს, შენიშნა ლუჩკამ, ვითომც ნანობს, ასეთ კაცს თავი როგორ გავუყადრეო.

მაშასადამე, ჭკუაზე ვერ არი, დაამოწმა ვასიამ.

თუმცა ლუჩკას ექვსი კაცი მოეკლა, მაგრამ საპყრობილეში მისი არავის შეშინებია. თუმცაღა, შესაძლოა, გულში კიდევ უნდოდა, საშიში კაცის სახელი ჰქონოდა.

1.9. ისაი ფომიჩი. აბანო. ბაკლუშინის ნაამბობი

ქრისტეშობის დღესასწაული დგებოდა. პატიმრები მას რალაცნაირი ზეიმით ელოდნენ; მათი შემყურე მეც რალაც არაჩვეულებრივს მოველოდი. დღესასწაულამდე ოთხიოდე დღით ადრე აბანოში წაგვიყვანეს. ჩემ დროს, განსაკუთრებით პირველ წლებში, პატიმრები იშვიათად დაჰყავდათ აბანოში. ყველას გაუხარდა და თადარიგს შეუდგნენ. წასვლა დანიშნული იყო ნასადილევს, ასე რომ, სადილობის შემდგომ სამუშაოსგან ვთავისუფლდებოდით.

ჩვენი ყაზარმიდან ყველაზე გახარებული ისაი ფომიჩ ბუმშტეინი ჩანდა, ებრაელი კატორღელი, რომელიც ზემოთაც ვახსენე. გამოთავყვანებამდე, გრძნობის დაკარგვამდე უყვარდა ორთქლის აბანო. ყოველთვის ძველი ამბების გახსენებაზე, არასოდეს დამავიწყდება კატორღული აბანო (რომელიც ღირს იმად, რომ არ დავივიწყოთ); სურათის წინა პლანზე კატორღელი ამხანაგისა და ყაზარმელი მეზობლის, უნეტარესი და დაუვიწყარი ისაი ფომიჩის სახე წარმომიდგება. ღმერთო, რა სასაცილო იყო ეს ორმოცდაათიოდე წლის სუსტი, ჩამომჭკნარი, საშინლად დაღარული სახისა და გამხდარი, თეთრი, წიწილასებური ტანის კაცი. სახის გამომეტყველებაზე ატყობდით თვითკმაცოფილება და ნეტარებასაც კი. მგონი, კატორღაში მოხვედრას სულაც არ ნანობდა. რაკი იუველირი იყო და ქალაქში იუველირი არ ჰყავდათ, ქალაქელი ბატონებისა და უფროსობისთვის განუწყვეტლივ მუშაობდა; მხოლოდ საიუველირო სამუშაოს ასრულებდა. ცოტაოდენს მაინც უხდიდნენ. არ უჭირდა, მდიდრულადაც კი ცხოვრობდა, ფულს ინახავდა და მთელ კატორღას პროცენტით აძლევდა სესხად. ჰქონდა თავისი სამოვარი, კარგი ლეიბი, ფინჯნები, მთელი სასადილო ჭურჭელი. ქალაქის ებრაელებიც მფარველობდნენ. შაბათობით ბადრაგის თანხლებით ქალაქის სალოცავში დადიოდა (ეს კანონით დაშვებულია). თუმცა არხეინად ცხოვრობდა, მაინც მოუთმენლად ელოდა თავისი თორმეტი წლის ვადის გასვლას, რომ „სოლიშეელთ“. ეს კაცი გულუბრყვილო-

ბის, სულელის, ეშმაკობის, უტიფრობის, მიამიტობის, სიფრთხილის, ტრაბახისა და თავხედობის ერთგვარ კომიკურ ნაზავს წარმოადგენდა.

უცნაურად მეჩვენებოდა, რომ კატორღელები არ დასცინოდნენ; ხანდახან გასართობად თუ გაემასხრებოდნენ. ისაი ფომიჩი, როგორც მივხვდი, ყველასთვის გართობის მუდმივ თავშესაქცევს წარმოადგენდა. „ერთადერთი გვყავს, ხელი არ ახლოთ ისაი ფომიჩს“, ამბობდნენ პატიმრები და ისაი ფომიჩიც, თუმცა კარგად ესმოდა, რაშიც იყო საქმე, მაინც ამაყობდა თავისი მნიშვნელობით, რაც ძალიან ართობდა პატიმრებს. კატორღაშიც მეტად სასაცილოდ მოხვდა (ეს ჩემამდე იყო, სხვები მომიყვნენ). ერთხელ, მოულოდნელად, საღამო ხანს, შაბაშის დროს, საპყრობილეში ხმა გავრცელდა, ურია მოუყვანიათ და კორდეგარდიაში პარსავენ, სულ მალე შემოვალ. კატორღაში მაშინ ებრაელი არავინ იყო. პატიმრები მოუთმენლად ელოდნენ, და როგორც კი ჭიშკარში შემოაბიჯა, დაუყოვნებლივ შემოეხვივნენ. სამოქალაქო ყაზარმაში საპყრობილის უნტეროფიცერი შემოუძღვა და ნარზე ადგილი მიუჩინა. ისაი ფომიჩს ხელში სახაზინო და საკუთარი ნივთებით გატენილი ტომარა ეჭირა. ტომარა დადო, ნარზე აბობლდა და ფეხებმორთხმული წამოჯდა, თვალს ვერავის უსწორებდა. გარშემო მისი ებრაული წარმოშობის გამო პატიმრული ხუმრობა და სიცილი ისმოდა. უცებ ბრბოს ახალგაზრდა პატიმარი გამოეყო, ხელში ყველაზე ძველი, ჭუჭყიანი, დაგლეჯილი საზაფხულო შარვალი და სახაზინო ფეხსახვევი ეჭირა. ისაი ფომიჩს მიუჯდა და მხარზე ხელი დაჰკრა: აბა, ძვირფასო მეგობარო, მეექვსე წელია გელი. აჰა, ნახე, ბევრს მომცემ?

და ძონძები წინ დაულაგა.

ისაი ფომიჩი, რომელიც საპყრობილეში შემოსვლისთანავე იმდენად დაფრთხა, რომ გამქირდავ, დამახინჯებულ და შემზარავსახეებიან ბრბოსთვის თვალიც ვერ გაესწორებინა და შიშით ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა, სავაჭრო თემამ უცებ გამოათხიზლა და ძონძები ცქვიტად გადასინჯა. სინათლეზეც კი გახედა. ყველა ელოდა, რას იტყოდა.

რა გაეწყობა, ვერცხლის მანეთიანს მაინც თუ მომცემ? ღირს კი! განაგრძობდა დამგირავებელი, თან ისაი ფომიჩს თვალს უპაჭუნებდა.

ვერცხლის მანეთიანი არა, მაგრამ შვიდი კაპიკი შეიძლება. ამ სიტყვებზე ყველანი სიცილით ჩაბჟირდნენ.

შვიდი! კარგი, მომეცი, თუნდაც შვიდი იყოს; შენი იღბალია! მხოლოდ უყურე, გირაოს გაუფრთხილდი, პასუხს გაგებინებ.

პროცენტიც სამი კაპიკი, გამოვა ათი კაპიკი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, აკანკალებული ხმით განაგრძობდა ებრაელი; ფულის ამოსაღებად ჯიბეში ხელი ჩაიყო, თან დროდადრო შემკრთალი გადახედავდა პატიმრებს, ძალიან ეშინოდა, მაგრამ საქმის მოკვარახჭინებაც უნდოდა.

სამი კაპიკი წლიური პროცენტია?

არა, წელიწადში კი არა, თვეში.

ხელმოჭერილი ყოფილხარ, ურიავ. რა დაგიძახოთ?

ისაი ფომიჩი.

აბა, ისაი ფომიჩ, ცხოვრებაში არ დაიკარგები! მშვიდობით.

ისაი ფომიჩმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა გირაო, დაკეცა და პატიმართა განუწყვეტელ ხარხარში ტომარაში ფრთხილად ჩაღო.

ის თითქოს ყველას უყვარდა, არავინ აწყენინებდა, თუმცა თითქმის ყველა მისი მოვალე იყო. თავად ქათამივით უწყინარი გახლდათ და, საყოველთაო კეთილგანწყობით გაბულუქებული, წაითავხედებდა ხოლმე, მაგრამ ისეთი მიაშიტი კომიზმით, რომ მაშინვე აპატიებდნენ. ბევრი ურიის მნახველი ლუჩკა მას ყველაზე მეტად აბრაზებდა, მაგრამ არა ღვარძლიანად, ისე, გასართობად, სწორედ ისევე, როგორც თავს იქცევენ ფინიათი, თუთიყუშით, გაწვრთნილი ცხოველებითა და მისთანებით. ისაი ფომიჩმა ძალიან კარგად იცოდა ეს, სულაც არ სწყინდა და მეტად მოხერხებულად ხუმრობაში ატარებდა.

ჰეი, ურიავ, მიგტყეპავ!

შენ ერთხელ გამარტყამ, მე კი ათჯერ, ვაჟკაცურად პასუხობდა ისაი ფომიჩი.

ჰაი, შე ქეციანო!

დაე, ქეციანი ვიყო!

ქეციანო ურიავ!

ჯანაბას, მანგრე იყოს. სამაგიეროდ, მდიდარი ვარ, ფულიანი.

ქრისტეს გამყიდველო!

ჯანაბას, მანგრე იყოს.

დიდებულია, ისაი ფომინ, ყოჩაღ! ხელს ნუ ახლებთ, ერთადერთი გყავს! ხარხარით გაჰყვირიან პატიმრები.

ჰეი, ურიავ, წკეპლა არ აცცდება, ციმბირში წახვალ.

ისედაც ციმბირში ვარ.

უფრო შორს გიკრავენ თავს.

რაო, პანი ღმერთი თუ არის იქ?

არის მაშა, როგორ არ არის.

მაშ ჯანაბას, ოღონდ პანი ღმერთი და გროშები იყოს, ყველგან კაი იქნება.

ყოჩაღ, ისაი ფომინ, ნამდვილად ყოჩაღი ყოფილხარ! გაჰყვირიან გარშემო. ისაი ფომინი კი, თუმცა ხედავს, რომ დასცინიან, მაინც მხნედ უჭირავს თავი; საყოველთაო ქება სიამოვნებს და ისიც მთელი ყაზარმის გასაგონად წვრილი ხმით გააბამს: „ლა-ლა-ლა-ლა“ რაღაც უაზრო, სასაცილო, უსიტყვო სიმღერას, რომელსაც მთელი კატორღის მანძილზე მღეროდა. შემდგომ, როცა უფრო ახლოს გავიცანი, მეფიცებოდა, ეს სწორედ ის სიმღერაა, სწორედ ის მოტივია, მეწამულ ზღვაზე გადასვლისას ექვსასი ათასი ებრაელი დიდიდან პატარამდე, რომ მღეროდაო; თითოეულ ებრაელს უანდერძეს ამ ჰანგზე შემოსძახოს სიმღერა მტერზე ზეიმისა და გამარჯვების წუთებშიო.

ყოველ პარასკევ საღამოს, საგანგებოდ მოდიოდნენ სხვა ყაზარმებიდან იმის სანახავად, თუ როგორ აღნიშნავდა ისაი ფომინი თავის შაბაშს. ისაი ფომინი იმდენად უწყინარი ტრაბახა და თავმომწონე იყო, ეს საერთო ცნობისმოყვარეობაც სიამოვნებდა. ის პედანტურად და ნაძალადევი მედიდურობით შლიდა კუთხეში თავის მომცრო მაგიდას, გადახსნიდა წიგნს, აანთებდა ორ სანთელს და რაღაც იდუმალი სიტყვების ბუტბუტით მოიხვევდა თავის სამოსელს (შეშამოსელს, როგორც თავად ამბობდა). ეს იყო შალის ქსოვილის ჭრელი წამოსასხამი, რომელსაც გულდასმით ინახავდა სკივრში. ორივე ხელზე თასმებს დაიხვევდა, თავზე, ზედ შუბლთან, რაღაც ხის პაწაწინა ყუთს დაიმაგრებდა,

გვეგონებოდათ, რაღაც სასაცილო რქა ამოსვლიათ. შემდეგ იწყებდა ლოცვას. კითხულობდა წამღერებით, გაყვიროდა, იფურთხებოდა, ტრიალებდა, უცნაურ და სასაცილო ჟესტებს აკეთებდა. რასაკვირველია, ყველაფერ ამას ლოცვის წესები განაპირობებდა და ამაში უცნაურიც არაფერი უნდა ყოფილიყო; მაგრამ ისაი ფომიჩი, განგებ გვეპრანჭებოდა და თავისი რელიგიური წესებით გვეტრაბახებოდა. ხან თავზე ხელებს წაიფარებდა და ქვითინით კითხულობდა. ქვითინს ისე აძლიერებდა, რომ ღონემიხდილი, ლამის ღმუილით ხრიდა წიგნზე კიდობნით შემკულ თავს, მაგრამ უცებ ახარხარდებოდა და რაღაც მგრძნობიარედ, გადამეტებული ბედნიერებისგან მისუსტებული ხმით გაბმით მოთქვამდა; „შეხე, აიშვა!“ იტყოდნენ ხოლმე გამხიარულებული პატიმრები. ერთხელ ვკითხე ისაი ფომიჩს: რას ნიშნავს ეს ქვითინი და შემდგომ საზეიმო გადასვლები ბედნიერებისა და ნეტარებისკენ-მეთქი. უნდა ითქვას, რომ ისაი ფომიჩს ნამეტანი სიამოვნებდა ასეთი შეკითხვები. დაუყოვნებლივ მიხსნიდა: ტირილი და ქვითინი ნიშნავს ფიქრს იერუსალიმის დაკარგვის გამო; კანონი გვავალდებულებს, ამაზე ფიქრისას, რაც შეიძლება მაგრად ვიქვითინოთ და მუშტს მკერდში ვიცემდეთო; მაგრამ ყველაზე ძლიერი ქვითინისას ისაი ფომიჩი, თავს ავალდებულებდა, უცებ გაეხსენებინა (ეს „უცებიც“ კანონითაა დაწესებული), რომ არსებობს წინასწარმეტყველება ებრაელთა იერუსალიმში დაბრუნებაზე. აქ დაუყოვნებლივ უნდა გახარებოდა; ლოცვები სიმღერით, ხარხარით წარმოეთქვა; ხმით რაც შეიძლება მეტი ბედნიერება, სახით კი მეტი კეთილშობილება უნდა გამოეხატა; ეს უცებ გადასვლები და ვალდებულებები უაღრესად მოსწონდა ისაი ფომიჩს, რაღაც განსაკუთრებულ, მეტად ეშმაკურ ოინს ხედავდა ამაში და კანონის ამ მიკიბულმოკიბული წესით მეტრაბახებოდა. ერთხელ, გაცხარებული ლოცვისას, ყარაულის ოფიცრისა და ბადრაგების თანხლებით ოთახში პლაც-მაიორი შემოვიდა. ყველა პატიმარი თავის ნართან გაიჯგომა, ისაი ფომიჩმა კი უფრო უმატა ვაი-ვიშსა და მანჭვა-გრეხას. მან იცოდა, ლოცვა ნებადართული იყო, ამიტომ ვერ გააწყვეტინებდნენ და, რასაკვირვე-

ლია, ამით არავითარ რისკს არ სწევდა. პირიქით, მისი ჭკუით, მაიორსაც და ჩვენც თავს გვაწონებდა.

მაიორი ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდა; ისაი ფომიჩი თავის პატარა მაგიდისკენ ზურგით შებრუნდა და ზედ მაიორის ცხვირწინ წამღერებით დაიწყო საბეიმო წინასწარმეტყველების კითხვა, თან ხელებს იქნევდა. ვინაიდან წესად ჰქონდა ამ დროს სახეზე ძალიან დიდი ბედნიერება და კეთილშობილება გამოეხატა, კიდევ აღასრულა შეუფერხებლად; როგორღაც განსაკუთრებულად მოჭუტა თვალები, იცინოდა და მაიორისკენ თავს იქნევდა. მაიორი განცვიფრდა, მაგრამ ბოლოს სიცილისგან დაიფრუტუნა, იქვე პირში სულელი უწოდა და წავიდა; ისაი ფომიჩმა კი უფრო უმატა ყვირილს. ერთი საათის შემდეგ, როცა ვახშობდა, ვკითხე: რას იზამდით, პლაცმაიორი რომ გაგკავრებოდათ-მეთქი?

რომელი პლაცმაიორი?

როგორ თუ რომელი? განა ვერ შენიშნეთ?

ვერა.

ის ხომ სულ რაღაც ერთ არშინზე, თქვენს ცხვირწინ იდგა.

მაგრამ ისაი ფომიჩი მეტად სერიოზულად მარწმუნებდა, სულაც არ დამინახავს მაიორიო. ამ ლოცვების დროს რაღაც ექსტაზში ვვარდები, ასე რომ ვერაფერს ვამჩნევ, რაც გარშემო ხდებოდა.

ახლაც ცხადად ვხედავ ისაი ფომიჩს, შაბათობით ყაზარმაში უსაქმოდ მოხეტიალეს, ყოველნაირად რომ ცდილობდა, საქმეს გარიდებოდა, როგორც ამას კანონი ავალდებულებდა. ყოველთვის უცნაურ ანეკდოტებს მიყვებოდა; დაუჯერებელ პეტერბურგულ ინფორმაციებს მაწვდიდა, თან მარწმუნებდა, ჩემმა ურიებმა გადმომცეს, მათ კი პირველწყაროებიდან გაიგესო.

ისაი ფომიჩზე საუბარიძალიან გამიგრძელდა.

მთელ ქალაქში მხოლოდ ორი საზოგადოებრივი აბანო არსებობდა. პირველი, ერთი ებრაელის საკუთრება, ნომრებიანი იყო, ნომერში ორმოცდაათ ვაპიკს ახდევინებდნენ და მაღალი წრისთვის უმაღლეს დონეზე იყო მოწყობილი; მეორე აბანო კი ძველი, ჭუჭყიანი, ვიწრო ძირითადად მდაბიოებს ემსახურებოდა. სწორედ ამ აბანოში წაგვასხეს.

მზიანი და ყინვიანი დღე იყო. პატიმრებს ციხიდან გამოსვლა და ქალაქის შეხედვაც კი ახარებდათ. გზად ხუმრობა და სიცილი არ ცხრებოდა. მთელი ქალაქის გასაკვირად, თოფებგატენილი ჯარისკაცების ოცეული მიგვაცილებდა. აბანოში მაშინვე ორ წყებად გაგვეყვს. სანამ პირველი წყება იბანდა, მეორე აბანოს ცივ მოსაცდელში იცდიდა. დასაბანი ოთახი იმდენად პატარა იყო, ვერ წარმომედგინა, თუნდაც ჩვენს ნახევარს როგორ დაიტევდა. პეტროვი არ მცილდებოდა; თავად მოიჭრა ჩემთან და დაბანვაში დახმარება შემომთავაზა. პეტროვთან ერთად ჩემი მომსახურება მოისურვა ბაკლუშინმაც, განსაკუთრებული განყოფილების პატიმარმა, ჩვენთან რომ პიონერს ეძახდნენ. პეტროვი გახდაშიც მომეხმარა. მიუჩვევლობის გამო გახდას დიდხანს ვუნდებოდი, თან საშინლად ციოდა აბანოს გასახდელში თითქმის ისევე, როგორც გარეთ.

სხვათა შორის, ყველა პატიმარს უჭირს გახდა, თუ კარგად არ შეუსწავლია ეს საქმე. ჯერ ერთი, უნდა შეგეძლოს ბორკილქვეშა საფენის სწრაფად მოხსნა: ოთხიოდე გოჯი სიგრძის ამ საფენებს ტყავისგან აკეთებენ და საცვალზე იხვევენ, ფეხზე შემოჭდობილ რკინის რგოლქვეშ. ორი ბორკილის საფენი არანაკლებ ვერცხლის ექვსი უზალთუნი ღირს, მაგრამ ყველა პატიმარი იძენს, საკუთარი ხარჯით, რასაკვირველია, რადგან ბორკილსაფენის გარეშე სიარული შეუძლებელია. ბორკილის რგოლი მჭიდროდ როდია შემოჭდობილი ფეხზე რგოლსა და ფეხს შუა თითი გაეტევა; ამრიგად, რკინა ფეხს ეხება და ტუსალს უსაფენოდ ერთ დღეში გადაეყვლიფება. მაგრამ ბორკილებს ქვემოდან საცვლის გახდასთან შედარებით, საფენების მოხსნა არაფერია. აქ სწორედ ფოკუსნიკობა გჭირდება. ავიღოთ, თუნდაც მარცხენა ფეხიდან ქვედა საცვლის გახდა: ჯერ საჭიროა საცვალი ფეხსა და ბორკილის რგოლს შუა გაატარო, შემდეგ, გათავისუფლებულ ფეხს, ისევ იმავე რგოლში ამოატარებ. მერე ყველაფერი, რაც მარცხენა ფეხიდან წაიძრე, მარჯვენა ფეხის რგოლში უნდა გაუყარო; ხოლო შემდგომ, მარჯვენა რგოლში გაყარილი, ისევ მთლიანად გამოუყარო. ასეთივე ამბავია ახალი საცვლის ჩაცმისას. ბუნებრივია, ახალბედა პატიმარი ამას ვერ გააკეთებს, მიხ-

ვედრაც კი გაუძნელდება. ეს ყველაფერი ტობოლსკში მასწავლა ტუსალმა კორნეევმა, ყანალების ყოფილმა ატამანმა, ხუთი წელი მიჯაჭვულმა.

პატიმრები დროთაგანმავლობაში ამ ხელობაში იწაფებიან და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იოლად გადიან. საპნისა და ხრალის მოსამარაგებლად პეტროვს რამდენიმე კაპიკი მივეცი; მართალია, პატიმრებს სახაზინო საპონიც ეძლეოდათ, თითოეულს თითო ნაჭერი, ორშაურიანის ოდენები, სისქით კი ყველის იმ ნაჭრებივით სიფრიფანა, სადამოლობით „საშუალო წარმოშობის პატიმრებს“ ვახშმად რომ მიართმევინ. საპონი იქვე, აბანოს მისაღებში იყიდებოდა თაფლუჯთან, კალახებთან და ცხელ წყალთან ერთად. ყოველ პატიმარზე, აბანოს პატრონთან შეთანხმებით, მხოლოდ ერთი კუტალი ცხელი წყალი გაიცემოდა; ვისაც უფრო სუფთად დაბანა უნდოდა, ერთ გროშად შეეძლო მიეღო მეორე კუტალი, რომელსაც შიგნითვე აბანოს მისაღებიდან, სპეციალურად ამისთვის მოწყობილი სარკმლიდან გადააწოდებდნენ. პეტროვმა ტანთ გამხადა და ხელკავით წამიყვანა, რადგან შემატყო, ბორკილიანი ფეხის გადადგმა ძალიან მიჭირდა. „ზევით აიწიეთ კანჯზე, მეუბნებოდა და თან ხელს მაშველებდა, აი, აქ კი ფრთხილად, აქ კარია“. რამდენადმე კიდევ მეუხერხულებოდა; მინდოდა დამერწმუნებინა პეტროვი, რომ მართლაც გავივლიდი, მაგრამ არ იჯერებდა. ის ნამდვილად ისე მექცეოდა, როგორც არასრულწლოვან და მოუქნელ ბავშვს, რომელსაც ყველა მოვალეა, დაეხმაროს.

პეტროვი მსახურთა კატეგორიას სულაც არ ეკუთვნოდა. მომსახურებისთვის ფულს სულაც არ შევპირებივარ, თვითონაც არ მოუთხოვია. მაშ, რაღა აიძულებდა აჩრდილივით ამდევნებოდა?

აბანოს კარი რომ შევალეთ, მეგონა ჯოჯოხეთში მოვხვდი. წარმოიდგინეთ თორმეტიოდნე ნაბიჯი სიგრძისა და ამდენივე სიგანის ოთახი, სადაც ას კაცს მოეყარა თავი; ყოველ შემთხვევაში, ალბათ, ოთხმოცამდე მაინც, რადგან ორ წყებად ვიყავით გაყოფილნი, სულ კი აბანოში ორასამდე პატიმარი მოვედით. ორთქლის ბული იდგა და ვერაფერს გაარჩევდი. ირგვლივ ჭვარტლი იყო, ჭუჭყში ფეხის დასადგმელ ადგილსაც

ვერ ი პოვიდი. შემეშინდა და უკან გაბრუნება დავაპირე, მაგრამ პეტროვმა მაშინვე გამამხნევა. უდიდესი დაბრკოლებების გადალახვა მოგვიხდა, იატაკზე მსხდომთ ვთხოვდით თავი დაეხარათ, რათა გავლა მოგვეხერხებინა, ზედ ვალაჯებით. როგორც იქნა, მერხებამდე მივაღწიეთ. მაგრამ ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა. პეტროვმა განაცხადა, ადგილის ყიდვაა საჭირო, და მაშინვე დაუწყო ვაჭრობა ფანჯარასთან მოკალათებულ პატიმარს. მან კაპიკად დაგვითმო თავისი ადგილი.

პეტროვმა მაშინვე მისცა ხელში ჩამუჭული ფული, რომელიც წინდახედულად თან წამოვღო. წამსვე მერხის ქვეშ შეძვრა, პირდაპირ ჩემს ფეხქვეშ, სიბნელესა და ჭუჭყში, სადაც ჟანგი და ნესტი მეფობდა; მაგრამ მერხებქვეშაც სულმთლად დაეკავებინათ ადგილები. იქაც ფუსფუსებდნენ. მთელ იატაკზე ხელისგულისოდენა ადგილსაც ვერსად ნახავდით. ყველგან ჩაჭუჭყულიყვნენ მოკრუნჩხული პატიმრები და თავიანთი კუტალებიდან ჭყუმპალაობდნენ. სხვები მათ შუა აჩხორილიყვნენ, ხელში კუტალები ეჭირათ და ზეზეულა იბანდნენ, მათი ჩამონაბანი ჭუჭყიანი წყალი ქვემოთმყოფებს პირდაპირ გადაპარსულ თავებზე დასდიოდათ. თაროსა და მისკენ მიმავალ ყველა საფეხურზე მოკრუნჩხულ-მოგრეხილ მობანავეებს მოეკალათებინათ.

მდაბიონი ნაკლებ იბანენ ცხელი წყლითა და საპნით; მხოლოდ საშინლად იორთქლებიან და შემდეგ ცივ წყალს გადაივლებენ, აი, მთელი მათი ბანაობა. თაროზე ორმოცდაათიოდე ცოცხი ერთბაშად აღიჩადიოდა, ყველა თავბრუდახვევამდე იშოლტავდა თავს, ორთქლს ყოველ წუთს აწოდებდნენ. ეს სიცხე კი არა, ნამდვილი ჯოჯობეთი იყო. ასი ჯაჭვის ჟღრიალს პატიმართა ყვირილიც ემატებოდა. ზოგიერთი, გავლას რომ მოინდომებდა, სხვის ჯაჭვებს ედებოდა ან ძირს მჯდომთა თავებზე ეცემოდა, ილანძლებოდა და თან წამოდებულსაც გადაიყოლებდა. ყოველი მხრიდან მოწურწურებდა ჭუჭყი, ყველა რაღაც თავდავიწყებას, რაღაცნაირ აღგზნებულ განწყობას შეეპყრო; ამ საშინელ ღრიანცელს აბანოს მოსაცდელში მდგომთა ლანძღვა-გინებაც ემატებოდა, იყო ჯგლეთა და ზედახორა.

ცხელი წყალი, სანამ ადგილამდე მიიტანდნენ, იატაკზე მჯდომთა თავებს ეღვრებოდა. იშვიათად, სარკმელში ან შეღებულ კარში უღვაშა, თოფიანი ჯარისკაცი შემოიხედავდა, ემანდ უწესრიგობა ხომ არ არისო. პატიმართა გადაპარსული თავები დაწითლებამდე დალბობილი სხეულები კიდევ უფრო მახინჯად გამოიყურებოდა. ორთქლით გაოფლილ ბურგს, როგორც წესი, მკვეთრად ემჩნევა ნაიარევები; ასე რომ, ამჟამად ყველა ეს ბურგი ახალი ტრილობებით დაფარულს ჰგავდა. საზარელი იარები! რომ ვუყურებდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა. ორთქლი სქელ, მხურვალე ღრუბლად ეფინებოდა მთელ აბანოს. ობშივრის ღრუბლიდან გამოკრთებოდნენ ნაცემი ბურგები, გადაპარსული თავები, მოკრუნჩხული ხელ-ფეხი; ყოველივე ამასთან, სულ მალალ თაროზე ისაი ფომიჩი შემოსკუპულა და მთელი ხმით როხროხებს. გონებადაკარგვამდე იორთქლება, მაგრამ, მგონი, სიმხურვალემ ვერ გააძღო; კაპიკად ქირაობს მექისეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ბოლოს ველარ უძლებს, აგდებს ცოცხს და გარბის, რომ ცივი წყალი გადაივლოს ტანზე. ისაი ფომიჩი არ ცხრება და ქირაობს მეორეს, მესამეს. გადაუწყვეტია, ამგვარი შემთხვევის გამო ხარჯს არ მოერიდოს და ხუთამდე მექისეს იცვლის. „ბიჭოს, რას იორთქლება, ყოჩაღ, ისაი ფომიჩ!“ შესძახიან პატიმრები. ისაი ფომიჩი თავადაც გრძნობს, ამ წუთს ყველაზე მაღლა რომ დგას და ყველა ჯიბეში ჩაისვა, ზეიმობს და მკვეთრი, შემოვლილი ხმით დასძახის თავის არიას: ლა-ლა-ლა-ლა-ლა-ლას და ყველას ხმას ფარავს. გავიფიქრე, თუ ჩვენ ყველანი ერთად ოდესმე ჯოჯოხეთში ჩავცვივდით, უთუოდ ამ ადგილს ემგვანება-მეთქი. ვერ მოვითმინე და ჩემი ვარაუდი პეტროვს გავანდე; მან გარშემო მიმოიხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მინდოდა ჩემს გვერდით მისთვისაც მეყიდა ადგილი, მაგრამ ის ფერხითით ჩამიჯდა და მითხრა, ძალიან მოხერხებულად ვგრძნობ თავსო. ამასობაში ბაკლუშინი ჩვენთვის წყალს ყიდულობდა და, საჭიროებისამებრ, მოჰქონდა. პეტროვმა განაცხადა, თავიდან ფეხებამდე დაგბანთო, ამგვარად „სულმთლად სუფთა იქნებით“, და დაჟინებით მიწვევდა დასაორთქლად, მაგრამ ვერ გავბედე. პეტროვმა ერთიანად გამსაპნა და დამზილა. „ახლა კი ფეხუნიებს ჩაგ-

ბანთ“, დაუმატა ბოლოს. მინდოდა მეპასუხა, თავადაც შემიძლია-მეთქი, მაგრამ უკვე აღარ ვეწინააღმდეგებოდი და მთლად მის ნებას დაეყვი, კნინობით „ფეხუნიებში“ სულაც არ იგრძნობოდა მონურობის რაიმე კილო, უბრალოდ პეტროვს არ შეეძლო ჩემი ფეხებისთვის ფეხები ეწოდებინა, ალბათ, იმიტომ, სხვებს, ნამდვილ ადამიანებს, ფეხები აქვთ, მე კი ჯერ მხოლოდ ფეხუნიები მქონდა.

რომ დამბანა, გასახდელში გამიყვანა ისევ ისეთი ცერემონიით, ანუ ხელის წაშველებითა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიფრთხილისკენ მოწოდებით, თითქოს ფაიფურისა ვიყავი, საცვლის ჩაცმაში დამეხმარა. როცა ჩემზე ბრუნვას მორჩა, მხოლოდ ამის შემდეგ გაიქცა დასაორთქლად.

შინ დაბრუნებულმა ჭიქა ჩაი შევთავაზე, რაზეც უარი არ უთქვამს. შესვა და მადლობა გადამიხადა. გადავწყვიტე, ჯიბეზე ხელი გამეკრა და ერთი თლაშო სასმელით გავმასპინძლებოდი. თლაშო ჩვენს ყაზარმაშიც მოიძებნა. პეტროვი ერთობ კმაყოფილი დარჩა. დალია, ჩაახველა, სრულიად გამაცოცხლეო, მითხრა და ნაჩქარევად გაემართა სამზარეულოსკენ, თითქოს იქ უიმისოდ რაღაც აუცილებელ გადაწყვეტილებას ვერ იღებდნენ. მის ნაცვლად ჩემთან სხვა თანამოსაუბრე გამოცხადდა, ეს იყო ბაკლუშინი (პიონერი), რომელიც ჩაიზე ჯერ კიდევ აბანოში დავპატიჟე.

ბაკლუშინზე უკეთესი ზნის კაცი არ შემხვედრია, მართალია, ჯავრს არავის შეარჩენდა, ხშირადაც ჩხუბობდა, არ უყვარდა თავის საქმეში სხვები რომ ერეოდნენ, ერთი სიტყვით, იოლად ხელს ვერავინ წამოკრავდა, მაგრამ დიდი ხნით როდი წაიჩხუბებდა. მგონი, ჩვენთან ყველას უყვარდა. სადაც უნდა შესულიყო, ყველა სიამოვნებით ხვდებოდა. ქალაქშიც კი იცნობდნენ, როგორც ამქვეყნად ყველაზე ოხუნჯსა და მხიარულს. ეს იყო მაღალ-მაღალი, ოცდაათიოდე წლის ჭაბუკი. ვაჟკაცურ და კეთილ სახეზე მეჭეჭები ჰქონდა. როცა ვინმეს გამოაჯავრებდა, სახეს ისე სასაცილოდ მანჭავდა, რომ მის გარშემომყოფნი სიცილს ვერ იკავებდნენ. თანაც არაფერს უთმობდა ჩვენებური სიცილის მოძულე-

ებს, ამიტომაც აღარ ლანძღავდნენ: ქარაფშუტა და უმაქნისიაო. ის სიცოცხლით სავსე ადამიანი იყო.

გაცნობისთანავე მითხრა, კანტონელი ვარო. შემდეგ პიონერად ემუშავა. ზოგიერთ მაღალ ჩინოსანს სხვებისგან გამორჩეულად უყვარდა, რითაც ყოველთვის ამაცობდა. პეტერბურგის ამბები აინტერესებდა. წიგნებიც კი წაეკითხა. ჩაიბე რომ მეწვია, ჯერ მთელი ყაზარმა გაამხიარულა იმის მოყოლით, პორუჩიკ შ.მ როგორ შეახურა დილით ჩვენი პლაცმაიორი; გვერდზე რომ მომიჯდა, კმაყოფილი სახით გამომიცხადა, სავარაუდოდ, დღესასწაულზე საპყრობილეში წარმოდგენა გაიმართებაო. გამოჩნდნენ მსახიობებიც. ნელ-ნელა დეკორაციებსაც ამზადებდნენ. ქალაქში მსახიობთა როლებისთვის ტანსაცმელსაც შეჰპირდნენ; ერთი დენშჩიკის მეშვეობით ოფიცრის ექსელბანტებიან კოსტიუმის შოვნასაც იმედოვნებდნენ. მთავარი იყო, პლაცმაიორს შარშანდელივით არ აეკრძალა. შარშან, საშობაოდ, მაიორი გუნებაზე არ გახლდათ. სადღაც წაეგო, ამასთან საპყრობილეშიც ეცელქათ, მანაც გარაზებულ გულზე აკრძალა. ერთი სიტყვით, ბაკლუშინი ერთობაღელვებული ჩანდა. აშკარა იყო, ის თეატრის ერთ-ერთი მთავარი მოთავე იყო. მაშინვე დავპირდი, რომ წარმოდგენას აუცილებლად დავესწრებოდი. წარმოდგენასთან დაკავშირებულ ბაკლუშინის ალაღ სიხარულს მეც ვიზიარებდი. სიტყვამ სიტყვა მოიტანა და საუბარს შევეყვით. მან მითხრა, სულ პეტერბურგში როდი ვმსახურობდიო. იქ რაღაც დაეშავებინა და რ.-ში გაეგზავნათ, გარნიზონის ბატალიონში უნტეროფიცრად.

სწორედ იქიდან გამომგზავნეს აქ, შენიშნა ბაკლუშინმა.

რისთვის? შევეკითხე.

რისთვის? თქვენ როგორ ფიქრობთ, ალექსანდრ პეტროვიჩ, რისთვის?

იმისთვის, რომ შემიყვარდა...

არა, ამაზე ჯერჯერობით აქ არ აგზავნიან, სიცილით ვუპასუხე.

ჩემმა მზემ, დასძინა ბაკლუშინმა, მართალია, ამ ამბავთან დაკავშირებით ერთი იქაური გერმანელიც გავაგორე დამბაჩით. ღირს გერმანელის გულისთვის გადაგასახლონ, თვითონ განსაჯეთ.

კი მაგრამ, რანაირად? მიაბმეთ, ეს საინტერესოა.

ძალზე სასაცილო ამბავია, ალექსანდრ პეტროვიჩ.

მით უკეთესი, მიაბმეთ.

გიაბმობთ? კარგი.

თუმცა არცთუ მთლად სასაცილო, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთი მკვლევლობის საკმაოდ ახირებული ამბავი მოვისმინე...

აი, როგორ მოხდა ეს, დაიწყო ბაკლუშინმა. ჩავედი რ.-ში, ვხედავ დიდი, ჩინებული ქალაქია, ოღონდ გერმანელები მრავლობენ. ჯერ კიდევ ჰყელი ბიჭი ვარ, უფროსები კარგად მიყურებენ, მეც, რასაკვირველია, დავდივარ ჩემთვის დარდიმანდულად, დროს ვატარებ რაღა, გერმანელ ქალებს თვალებს ვუპრაწავ. და იქ ერთი გერმანელის ქალი ჩამივარდა გულში. ლუიზა. ორივე თეთრეულის მრეცხავი იყო, ისა და დეიდამისი. დეიდა უკვე ბებრუხანაა, ზედმეტად გამოპრანჭული; შეძლებულად კი ცხოვრობენ. ჯერ ფანჯრების წინ ვუტრიალე, შემდეგ ნამდვილი მეგობრობაც გავაბი. ლუიზა რუსულადაც კარგად ლაპარაკობდა, მხოლოდ ცოტა თითქოს ენას იჩლექდა, იმნაირი საყვარელი იყო, არასოდეს შევხვედრივარ მისთანას, პირველად მიდებ-მოდება დავიწყე, მან კი მითხრა: არა, ეს არ შემოძლია, საშა. რადგან მინდა ჩემი სიქალწულე შევინარჩუნო, რომ შენი ღირსეული ცოლი გავხდეთ, და მხოლოდ მეალერსება. კისკისებს ხმაწკრიალად; ისეთი ფითქინა იყო. მისნაირი მართლაც აღარ მინახავს. თვითონვე წამაქება ცოლად მეთხოვა. როგორ არ ითხოვ, აბა, იფიქრე?! ჰოდა, მეც ვემზადები, თხოვნით მივიდე პოდპოლკოვნიკთან... უცებ ვხედავ, ლუიზა პაემანზე არ მოვიდა, არც მეორედ, მესამედაც არ გამოჩნდა... წერილს ვუგზავნი, პასუხი არ ჩანს. ეგ რაღაა, ვფიქრობ? თუ მატყუებს, იმდენი ეშმაკობა მაინც ეყოფოდა, წერილზე ეპასუხა და პაემანებზეც მოსულიყო, მან კი ტყუილიც ვერ მოახერხა, ისე უბრალოდ მოსჭრა. დეიდას ოინებია-მეთქი, ვფიქრობ. დეიდამისთან მისვლას ვერ ვხედავდი; თუმცა იცოდა ჩვენი ამბა-

ვი, მაინც შეფარვით ვმოქმედებდით, ჩუმ-ჩუმად, რაღა. დახუთულივით დავდივარ, უკანასკნელად მივწერე, შევუთვალე: „თუ არ შემხვდები, თავად მოვალ დეიდაშენთან“. შეშინდა, მოვიდა, ტირის. მეუბნება: ერთ გერმანელს, შულცს, მათ შორეულ ნათესავს, მესაათეს, მდიდარს და უკვე ხანშიშესულს, მისი თხოვნის სურვილი გამოუთქვამს: „უნდა მეც გამაბედნიეროს და თვითონაც სიბერისას უცოლოდ არ დარჩეს, მერე კიდევ ვუყვარვარ, კარგა ხანია ამ სურვილს ატარებს, მაგრამ სულ დუმდა, ემზადებოდა. აი, ასეა, საშა, ის მდიდარია, და ეს ჩემთვის ბედნიერებაა, ნუთუ ჩემს ბედნიერებას წამართმევ?“ ვუყურებ: ტირის, მეხვევა... ეჰ, ვფიქრობ, მართლაც აზრიანად ლაპარაკობს! აბა, რა სახეიროა ჯარისკაცზე გათხოვება, თუნდაც უნტეროფიცერზე? მაშ, მეთქი, ლუიზა, მშვიდობით, ღმერთი შეგეწიოს. რატომ უნდა წაგართვა ბედნიერება. მაინც, კარგი თუა იგი? არაო, ამბობს, ხანშიშესულია, გრძელცხვირაო... თვითონაც გაეცინა. გავშორდი; რა ვუყო, ვფიქრობ, იღბალია-მეთქი.

მეორე დილას მაღაზიას ავუარე. გავხედე შუაში ზის გერმანელი, საათებს აკეთებს. ასე ორმოცდახუთი წლისა იქნება. კეხიანი ცხვირი, თვალები გადმოკარკლული, ფრაკი აცვია და მაღალი, იმ სიგრძე საყელო უკეთია, თავმომწონე ვაჟბატონია. ეგრევე მივაფურთხე, მინდოდა, მაშინვე ჩამემსხვრია მინა. მაგრამ რატომ-მეთქი, ვფიქრობ! რადა ვქნა, რაც დაიკარგა, დაიკარგა! ბინდბუნდი იყო, ყაზარმაში მივბრუნდი; გავგორდი ტახტზე და, გჯერათ, ალექსანდრ პეტროვიჩ? ტირილი ამივარდა...

გადის ერთი დღე, მეორე, მესამე, ლუიზას არ ვხვდები. ამასობაში ერთი ნათლიდედისგან შევიტყვე (დედაბერი იყო, ისიც მრეცხავი, ზოგჯერ მასთან ლუიზა დადიოდა), რომ გერმანელს სცოდნია ჩვენი სიყვარულის ამბავი, ამიტომაც გადაუწყვეტია ნიშნობის დაჩქარება, თორემ ორიოდვე წელს კიდევ მოიცდიდაო. ლუიზასგან ვითომც ფიცი აეღოს, რომ მე ზედაც არ შემომხედავს, და ორივე, დეიდაცა და ლუიზაც, მას ჯერაც შავ დღეში ჰყავს: შეიძლება კიდევაც გადაიფიქროს, ერთი სიტყვით, ჯერაც არ გადაუწყვეტია. ისიც მითხრა, ზეგ, კვირა დილით ორი-

ვენი ყავაზე ჰყავს მი პატიუებული, კიდევ ნათესავი ეყოლებათ, მოხუცი, ადრე ვაჭარი, ახლა კი ღარიბ-ღატაკი,

სადღაც სარდაფში ზედამხედველად მუშაობსო. როგორც კი შევიტყვე, კვირას, შესაძლოა, მთელი საქმე გადაწყვიტონ-მეთქი, ბრაზი მომერია, თავს ველარაფერს ვუხერხებდი. ის და მთელი მეორე დღე სულ ამაზე ფიქრობდი. ასე მეგონა, იმ გერმანელს შეეჭამდი. კვირა დილას, როგორც კი წირვა დამთავრდა, წამოვხტი, ფარაჯა ჩავიცვი და გერმანელთან გავეჩიე. ვფიქრობდი, ყველას თავს წავდგომოდი; მაგრამ რისთვის გავემართე გერმანელთან, რის თქმას ვაპირებდი, თვითონაც არ ვიცი. ყოველი შემთხვევისთვის რაღაც საცოდავი დამბაჩა ჯიბეში ჩავიდე უვარგისი, ძველჩახმახიანი. ჯერ კიდევ ჩემ ბიჭობაში ვისროდი იმით. ახლა აღარც კი ისროდა, მაგრამ მაინც გავტენე ტყვიით. ვფიქრობ, გამომაგდებენ, უკმეხად დამელაპარაკებინან, მეც ვიძრობ და ყველას ანგელოზებს დავუფრთხობ-მეთქი. მივედი, სახელოსნო ცარიელია, ყველანი უკანა ოთახში დამსხდარან. მათ გარდა არავინაა, არც მსახურთაგან, თუმცა რა, სულ ერთი მოახლე ჰყავდა, გერმანელი ქალი, მზარეულიც ის იყო. გავიარე მაღაზია, ვხედავ, ძველი, რაბებიანი კარი გადაკეტილია. გულს ბაგაბუგი გაუდის. შევჩერდი, მივაყურადე: გერმანულად ლაპარაკობენ. მთელი ძალით ვკარი კარს ფეხი, მაშინვე გაიღო. ვხედავ: გაშლილია სუფთა, მაგიდაზე დიდი ყავადანი დევს, სპირტზე ყავა დუღს. იქვე ორცხობილები. მეორე ლანგარზე გრაფინით არაყი, ქაშაყი, ძეხვი და კიდევ ერთი ბოთლი რომელიღაც ღვინო. ლუიზა და დეიდამისი ორივენი მორთულ-მოკაზმულნი დივანზე სხედან. მათ პირდაპირ სკამზე თავად გერმანელი საქმრო გამოჭიმულა, დავარცხნილი, ფრაკში გამოწყობილი, საყელოები წამოშვერია. გვერდით სკამზე კიდევ ერთი გერმანელია, უკვე მოხუცი, სქელსქელი, ჭაღარა. დუმს. შევედი თუ არა, ლუიზა მყისვე გაფითრდა. დეიდამ ის იყო წამოიწია, მაგრამ ისევ ჩაჯდა, გერმანელი კი ბრაზით შეიჭმუნხა; წამოდგა და ჩემკენ წამოვიდა.

რა გნებავთო? მეკითხება.

კინალამ შევცბი, მაგრამ სიბრაზე მაგრად მომერია.

რა მნებავს და... სტუმარი მიიღე, არყით გაუმასპინძლდი. შენთან სტუმრად მოვედი.

დაფიქრდა გერმანელი და მეუბნება: დაჯექი!
დავჯექი.

აბა, ჰა, ვეუბნები, არაყი მოიტა.

აი, მეუბნება, არაყი; გადაჰკარი, გეთაყვა.

ეგ რა არის, ვეუბნები, კარგი არაყი გაიმეტე, ბრანმა ძალიან დამრია ხელი, რაღა.

ეგ კარგი არაყია.

ვიწყინე, რომ არაფრად მაგდებდა, თავს არ მიყადრებდა; ყველაზე უფრო კი ის მაქებებდა, ლუიზა რომ მიცქეროდა. დავლიე და ვეუბნები: შენ, ეი, გერმანელო, ვითომ რას მეუკმეხები? დავმეგობრდეთ, შენთან მეგობრულად მოვსულვარ.

მე არ შემეძლია თქვენი მეგობარი ვიყო, თქვენ უბრალო ჯარისკაცი ხართ. აქ კი გავცოფდი.

აი, შე საფრთხობელავ-მეთქი, აი, შე ბაყალო! თუ იცი, რომ ამ წუთიდან რასაც მინდა იმას გიზამ! გინდა დამბაჩით მიგახვრიტო?

ამოვიღე დამბაჩა. გადავუდექე, ლულა პირდაპირ თავში მივაბჯინე. სხვები ცოცხალმკვდარი სხედან; შიშისგან ხმა გაკმინდეს; მოხუცი ხომ ვერხვის ფოთოლივით თრთის, დუმს, სულმთლად გაფითრდა.

გერმანელი გაოცდა, მაგრამ გონს მოვიდა.

თქვენი არ მეშინია და გთხოვთ, როგორც კეთილშობილი ადამიანი, ეს ხუმრობა ახლავე შეწყვიტოთ... თქვენი სრულიადაც არ მეშინია.

ოჰ, სტყუი-მეთქი, გეშინია! რისა? არადა დამბაჩიდან თავის განძრევაც ვერ გაუბედავს. გაფარჩხულივითა ზის.

არაო, ამბობს, თქვენ ამას ვერაფრით ვერ გაბედავთ...

ვერ გაბედავ, ვითომ რადაო?

იმიტომო, რომ ეს სასტიკად აკრძალული გაქვთ, ამაზე მკაცრად დავსჯიან. ეშმაკმა იცის იმ გერმანელის თავი და ტანი რაღა. თვითონ რომ არ გავეცეცხლებინე, აქამდე ცოცხალი იქნებოდა. ამ შეკამათების ბრალი იყო ყველაფერი.

მაშ, ვერ გავბედავ-მეთქი, შენი აზრით?

არა-ა!

ვერ გავბედავ?

თქვენ ამის გაკეთებას სულაც ვერ გაბედავთ...

მაშ, აჰა, შე ბაყალო! დავახალე თუ არა, მყისვე სკამიდან გადავარ-
და, სხვებმა დაიყვირეს.

დამბაჩა ჯიბეში ჩავიდე, მაშინვე გავუჩინარდი. სახლში რომ შევდი-
ოდი, დამბაჩა ჭინჭნარში გადავავლე. მოველ შინ, მივწეე და ვფიქრობ:
აი, ახლა წამიყვანენ-მეთქი. გადის საათი, მეორე არავის მივყავარ. ასე,
მიმწუხრზე ისეთი სევდა შემომენტო, ველარ გავუძელ, გამოველ, უთუ-
ოდ ლუიზას ნახვა მომინდა, მესაათეს ჩავუარე. ვხედავ: ხალხს, პოლი-
ციას თავი მოუყრია. ნათლიდედას ლუიზა გამოვახმობინე, არ გაუვლია
დიდხანს, ვხედავ: მორბის ლუიზა, კისერზე მომეხვია, ტირის: ყველა-
ფერში მე ვარო დამნაშავე, დეიდას რომ დავუჯერეო. ისიც მითხრა, დე-
იდა მაშინვე შინ წავიდა, ისე შეეშინდა, ავად გახდაო კრინტს არ
სძრავს, თვითონაც არავისთვის განუცხადებია, მეც ამიკრძალა თქმა,
ემინიაო; რაც უნდათ, ის ქნანო. ჩვენო, მეუბნება ლუიზა, არავის დავუ-
ნახივართ. მაშინ იქ მოახლეც არ ჰყოლია, სხვაგან გაგზავნა, რადგან
ემინოდა, ცხვირ-პირში შეაფრინდებოდა, თუ შეატყობდა, რომ ცოლის
თხოვნას აპირებდა. ხელოსანთაგანაც შინ არავინ იყო, ყველა მოეცი-
ლებინა. ყავაც თვითონ აადუღა, საუმბეც თავის ხელით მოამზადა. მისი
ნათესავი ხომ მთელი თავისი სიცოცხლე ისედაც დუმდა, უთქმელი იყო.
როგორც კი ის ამბავი მოხდა, ქუდს დაავლო ხელი და პირველი წავიდა.
ნამდვილად ისიც არაფერს იტყვისო, მითხრა ლუიზამ. ასეც იყო. ორი
კვირა ხელი არ უხლიათ, ეჭვიც არ აუღიათ. მთელი ჩემი ბედნიერება,
გინდდაიჯერეთ, გინდ არა, ალექსანდრ პეტროვიჩ, იმ ორ კვირაში გან-
ვიცადე. ლუიზას ვხვდებოდი ყოველდღე; ისე, ისე შემეთვისა! ტირის:
მეო, საითაც გადაგასახლებენ, თან გამოგყვებიო, ყველაფერს მივატო-
ვებ შენთვისო, სწორედ რომ მეგონა, მთელი ჩემი ცხოვრება აქ გადაწ-
ყდებოდა: ისეთნაირად ამიჩუყა მაშინ გული. მერე ის იყო, ორი კვირის

შემდეგ წამიყვანეს. ბერიკაცი და დეიდა შეთანხმებულიყვნენ და კიდევ მიეთითებინათ ჩემზე...

მაგრამ, მოიცადეთ, შევაწყვეტინე ბაკლუშინს, ამისთვის შეეძლოთ მხოლოდ ათი, დიდი-დიდი თორმეტი წლით, სრული ვადით დაესაჯეთ, სამოქალაქო ჯგუფში გამოეგზავნეთ; თქვენ კი განსაკუთრებულ განყოფილებაში ხართ. ეს როგორღა მოხდა?

ჰო, ეს უკვე სხვა საქმეა, მითხრა ბაკლუშინმა, მიმიყვანეს თუ არა სასამართლო კომისიაზე, კაპიტანმა უშვერი სიტყვებით გამომლანძღა სასამართლოს წინაშე. ვერ მოვითმინე და ვეუბნები: „რას ილანძღები? განა ვერ ხედავ, არამზადავ, მართლმსაჯულების სარკის წინ ხარ!“ აქ კი სულ სხვანაირად წავიდა საქმე. ახლებურად დამიწყეს გასამართლება, ყველაფერზე ერთად მომისაჯეს: ოთხი ათასი და ეს განსაკუთრებული განყოფილება. როცა დასასჯელად გამომიყვანეს, კაპიტანიც გამოაბრძანეს: მე მწყობრში გასატარებლად, ის ხარისხის ასაყრელად და კავკასიაში ჯარისკაცად გასამწყესებლად. ნახვამდის, ალექსანდრ პეტროვიჩი. შემოგვიარეთ წარმოდგენაზე.

1.10. შობის დღესასწაული

როგორც იქნა, დღესასწაულიც დადგა. შობის წინადღეს პატიმრების უმეტესობა სამუშაოზე არ გასულა. დანარჩენები მხოლოდ განაწილებაზე გამოცხადდნენ. ისინი აქა-იქ კი გაუშვეს, მაგრამ თითქმის ყველა, ცალ-ცალკე ან ჯგუფურად, მაშინვე ყაზარმაში დაბრუნდა. სადილობის შემდეგ იქიდან აღარავის გამოუდგამს ფეხი. დილითაც უმრავლესობა მხოლოდ თავის საქმეებით იყო დაკავებული: ზოგი ღვინის შემოტანასა და ახალ შეკვეთაზე ზრუნავდა; ზოგი მევაღეების მოსანახულებლად ან ადრე შესრულებულ სამუშაოებისთვის სადღესასწაულოდ ვალების ასაკრეფად დარბოდა; ბაკლუშინი და წარმოდგენაში მონაწილენი ზოგიერთი ნაცნობის, უმეტესად, ოფიცერთა მსახურების გასაფრთხილებლად და აუცილებელი კოსტიუმების საშოვნელად გასულიყვნენ. ზოგს განგებ მიეღო საქმიანი და მოუსვენარი სახე, რადგანაც სხვები ფაციფუცობდნენ. ასეთები ფულს არავისგან ელოდებოდნენ, მაგრამ მაინც მომლოდინე სახეები ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, შობას თითქმის ყველა რაღაც ცვლილებებს ელოდა, რაღაც არაჩვეულებრივს. ტუსაღთა დავალებებით ბაზარში გაგზავნილმა ინვალიდებმაც ნაირნაირი საჭმელი მოიტანეს: ძროხის ხორცი, გოჭები, ბატებიც კი. ბევრი პატიმარი, ყველაზე თავდაჭერილი და ხელმომჭირნეც, მთელი წელი ვაპიკს ვაპიკზე რომ ადებდა, თავს ვალდებულებად თვლიდა ამ დღისთვის ჯიბეზე ხელი გაეკრა და ხსნილს ღირსეულად შეხვედროდა. ქრისტეშობა პატიმრისთვის ნამდვილი, ხელშეუხებელი დღესასწაული იყო, რასაც კანონითაც ფორმალურად აღიარებდნენ. ამ დღეს პატიმარს სამუშაოზე არ აგზავნიდნენ. პატიმრებისთვის ასეთი დღე წელიწადში სულ სამი იყო.

დაბოლოს, ვინ იცის, ამ დღეს რამდენი მოგონება აღიძვრებოდა ამ განკიცხულთა სულში! მოყოლებული ბავშვობიდან, დიდი დღესასწაულები მკვეთრად აღიბეჭდება ხოლმე მდაბიოთა ხსოვნაში. ეს მათი მძიმე სამუშაოებიდან დასვენების, ოჯახური შეკრებების დღეებია. საპრობილეში კი ტანჯვითა და დარდით უნდა გაეხსენებინათ ისინი. დღე-

სასწაულის დღისადმი პატივისცემა პატიმრებში გარეგნულ ფორმაშიც გამოიხატებოდა: იშვიათად თუ ვინმე იქეიფებდა. ყველა სერიოზულად და თითქოს რაღაც მოუცლელად გამოიყურებოდა, თუმცა ბევრს საქმე საერთოდ არ ჰქონდა. მაგრამ უსაქმურნიცა და მოქეიფენიც ერთგვარ თავმოწონებას ცდილობდნენ... სიცილი თითქოს აკრძალეს, ზოგადად, სულიერი განწყობა რაღაცნაირ წესიერებასა და გამაღიზიანებელ შეუწყნარებლობაში ვლინდებოდა. ვინც საერთო ტონს არღვევდა, თუნდაც უნებლიეთ, მას ყვირილითა და ლანძღვით აჩერებდნენ, თითქოსდა, თვით დღესასწაულის უპატივცემულობის გამო. მშვენიერი იყო პატიმართა ეს განწყობა, ამაღელვებელიც კი. გარდა დიდი დღისადმი თანდაყოლილი მოკრძალებისა, თითოეული მათგანი შეუგნებლად გრძნობდა, ამ დღესასწაულის დაცვით თითქოს მთელ ქვეყანას უერთდებოდა, მაშასადამე, არც ისე განკიცხული, დაღუპული და მოკვეთილი ყოფილა; აქაოდა, საპყრობილეშიც იგივე ამბავია, რაც მთელ ქვეყანაშიო. სწორედ ამას გრძნობდნენ და ეს სრულიად გასაგები იყო.

სადღესასწაულოდ აკიმ აკიმიჩიც ემზადებოდა. მას არ ჰქონდა ოჯახური მოგონებები, რადგან ობლად გაიზარდა და თხუთმეტი წლიდან შეება მძიმე სამსახურს; ცხოვრებაში განსაკუთრებული სიხარულიც არ განუცდია, ვინაიდან მთელი ცხოვრება გაატარა ზომიერად, ერთფეროვნად, დაკისრებული ვალდებულებებიდან თუნდაც ოდნავი გადახვევის შიშში. დიდად მორწმუნეც არ ყოფილა, რადგან წესიერებას შთაენთქა მასში ყველა დანარჩენი ადამიანური უნარი და თავისებურება, ყველა ვნება და სურვილი, კეთილიცა და ბოროტიც. ამიტომ საზემოდღის შესახვედრად ემზადებოდა მშვიდად, აუღელვებლად, სევდიანი და ყოვლად უსარგებლო მოგონებებისგან თავისუფალი, ჩუმი, მეთოდური კეთილზნობით, რაც ზუსტად იმდენი გააჩნდა, რამდენიც საჭიროა ვალდებულებისა, და ერთხელ და სამუდამოდ ნაჩვენები წეს-ჩვეულებების შესასრულებლად. საერთოდაც არ უყვარდა ბევრი ფიქრი. ჩანდა, ფაქტის მნიშვნელობა მის გულს არასოდეს ეკარებოდა, მაგრამ ერთხელ მითითებულ წესებს წმიდათაწმიდა სიზუსტით იცავდა. ხვალ რომ სრულიად საპირისპირო რამ გებრძანებინათ, ისეთივე მორჩილე-

ბითა და გულმოდგინებით შეასრულებდა, როგორც გუშინ აკეთებდა საწინააღმდეგოს. ერთხელ, სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ სცადა თავისი ჭკუით მოქცეულიყო და კატორღაში მოხვდა. ამ გაკვეთილს მისთვის ამოდ არ ჩაუვლია. და თუმცა ბედისგან არ ეწერა თავისი დანაშაული ოდესმე ბოლომდე შეეგნო, სამაგიეროდ „შესანიშნავი“ დასკვნა გამოიტანა არასოდეს ჩარეულიყო მსჯელობაში, რადგან მსჯელობა „მისი ჭკუის საქმე არაა“, როგორც პატიმრები ამბობდნენ ხოლმე ერთმანეთში.

წეს-ჩვეულების ბრმად ერთგული, თავის სადღესასწაულო გოჭსაც კი, რომელიც თავადვე ფლავით გატენა და შებრაწა (შეწვაც ეხერხებოდა), რალაცნაირი წინასწარი პატივისცემით უყურებდა, თითქოს ეს ჩვეულებრივი გოჭი კი არა, რალაც განსაკუთრებული, სადღესასწაულო რამ იყო. შესაძლოა, ბავშვობიდანვე შეეჩვია ამ დღეს სუფრაზე გოჭის ხილვას და იცოდა, ეს აუცილებელი იყო. დარწმუნებული ვარ, ამ დღეს ერთხელაც რომ არ ეჭამა გოჭი, მთელი სიცოცხლე თავს ვერ დააღწევდა ერთგვარი სინდისის ქენჯნას მოვალეობის შეუსრულებლობისთვის.

დღესასწაულამდე თავის ძველ ქურთუკსა და შარვალში გამოწყობილი დადიოდა, რომლებიც წესიერად კი ამოეკემსა, მაგრამ ძალიან გაცრეცილი იყო. აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ოთხიოდე თვის წინ მიღებული ახალი ტანისამოსი საგულდაგულოდ შეენახა თავის სკივრში, რათა პირველად შობას ჩაეცვა. შობის ღამეს დაღამებისთანავე ამოიღო ეს ტანისამოსი, გაშალა, შეათვალიერა, შეწმინდა-შემოწმინდა, შეუბერ-შემოუბერა და ყოველივე ამის შემდეგ წინასწარ მოირგო. სწორედ მის ტანზე შეეკერათ: ბოლომდე მჭიდროდ იკვრებოდა, ნაქარგი საყელო ნიკაპს ებჯინებოდა; წელშიც კი მუნდირივით ჰქონდა გამოყვანილი. აკიმ აკიმიჩიკმაყოფილებისგან იღიმებოდა და თავის პატარა სარკესთან (რომელიც მოცლილობის ჟამს, ოქროსფერ ჩარჩოში ჩაესვა), თავმოძწონედ ტრიალებდა. ქურთუკის საყელოსთან ერთი დუგმა თითქოს ვერ იყო ადგილზე; ამის მიხვედრისთანავე, აკიმ აკიმიჩიკა გადაწყვიტა, დუგმა გადაეადგილებინა; გადაადგილა, ისევ მოიბომა, ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. ტანსაცმელი ისევ დაკეცა და გულდამ-

შვიდებულმა დილამდე სკივრში შეინახა. თავი რიგიანად ჰქონდა გადაპარსული, მაგრამ სარკეში ყურადღებით ჩახედვისას შეამჩნია, თითქოს მთლად არ უპრიალეოდა; თმის ღინღლები ოდნავ შესამჩნევად წამოზრდოდა. დაუყოვნებლივ „მაიორთან“ გაემართა, რომ წესის დაცვით გადაეპარსა. თუმცა აკიმ აკიმიჩის ხვალ არავინ შეამოწმებდა, მხოლოდ სინდისის დასამშვიდებლად მოიქცა ასე, რომ თავისი ვალდებულება აღესრულებინა. ღილების, ფერადი დანაკერების და სამხრეების თაყვანისცემა ბაშვობიდანვე მოსდევდა, სილამაზის უკიდურეს გამოხატულებად მიაჩნდა.

ყველაფერი რომ მოაწესრიგა, როგორც ყაზარმის უფროსმა პატიმარმა, თივის მოტანა ბრძანა და გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, როგორ აბნევდნენ იატაკზე. იგივე ხდებოდა სხვა ყაზარმეებშიც. არ ვიცი რად, მაგრამ საშობაოდ ჩვენთან, ყაზარმაში, თივას მიმოაბნევდნენ ხოლმე. როცა აკიმ აკიმიჩმა ყველა საქმე მოილია, ილოცა, ტახტზე მიწვა და წამსვე ჩვილის მშვიდი ძილით ჩაეძინა, იმ იმედით, რომ დილით ადრე გაღვიძებოდა.

დანარჩენმა პატიმრებმაც მას მიბაძეს. ყველანი ჩვეულებრივზე ადრე დაწვნენ, ყოველდღიური საღამოს სამუშაოები მიატოვეს, მაიდანის ხსენებაც არ იყო. ყველა ხვალინდელ დილას ელოდა.

ეს დილაც დადგა. დილაადრიან დაფდაფს დაჰკრეს თუ არა, ყაზარმები გააღეს და პატიმრების დასათვლელად შემოსულმა ყარაულის უნტეროფიცერმა ყველას დღესასწაული მოგვილოცა. მასაც იგივე უსურვეს, გულდიად და ალერსიანად პასუხობდნენ. ნაჩქარევი ლოცვის შემდეგ, აკიმ აკიმიჩმა და ბევრმა სხვამაც თავიანთი გოჭ-ბატების დასახედად სასადილოს მიაშურა: აბა, რას შვრებიან, როგორ წვავენ, როგორ მიდის საქმეო... სიბნელეში, ჩვენი ყაზარმის პატარა, თოვლითა და ყინულით ამოგლესილი ფანჯრებიდან ჩანდა, ორივე სასადილოს ექვსივე ღუმელში როგორ ბრდღვიალებდა დილაუთენია დანთებული ცეცხლი. ბინდბუნდში ეზოში მხრებზე ჯუბამოგდებული ან ჯუბაჩაცმული პატიმრები დადიოდნენ. ყველა სასადილოსკენ მიიჩქაროდა. მაგრამ ზოგიერთს, მართალია არცთუ ბევრს, მიკიტნებთან სტუმრობა უკვე მოეს-

წრო. ესენი ყველაზე სულსწრაფები იყვნენ. საერთოდ კი, ყველა წესიერად, წყნარად და როგორღაც უჩვეულოდ დინჯად, დარბაისლურად იქცეოდა. არსად ისმოდა ლანძღვა-გინება, არც ლამის წესად დადგენილი კინკლაობა.

ყველას ესმოდა, რომ თვალსაჩინო დღე და დიადი დღესასწაული იყო. ისეთებიც იყვნენ, სხვა ყაზარმებშიც რომ გადავიდნენ ზოგიერთი თავისიანის მისალოცად. რაღაც მეგობრობის მაგვარი რამ ვლინდებოდა. გაკვრით აღვნიშნავ: პატიმრებს შორის მეგობრობა თითქმის არ შეიმჩნეოდა, მით უმეტეს, არ არსებობდა ცნება „საერთო მეგობარი“. უბრალოდ, ერთი რომელიმე პატიმარი მეორეს რომ დამეგობრებოდა, ყაზარმაში ეს თითქმის არ ხდებოდა; ნიშანდობლივი თვისებაა: თავისუფლებებაში როდი ხდება ასე. ჩვენთან ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა, ურთიერთობაში, საერთოდ, ყველა უგულო და მშრალი იყო ეს იყო ერთგვარად ფორმალური, ერთხელ მიღებული და დადგენილი ტონი. მეც გამოვედი ყაზარმიდან; თენდებოდა, ძლივსლა ბჟუტავდნენ ვარსკვლავები; ყინვის ორთქლი ზევით მიიწევდა. სასადილოს ღუმელთა მილებიდან კვამლი ბოლქვებად ამოდიოდა. ზოგიერთმა შემხვედრმა პატიმარმა ხალისით და თბილად მომილოცა დღესასწაული. მადლობას ვუხდიდი და მეც ასევე ვპასუხობდი. ზოგიერთი მათგანი აქამდე საერთოდ არ დამლაპარაკებია.

სასადილოსთან წამომეწია მხრებზე ქურთუკმოგდებული პატიმარი სამხედრო ყაზარმიდან. მან ჯერ კიდევ შუა ეზოდან დამინახა და მეძახოდა: „ალექსანდრ პეტროვიჩ! ალექსანდრ პეტროვიჩ!“ სასადილოში მიეჩქარებოდა. შევჩერდი, დაველოდე. ეს გახლდათ ახალგაზრდა პირმრგვალი კაცი, მშვიდი თვალებით, ყველასთან ძალიან მორიდებული, მას არასდროს დავლაპარაკებია და არც ყურადღება მიმიქცევია როდისმე. მისი სახელიც კი არ ვიცოდი. ქოშინით მოირბინა და პირისპირ დამიდგა,

რაღაც უაზრო, მაგრამ ამავე დროს ნეტარი ღიმილით მიყურებდა.

თქვენ? რა გნებავთ? გაკვირვება ვერ დავმალე. ის ჩემ წინ იდგა, ლაპარაკს კი არ აპირებდა.

დღეს ხომ დღესასწაულია... ჩაიბურტყუნა და თვითონვე მიხვდა, სათქმელი მეტი აღარაფერიაო, მიმატოვა და სასწრაფოდ სასადილოს მიაშურა.

სიტყვამ მოიტანა და აქვე შევნიშნავ: ამის შემდეგ ჩემთან სიახლოვე აღარც უცდია, მეც ასევე ვიქცეოდი. საპყრობილედან ისე გამოვედი, ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გვითქვამს.

სასადილოში, გაჩაღებულ ღუმელთან, ფუსფუსი, ჭედვა და ლამის ბედახორა იყო. თითოეული თავის დოვლათს დასტრიალებდა. მზარეულები სახაზინო საჭმლის მომზადებას იწყებდნენ, რადგან ამ დღეს სადილი დროზე ადრე იყო. ჭამას ჯერ არავინ შესდგომოდა, ზოგიერთებს შეიძლება უნდოდათ კიდევ, მაგრამ სხვების წინაშე ეტიკეტს იცავდნენ. მღვდელს ელოდებოდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ იყო მიღებული ხსნილი.

ჯერაც არ გათენებულიყო, რომ საპყრობილის კარსუკან ეფრეიტორის ძახილი გაისმა: „მზარეულები!“ ეს ყვირილი ლამის ყოველ წუთს ისმოდა და თითქმის ორ საათს გრძელდებოდა. მზარეულებს საპყრობილეში ქალაქის ყველა კუთხიდან მოტანილი მოსაკითხი უნდა მიეღოთ. დიდი რაოდენობით მოჰქონდათ კალაჩები, პური, ყველიანი პურები, თაფლაკვერები, ბლითები, ბლინები და სხვა ერბოიანი ნამცხვრები. ვფიქრობ, მთელ ქალაქში, ვაჭრებისა და მეშჩანების ოჯახებიდან არ დარჩენილა ერთი დიასახლისიც, რომ უბედური პატიმრებისთვის დიადი დღესასწაულის მისალოცად საჩუქარი არ გამოეგზავნა. იყო მდიდრული მოსაკითხიც: დიდი რაოდენობით გამტკიცული ფქვილის ერბოიანი პური. იყო ღარიბულიც რაღაც გროშიანი პატარა კალაჩი და ოდნავ არაჟანწაცხებული ორიოდე მსგავსი შავი ბლითი. ეს იყო ღარიბის ღარიბისადმი, უკანასკნელი გროშებით გაკეთებული საჩუქარი. ყველაფერს ერთნაირი მაღლიერებით ვიღებდით. მიმღები პატიმრები ქუდს იხდიდნენ, ესალმებოდნენ, დღესასწაულს ულოცავდნენ და მოსაკითხი სასადილოში მიჰქონდათ. როცა ნაჩუქარი პურის მთელი გროვები დახვავდა, თითოეული ყაზარმის უფროსობამ ყველაფერი,

ყაზარმების მიხედვით, თანაბრად გაანაწილა. არანაირი დავა ან ლან-
ძღვა-გინება არ ყოფილა, საქმე პატიოსნად და სწორად მიჰყავდათ.

ჩვენი ყაზარმის წილი კი აკიმ აკიმიჩმა და კიდევ რამდენიმე პატი-
მარმა გაანაწილა და თითოეულს თვითონვე აძლევდნენ. რაიმე წინა-
აღმდეგობა ან შენიშვნა არავის მხრიდან არ ყოფილა. ყველა კმაყოფი-
ლი დარჩა, ეჭვიც კი წარმოუდგენელი იყო, რომ მოსაკითხი ვინმეს და-
ემალა ან არათანაბრად დაერიგებინა. სასადილოში საკუთარი საქმეე-
ბის მოგვარების შემდეგ აკიმ აკიმიჩი სკივრს მიადგა, ერთობ რიგიანად
და საზეიმოდ შეიმოსა. არც ერთი დუგმა შეუკვრელი არ დარჩენია; ჩა-
იცვა თუ არა, მაშინვე გულმოდგინე ლოცვას შეუდგა. დიდხანს ლოცუ-
ლობდა. სალოცავად უკვე ბევრი პატიმარი დამდგარიყო, უმეტესად
ხანშიშესულნი. ახალგაზრდები ბევრს არ ლოცულობდნენ; დღესასწა-
ულზეც კი დილით ადგომისას თუ ვინმე პირჯვარს გადაიწერდა, ეგ იყო
და ეგ. ლოცვის შემდეგ აკიმ აკიმიჩი ჩემთან მოვიდა და რამდენადმე
საზეიმოდ მომილოცა. მე ჩაიბე მივიწვიე, მან კი თავის გოჭბე. ცოტა
ხნის შემდეგ პეტროვმაც მოირბინა მოსალოცად. ის, მგონი, უკვე გა-
დაკრულში იყო. ქოშინით მოვარდა, მაგრამ ბევრი არაფერი უთქვამს,
თითქოს რაღაცის მოლოდინში ცოტა ხანს ჩემ წინ იდგა და მალე სასა-
დილოში წავიდა.

ამასობაში სამხედრო ყაზარმა მღვდლის მისაღებად ემზადებოდა.
ეს ყაზარმა სხვებივით როდი გახლდათ მოწყობილი: ნარები კედლების
გასწვრივ ჩაერიგებინათ და არა სხვა ყაზარმებივით ოთახის შუაგულ-
ში; საპყრობილეში ეს შუაში თავისუფალი ერთადერთი ოთახი იყო. ეტ-
ყოფა, ასე საგანგებოდ მოეწყობოდა, რათა, საჭიროებისამებრ, იქ პატიმ-
რები შეეკრიბათ. შუა ოთახში მაგიდა დადგეს, სუფთა პირსახოცი გა-
დაათარეს, ზედ ხატი დააბრძანეს და კანდელი აანთეს.

ბოლოს, მღვდელი ჯვრითა და ნაკურთხი წყლით მოვიდა. ხატის წი-
ნაშე ილოცა და იგალობა. მერე ჯვრით ხელში პატიმრების წინ გაჩერ-
და; ჯვარს ყველა ჭეშმარიტი მოკრძალებით მიეახლა. ამის შემდეგ
მღვდელმა ყაზარმები მოიარა, ნაკურთხი წყალი ყველგან მოასხურა,
სასადილოში თავისი გემოთი მთელ ქალაქში განთქმული ე.წ. ციხის

პური შეაქო. პატიმრებმა მაშინვე მოინდომეს მისთვის ერთი ინვალიდის ხელით ორი ახალგაზრდა პური გაეგზავნათ. პატიმრები ჯვარს ისეთივე მოკრძალებით მიაცილებდნენ, როგორც შეხვდნენ. თითქმის იმავე წამს პლაცმაიორი და კომენდანტი მოვიდნენ. კომენდანტი ჩვენებს უყვარდათ, პატივს სცემდნენ. მან პლაცმაიორის თანხლებით ყაზარმები შემოიარა, დღესასწაული ყველას მიულოცა, სასადილოში შევიდა და საპყრობილის შჩი გასინჯა. შჩი სანაქებო გამოსულიყო, ასეთი დღისთვის თითოეულ პატიმარზე ლამის გირვანქა ძროხის ხორცი გასცეს. ამას გარდა, ფეტვის ფაფაც მოამზადეს. კარაქიც სამყოფად დაგვირიგეს. კომენდანტის გაცილების შემდეგ პლაცმაიორმა სადილის დაწყება ბრძანა. პატიმრები ცდილობდნენ თვალში არ მოხვედროდნენ, რადგან სათვალის მისი ბოროტი მზერა სასიამოვნო ნამდვილად არ იყო. აქეთ-იქით ქორივით იხედებოდა, ეგებ რაიმე უწესრიგობა აღმოვაჩინო, ეგებ ვინმე დამნაშავე მოვიხელთო.

სადილობას შეუდგნენ. აკიმ აკიმიჩის გოჭი საუცხოოდ შებრაწულიყო. და აი, რაც ვერ ამიხსნია: პლაცმაიორის წასვლისთანავე, რაღაც ხუთიოდე წუთში, ბევრი უკვე მთვრალი იყო, არადა, სადილობამდე თითქმის ყველა სრულიად ფხიზელი მეჩვენა. გამოჩნდნენ გაღაჟღაჟებული და გაბრწყინებული სახეები. გაჩნდა ბალაღაიკები. მთელი დღით დაქირავებული მევიოლინე პოლონელი რომელიღაც მოქეიფეს უკან მიჰყვებოდა და მხიარულ ცეკვებს აწრი პინებდა. სულ უფრო ლოთიშფოთურად და ხმაურით საუბრობდნენ. მაინც ასე თუ ისე წესიერად ისადილეს. ყველა კარგად გაძღა. მოხუცები და დარბაისლები მაშინვე დასაძინებლად წავიდნენ. აკიმ აკიმიჩიც ასევე მოიქცა, ფიქრობ, იმ მიზნით, დიდი დღესასწაულის დროს ნასადილევს უთუოდ დაძინებაა საჭირო. სტაროდუბელმა მოხუცმა წათვლიმა, მერე ლუმელზე აცოცდა, წიგნი გაშალა და თითქმის შეუსვენებლად შუალამემდე ლოცულობდა. მას „სიბილწის“, როგორც თვითონ ამბობდა, პატიმართა საყოველთაო ღრეობის ყურება უმძიმდა. ჩერქებები კარის წინ ჩამოსხდნენ და მთვრალებს ცნობისმოყვარეობით, თანაც ერთგვარი ამრეობით შესცქეროდნენ. ნურამ: „იამან, იამან! მითხრა და თავი ღვთისმოსავის გულის-

წყრომით გადააქან-გადმოაქნია, უჰ, იამან! ალაჰი განრისხებულ იქნება!“ ისაი ფომიჩმა თავის კუთხეში ჯიუტი და ქედმაღლური იერით აანთო სანთელი და მუშაობა დაიწყო. ალბათ, უნდოდა ეჩვენებინა, არაფრად მიმაჩნია ეს დღესასწაულიო. აქა-იქ კუთხეებში მაიდნები წამოიწყეს. ინვალიდებისა არ ეშინოდათ. ხოლო უნტეროფიცერი თავს რომ არ წამოდგომოდათ, რომელიც თავად ცდილობდა არაფერი შეემჩნია, სათვალთვალოდ ყარაულები მაინც დააყენეს. ციხის ოფიცერმა ამ დღის განმავლობაში სამჯერ მაინც შემოიხედა საპყრობილეში. მაგრამ მთვრალები იმალებოდნენ, მისი გამოჩენისთანავე მაიდნებს ტოვებდნენ. ეტყობოდა, მასაც გადაეწყვიტა, უმნიშვნელო უწესრიგობისთვის ყურადღება არ მიექცია.

ამ დღეს მთვრალი კაცი მცირე უწესრიგობად ითვლებოდა. პატიმრები ნელნელა თავს იშვებდნენ. კინკლაობაც დაიწყო. ფხიბელნი მაინც სჭარბობდნენ, ასე რომ, იმედოვნებდნენ, მთვრალებს მიხედავდნენ. სამაგიეროდ, მოქეიფენი უბოძოდ სვამდნენ. გაზინი ზეიმობდა. ის თვითკმაყოფილი სახით მიდი-მოდიოდა თავის საწოლის წინ, რომლის ქვეშაც ყაზარმებს უკან, თოვლში, საიდუმლო ადგილას გადანახული ღვინო დაემალა და მოძალეებულ მუშტართა მოლოდინში ეშმაკურად იღიმებოდა. თვითონ ფხიბელი იყო, წვეთიც არ დაელია. აქაოდა, ჯერ პატიმრები გავატყავო და ბოლოს წავიქეიფებო.

ყაზარმებში სიმღერები გაისმოდა. სიმთვრალე სულის შემხუთველ ბურანში გადადიოდა, ამგვარად, სიმღერებიდან ცრემლებამდე აღარაფერი აკლდათ. ბევრი საკუთარი ბალაღაიკებით დასეირნობდა, ქურთუკები მხარზე მოეგდოთ და დარდიმანდული იერით ჩამოჰკრავდნენ სიმებს. განსაკუთრებულ განყოფილებაში ასე რვაკაციანი გუნდიც კი შეიქმნა. ბალაღაიკებისა და გიტარების აკომპანიმენტზე მშვენივრად მღეროდნენ. წმინდა ხალხურ სიმღერებს ცოტას თუ გაიგონებდით. მასსოვს მხოლოდ ერთი დარდიმანდულად ნამღერი: გუშინდამ, დილილმე, სტუმრად ვიყავ ნადიმში...

აი, აქ მოვისმინე ამ სიმღერის ახალი ვარიანტი, რომელიც უწინ არ შემხვედრია. სიმღერის ბოლოს რამდენიმე ტაეპი იყო დამატებული:

შრომა როგორ დამღლის, ბრწყინავს მთელი სახლი: დანებსა და კოვზებს ვასუფთავებ დროზე. ღვეზელს ვაცხობ ისეთს, ჩაიკვნეტავ თითებს...

მღეროდნენ უმეტესად ე.წ. პატიმრულ, საყოველთაოდ ცნობილ სიმღერებს, რომლებიც გაჟღერებული იყო იუმორით; აღწერდნენ, უწინ როგორ მხიარულობდა და თავისუფლად ყოფნისას როგორ ბატონკაცურად ცხოვრობდა კაცი, ახლა კი ციხეში იჯდა; უწინ როგორ შეექცეოდა „ბლამანჯეს შენჰანურით“, ახლა კი: მივირთმევ წყალწყალა კომბოსტოს, კბილებში გაუდის ხრაშუნი...

აგრეთვე ყველგან მღეროდნენ ცნობილ სიმღერას: „ჰეი, იყო დრო“ მხიარული ბიჭი ვიყავ, ფულიც მქონდა უწინ, ბედმა ტყვემქნა, გამომრიცა, ფულიც გამიფრინა!..

მღეროდნენ დარდიან სიმღერებსაც. ერთი წმინდა კატორღული იყო: გაბრწყინდება ცისა თალი, დაფდაფის ხმა გააყრუებს არეს, ზემდეგი კარს გამოაღებს, მწერალი კი გვიხმობს გარეთ. ვინ არ იცის ჩვენი ყოფა?! კედლებს აქეთ, ჩანს რამ განა? ღმერთი გვხედავს, ეს გვეყოფა, რომ დაკარგა ჩვენისთანა...

სხვა კიდევ უფრო ნაღვლიანად იმღერებოდა, მშვენიერ, ალბათ, რომელიმე კატორღელის შეთხზულ ჰანგზე, დაშაქრული და ერთობ უწმაწური სიტყვებით. იქიდან რამდენიმე სტროფილა მახსენდება: ვეღარ ვნახავ იმ მხარეს, რომელშიც ვარ შობილი; უდანაშაულოს სიმწარე, საუკუნოდ მაქვს მისჯილი. კიოტი იკივლებს, ტყეში ექო გაისმის, გული დარდობს, სევდა მერევა, მე იქ აღარ ვიქნები.

ამ სიმღერას ჩვენთან ხშირად მღეროდნენ, მაგრამ არა გუნდურად, არამედ ცალ-ცალკე, ზოგჯერ სეირნობისას გამოვიდოდა ვინმე ყაზარმის კარსწინ, ჩამოჯდება, ჩაფიქრდებოდა, ლოყაზე ხელს მიიღებდა და მაღალ ხმაზე გააბამდა. უსმენდი და რაღაცნაირად სული გეთუთქებოდა. ჩვენთან ბევრი კარგად მღეროდა. ამასობაში ბინდბუნდიც შემოიპარა. ნაღველი, დარდი და ბურანი ლოთობასა და ღრეობაში თავს მძიმედ იჩენს: ერთი საათის წინ მომღიმარი, ახლა საშინლად მთვრალი, სადმე უკვე ტიროდა. სხვებმა ერთი-ორჯერ წაჩხუბება მოასწრეს. ზოგ-

ნიც სასოწარკვეთილნი და ფეხზე ძლივს მდგარნი, ზანტად დაბორი-
ლობდნენ ყაზარმებში, ჩხუბის ატეხვას ლამობდნენ. ისინი კი, რომელ-
თაც სიმთვრალეში მამლაცინწობა არ სჩვეოდათ, ამაოდ ეძებდნენ მე-
გობრებს, რომ გული გადაეშალათ და თავიანთი მთვრალეული დარ-
დები ერთად დაეტირათ. მთელ ამ საწყალ ხალხს როგორმე გამხიარუ-
ლება, დიდი დღესასწაულის ლაღად გატარება უნდოდა; მაგრამ, ღმერ-
თო! თითქმის ყველასთვის როგორი მძიმე და ნაღვლიანი იყო ეს დღე!
თითოეული თითქოს რაღაც იმედის გაცრუებას გრძნობდა. პეტროვმა
ჩემთან ერთი-ორჯერ კიდევ შემოირბინა. ძალიან ცოტა დაეღია და
თითქმის ფხიზელი იყო. ისიც რაღაცას მოელოდა, რაც ვითომც აუცი-
ლებლად უნდა მომხდარიყო. რაღაც არაჩვეულებრივს, სადღესასწა-
ულოს, საღალღობოს. ამაზე არაფერს ამბობდა, მაგრამ თვალეებზე ეტ-
ყობოდა, ყაზარმიდან ყაზარმაში შეუჩერებლად მიდი-მოდოდა. მაგ-
რამ, განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა; ირგვლივ მხოლოდ ლო-
თობდნენ, ღვინით შეხურებული თავები ჩანდა და მთვრალეულთა
უმიზნო ლანძღვა ისმოდა.

სიროტკინიც ყაზარმიდან ყაზარმაში დაეხეტებოდა, ახალ წითელ-
პერანგიანი, სანდომიანი, დაბანილი, ისიც წყნარად და გულუბრყვი-
ლოდ, თითქოს რაღაცის მოლოდინშიაო. ყაზარმებში ყოფნა სულ უფ-
რო აუტანელი და ამაზრზენი ხდებოდა. რასაკვირველია, ბევრი რამ
იყო სასაცილოც, მაგრამ მათი შემყურე რაღაცნაირ სევდასა და სიბრა-
ლულს განვიცდიდი. მათთან ყოფნა მიმძიმდა და სული მეხუთებოდა.
აგერ ორი პატიმარი დაობს, ვინ ვის გაუმასპინძლდეს. სხვები გაუთა-
ვებლად კამათობენ, ბოლოს იჩხუბეს კიდევ. ერთს მეორის ჯინი ჭირს.
ჩივის და ენის ბორძიკით ცდილობს დაუმტკიცოს, უსამართლოდ მომე-
ქციო. რაღაც ჯუბა გაყიდულიყო გასულ წელს, ყველიერზე რაღაც ფუ-
ლი გადაემალა მისგან, კიდევ მომხდარიყო რაღაც, ბრალმდებელი მა-
ღალი, დაკუნთული ჭაბუკია, საკმაოდ ჭკვიანი, წყნარი, მაგრამ სიმ-
თვრალისას მეგობრობისა და საკუთარი დარდის გაზიარების ჟინი აწუ-
ხებს. თითქოს იმიტომაც ილანძღება და პრეტენზიასაც გამოთქვამს,
რომ მერე შეურიგდეს და უფრო კარგად დაუმეგობრდეს. მეორე და-

ბალ-დაბალი, ჯმუხი, ჩაფსკვნილი, პირმრგვალი, ეშმაკი და გაიძვერაა. შესაძლოა, მან ამხანაგზე მეტი დალია, მაგრამ მხოლოდ ნასვამს ჰგავს. მტკიცე ხასიათისა და მდიდრის სახელი აქვს. რატომღაც უფრო ხელსაყრელად ეჩვენება, თავისი ექსპანსიური ამხანაგი არ გააღიზიანოს. მიკიტანთან მიჰყავს. ამხანაგი უმტკიცებს, რომ ის ვალდებული-ცაა ასე მოიქცეს: „თუ კი შენ პატიოსანი კაცი ხარ“.

მიკიტანი ერთგვარი მოწიწებით ფინჯან ღვინოს უსხამს დამკვეთს, ხოლო ექსპანსიურ ამხანაგს ზიზღნარევიად გადახედავს, რადგან ის საკუთარი ფულით კი არ სვამს, არამედ უმასპინძლდებიან.

არა, სტეპკო, ეს შენ გმართებს, ეუბნება ექსპანსიური ამხანაგი, რადგან ხედავს, რომ თავისი გაიტანა, იმიტომ, რომა, ეს შენი ვალია.

ტყუილუბრალოდ შენთან ენასაც არ დავასველებ, მიუგებს სტეპკო.

არა, სტეპკო, სტყუი, ადასტურებს პირველი და მიკიტანს ფინჯანს ართმევს, ფული გმართებს ჩემი; სინდისი დაგიკარგავს და თვალებიც შენი კი არა, ნასესხები გაქვს! არამზადა ხარ, სტეპკო, აი, რა; ერთი სიტყვით, არამზადა ხარ!

აბა, რას ჯანჯლობ, ღვინო სულ დაგექცა! პატივს გცემენ და გაძლევენ, მაშ, დალიე! უყვირის მიკიტანი ექსპანსიურ ამხანაგს, ხვალამდე ხომ არ მიბრძანებ თავზე გადგე?!

კიდევაც დავლევ, რა გაყვირებს! დღესასწაულს მოგილოცავ, სტეფან დოროთეიჩ! ფინჯნით ხელში, ზრდილობიანად და ოდნავ თავის დაკვრით მიმართა სტეპკოს, რომელსაც ეს-ეს არის არამზადას ეძახდა. ასი წელი გაგიმარჯოს, რაც გიცხოვრია, სათვალავში არ შედის! შესვა, ჩაახველა და ტუჩ-პირი მოიწმინდა. უწინ, ძმებო, ღვინო ვერ მერეოდა, შენიშნა დინჯად და თავმომწონედ, თითქოს განურჩევლად ყველას მიმართავდა, ახლა, ჩანს, სიბერე მეპარება. მადლობელი ვარ, სტეფან დოროთეიჩ.

არაფერს.

მე მაინც იმაზე უნდა გელაპარაკო, სტეპკო; გარდა იმისა, რომ ჩემთან დიდი არამზადა გამოდიხარ, უნდა გითხრა...

მე კი, აი, რას გეტყვი: დაგიბრეცია სიფათი, აწყვეტინებს მოთმინებოდან გამოსული სტეპკო. მისმინე და თითოეული ჩემი სიტყვა მიითვალე: აი, შენი ქვეყანა: ნახევარი შენ ნახევარი მე. წადი და აღარ შემომხვდე. თავი მომაბეზრე!

მაშ, ფულს არ მომცემ?

რალა ფული გინდა, შე ლოთო?

ჰე, საიქიოს თვითონ მომაკითხავ მოსაცემად, მაგრამ არ ავიღებ! ჩვენი ფული ნაშრომი, ნაოფლარი და კოჟურიანია. საიქიოს დაიტანჯები ჩემი შაურიანისთვის.

ჰაა, ჯანდაბამდე გზა გქონია!

რა „ჰაას“ იძახი?

გასწი! გასწი!

არამზადავ!

ვარნაკო!

ისევ გაახურეს ლანძღვა-გინება, უფრო მწვავედ, ვიდრე გამასპინძლებამდე... აგერ ნარებზე ცალკე ორი ამხანაგი ზის; ერთი მაღალი, ჩაფსკვნილი, ზორბა.

ნამდვილი ყასაბი; სახე გასწითლებია; ლამისაა აზღუქუნდეს. ძალიან გულაჩუყებულია. მეორე სუსტი, თხელ-თხელი, გამხდარი, გრძელი ცხვირიდან თითქოს ცინგლი ჩამოსდის. ღორისებრი წვრილი, ქვემზირალი თვალები აქვს. პოლიტიკოსი და განათლებული კაცია. ოდესღაც მწერლად უმსახურია და თავის მეგობარს რამდენადმე ქედმაღლურად ჭკუას არიგებს, რაც იმას გუნებაში სულაც არ ეპიტნავენა. მთელი დღეა ერთად სვამენ.

იმან შემბედა! ყვირის ზორბა, თანაც მარცხენა ხელი მწერლისთვის თავზე შემოუხვევია და აჯანჯლარებს. „შემბედა“, მაშასადამე, გაართყეს. ნარებზე ამხანაგს, თავად უნტეროფიცერთაგანს, ფარულად შურს თავისი გალეული მეგობრისა, ამიტომაც მახვილსიტყვაობით თავს იწონებს.

გეუბნები, არც შენა ხარ მართალი... დოგმატურად იწყებს მწერალი, თანაც განზრახ ზედაც არ უყურებს, დარბაისლურად ჩასცქერის მიწას.

მან შემბედა, გესმის! აწყვეტინებს ამხანაგი, კიდევ უფრო მეტად სჯიჯგნის თავის საყვარელ ძმობილს. შენ ერთიღა დამრჩი ამქვეყნად, გესმის თუ არა? ამიტომაც შენ გეუბნები: მან შემბედა!..

მე კი ისევ გეტყვი: ასეთი უგემური თავისმართლება, ძვირფასო მეგობარო, შენ მხოლოდ გარცხვენს. წვრილი და ზრდილობიანი ხმით მიუგებს მწერალი.

უმჯობესია დამეთანხმო, ძვირფასო მეგობარო, მთელი ეს ლოთობა შენივე დაუდგრომლობის ბრალია.

ზორბა ოდნავ უკან იხევს, გამომთვრალის თვალებით უაზროდ შესცქერის თვითკმაყოფილ მწერალს და უეცრად, სრულიად მოულოდნელად თავის

უზარმაზარ მუშტს მთელი ძალ-ღონით ურტყამს ციციქნა სახეში. მთელი დღის მეგობრობაც ამით მთავრდება. საყვარელი მეგობარი ნარექვემ უგონოდ მიჰქრის...

აი, ყაზარმაში შემოდის ერთი ჩემი ნაცნობი განსაკუთრებული განყოფილებიდან, უსაზღვროდ კეთილი და მხიარული პატიმარი, საკმაოდ ჭკვიანი, უწყინრად დამცინავი, შესახედავად მეტად უბრალო, სწორედ ის, ციხეში ჩემი მოსვლის პირველ დღეს „ანბიციანი“ ვარო, რომ მარწმუნებდა და ჩემთან ჩაიც მიირთვა. ორმოციოდე წლისაა, უჩვეულოდ სქელი ბაგე აქვს, მსხვილი, ფერისმჭამლებიანი ცხვირი. ხელში ბალაღაიკა უჭირავს, დაუდევრად ჩამოჰკრავს სიმებს. უკან კუდივით მოჰყვებოდა ერთიციდა, დიდთავა პატიმარი, რომელიც აქამდე არ შემიწინააღმდეგებია. მას არავინ მიაქცია ყურადღება. უცნაური გახლდათ, უნდო, მუდამ მდუმარე და სერიოზული; სამკერვალოში ამუშავებდნენ. ეტყობოდა, განცალკევებით ყოფნა უნდოდა, არავისთან ურთიერთობდა. ახლა კი, მთვრალი, ვარლამოვს ჩრდილივით ასდევნებოდა. საშინლად აღელვებული მოჰყვებოდა, ხელებს იქნევდა, კედელს მუშტებს ურტყამდა და მზად იყო ეტირა. ვარლამოვი ყურადღებასაც არ აქცევდა, თითქოს ვერ ამჩნევდა. აღსანიშნავია, რომ ეს ორი ადამიანი არასდროს ამხანაგობდა; არც საქმიანობით, არც ხასიათით არაფერი ჰქონდათ საერთო. სხვადასხვა დანაშაულზე იხდიდნენ სასჯელს და სხვა-

დასხვა ყაზარმებშიც ცხოვრობდნენ. დაბალ პატიმარს ბულკინს ეძახდნენ.

ვარლამოვი ჩემს დანახვაზე გაიღრიჭა. მე ნარზე ვიჯექი, ღუმელთან. შორიახლო პირდაპირ დამიდგა, რაღაც მოიაზრა, აბანცალდა, ფეხარეული მომიახლოვდა, როგორღაც ყოჩაღად მთელი ტანით დონჯი შემოიყარა, მსუბუქად ჩამოჰკრა სიმებს და თან ჩექმის ბაკუნით ოდნავ ფეხიც ააყოლა: გაბადრული, თეთრსახიანი, მღერის ტკბილად ვით ბულბული, ჩემი გულისვარდი; წითელ ატლასკაბიანი; მშვენიერ გარნიტურიანი, ძალიან კარგია!

ამ სიმღერამ ბულკინი მოთმინებიდან გამოიყვანა; ხელების ქნევით ყველას გასაგონად დაიყვირა: ყველაფერი ეგ ტყუილია. ძმებო, ყველაფერი ტყუილია! მართალს ერთ სიტყვასაც არ იტყვის, სულ ტყუის!

ბებრუხანა ალექსანდრ პეტროვიჩი! ჩაილაპარაკა ვარლამოვმა, ეშმაკური თვალებით შემომხედა და კინაღამ საკოცნელადაც ამომაბობლდა. მთვრალი იყო. გამოთქმას „ბებრუხანა“ ამას და ამას ვახლავარო, ანუ ჩემი სალამიო, მთელ ციმბირში ხმარობს მდაბიო ხალხი, თუნდაც ოცი წლის ყმაწვილს მიმართავდეს.

„ბებრუხანა“ ნიშნავს რაღაც საპატიოს, მოკრძალებულს, სალაქუცოსაც კი.

რაო, ვარლამოვ, როგორ ხართ?

ასე, დღიდან დღემდე. ვისაც დღესასწაული უხარია, სისხამ დილიდანვე მთვრალია; თქვენთან უკაცრავად ვარ! ვარლამოვი ოდნავ წამღერებით ლაპარაკობდა.

და ყველაფერი ტყუილია, ყველაფერში ისევ ტყუის! დაიყვირა ბულკინმა, თანაც რაღაც სასოწარკვეთით ნარს ხელს უბრაახუნებდა. ვარლამოვს კი თითქოს საკუთარი თავისთვის სიტყვა მიეცა, რომ მისთვის ყურადღება არ მიექცია; ეს ამბავი უაღრესად კომიკური ჩანდა, რადგანაც ბულკინი, სავსებით უმიზნობოდ, დილიდანვე მიტმასნებოდა ვარლამოვს.

სწორედ იმიტომ, რომ ვარლამოვი „ყველაფერში სტყუოდა“, რატომღაც ასე მოსჩვენებოდა ბულკინს. აჩრდილივით უკან დასდევდა,

მის ყოველ სიტყვას იმეორებდა, ხელებს იმტვრევდა, ლამის სულ-
მთლად დაესისხლიანებინა კედლებზე ხათხახუთქით, იტანჯებოდა, ამ-
კარად იტანჯებოდა იმის რწმენით, რომ ვარლამოვი „ყველაფერში
სტყუოდა“. თავზე თმა რომ ჰქონოდა, მგონი, დარდით დაიგლეჯდა.
იფიქრებდით, ვარლამოვის საქციელზე პასუხისმგებლობა თავის თავ-
ზე აუღიაო, მის სინდისზეა ვარლამოვის მთელი ნაკლოვანებანიო. მაგ-
რამ საქმეც სწორედ ისაა, რომ ვარლამოვი ზედაც არ უყურებდა.

ყველაფერში სტყუის, ყველაფერში ტყუის, ტყუის! არც ერთი მისი
სიტყვა სინამდვილეს არ შეეფერება! გაჰყვიროდა ბულკინი.

მერე შენ რა? სიცილით ეპასუხებოდნენ პატიმრები.

მოგახსენებთ, ალექსანდრ პეტროვიჩ, რომ შესახედად ძაან ლამაზი
გახლდით და გოგოებს ძაან ვუყვარდი... ანაზღეულად დაიწყო ვარლა-
მოვმა.

სტყუის! ისევ სტყუის! რალაცნაირი ჭყვილით აწყვეტინებს ბულკი-
ნი. პატიმრები ხარხარებენ.

გიყვარდეთ, ვეპრანჭები მათ. წითელი პერანგი მაცვია, პლისეს გა-
ლიფე; ვწევარ ჩემთვის, ვითარცა გრაფი ბოთლიკინი, ანუ შევდივით
მთვრალი, ერთი სიტყვით რა გინდა სულო და გულო!

სტყუის! გადაჭრით ამტკიცებს ბულკინი.

იმ ხანებში ქვის ორსართულიანი სახლი მქონდა, მამაჩემის დანა-
ტოვარი. ორიოდე წელიწადში ორივე სართულს წირვა გამოუყვანე,
ერთი ჭიშკარილა დარჩა უბოძებოდ. რას იზამ, რალა ფული და რალა
მტრედი... როგორც მოფრინდება, ისე გაფრინდება!

სტყუის! კიდევ უფრო გადაჭრით ამტკიცებს ბულკინი.

გონს რომ მოველ, სახლიკაცებს აქედან საცრემლე გავუგზავნე;
ეგების ფული მომაშველონ-მეთქი. მშობლების ურჩი შვილი გახლდით.
უპატივცემულოაო, ასე ამბობდნენ. აგერ მეშვიდე წელია, რაც გავუგ-
ზავნე.

და პასუხი არა ჩანს? შევეკითხე სიცილით.

აპა! მომიგო, თან უცებ თვითონაც გაეცინა, და თავისი ცხვირი სულ უფრო ახლოს მოიტანა ჩემს სახესთან. მე, ალექსანდრ პეტროვიჩ, აქ საყვარელი მყავს...

თქვენ? საყვარელი?

წელან ონუფრიევი მეუბნებოდა: ჩემი თუმც ჩოფურაა, ულამაზოა, სა-მაგიეროდ, რამდენი ტანსაცმელი აქვსო. შენი კაი კია, მარა ლატაკია, ტომრიანი დადისო.

განა მართალია?

მართლაც ლატაკია! დამიმოწმა და თან სიცილი აუტყდა; ყაზარმა-შიც ახარხარდნენ. ყველამ იცოდა, ვილაც მათხოვარს გადაჰყროდა და ნახევარ წელიწადში სულ ათი კაპიკი მიეცა.

ჰოდა, მერე რა მოხდა? შევეკითხე, თან მინდოდა თავიდან მომეშორებინა. ერთხანს ჩუმად იყო, ალერსიანად შემომხედა და ნაზად წარმოთქვა: მაშ, თუ ინებებთ, ამ მიზებით ერთი სირჩისა მომცეთ? მე ხომ, ალექსანდრ პეტროვიჩ, დღეს სულ ჩაის ვსვამ, დასძინა გრძნობამორევით, იმდენი ვყლუპე, რომ ქოშინი ამივარდა, მუცელი კი ბოთლივით მიყანყალებს.

სანამ ფულს იღებდა, ბულკინის ზნეობრივმა აშლილობამ უკანასკნელ საზღვარს მიაღწია, გაცხარებით იქნევდა ხელებს, ლამის ტიროდა.

ღვთისნიერო ადამიანებო! ყვიროდა ის და გაშმაგებული მიმართავდა მთელ ყაზარმას: შემომხედეთ! ყველაფერში ტყუის! რასაც ამბობს, ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი ტყუილია!

მერე, შენ რაო?! უყვირიან მისი გააფთრებით გაოცებული პატიმრები. წაისულულებ!

ტყუილის თქმას არ დავანებებ! ყვირის ბულკინი, თვალებიდან ცეცხლს ჰყრის და მუშტს მთელი ძალით კედელს ურტყამს. არ მინდა ტყუოდეს!

ყველა ხარხარებს. ვარლამოვი ფულს მართმევს, მემშვიდობება და პრანჭვაგრებით მიდის, რასაკვირველია, მიკიტანთან. ბულკინს კი ისე შეხედა, თითქოს ეხლავა შეამჩნიაო.

აბა, წავიდეთ! უკვე კარის ზღურბლთან მდგარი ეუბნება, თითქოს მართლაც სჭირდებოდეს რამეში. ხეპრევ! ზიზღით დაუმატა და შეწუხებული ბულკინი წინ გაუშვა. ისევ ააჟღარუნა ბალაღაიკა...

ამ ბურანის აღწერის გაგრძელება აღარ ღირს! თავდება ეს სულისშემხუთავი დღეც. პატიმრებს ნარებზე მოუსვენარი ძილით დაეძინებათ.

წინა ღამეებთან შედარებით ამ ღამეს ძილში უფრო მეტად ბოდავენ. აქა-იქ კვლავ მაიდანს უსხედან.

დიდი ხნის ნანატრი დღესასწაულიც გავიდა. ხვალიდან ისევ საქმიანი დღეები იწყება. ისევ სამუშაო...

1.11. წარმოდგენა

დღესასწაულის მესამე დღეს, საღამოს, ჩვენს თეატრში პირველი წარმოდგენა გაიმართა. წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები მსახიობებმა თავისთავზე აიღეს, ამგვარად, დანარჩენებმა არც ვიცოდით, როგორ მიდიოდა საქმე, კერძოდ, რა კეთდებოდა. გარკვეულად ისიც კი არ ვიცოდით, რა სპექტაკლს გვიჩვენებდნენ. წინა სამ დღეს, სამუშაოდ გასვლისას, მსახიობები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი თეატრალური კოსტიუმი ეშოვათ. ბაკლუშინი ჩემთან შეხვედრისას სიამოვნებისგან თითებს ატკაცუნებდა. პლაცმაიორიც საკმაოდ მოლბა. თუმცა ჩვენთვის უცნობი იყო, ფორმალურად დართო ნება, თუ განზე დგომა ამჯობინა? ეგებ, იძულებული გახდა პატიმართა წამოწყებას დათანხმებოდა, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ ყველაფერი, შეძლებისდაგვარად, წესრიგში იქნებოდა. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ ჩარევა არ ისურვა, ესმოდა, აკრძალვას შეიძლება უარესი შედეგი მოჰყოლოდა: ცუდლუტობასა და ლოთობას გართობა გაცილებით სჯობდა.

ჩემი ვარაუდით, პლაცმაიორი ასე მოიქცეოდა, რადგან ამგვარი მოსაზრება ყველაზე ბუნებრივი, საღი და მართებულია. შეიძლება ითქვას: პატიმრებს დღესასწაულზე თეატრი ან რაიმე მსგავსი გასართობი რომ არ ჰქონოდათ, იგი უფროსობას თავად უნდა მოეგონებინა. ვინაიდან და რადგანაც, ჩვენი პლაცმაიორი სრულიად საწინააღმდეგო აზროვნებით გამოირჩეოდა, ვიდრე კაცობრიობის დანარჩენი ნაწილი, ადვილი შესაძლებელია დიდ ცოდვას ვიღებდე თავზე, როცა ვვარაუდობ, თეატრზე იცოდა და ნება დართო-მეთქი. ისეთმა ადამიანმა, როგორიც ჩვენი პლაცმაიორი იყო, ყველგან ვინმე უნდა შეავიწროვოს, რაიმე წაართვას, ვინმეს უფლება აჰყაროს, ერთი სიტყვით, წესრიგი დაამყაროს. ასე იცნობდნენ მას მთელ ქალაქშიც. რა ენაღვლებოდა, თუ ამგვარი ღონისძიებებით პატიმრები უარესად მოიქცეოდნენ? ცუდი საქციელისთვის სასჯელიაო (ასე მსჯელობენ ჩვენი პლაცმაიორისნაირნი), ხოლო

თაღლითი პატიმრების მიმართ ორმაგი სიმკაცრე და კანონის ზუსტად დაცვა აი, ესაა და ეს.

კანონის ამ უნიჭო შემსრულებლებს სრულიად არ ესმით და არც შეუძლიათ იცოდნენ, რომ კანონის ზუსტად, უაზროდ, არსის გაუცნობიერებლად შესრულებას სწორედაც რომ უწესრიგობა მოჰყვება და არც არასოდეს გამოუღია სხვა შედეგი. „კანონებში ასეა ნათქვამი, მეტი რაღა საჭიროა?“ ამბობენ ისინი და გულწრფელად უკვირთ, როცა კანონის გარდა, მათგან გონიერებასა და საღ მიდგომას მოითხოვენ. უკანასკნელი გარემოება ბევრს პატიმრებისთვის ზედმეტ და აღმაშფოთებელ ფუფუნებად მიაჩნია და ამას პირად შევიწროებად და მიუღებელ რამედ აღიქვამს.

უნდა ითქვას, რომ უფროს უნტეროფიცერს წარმოდგენა არ აუკრძალავს და პატიმრებსაც სწორედ ეს უნდოდათ. დაბეჯითებით შემოძლია ვთქვა, რომ წარმოდგენის ნებადართვით გამოწვეული მადლიერების შედეგი გახლდათ ის, რომ დღესასწაულებზე სერიოზულ უწესრიგობას ვერ ნახავდით, არც ბოროტულ ჩხუბს, არც ქურდობას, თავად ვარ მოწმე, თავისიანები როგორ ამოშმინებდნენ ზოგიერთ მოქეიფეს ან მოჩხუბარს: დაოკდი, თორემ თეატრს აგვიკრძალავენო. უნტეროფიცერმა პატიმრებს პირობა ჩამოართვა, რომ ყველა კარგად მოიქცეოდა. სიხარულით დაეთანხმნენ და დანაპირებს პატიოსნად ასრულებდნენ. ისიც სიამოვნებდათ, რომ მათ სიტყვას ენდობოდნენ. უნდა ითქვას, წარმოდგენის ნებართვა არაფრად უღირდა უფროსობას, ამისთვის არაფერი ეხარჯებოდათ...

ადგილს წინასწარ არ ღობავდნენ: სცენის მოწყობასა და დაშლას სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთი სჭირდებოდა. სპექტაკლი საათნახევარს გრძელდებოდა. თუ უცებ ზემოდან ბრძანება მოვიდოდა წარმოდგენის შეწყვეტის თაობაზე საქმეს თვალის დახამხამებაში აგვარებდნენ. სასცენო სამოსს პატიმრები სკივრებში ინახავდნენ.

წარმოდგენისთვის დაწერილი აფიშა არ არსებობდა. თუმცა მეორე, მესამე წარმოდგენაზე გამოჩნდა ერთი, ბაკლუშინს დაეწერა ბატონო ფიცერთა და კეთილშობილ სტუმართათვის, რომელთაც თავიანთი

დასწრებით ჩვენს თეატრს პატივი სცეს. კერძოდ, ბატონებიდან, ჩვეულებისამებრ, დაცვის ოფიცერი მოდიოდა, ერთხელ კი თავად დაცვის მორიგე შემოვიდა. იყო შემთხვევა, როცა ინჟინერ-ოფიცერიც დაესწრო. აი, ამ მაყურებელთა გამო შეიქმნა აფიშაც. ვარაუდობდნენ, რომ საპყრობილის თეატრის სახელი შორს გავარდებოდა. მით უმეტეს, რომ ქალაქში თეატრი არ იყო. სცენის მოყვარულებს ერთი წარმოდგენა კი გაემართათ, მაგრამ ეს იყო და ეს.

პატიმრებს მცირედი წარმატებაც კი ბავშვებივით ახარებდათ, თავს იწონებდნენ. „ვინ იცის, ფიქრობდნენ ან ამბობდნენ ერთმანეთში იქნებ, თვით უმაღლესმა უფროსობამაც შეიტყოს, მოვლენ და ნახავენ; მაშინ მიხვდებიან, ვინ ყოფილან პატიმრები. ეს უბრალო ჯარისკაცული წარმოდგენა როდია თათებზე მოსიარულე დათვებით. აქ მსახიობებია, ჭეშმარიტი მსახიობები. ისინი კომედიას თამაშობენ: ასეთი თეატრი ქალაქშიც არ არის. ამბობენ, გენერალ აბროსიმოვთან ყოფილა ერთხელ წარმოდგენა და კიდევ იქნებაო; ჰო, ისე, მხოლოდ კოსტიუმით თუ გვაჯობებენ, რაც შეეხება სიტყვა-პასუხს, ამას ვნახავთ; ჩვენებს წინ ვერავინ დაუდგება! შესაძლოა, თვით გუბერნატორამდეც მივიდეს ხმა ვინ იცის?! ეგებ თავად მოისურვოს სანახავად ჩამოსვლა. ქალაქში ხომ თეატრი არ არის...“ ერთი სიტყვით, პატიმრების ფანტაზია, განსაკუთრებით, პირველი წარმატების შემდეგ, უკანასკნელ ზღვრამდე აღწევს. ლამის ჯილდოები და სამუშაო ვადის შემცირება ეზმანებოდათ. თუმცა ამის გამო, მალევე დასცინოდნენ საკუთარ თავს.

ერთი სიტყვით, სწორედ რომ ნამდვილ ბავშვებად იქცნენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ორმოცი წლისა იყო. თუმცა, უაფიშოდაც ვიცოდი წარმოდგენის მონაწილეთა სავარაუდო შემადგენლობა. პირველი პიესა იყო: „ფილატკა დამიროშკა მეტოქენი“. ბაკლუშინი წარმოდგენამდე ერთი კვირით ადრე მეტრაბახებოდა, ფილატკას როლი, რომელსაც ის საკუთარ თავზე ირგებდა, ისე იქნება წარმოდგენილი, სანკტ-პეტერბურგის თეატრშიც არ უნახავთო. ყაზარმებში ბოლთას სცემდა და უმოწყალოდ, უსირცხვილოდ ტრაბახობდა, თუმცა სრულიად გულლიად; ზოგჯერ ისეც ხდებოდა, უცებ წარმოადგენდა რაიმეს

„თეატრალურად“, მაშასადამე, თავისი როლიდან და ყველა ხარხარებდა, განურჩევლად იმისა, ეს სასაცილო იყო თუ არა. თუმცა, უნდა ითქვას, პატიმრები აქაც ახერხებდნენ თავის შეკავებასა და ღირსების დაცვას: ბაკლუშინის საქციელითა და მომავალ თეატრზე ნაამბობით აღტაცებულნი იყვნენ ან ყველაზე ახალგაზრდები და მიამიტები, ან პატიმრებში ყველაზე გავლენიანი ავტორიტეტები. თუ ისინი იცინოდნენ, მაშასადამე, თავიანთი გრძნობების გამოხატვის არავის უნდა შინებოდა... სხვები ჭორებსა და მითქმა-მოთქმას მდუმარედ ისმენდნენ. მართალია, არ აკრიტიკებდნენ, არ ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ბეჯითად ცდილობდნენ ხმები თეატრის შესახებ გულგრილად და, ნაწილობრივ, ქემაღლურადაც გაეზიარებინათ. მხოლოდ უკანასკნელ დროს, წარმოდგენის დღეს, ყველა დაინტერესდა: ნეტავ, რა იქნება? რას იზამს პლაცმაიორი?

ბაკლუშინი მარწმუნებდა, ყველა მსახიობი ჩინებულია. თითოეული თავის როლზე სწორადაა შერჩეული, ფარდაც კი გვექნებაო, ფილატკას საცოლეს სიროტკინი ითამაშებს. თვითონ ნახავთ, როგორია ქალის ტანსაცმელშიო. ამას რომ ამბობდა, თვალს ჭუტავდა და ენას აწკლავუნებდა. მემამულე ქალს იხილავთ ნაოჭებიან კაბაში, მოსასხამით, ქოლგით ხელში. მემამულე კი ოფიცრის ექსელბანტებიანი ქურთუკითა და ხელჯოხით გამოვალ. შემდეგ მოჰყვებოდა მეორე დრამატული პიესა: „ღორმუცელა კედრილი“. სახელწოდებამ ძალიან დამაინტერესა; რამდენჯერმე ვკითხე, მაგრამ არაფერი მი პასუხა; მხოლოდ ის თქვა, წიგნიდან კი არ აგვიღია, „ხელნაწერით“ გამოვიყენეთო. პიესა ფორშტადტში ვილაც გადამდგარი უნტეროფიცრისგან ეშოვათ, რომელშიც, უთუოდ, ოდესღაც თვითონვე მონაწილეობდა რომელიმე ჯარისკაცულ სცენაზე. ჩვენთან, შორეულ ქალაქებსა და გუბერნიებში, მართლაც მოიპოვება ისეთი თეატრალური პიესები, რომლებიც თითქოსდა ყველასთვის უცნობია, შესაძლოა, არასოდეს დაუბეჭდავთ, მაგრამ ყველანაირი სახალხო თეატრის აუსცილებელი ნაწილია რუსეთის გარკვეულ ბოლში.

ძალიან, ძალიან კარგი იქნებოდა, თუ რომელიმე ჩვენი მკვლევართაგანი შეისწავლიდა სახალხო თეატრის ტრადიციებს, რომელიც დღემდე ცოცხლობს და ეგებ სულაც არ არის უმნიშვნელო მოვლენა. არ მინდა დავიჯერო, რომ ყველაფერი, რაც კი საპრობილის თეატრში ვნახე, ჩვენი პატიმრების მოგონილი ყოფილიყო. არსებობს გადმოცემათა მემკვიდრეობა, ერთხელ დაწესებული ხერხები და ცნებები, რომლებიც თაობიდან თაობაზე გადადის. ისინი უნდა ვეძიოთ ჯარისკაცებთან, ფაბრიკის მუშებთან, საქარხნო ქალაქებში და ზოგიერთ უცნობ, დარიბულ ქალაქში მემჩანებთან. აგრეთვე, სოფლებსა და საგუბერნიო ქალაქებში დიდი მემამულის შინაყმებს შორისაც გვხვდება. ჩემი აზრით, ბევრი ძველებური პიესა რუსეთში მემამულეთა შინაყმების მემკვიდრეობით სწორედ ხელნაწერებით გამრავლდა. ძველ მემამულეებსა და მოსკოველ თავადაზნაურობას ჰქონდათ საკუთარი, შინაყმა მსახიობთაგან შემდგარი თეატრი. ამ თეატრებმა დაუდეს სათავე ჩვენს სახალხო დრამატულ ხელოვნებას.

რაც შეეხება „ღორმუცელა კედრილს“, მიუხედავად ჩემი ცნობის-მოყვარეობისა, წინასწარ მხოლოდ ის გავიგე, რომ სცენას ავი სულები მოვევლინებიან და კედრილი ჯოჯოხეთში მიჰყავთ; მაგრამ რას ნიშნავს კედრილი და, ბოლოს, რატომ კედრილი და არა კირილი? რუსული ამბავია თუ უცხოური? ვერც ამაზე მივიღე პასუხი. დასასრულ, წარმოდგენილი იქნებოდა „პანტომინა მუსიკით“. რასაკვირველია, ყოველივე ეს მეტად საინტერესოდ გამოიყურებოდა. წარმოდგენაში თხუთმეტამდე მკვირცხლი და ყოჩალი მსახიობი მონაწილეობდა. ფუსფუსებდნენ, რეპეტიციებს გადიოდნენ: ხანდახან ყაზარმებს უკან იმალებოდნენ, გარეშე თვალს გაურბოდნენ. ერთი სიტყვით, უნდოდათ ყველა ჩვენგანი რაიმე არაჩვეულებრივი მოულოდნელობით გაეოცებინათ.

სამუშაო დღეებში საპრობილეს ადრე კეტავდნენ, დაღამებისთანავე. შობის დღესასწაულზე გამონაკლისი დაუშვეს: მწუხრამდე არ ჩაუკეტავთ. ეს შეღავათი საკუთრივ თეატრის გამო გვეძლეოდა. დღესასწაულის პერიოდში, ჩვეულებისამებრ, ყოველდღე პატიმრები დაცვის ოფიცერს უმორჩილეს თხოვნას აახლებდნენ: თეატრის ნება დაგვროთონ და

რაც შეიძლება დიდხანს ნუ ჩაკეტავენ ყაზარმებსო; თან დასძენდნენ, გუშინაც იყო წარმოდგენა და დიდხანს არ ჩავუკეტივართ, მაგრამ არავითარი უწესრიგობა არ მომხდარაო. ყარაულის ოფიცერი ასე სჯიდა: უწესრიგობა გუშინ მართლაც არ მომხდარა, ხოლო რახან თვითონვე იძლევიან სიტყვას, დღესაც არ მოხდებაო, მაშასადამე, თავის თავს თვითონვე მიხედავენ, ეს კი ყველაზე საიმედოაო, ამასთან, თუ წარმოდგენას აუკრძალავ, მართლაც (ვინ იცის? კატორღელი ხალხია!) გაბოროტებულნი რამეს განგებ გააფუჭებენ და ჩვენც ცუდ დღეში ჩავვარდებითო. დაბოლოს, ყარაულში დგომა მოსაწყენია, აქ კი თეატრია, თანაც არა უბრალოდ ჯარისკაცული, არამედ პატიმართა. ისინი კი საინტერესო ხალხია: მხიარული სანახაობა იქნება, დასწრების უფლება კი დაცვის ოფიცერს ყოველთვის აქვს.

მოვა მორიგე: „სად არის დაცვის ოფიცერი?“

„საპრობილეში წავიდა პატიმრების დასათვლელად და ყაზარმების ჩასაკეტად“, პირდაპირი პასუხია. თავის მართლებაც პირდაპირია. ამგვარად, დაცვის ოფიცრები თანახმანი იყვნენ დღესასწაულებზე ყოველდღე თეატრი მოეწყობოთ და დაღამებამდე არც ყაზარმები ჩაეკეტათ. პატიმრებმა იმთავითვე იცოდნენ, ყარაულები პრობლემას არ შეუქმნიდნენ და არხეინად იყვნენ.

მეშვიდე საათზე პეტროვმა გამომიარა და წარმოდგენაზე ერთად გავემართეთ. ჩვენი ყაზარმიდან წარმოდგენას თითქმის ყველა დაესწრო, გარდა ჩერნიგოველი სტაროვერისა და პოლონელებისა. პოლონელებმა მხოლოდ ოთხ იანვარს, სულ ბოლო წარმოდგენაზე გაბედეს დასწრება, ისიც ბევრი რწმუნების შემდეგ, რომ კარგიცაა, სამხიარულოც და უსაფრთხოცო. პოლონელების ზიზღი კატორღელებს სრულიადაც არ აღიზიანებდათ, ოთხ იანვარს კი მათ ძალიან ზრდილობიანად შეხვდნენ. საუკეთესო ადგილებიც დაუთმეს. რაც შეეხება ჩერქეზებს და, მეტადრე, ისაი ფომიჩს, მათთვის ჩვენი თეატრი ჭეშმარიტი სიამოვნება გახლდათ. ისაი ფომიჩი ყოველთვის სამ-სამ კაპიკს ჩამოდიოდა, ხოლო უკანასკნელად ათი კაპიკიც დადო თეფშზე. ამ დროს სახეზე ნეტარება ეხატებოდა. თეატრის ხარჯებისა და საკუთარი გასამრჯე-

ლოსთვის მსახიობებმა გადაწყვიტეს, მაყურებლებისგან აეკრიფათ ფული, ვისაც რამდენი შეეძლო, იმდენს დებდა. პეტროვი მარწმუნებდა, თეატრი გინდაც გაჭედილი იყოს, წინა რიგებში დაგსვამენო; იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც სხვებზე მდიდარი, ალბათ, მეტსაც გავიღებდი, ამასთან, მეტიც გამეგებოდა, ასეც მოხდა.

თავდაპირველად დარბაზსა და თეატრის მოწყობილობაზე გეტყვით ორიოდ სიტყვას.

ჩვენი სამხედრო ყაზარმა, სადაც თეატრი მოეწყობა, სიგრძით თხუთმეტი ნაბიჯი იქნებოდა. ეზოდან წინკარში შედიოდით, იქიდან დერეფანში, ხოლო დერეფნიდან ყაზარმაში. ეს გრძელი ყაზარმა (ზემოთაც აღვნიშნე) განსხვავებულად იყო მოწყობილი: ნარები კედელ-კედელ ჩაემწკრივებინათ, ამიტომაც ოთახის შუაგული თავისუფალი რჩებოდა. უახლოესი ოთახის გასასვლელის ნახევარი მაყურებლებისთვის დაეთმოთ. მეორე ნახევარი კი, რომელიც სხვა ყაზარმებს უერთდებოდა, სცენისთვის იყო განკუთვნილი. უპირველეს ყოვლისა, ფარდამ გამაოცა. ის მთელი ყაზარმის გარდი-გარდმო ათიოდე ნაბიჯზე გაეჭიმათ. ფარდა ისეთ ფუფუნებას წარმოადგენდა, მართლაც საკვირველი იყო, როგორ იშოვეს. ზედ ზეთის საღებავითაც მოეხატათ: ხეები, ფანჩატურები, გუბურები და ვარსკვლავები. ფარდა ძველი და ახალი ტილოსგან შეეკოწიწებინათ, იმის კვალობაზე, ვის რამდენი შეეწირა; ძველი ფეხსახვევებისა და პერანგებისგან, რომლებიც უხეიროდ ერთმანეთზე გადაეკერებინათ; დაბოლოს, ისიც რომ შემოლევოდათ, ფარდის ნაწილი უბრალოდ ქაღალდისა გაეკეთებინათ, რომელიც აგრეთვე ფურცელ-ფურცელ ეშოვათ სხვადასხვა კანცელარიასა და უწყებაში, ჩვენს მღებავებს კი, რომელთა შორის „ბრიულოვი“ ა.-ვი გამოირჩეოდა, მათ გაფერადებასა და მოხატვაზე ეზრუნათ.

საოცარი ეფექტი იყო. ამგვარი ფუფუნება ყველაზე პირქუშ და პედანტ პატიმრებსაც ახარებდათ. ისინი, როგორც კი ჯერი წარმოდგენაზე მიდგა, მათგან ყველაზე სულსწრაფების მსგავსად, ბავშვებივით იქცეოდნენ. ყველა ძალიან კმაყოფილი ჩანდა, თავმომწონედ კმაყოფილიც. განათება ნაწილ-ნაწილ დაჭრილი რამდენიმე ქონის სანთლის-

გან მოაწყვეს. ფარდის წინ სასადილოდან მოტანილი ორი მერხი დაეღ-
გათ. მათ წინ უნტეროფიცრის ოთახიდან გამოტანილი სამი-ოთხი სკა-
მი.

სკამები ოფიცრის წოდების უმაღლეს პირთა სტუმრობის შემთხვე-
ვისთვისაც იყო გათვალისწინებული, მერხები კი უნტეროფიცრებისა
და საინჟინრო მწერლების, კონდუქტორებისა და სხვათათვის. ასეც
მოხდა: გარეშე მაყურებლები წარმოდგენას მთელი დღესასწაულის
განმავლობაში არ დაკლებიან. ერთ საღამოს მეტი მოდიოდა, მეორე
საღამოს ნაკლები, ხოლო ბოლო წარმოდგენაზე თავისუფალ ადგილს
ვერ იმოვიდით. დაბოლოს, მერხების უკან, პატიმრები თავსდებოდნენ,
სტუმრების პატივისცემის ნიშნად ფეხზე იდგნენ, თავმოხდილები, ქურ-
თუკებსა თუ ჯუბებში გამოწყობილნი, მიუხედავად ოთახის დახუთული,
ობშივრიანი ჰაერისა. რასაკვირველია, პატიმრებს ერთობ მცირე ად-
გილი ჰქონდათ გამოყოფილი. ლამის თავზე ასხდნენ ერთიმეორეს,
უფრო მეტად, ბოლო რიგებში, ნარებიცა და კულისებიც სავსე იყო. ისე-
თი მოყვარულებიც გამოჩნდნენ, რომლებიც თეატრის უკან, ყაზარმაში
დადიოდნენ და იქიდან, ანუ უკანა კულისიდან, უთვალთვალდებდნენ
წარმოდგენას. ყაზარმის პირველ ნახევარში არაბუნებრივი სივიწროვე
იყო და შემოძლია, იმ სივიწროვესა და ჭყლეტას შევადარო, ამას წინათ
აბანოში რომ ვნახე. ტალანის კარი გაეღოთ; იქაც, ოცგრადუსიან ყინ-
ვაში, ხალხი ირეოდა. ჩვენ, მე და პეტროვი, წამსვე წინ გაგვატარეს,
თითქმის მერხებთან, საიდანაც უკანა რიგებთან შედარებით უკეთ ჩან-
და. ჩემში, ასე ვთქვათ, შემფასებელს, მცოდნეს ხედავდნენ, ამიტომაც
იყო, რომ ბაკლუშინი რჩევისთვის ხშირად მაკითხავდა და მოწიწებით
მეპყრობოდა; სანაცვლოდ ახლა პატივი მქონდა კარგ ადგილას ვმჯდა-
რიყავი.

ვთქვათ, პატიმრები უაღრესად პატივმოყვარე და ქარაფშუტა ხალ-
ხია, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო. მათ შეეძლოთ აბუჩად
ავეგდე, როგორც კი შეამჩნევდნენ, რომ მათსავით კარგად ვერ ვმუშა-
ობდი. აღმაზოვი თავადაზნაურობას ზიზღით გვიყურებდა და ალებას-
ტრის გამოწვის უნარით თავს გვაწონებდა; მაგრამ ამ დევნასა და და-

ცინვას სხვა მიზეზიც ჰქონდა: ჩვენ ხომ ოდესღაც იმავე წოდებას ვეკუთვნოდით, რომელსაც მათი ყოფილი ბატონები, რომლებიცგანაც, ბუნებრივია, ცუდის მეტი არაფერი ახსოვდათ. მაგრამ ახლა, თეატრში, გზადამითმეს. რადგან აღიარებდნენ, რომ ამ საკითხში მათზე უკეთ ვერკვეოდით, რომ მათზე მეტი მენახა და ვიცოდით. ჩემდამი ყველაზე ცუდად განწყობილნიც (ესეც ვიცო), ახლა მოუთმენლად ელოდნენ, აბა, თეატრს თუ შეგვიქვებსო, და ამიტომაც დამსვენს საუკეთესო ადგილას. არცერთ მათგანს თავი დამცილებულად არ უგრძნია. მომეჩვენა, მათ ამ სამართლიან განსჯაში პირადი დამცირება კი არა, პირიქით, საკუთარი ღირსების გრძნობა მქლავნდებოდა. ჩვენი ხალხის უმაღლესი და ყველაზე გამოსატული თვისება სამართლიანობის გრძნობა და წყურვილია. მამლაცინწური ჩვევები, რადაც უნდა დაუჯდეს, ყველგან პირველი იყოს, მიუხედავად იმისა, იმსახურებს თუ არა ამას ადამიანი, ხალხს არ მოსდგამს. საკმარისია მოაცილოთ გარეგანი ქერქი და ყურადღებით, ცრურწმენის გარეშე ჩაიხედოთ ხალხის გულში, ისეთ იშვიათ რამეს აღმოაჩინოთ იქ, რასაც, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდით. ხალხს ბევრს ვერაფერს ასწავლიან ჩვენი ბრძენკაცები. დაბეჯითებითაც ვამბობ: მათ თავად უნდა ისწავლონ მისგან.

როცა თეატრში წასასვლელად ვემზადებოდით, პეტროვმა გულუბრყვილოდ მითხრა, შენ წინ გაგიშვებენ კიდევ იმიტომაც, რომ მეტ ფულს გადაიხდიო. როგორც წესი, წინასწარ ფასს არ აწესებდნენ. როცა თეატრში ხელში ჩამოიარეს, თითქმის ყველამ დადო რაღაც, თუნდაც გროში. ვთქვათ, წინ ნაწილობრივ ფულისთვისაც დამსვენს, იმ ვარაუდით, რომ სხვებზე მეტს მივცემდი, ამაშიც კარგად ჩანდა საკუთარი ღირსების გრძნობა! „შენ ჩემზე შეძლებული ხარ და წინ მიდი. მართალია, აქ ყველა თანასწორი ვართ, მაგრამ შენ მეტს გაიღებ, მაშასადამე, შენნაირი სტუმარი უფრო სიამოვნებთ მსახიობებს, პირველი ადგილიც შენ, გარდა ამისა, აქ არა ფულისთვის, არამედ პატივისცემისთვის მოვედით, მაშასადამე, საკუთარი თავი ჩვენვე უნდა დავახარისხოთ!“ აქ ნამდვილი კეთილშობილური სიამაყე იგრძნობა! ეს ფულის კი არა, საკუთარი თავის პატივისცემაა. საერთოდაც, საპყრობილეში ფულისად-

მი, სიმდიდრისადმი დიდ მოწიწებას არ გრძნობდნენ, მით უმეტეს, თუ ყველას, როგორც ერთ მთლიანს ისე განვიხილავთ. ერთი პატიმარიც არ მაგონდება, ფულისთვის სერიოზულად რომ დაემცირებინა თავი. იყვნენ მათხოვრები, მეც მთხოვდნენ. თუმცა, ამაში თაღლითობა, იუმორი, გულუბრყვილობა მეტი იყო, ვიდრე ანგარება.

თეატრი სულ დამავიწყდა. საქმეს მივყვეთ.

ფარდის ახდამდე მთელი ოთახი უცნაურ და გამოცოცხლებულ სანახაობას წარმოადგენდა. ყოველი მხრიდან მისრესილ-შეჭუჭყნილი მაყურებელთა ბრბო მოთმინებითა და ნეტარებით ელოდებოდა წარმოდგენის დაწყებას. უკანა რიგებში ერთმანეთზე შეხორხილ პატიმრებს სასაღილოდან მოტანილი კუნძი როგორღაც კედელთან მიეყუდებინათ და ზედ მდგარნი, ორივე ხელით წინამდგომთა მხრებს ეყრდნობოდნენ. მათ ორიოდე საათი მდგომარეობა არ შეუცვლიათ, მაგრამ სრულიად კმაყოფილნი ჩანდნენ თავითაც და ადგილითაც. სხვები ღუმლის ქვედა საფეხურზე იდგნენ და წინმყოფებს ეყრდნობოდნენ. ასე იყო ყველაზე უკანა რიგებშიც, კედელთან. გვერდით, ნარებზე მოკალათებულთა გროვა თავს ადგა მუსიკოსებს. იქ კარგი ადგილებიც იყო. ხუთიოდე პატიმარი ღუმელზე აცოცებულყო და ზედ გაწოლილნი სცენას გადმოჰყურებდნენ. ჰოი, როგორ ნეტარებდნენ! მოპირდაპირე კედლის ფანჯრის რაფები დაგვიანებულებსა და ადგილის გარეშე დარჩენილებს ველარ იტევდა. ყველა წყნარად იყო და წესიერად იქცეოდა. ყველას უნდოდა საუკეთესო მხრით სჩვენებოდა უფროსობასა თუ მაყურებლებს. მათ სახეზე მიამიტი მოლოდინი იკითხებოდა. სიცხისა და ბუღისგან სახე აღეწოდათ და გაოფლიანებოდათ. ბავშვური სიხარულის, წმინდა, სათუთი კმაყოფილების უცნაური ანარეკლი კრთოდა აქამდე პირქუში და კუშტი ადამიანების გამოხედვაში დაღარულ-დადალულ სახეებსა და თვალებში, ზოგჯერ ისე საშინლად რომ ელვარებდნენ!

აი, სცენაზე აფუსფუსდნენ, საცაა ფარდა აიხდება. ორკესტრმაც დაუკრა... ამ ორკესტრის გახსენება ნამდვილად ღირს შვიდი მუსიკოსი: ორი ვიოლინო (ერთი საპყრობილეში ჰქონდათ, მეორე ვილაცისგან ითხოვეს), სამი ბალალაიკა სამივე თვითნაკეთი, ორიც გიტარა და კონ-

ტრაბასის ნაცვლად, დაირა. ვიოლინოები მხოლოდ წრი პინებდნენ. გიტარები არ ვარგოდა, სამაგიეროდ, ბალალაიკების სიმებზე თითების თამაშს თავისუფლად შეადარებდით ყველაზე მარჯვე ფოკუსს. სულ საცეკვაო მოტივებს უკრავდნენ. ყველაზე გიჟმაჟურ ადგილებში დამკვრელნი თითებს ბალალაიკის დეკას შემოჰკრავდნენ ხოლმე; ტონი, გემოვნება, შესრულება, საკრავთა ფლობა, ჰანგის გადაცემის ხასიათი ყოველივე ეს საკუთარი, ორიგინალური, ტუსალური იყო. ერთი გიტარისტიც საუცხოოდ უკრავდა. ეს ის აზნაური იყო, მამამისი რომ მოკლა. რაც შეეხება დაირას, სასწაულებს ახდენდა: ხან თითზე შეებზრიალდება, ხან ცერს გადაუტარებენ ტყავზე, ხან ხშირი, წკრიალა და ერთფეროვანი დარტყმები ისმის, ხანაც ეს ძლიერი, გამოკვეთილი ხმა უცებ თითქოს პატარ-პატარა ჟღრიალა და მოშრიალე ბგერებად იმსხვრევა.

დასასრულ, ორი გარმონიც გამოჩნდა. პატიოსნად ვაღიარებ, რომ აქამდე წარმოდგენაც არ მქონდა, უბრალო ხალხურ საკრავებს რა შეეძლოთ. ბგერათა შეხმატკბილება, ხმოვანება და, რაც მთავარია, ჰანგის არსის გაგება-გადმოცემის ხასიათი და სულისკვეთება სწორედაც რომ გასაოცარი გახლდათ. პირველად მაშინ გავაცნობიერე, კონკრეტულად, რა არის ნაპირგადაღაბული და ლაღი რუსულ სალაღობო თუ საცეკვაო სიმღერებში.

ბოლოს, ფარდა გასწიეს. ყველა შეირხა, ფეხი შეინაცვლა. უკან მყოფნი ფეხის წვერებზე შედგნენ; ვილაც კუნძიდან ჩამოვარდა; უკლებლივ ყველამ პირი დააღო და თვალები სცენას მიაშტერა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა... წარმოდგენა დაიწყო.

გვერდით, თავის ძმებსა და სხვა ჩერქებებთან ერთად მოსული, ალეი მედგა. მათ ისე შეუყვარდათ თეატრი, რომ არცერთი საღამო არ გამოუტოვებიათ. დაკვირვებული ვარ, ყველა მუსლიმანი ყოველგვარი სანახაობის მგზნებარე მოტრფიალეა. მათ გვერდით მიკუნტულიყო ისაი ფომიჩი, რომელიც ფარდის ახდისთანავე თითქოს მთლიანად სმენად, ხედვად, სასწაულებისა და სიამის ყველაზე მიამიტ, ხარბ მოლოდინად გადაიქცა. შესაბრალისიც იქნებოდა, მოლოდინი რომ გაცრუებოდა. ალეის საყვარელი სახე ბავშვური სიხარულით უბრწყინავდა; ვა-

ღიარებ, მისი ყურება ძალიან მახალისებდა და მსახიობის ყოველ სასაცილო თუ მარჯვე საქციელზე, როცა საყოველთაო ხარხარი ატყდებოდა, უნებლიეთ მისკენ ვბრუნდებოდი და სახეზე შევავლებდი ხოლმე თვალს. ის ვერც მამჩნევდა, ჩემთვის სად სცხელოდა?! სულ ახლოს, ხელმარცხნივ, ხანშიშესული, შეჭმუხნილი, მუდამ უკმაყოფილო და მობზღუნე პატიმარი მედგა. მანაც შენიშნა ალეი. დავინახე, ოდნავი დიმილით უყურებდა. ისეთი საყვარელი იყო! მას „ალეი სემიონჩის“ ეძახდა, ვერ ვხვდები, რატომ.

„ფილატკა და მიროშკათი“ დაიწყეს. ფილატკა (ბაკლუშინი) მართლაც დიდებული გახლდათ. როლი საოცარი გამომსახველობით შეასრულა. ჩანდა, თავის ყოველ წინადადებას, ყოველ მოძრაობას უკვირდებოდა, თითოეული სიტყვის მნიშვნელობასა და ჟესტს როლის შესაბამის დატვირთვას აძლევდა. ამ მონდომებას მიუმატეთ საოცარი, ხალასი მხიარულება, უბრალოება, ბუნებრიობა და, რომ გენახათ, აუცილებლად იტყოდით, რომ ის ჭეშმარიტად ნიჭიერი მსახიობი იყო.

ფილატკა არა ერთხელ მინახავს მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრებში. დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ ფილატკას როლის შემსრულებელ დედაქალაქის მსახიობებზე გაცილებით უკეთ თამაშობდა ბაკლუშინი. მასთან შედარებით ისინი ნამდვილი გლეხები კი არა, პეიზანები იყვნენ. მათ მეტისმეტად უნდოდათ გლეხკაცი წარმოედგინათ. ბაკლუშინს, გარდა ამისა, მეტოქეობაც აღაგზნებდა. ყველამ იცოდა, მეორე პიესაში, კედრილის როლს პატიმარი პოცეიკინი შეასრულებდა, რომელსაც ყველა რატომღაც ბაკლუშინზე ნიჭიერად მიიჩნევდა. ბაკლუშინი ამის გამო ბავშვივით იტანჯებოდა. ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელ დღეებში რამდენჯერმე გადამიშალა გული. წარმოდგენამდე ორი საათით ადრე ციებ-ცხელებამ აიტანა. როცა ხარხარებდნენ და დარბაზიდან შესძახებდნენ: „მარჯვედ, ბაკლუშინ! იფ, რა ყოჩაღია!“ მთელი სახე ბედნიერებით უბრწყინავდა, თვალებში შთაგონება უკიაფობდა. მიროშკას კოცნის სცენა, როცა ფილატკა წინასწარ უყვირის: პირი მოიხოცო, და თვითონაც იხოცავს, ძალიან სასაცილო გამოვიდა. ყველანი სიცილით დაწყდნენ. მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, მე

უფრო მაყურებლები მართობდნენ; ახლა კი ყველა გულგახსნილად გამოიყურებოდა. მთლიანად სიამოვნებას მისცემოდნენ. გამამხნეებელი წამოძახილები სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა. აგერ ერთი ამხანაგს მუჯლუგუნს ჰკრავს და სხაპასხუპით თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს. ისე რომ, არც აინტერესებს და ვერც ხედავს, ვინ უდგას გვერდით; მეორე, რომელიმე სასაცილო სცენისას, უცებ ალტაცებული მოუტრიალდება ხალხს. ერთბაშად თვალს გადაავლებს ყველას, თითქოს მათ სიცილში იწვევსო, ხელს იქნევს, და მაშინვე ხარბად უბრუნდება სცენას. მესამე უბრალოდ ენასა და თითებს გაატკაცუნებს და ცქმუტავს, მაგრამ რაკი ვერც განძრეულა, მხოლოდ ფეხს შეინაცვლებს. საერთო მხიარული განწყობილება პიესის ბოლოს უმაღლეს მწვერვალს აღწევს. არაფერს ვაჭარბებ. წარმოიდგინეთ საპყრობილე, ბორკილები, ტყვეობა. წინ ხანგრძლივი ნაღვლიანი წლები, ერთფეროვანი ცხოვრება და უცებ ყველა ამ დაჩაგრულ-დამწყვდეულებს ნება მისცეს, ორი საათით ფრთები გაეშალათ, გამხიარულებულიყვნენ, ავი სიზმარი დავევიწყებინათ; წარმოდგენა გაემართათ და თანაც როგორი: საამაყო და მთელი ქალაქის გასაკვირი, ვითომ, შეხეთ ჩვენებს, რანი ვართ პატიმრებიო! მათ, რასაკვირველია, ყველაფერი ართობდა, განსაკუთრებით კოსტიუმები; მაგალითად, უაღრესად აინტერესებდათ ენახათ, ვთქვათ, რომელიმე ვანკა წყალწალეული, ან ნეცვეტაევი, ან ბაკლუშინი არა იმ ტანსაცმელში, რაშიც უკვე რამდენიმე წელია ყოველდღე ხედავდნენ, არამედ სულ სხვანაირში, „ხომ პატიმარია, ჩვენისთანა პატიმარი. ბორკილს აჩხარუნებს. ახლა კი, დახე, სერთუკში, მრგვალ ქუდსა და მოსასხამში გამოწყობილა, თითქოს სამოქალაქო პირიაო! ულვამები და თმა გაუკეთებია. აგერ, წითელი ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან. ბატონივით იქნევს, თითქოს თვითონაც, არც მეტი, არც ნაკლები, ბატონი იყოს!“ ყველა აღფრთოვანებულია.

„კეთილისმყოფელი მემამულე“ ადიუტანტის მუნდირით გამოვიდა (თუმცა, მეტად ძველი იყო), ეპოლეტები და კოკარდიანი ქუდიც ჰქონდა. ერთი სიტყვით, არაჩვეულებრივი ეფექტი მოახდინა. ამ როლზე ორი მოხალისე იყო, და დაიჯერებთ? მათ საშინლად, პატარა ბავშვი-

ვით იჩხუბეს: ორივეს ოფიცრის ექსელბანტებიან მუნდირში გამოჩენა უნდოდა! მათ სხვა მსახიობები აშველებდნენ. როლი ხმების უმრავლესობით ნეცვეტაევს არგუნეს. არა იმიტომ, რომ მეორეზე უკეთესი და ლამაზი იყო და, ამგვარად უფრო ემგვანებოდა ბატონს, არამედ იმის გამო, რომ ნეცვეტაევმა ყველა დაარწმუნა, ხელჯობით გამოვალ და ისე დავატრიალებ, როგორც ნამდვილი ბატონი და უპირველესი ფრანტი, რასაც „ვანკა-წყალწაღებული“ სულაც ვერ შეძლებს, რადგან ნამდვილი ბატონები არასოდეს უნახავსო. მართლაც, ნეცვეტაევი ლერწმის ჯობით, სწრაფად და შეუფერხებლად ხატავდა მიწაზე და ეტყობა, უმაღლესი ბატონკაცობის, უკიდურესი კოხტაობისა და პეწიანობის ნიშნებს ამაში ხედავდა. ალბათ, ბავშვობაში, შინაყმას, ფეხშიშველა ბიჭუნას, შემთხვევა მიეცა ლამაზად ჩაცმული მებატონე ჯობით ხელში ენახა, ჯობის ტრიალის მისეული უნარით მოხიბლულიყო და აი, შთაბეჭდილება სამუდამოდ აღებეჭდა მეხსიერებაში. ახლა, უკვე ოცდაათი წლისას, ყველაფერი გაახსენდა, მთელი საპყრობილე სავსებით მოხიბლა და დაატყვევა. ნეცვეტაევი ისე გაიტაცა როლმა, რომ უკვე აღარავის და არაფერს უყურებდა, თავს ლაპარაკის დროსაც აღარ სწევდა, თავის ჯობსა და მის წვერს თვალს ვეღარ აცილებდა. კეთილისმყოფელი მემამულე ქალიც თავისებურად საუცხოო გახლდათ: ის გამოვიდა დაძონძილ მარმაშის კაბაში, მკლავ-კისრიანად მოშიშველებული, ფერუმარილით შეთითხნილი, ნიკაპთან შენასკვეული ყალამქრის საძილე ჩაჩით. ცალ ხელში ქოლგა ეჭირა, მეორეში მოხატული ქალღმრთის მარაო, რომლითაც განუწყვეტლივ ინიავებდა. ხარხარის ბათქით შეხვდნენ ქალბატონს, თვითონაც ვერ შეიკავა თავი და რამდენჯერმე სიცილიწასკდა. მის როლს პატიმარი ივანოვი თამაშობდა. ქალიშვილად გადაცმული სიროტკინი სანდომიანად გამოიყურებოდა. ერთი სიტყვით, პიესამ საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია. მისი გაკრიტიკება აზრდაც არავის მოსვლია.

ერთხელ კიდევ დაუკრეს უვერტიურა: „წინკარო, ჩემო წინკარო“... ფარდა ისევ აიხადა. ეს კედრილია. კედრილი რაღაც დონ-ჟუანის მაგვარია; ყოველ შემთხვევაში, ბატონიცა და მსახურიც პიესის ბოლოს ჯო-

ჯოხეთში მიჰყავთ. მთელ მოქმედებას უჩვენებდნენ, თუმცა, აშკარად რაღაც აკლდა: თავი და ბოლო დაკარგვოდათ. აზრს ვერ გამოიტანდით. მოქმედება რუსეთის რომელიღაც ფუნდუკში მიმდინარეობდა. მიკიტანი ოთახში შინელიან და მრგვალ, გაცვეთილქუდიან ბატონს შემოუძღვება. უკან მსახური კედრილი მოჰყვება, ჩემოდნითა და ლურჯ ქალღმერთში შეხვეული ქათმით. კედრილს ჯუბა აცვია და ლაქიას კარტუზი ახურავს. სწორედ ისაა ღორმუცელა. მას პატიმარი პოცევიკინი თამაშობს, ბაკლუშინის მეტოქე. ბატონის როლს იგივე ივანოვი ასრულებს, პირველ პიესაში კეთილისმყოფელ მემამულე ქალს რომ განასახიერებდა. მიკიტანი, ნეცვეტაევი წინდაწინ აფრთხილებს მათ, ოთახში ეშმაკები სახლობენო და გადის. დაღვრემილი და შეწუხებული ბატონი წაიბურტყუნებს, ეს ახალი ამბავი როდია ჩემთვისო და კედრილს უბრძანებს, ნივთები დაალაგე და ვახშამი მომიმზადეო. კედრილი მშიშარა და ღორმუცელაა. ეშმაკების გაგონებაზე ფითრდება, ვერხვის ფოთოლივით ცახცახებს. გაიქცეოდა კიდევ, მაგრამ ბატონისა

ეშინია. ამას გარდა, ჭამაც ხომ უნდა. ის ავხორცია, ყვეყნი, თავისებურად ეშმაკი, მფრთხალი, ბატონს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუებს და თანაც ეშინია მისი. ეს არის მსახურის შესანიშნავი ტიპი, მასში როგორღაც ბუნდოვნად და შორეულად ვლინდება ლეპორელოს შესანიშნავად გადმოცემული თვისებები. პოცევიკინი უეჭველად ნიჭიერია და, ჩემი აზრით, ბაკლუშინზე უკეთესი მსახიობიც. მე, რა თქმა უნდა, მეორედღეს, ბაკლუშინთან შეხვედრისას, ეს აზრი მთლიანად არ გამიზიარებია მისთვის, რადგან ძალიან ვაწყენინებდი. არც ბატონის როლის შემსრულებელმა პატიმარმა ითამაშა ურიგოდ. საშინელ სისულელეებს ჩმახავდა, მაგრამ სწორი და ცოცხალი დიქცია ჰქონდა, შესაბამისი ჟესტებიც; სანამ კედრილი ჩემოდნებთან ჯახირობს, ბატონი სცენაზე ჩაფიქრებული დადის და ყველას გასაგონად აცხადებს, ამ საღამოს ჩემს ხეტიალს ბოლო მოეღებაო. კედრილი ცნობისმოყვარეობით უსმენს, იმანჭება, თავისთვის ლაპარაკობს და მისი ყოველი სიტყვა მაყურებლებს ამხიარულებს. ბატონი არ ეცოდება. მას უნდა ეშმაკებზე ყველა-

ფერი გაიგოს და ბატონთან დიალოგს მართავს. ბატონი ეუბნება, ოდესღაც, რომელიღაც გაჭირვების ჟამს, დახმარებისთვის ჯოჯოხეთს მივმართე, ეშმაკები დამეხმარნენ, მიხსნეს, მაგრამ ვადა გამივიდა და, შესაძლოა, პირობისამებრ, ამაღამვე მომაკითხონ ჩემი სულისთვისო. კედრილს ელეთმელეთი მოსდის; მაგრამ ბატონი სულიერად არ ეცემა და უბრძანებს, ვახშამი მომიმზადეო. ვახშმის გაგონებაზე კედრილი გამოცოცხლდება, ამოიღებს დედალს, დადგამს ღვინოს, თანაც ქურდულად ქათამს გემოს უსინჯავს. დარბაზიც ხარხარებს; აგერ კარმა გაიჭრიალა, ქარი დარაბებს ახმაურებს; კედრილი ცახცახებს და ნაუცბათევად, თითქმის შეუგნებლად ჩაიტენის პირში ქათმის უშველებელ ნაჭერს, რომლის გადაყლაპვას ვერ ახერხებს. ისევ ხარხარი. „მზად არის?! უყვირის ბატონი, თან ოთახში ბოლთას სცემს. „ბატონო... ახლავე მოგიმზადებთ“, ეუბნება კედრილი, სუფრას თავად მიუჯდება და ბატონის საჭმელს მშვიდად სანსლავს. მაყურებლებს, ჩანს, მარჯვე და ეშმაკი მსახური მოსწონთ, აგრეთვე ისიც, ბატონი რომ ხახამშრალი რჩება. უნდა ვაღიარო, პოცევიკინიც ნამდვილად ქებას იმსახურებდა. სიტყვები: „ბატონო, ახლავე მოგიმზადებთ“, ჩინებულად წარმოთქვა. მიუჯდება თუ არა სუფრას, ხარბად იწყებს ჭამას და ბატონის ყოველ ნაბიჯზე კრთის, ეშინია, ოინს არ მიმიხვდესო. შემდეგ ქათამს მიათრევს და მაგიდის ქვეშ იმალება. ბოლოს დანაყრდა. სული მოიბრუნა. დროა, ბატონზეც იფიქროს. „კედრილ, მორჩი?! ყვირის ბატონი, „მზად გახლავთ!“ ცქვიტად უპასუხებს კედრილი, თანაც ფიქრობს, ბატონისთვის აღარაფერი დარჩაო. მართლაც, ერთი ბარკალიდა დევს თეფშზე. მოღუშული და შეწუხებული ბატონი ვერაფერს ამჩნევს, ისე მიუჯდება სუფრას, ხოლო კედრილი, ხელსახოცით ხელში, სკამს უკან დაუდგება. კედრილის ყოველ სიტყვაზე, ყოველ ჟესტზე, სახის ყოველ მოძრაობაზე, როცა დარბაზისკენ შეტრიალებული დოყლაპია ბატონზე მიუთითებს, მაყურებელი გულიანად ხარხარებს. მაგრამ, ის იყო ბატონმა ჭამა დაიწყო, რომ ეშმაკებიც გამოჩნდნენ. აქ კი ველარაფერს გაიგებ. ეშმაკები როგორღაც მეთისმეტად უცხო იერით ჩნდებიან. გვერდითა კულისებში კარი იღება და რაღაც შემოდის: თეთრი აცვია, თავის ნაც-

ვლად სანთლიანი ფარანი აქვს, მეორე მოჩვენებასაც ფარანი ადგას, ხელში ცელი უჭირავს. რას ნიშნავს ფარნები, რას ნიშნავს ცელი? რატომ არიან ეშმაკები თეთრითმოსილნი? ვერავის აუხსნია. თუმცა, ამაზე არც არავინ ფიქრობს. ალბათ, ასეც უნდა იყოსო. ბატონი საკმაოდ მამაცურად ხვდება ეშმაკებს და უყვირის, მზად ვარ წამოსასვლელადო. კედრილი კი კურდღელივით ფრთხეხება. მაგიდის ქვეშ მიძვრება და მაინც, მიუხედავად ამგვარი ელდისა, არ ავიწყდება სუფრიდან ბოთლი დაითრიოს. ეშმაკები წუთით მიიმალეებიან; კედრილი გამოძვრება, მაგრამ, როგორც კი ბატონი ქათამს მიუბრუნდება, მაშინვე ოთახში სამი ეშმაკი შემოიჭრება, ბატონს უკნიდან ხელს სტაცებენ და ქვესკნელისკენ მიაქანებენ. „კედრილ, მიშველე!“ ყვირის ბატონი. მაგრამ კედრილს მისთვის არა სცხელა. ამჯერად მას ბოთლიც, თეფშიცა და პურიც მაგიდის ქვეშ აქვს. აი, ახლა კი მარტოა, აღარც ეშმაკები არიან, აღარც ბატონი. კედრილი გამოძვრება, გაიხედ-გამოიხედავს და გაიბადრება. ეშმაკურად მოჭუტავს თვალებს, ბატონისეულ ადგილზე დაჯდება, მაყურებლებისკენ ანიშნებს და ნახევრად ჩურჩულით ამბობს: აბა, ახლა მარტო ვარ... უბატონოდ... ყველა ხარხარებს, უბატონოდ რომაა; მაგრამ აი, კიდევ დასძენს ნახევრადჩურჩულით, თან კონფიდენციალურად მიმართავს მაყურებლებს და უფრო მხიარულად ჩაუკრავს თვალს: ბატონი ეშმაკებმა წაიღეს...

მაყურებელთა აღტაცება უსაზღვროა. „ბატონი ეშმაკებმა წაიღეს“ ისეთი გაიძვერობით, ისეთი დამცინავ-საზემო მანჭვა-გრეხით წარმოთქვა, რომ მართლაც შეუძლებელი იყო, ტაში არ დაგეკრათ. მაგრამ კედრილის ბედნიერება დიდხანს არ გრძელდება. ის-ის იყო ბოთლი მოიმარჯვა, სასმელი ჭიქაში დაისხა და უნდა შესვას, ანაზღად ეშმაკები ბრუნდებიან, უკნიდან ფეხაკრეფით მიეპარებიან და ხელს სტაცებენ. კედრილი მთელი ხმით ღრიალებს; შიშით თავის მობრუნებაც ვერ გაუბედავს; ხელიც კი ვერ გაანძრია. ბოთლი და ჭიქა ჩაუბღუჯავს; მათთან გაყრა არ შეუძლია. თავზარდაცემული, პირდაღებული, ნახევარი წუთი ასე ზის მაყურებლებისკენ თვალებგადმოკარკლული. ლაჩრულ შიშს ისე სასაცილოდ გამოხატავს, რომ მხატვარს შედეფვრს შეაქმნევენება.

ბოლოს მიჰყავთ; ბოთლი თან აქვს, ფეხებს აფართხალებს და ყვირის. მისი ყვირილი კულისებიდანაც აღწევს. ფარდა ეშვება, ყველა ხარხარებს, ყველა აღტაცებულია... ორკესტრი კამარინსკულს უკრავს.

იწყებენ ნელა, ძლივს გასაგონად, მაგრამ მოტივი სულ უფრო იზრდება, ტემპი მატულობს, ისმის მარჯვე გატკაცუნება ბალალაიკას დეკაზე... ეს არის კამარინსკული მთელი თავისი გაქანებით და, კარგი იქნებოდა, გლინკას ის თუნდაც შემთხვევით მოესმინა ჩვენს საპყრობილეში. იწყება მუსიკაზე აყობებული პანტომიმა. კამარინსკული მთელი პანტომიმის განმავლობაში არ ცხრება. წარმოდგენილია ქოხის შიდა ნაწილი. სცენაზე მეწისქვილე და მისი ცოლია. მეწისქვილე ერთ კუთხეში ცხენს კაზმავს. მეორე კუთხეში ცოლი სელს ართავს. ამ უკანასკნელს სიროტკინი თამაშობს, მეწისქვილეს ნეცვეტაევი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დეკორაციები ძალიან ღარიბულია. ამ დაწინა პიესებშიც თქვენ უმეტესად საკუთარი წარმოდგენით უფრო ავსებთ სურათს, ვიდრე თვალთ ხედავთ. უკანა კედლის ნაცვლად რაღაც ხალიჩაა გაჭიმული; გვერდით უვარგისი შირმა. მარცხენა მხარეს კი არაფერი, ამგვარად, ნარები მოჩანს. მაგრამ მაყურებელი მკაცრი არაა, ყაბულსაა სინამდვილე წარმოდგენით შეავსოს, მით უმეტეს, პანტომიმებს ეს კარგად ეხერხებათ: „ნათქვამია ბალიო, და შენც ბალად ჩათვალე; ოთახი ოთახად, ქოხი ქოხად, სულ ერთია და მოსაბოდიშებელი დიდი არაფერია“. სიროტკინი, ახალგაზრდა ქალის ტანსაცმელში, მეტად სანდომიანია. მაყურებლებს შორის, ხმადაბლა, რამდენიმე ქათინაურიც გაისმის. მეწისქვილე სამუშაოს ამთავრებს, ქუდს, შოლტს იღებს, ცოლთან მიდის და უსიტყვოდ მიანიშნებს, წასასვლელი ვარო, თუ უჩემოდ მიგიღია ვინმე, მაშინ... და შოლტს დაანახებს. ცოლი უყურებს და თავს უქნევს. ამ შოლტს, ალბათ, კარგად იცნობს. დედაკაცს ქმრის უჩუმრად დროსტარება დასჩემდა. ქმარი მიდის. გავა თუ არა კარში, ცოლი მუშტით მუქარას მიაყოლებს, მაგრამ აი, აკაკუნებენ; კარი იღება და მეზობელი გამოცხადდება. ისიც მეწისქვილეა, წვერიანი; გლუხვაცური ხიფთანი აცვია; ხელში საჩუქარი უჭირავს. წითელი თავშალი. დედაკაცი იცინის; როგორც კი მეზობელი ხელის მოხვევას და-

აპირებს, კარზე ისევ აკაკუნებენ; სადღა წავიდეს? ქალი კაცს სახელდახელოდ მაგიდის ქვეშ შემალავს, თვითონ ისევ თითისტარს მიუჯდება. შემოდის მეორე თაყვანისმცემელი: ეს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კანცელარიის მწერალია. აქამდე პანტომიმა უზადოდ მიდიოდა, ზუსტი შესტებით. ამ იმპროვიზირებული მსახიობების შემყურე, გაკვირვებული, უნებლიეთ იფიქრებდით: ზოგჯერ რამდენი ძალა და ნიჭი გველუპება რუსეთში, თითქმის ტყუილუბრალოდ, ტყვეობასა და მწარე ხვედრში. მაგრამ მწერლის როლის შემსრულებელ პატიმარს, ალბათ, ოდესღაც პროვინციული ან შინაური თეატრი ენახა და ეჩვენებოდა, ჩვენს მსახიობებს ცოდნა ღალატობს და როგორც სცენას შეჭფერის, ისე არ დადიანო. აი, ისიც გამოდის, როგორც ამბობენ, ძველად თეატრებში კლასიკური გმირები ასე გამოდიოდნენო. გრძელ ნაბიჯებს ადგამს და მეორე ფეხის მიუდგმელად უცებ ჩერდება; მთელი ტანითა და თავით უკან გადაიხრება, ამაყად მიმოიხედავს და მეორე ნაბიჯს გადადგამს. სამხედრო მწერლის ასეთი სიარული კომიკურ სცენაში ძალიან სასაცილოა. ჩვენს მაყურებელს ეგონა, ალბათ, ასეა საჭიროო და აყლაყუდა მწერლის გრძელი ნაბიჯები უცილობელ ფაქტად მიიღო, საგანგებო კრიტიკის გარეშე. მწერალმა შუა სცენამდე მისვლა ძლივს მოასწრო, ისევ კაკუნი ატყდა. დიასახლისი კვლავ აწრიალდა. სად დამალოს მწერალი? სკივრში, კიდევ კარგი ღიაა. მწერალი სკივრში ძვრება და დედაკაცი სახურავს აფარებს. ამჯერად განსაკუთრებული სტუმარი გამოცხადდება, ისიც შეყვარებულია, მაგრამ, ცოტა არ იყოს, თავისებური. ბრამინი, ბრამინისსავე სამოსელში. გულიანი ხარხარი გაისმის. ბრამინს პატიმარი კოშკინი მშვენივრად თამაშობს. ის შესტებით უხსნის ქალს თავისი სიყვარულის მთელ სიმძაფრეს. ხელებს ზეცას მიაპყრობს, შემდეგ მკერდზე მიიდებს, მაგრამ ძლივს მოასწრო განაზებულიყო, გრძნობად დაღვრილიყო, კარის ძლიერი ბრახუნი ისმის, დარტყმის მიხედვით ჩანს, ქმარია. შეშინებულმა ცოლმა აღარ იცის, რა ქნას. ბრამინი დამდულრულივით აქეთ-იქით ასკდება და ეხვეწება, დამალო. ქალი სახელდახელოდ კარადის უკან დააყენებს, თვითონ კი კარის გაღება ავიწყდება; დაბნეული ართავს და ართავს, არ ესმის

ქმრის კაკუნი, შიშით გრებს ძაფს, თითისტარის იატაკიდან აღება, ვერც კი მოუსაზრებია. სიროტკინმა ძალიან კარგად და მარჯვედ გამოხატა ეს შიში. პატრონი კარს წიხლებით შემოამტვრევს და შოლტით ხელში მიიჭრება ცოლთან. ყველაფერი შეუმჩნევია და დადარაჯებია, თითებით პირდაპირ უჩვენებს, სამნი გყავს დამალულიო. შემდეგ მათ ეძებს. მეზობელს პირველს ი პოვის, ოთახიდან კინწისკვრით გააგდებს.

იგივე ბრაჰმანი შეშინებულმა მწერალმა სკივრის სახურავი ასწია და ამით თვითონვე გასცა თავი. პატრონი შოლტს გადაუჭერს. შეყვარებული მწერალი ამჯერად სრულიად არაკლასიკურად მიხტის. რჩება ბრამინი; პატრონი დიდხანს დაეძებს, ბოლოს კარადის უკან, კუთხეში მიაგნებს. ზრდილობიანად მისალმება, წვერში ჩაავლებს ხელს, შუა სცენაზე გამოათრევს. ბრამინი თავდაცვას ცდილობს და გაჰყვირის: „წყეულო! წყეულო! (ესაა წარმოდგენაში თქმული ერთადერთი სიტყვა). მაგრამ ქმარი არ უსმენს და თავისებურად უმასპინძლდება. ცოლი ხვდება, რომ მისი ჯერიც დგება, ნართს დააგდებს და ოთახიდან გარბის; გარეთ მიწაზე ეცემა. პატიმრები ხარხარებენ. ალეი არც მიყურებს, ისე მწიწვნის მკლავზე და მიყვირის: „შეხე, ბრამინი, ბრამინი!“ და ლამის სიცილისგან გაიგუდოს. ფარდა ეშვება. სხვა სცენა იწყება.

ყველა სცენის აღწერა არ არის საჭირო. კიდევ ორი თუ სამი უჩვენეს. ყველა სასაცილოა და ხალასი მხიარულებით სავსე; მართალია, ისინი თვითონ პატიმრებს არ შეუთხზავთ, მაგრამ თითოეულში საკუთარი რამ შეუტანიათ. თითქმის ყოველი მსახიობი იმპროვიზაციას მიმართავდა, ასე რომ, ერთი და იგივე მსახიობი მომდევნო წარმოდგენაზე ერთსა და იმავე როლს რამდენადმე განსხვავებულად თამაშობდა. ბოლო ფანტასტიკური ჟანრის პანტომიმა ბალეტით მთავრდებოდა. მიცვალებულს მარხავდნენ. მრავალრიცხოვანი მსახურით გარშემორტყმული ბრამინი ცხედარს სხვადასხვაგვარად შეულოცავს, მაგრამ არაფერი შველის. ბოლოს, გაისმის: „მზე ესვენება“, მიცვალებული ცოცხლდება და სიხარულით ყველა როკვას იწყებს. ბრამინი მიცვალებულთან ერთად როკავს, და სრულიად განსაკუთრებულადაც, ბრამინულად. წარმოდგენა ამით მთავრდება.

ჩვენები მხიარულნი და კმაყოფილნი იშლებიან, აქებენ მსახიობებს, მადლობას უხდიან უნტეროფიცერს. დაშოშმინდნენ. ყველა უჩვეულოდ კმაყოფილია, თითქოს ბედნიერიც კი, წინანდებურად მშფოთვარედ კი არა, მშვიდად სძინავთ.

ვითომ რატომაო? სხვათა შორის, ეს ჩემი წარმოსახვის ნაყოფი როდია. სიმართლეა, ჭეშმარიტებაა. ამ საწყალ ადამიანებს სულ ცოტაოდენი უფლება მისცეს, თავისებურად ეცხოვრათ, ადამიანურად გამხიარულებულიყვნენ, თუნდაც ერთი საათით დაევიწყებინათ საპყრობილე და კაცი შეიცვალა... მაგრამ აგერ უკვე შუაღამეა. შემთხვევით გამედვიძა: მოხუცი ისევ ღუმელზე ლოცულობდა, ასე ილოცებდა გარიჟრაჟამდე; ალეის ჩემ გვერდით წყნარად სძინავს; მახსენდება, ჩაძინებისას კვლავ იცინოდა. ძმებთან ერთად თეატრზე მსჯელობდა; უნებლიეთ, მის მშვიდ, ბავშვურ სახეს დავხედე. უცებ თვალწინ გამიელვა ბოლო დღემ, დღესასწაულმა, მთელმა თვემ... თავს შიშით ვწევ და სახაზინო ექვსფა სანთლის მქრქალ შუქზე მძინარე ამხანაგებს ვათვალიერებ. ვუყურებ მათ ფერმიხდილ სახეებს, ღარიბულ ლოგინს, მთელ ამ გაუგონარ გაჭირვებასა და სიღატაკეს, და თითქოს მინდა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი ეს არ არის საზარელი სიზმრის გაგრძელება, არამედ რეალობაა. ვიღაცის კვნესა მესმის. ვიღაცამ მძიმედ გადასწია ხელი და ჯაჭვები ააჩხარუნა, მეორე ძილში შეკრთა, ალაპარაკდა. ბაბუა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ღუმელზე ლოცულობს. ისმის მისი მწყობრი, წყნარი, გაბმული „უფალო, იესო ქრისტე, შეგვიწყალებენ!“..

„მე ხომ სამუდამოდ არ ვარ აქ, მხოლოდ რამდენიმე წლით ვარ!“ ვფიქრობ და თავს ისევ ბალიშზე ვდებ.

2.1. ჰოსპიტალი

დღესასწაულების შემდეგ ავად გავხდი და ჩვენს სამხედრო ჰოსპიტალს მივაკითხე. გრძელი, ერთსართულიანი, ყვითლად შეღებილი ჰოსპიტალი განცალკევებით, ციხიდან ნახევარ ვერსზე იდგა. ზაფხულობით აქ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე უამრავი საღებავი იხარჯებოდა. უშველებელი ეზო დაცვის სამსახურს, მედპერსონალის უფროსების სახლებსა და სხვა დამხმარე ნაგებობებს ეკავა. მთავარ კორპუსში კი მხოლოდ პალატები იყო. უამრავი პალატიდან პატიმრებს მხოლოდ ორში მკურნალობდნენ, ამიტომაც ყოველთვის სავსე გახლდათ, უმეტესად, ზაფხულობით. ხშირად საწოლებს გვერდიგვერდ მჭიდროდ მისწევდნენ ხოლმე.

ჩვენი პალატები მუდამ ათასი ჯურის „უბედური ხალხით“ ივსებოდა. იქ დადიოდნენ ჩვენები, სხვადასხვა ციხეში მყოფი სამხედრო დამნაშავეები, მსჯავრდებულნი, მსჯავრდაუდებელნი თუ გადასაგზავნი; მიდიოდნენ გამოსასწორებელი ასეულიდანაც უცნაურ დაწესებულებიდან, სადაც ბატალიონებიდან დამნაშავე და ნაკლებსაიმედო ჯარისკაცებს გამოსასწორებლად აგზავნიდნენ. ორი ან მეტი წლის შემდეგ, აქედან, ჩვეულებისამებრ, ისეთი არამზადები ბრუნდებოდნენ, როგორცაც იშვიათად შეხვდებით.

პატიმარი თავისი ავადმყოფობის შესახებ, როგორც წესი, დილაობით უნტეროფიცერს ატყობინებდა. მის სახელზე მაშინვე ანკეტას ავსებდნენ და ანკეტასთან ერთად, ბადრაგის თანხლებით, ბატალიონის ჰოსპიტალში გადაჰყავდათ. იქ ნებისმიერ პატიმარს ექიმი სინჯავდა და ნამდვილ ავადმყოფად მიიჩნევდა, ჰოსპიტალში გაწერდა.

მეც შემივსეს ანკეტა და შუადღის ორ საათზე ჰოსპიტლისკენ გავწიე. ავადმყოფ პატიმარს, ჩვეულებრივ, თან მიჰქონდა, რამდენიც შეეძლო, ფული, პური (პირველ დღეს ჰოსპიტალში საკვებს არ აძლევდნენ), ჩიბუხი და თუთუნისანი ქისა ტალკვესითურთ. ამ უკანასკნელ საგნებს ჩექმაში გულმოდგინედ მალავდა. ჰოსპიტლის ეზოში რომ შევდიოდი, ჩემ-

თვის უცნობი პატიმრული ყოფა-ცხოვრებისადმი ცნობისმოყვარეობა მკლავდა.

თბილი, მოღუშული და მოწყენილი დღე იყო ერთი იმ დღეთაგანი, როცა ჰოსპიტლის მსგავსი დაწესებულებები განსაკუთრებით საქმიან და მოჟამულ იერს იღებენ. ბადრაგთან ერთად მისაღებ ოთახში შევედით, სადაც სპილენძის ორი აბაზანა დაედგათ. იქ, ასევე ბადრაგებთან ერთად, ორი ავადმყოფი-პატიმარი იცდიდა. მოვიდა ფერშალი, ზანტი და მბრძანებლური სახით შეგვათვალა და მორიგე ექიმისკენ კიდევ უფრო ზანტად გაემართა, რათა თავისი მოსვლა ეუწყებინა. ის მალე მოვიდა; გაგვსინჯა, მეტად თბილად მოგვეპყრო და ჩვენს სახელზე შევსებული საავადმყოფო ფურცლები მოგვცა. ავადმყოფის დაბინავება, წამლების, საკვებისა და მისთ. დანიშვნა უკვე პატიმართა პალატების მეთვალყურე ექიმს ევალეობდა.

ოდესღაც, სადღაც მოვისმინე, პატიმრები თავიანთი ექიმების მიმართ ქებას არ იშურებენო. „მამას არ ინატრებთო“, მითხრეს, როცა ჰოსპიტალში მივდიოდი. ამასობაში ტანსაცმელი გამოვიცვალეთ. რითაც მოვედით ის ტანსაცმელი და თეთრეული ჩამოგვართვეს და ჰოსპიტლის სამოსი ჩავიცვით. ამას გარდა, დაგვირიგეს გრძელი წინდები, ფეხსაცმელები, ჩაჩები და მაუდის სქელი, რუხი ფერის ე.წ. დათბილული ტილოს ხალათები, რომელიც ისეთი ჭუჭყიანი იყო, ვერ აღგიწერთ.

შემდეგ გრძელ, მაღალჭერიან და სუფთა დერეფნის ბოლოსკენ, პატიმართა პალატებისკენ წავგიძღვნენ. გარეგნული სისუფთავე ყველგან დამაკმაყოფილებელი იყო, ერთი შეხედვით ყველაფერი კრიალებდა. თუმცა, შეიძლება ასე მხოლოდ ჩვენი ციხის შემდეგ მეჩვენებოდა. ორი ბრალდებული მარცხნივ წაიყვანეს, მე მარჯვნივ. რკინის ურდულით ჩარაბულ კართან შეიარაღებული გუშაგი იდგა, მის გვერდით გუშაგის თანაშემწე. ჰოსპიტლის დაცვის უმცროსმა უნტეროფიცერმა ჩემი შემება ბრძანა და უცებ გრძელ, ვიწრო ოთახში აღმოვჩნდი. გარდ-გარდმო, ორივე კედლის ჩაყოლებით, ასე ოცდაორამდე ხის მწვანედ შეღებილი საწოლი იდგა, მათ შორის სამი-ოთხი თავისუფალი იყო. ეს საწოლები, ჩვენში, რუსეთში, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ისინი

რადაც განგებით, უთუოდ ბაღლინჯოებით უნდა იყოს გამოტენილი. კუთხეში, ფანჯრის მხარეს მოვიკალათე.

როგორც უკვე ვთქვი, აქ ჩვენი განყოფილების პატიმრებიც იყვნენ. ზოგი მათგანი უკვე მიცნობდა ან უბრალოდ ნანახი ვყავდი. აქ ისინი, მეტწილად, ციხიდან და გამოსასწორებელი ასეულიდან მოხვდნენ. მძიმე ავადმყოფი, ე.ი. ლოგინად ჩავარდნილი, არც ისე ბევრი იყო. სხვები, მსუბუქად ავადმყოფნი თუ გამოჯანმრთელების პირას მყოფნი, იწვნენ ან ბოლთას სცემდნენ საწოლების ორ რიგს შუა სასეირნოდ საკმაოდ ადგილი რჩებოდა. აქ, რასაკვირველია, დახუთული, საავადმყოფოს სუნი იდგა. ჰაერი მოწამლული იყო სხვადასხვაგვარი გულისამრევი, მავნე ანაორთქლითა და წამლების სუნით, მიუხედავად იმისა, რომ კუთხეში თითქმის მთელი დღე ღუმელი ენთო.

ჩემს საწოლზე ზოლიანი პლედი გადაეფარებინათ. გადავადრე. პლედის ქვეშ უხეში ტილოთი შეკერილი მაუდის საბანი და საეჭვოდ სუფთა სქელი თეთრეული აღმოჩნდა. საწოლთან პატარა მაგიდა იდგა, რომელზეც ტოლჩა და კალის ფინჯანი იდო. ზედ ზრდილობისთვის პატარა პირსახოცი გადაეფარებინათ. მაგიდას ქვემოთ თარო ჰქონდა. იქ ინახავდნენ ჩაიდნებს ჩაისმოყვარულნი, ბურახიან კათხებს და სხვ. მაგრამ ჩაისმოყვარულნი აშკარა უმცირესობაში იყვნენ. ჩიბუხებსა და ქისას, რომლებიც თითქმის ყველას ჰქონდა, თვით ჭლექიანებსაც კი, საწოლქვეშ მალავდნენ. ექიმი თუ სხვა მედპერსონალი რატომღაც ამაზე თვალს ხუჭავდა, ხოლო თუ ვინმეს ჩიბუხით ხელში წაასწრებდნენ, მაშინვე თვალს აარიდებდნენ. თუმცა, ეს იშვიათად ხდებოდა. ავადმყოფები მუდამ ფრთხილობდნენ და მოსაწევად ღუმელთან მიდიოდნენ. საწოლებში მხოლოდ ღამით თუ გააბოლებდნენ; ღამით პალატებში თითქმის არავინ შემოდებოდა. იშვიათად ოფიცერი, ჰოსპიტლის დაცვის უფროსი თუ გამოჩნდებოდა, ეგიყო და ეგ.

საავადმყოფოში არასდროს ვწოლილვარ, ამიტომაც აქ ყველაფერი მეუცხოებოდა. შევნიშნე, რომ პატიმრებში ერთგვარი ცნობისმოყვარეობით მიყურებდნენ. ჩემზე რაღაცები უკვე იცოდნენ და სრულიად მოურიდებლად, ერთგვარი უპირატესობითაც კი მათვალთვლებდნენ,

როგორც ახალ მოსწავლეს ან რომელიმე დაწესებულებაში მისულ მთხოვნელს. ჩემგან მარჯვნივ, ერთი პატიმარი იწვა, კანცელარიის მწერალი, გადამდგარი კაპიტნის ნაბუშარი. ყალბი ფულისთვის გაესამართლებინათ და აგერ ერთი წელია იწვა, ვფიქრობ, სავსებით ჯანმრთელი, მაგრამ ექიმებს არწმუნებდა, ანევრიზმა მაწუხებსო. მიზანსაც მიადწია: კატორღა და ფიზიკური სასჯელი აიცდინა და ერთი წლის შემდეგ გადაგზავნეს ტ.-კ.-ში, რომელიღაც საავადმყოფოსთან არსებული დაწესებულების კმაცოფაზე. ეს იყო ძვალმსხვილი, ჯმუხი, დიდი გაიძვერა და კანონმცოდნე, ავადმყოფურად თავმოყვარე და თავდაჯერებული ოცდარვა წლამდე ახალგაზრდა. ის საკუთარ თავსა და სხვებს არწმუნებდა, რომ ალალმართალი და უპატიოსნესი ადამიანია დედამიწაზე; რომ ბრალი არაფერში მიუძღოდა. ეს რწმენა ბოლომდე შერჩა.

ჩემით პირველად სწორედ ეს კაცი დაინტერესდა; ცნობისმოყვარეობით აღსავსე კითხვებს მისვამდა. მან საკმაოდ დაწვრილებით მიამბო ჰოსპიტლის გარე განაწესზე. რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, ის მითხრა, რომ კაპიტნის შვილი იყო. მეტისმეტად ცდილობდა კნიაზად ან, უკიდურეს შემთხვევაში, „კეთილშობილად“ გაესაღებინა თავი.

ამის შემდეგ გამოსასწორებელი ასეულის ერთი ავადმყოფი მარწმუნებდა, ადრე გადმოსახლებულ მრავალ აზნაურს ვიცნობდიო და მათ სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებდა. ეს იყო უკვე ჭაღარა ჯარისკაცი; შუბლზე ეწერა, რომ ყველაფერს იტყუებოდა. რატომღაც ჩეკუნოვს ეძახდნენ. მელაქუცებოდა, ალბათ, ფულიანი ვეგონე. როგორც კი ჩაისა და შაქრის პაკეტები დაინახა, მაშინვე თავისი სამსახური შემომთავაზა: ჩაიდნის შოვნა თუ ჩაის ადუღება. ჩაიდანს მ.-ცკი შემპირდა, ხვალ ციხიდან გამომიგზავნიდა რომელიმე იმ პატიმრის ხელით, ჰოსპიტალში რომ ამუშავებდნენ. მაგრამ ჩეკუნოვმა ყველაფერი მოაგვარა, რაღაც თუჯის ჩაიდანი და ფინჯანი იშოვა. წყალი აადუღა და ჩაი დამიყენა. ერთი სიტყვით, არაჩვეულებრივი გულმოდგინებით მემსახურებოდა, რის გამოც ერთ-ერთმა ავადმყოფმა გესლიანად დასცინა.

ეს იყო ჩემს პირდაპირ მწოლიარე ჭლექიანი, გვარად უსტიანცევი, ბრალდებულ ჯარისკაცთაგანი. სწორედ ის, დასჯის შიშით ნამეტანი თუთუნგაზავებული ღვინო რომ დალია და აკი ჭლექიც შეეყარა. აქამდე ჩუმად იწვა და მძიმედ სუნთქავდა; დაჟინებით და სერიოზულად მაკვირდებოდა, ჩეკუნოვს კი გაგულისებული ადევნებდა თვალყურს. უჩვეულო, ღვარძლიანი სერიოზულობა მის გაბრაზებულ სახეს რაღაც კომიკურ იერს აძლევდა; ბოლოს ველარ მოითმინა: დახეთ, ყურმოჭრილ მონას! ბატონი უპოვია! ჩაილაპარაკა სვენებ-სვენებით, მიკნავლებული ხმით. ის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

ჩეკუნოვი ბრაზმორეული მიუტრიალდა.

ვინ არის მონა? თქვა და უსტიანცევს ზიზღით გადახედა.

შენ ხარ! ისეთი დამაჯერებელი კილოთი მიუგო დავრდომილმა, აქაოდა, ჩეკუნოვის დატუქსვის სრული უფლება აქვს და სწორედ ამ მიზნით მიუჩინესო.

მე ვარ მონა?

სწორედ შენ! გესმით, ხალხო, არა სჯერა! უკვირს!

მერედა, რა შენი საქმეა! მარტონი უხელფეხონი არიან. ცნობილია, მათ მსახურების გარეშე არ შეუძლიათ, ასეა მიღებული, მსახური უნდა ჰყავდეთ; რატომაც არ უნდა მოვემსახურო, შე ბანჯგვლიანო მასხარავ!

ვინ არის ბანჯგვლიანი?

შენ!

მე ვარ?

სწორედ შენ!

შენ კი კალმით დახატული მყავხარ, აი! მე თუ ბანჯგვლიანი ვარ, შენ ნაღდად ბუს მიგიგავს თავი.

ბანჯგვლიანი ხარ და ეგაა! აკი უფალს უკვე გაუწირიხარ, დაეტიე შენთვის, ისედაც მალე ჩაძაღლდები! შენგან განსხვავებით, მირჩევნია ისევ ჩექმას ვცე თაყვანი, ვიდრე ქალამანს. მამაჩემიც ასე ცხოვრობდა, არც ჩემთვის უბრძანებია... მე... მე...

უნდოდა განეგრძო, მაგრამ საშინელი ხველა აუტყდა, რამდენიმე წუთს სისხლს აფურთხებდა. მალე ვიწრო შუბლზე ცივმა, სიმწრის ოფ-

ლმა დაასხა. ხველა უშლიდა, თორემ გაუთავებლად ილაპარაკებდა, თვალეებზე ეტყობოდა, როგორ უნდოდა ლანძღვა-გინება, მაგრამ, დაოსებული, მხოლოდ ხელეებლა ასავსავებდა... ამგვარად, ბოლოს ჩეკუნოს მისი არსებობაც კი დაავიწყდა.

ვიგრძენი, ჭლექიანი უფრო ჩემზე იყო დაბოლმილი, ვიდრე ჩეკუნოვზე. მომსახურების სურვილისა და ამ გზით ორიოდ გროშის შოვნის საბაბით ჩეკუნოს არავინ შესწყრებოდა და არც არავის შეზიზღებოდა. ყველას ესმოდა, ამას მხოლოდ ფულისთვის აკეთებდა. ამ მხრივ, მდაბიოები არც ისე აზიზი ხალხია და საქმის გარჩევაც ცოცხლად იციან. უსტიანცევს კონკრეტულად მე და ჩემი ჩაი არ მოვეწონეთ და არც ის, რომ მე ბორკილებშიც კი ბატონივით გამოვიყურები, თითქოს ლაქიას გარეშე ვერ ვძლებ. არადა, სამსახური არავისთვის მითხოვია. პირიქით, ყოველთვის ვცდილობდი ყველაფერი თავად გამეკეთებინა, ყველასთვის მეგრძნობინებინა, რომ უკარება, ნებიერი არ ვიყავი და არც ბატონკაცური ცხოვრება მომწონდა. რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც დავამატებ, რომ ეს, ნაწილობრივ, ჩემი თავმოყვარეობის საკითხიც იყო.

ვერაფრით გამეგო, რატომ მიხდებოდა მუდამ ათასგვარი ლაქიებისა და მლიქვნელების გარემოცვაში ცხოვრება. ისინი თავად მეტმასნებოდნენ, დაბოლოს, მთლიანად ჩამიგდებდნენ ხოლმე ხელში და მეპატრონებოდნენ, მე კი მათი მსახური ვხდებოდი; მაგრამ, გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს მართლაც ბატონი ვიყავი, ლაქიების გარეშე ვერ ვძლებდი, ვბატონკაცობდი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მაწუხებდა.

მაგრამ ჭლექიანი უსტიანცევი ნერვებაშლილი იყო. დანარჩენი ავადმყოფები კი გულგრილ, ქედმაღლობის ერთნაირ ელფერს ინარჩუნებდნენ. მახსოვს, ყველა ერთ განსაკუთრებულ გარემოებას აღელვებინა: პატიმართა ლაპარაკიდან შევიტყვე, რომ იმ საღამოს შემოიყვანდნენ ბრალდებულს, რომელსაც ამ წუთში შპიცრუტენებით სჯიდნენ. პატიმრები ახალბედას ერთგვარი ცნობისმოყვარეობით ელოდნენ. სხვათა შორის, ამბობდნენ, სასჯელი იოლი ექნება სულ მხოლოდ ხუთასიოდღე.

ირგვლივ მიმოვიხედე. რამდენადაც შევნიშნე, ავადმყოფების უმეტესობას სურავანდი და თვალის სენი ადგილობრივი მხარის დაავადებები ჰქონდა. პალატაში ასეთი რამდენიმე კაცი იყო. სხვებს, ნამდვილ ავადმყოფებს ზოგს ციებ-ცხელება შეჰყროდა, ზოგს სხვადასხვა სატკივარი სჭირდა, ზოგიც ჭლექს ჩაეგდო ლოგინად. აქაურობა სხვა პალატებს არ ჰგავდა, ყველა დაავადება ერთად შეყრილიყო, ვენერიულიც კი.

განგებ ვახსენე ნამდვილი ავადმყოფები, რადგან რამდენიმე ისეთიც ერია, რომლებიც აქ ყოველგვარი ავადმყოფობის გარეშე, „დასასვენებლად“ მოსულიყვნენ. თანაგრძნობით განმსჭვალული ექიმები, ხალისით თანხმდებოდნენ ამაზე, მით უმეტეს, თუ ცარიელი საწოლები ბლომად ეგულებოდათ.

ჰოსპიტალთან შედარებით ციხის პირობები იმდენად საშინელი იყო, რომ ბევრი პატიმარი, დახუთული ჰაერისა და ჩაკეტილი პალატის მიუხედავად, აქ სიამოვნებით მოდიოდა. დაწოლისა და საერთოდ ჰოსპიტლის ყოფა-ცხოვრების მოყვარულნიც კი იყვნენ უმეტესწილად, გამოსასწორებელი ასეულიდან.

ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი ჩემს ახალ ამხანაგებს, მაგრამ მახსოვს, განსაკუთრებულად ერთმა დამაინტერესეს, მომაკვდავმა, ჭლექიანმა ავადმყოფმა. უსტიანცევისგან ერთი საწოლის შემდეგ, თითქმის ჩემ პირდაპირ იწვა, გვარად მიხაილოვი იყო. ორი კვირის წინ საპყრობილეში შემხვდა. კარგა ხანია ავადმყოფობდა. სამკურნალოდ დიდი ხნის წინ უნდა მოსულიყო, მაგრამ ჯიუტობდა, ითმენდა, აქაოდა, რა მაგარი ვინმე ვარო. მხოლოდ დასვენების დღეებში იკადრა ჰოსპიტალში მოსვლა და სამ კვირაში საშინელი ჭლექისგან გათავდა, თითქოს დაიფერფლა... მისმა ერთბაშად შეცვლილმა სახემ გამაკვირვა. როცა ციხეზე გადამიყვანეს, ეს სახე ერთ-ერთი პირველი შევნიშნე. მაშინვე თვალში მომხვდა. გვერდით ერთი გამოსასწორებელი ჯარისკაცი ეწვა, უკვე მოხუცებული, საშინელი და საძაგლად უსუფთაო ადამიანი... თუმცა ყველა ავადმყოფს ხომ არ ჩამოვთვლი... ახლა მხოლოდ იმიტომ ვახსენე, მანაც ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე წამ-

ში პატიმართა პალატის ზოგიერთ თავისებურებაზე საკმაოდ სრული წარმოდგენა შემიქმნა. ამ ბერიკაცს, მახსოვს, საშინელი სურდო სჭირდა. სულ ცხვირს აცემინებდა, მთელი კვირა ძილშიც კი, სულმოუთქმელად, ზედიზედ ხუთ-ექვსჯერ. ყოველი დაცემინებისას გულმოდგინედ დააყოლებდა: „ღმერთო, რა შეგცოდენ!“ იმ მომენტში ლეიბზე ჯდებოდა, ქალაქში გახვეულ თუთუნს იღებდა და ხარბად იტენიდა ცხვირში, რათა უფრო ხშირად და მაგრად დაეცემინებინა. განარეცხ და მთლად გაცრეცილ ბამბის ზოლიან ცხვირსახოცში ასჯერ მაინც აცემინებდა. განსაკუთრებულად ემანჭებოდა პატარა ცხვირი, რომელზეც უამრავი წვრილ-წვრილი ნაოჭი უჩნდებოდა. პირიდან დორბლიან-დაწითლებულ ღრძილებთან ერთად, ბებრული, ჩაშავებული კბილები მოუჩანდა. დააცემინებდა თუ არა, მაშინვე ცხვირსახოცს გაშლიდა. გულდასმით გასინჯავდა მასზე უხვად დაგროვილ სითხეს და დაუყოვნებლივ დაახოცავდა რუხ ჰოსპიტლის ხალათს, ისე, რომ მთელ ცინგლს ხალათზე ტოვებდა.

ასე იქცეოდა მთელი კვირა. საკუთარი ცხვირსახოცის მოფრთხილება სახაზინო ხალათის საზიანოდ, ავადმყოფებში რაიმე პროტესტს სულაც არ იწვევდა; მიუხედავად იმისა, რომ ამ ხალათის ჩაცმა რომელიმე მათგანს მოუწევდა. მაგრამ, ჩვენს უბრალო ხალხს არ ეზიზღება ბევრი რამ ასეთი საკვირველებაც კი.

მე უბედურს კი, იმწამს კინალამ გული ამერია და უნებურად ახლად ჩაცმული ხალათი მაშინვე ზიზღით შევათვალიერე. ეხლალა მივხვდი, რომ თავისი მძაფრი სუნით უკვე დიდი ხანია ჩემს ყურადღებას იქცევდა; ტანზე კარგად შემომთბოდა და სულ უფრო ძლიერ ჰყარდა წამლების, სალბუნებისა და, როგორც მომეჩვენა, რაღაც ჩირქისგან, რაც გასაკვირი არცაა, რადგან ავადმყოფთა მხრებს უხსოვარი დროიდან არ მოშორებია. შესაძლოა ტილოს საზურგე სარჩული ოდესღაც გარეცხეს, თუმცა, ესეც საკითხავია. სამაგიეროდ, ამჟამად, სარჩული ყოველგვარი არასასიამოვნო სითხით იყო გაჟღენთილი. გარდა ამისა, პატიმართა პალატებში ძალიან ხშირად მოჰყავდათ შპიცრუტენებით ახლადდასჯილნი, ზურგდასისხლიანებულნი; მათ სველი საფენებით მკურნა-

ლობდნენ და ამიტომ ხალათი, რომელსაც პირდაპირ აცმევდნენ, შეუძლებელი იყო არ გაფუჭებულიყო ყველაფერი ზედ რჩებოდა.

ჩემი პატიმრობის პერიოდში, როგორც კი ჰოსპიტალში მოვხვდებოდი (არადა, ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა), ხალათს ყოველთვის შიშითა და უნდობლობით ვიცვამდი. მით უმეტეს, არ მსიამოვნებდა ისიც, რომ ამ ხალათებში ხანდახან მსხვილ და საოცრად მსუქან ტილებს წავაწყდებოდი ხოლმე. პატიმრები მათ სიამოვნებით სჯიდნენ; ამგვარად, როცა პატიმრის სქელ და ჭუჭყიან ფრჩხილქვეშ დასჯილი ნადირი გაიტკაცუნებდა, მიღებული კმაყოფილების ხარისხზე მონადირის სახის მიხედვითაც შეგეძლოთ გემსჯელათ. ჩვენთან ბალღინჯოებსაც ვერ იტანდნენ; ზოგჯერ, ზამთრის გრძელ, მოსაწყენ საღამოს მთელი პალატა მათ გასაჟღეტად აიშლებოდა ხოლმე. თუმცა პალატაში, მძიმე ჰაერის გარდა, გარეგნულად ყველაფერი, შეძლებისდაგვარად, სუფთად გამოიყურებოდა, ამიტომ შინაგანი, ასე ვთქვათ, სარჩულქვეშა სისუფთავე არავის ადარდებდა. ავადმყოფები ამას ეგუებოდნენ; ის კი არა, ფიქრობდნენ: ალბათ, ასეა საჭიროო; მერედა თვით შინაგანაწესიც ნაკლებ გაქებებდათ განსაკუთრებული სისუფთავისთვის, მაგრამ ამაზე შემდეგ...

ის-ის იყო ჩეკუნოვმა ჩაი მომიტანა (სხვათა შორის, ჩაი დააყენა პალატის წყლისგან, რომელიც ერთი დღე-ღამის სამყოფი წინასწარ მოჭქონდათ და იქაურ ჰაერზე სწრაფად ფუჭდებოდა), კარი ხმაურით გაიღო და გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით შპიცრუტენებით ახლახან ნაწამები ჯარისკაცი შემოიყვანეს. ამგვარად დასჯილს პირველად ვხედავდი, თუმცა მერე შევეჩვიე, რადგან დასახიჩრებულები ხშირად მოჰყავდათ, ზოგჯერ კი მოჭქონდათ. ავადმყოფებს ეს ამბავი ყოველთვის ძალიან ართობდათ. ასეთებს ჩვენთან, ჩვეულებრივ, ერთობ მკაცრი სახით, რაღაც ერთგვარი ნაძალადევი სერიოზულობითაც კი ხვდებოდნენ. ზოგადად, მიღება, ნაწილობრივ, დამოკიდებული იყო დანაშაულის სიმძიმესა და, მაშასადამე, შპიცრუტენების რაოდენობაზე; პატიმარი რაც უფრო მძიმე დამნაშავე იყო, მით მეტი პატივისცემითა და ყურადღებით სარგებლობდა, ვიდრე, ვთქვათ, რომელიმე დე-

ბერტირი რეკრუტი, როგორც ეს ახლადმოყვანილი ჯარისკაცი იყო. მაგრამ არც პირველ, არც მეორე შემთხვევაში არანაირ შენიშვნებს, არავითარ თანაგრძობას არ გამოხატავდნენ, უხმოდ ეშველებოდნენ და უვლიდნენ უბედურს, მითუმეტეს, თუ ეს უთუოდ სჭირდებოდა.

ყველა ფერშალმა იცოდა, რომ ნაცემი მარჯვე და გამოცდილი ხელებისთვის უნდა ჩაებარებინა. დახმარება, ჩვეულებრივ, იმაში გამოიხატებოდა, რომ ხშირხშირად უცვლიდნენ ცივ წყალში დასველებულ ბეწარსა თუ პერანგს, რომელსაც ნაიარევ ზურგზე ადებდნენ. ბუნებრივია, ცემისგან დასუსტებული პატიმარი თავს ვერ მიხედავდა; მით უმეტეს, ვერ ამოიძრობდა ხიჭვებს, ზურგზე გადატეხილი ჯოხებიდან ხშირად რომ რჩებოდა. ეს ოპერაცია, ჩვეულებრივ, ავადმყოფს არ სიამოვნებს.

თუმცა დასჯილები ისეთ ტკივილებს უძლებდნენ, რომ მუდამ მიკვირდა. ასეთი ბევრი მინახავს! ზოგი მეტისმეტად, სიკვდილის პირამდე იყო ნაცემი, მაგრამ თითქმის არავინ კვნესოდა! მხოლოდ სახე ეცვლებოდათ, უფითრდებოდათ: თვალებზეწამონთებულნი, მზერადაფანტულნი, ათრთოლებულ ტუჩებს განზრახ იკვნეტდნენ, საიდანაც სისხლი მოსდიოდათ.

ახლადმოყვანილი დაკუნთული, ლამაზი პირისახის, ახოვანი და შავგვრემანი ჯარისკაცი ასე ოცდასამი წლის იქნებოდა. სხვათა შორის, გვარიანად გაეჯობათ. თავიდან წელამდე შიშველს, მხრებზე სველი ბეწარი მოესხა, რის გამოც ციებიანივით კანკალებდა. ის პალატაში საათნახევარი ბოლოთას სცემდა. სახებზე ვაკვირდებოდი; ამ წუთში თითქოს არაფერზე ფიქრობდა; უცნაური და ველური მზერა ჰქონდა, დაბნეული ჩანდა; ერთ საგანზე ყურადღების შეჩერება უჭირდა. მომეჩვენა, რომ ჩემს ჩაის დაჟინებით მიაშტერდა. ჩაი ცხელი იყო; ფინჯანს ოხშივარი ასდიოდა, საცოდავი ჯარისკაცი კი კანკალებდა, კბილებს აკაწკაწებდა. დალიეთ-მეთქი, შევთავაზებ. უხმოდ და უცებ შემობრუნდა. ფინჯანი აიღო და ფეხზე მდგარმა დაუშაქრავად გამოსცალა. ამასთან, ძალიან ჩქარობდა და თითქოს თავს ძალას ატანდა ჩემთვის არ შემოეხედა. ფინჯანი დადგა და მადლობაც არ უთქვამს, ისე განაგრძო პალატაში

წინ და უკან სიარული. ჩვენში დარჩეს და სად ჰქონდა ლაპარაკის ან მადლობის თავი?! რაც შეეხება პატიმრებს, დასჯილ რეკრუტთან საუბარს თავდაპირველად რატომღაც ყველა გაუბოდა; არადა, ჯერ დაეხმარნენ და მერე თითქოს თავს აიძულებდნენ, ყურადღება არ მიექციათ; შესაძლოა, იმიტომ, რომ დასვენების საშუალება მიეცათ და ზედმეტი კითხვებითა და „თანაგრძნობით“ არ გაელიზიანებინათ. მომეჩვენა, რომ ამით ის კმაყოფილი იყო.

ამასობაში შებინდდა. ღამის სანათი აანთეს. რამდენიმე პატიმარს საკუთარი შანდალიც აღმოაჩნდა. ექიმის ბოლო, საღამოს ჩამოვლის შემდეგ, დაცვის უნტეროფიცერი შემოვიდა, ავადმყოფები დათვალა და პალატა ჩაკეტა. მანამდე კი ღამის გოვზა შემოიტანეს... გამიკვირდა, როცა მითხრეს, გოვზს პალატაში მთელი ღამით დატოვებენო; არადა, ტუალეტი დერეფანში, კარიდან ორ ნაბიჯზე იყო! მაგრამ ამას მოითხოვდა შინაგანაწესი! დღისით პატიმარს პალატიდან ორიოდე წუთით გასვლის უფლება ჰქონდა, ღამით კი ნურას უკაცრავად! პატიმართა პალატები სხვებს არ ჰგავდა. ავადმყოფი პატიმარი ავადმყოფობაშიც სასჯელს იხდიდა. არ ვიცი პირველად ვინ შემოიღო ეს წესი, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, რომ ამაში არანაირი ლოგიკა არ იყო და დედამიწაზე ამგვარ ფორმალიზმს ვერსად წააწყდებით. რა თქმა უნდა, ამას ექიმებს ვერ დავაბრალებთ. ვიმეორებ, პატიმრები სიტყვებს ვერ პოულობდნენ მათ საქებრად, მშობელივით უყვარდათ, პატივს სცემდნენ, რადგან მათგან მუდამ სიტბოს გრძნობდნენ. ყველასგან დავიწყებული პატიმარი კი ამას აფასებდა, რადგან მათი კეთილი სიტყვისა თუ სიტბოს უკან გულწრფელობას კითხულობდა.

ვინ მოსთხოვდა ექიმებს პასუხს, თუ სხვაგვარად, ე.ი. უფრო უხეშად და არაადამიანურად მოექცეოდნენ პატიმრებს: მაშასადამე, ნამდვილი კაცთმოყვარეობა ამოძრავებდათ და, რა თქმა უნდა, მშვენივრად ესმოდათ, რომ ავადმყოფს, ვინც უნდა იყოს ის, პატიმარი თუ არაპატიმარი, უბრალო თუ დიდმოხელე, ჩინოსანი თუ უჩინო სუფთა ჰაერი სჭირდება.

სხვა პალატების უკვე მომჯობინებულ ავადმყოფებს შეეძლოთ, მაგალითად, თავისუფლად ევლოთ დერეფნებში, შეესრულებინათ ექიმის დანიშნული ხანგრძლივი მოციონი, შედარებით სუფთა ჰაერით ესუნთქათ. ჩვენ კი პალატის მოწამლულ, აყროლებულ ჰაერს ვიყნოსავდით.

შემზარავი და გულისამრევია იმის წარმოდგენა, როცა ღამით გოგზა შემოჰქონდათ; როგორ წაიბილწებოდა ისედაც მოწამლული ჰაერი, პალატის თბილ ტემპერატურაზე, ან რა მოუვიდოდა ისეთ მძიმე ავადმყოფებს, რომლებიც დღისითაც ვერ გადიოდნენ დერეფანში?! ახლახანს ვამბობდი, პატიმარი ავადმყოფობაშიც სასჯელს იხდის-მეთქი; ცხადია, არ მიფიქრია და არც ვფიქრობ, ამგვარიგანაწესი მხოლოდ და მხოლოდ დასჯის მიზნით შემოეღოთ. თქმა არ უნდა, ეს, ჩემი მხრიდან, უაზრო ცილისწამება იქნებოდა. ავადმყოფს რაღა დასჯა უნდა?! ხოლო თუ ასეა, თავისთავად საგულისხმოა, კონკრეტულად რამ აიძულა ციხის უფროსობა ასეთი საშინელი ზომისთვის მიემართათ. მაგრამ, გულდასაწყვეტი სწორედ ისაა, რომ ამ ფაქტის, ისევე, როგორც სხვა მრავალი ღონისძიების არამცთუ ახსნა, მიახლოებითი მიხვედრაც კი შეუძლებელია.

კითხვაზე თუ რაში დასჭირდათ ეს გაუგებარი სიმკაცრე? უფროსობა გი პასუხებთ: პატიმარი განზრახ მოიგონებს ავადმყოფობას, ჰოსპიტალში დაწვება, ექიმებს მოატყუებს, ღამით ტუალეტში გავა, სიბნელით ისარგებლებს და გაიქცევა! მაგრამ, ამ აბდაუბდას ხომ სერიოზული მტკიცებულება სჭირდება! სად გაიქცევა? როგორ გაიქცევა? თანაც ციხის ტანსაცმლით! დღისით თითო-თითოს უშვებენ კარში, ღამითაც შეეძლოთ ასე მოქცეულიყვნენ. კართან შეიარაღებული გუშაგი დგას. ტუალეტი ამ გუშაგისგან ორ ნაბიჯზეა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მეორე გუშაგი აცილებს ტუალეტამდე და წამითაც არ აშორებს თვალს. ტუალეტში მხოლოდ ერთი ორმაგი პატარა სარკმელია და გარედან და შიგნიდან რკინის გისოსებით. ეზოში კი, პატიმართა პალატების ფანჯრებთან, ასევე მთელი ღამე გუშაგები დაბაკუნობენ. პალატის სარკმლიდან რომ გადაძვრე, ჩარჩო და გისოსი უნდა დაამტვრიო. ვინ მოგ-

ცემს ამდენ დროს? დავუშვათ, რომ გუშაგის თანაშემწე ჩუმად მოკლეს. მაგრამ სარკმელი და გისოსი ხომ უნდა გამოამტვრიონ? არ დაგავიწყდეთ, რომ ერთი პალატის გუშაგიდან ათიოდენ ნაბიჯზე პატიმართა მეორე პალატასთან, ისევ თოფიანი გუშაგი დგას, რომელსაც თანაშემწე გვერდს უშშვენებს და ქვემოთ დაცვის სხვა მოხელენიც ბლომად არიან. სხვა რომ არა იყოს რა, წინდებში, წალბებში, საავადმყოფოს ხალათსა და ჩაჩში გამოწყობილი, ზამთარში როგორ გაიქცევი? თუ საფრთხე ასე უმნიშვნელოა (პრაქტიკულად, არავითარი საფრთხე არ არსებობს), მაშინ, რატომ არიან პატიმარი ავადმყოფები ამგვარ გაუსაძლის პირობებში? თანაც, ადვილი შესაძლებელია, მათი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებსა და წუთებში; მათ ხომ სუფთა ჰაერი ჯანმრთელებზე მეტად სჭირდებათ? ამის გაგება არ შემეძლო...

მაგრამ, რაკი ერთხელ წამომცდა: რა საჭიროა-მეთქი და რაკი სიტყვამაც მოიტანა, აქვე გავიხსენებ კიდევ ერთ უცნაურ ფაქტს, რომელიც დიდხანს მეჩხირებოდა თვალში და რომელზეც, ასევე, ვერაფრით მოვახერხე პასუხის გაცემა: ბორკილებს ვგულისხმობ, რომელსაც არც ერთ პატიმარს, რაც უნდა მძიმე ავადმყოფი ყოფილიყო, არ ხსნიდნენ. ჩემ თვალწინ არაერთი ჭლექიანი კვდებოდა ბორკილებში. ამ ამბავს რატომღაც ყველა ეგუებოდა. აუცილებელ გარემოებად მიაჩნდათ. ეტყობა, არც დაფიქრებულან ამაზე; ამდენი წლის მანძილზე ექიმებსაც კი არ მოსვლიათ აზრად, უფროსობასთან თუნდაც ერთხელ ეშუამდგომლათ მძიმე ავადმყოფისა თუ ჭლექიანისთვის ბორკილების ახსნის თაობაზე; ვთქვათ, ბორკილი თავისთავად რაიმე სიმძიმეს არ წარმოადგენს ჩვეულებრივ, რვიდან თორმეტ გირვანქამდე იწონის. ათი გირვანქის ტარება ჯანმრთელ ადამიანს არ გაუჭირდება. თუმცა, არაერთს უთქვამს ჩემთვის, რომ ბორკილების მოხსნიდან რამდენიმე წლის შემდეგ ფეხები თითქოს ხმობას იწყებსო. ეს რამდენად მართალია, არ ვიცი, მაგრამ რაღაც სიმართლის მარცვალი ამაში ნამდვილად იქნება. მცირე, თუნდაც ათიოდე გირვანქიანი, მუდმივად ფეხზე გამობმული ბორკილი, ბუნებრივია, დროთა განმავლობაში ორგანიზმზე მავნე ზემოქმედებას მოახდენს.

შეიძლება ჯანმრთელი ადამიანი ამას არაფრად აგდებს. მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით ავადმყოფზე მით უმეტეს, მძიმე ავადმყოფსა და ჭლექიანზე. მათ ისედაც უხმებათ ხელ-ფეხი და ჩალის ღერო რომ ჩალის ღეროა, ისიც კი ემძიმებათ. ღმერთმანი, სამედიცინო უფროსობას მხოლოდ ჭლექიანებისთვის რომ გამოეთხოვა შეღავათი, ესეც უდიდესი, ჭეშმარიტი სიკეთე იქნებოდა. ვინმე შემედავება: პატიმარი ბოროტ-მოქმედია და სიკეთის ღირსი არ არისო!

მაგრამ, გაუგებარია, რატომ ვუმატებთ სასჯელს იმას, რომელიც ისედაც განწირულია? განა დასაჯერებელია, რომ ეს დასჯის მიზნით ხდება? ჭლექიანს ფიზიკური დასჯისგან სამართალიც ათავისუფლებს. მაშასადამე, აქ ისევ და ისევ რაღაც მნიშვნელოვანი, სიფრთხილის მოყვარულთათვის იდუმალი ამრი იმალება, რომლის დაკონკრეტებაც შეუძლებელია. ჭლექიანი გაიქცევა? ვის მოუვა ეგ ამრად, მით უმეტეს, ავადმყოფობის ბოლო სტადიაში? ხოლო ჭლექიანად თავის მოჩვენება და გაქცევის მიზნით ექიმების მოტყუება შეუძლებელია. სპეციფიკური ავადმყოფობაა, ერთი შეხედვითვე ჩანს.

ესეც სათქმელია: ნუთუ ადამიანს მხოლოდ იმიტომ ადებენ ბორკილს, რომ ვერ გაიქცეს ან გაქცევაში შეუშალოს? სრულიადაც არა. ბორკილის უნდა შეგრცხვეს, მან უნდა შეგაწუხოს, ანუ ფიზიკურად და ბნეობრივად უნდა იტანჯო; ყოველ შემთხვევაში, აქ ეს იგულისხმება. გაქცევაში კი ვერავის შეუშლის ხელს. მას ყველაზე გამოუცდელი, ყველაზე მოუხერხებელი პატიმარიც კი უპრობლემოდ გაქლიბავს ან ქვით წაიდრობს; სიფრთხილის დაცვის თვალსაზრისით ფეხის ბორკილი სრულიად უმაქნისია. თუ ეს ასეა, თუ მხოლოდ დასასჯელად ადებენ ბორკილს მსჯავრდადებულს, კვლავ გეკითხებით: რაღა დასჯა სჭირდება მომაკვდავს?

ნათლად მახსენდება ერთი მომაკვდავი ჭლექიანი, სწორედ ის მიხაილოვი, რომელიც თითქმის ჩემ პირდაპირ, უსტიანცევის მეზობლად იწვა, და როგორც მახსოვს, პალატაში ჩემი მისვლიდან მეოთხე დღეს მოკვდა. შესაძლოა, ჭლექიანებზე ახლა იმიტომაც ავლაპარაკდი, რომ

უნებურადიმ აზრებისა და შთაბეჭდილებების ქვეშ მოვექეცი, მისი სიკვდილისას რომ დამეუფლა.

სხვათა შორის, მიხაილოვს ნაკლებად ვიცნობდი. ეს იყო ახალგაზრდა ყმაწვილკაცი, არა უმეტეს ოცდახუთი წლისა. მაღალ-მაღალი, თხელ-თხელი, მეტად კეთილი სახე ჰქონდა. განსაკუთრებული დანაშაულის განყოფილებაში ჰყავდათ, უცნაურობამდე უენო იყო. მუდამ ჩუმი, გამოუთქმელი სევდით შეპყრობილი. საპყრობილეში თითქოს „ილეოდა“. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ მასზე პატიმრები, რომლებსაც მან კეთილი მოგონება დაუტოვა. მხოლოდ მისი მშვენიერი თვალები მახსებდება და, ღმერთმანი, არ ვიცი, ასე ცოცხლად რატომ მიდგას თვალწინ! დაახლოებით ნაშუადღევს სამ საათზე მიიცვალა.... გარეთ ყინვა იყო, მაგრამ მზის მძლავრი, ალმაცერი სხივები იჭრებოდა ჩვენი ფანჯრების მწვანე, ოდნავ შეჭირხლულ მინებში და იმ უბედურს უხვ ნაკადად ეღვრებოდა. ცნობაწართმეული დიდხანს წვალობდა... დილიდანვე ბინდი გადაეკრა, თავზემდგომთაგან ველარავის სცნობდა. უნდოდათ, როგორმე შეემსუბუქებინათ მისი მდგომარეობა; ხედავდნენ, როგორ უჭირდა, მძიმედ სუნთქავდა, ღრმად ხრიალებდა... მკერდი მაღლა აუდიოდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. ჯერ საბანი და ტანსაცმელი მოიშორა, ბოლოს კი პერანგს იგლეჯდა. ეს საქმე ემძიმებოდა. მიეხმარნენ, პერანგი გახადეს. შემზარავი იყო ამ გრძელი სხეულის ყურება: ხელ-ფეხი გაძვალტაყავებული, მუცელი ჩავარდნილი, მკერდი ამობურცული, ნეკნები ჩონჩხივით სათითაოდ მოუჩანდა. ტანზე შერჩა ხის ჯვარი და ბორკილი, რომლისგანაც ახლა, ალბათ, გამხმარი ფეხის გათავისუფლება აღარ გაუჭირდებოდა. სიკვდილამდე ნახევარი საათით ადრე, ყველა მიჩუმდა. ვინც დადიოდა ცდილობდა არ ეხმაურა. ერთმანეთს აუცილებლობისას ჩურჩულით თუ დაელეპარაკებოდნენ. ხანდახან გახედავდნენ ავადმყოფს, რომელიც სულ უფრო მეტად ხრიალებდა. ბოლოს, უძლური ხელის ცეცებით მკერდზე ჯვარი მოისინჯა და ახლა იმის გლეჯას მოჰყვა, თითქოს ისიც ამძიმებს, აწუხებს, გულისფიცარს უნგრევსო. ჯვარიც მოხსნეს.

ათიოდე წუთში სული განუტევა, კარზე გუშაგს მიუბრახუნეს, სათქმელი უთხრეს... დარაჯი შემოვიდა, ცხედარს უაზროდ დახედა და ფერშალთან გაემართა. მალე მხნე და კეთილი, საკმაოდ მომხიბლავი ფერშალიც გამოჩნდა; აშკარად ეტყობოდა, თავის გარეგნობაზე ზედმეტადაც ზრუნავდა; მიყუჩებული პალატა სწრაფად, ხმაურით გაიარა, მიცვალებულთან მივიდა და დაუდევრად, ამ შემთხვევისთვის თითქოს განზრახ მოგონილი იერით, მაჯაზე დასწვდა, პულსი გაუსინჯა, ხელი ჩაიქნია და გავიდა. მაშინვე გაგზავნეს კაცი ყარაულთან; მიცვალებული განსაკუთრებული დამნაშავე იყო; მის მკვდრად ცნობასაც საგანგებო ცერემონიალი სჭირდებოდა. დაცვის მოლოდინში ერთ-ერთმა პატიმარმა ხმადაბლა შენიშნა, ურიგო არ იქნება მიცვალებულს თვალებს თუ დაეუხუჭავთო. მეორემ ყურადღებით მოუსმინა, ჩუმად მივიდა ცხედართან და თვალები დაუხუჭა; იქვე, სასთუმალზე ჯვარი დაინახა, ხელში აიღო, შეათვალიერა. ისევ მიხაილოვს დაჰკვიდა კისერზე და პირჯვარი გადაიწერა.

მიცვალებული თანდათან შეშდებოდა; ზედ სინათლის სხივი დასთამაშებდა; პირი ნახევრად ღია დარჩენოდა; ღრძილებზე მიკრული თხელი ტუჩებიდან ახალგაზრდული, ჯანმრთელი კბილების ორი წყება უელავდა. როგორც იქნა, გამოჩნდა ხანჯალ-ჩაჩქნიანი დაცვის უნტეროფიცერი. ორი მცველიც უკან მოჰყვებოდა. რაც უფრო გვიახლოვდებოდა, ნაბიჯებს მით უფრო ანელებდა; დადუმებულ პატიმრებს აკვირდებოდა, აქეთ-იქიდან კუშტად რომ მისჩერებოდნენ. მიცვალებულს ერთ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, გაქვავდა, თითქოს დედიშობილა, გაფშეკილმა, ბორკილის ამარა დარჩენილმა გვამმა დააფრთხო. უეცრად საყელო შეიხსნა. მოიხადა ჩაჩქანიც, რაც აქ არაფერში სჭირდებოდა, და ლალად გადაიწერა პირჯვარი. მკაცრი, ჭალარა, ბევრისმნახველი სახე ჰქონდა. მახსოვს, სწორედ ამ დროს აქვე იდგა ჩეკუნოვი, ჭალარა ბერიკაცი და ჩუმ, დაჟინებულ მზერას არ აშორებდა უნტეროფიცერს, უცნაური ყურადღებით აკვირდებოდა მის თითოეულ ჟესტს. როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ჩეკუნოვს რატომღაც ქვედა ბაგე აუთამაშდა,

მერე სახე უცნაურად დაემანჭა და სწრაფად, თითქოს ეს-ესაა გვამი დაინახაო, ჩაილაპარაკა: ამასაც ხომ ჰყავდა დედა! და გაეცალა.

მასსოვს, ამ სიტყვებმა თითქოს გულში ხანჯალი გამიყარა... რამ ათქმევინა ეს? ან როგორ მოიფიქრა? გვამი ასწიეს; თივა ატკაცუნდა, საერთო სიჩუმეში იატაკზე ბორკილმა გაიჩხარუნა... ცხედარი გაიტანეს. უცებ ყველა აყაყანდა. გავიგონეთ, დერეფანში გასულმა უნტეროფიცერმა ვიღაც მჭედლის მოსაყვანად გაგზავნა, რათა მიცვალებულისთვის ბორკილი მოეხსნა...

მაგრამ, თემას გადავუხვიე...

2.2. გაგრძელება

ექიმები პალატებს დილაობით ჩამოუვლიდნენ ხოლმე, თერთმეტი საათისთვის ყველა ერთად მოდიოდა. წინ მთავარი ექიმი მოუძლოდათ. მანამდე კი, ასე საათნახევრით ადრე, ჩვენი ორდინატორი დაგვხედავდა. იმხანად ორდინატორად გვყავდა ერთი პირტიტველა ჭაბუკი, საქმისმცოდნე, ალერსიანი, სალმიანი. პატიმრებს ის ძალიან უყვარდათ. მხოლოდ ერთ ნაკვს ამჩნევდნენ: მეტისმეტად წყნარიყო, და მართლაც, იშვიათად ლაპარაკობდა, თითქოს ჩვენთან მორცხვობდა კიდევ, ლამის წითლდებოდა, ავადმყოფებს თითქმის პირველი თხოვნისთანავე უცვლიდა ულუფას. მზად იყო, წამლებიც კი მათი თხოვნისამებრ დაენიშნა. თუმცა, კარგი ახალგაზრდა იყო.

უნდა ითქვას, რუსეთში მრავალი ექიმი სარგებლობს უბრალო ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით, და ეს, ჩემი დაკვირვებით, სრული სიმართლეა. ვიცი, ეს აზრი ბევრს პარადოქსულად მოეჩვენება, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ მედიცინისა და უცხოური წამლებისადმი უბრალო რუსების საერთო უნდობლობას. ასეა, მდაბიო, რაც უნდა მძიმე სენი სჭირდეს, წლობით მიმართავს ვინმე ექიმბაშ ქალს ან შინაურულს, ხალხური წამლებით იმკურნალებს (რომელთა უგულვებელყოფა სავსებით უმართებულოა) და არ წავა ექიმთან, მით უმეტეს, არ დაწვება ჰოსპიტალში.

გარდა იმისა, რომ აქ გასათვალისწინებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს მედიცინასთან, სახელობრ, მდაბიო ხალხის საყოველთაო უნდობლობა ფორმალისმის, ადმინისტრაციისადმი: ხალხს ჰოსპიტლის ეშინია, რადგან ბევრი საშინელი ამბავი სმენია მასზე; ზოგჯერ უაზროც, თუმცა, ხანდახან არცთუ უსაფუძვლო. რაც მთავარია, ხალხს აშინებს ჰოსპიტლის გერმანული შინაგანაწესი, მკურნალობის პერიოდში უცხო ადამიანების გარემოცვა, კვების მკაცრი რეჟიმი, გავრცელებული ხმები ფერშლებისა და ექიმების შეუვალ სიმკაცრეზე, გვამების გაკვეთასა და გამოშიგვნაზე და სხვ. ამასთან, ფიქრობს უბრალო ხალხი, ბატონებმა უნ-

და გვიმკურნალონო... რადგან მკურნალები მაინც ბატონები არიანო. მაგრამ ექიმების ახლოს გაცნობისას (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ყველა ეს შიში ძალიან მალე ბათილდება, რაც, ჩემი აზრით, ჩვენი ექიმების, უპირატესად ახალგაზრდების აშკარა დამსახურებაა. მათი უმეტესობა მდაბიო ხალხის პატივისცემისა და სიყვარულის მოპოვებას ახერხებს. ყოველ შემთხვევაში, მე ვწერ იმაზე, რაც არა ერთხელ თავად მინახავს და განმიცდია. თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგან ქრთამსაც იღებენ, საავადმყოფოებში ხელს ითბობენ, თითქმის არაფრად აგდებენ ავადმყოფებს და მედიცინასაც ივიწყებენ. ასეთი რამ ჯერ კიდევ ხდება; მაგრამ, მე მხედველობაში მაქვს უმრავლესობა, უკეთ რომ ვთქვათ, ის სულისკვეთება, მიმართულება, რაც მედიცინაში დღესდღეობით მკვიდრდება.

საქმის მოღალატეებმა, ცხვრის ფარაში გარეულმა მგლებმა, როგორადაც უნდა იმართლონ თავი, მუდამ დამნაშავენი იქნებიან, მით უმეტეს, თუ ყველაფერთან ერთად კაცთმოყვარეობაც აკლიათ. ხოლო კაცთმოყვარეობა, ალერსიანობა, თანაგრძნობა ავადმყოფისადმი, ზოგჯერ ყოველგვარ წამალზე უკეთ მოქმედებს. დროა, თავი დავანებოთ აპათიურ წუწუნს გარემოებამ გვაიძულაო. დავუშვათ, ეს მართალია, ჩვენში გარემო მრავალ რამეს ხრჩნის, მაგრამ ხშირად ზოგიერთი ეშმაკი და საქმეში ჩახედული გაიძვერა გარემოს დადანაშაულებით მოხერხებულად ფარავს და ამართლებს არა მარტო თავის სისუსტეს, არამედ არამზადებსაც და ეს კიდევ უფრო უკეთ გამოუვა, თუ ლამაზად წერა ან ლაპარაკი ეხერხება. ისევ ავცდი თემას. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, მდაბიო ხალხი უფრო სამედიცინო ადმინისტრაციის მიმართაა მტრულად და უნდობლად განწყობილი და არა ექიმებისადმი. ხალხი ნელ-ნელა ახლოს, საქმით გაეცნობა ექიმებს და მათი კეთილსინდისიერება საკუთარ ცრურწმენას დაავიწყებს; თუმცა, დღესდღეობით ჩვენი საავადმყოფოები ჯერაც არ შეესაბამება ხალხის სულს და შინაგანაწესით ჩვენებური მდაბიო ხალხის ჩვეულებებს ეწინააღმდეგება, რაც ნდობისა და პატივისცემის მოპოვებაში დიდ დაბრკოლებას წარ-

მოადგენს. ყოველ შემთხვევაში, ასე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ვფიქრობ.

ჩვენი ორდინატორი, ჩვეულებრივ, თითოეულ ავადმყოფთან ჩერდებოდა, სერიოზულად და ყურადღებით სინჯავდა, ეკითხებოდა. წამლებსა და კვებას უნიშნავდა. ზოგზე იტყოდა, ამას არაფერი სჭირსო; მაგრამ, რადგან პატიმარი აქ დასასვენებლად, ან მძიმე სამუშაოსგან თავდასალწევად, ან შიშველი ფიცრების ნაცვლად, ლეიბზე წამოსაწოლად მოდიოდა; დაბოლოს, იმიტომ, რომ თბილ ოთახს ამჯობინებდნენ ნესტიან ვიწრო საკანს, სადაც ერთად შეკუჭულიყვნენ ფერმკრთალი, გაძვალტყავებული პატიმრები (მთელ რუსეთში ისინი თითქმის ყოველთვის ფერმკრთალნი და გაძვალტყავებულნი არიან, რაც მათ მძიმე ყოფასა და სულიერ მდგომარეობაზე ღაღადებს), ორდინატორიც არხეინად ჩაუწერდა ხოლმე რაიმე febris catarrhalis და ზოგჯერ მთელი კვირითაც ტოვებდა. ამაზე ყველა იცინოდა ეს ვითომავადმყოფობის ფორმულა იყო. „სამარქათო ჭვალეები“, ასე თარგმნიდნენ თავად პატიმრები febris catarrhalis-ს. ისეც ხდებოდა, რომ ვითომ ავადმყოფი ბოროტად იყენებდა ექიმის ლმობიერებას და მანამდე იწვა, სანამ ძალით არ გააგდებდნენ. ამ დროს უნდა შეგეხებათ ჩვენი ორდინატორისთვის: თითქოს იბნეოდა, რცხვენოდა, პირდაპირ ეთქვა ავადმყოფისთვის, რომ აქაურობა დაეტოვებინა. არადა, სრული უფლება ჰქონდა sanatest ჩაეწერა მის საავადმყოფო ფურცელში და ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე, უბოდიშოდ მიებრძანებინა. ჯერ ნართაულად გადაუკრავდა, შემდეგ თითქოს ეხვეწებოდა: „დრო ხომ არ არის უკვე? შენ ხომ უკვე თითქმის ჯანმრთელი ხარ. პალატაში კი სივიწროვეა“ და ა.შ. ასე გრძელდებოდა, სანამ ავადმყოფს სინდისი შეაწუხებდა და თავად მოითხოვდა, გამწერეთო. მართალია, უფროსი ექიმიც კაცთმოყვარე და პატიოსანი (ავადმყოფებს ისიც ძლიერ უყვარდათ) იყო, მაგრამ ორდინატორზე გაცილებით მკაცრად და გაბედულად ამბობდა თავის სათქმელს; ამის გამო, განსაკუთრებულ პატივსაც სცემდნენ. ის ჰოსპიტლის ყველა ექიმთან ერთად შემოდიოდა, ორდინატორის შემდეგ, ისიც სათითაოდ ყველას სინჯავდა, მძიმე ავადმყოფებთან საგანგებოდ შეჩერდებოდა, ამ-

ხნევებდა, თბილად ესაუბრებოდა. „სამარქაფო ჭვალეებით“ მოსულს უარს არასდროს ეუბნებოდა; მაგრამ, თუ ვითომ ავადმყოფი გაჯიუტდებოდა, უბრალოდ გამოუწერდა: „აბა, ჩემო კარგო, გეყო წოლა, დაგისვენია, ახლა აახვიე აქედან, ნამუსიც კარგი საქონელია!“ მხოლოდ სამუშაოზე გულაცრუებულნი, განსაკუთრებით ცხელ ზაფხულში, ან გაჯოხვის მომლოდინე ბრალდებულები თუ ჟინიანობდნენ. მახსოვს, ერთი მათგანის მიმართ საგანგებო სიმკაცრეს, სისასტიკესაც კი მიმართეს, ჰოსპიტლიდან გაწერაზე რომ დაეყოლიებინათ. ის თვალეხს უჩიოდა: ძლიერ მტეხავს და მტკივაო; ჩაწითლებული კი ჰქონდა. მკურნალობა დაუნიშნეს: სალბუნს ადებდნენ, თვალეხში რაღაც სითხეს ასხურებდნენ... მალე მიხვდნენ, რომ პატიმარი ავადმყოფობას იგონებდა: თვალის ანთება მუდამ უმნიშვნელოა, არც იკურნება, არც უარესობა ეტყობა, ერთნაირ მდგომარეობაშიაო; პატიმრებმა ექიმებზე კარგა ხნით ადრე იცოდნენ, რომ თვალთმაქცობდა, თუმცა თავად მას არავისთვის არაფერი უთქვამს. ამ ყმაწვილკაცს ლამაზიც კი ეთქმოდა, მაგრამ ყველა ჩვენგანზე რაღაც უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. გულჩათხრობილი იყო, მოღუშული, არავის ელაპარაკებოდა, ქვეშევრდები იყურებოდა, ყველას გაურბოდა, თითქოს ყველაზე ეჭვიანობდა. მახსოვს, ზოგს მისი ეშინოდა კიდევ. ჯარისკაცი იყო, მაგრამ იქურდა, ამხილეს; წამება და ბნელი საკანი ელოდა.

გაჯოხვის დროის გადასაწევად ბრალდებულები, როგორც უკვე ვთქვი, რას აღარ მიმართავდნენ: წამების წინა დღეს რომელიმე გუშაგს ან პატიმარს დანას გაუყრიდნენ, რასაც გაჯოხვის ორი თვით გადადება მოჰყვებოდა და მისი მიზანიც მიღწეული იყო. იმაზე არ ფიქრობდნენ, რომ ორი თვის შემდეგ ორმაგი, სამმაგი სიმკაცრით დასჯიდნენ! ოღონდ ახლა გადაეწიათ მრისხანე წუთი, თუნდაც რამდენიმე დღით და მერე რაც მოხდებოდა, მათთვის სულ ერთი იყო, ეს უბედურნი ზოგჯერ სულით ასე ძლიერ ეცემიან.

ზოგიერთები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, მოსარიდებელი კაციო, ღამით ვინმეს დაკლავსო. მიუხედავად ამისა, არ ფრთხილობდნენ ისინიც კი, რომელთაც მის გვერდით ეძინათ.

ავადმყოფები ამჩნევდნენ, რომ ის ღამლამობით ბათქაშიდან აცლილი კირით და კიდევ რაღაცით ისრესდა თვალებს, რათა დილით ისევ დაწითლებული ჰქონოდა. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ექიმი პატრუქის გაკეთებით დაემუქრა. თვალის ხანგრძლივი ავადმყოფობისას, როცა მხედველობის შესანარჩუნებლად ყველა სამედიცინო საშუალება ამოიწურებოდა, ექიმები ძლიერ და მტანჯველ მეთოდს მიმართავენ: ავადმყოფს, ცხენის მსგავსად, პატრუქს უკეთებენ.

იმ უბედურმა კვლავ უარი თქვა გამოჯანმრთელებაზე: ან უსაშველოდ ჯიუტი იყო, ან მხდალი: რასაკვირველია, პატრუქი გაჯოხვის ტოლფასი არ იყო, მაგრამ ძალიან მტკივნეულად კეთდებოდა. ავადმყოფს კისერზე დანით საკმაოდ განივრად უჭრიან კანს კეფის სიგანეზე ფართო ჭრილობაში უხემ ტილოს, ლამის თითის სიძსხო ზონარს უყრიან. მერე ყოველდღე, განსაზღვრულ დროს ზონარს გამოსწევენ ხოლმე, ამგვარად აახლებენ ჭრილობას, რათა არ შეხორცდეს.

რამდენიმე დღეს ბედშავი პატიმარი ამ ტანჯვასაც ჯიუტად იტანდა, თუმცა საშინლად გაწამდა და მხოლოდ ბოლოს, როგორც იქნა, გაწერაზე დათანხმდა. თვალები ერთ დღეში სრულიად მოურჩა. კისრის ჭრილობაც რომ შეუხორცდა, კარცერში წაიყვანეს, მეორე დღეს კი ათასჯერ ჯოხის დარტყმა ელოდა.

რასაკვირველია, მძიმეა პატიმრის მდგომარეობა ამ სასჯელის მოლოდინში, იმდენად მძიმე, შესაძლოა ვცოდავ, მაგრამ ამ შიშს სილანჩესა და სულმოკლეობას დავარქმევდი, რადგან მზად არის პირველი დარტყმების ასაცილებლად, მომავალი ორმაგი ან სამმაგი დარტყმა მიიღოს.

მე, სხვათა შორის, ისეთებიც ვახსენე, რომელთაც ჯერ არც შეხორცებოდათ პირველი ჯოხების ჭრილობები, მალე გაწერას ითხოვდნენ, რათა გასამართლებას ღირსებოდნენ. ხოლო მსჯავრქვემ ყოფნას, კარცერში ჯდომას, რა თქმა უნდა, კატორღა ერჩივნათ. განსხვავებული ტემპერამენტის გარდა, ზოგიერთის უშიშარ გაბედულებაში დიდ როლს თამაშობს დასჯისა და გაჯოხვისადმი თანშეზრდილი ჩვეულება. მრავალგზის გაჯოხილი თითქოს სულითა და ზურგით კაჟდება, დასჯას ბო-

ლოს სკეპტიკურად აღიქვამს, როგორც მცირე უსიამოვნებას და მისი აღარც ეშინია.

ზოგადად, ეს სიმართლეა. ერთი პატიმარი, განსაკუთრებულ დამნაშავეთა განყოფილებიდან, მონათლული ყალმუხი, ალექსანდრე თუ ალექსანდრა, როგორც მას ჩვენთან ეძახდნენ, უცნაური, ეშმაკი, უშიშარი და ამავე დროს ძალიან გულკეთილი კაცი, სიცილით მიყვებოდა, როგორ გაატარეს ოთხი ათასი ჯოხის ქვეშ. ის თავგამოდებით იფიცებოდა, ბავშვობიდანვე, მთლად ჩვილი ასაკიდან მათრახით მზრდიდნენ, რაც ცოცხალი ვარ ნაიარვეი არ მომშორებია ზურგზე,

ეგ რომ არა, იმ ოთხი ათასს ვერ გადავიტანდიო ამბობდა და ამგვარ აღზრდას თითქოს ლოცავდა. „ყველაფრის გამო მცემდნენ, ალექსანდრ პეტროვიჩ, მითხრა ერთხელ, საღამო ხანს, სანთლების ანთებაამდე, ჩემს საწოლზე ჩამომჯდარმა, თხუთმეტი წელიწადი ზედიზედ ნებისმიერ რამეზე მცემდნენ, თანაც დღეში რამდენჯერმე; მხოლოდ ის არ მცემდა, ვისაც ეს საქმე არ ეხერხებოდა; ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, მაგრად შევეჩვიე“. ის მაწანწალა იყო და, ბუნებრივია, მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა; აღარ მახსოვს ამაზე მომიყვა თუ არა, როგორ გახდა ჯარისკაცი; ეს კი იყო, საშინლად დამფრთხალა, როცა უფროსის მოკვლისთვის ოთხი ათასი ჯოხი მიუსაჯეს. „ვიცოდი, მკაცრად დამსჯიდნენ. შეიძლება, მწყობრიდან ველარც გამეღწია; გაჯოხვას ჩვეული ვიყავი, მაგრამ ოთხი ათასი ჯოხი? ხუმრობა როდია! თანაც მთელი უფროსობა შემომწყრა! ვიცოდი, დარწმუნებით ვიცოდი, ეგრე იოლად ვერ გადავრჩებოდი, ვერ გავატანდი ჯოხებს; ჯერ მონათვლა ვცადე, ეგებ მაპატიონ-მეთქი; მართალია, ჩვენებმა მაშინვე მითხრეს, აქედან არაფერი გამოვა, არ გაპატიებენო, მაინც ვფიქრობდი: ყოველ შემთხვევაში მოვსინჯავ, რაც უნდა იყოს, მონათლული უფრო შევებრალეები-მეთქი. მართლაც, მომნათლეს და ნათლობისას ალექსანდრე შემარქვეს; მაგრამ ჯოხებს მაინც ვერ გავექეცი; ერთი მაინც მაპატიეს; კიდევ მეწყინა. გულში კი ვიფიქრე: დამაცათ, თუ ყველა არ გაგაცუცურაკოთ-მეთქი, და რა გგონიათ, ალექსანდრ პეტროვიჩ, გავაცუცურაკე კიდევ! ძალიან მე-

ხერხებოდა თავის მომკვდარუნება, მთლად მიცვალებულად მოჩვენება კი არა, ისე, სადაცაა სული რომ უნდა გაგძვრეს. გამიყვანეს; ათასს ითვლიან: მწვავს, ვყვირი; ახლა მეორე ათასი: ვიფიქრე, ეეე, მოვიდა ჩემი აღასასრული-თქო; გონებას ვკარგავ, ფეხები მეკეცება, ავდექი და ბრაგვანი მოვადინე მიწაზე; თვალები გადმომეკარკლა, სახე გამილურჯდა, სუნთქვა შემეკრა, პირზე დუჟი მომერია. ექიმი მოვიდა: დიდხანს ველარ გაატანსო; ჰოსპიტალში წამომიღეს და მეც ხელად გამოვცოცხლდი. ასე ორჯერ გამიყვანეს კიდევ. ბრაზობდნენ, ჰო, რას ბრაზობდნენ, მაგრამ ისინი ორჯერ კიდევ გავაცუცურაკვე. მესამე გასვლაზე ათასი ვიწვნიე და გავშემდი, მაგრამ მეოთხე ათასს რომ შევუდექი, თითოეული დაკვრა, თითქოს გულზე დანას მასობენო, ისე მხვდებოდა. თითო დარტყმა სამ დარტყმას უდრიდა, ისე გამეტებით მირტყამდნენ. გაცეცხლებულნი იყვნენ ჩემზე. აი, ის დაწყევლილი უკანასკნელი ბოლო ათასი (ოჰ, იმისი!...) პირველ სამს დაგავიწყებდა. სწორედ დამთავრების წინ, თავი რომ არ მომემკვდარუნებინა (სულ ორასი დაკვრალა რჩებოდა), ნაღდად ველარ გავაღწევდი. მაგრამ არც მე დავეჩაგვრინე: კვლავ გავაცუცურაკვე და გავშემდი; ისევ დამიჯერეს, აბა, რა უნდა ექნათ, როცა ექიმსაც სჯერა; ამგვარად, ბოლო ორასს ისე თავგამეტებით მირტყამდნენ, სხვა დროს ორი ათასი უფრო იოლი ასატანი იქნებოდა, მაგრამ ფაფუ, ვერაფერიც დამაკლეს, ჰოდა, რატომ ვერ დამაკლეს? ისევ და ისევ იმიტომ, რომ პატარაობიდანვე მათრახქვეშ ვიზრდებოდი. ამიტომაც ვარ ცოცხალი! ოო, რას მცემდნენ ჩემი დღე და მოსწრება, რას მცემდნენ?!" დასძინა ბოლოს, ნაღვლიან ფიქრებში გაერთო, თითქოს ცდილობს გაიხსენოს და დაითვალოს, რამდენჯერ გაუწკეპლიათ. „აჰ, არა, დაუმატა წუთიერი დუმილის შემდეგ, ამის დათვლა შეუძლებელია; რას დავთვლი, სათვალავი არ მეყოფა“. შემომხედა და ისე გულკეთილად გაიცინა, მეც ძალაუნებურად გავუღიმე. „იცით, ალექსანდრ პეტროვიჩ, ახლაც ყოველთვის მხოლოდ ის მესიზმრება, რომ უსათუოდ მცემენ“.

ვიცოდი მართალს ამბობდა, რადგან ღამღამობით ხშირად მთელი ხმით ყვიროდა ხოლმე. პატიმრები მუჯღუგუნებს ურტყამდნენ და ამ

სიტყვებით აღვიძებდნენ: „რა გაყვირებს, შე ოხერო!“ დაბალი ტანის, ჯანიანი, ცოცხალი და ხალისიანი კაცი იყო, ასე ორმოცდახუთი წლის იქნებოდა; ყველასთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდა; თუმცა ქურდობა უყვარდა და ხშირად ამის გამო მაგრად ხვდებოდა, მაგრამ ჩვენთან, აბა, ვის არ უქურდია და ვის არ მოხვედრია ამისთვის?

ერთსაც დავამატებ: როცა ეს საშინლად ნაცემი ხალხი ცემის პროცესს აღწერდა, მათი უწყინარი, უბოროტო კილო ყოველთვის მათვებდა. გარწმუნებთ, უმეტესად, რაიმე სიბრაზისა თუ სიძულვილის ნატამალიც კი არ შემინიშნავს მათთვის; არადა, როცა ამას ვისმენდი, შიშისგან გული მიფრიალებდა! ისინი კი ამ ამბის მოყოლისას ხშირად ბავშვივით იცინიან.

მ.-ცვიმაც მოყვა თავისი დასჯის ამბავი; ის არ იყო აზნაური, ხუთასი დაეკრათ. ამის შესახებ სხვებისგან შევიტყვე და თავად შევეკითხე: ეს მართალია, და თუ მართალია, როგორ მოხდა-მეთქი? მოკლედ მომიჭრა, ერთგვარი შინაგანი ტკივილით; თითქოს მზერასაც მარილებდა, სახე აეტკიცა; ნახევარი წუთის შემდეგ შემომხედა; თვლებში სიძულვილის ნაპერწკლებმა გაუელვა, ტუჩები სიბრაზისგან უცახცახებდა.

მივხვდი, ასეთები მწარე წარსულს არასდროს ივიწყებენ. მაგრამ სხვები, თითქმის ყველა (დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ გამონაკლისი იყო), ამ ფაქტს სულ სხვაგვარად აფასებდა. ხანდახან ვფიქრობდი, შეუძლებელი იყო თავი ყველას დამნაშავედ და წამების ღირსად მიიჩნდეს-მეთქი; მით უმეტეს, ბრალი თავისიანების კი არა, უფროსების წინაშე თუ მიუძღოდათ.

უმრავლესობა სრულიად არ თვლიდა თავს დამნაშავედ. უკვე ვთქვი, მათთვის სინდისის ქენჯნა მაშინაც კი არ შემინავს, როცა დანაშაული მათივე საზოგადოების წინააღმდეგ ჰქონდათ ჩადენილი. უფროსების მიმართ ჩადენილ დანაშაულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვფიქრობ, ამ უკანასკნელ შემთხვევას რაღაც თავისებურ, ასე ვთქვათ, პრაქტიკულ ან, უკეთ, გარდაუვლად მოსახდენ ფაქტად მიიჩნევდნენ, რომელსაც ბედისწერა განაგებდა. ამგვარად, ჩადენილ დანაშაულს აუცილებლობის ბეჭედი ერტყა.

თუმცა, თითოეული პატიმარი უფროსების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს (ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია), მაგრამ პრაქტიკულად მაინც აცნობიერებს, რომ უფროსობა მის დანაშაულს სულ სხვაგვარად აფასებს. მაშასადამე, დასჯიან კიდევ! ჰოდა, ბარი-ბარში ვართო, ამბობდნენ. აქ ურთიერთჭიდილია. ამავე დროს დამნაშავემ იცის, ეჭვიც არ ეპარება, რომ თავისიანების სამსჯავრო გაამართლებს. მდაბიოთა სამსჯავრო, მას არასდროს განიკითხავს, რადგან ცოდვა თავისიანების, თავისი ახლობლების, მდაბიოთა წრეში არ ჩაუდენია. ამგვარად, სინდისი სუფთა აქვს; სწორედ სინდისითაა ის ძლიერი და ზნეობრივად გამართული. ეს კი მთავარია. ესაა მისი დასაყრდენი. ამიტომაც დანაშაულს უყურებს არა სიძულვილით, არამედ როგორც გარდაუვალ ფაქტს, რაც მისგან არ დაწყებულა, არც მისი ნებით დამთავრდება და ამ პასიური, მაგრამ შეუპოვარი ბრძოლის პირობებში კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

რომელ ჯარისკაცს აქვს პირადი სიძულვილი, ვთქვათ, თურქისადმი, როცა ეომება; ავი თურქი სჭრის, ჩეხავს, თოფს ესვრის მას? თუმცა პატიმრები ყოველთვის როდი ყვებოდნენ გულგრილად და აუღელვებლად. მაგალითად, პორუჩიკ ჟერებიატნიკოვს, ოდნავ შესამჩნევი აღშფოთებითაც კი იხსენებდნენ. პორუჩიკი ჯერ კიდევ საავადმყოფოში ყოფნისას გავიცანი, რასაკვირველია, პატიმართა ნაამბობით. მერე ისე მოხდა, პირადად შევხვდი, როცა ჩვენთან ყარაულში იდგა. ეს იყო მაღალ-მაღალი, ჩასუქებული, სქელი, ლაჟღაჟა და ფუნჩულალოყებიანი ოცდაათიოდე წლის მამაკაცი; თეთრი კბილები ჰქონდა და მჭექარედ იცინოდა. სახეზევე ეტყობოდა, რომ ამქვეყნად ყველაზე უდარდელი კაცი იყო. ისე გაგიჟებით უყვარდა გაჯოხვა, ეგზეკუტორად დანიშნეს. აქვე დავამატებ, მას თავისიანებში გამორჩეულ მახინჯად აღვიქვამდი.

პატიმრებიც ასე ფიქრობდნენ. სხვებიც იყვნენ აღმასრულებელნი მათზე ახლო წარსულში იტყოდნენ: სულ ახალი ამბავია, დაჯერება კი ძნელზე ძნელიო, თავის საქმეს გულმოდგინედ და მონდომებით რომ ასრულებდნენ. მაგრამ ამას, უმეტესად, გაუცნობიერებლად და განსაკუთრებული სიამოვნების გარეშე აკეთებდნენ.

ჩვენი პორუჩიკი კი სამუშაოს უნატიფესი გასტრონომივით ასრულებდა. რა ექნა, მგზნებარედ უყვარდა აღმასრულებლობითი ხელოვნება. უყვარდა მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებისთვის. ამით ტკბებოდა და რომის იმპერიისდროინდელი, განცხრომაში მრავალნაცადი გაქუცული პატრიციასავით იგონებდა სხვადასხვა ჟინისმომკვლელ, არაბუნებრივ საშუალებებს, რათა ცოტა მაინც გამოეცოცხლებინა და სამოდ გაეღიზიანებინა თავისი ქონდადებული სული.

წარმოიდგინეთ, პატიმარი გამოჰყავთ დასასჯელად: ჟერებიატნიკოვი ეგზეკუტორადაა. ხელჯობიანების გაჭიმულ მწყობრზე თვალის ერთი გადავლებაც კი შთაგონებით აღაგზნებს მას. თვითკმაყოფილი იერით ჩამოუვლის მწკრივებს და მკაცრად აფრთხილებს ყველას, გულმოდგინედ, პატიოსნად შეასრულონ თავიანთი საქმე, თორემ... ჯარისკაცებმა კარგად იცოდნენ, რას ნიშნავდა ეს „თორემ“. აი, დამნაშავეც გამოჰყავთ; თუ მან აქამდე არ იცოდა, ვინ იყო ჟერებიატნიკოვი, მაშინ არც ის ეცოდინებოდა, რა ოინს გამოიყენებდა მის წინააღმდეგ (პორუჩიკს გამომგონებლობის უშრეტი ნიჭი ჰქონდა). გაჯოხვის წინ პატიმარს აშიშვლებენ, ხელებს თოფების კონდახებზე უკრავდნენ; უნტეროფიცრები მწკრივის ჩაყოლებით ასე გამობმულს მიათრევენ; ამ დროს ყოველი მათგანი ეგზეკუტორს ნამტირალევი ხმით ემუდარება, რაც შეიძლება იოლად დასაჯეთ, ზედმეტ სიმკაცრეს ნუ გამოიჩინთო. დამნაშავე დაახლოებით ამ სიტყვებს იყენებს: „თქვენო კეთილშობილებავ, შემიწყალეთ, მამობა გამიწიეთ! სამუდამოდ თქვენზე ვილოცებ, ნუ გამწირავთ, შემიწყალეთ!“ ჟერებიატნიკოვიც სწორედ ამას ელის, მაშინვე აჩერებს საქმეს და თვითონაც მგრძნობიარე სახით დაუწყებს საუბარს: ძმობილო, იქნებ შენ მითხრა, რა ვქნა? კანონი გსჯის ასე და არა მე!

თქვენო კეთილშობილებავ, ყველაფერი თქვენს ხელთაა, თუ ინებებთ!

როგორ გგონია, არ მეცოდები? შენ გგონია, შენი ცემის ყურება მსიამოვნებს?! მეც ხომ ადამიანი ვარ! ვარ თუ არა ადამიანი, ჰა?

რას ბრძანებთ, თქვენო კეთილშობილებავ, რა სათქმელია; მამად მეგულებით, ყვირის უკვე იმედმოცემული პატიმარი.

კი მაგრამ, ჩემო ძმობილო, თავად განსაჯე; საამისო ჭკუა ხომ გაქვს, განა მე არ ვიცი, რომ ადამიანურობა მავალეებს, რომ შენ, ცოდვილსაც, მოწყალე და ღმობიერი თვალთ შემოგხედო...

სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, თქვენო კეთილშობილებავ!

დიახ, მოწყალედ უნდა შემოგხედო, რაოდენ ცოდვილიც უნდა იყო, მაგრამ აქ მე კი არა, კანონია! აბა, დაფიქრდი! მე ხომ ღმერთს და სამშობლოს ვემსახურები; კანონს თუ დავარღვევ, ხომ მძიმე ცოდვას ვიკისრებ, იფიქრე ამაზე!

თქვენო კეთილშობილებავ!

ჰოო, რაც იქნება, იქნება! დაე, აგრე იყოს. ვიცი, ვცოდავ, მაგრამ იყოს აგრე... შეგიწყალე ამჯერად, მსუბუქად დაგსჯი. მაგრამ, ვაითუ ამით გავნო. ახლა შეგიწყალე, მსუბუქად დაგსჯი, შენ კი დაიმედდები, მეორეჯერაც გამივაო, და ისევ ჩაიდენ დანაშაულს; მაშინ? ხომ ისევ ჩემზევე...

თქვენო კეთილშობილებავ! არც მტერს ვურჩევ, არც მოყვარეს, ვფიცავ ზეციური მეუფის ტახტს...

ჰო, რა გაეწყობა, კარგი. შეგიძლია შემომფიცო, რომ შემდგომში მუდამ ჭკვიანად იქნები?

მიწამც გამსკდომია, ღმერთი საიქიოს...

ნუ იფიცები, ცოდვას ჩადიხარ. მე შენი სიტყვისაც მჯერა. მაძლევ სიტყვას?

თქვენო კეთილშობილებავ?!

ყური მიგდე. შემიწყალეხიხარ მხოლოდ და მხოლოდ შენი ცრემლების გამო. ობოლი ხარ?

ობოლი ვარ, თქვენო კეთილშობილებავ, სრულიად ობოლი, არც დედა მყავს, არც მამა...

ჰოდა, ობლის ცრემლებისთვის შეგიწყალე, მაგრამ იცოდე, უკანასკნელად... წაიყვანეთ! დასძენს ისეთი ღმობიერი ხმით, რომ საბრალო პატიმარმა აღარც იცის, ამ ღვთისკაცისთვის როგორ ილოცოს; მაგრამ, აი, დაიძრა მრისხანე პროცესია, წაიყვანეს; დაჰკრეს დაფდაფს, გაიშხუილეს პირველმა ჯოხებმა...

„დასცხეთ! ყიჟინით დასძახებს ჟერებიატნიკოვი დაცეცხლეთ! არ დაბოგოთ, ურტყით! აუწვით! კიდევ, კიდევ, კიდევ! მაგრა დაჰკარით ობოლს! მაგრა დაჰკათ თაღლითს! არ დაინდოთ, მიწასთან გაასწორეთ, მიწასთან!“ და ჯარისკაცებიც თავგამეტებით ურტყამენ, ბედშავს თვალებიდან ნაპერწკლები სცვივა, ღრიალებს. ჟერებიატნიკოვი უკან მისდევს, ფრონტის გასწვრივ, უწყვეტად ხარხარებს, მუცელი ხელით უჭირავს, წელში ვეღარ გამართულა, ისე, რომ ბოლოს შეგეცოდებათ კიდევ, საბრალო. იცინის და ერთ ამბავშია, მხოლოდ ხანდახან შეწყდება მისი ხმამაღალი, ჯანსაღი ხარხარი და კვლავ ისმის: „ურტყით, სცემეთ! აუწვით თაღლითს! არ დაინდოთ ობოლი!..“

იცით, ჟერებიატნიკოვი კიდევ რას იგონებდა? როგორც კი დასასჯელად გამოყვანილი პატიმარი მუდარას დაუწყებდა, ამჯერად აღარ ინაზებოდა, აღარ იპრანჭებოდა, პირდაპირ ეტყოდა: იცი რა, ჩემო კარგო, დაგსჯი, როგორც ჯერ არს, იმიტომ რომ ღირსი ხარ. თუმცა ცოტა შეღავათსაც მოგცემ. კონდახებზე არ მიგაკრავ. მარტო წახვალ. მაგრამ ახლებურად: რაც ძალი და ღონე გაქვს გაიქცევი, მთელ ფრონტს სირბილით გაივლი; რასაკვირველია, არც ერთი ჯოხი არ აგცდება, სამაგიეროდ, სასჯელს უფრო სწრაფად მოიხდი. როგორ ფიქრობ, იქნებ გეცადა?

გაკვირვებული პატიმარი უნდობლად უსმენს, ჩაფიქრდება. „ვცდი, ფიქრობს, ვინ იცის, შეიძლება მართლაც შეღავათი იყოს; გავიქცევი რაც ძალი და ღონე მაქვს, ასე ხუთჯერ შემომოკლდება ტანჯვა, შეიძლება ალაგ-ალაგ ჯოხიც ამცდეს“.

კარგი, თქვენო კეთილშობილებავ, თანახმა ვარ.

ჰოდა, მეც თანახმა ვარ, გასწი! პირი ნუ დაგიღია, ყოჩაღად იყავი! დასტყვივლებს ის ჯარისკაცებს, თუმცა, წინასწარ იცის, რომ დამნაშავეს ზურგს ერთი ჯოხიც არ ასცდება; ხელმოცარული პატიმარი აცნობიერებს, რა ელის, მაგრამ რა უნდა ქნას? მწკრივში მთელი ძალით მირბის; ცხადია, თხუთმეტ რიგსაც ვერ გაირბენს, ჯოხები ტყაპა-ტყუპით, ელვასავით დააცხრება ზურგზე; ბედშავი ერთს დაიღრიალებს და უმაღლ მოცელილივით, ტყვიით განგმირულივით ჩაიკეცება. „არა, თქვენო კე-

თიღობილებავ, მიჯობს ისევ კანონით“... ამბობს და დგება შეშინებული-გაფითრებული ნელ-ნელა; საკუთარი გამოგონილი ხერხით ალტაცებული ჟერებიატნიკოვი კი ხარხარებს და ერთ ამბავშია. მისი ყველა გასართობი საშუალების აღწერა, უბრალოდ, შეუძლებელია!

ცოტა სხვანაირად, სხვაგვარი ტონითა და სხვა ყაიდაზე ყვებოდნენ პორუნიკ სმეკალოვზე. პლაც-მაიორის დანიშვნამდე, ის ჩვენი საპყრობილის უფროსი იყო. ჟერებიატნიკოვზე გულგრილად ყვებოდნენ. მისი საგმირო საქმეებით არავინ იყო ალტაცებული. არავინ აქებდა, ეთაკილებოდათ კიდევ; ის კი არა, ერთგვარი ქედმაღლური ზიბლითაც უყურებდნენ. მისგან განსხვავებით, პორუნიკ სმეკალოვს სიხარულითა და სიამოვნებით იგონებდნენ.

საქმე ისაა, რომ ის ცემის განსაკუთრებული მოტრფიალე ნამდვილად არ იყო. მასში წმინდა ჟერებიატნიკოვისებური ელემენტის ნასახსაც ვერ აღმოაჩენდით, თუმცა პატიმართა გაროზგვას ისიც არ ერიდებოდა.

სწორედ მის როზგებს იხსენებდნენ პატიმრები ერთგვარი ტკბილი სიყვარულით. როგორ მიაღწია ამას? იქნებ იმიტომ, რომ პატიმრების მულამში კარგად ერკვეოდა? როგორ გახდა პოპულარული? ფაქტია, რომ ყველა პატიმარი, შეძლებისდაგვარად, მთელი რუსი ხალხიც, მზადაა ერთი ალერსიანი სიტყვით თუნდაც უდიდესი სატანჯველი დაივიწყოს! ამის განხილვას არც პატიმრების და არც ხალხის მხრიდან არ ვაპირებ. ძნელი როდია ამ ხალხის გულის მონადირება და მათში პოპულარობის მოპოვება. მაგრამ პორუნიკი სმეკალოვი ძალზე პოპულარული იყო ლამის გულაჩუყებულნი იგონებდნენ მის როზგებს.

„მამას არ ინატრებდი“, იტყოდნენ პატიმრები ციხის ძველი უფროსის გახსენებაზე და იმწამსვე ამოიოხრებდნენ ხოლმე. ახლანდელ პლაცმაიორს შეადარებდნენ და ოქროკაცი იყო, დაამატებდნენ.

სმეკალოვი უბრალო ადამიანი იყო. შესაძლოა, თავისებურად კეთილიც, მაგრამ ზოგი უფროსი კეთილიცაა და დიდსულოვანიც; მერე რა? ხშირად არ უყვართ, ხოლო ზოგს, დასცინიან კიდევ. საქმე ისაა, სმეკალოვს ეხერხებოდა ისე მოქცეულიყო, რომ ყველა თავისიანად

თვლიდა, ეს კი დიდი უნარია ან, უკეთ რომ ვთქვა, თანდაყოლილი ნიჭია, რასაც მისი პატრონი ხშირად ვერ აცნობიერებს.

უცნაური ამბავია: ზოგი სულაც არ არის კეთილი, მიუხედავად ამისა, პოპულარული ხდება. მათ ხელქვეითები, უბრალო ხალხი არ ეზიზღებათ! აი, სად იმალება, ჩემი აზრით, ამის მიზეზი! მათში აზიზ ბატონკაცს კი არ ხედავენ, არამედ განსაკუთრებულ, თანდაყოლილ, უბრალო ხალხის სუნს გრძნობენ.

ღმერთო, რა მგრძობიარეა ხალხი ამ სუნისადმი! რას არ გაიღებს მისი გულისთვის! მზადაა ნებისმიერი კეთილშობილი ადამიანი გაცვალოს უმკაცრესზე, ოღონდაც ამ უკანასკნელს მათებური, უხეში ტილოს პერანგის სუნი უდიოდეს.

თუ ამასთან ერთად ასეთი კაცი კეთილიც აღმოჩნდა, თუნდაც თავისებურად კეთილი, მაშინ მისი ფასი აღარავინაა!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პორუჩიკი სმეკალოვი პატიმრებს ხანდახან სასტიკად სჯიდა, მაგრამ ამას როგორღაც ისე აკეთებდა, რომ არა თუ უბრაზდებოდნენ, პირიქით, ახლა, ჩემ დროს, წარსულის ამბებსა თუ გარობგვის მეთოდებს სიცილითა და სიამოვნებით იხსენებდნენ. თუმცა, ბევრი მეთოდი არც ჰქონია: საამისოდ მხატვრული ფანტაზია არ ჰყოფნიდა. სიმართლე რომ ითქვას, მხოლოდ ერთადერთი მეთოდით ხელმძღვანელობდა (შესაძლოა, სწორედ ამიტომ იხსენებდნენ სიამოვნებით) და თითქმის მთელი წელი ამით გაჰქონდა თავი. მის საქციელში ერთგვარი გულუბრყვილობა იკითხებოდა. მაგალითად, მოიყვანეს დამნაშავე პატიმარი. სმეკალოვი დასაჯა დასასწრებად მოდის; ოხუნჯობს, სიცილით ეკითხება დამნაშავეს პირადულ ან რაიმე ამბავთან დაკავშირებით. ამას სულაც არ აკეთებს რაიმე მიზნით, არც კვლუცობით, არამედ ისე, უბრალოდ, მას მართლაც აინტერესებს ეს. მოიტანენ როზგებს, სმეკალოვს სკამს მოართმევენ, ისიც დაჯდება, გრძელ ჩიბუხსაც კი გააბოლებს.

პატიმარი დაუწყებს ხვეწნა-მუდარას... „არა, ძმობილო, დაწევი, რას მიქვია“...

ეტყვის სმეკალოვი; პატიმარი ამოიოხრებს და დაწვება. „აბა, ჩემო კარგო, ეს ლექსი (რომელიმეს უსახელებს) იცი ზეპირად?“ „როგორ არ ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ, მონათლული ვარ, სიყრმიდანვე გვასწავლიდნენ“. „მაშ, თქვი“. პატიმარმა წინასწარ იცის, ამ დროს რა მოხდება, რადგან ეს მეთოდი ოცდაათჯერ მაინც გამოსცადა სხვებთან. თავად სმეკალოვმაც იცის, რომ პატიმარმა იცის, იმ ჯარისკაცებმაც იციან, ზეაღმართული როზგებით თავს რომ დასდგომიან პირქვედამხობილ მსხვერპლს და თავისი მეთოდით ერთხელ და სამუდამოდ მოხიბლული მაინც იმეორებს მას, რადგან ამას ლიტერატურული თავმოყვარეობა კარნახობს. პატიმარი იწყებს, როზგებმომარჯვებული ჯარისკაცები დგანან და ელოდებიან, როდის გადმოიხრება სმეკალოვი სკამიდან, მერე თითს აფშეკვს, ჩიბუხს პირიდან გამოიღებს და ცნობილ სიტყვას წარმოთქვამს.

პირველი სტრიქონის შემდეგ პატიმარი, ბოლოს და ბოლოს, იტყვის: „მაღლა ცაზე“, სმეკალოვიც მხოლოდ ამას ელოდა. „სდექ!“ ყვირის ადგზნებული, დასარტყმელად მომზადებულ ჯარისკაცს შთაგონებული ჟესტით მიუბრუნდება და შესძახებს: „შენც აიღე, უთავაზე!“

ხითხითებს და ხითხითებს. ირგვლივ მდგარ ჯარისკაცებსაც ეცინებათ; ეცინება გამროზგველს, ლამის თვით გაროზგვილსაც გაეცინოს, თუმცა ბრძანებისთანავე „უთავაზე“, როზგმა შხუილით გააპო ჰაერი და ცოდვილს ერთ წამში სამართებელივით გაუსერა ზურგი.

სმეკალოვს უხარია, ამაყობს თავის მოგონილი მეთოდით. „მაინც რა ჩინებულია, ფიქრობს, „მაღლა ცაზე“, „უთავაზე“ მოსწრებულადაა ნათქვამი და გართმულიცაა. საკუთარი თავით დიდად კმაყოფილი სმეკალოვი მიდის; დასჯილიც თითქმის კმაყოფილია; ნახევარი საათის შემდეგ პატიმარი საკანში ათასმეერთედ ყვება ამ მეთოდზე: „ერთი სიტყვით, ოქროკაცია! ხუმარა!“

ზოგჯერ კეთილ პორუჩიკზე მოგონებებს რაღაც მანილოვშიჩინას მაგვარი იერი დაჰკრავდა.

ახლა, ვთქვათ, შენ მიდიხარ, ძმაო, ჰყვება რომელიმე პატიმარი და სახე ებადრება, მიდიხარ, ის კი, ხედავ, მიმჯდარა თავის ფანჯარასთან,

ხალათი აცვია, ჩაის მიირთმევს, ჩიბუსს აბოლებს. შენ ქუდს მოუხდი, ის გეტყვის: საით გაგიწევია, აქსიონოვ?

სამუშაოზე მივდივარ, მიხაილ ვასილიჩ, სახელოსნოში მეჩქარება. ის თავისთვის ჩაიცინებს... ერთი სიტყვით, ოქროკაცი იყო! ოქროკაცი! მაგნაირი აღარც გვეღირსება! ჩაურთავს რომელიმე პატიმარი.

2.3. გაგრძელება

დასჯასა და ამ საინტერესო მოვალეობის სხვადასხვა შემსრულებელზე შეგნებულად დავიწყე საუბარი. ამ ამბებზე რეალური წარმოდგენა მხოლოდ ჰოსპიტალში გადასვლის შემდგომ შემექმნა. მანამდე მხოლოდ ყურმოკვრით ვიცოდი.

ოლქის ყველა ბატალიონიდან, საპატიმროებიდან და სხვა სამხედრო რაზმებიდან სწორედ ზემოთ აღნიშნულ ორ პალატაში შემოჰყავათ შპიცრუტენებით დასჯილი მსჯავრდადებულები.

პირველ ხანებში, როცა ყველაფერს, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, ჯერ კიდევ ხარბად ვაკვირდებოდი, ამგვარი უცნაური წესები, ყველა ეს დასჯილნი თუ დასჯის მომლოდინენი, ბუნებრივია, ჩემზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. აღელვებული, შემკრთალი და შეშინებული ვიყავი. მახსოვს, მაშინვე გამიჩნდა დაუცხრომელი სურვილი ჩემთვის ახალი მოვლენების ყოველ წვრილმანში გავრკვეულიყავი, ამ თემაზე სხვა პატიმრების აზრი მომესმინა. თავადაც ვსვამდი კითხვებს, ყველა მოვლენის, მათ შორის, განაჩენისა და აღსრულების ყველა ნიუანსის ახსნას ვცდილობდი; ბუნებრივია, ამ ყველაფერზე თავად პატიმრების აზრი მაინტერესებდა. საწამებლად გაყვანილთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის წარმოდგენას ვცდილობდი.

უკვე აღვნიშნე, დასჯის წინ გულგრილი თითქმის არავინაა, მანამდე ბევრჯერ ნაცემიც კი. დასასჯელს, როგორც წესი, იპყრობს რაღაც მძაფრი, მაგრამ წმინდა ფიზიკური, უნებლიე და დაუძლეველი შიში, რომელიც ადამიანის მთელ მეობას იმორჩილებს. საპყრობილეში ცხოვრებისას ძალაუნებურად სულ ვაკვირდებოდი იმ ბრალდებულებს, რომლებიც სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ ჰოსპიტალიდან ზურგის მოშუშებისთანავე ეწერებოდნენ, რათა მეორე დღესვე მოეხადათ კონფირმაციით მისჯილი გაჯოხვის დანარჩენი ნახევარი. სასჯელს ყოველთვის ექიმის დასკვნით ყოფდნენ; თუ პატიმარი ბევრ დარტყმას ერთბაშად ვერ გაუძლებდა, მას ორად და სამადაც კი ანაწილებდნენ, იმის მიხედვით, ექიმი უშუალოდ დასჯის დროს რას იტყოდა. სხვაგვარად რომ

ვთქვით, რამდენად შეძლებდა მსხვერპლი მწყობრში სიარულს, ანუ მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა თუ არა. როგორც წესი, პატიმარს ხუთასს, ათასს, ათასხუთასსაც კი ერთბაშად დაჰკრავენ ხოლმე; მაგრამ თუ განაჩენი ორ, სამ ათასს ითვალისწინებდა, მაშინ ორ-სამჯერადაც კი გაჰყავდათ საწყლები. პირველი ნახევრის შემდეგ ბურგმოსულები ჰოსპიტლიდან ეწერებოდნენ, რათა მეორე ნახევრის ქვეშ გაეტარებინათ; ისინი, რასაკვირველია, გაწერისას და წინააღმდეგობა მოლუშულები, პირქუში და კრიჭაშეკრულნი იყვნენ. გონების ერთგვარი დაჩლუნგება, არაბუნებრივი დაფანტულობა ემჩნეოდათ.

ასეთებს საუბარზე ვერ დაიყოლიებთ, ისინი დუმილს ამჯობინებენ; საინტერესო ისაა, რომ მათ სხვა პატიმრები არ აწუხებდნენ, მითუმეტეს, კრინტს არავინ სძრავდა მომავალ წამებაზე. არავითარი ზედმეტი სიტყვა, არავითარი ნუგეშისცემა; უფრო პირიქით იყო, ცდილობდნენ საერთოდ არ მიექციათ ყურადღება. პატიმრებს ეს დაუწერელი კანონი მოსწონდათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც იყვნენ... მაგალითად, ზემოთ ნახსენები ორლოვი. სასჯელის პირველი ნახევრის მოხდის შემდეგ, მას ბურგი ნელა უხორცდებოდა და, აქედან გამომდინარე, დარჩენილ სასჯელს სწრაფად ვერ მოიხდიდა; გადასახლებაში ყოფნისას ის გზიდან გაქცეულა. ემოციური და პრინცი პული, მიზანმიმართული კაცი იყო. ღმერთმა უწყის, რა უტრიალებდა თავში. აშკარად კმაყოფილი და ერთობ აღგზნებული ჩანდა. თუმცა გრძნობების დამალვას ცდილობდა... საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ სასჯელის პირველი ნახევრის წინ ფიქრობდა, ჯოხებს ვერ გადაურჩებოდა და სასიკვდილოდ იყო განწირული. გასამართლებამდე უფროსების სიმკაცრეზე ათასი რამ სმენოდა; უკვე მაშინ ემზადებოდა სიკვდილისთვის, მაგრამ პირველ ნახევარს რომ გაუძლო, გამხნევდა.

ჰოსპიტალში ცოცხალმკვდარი მოიყვანეს. ამნაირი საშინელი წყლულები სიცოცხლეში არ მენახა; თუმცა გონზე მოსულს გადარჩენის იმედი მიეცა, ფიქრობდა, რომ მოარული ხმები რეალობას არ შეესაბამებოდა; რაკი ჯოხებს გადაურჩა, უკვე ოცნებობდა გაქცევაზე, თავისუფლებაზე, ტყეებზე, მინდვრებზე... მაგრამ სასჯელის მეორე ნახევრმა ბო-

ლო მოუდო, იმავე საწოლზე მოკვდა, თავიდან რომ იწვა. ამაზე ზემო-
თაც ვთქვი.

და მაინც, პატიმრები, რომლებიც დასჯის მოლოდინში საშინლად
ღელავდნენ, თვით დასჯის პროცესს ვაჟკაცურად იტანდნენ, ყველაზე
სულმოკლევების ჩათვლით. პირველ ღამესაც კი, რაც უნდა ნაცემები
ყოფილიყვნენ, მათგან კვნესას იშვიათად თუ გაიგებდით; ზოგადად,
ადამიანს ტკივილის დათრგუნვა შეუძლია. ტკივილზე ყველას ვკვირდებო-
ბოდი. სრულყოფილ პასუხს ვეძებდი. რამდენად მწარეა? ბოლოს და
ბოლოს, რას შეიძლება შეადარო? ღმერთმანი, ვერ აგისხნით, ეს ყვე-
ლაფერი რაში მჭირდებოდა. ერთი რამ ცხადად მახსოვს: ეს არ იყო ფუ-
ჭი ცნობისმოყვარეობა; მე ხომ აღელვებული და შეძრწუნებული ვიყა-
ვი! ვის არ ვკითხე, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერავისგან
მივიღე: გწვავს, თითქოს ცეცხლი შეგინთესო, სულ ესაა, რისი გაგებაც
მოვახერხე; ყველა ამას იმეორებდა.

ჰოსპიტალში მისვლისთანავე მ.-ს დავუახლოვდი, იმასაც იმავე
კითხვით გავუწყალე გული. „გტკივა, მეუბნებოდა ის, ძლიერ გტკივა.
გრძნობ გწვავს, ცეცხლივით; ზურგი თითქოს ძლიერ ცეცხლზე გეწვის“.
მოკლედ, ყველაფერს ერთი სიტყვით გამოხატავდნენ. თუმცა მახსოვს,
მაშინვე გამოიკვეთა ერთი უცნაურობა, რომლის უტყუარობას მაინ-
ცდამაინც ვერ დავიჩინებ, მაგრამ ამას ზურგს უმაგრებს თვით პატიმრე-
ბის საერთო აზრი: თუ დიდი რაოდენობით როზგები მოგისაჯეს, ეს ყვე-
ლანაირ წამებაზე უარესია. ერთი შეხედვით, შესაძლოა ეს უაზრო და
დაუჯერებელიც მოგეჩვენოთ. მაგრამ ხუთასი როზგით, თუნდაც ოთხა-
სითაც, შეიძლება სული ამოართვა კაცს, ხუთასს ზევით კი ეს თითქმის
გარდუვალაია. ათას როზგს ერთად ძლიერი აგებულების ადამიანიც
ვერ გაუძლებს. მაშინ, როცა ხუთასი ჯოხი სიცოცხლისთვის საშიში არ
არის. ათას ჯოხს შეიძლება სუსტმა ადამიანმაც კი გაუძლოს. საშუალო
ძალისა და ჯანსაღი აგებულების კაცს ორი ათასი ჯოხიც ვერაფერს და-
აკლებს. ყველა პატიმარი აღიარებდა, როზგი ჯოხზე უარესიაო. „როზგი
უფრო მაგარია, ამბოდნენ ისინი, უფრო მაწამებელია“.

რა თქმა უნდა, რობგი ჯოხზე უარესია, უფრო მწვავედ გაღიზიანებს, უფრო მძაფრად მოქმედებს ნერვებზე, უზომოდ, წარმოუდგენლად აღაგზნებს და შესძრავს ადამიანს. არ ვიცი, ახლა რა ხდება, მაგრამ არც თუ ისე შორეულ წარსულში იყვნენ ჯენტლმენები, რომლებსაც მსხვერპლის გაროზგვის შესაძლებლობა აგრძნობინებდა იმგვარ რამეს, მარკიზ დე სადს და მარკიზა დე ბრენვილიეს (მარი მადლენ დრიო დ'ობრე, იგივე მარკიზა დე ბრენვილიე)რომ გაგახსენებთ. ვფიქრობ, ამ შეგრძნებაში არის რაღაც ისეთი, რაც ამ ჯენტლმენებს ტკბილი და თან მწვავე ტკივილით უჩქროლებს გულს. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ვეფხვივით მუდამ სისხლი სწყურიათ. ვისაც ერთხელ მაინც განუცდია განუსაზღვრელი ბატონობა ქრისტეს კანონით მასსავით შექმნილ მოყვასის სხეულზე, სისხლსა და სულზე, ღვთისგან გაჩენილ თავისსავე მსგავსს უზომოდ დამცირების სრული შესაძლებლობა მისცემია, ის უკვე როგორღაც საკუთარი შეგრძნებების მონა ხდება.

ტირანია ჩვეულებაა, რომელიც განვითარების თავის გზას გადის და ბოლოს, ავადმყოფობად იქცევა. ჩემი აზრით, ჩვეულებამ შეიძლება საუკეთესო ადამიანიც გააუხეშოს და იქამდე გადააგვაროს, რომ მხეცისგან ვეღარ გაარჩიოთ. სისხლი და ძალაუფლება ადამიანს ათრობს, სიტლანქესა და გახრწნილებას უღვივებს: ყველაზე არანორმალური მოვლენები გრძნობა-გონებისთვის მისაღები, დაბოლოს, დამატკბობელიც კი ხდება. ტირანში ადამიანი და მოქალაქე სამუდამოდ კვდება; მისთვის ადამიანური ღირსებისკენ, მონანიებისა და აღდგომისკენ შემობრუნება თითქმის შეუძლებელია. ამავე დროს, ამგვარი თავნებობის მაგალითი მთელ საზოგადოებაზე გადამდებად მოქმედებს: ასეთი ძალაუფლება მაცდურია. საზოგადოება, რომელიც გულგრილად უყურებს ტირანიას, საფუძველშივე დასნეულებულია. ერთი სიტყვით, ერთი ადამიანის მიერ მეორის ფიზიკურად დასჯის უფლება, ჩვენი საზოგადოების წყლულია, ერთ-ერთი უძლიერესი საშუალებაა ჩანასახშივე მოსპოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ყოველგვარი მცდელობა და მის გარდაუვალ გადაგვარებას საფუძველი შეუქმნას.

აკი საზოგადოებას ჯალათი სძულს, მაგრამ განა ჯალათი-ჯენტლმენი არაა?! ამაზე ახლახანს გამოთქვეს საპირისპირო აზრი, თანაც მხოლოდ წიგნებში, განყენებულად. ჯერჯერობით შორს ვართ იმისგან, რომ თვითმპყრობელური ჟინი ყველამ ჩაიკლას. თუნდაც ყოველი ფაბრიკანტი, ანტრეპრენიორი უთუოდ უნდა გრძნობდეს ერთგვარ გამაღიზიანებელ სიამოვნებას, რომ მასთან დასაქმებული მუშა ზოგჯერ თავისი ოჯახით მთლიანად მასზეა დამოკიდებული. დიახ, რეალურად სწორედ ასეა; თაობებს უჭირთ გათავისუფლდნენ იმისგან, რაც მემკვიდრეობით ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. ადამიანს დრო სჭირდება, რომ უარი თქვას იმაზე, რაც სისხლში აქვს, რაც, როგორც იტყვიან, დედის რძესთან ერთად შეუსისხლხორცებია. ამგვარი სახელდახელო გადატრიალება შეუძლებელია. გააცნობიერო წინაპართა დანაშაული და ცოდვა, ჯერ კიდევ ცოტას ნიშნავს; საჭიროა სავსებით გათავისუფლდე მისგან. ეს კი უცებ როდი ხდება.

ზემოთ ჯალათზე ვლაპარაკობდი. ჩანასახის სახით ჯალათის თვისებები თითქმის ყველა თანამედროვე ადამიანშია; მაგრამ ადამიანის ველური თვისებები თანაბრად როდი ვითარდება. თუ განვითარების გზაზე ცხოველურმა საწყისმა ყველა დანარჩენ თვისებებს სძლია, ასეთი ადამიანი, რა თქმა უნდა, საშინელი და შემზარავია. არსებობენ ორგვარი მოდგმის ჯალათები: ერთნი ნებაყოფლობითნი, მეორენი შემთხვევითნი, იძულებითნი.

ნებაყოფლობით ჯალათი, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ დაბლა დგას იძულებითზე. ის ხალხს საშინელ, შეუცნობელ, ლამის მისტიკურ თავზარდაცემამდე ეზიზღება. საიდანაა ამგვარი, რაღაც ცრურწმენისმაგვარი შიში ერთი ჯალათისადმი და იშვიათი გულგრილობა, თითქმის სიმპათია მეორისადმი? ამასთან დაკავშირებით უცნაური მაგალითების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით. ბევრ კეთილ, პატიოსან, საზოგადოებაში პატივცემულ ადამიანს ვიცნობდი, რომლებიც, ვთქვათ, ვერ იტანდნენ თუ პატიმარი როზგებქვეშ არ ჰყვიროდა, არ ეხვეწებოდა, შეწყალებას არ სთხოვდა. მაშ, როგორ? დასჯისას დამნაშა-

ვე უთუოდ უნდა ყვიროდეს და შველას ითხოვდეს. ასეა მიღებული, ეს ელემენტარული აუცილებლობა და წესიერებაა!

მახსოვს, ერთმა მსხვერპლმა არ იყვირა. ამის გამო, აღმასრულებელი, რომელიც, მეორე მხრივ, შეიძლება კეთილ ადამიანადაც ჩაგეთვალათ, ნაწყენი დარჩა. დასაწყისში უნდოდა პატიმარი შეძლებისდაგვარად მსუბუქად დაესაჯა, მაგრამ რაკილა მისგან, ჩვეულებისამებრ, ვერ გაიგო: „თქვენო კეთილშობილებავ! მშობელო მამავ! შემიწყალეთ, საუკუნოდ თქვენთვის ვილოცებ!..“ გაგულისდა და კიდევ ორმოცდაათი როზგი დაუმატა, რათა ყვირილისა და ხვეწნისთვის მიეღწია მიაღწია კიდევ. „დაუშვებელია, ურჩობა გახლავთ“, მპასუხობდა ძალზე სერიოზულად.

რაც შეეხება იძულებით ჯალათს, ცნობილია, რომ ამ ფუნქციას, წესისამებრ, მსჯავრდადებული და გადასახლებაშიმსჯილი პატიმარი ასრულებს; თავდაპირველად გასაწვრთნელად მას სხვა ჯალათს აბარებენ. როცა დახელოვნდება, სამუდამოდ ციხეში ტოვებენ; ცალკე კვებავენ, ოთახში მარტო აცხოვრებენ, უფლებას აძლევენ თავისი მეურნეობაც კი ჰქონდეს; მაგრამ ყოველთვის მეთვალყურეობენ. რა თქმა უნდა, ადამიანი ცოცხალი მანქანა როდია; ჯალათი, მართალია, მოვალეობის გამო სცემს, მაგრამ ხანდახან ისე შედის აზარტში, რომ ერთგვარ სიამოვნებასაც კი განიცდის, თუმცა მსხვერპლისადმიპირადი სიძულვილი თითქმის არასოდეს ამოძრავებს. მარჯვედ მოქნევა, საკუთარი საქმის ცოდნა, ამხანაგებისა და მაცურებლის წინაშე თავის გამოჩენის სურვილი თავმოყვარეობას უღიზიანებს. უნდა, რომ ნახელავი არავინ დაუწუნოს ხელოვნების გამო ზრუნავს. თუმცა მშვენივრად იცის, ყველა რაღაც ცრურწმენის მსგავსი შიშით ხვდება და აცილებს; დარწმუნებით ვერ ვიტყვით, ამას ზეგავლენა არ ჰქონდეს მასზე, არ უძლიერებდეს გააგებას, მხეცურ მიდრეკილებას; ბავშვებმაც კი იციან, რომ მან „დედმამა უარყო“. უცნაურია, ყველა ჩემი ნაცნობი ჯალათი ძალზე ამპარტავანი, განვითარებული, აზრიანი და ჭკვიანი იყო. რამ გამოიწვია ეს უკიდურესი ამპარტავნობა? იქნებ ეს საყოველთაო ზიზღის საპასუხო რეაქცია იყო, ან თვითრწმენა, რომ შიშის ზარს სცემდა მსხვერპლს და მისი

სული ხელით ეჭირა? არ ვიცი. სრულიად შესაძლებელია, გარემოს საბეიმო თეატრალური იერი ემაფოტბე ხალხის წინაშე გამოჩენა აძლიერებდეს მათში ქედმაღლობის განვითარებას.

ერთხანს შესაძლებლობა მქონდა ხშირ-ხშირად შევხვედროდი და ახლოდან დავკვირვებოდი ერთ ჯალათს. საშუალო ტანის კაცი იყო, ხმელ-ხმელი, დაკუნთული, ასე ორმოცი წლის, თმახუჭუჭა, საკმაოდ სასიამოვნო და ჭკვიანური გამომეტყველება ჰქონდა. ყოველთვის მეთისმეტად მედიდური და მშვიდი; გარეგნულად ჯენტლმენურად ეჭირა თავი; ყოველთვის მოკლედ, გონივრულად, ალერსიანადაც კი მპასუხობდა, მაგრამ ერთგვარი სიამაყით, თითქოს რაღაცას მეყოფოჩებოდა. ჩემი თანდასწრებით დაცვის ოფიცრები, ღმერთმანი, თითქმის პატივისცემითაც ესაუბრებოდნენ. ის გრძნობდა ამას და უფროსთან ორმაგად თავაზიანად, გულცივად და საკუთარი ღირსების გრძნობით იქცეოდა.

უფროსიც თბილად ეკიდებოდა. რაც უფრო ვარგად ექცეოდა უფროსი, მით უფრო ურჩობდა თვითონ, თუმცა ნატიფი თავაზიანობის ტონს ოღნავადაც არ ღალატობდა; დარწმუნებული ვარ, საკუთარ თავს უფროსზე გაცილებით მაღლა აყენებდა. ეს სახეზეც ეჩერა.

ხანდახან, ზაფხულის რომელიმე ხვატიან დღეს, წვრილ, გრძელ ჭოკს მისცემდნენ ხელში, ბადრაგს გააყოლებდნენ და უფროსობის ბრძანებით ქალაქში ძაღლების დასახოცად გზავნიდნენ (უპატრონო ძაღლები არაჩვეულებრივი სისწრაფით მრავლდებოდნენ და არდადეგების დროს საშიშნი ხდებოდნენ). ჯალათს, ასეთი არასაპატიო დავალება სრულიად არ ამცირებდა. უნდა გენახათ, არაქათგამოცლილი ბადრაგის თანხლებით, რა დიდი ამბით დააბიჯებდა ქალაქის ქუჩებში, როგორ ფრთხებოდნენ ბავშვები და ქალები მის დანახვაზე, როგორ მშვიდად და ქედმაღლურად უყურებდა ყველა შემხვედრს.

უნდა ითქვას, ჯალათებს ლალი ცხოვრება აქვთ: ფული, საჭმელი და ღვინო არ აკლიათ. ფულს მექრთამეობით შოულობენ; სამოქალაქო ბრალდებული, რომელსაც სასამართლომ დასჯა გადაუწყვიტა, ტყავში გაძვრება და დასჯამდე რამეს, თუნდაც უკანასკნელ ლუკმას, მაინც აჩუქებს ჯალათს. მდიდარ ბრალდებულებს კი, მათი შესაძლებლობის მი-

ხედვით, თვითონვე ართმევენ; კაი ოცდაათ მანეთამდე იღებენ, ზოგჯერ უფრო მეტსაც. ძალიან მდიდარს მეტად ევაჭრებიან: სულმთლად დაუსჯელად ვერ გაუშვებს ჯალათი, ამის გამო თავისი ზურგით აგებს პასუხს. სამაგიეროდ, გარკვეულ ფასად ჰპირდება: შედარებით ნელა გცემო. თითქმის ყოველთვის თანხმდებიან; თუ არა და მართლაც ბარბაროსულად სჯის, რაც, რასაკვირველია, მის ნებაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ღარიბ ბრალდებულსაც მნიშვნელოვან თანხას აკისრებს. ბრალდებულის ნათესავები მოდიან, ევაჭრებიან, მუხლებზე უჩოქებენ, და, ვაი მათი ბრალი, თუ მისი მადა ვერ დააკმაყოფილეს. ამგვარ სიტუაციაში ძალიან ეხმარება სხვებში ჩანერგილი ცრურწმენითი შიში. რა საკვირველ ამბებს არ ჰყვებიან ხოლმე ჯალათებზე! თავად პატიმრები მარწმუნებდნენ, ჯალათი კაცს ერთი დაკვრით კლავსო. ამის მაგალითი არ არსებობს, თუმცა რა, შეიძლება ასეც იყოს. ამას მეტად დამაჯერებელი ტონით ამბობდნენ. თავად ჯალათიც მარწმუნებდა, დიახ, ეს რა პრობლემააო! იმასაც ამბობდნენ, შეუძლია მსხვერპლს გამეტებით დაარტყას ზურგზე, მაგრამ სულ პატარა იარაც არ დააჩნოს, ტკივილიც არ აგრძნობინოსო. თუმცა, მთელ ამ ფოკუსებსა და დახვეწილობაზე ბევრი რამაა ცნობილი. მაგრამ მსუბუქად დასჯისთვის კიდევაც რომ აიღოს ქრთამი, პირველად მაინც მთელი ძალ-ღონით დაჰკრავს. მათ შორის ეს მოდის! მომდევნო დარტყმებს ანელებს, მით უმეტეს, თუ ფული უკვე აღებული აქვს. მაგრამ პირველი დარტყმა, სულ ერთია, მოსყიდულია თუ არა, მისია. არ ვიცი, ასე რატომ იქცევიან. იქნებ იმიტომ, მსხვერპლი შემდეგ დარტყმებს შეაჩვიონ, ანდა უბრალოდ მსხვერპლის წინაშე კუდაბზიკობს, უნდა ერთბაშად დასცეს შიშის ბარი, სწრაფად გამოიჩინოს თავი. ყოველ შემთხვევაში, დასჯის დაწყების წინ ჯალათი აღგზნებულია, საკუთარ ძალას გრძნობს, თავი მბრძანებლად მიაჩნია; იმ წუთში ის მსახიობია, ხალხი კი დაბნეული და შეშინებულია. რა თქმა უნდა, პირველი დარტყმის წინ თავის მსხვერპლს სიამოვნებით შესძახებს: „გამაგრდი, დაგჟეჟავ!“ ეს ასეთ დროს მიღებული საბედისწერო სიტყვებია. ძნელი წარმოსადგენია, სადამდე შეიძლება დამახინჯდეს ადამიანის ბუნება.

პატიმრებისგან ეს ამბები ჰოსპიტალში მისვლის პირველ ხანებში მოვისმინე. წოლა ყველას საშინლად მოგვებზრდა. დღეები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს! დილაობით ექიმების მოსვლა ცოტათი გვახალისებდა და შემდეგ სადილი. ჭამა ასეთ ერთფეროვნებაში, ცხადია, მნიშვნელოვან გასართობს წარმოადგენდა. ყველას ავადმყოფობის შესაფერისი ულუფა გვქონდა დანიშნული. ერთს რაღაც ბურღულით შეზავებულ სუპს აძლევდნენ, მეორეს ბრინჯის ფაფას, მესამეს მხოლოდ მანანისას, რომელსაც ყველაზე მეტი მუშტარი ჰყავდა. ხანგრძლივი წოლით განებივრებულ პატიმრებს პირის ჩაკოკლოზინება უყვარდათ. გამოჯანმრთელებულ ან ისედაც თითქმის ჯანმრთელებს ერთ ნაჭერ მოხარშულ ძროხის ხორცს აძლევდნენ, ანუ „ხარს“, როგორც ჩვენთან ეძახდნენ; ყველას მაინც სურავანდიანების კერძი სჯობდა: ძროხის ხორცი ხახვით, პირშუშხათი და ა.შ., ზოგჯერ არაყი. პურიც ავადმყოფობის მიხედვით ნაწილდებოდა: შავი ან ნახევრადთეთრი, რიგიანად გამომცხვარი. საკვების დანიშვნისას ასეთი ოფიციალურობა პატიმრებს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. რა თქმა უნდა, ზოგი დასუსტებული ავადმყოფი არაფერს ჭამდა. სამაგიეროდ, ისეთები, რომლებიც მაღაზე იყვნენ, რასაც უნდოდათ, იმას მიირთმევდნენ.

პატიმრები კერძს ერთმანეთში ცვლიდნენ; ამგვარად, ერთი ავადმყოფისთვის დანიშნულ კერძს სულ სხვა ავადმყოფი ჭამდა. მსუბუქ დიეტაზე მყოფნი ძროხის ხორცს ან სურავანდიანების ულუფას ყიდულობდნენ, არც ბურახსა და ლუდს იკლებდნენ. ზოგი ორი ულუფის შეჭმასაც ახერხებდა. ერთი სიტყვით, ფულით კერძების ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ძროხის ხორცის კერძი საკმაოდ ძვირად ფასობდა; ასიგნაციით ხუთ ვაპიკს ითხოვდნენ. თუ ჩვენთან გაყიდვის მსურველი არ აღმოჩნდებოდა, პატიმართა მეორე პალატაში დარაჯს გზავნიდნენ, ან ჯარისკაცთა პალატებში, „თავისუფლებში“, როგორც ჩვენთან ეძახდნენ, გაყიდვის მსურველები ყოველთვის მოიძებნებოდნენ. ხმელა პურზე გადადიოდნენ, სამაგიეროდ, ფულს აქუჩებდნენ. სიღარიბე, რა თქმა უნდა, საყოველთაო იყო, მაგრამ, ვისაც ცოტაოდენი ფული მაინც ჰქონდა, ბაზარშიც კი გზავნიდა კალაჩის, რაიმე ნუგბარისა და სხვა

სანოვანის საყიდლად. ჩვენი გუშაგები ამგვარ დავალებებს სავსებით უანგაროდ ასრულებდნენ. ნასადილევს ყველაზე მოსაწყენი ჟამი დგებოდა; ზოგი უსაქმურობისგან წაიძინებდა, ზოგი ყბედობდა, სხვა კინკლაობდა, ზოგიც რალაცას ჰყვებოდა.

თუ ახალ ავადმყოფს არ მოიყვანდნენ, მოწყენილობა კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა.

ახალმოსული ყოველთვის ახდენდა ერთგვარ შთაბეჭდილებას, მით უმეტეს, თუ არავინ იცნობდა. აკვირდებოდნენ, ცდილობდნენ გაეგოთ, ვინ არის და რა კაცია, საიდან იყო და რა საქმეზე დაიჭირეს. განსაკუთრებით გადასაგზავნებით ინტერესდებოდნენ; ისინი ყოველთვის რალაც საინტერესოს ყვებოდნენ, თუმცა არა პირადულზე. ამამე თუ თავად არ ჩამოაგდებდა სიტყვას, არასოდეს შეეკითხებოდნენ; უფრო ასეთ რამეებს ეკითხებოდნენ: საიდან მოხვედით? ვისთან ერთად? გზა როგორი იყო? საით გგზავნიან?.. ახალი ამბის მოსმენისას, ზოგი შიგადაშიგ საკუთარი წარსულიდანაც ჩაურთავდა რამეს: მოიგონებდნენ გადაგზავნის ამბებს, პარტიებს, აღმასრულებლებს, პარტიების მმართველებს; შპიცრუტენებით დასჯილებიც ამ დროს, საღამოხანს, მოჰყავდათ. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ისინიც ყოველთვის საკმაოდ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდნენ; მაგრამ ყოველდღე ასე როდი იყო.

იმ დღეს, როცა არავინ ჩანდა, განსაკუთრებული მოწყენილობა იგრძნობოდა, თითქოს ყველა იქმყოფს ერთმანეთის ყურება შეჯავრდაო, ჩხუბიც კი ატყდებოდა-ხოლმე. სიხარულით ხვდებოდნენ სულით ავადმყოფსაც, რომელიც ზოგჯერ თავს იგიჟიანებდა. ზოგს აფერისტობას მალევე უგებდნენ, უფრო სწორად, თავად იცვლიდნენ პოლიტიკას: ორი-სამი დღის ცულლუტობის შემდეგ უცებ ჭკვიანდებოდნენ, მშვიდდებოდნენ და დაჟინებით ითხოვდნენ გაწერას.

არც პატიმრები, არც ექიმები ამგვარ ხრიკზე კრინტს არ სძრავდნენ, არ წამოაძახებდნენ, უხმოდ გაწერდნენ, გააცილებდნენ და ორი-სამი დღის შემდეგ ის უკვე გარობგილი გვიბრუნდებოდა. უნდა ითქვას, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო. მაგრამ გამოსაცდელად მოყვანილი

ნამდვილი გიჟი მთელი პალატისთვის მართლაც რომ ღვთის წყრომა იყო. მხიარულ, ცოცხალ გიჟს, რომელიც გაყვიროდა, დახტოდა და მღეროდა, პატიმრები თავდაპირველად ლამის აღტაცებით ხვდებოდნენ. „აი, სეირი!“ იტყოდნენ რომელიმე ახლადმოყვანილ მანჭიაზე. მე კი ამ უბედურების დანახვა ძალიან მიმიძიმდა. გიჟების შშვიდად ყურებას ვერასდროს ვახერხებდი.

ნამდვილი გიჟის განუწყვეტელი მანჭვა-გრეხა, ახირებული გამოხტომები და სიცილ-ხარხარი ყველას მალე ბებრდებოდა: ორიოდ დღეში მოთმინება ელევოდათ. ერთი გიჟი პალატაში სამ კვირამდე ამყოფეს და იძულებულები ვხდებოდით თავისთვის პალატიდან გაქცევით გვეშველა. თითქოს განგებ, იმ დროს კიდევ ერთი დაგვიმატეს, რომელმაც ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ამბავი კატორღაში ჩემი ყოფნის მესამე წელს მოხდა.

პირველ წელს, უფრო სწორად, ციხეში ჩემი ყოფნის პირველივე თვეებში, გაზაფხულზე, მელუმელეთა ერთ ჯგუფს მიმწოდებლად გამაყოლეს ორ ვერსზე, აგურის ქარხანაში ღუმლები უნდა შეგვეკეთებინა. იმ დილას ქარხანაში მ.ცკიმ და ბ.-მ იქაური ერთი ზედამხედველი გამაცნეს, უნტეროფიცერი ოსტროჟსკი. წარმოშობით პოლონელი, მეტად კეთილი სახის და დარბაისლური იერის კაცი. ციმბირში დიდი ხანია მსახურობდა და მდაბიო წარმოშობის მიუხედავად, მ.-ცკი და ბ.-ი დიდ პატივს სცემდნენ. ოცდაათ წელს ჯარში უბრალო ჯარისკაცად მოვიდა, სულ კათოლიკურ ბიბლიას კითხულობდა. გავესაუბრე. აღერსიანად, ჭკვიანურად ლაპარაკობდა, საინტერესოდ ყვებოდა, კეთილი და პატიოსანი გამოხედვა ჰქონდა. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. მხოლოდ ეგაა, რომ ყური მოვკარი, რაღაც საქმის გამო მისით გამოძიება დაინტერესდაო. და უეცრად, აგერ პალატაში არ მოგვიყვანეს შემლილი?! შემოვიდა კივილით, ხორხოციით და ყველაზე უწესო, ყველაზე კამარინსკული ჟესტებით საცეკვაოდ დაუარა. პატიმრების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, მე კი ისე შემეკუმშა გული... სამი დღეც არ გასულა, ისე შეგვაწუხა, აღარ ვიცოდით, სად ჯანდაბაში გადავკარგულიყავით. კინკლაობდა, ჩხუბობდა, წიოდა, მღეროდა... წარამარა ისეთ საშინელ სი-

საძაგლეს ჩადიოდა, ყველას გული გვერეოდა. არავისი ეშინოდა. გადააცმევდნენ დამაწყნარებელ ცხელ პერანგს, მაგრამ ამით ისევ ჩვენ ვვარდებოდით უარეს დღეში. ყველასკენ იწევდა, ჩხუბს ტეხდა. იმ სამკვირაში ხანდახან მთელი პალატა ერთხმად სთხოვდა მთავარ ექიმს, მეორე პალატაში გადაეყვანა. ორ დღეში იქაც იხვეწებოდნენ, ისევ ჩვენთან გადმოეყვანათ; მაგრამ რაკი ერთბაშად ორი გიჟი გვერგო, ორივე დაუდევარი და ჩხუბისთავი, ორივე პალატა ერთმანეთს

რიგრიგობით უცვლიდა გიჟებს; თუმცა, ორივე ერთმანეთზე უარესი გამოდგა. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ, როცა ისინი, როგორც იქნა, მოგვაშორეს.

კიდევ ერთი ახირებული გიჟი მახსოვს. ერთ ზაფხულს ბრალდებულნი შემოიყვანეს. ასე ორმოცდახუთი წლის ჯანიანი, გარეგნულად მეტად მოუხეშავი ვინმე; მთელი სახე ყვავილისგან დაკენკოდა, წვრილი, დაწითლებული თვალები მოეჭურტა. მეტად დაბლვერილი და მოღუშული კაცის იერი დაჰკრავდა. ჩემ გვერდით მოთავსდა. ერთობ უწყინარი ვინმე კი გამოდგა. კაციშვილს არ დალაპარაკებია, თავისთვის იყო, თითქოს ერთთავად რაღაცას ფიქრობსო. ბინდდებოდა, უცებ პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის გარეშე, მომმართა, მაგრამ ისეთი სახით, ვითომ დიდ საიდუმლოს მიმხელდა: ამ დღეებში ორი ათასი ჯოხი მომელის, მაგრამ ახლა ამას გადავურჩები, რადგან ჩემთვის პოლკოვნიკ გ.-ს ქალიშვილი ზრუნავსო. გაკვირვებით შევხედე და მივუგე: ამაში პოლკოვნიკის ქალიშვილი ვერ დაგეხმარება-მეთქი. ჯერ ვერაფერს ვხვდებოდი; უნდა ითქვას, რომ ის გიჟის დიაგნოზით არ მოუყვანიათ. ვკითხე, რა გჭირთ-მეთქი, მომიგო, არ ვიცო, რატომღაც აქ გამომგზავნეს, საფსებით ჯანმრთელი ვარო, თან დასძინა, პოლკოვნიკის ქალიშვილი ჩემზე შეყვარებულიაო; ერთხელ, ორი კვირის წინ, საკნის წინ ჩამოიარა, ზუსტად იმ დროს იღბლად გავიხედე გისოსიან სარკმელშიო. ქალს რაწამს თვალი მოეკრა, მაშინვე შეჰყვარებოდა. მას შემდეგ, სხვადასხვა საბაბით, სამჯერ მისულა საკანში; პირველად მამასთან ერთად გამოველო ძმასთან, ოფიცერთან, რომელიც იმ დროს დაცვაში მდგარიყო. მეორედ დედას მოჰყოლოდა, მოსაკითხი მოეტანა და, გვერდით რომ

ჩაუარა, უჩურჩულა, მიყვარხარ და დაგიხსნიო. გაგიკვირდებოდათ, რა განსაცვიფრებელი წვრილმანებით მიაშობდა მთელ ამ აბდაუბდას, რაც, რა თქმა უნდა, მისი არეული ბედშავი გონების ნაყოფი იყო. რასაკვირველია, დარწმუნებული იყო, რომ დასჯას გადაურჩებოდა. მისდამი ქალიშვილის დაუოკებელ სიყვარულზე დინჯად, დარწმუნებით ლაპარაკობდა. უნდა ითქვას, რომ ამ ორმოცდაათს მიტანებული, ნაღვლიანი და მახინჯი კაცისგან შეყვარებული ქალიშვილის რომანტიკული ისტორია უცნაური მოსასმენი იყო.

არც მეტი, არც ნაკლები, ამ კაცს გონება დასჯის შიშმა აურია. შესაძლოა, სარკმლიდან მართლაც დაინახა ვინმე და სიგიჟემ, რომელიც შიშის გავლენით თანდათან უძლიერდებოდა, ერთბაშად გამოსავალი იპოვა, თავისი ფორმა მონახა. ამ უბედურმა ჯარისკაცმა, რომელსაც, ეგებ, თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ უფიქრია ქალწულებზე, ინსტინქტურად მთელი რომანი შეთხზა, რათა თუნდაც ამ ხავსს ჩასჭიდებოდა. წყნარად ვუსმენდი და ჩემი აზრი სხვა პატიმრებსაც გავუზიარე. მაგრამ, როცა ისინი ჩააცივდნენ, კეთილგონივრულად დადუმდა. მეორე დღეს ექიმი დიდხანს ეკითხებოდა ჯანმრთელობაზე, მაგრამ რაკი უთხრა, არაფერი მტკივაო და გასინჯვამაც დაადასტურა, გაწერეს; მაგრამ ფურცელში თურმე sanat რომ ეწერა, გვიან გავიგეთ, ექიმები იქ აღარ იყვნენ. ამგვარად, მათთვის საქმის ნამდვილი არსის გაცნობა ვერ მოვახერხეთ. ბოლომდე ვერ გავერკვიეთ, რა ხდებოდა. თურმე ყველაფერი უფროსების შეცდომას გამოეწვია. მათ ექიმებს არ უთხრეს, რატომ აგზავნიდნენ. ერთი სიტყვით, დაუდევრობას ჰქონდა ადგილი, ანდა შესაძლოა, ისინიც ეჭვობდნენ, ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებულნი მის სიგიჟეში, შესაძლოა, მოარულ ხმებს აჰყვნენ და დიაგნოზისთვის გამოგზავნეს. ასე იყო თუ ისე, ის უბედური ორ დღეში დასასჯელად გაიყვანეს. ეტყობა, სახტად დარჩა მოულოდნელობისგან; უკანასკნელ წუთამდე ვერ დაეჯერებინა, რომ დასჯას უპირებდნენ და, როცა მწყობრშუა გაატარეს, ყვიროდა: „დაცვა!“ ჩვენს პალატაში აღარ დაუწვინიათ, თავისუფალი საწოლი არ იყო. სხვაგან მოათავსეს. მის ამბავს ვკითხულობდი. მითხრეს, რომ რვა დღე სიტყვა არავისთვის უთ-

ქვამს. ზურგი რომ შეუხორცდა, დარცხვენილ-დადარდიანებული სადღაც გადაგზავნეს. მასზე აღარაფერი მსმენია.

რაც შეეხება საერთოდ მკურნალობასა და წამლებს, რამდენადაც მივხვდი, მსუბუქი ავადმყოფები ექიმის მითითებებს თითქმის არ ასრულებდნენ, არც წამლებს იღებდნენ, მაგრამ მძიმე ავადმყოფები მკურნალის ყველა დანიშნულებას ზედმიწევნით ასრულებდნენ: წესიერად წამლობნენ მიქსტურებითა და ფხვნილებით, თუმცა ყველაზე მეტად მკურნალობის გარეგანი საშუალებანი მოსწონდათ. კოტოშები, წურბელები, სისხლის გამოშვება და ცხელი საფენები უყვართ და სწამთ ჩვენებურ მდაბიობეს, ხალისითა და სიამოვნებით თანხმდებოდნენ მკურნალობის ამ მეთოდებზე.

ერთმა უცნაურმა გარემოებამ დამაინტერესა. სწორედ ეს ადამიანები, რომლებიც ასეთი მოთმინებით იტანდნენ ჯოხებისა და როზგებისგან მიყენებულ უმწვავეს ტკივილებს, ხშირად წუწუნებდნენ, იმანჭებოდნენ და კვნესოდნენ კიდევ რაღაც კოტოშებისგან. არ ვიცი, ეს რით აიხსნება, მეტისმეტად განაზდნენ, თუ უბრალოდ მეტიჩრობდნენ. ხელსაწყო, რომელიც წამში სჭრის კანს, ოდესღაც ფერშალმა სადღაც გააქრო თუ გააფუჭა, ან, შესაძლოა, თვითონ გაფუჭდა; ახლა იძულებულნი იყვნენ კანი ლანცეტით დაესერათ. თითოეული კოტოშისთვის კანს თორმეტ ადგილასისერავდნენ. ხელსაწყოთი ეს ოპერაცია შედარებით უმტკივნეულოა. თორმეტი დანა ერთად რომ დაგკრავს, ტკივილს ვერც იგრძნობ. მაგრამ ლანცეტით დასერვა სხვაა. ლანცეტი გაცილებით უფრო ნელა ტრის; ტკივილს გრძნობ; მაგალითად, ათი კოტოშისთვის ასოცი ამგვარი ნასერი იყო საჭირო. ეს, რასაკვირველია, მტკივნეულია. მეც გამოვცადე. უსი ერთგვარი ჭურჭელი, რომლითაც სისხლი გამოიწოვება, გაჭრილ კანზე პირით ადგამენ. მასში ჰაერი გაუხშობებულია, ამოვწო შეგრძნებაა, მაგრამ არა იმდენად, რომ ვაი-ვიში ატეხო და ვერ მოითმინო. ზოგჯერ სასაცილოც კი იყო, რომელიმე დევეკაცი როგორ იგრიხებოდა და სლუკუნებდა. საერთოდ, ეს შეიძლება შეადარო იმას, როცა რომელიმე ჭკვიანი კაცი სერიოზულ საქმეს გონივრულად და კარგად უძღვება, მაგრამ უსაქმურობისგან შინ ჭირვეულობს,

რაგინდ კარგი კერძი მიუტანო, არ შეჭამს, ილანძღება. თითქოს ყველა მის წყენინებას ცდილობდეს, ყველა უხეშად ექცეოდეს... ერთი სიტყვით, ქონი აწუხებსო, იტყვიან ხოლმე მსგავს ვაჟბატონებზე. ასეთები, სხვათა შორის, მდაბიოთა შორისაც გვხვდებიან. არც ჩვენი საპყრობილე იყო გამონაკლისი.

ამგვარ აზიზს პალატაში თავისიანები აღიზიანებდნენ, ზოგი ლანძღავდა კიდევ. ისიც თითქოს სწორედ ამას ელოდაო, მაშინვე ხმას ჩაიკმენდა. ასეთებს ყველაზე მეტად უსტიანცევი ვერ იტანდა. შემთხვევას არ გაუშვებდა, რომელიმე აზიზზე ჯავრი არ ეყარა. უსტიანცევი ისედაც კონფლიქტური იყო. ჩხუბი სიამოვნებდა. ცხადია, ავადმყოფობის, ნაწილობრივ, გონებაშებლუდულობის გამოც. დასაწყისში ვინმეს სერიოზულად და დაჟინებით უყურებდა და მერე რაღაც მშვიდი, დარწმუნებული ტონით ჭკუის დარიგებას დაუწყებდა. ყველაფერში ერეოდა. თითქოს წესრიგის ან საყოველთაო ზნეობის დასაცავად მიუჩენიათო, ყველგან ცხვირს ყოფს, იცინოდნენ პატიმრები. ეცოდებოდათ, მისი თანდასწრებით უხამს სიტყვას არ იტყოდნენ, ხანდახან თუ გაიცინებდნენ, ეს იყო და ეს.

თქვა, მარა რა თქვა! სამი უღელი ხარ-კამეჩი ვერ დაძრავდა!

რა ვთქვი? სულელს არ ებოდინებებიან; ლანცეტმა როგორ ააღრი-ალა? თაფლის ჭამა თუ გიყვარდა, ნურც ის გიკვირს, რომ ჩაგმწარდა, მოთმინება, ბიძიკო.

მერედა შენ ვითომ რაღაო?

არა, ძმებო, გააწყვეტინა ერთმა ჩვენმა პატიმარმა, კოტოშები რა ბედენაა. გამომიცდია; ყურის მაგრად აწევა უფრო მტკივნეულია.

ყველას გაეცინა.

შენ რა, აგიწიეს?

დიახ! აბა, შენ რა გეგონა?

მაგიტომაც გაქვს გრძელი ყურები!

ამ ახალგაზრდა პატიმარს, შაპკინს, მართლაც მეტისმეტად ფართუნა, აქეთიქით ჩამოყრილი ყურები ჰქონდა. ყოფილი მაწანწალა, საქმიანი და წყნარი, ყოველთვის რაღაც სერიოზული, ფარული იუმო-

რით ლაპარაკობდა, რაც მის ნათქვამს ზოგჯერ მეტად კომიკურს ხდიდა.

საიდან უნდა მეფიქრა, რომ შენ ყურს გიწევდნენ? ისევ ჩაერია უსტიანცევი და გაგულისებული მიმართავდა შაპკინს. თუმცა ამ უკანასკნელის სიტყვები უსტიანცევს კი არა ყველას ეკუთვნოდა; მაგრამ შაპკინმა ზედაც არ შეხედა.

ყურს ვინ გიწევდა? შეეკითხა ვილაც.

ვინა? ვინა და მაზრის პოლიციის უფროსი; ეგ, ძმებო, მაშინ იყო, როცა მაწანწალა ვიყავი. მივედით ჩვენ მაშინ კ.-ში, ორნი, მე და კიდევ მეორე მაწანწალა, ეფიმ უსახელო.

გზად, ტოლმინოში ერთ გლეხთან, ხელი მოვიტბეთ. არის ასეთი სოფელი ტოლმინო. მივედით და აქეთ-იქით ვიყურებოდით საკბილოს ვეძებდით. დაილოცოს სოფელი, ქალაქს როდი ჰგავს. და ასე, პირველად პატარა სამიკიტნოში შევედით. მივიხედ-მოვიხედეთ: ერთი ვილაც გაკოტრებული მოგვიახლოვდა. იდაყვებგამოხეული, გერმანულ სამოსში. მიედ-მოედო აქეთურს-იქითურს...

დოკუმენტების საქმე როგორ გაქვთო, გვეკითხება.

არა გვაქვს-თქო, მივუგეთ, უდოკუმენტებოდ ვართ-თქო.

ჩვენც აგრე ვართო. აქ კიდევ ორი ძმაკაცი მყავსო, გვეუბნება, ისინი გენერალ კუკუშკინთან მსახურობენო. ჰოდა, ერთ რამეს გაგიბედავთ: აგერ, ცოტა წავიქეიფეთ და ხელმოკლედაც ვართ ჯერ-ჯერობით. ნახევარ შტოფზე უარს ნუ მეტყვით.

დიდი სიამოვნებით-მეთქი. ჰოდა, დავლიეთ. მაშინ ერთი სახეირო, ნამდვილად საჩვენო საქმე გაგვანდეს. ქალაქის განაპირას ერთი სახლი იდგა. შიგ ერთი მდიდარი მეშჩანი ცხოვრობდა. გადავწყვიტეთ, ღამით ვწვეოდით. მაგრამ ხუთივე ადგილზევე დაგვიჭირეს. ნაწილში წაგვიყვანეს; მერე კი პირდაპირ მაზრის პოლიციის უფროსთან მიგვიყვანეს. ჩიბუხის წევით გამოდის, თან ფინჯნით ჩაი უჭირავს. ეგეთი მოსული ვინმეა, ბაკენბარდებიანი. დაჯდა.

ამ დროს კიდევ სამი შემოიყვანეს, ისინიც მაწანწალები. ჰო, რა სასაცილონი არიან, ძმებო, ეს მაწანწალები, არაფერი ახსოვთ ქვეყანაზე. ვინდა სარი ურტყი თავში, ყველაფერი ავიწყდებათ. არაფერი იციან.

მაზრის პოლიციის უფროსი პირდაპირ მე მეცა. „ვინ ხარ?“ თითქოს ჭურვიდან დაიბუხუნაო, მეც ყველასავით მივუგე: არაფერი მახსოვს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ყველაფერი გამიფრინდა-მეთქი.

დამაცადე, მეუბნება, კიდევ მოგელაპარაკები, რალაც მეცნობა შენი სიფათიო, და თვალში ეკალივით მესლობა, მომშტერებია. აქამდე თვალითაც არ მენახა. ახლა მეორეს მიუბრუნდა: შენ ვინდა ხარ?

ჩხუბისთავა, თქვენო კეთილშობილებავ.

აჰა-ა, ჩხუბისთავას გეძახიან?

დიახ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, სწორედ ასე მეძახიან.

კარგი, შენ ჩხუბისთავა ხარ, შენ? მიუბრუნდა ახლა მესამეს.

„მე მასთან ვარ“, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

შენ ის მითხარი, რას გეძახიან?

სწორედ ასე მეძახიან: „მე მასთან ვარ“, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

კი მაგრამ, ვინ დაგარქვა ასე, შე უბედურო?

კეთილმა ხალხმა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ქვეყნად კეთილ ხალხს რა გამოლევს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

სადაა ეს კეთილი ხალხი?

არ მახსოვს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, გთხოვთ, მომიტეგოთ.

სულ ვერავის იგონებ?

სულ ვერავის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

დედ-მამა ხომ შენც გეყოლებოდა... ისინი მაინც თუ გახსოვს?

უნდა ვივარაუდოთ, რომ მყავდნენ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მაგრამ ისინიც აღარ მახსოვს; უთუოდ მეყოლებოდნენ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

კი, მაგრამ, აქამდე სად ცხოვრობდი?

ტყეში, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

სულ ტყეში?

სულ ტყეში.

ზამთარშიც?

ზამთარი არც მინახავს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

შენ, შენ რაღას გეძახიან?

ცულს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

შენ რა გქვია?

„ლესე ნუ ამთქნარებ“, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

შენ?

„გალესე“, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

არც ერთს არაფერი გახსოვთ?

არაფერი გვახსოვს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

დგას და იცინის. სხვებიც მას შეჰყურებენ, მათაც ეცინებათ. სხვა დროს, შეიძლება, კარგად ჩაეფეთებინა კბილებში. მერე ყველა როგორი ჯანმრთელნი, ეგეთი ჩასუქებულები.

წაიყვანეთ საპყრობილეში, ამბობს, მაგათ მერე მოვუვლი: შენ კი დარჩი, ამას მე მეუბნება, მაშ, აქ მო, დაჯე! ვხედავ: მაგიდა, ქაღალდი, საწერკალამი. ფიქრობ: „რა ჯანდაბა უნდა-მეთქი“ დაჯექი სკამზე, მეუბნება, აიღე კალამი, დაწერე!

თვითონ კი ყურში მწვდა და ამიწია. მე ისე შევცქერი, როგორც ეშმაკი ხუცესს: „არ ვიცი-მეთქი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ“.

დაწერე!

შემიწყალეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! დაწერე, როგორც იცი, ისე დაწერე! თვითონ კი მიწევს და მიწევს ყურს, ბოლოს ისე გადამიგრიხა, ღმერთმანი, სამასი როზგი რომ დაეკრა, მერჩივნა. სულ ნაპერწკლები მცვიოდა.

დაწერე, მორჩა და გათავდა.

რამ გამოათავყვანა?

არა, გონზე იყო. სწორედ იმხანად ტ.-კში ერთ მწერალს თურმე ხაზინის ფულები აეწაპნა და გაქცეულიყო, თურმე, ისიც ყურპანტურა ყო-

ფილა, ყველას აცნობეს. რაღაც ნიშნებით მას მიმამგვანეს, ჰოდა, ესეც მცდიდა: ვიცოდი თუ არა წერა და როგორ ვწერდი.

ერთი უყურე! მაგრად გეტკინა!

გეუბნები, მეტკინა-მეთქი. ყველა ახარხარდა.

მერე, დაწერე?

კი, აბა! მოვეყვი კალმით თამაშს, ვატარე, ვატარე ქალაღდზე; ისიც შემეშვა. ერთი-ორი კი მაგარ-მაგარი მტკიცა. ბევრი ლაპარაკი არ უნდა, მერე მეც გამიშვა საპყრობილეში, რასაკვირველია.

შენ რა, წერა იცი?

უწინ ვიცოდი, მაგრამ, რაც კალმები შემოიღეს, მას უკან გადამავიწყდა... ამგვარი ამბების მოყოლაში, ანუ, უფრო სწორად, ამგვარ ყბედლობაში გაგვყავდა ჩვენი მოსაწყენი დრო. მერედა, რა მოწყენილობა იყო. ღმერთო!

ერთმანეთს მისდევდა გრძელი, დახუთული დღეები. წიგნი მაინც გვეკონოდა! მიუხედავად ამისა, ხშირად მოვდიოდი ხოლმე ჰოსპიტალში ხან ავადმყოფი, ხან ისე, დასაწოლად; საპყრობილეს გავურბოდი. მიმძიმდა იქ, მიმძიმდა უფრო მეტად, ვინემ აქ, სადაც ზნეობრივად ნაკლებ ვიტანჯებოდი. იქ გესლი, აყალმაყალი, შური, მტრობა გეხვია გარს. იქ სულ შარს გვდებდნენ აზნაურებს, გაბორტებით, მუქარით გვიყურებდნენ. აქ კი, ჰოსპიტალში, უფრო თანასწორებად ვგრძნობდით თავს, უფრო ამხანაგურად ვცხოვრობდით.

ყველა საღამო სევდიანი იყო: სანთლების ანთება და ძილი. დასაძინებლად ადრე წვებოდნენ. შორს, კართან ღამის სანათი ციმციმებს. ჩვენს კუთხეში კი ნახევრად ბნელა. შხამიანი ჰაერი სულს გვიხუთავს. ზოგი ვერც იძინებს, დგება, საწოლზე საათობით ზის. ჩაუქინდრავს ჩაჩიანი თავი, თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრებულა. შენ უყურებ და ცდილობ, გამოიცნო, რაზე ფიქრობს, ამითი კლავ დროს! @ანდა ოცნებობ, წარსულს იხსენებ, ისეთი წვრილმანები გახსენდება, სხვა დროს ვერაფრით გაიხსენებდი, ვერც ისე შეიგრძნობდი, როგორც ახლა. ან გულთმისნობ: როგორ გახვალ საპყრობილედან? სად წახვალ? როდის იქნება ეს? გელირსება ოდესმე შენს მშობლიურ მხარეში დაბრუნება?

ფიქრობ, ფიქრობ და იმედი გაგკრავს გულში... ხანაც უბრალოდ ითვლი: ერთი, ორი, სამი, და ა.შ. იქნებ, როგორმე ჩაგეძინოს. ზოგჯერ სამი ათასამდეც დამითვლია და მაინც არ დამძინებია. ვინმე გვერდს შეინაცვლებს; ჭლექიან უსტიანცევს ხველა აუტყდება, მერე მისუსტებული ხმით დაიკვნესებს და აუცილებლად დააყოლებს: „ღმერთო, რა შეგცოდე!“ უცნაურად გეჩვენება, როცა საერთო სიწყნარეში, ეს ავადმყოფური, გაბზარული, წუწუნა ხმა გესმის. ვიღაცებსაც არ სძინავთ, მუსაიფობენ. ერთი გარდასულ ამბებზე, თავის შორეულ წარსულზე, მაწანწალობაზე, შვილებსა და ცოლზე, ძველებურ წესებზე ყვება. ამ შორეულ ჩურჩულითაც გრძნობ, რომ წარსულს ველარასდროს დაიბრუნებს, რომ მთხრობელი დაკარგული ადამიანია; მეორე ყურს უგდებს, მხოლოდ წყნარი, თანაბარი ჩურჩული ისმის, თითქოს სადღაც, შორს, წყალი მორაკრავებსო... მახსოვს, ერთხელ, ზამთრის გრძელ ღამეს, ერთი ამბავი მოვისმინე, რომელიც, ერთი შეხედვით, ავადმყოფის არეულ სიზმრად მომეჩვენა, მაგრამ...

2.4. აკულკას ქმარი

შუალამე იყო. ის იყო ჩამეძინა, რომ უეცრად გამომეღვიძა. შორეული სანათის სუსტი, მქრქალი სინათლე ძლივს ანათებდა პალატას... თითქმის ყველას ეძინა. უსტიანცევსაც კი. სინუმეში ისმოდა, როგორ უჭირდა სუნთქვა და ყოველ ამოსუნთქვაზე ყელში ნახველი როგორ უხიხინებდა. შორიდან, ტალანიდან, მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმა, ყარაულები იცვლებოდნენ. იატაკზე კონდახებმა გაიხმინა. პალატა გააღეს, ფეხაკრეფით შემოვიდა ეფრეიტორი, პატიმრები გადათვალა. წუთის შემდეგ პალატა ჩაკეტეს და ახალი გუშაგი დააყენეს. ისევ სინუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ახლალა შევნიშნე, რომ ჩემს შორიახლო, მარცხნივ, ორს არ ეძინა. ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. პალატებში ასეთი რამ ხშირად ხდებოდა. ზოგჯერ კი კვირაობით, თვეობით გვერდიგვერდ იწვნენ და ხმას არ იღებდნენ; თუმცა, რომელიმე უჩვეულო ღამეს უცებ წამოუვლიდათ ლაპარაკის ჟინი და ერთმანეთს მთელ თავის წარსულს გადმოუშლიდნენ-ხოლომე.

შევატყვე, საუბარი კაი ხნის დაწყებული ჰქონდათ. თუმცა, დასაწყისს ვერ მივუსწარი, ყური თანდათან შევაჩვიე და ყველაფერს ვიგებდი.

ძილი არ მეკარებოდა. მათთვის რომ არ მომესმინა, სხვა რა უნდა მეკეთებინა?.. ერთი გაცხარებული, აგზნებული ყვებოდა, ნახევრად მიწოლილს, თავი წამოეწია და აშკარად ეტყობოდა, ლაპარაკი სწყუროდა. მსმენელი კი ფეხებგაჩაჩხული, მოღუშული სრულიად გულგრილად იჯდა თავის საწოლზე, შიგადაშიგ რაღაცას ბურტყუნებდა ან თანაგრძნობის ნიშნად, ესეც ისე, ზრდილობის გამო, ვიდრე გულწრფელად, რაღაცას წამოაყრანტალებდა და ქისიდან წარამართა თუთუნს იტენიდა ცხვირში.

ეს გახლდათ გამოსასწორებელი საპყრობილოს ჯარისკაცი ჩერევენი; ასე ორმოცდაათი წლის მამაკაცი. უჰმური, პედანტი, ცივი რეზონერი და პატივმოყვარე ბრიყვი. მთხრობელი, სამოქალაქო პატიმარი, ოცდაათიოდე წლის შიშკოვი ჯერ ისევ ჯველად გამოიყურებოდა; ის

სამკერვალში მუშაობდა. აქამდე მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. შემდგომშიც, საპრობილეში ყოფნისას, მისკენ როგორღაც გული არ მიმიწევდა. თავნება და ჭკუათხელი იყო. ხანდახან, გაიხედავ და, ჩუმადაა, მოჟამულია, უხეშობს, კვირები ისე გავა, ხმას არ ამოიღებს, ხან კი უცებ რაიმე ხათაბალაში გაებმება, ცხარობს, ყაზარმიდან ყაზარმაში დაძვრება, მოაქვს ახალი ამბები, ჭორაობს, ზედმეტი მოსდის; ერთი კარგად მიტყუავენ და ისევ თავისთვის მიეგდება. მშიშარა ვინმე იყო, არც წყალი, არც ღვინო, ყველა რატომღაც აბუჩად იგდებდა. ტანად მომცრო, ხმელხმელი; უცნაური მოუსვენარი თვალები დროდადრო უაზროდ უშტერდებოდა. თუ რამე მოსაყალი ჰქონდა: აპილპილდებოდა, გაცხარებული ხელების ქნევას მოჰყვებოდა და უცებ შეწყვეტდა, ან სხვა რამეზე გადახტებოდა, ახალ წვრილმანებს გამოედევნებოდა, მერე დაავიწყდებოდა, თავიდან რაზე ლაპარაკობდა. ხშირად ილანძღებოდა ან ვინმეს რამეს საყვედურობდა, ემოციურად ლაპარაკობდა, ლამის ტიროდა... დაკვრა უყვარდა, არც თუ ურიგოდ უკრავდა ბალალაიკაზე, ხოლო დღესასწაულებზე კარგადაც ცეკვავდა; რაც უნდოდათ იმას იძულებით იოლად აკეთებინებდნენ... იმდენად დამჭერი არ იყო, რამდენადაც დამძაკაცება და ძმაკაცებით ტრაბახი უყვარდა.

დიდხანს ვერ გავარკვიე, რას ყვებოდა. თავდაპირველად ვიფიქრე, როგორც ყოველთვის, ღობე-ყორეს ედება-მეთქი. შესაძლოა, ამჩნევდა კიდევ, რომ ჩერევის მისი ამბავი სულაც არ აინტერესებდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ის თავს არწმუნებდა, რომ მისი მსმენელი ყურადღებიანობის განსახიერება იყო და შესაძლოა, ძალიანაც სტკენოდა გული, თუ საწინააღმდეგოში დარწმუნდებოდა.

...ახლა, უნდა გენახა, ბაზარში რომ გამოვიდოდა, განაგრძობდა ის, ყველა ესალმება, პატივისცემას იჩენენ, ერთი სიტყვით ბობოლაა!

ვაჭრობდაო, ამბობ?

ჰო, სავაჭრო ჰქონდა; აბა, ჩვენში, მეშჩანებში, გაჭირვებული ყოფაა. ცარიელ-ტარიელები ვყრივართ, არაფერი გვაბადია. დედაკაცები მდინარიდან აღმართზე ეზიდებიან წყალს ბოსტნის მოსარწყავად; ჯახირობენ, ჯახირობენ და ბოლოს, შემოდგომაზე, შჩისთვისაც ვერაფერს

გამოარჩევენ. დალუპული საქმეა. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, დიდი მამული ჰქონდა, მიწას ქირით ამუშავებინებდა, სამი ჰყავდა დაქირავებული; საკუთარი საფუტკრე ჰქონდა, თაფლით ვაჭრობდა, საქონლითაც, ერთი სიტყვით, მთელ ოლქში, დიდად პატივსაცემ ადამიანად ითვლებოდა. მაგრამ გაჭაღარავდა, ძალიან დაბერდა, სამოცდაათს გადაცილებული იქნებოდა; ტანადი იყო, თუმცა ძვლები ამძიმებდა უკვე; გამოვიდოდა ბაზარში მელიის ქურქში გამოწყობილი და ყველა მოწიწებით თავს უკრავდა, პატივს სცემდნენ, მათ. „გამარჯობათ, მამავ-ბატონო, ანკუდიმ ტროფიმიჩ!“ „გაგიმარჯოსო“, გეტყოდა. არავის იუკადრისებდა. „იცოცხლეთ დიდხანს, ანკუდიმ ტროფიმიჩ“ შენი საქმეები როგორ მიდის? გკითხავდა. „ჩვენს საქმეს არაფერი ეშველება, როგორც ყორანი არ გათეთრდება. თავად როგორ ბრძანდებით?“ „ვცოცხლობთ ჩვენც, იტყოდა: როგორც ცოდვილებს შეეფერება, დედამიწას ვამძიმებთ“. „დღეგრძელი იყავით, ანკუდიმ ტროფიმიჩ!“ არავის იუკადრისებდა. თუ ხმას ამოიღებდა, პირიდან თაფლი გადმოსდიოდა. ნაკითხი კაცი იყო, განათლებული, სულ საღმრთო წერილს კითხულობდა. და ისვამდა თავის დედაბერს წინ: აბა, დედაკაცო, ყური მიგდე, შეისმინეო“, და დაუწყებდა ახსნას. დედაბერსო ვამბობ, თორემ მოხუცი არ ეთქმოდა; მეორე ცოლი იყო, ბავშვების გულისთვის შეირთო. პირველთან არ ეყოლა, ხომ გესმის? ჰოდა, ამ მეორესთან, მარია სტეპანოვნასთან, რაღა, ორი პატარა ბიჭი ჰყავდა: უმცროსი, ვასია, სამოცი წლისას ეყოლა, მათ; აკულკა კი, შვილებში ყველაზე უფროსი ქალიშვილი, თვრამეტი წლის იყო.

ეგ რომელი, შენი ცოლი?

მაცა, კაცო, აქ ჯერ ფილკა მორობოვი გამოსტყვრება; შენო, ფილკა ეუბნებაანკუდიმს, გავიყოთ, ოთხასი მანეთი სულ მომეციო; მე რა, შენი მოჯამაგირე ვარო?.. არ მინდა შენთან ვაჭრობა და არც შენი აკულკა მინდაო, აწი არავინ მჭირდებაო. დედ-მამა დამეხოცა, ჰოდა, სულ სმაში გავფანტავ ფულს, მერე კი დაქირავებულ ჯარში სალდათად წავალლო; ათ წელიწადში როგორც იტყვიან, სრულად გაუსწორა ანგარიში, რადგან მამამისთან უწინ საერთო კაპიტალი ჰქონდა. „შე, წყალწაღე-

ბულოლო!“ დაუტატანა. ის კი ამბობს: „დალუპული ვარ თუ არა, არავისი საქმეა. შენთან, შე ბებერო მეღავ, სადგისით რძის ხვრეპასაც ისწავლის კაცი. შენ, ორ გროშზეც მომჭირნეობას ცდილობ, ყოველგვარ ნაგავს აგროვებ ეგებ ფაფა მოვადულო. ფეხებზე მკიდია ყველაფერი. აგროვებ, აგროვებ და ბოლოს სამარეს ჰპოვებ. მეო, ამბობს, მტკიცე ხასიათისა ვარ. შენს აკულკას კი მაინც არ წავიყვან, ისედაც იწვა ჩემთან“...

როგორ ბედავ პატიოსან მამას, პატიოსან ქალიშვილს, სახელი გაუტეხო? როდის იწვა შენთან, შე გველის წიწილავ, ძაღლის ლეკვო? და სულ ერთიანად აცახცახდა ანკუდიმი. თითონ ფილკა მიყვებოდა ამას, ხომ გესმის?

არამც თუ მეო, უთხრა, ისე გაგიხდი საქმეს, თქვენი აკულკა ვერავის აპკიდოთ, არავინ აღარ წაიყვანს. არც მიკიტა გრიგორიჩი წაიყვანს ახლა, იმიტომა, რომა ახლა ის ნამუსახდილია. შემოდგომიდან სარეცელზე შევებით. ახლა ასი კიბორჩხალისთვინაც არ დაყვებულდები. აი, თუ გინდა სცადე, აქვე მოატანინე ასი კიბორჩხალა.

არ დაგთანხმდებიო, და მიჰყო ქეიფს ხელი, ჰო, რა მიჰყო! მიწას სულ ზანზარი გაპქონდა, ქალაქს კი გუგუნი. გვერდით ამფსონები, ფული ოხრად; სამი თვე ინავარდა, ფულსაც ჯანი გავარდა. მეო, იტყოდა, ფულს რომ წირვას გამოვუყვან, სახლს მივადგები, ყველაფერს გავანიავებ, მერე კი ქირაზე წავალ ან ვიწანწალებო. ფხიბელს ვერ ნახავდი. დილიდან საღამომდე მთვრალი იყო. ეუვნებიანი წყვილცხენა ეტლით დაქროდა. რა უყვარდათ გოგოებს?! ჭკუაზე ირეოდნენ. ტორბაზე კარგად უკრავდა.

გამოდის, აკულკასთან ადრე დაუჭერია საქმე?

მაცა. სწორედ იმხანად მამა მეც მომიკვდა... დედაჩემი თაფლაკვერებს აცხოვდა, ანკუდიმს ვემსახურებოდით, თავს ამით ვირჩენდით. შავ დღეში ვიყავით. მართალია, ჩვენც გაგვანდა ახო ტყის გადაღმა, პურს ვთესავდით, მაგრამ მამაჩემის შემდეგ ყველაფერი განადგურდა... იმიტომ, ჩემო ძმაო, რომ მეც თავზე ხელი ავიღე, დედაჩემს ცემით ვცინცლავდი ფულს.

ცემით არ ვარგა, ცოდვა გიქნია დიდი...

მე, ჩემო ძმაო, ზოგჯერ დილიდან საღამომდე გაღეშილი ვეგდე. ჩვენ სახლს კიდევ არა უშავდა რა; მართალია, დამპალია, ძველია, მაგრამ მაინც შენია. შიგ, თუ გინდა კურდღელი გაუშვი. ხშირად მშივრები ვეყარეთ. მთელი კვირა ჭინჭებს ვღეჭავდით. დედა მომდგებოდა და მლანძღავდა; მე კი რა მენაღვლებოდა... მე, ჩემო ძმაო, მაშინ ფილკა მორთბოვს გვერდიდან არ ვშორდებოდი, დღე-ღამ მასთან ვიყავი. გიტარაზე დაუკარი და იცეკვეო, მეტყოდა, მე კი წამოვწევები და ფულებს გესვრიო, ყველაზე მდიდარი კაცი ვარ და ასე მომწონსო. რეებს არ სჩადიოდა. ეგ კი იყო, ნაქურდალს არ იღებდა: მე ქურდი როდი ვარო. წავიდეთ, აკულკას ჭიშკარზე კუპრი წავუსვათო, იტყოდა; იმიტომ, რომ არ მინდა, აკულკა მიკიტა გრიგორიჩს გაჰყვესო. გოგოს მიკიტა გრიგორიჩზე აქობამდეც უპირებდა მოხუცი გათხოვებას. ეს მიკიტაც ბებური იყო, ქვრივი, სათვალღიანი. დადიოდა და ვაჭრობდა. გაიგონა თუ არა, აკულკაზე ცუდი ხმები დადისო, წამსვე დაფრთხა: „ჩემთვის, ანკუდიმ ტროფიმიჩ, ეს დიდი შერცხვენა იქნებოდა, და არც ცოლის მოყვანას ვაპირებ, დავბერდიო“. ჰოდა, გავუთხუპნეთ ჭიშკარი აკულკას და დღე დააყარეს საწყალს შინ ამის გამო, სულ სიქა გააცალეს ცემით... მარია სტეპანოვნა ჰყვირის: „ცოცხალი ვერ გადაამირჩები!“ მოხუცი კი გაიძახის: ძველ დროში, პატიოსან პატრიარქთა ჟამს ჩემი ხელით კოცონზე ავიყვანდი. მაგრამ ახლათ, ამბობს, ქვეყანა ჩალით დაიხურათ“.

მთელ ქუჩას ესმოდა აკულკას წივილ-კივილი: დილიდან საღამომდე მათრახით აჭრელებდნენ. ფილკა კი მთელ ბაზარში გაიძახის: „ვაჰ, რა გოგოა აკულკა, თანამებოთლე. ტურფად დახვალ, პირმწყაზარობ, ერთი მითხარ, ვისა ჰყვარობ! მე იმათ იქ ისეთი ცეცხლი შევუნთე, დიდხანს ვერ დამივიწყებენ“. იმჯერად, ერთხელ მეც შემხვდა აკულკა, ვედროებაკიდებული მოდიოდა. მივაძახე: „გამარჯობათ, აკულიკა კუდიმოვნა! ჩვენი სალაში თქვენს მოწყალებას. კოხტა გოგოვ, ცქრიალაო, თქვი, ვინ გაკოტრიალაო!“ და ხმა ჩაიკმინდე; ისე შემომწყრა თვალეზით, ისეთი თვალეზი ჰქონდა... დიდრონი, ისე კი ჩამოლეულა, ჩხირით გამხდარა. დედამისს მოეჩვენა, გოგო ანცობსო და უყვირის ჭიშ-

კრიდან: „ემანდ კბილებს ნუ კრეტ, შე უსირცხვილოვ!“ იმ დღესაც, აბა გიყვარდეს, მიაყოლეს. მთელი საათი სცემდა ხოლმე ზოგჯერ. ავაჭრელებს, სულს ამოვხდიო, იძახდა, იმიტომ, რომ შვილად აღარ მიმაჩნიაო! გარყვნილი ყოფილა, რაღა.

ჯერ მომისმინე, ბიძიკო! ის დროა, მე და ფილკა ლოთობაში ვართ, ჰოდა, გავიხედე, ერთხელაც დედაჩემი დამადგა თავზე, მე კიდევ ვწევარ; მეუბნება:

„რას დაგდებულხარ, შე მუდრეგო! შე ავაზაკო შენა!“, ილანძლება. ცოლი შეირთე, მეუბნება, აგერ აკულკამოიყვანე. ახლა შენც სიხარულით გამოგატანენ, სამას მანეთს მარტო ფულად მოგცემენო. მე კი: ჰო, მაგრამ, ვეუბნები, ის ხომ ახლა მთელ ქვეყანაში თავმოჭრილია-მეთქი. შე ბრიყვო, მითხრა, ჯვრისწერით ყველაფერი იფარებაო, შენვე გიჯობს, თუ შენს წინაშე მთელი სიცოცხლე დამცირებული იქნება. ჩვენ კი მათი ფულით წელში გავიმართებოდით, მე უკვე ველაპარაკე მარია სტეპანოვნასო, ამბობს, ძალიან მოსდის ჭკუაშიო. ოცი ვერცხლის მანეთიანი დამიწყოს მაგიდაზე, ვეუბნები, მაშინ შევირთავ-მეთქი, და გინდ დაიჯერე, გინდ არა, ქორწილამდე არ გამოვფხიზლებულვარ. აქ კიდევ ფილკა მოროზოვი მექადნება: „ეი, შენ, აკულკას ქმარო, გვერდებს ჩაგიღეწავ, შენს ცოლთან კი, თუ მინდა, ყოველღამ გავათევო“. მე ვუღრენ: „სტყუი მეთქი, პირძაღლო“. მაშინ მთელი ქუჩის სამასხარაო გავხდი. მივვარდი შინ: „არ მინდა ცოლის შერთვა, თუ აქვე კიდევ ორმოცდაათ ვერცხლის მანეთიანს არ დამილაგებენ-მეთქი!“

გატანდნენ კი?

მატანდნენო? ვითომ რად არა? უპატიოსნონი კი არ ვიყავით. მამაჩემი, ბოლო ხანს იყო, ხანძარმა დააქცია, თორე იმათზე მდიდრადაც ვცხოვრობდით. ანკუდიმი გვეუბნება: „თქვენ არასმქონენი, ბოგანო ხართ“, მეც თვალში არ მოვუდივარ: „თქვენი ჭიშკარი ბევრჯერ კუპრით გაგლესილა-მეთქი“, მივახალე.

„რას გვედიდგულებიო-ვითომ? მეუბნება, ჯერ დაამტკიცე, რომ ის უპატიოსნოა, თორე ისე ენას ძვალი არა აქვსო; რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს. აა, ბატონო, კარი ღიაა, მაგრამ რაც ფული წაგიღია,

უკანვე მოიტაო“, მაშინ ფილკასთან ერთად გადავწყვიტე და: დმიტრი ბიკოვის პირით შევეუთვალე, მთელ დუნიაზე თავს მოგჭრი-მეთქი. ჰო, ქორწილამდე აღარ გამოვფხიზლებულვარ, ძმობილო, დღედაღამ მთვრალი ვიყავ. ჯვრისწერაზე წასვლის წინლა გამოვფხიზლდი. მოვბრუნდით თუ არა იქიდან, დავსხედით, ჰოდა, მიტროფან სტეპანოვიჩი, ბიძა, რაღა, ამბობს: „მთლად პატიოსნად არა, მაგრამ საქმე მოკვარახტინებული და გათავებულიცააო“. ბერიკაცი, ანკუდიმი, ისიც მთვრალი იყო და აზღუქუნდა, ზის, ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდის წვერზე. მე კი, ძმობილო, აი, რა ვქენი მაშინ: ავიღე და მათრახი ჩავიდე ჯიბეში, ჯერ კიდევ ჯვრისწერამდე მოვამზადე. ესეც გადავწყვიტე: ახლა კი ვიყრი შენს ჯავრს აკულკა, გასწავლი, როგორ უნდა ინამუსო მოტყუებით გათხოვება-მეთქი; დაე, თანაც ყველამ იცოდეს, რომ არავის გაუგებრიყვებივარ...

საქმეც ეგაა! სამერმისოდაც ჭკუას ისწავლიდა.

არა, ბიძიკო, იყუჩე პატარა ხანს. ჩვენში ასე იციან: ჯვარდაწერილები ხულაში შეჰყავთ მაშინვე, სხვები ამ დროს სმაში არიან. დაგვტოვეს მე და აკულკა ხულაში მარტონი. ზის გაცრეცილ-გაფითრებული. შეეშინდა, მათ. თმაც სულ თეთრი ჰქონდა. თვალები გაფართოებია და სულ დუმს და დუმს. არც ინძრევა. გეგონება, მუნჯიაო; უცნაურზე უცნაური ვინმეა. აბა, თუ იფიქრებდი ამას: მე მათრახი მოვიმზადე და იქვე საწოლთან დავიდე. ის კი, ძმობილო, ყოვლად უმანკო არ გამოდგა?!

რას ამბობ?

სრულიად უმანკო, როგორც პატიოსანი ოჯახის პატიოსან ქალიშვილს შეეფერება. ამის შემდეგ, აბა, რისთვისღა უნდა გადაეტანა იმნაირი სატანჯველი?! რას ერჩოდა ფილკა მორლობოვი, მთელ დუნიაზე რომ თავი მოსჭრა?

აბა?!

ლოგინიდან გადმოველ და დაუჩოქე, ხელები დავიკრიფე გულზე: „აკულინა კუდიმოვნა, ჭირიმე, მაპატიე მე უგუნურს, რომ მეც ასეთად მიმანდი. მომიტევე მე, არამზადას“, ზის ჩემს წინ ლოგინზე, მიყურებს, მიყურებს, ორივე ხელი მხრებზე დამაწყო, იცინის; თვალები კი ეცრემ-

ლება: ტირის და იცინის... მერე ის იყო, გაველ და ყველას წინაშე დავი-
ქადნე: „მიფრთხილდი, ფილკა მორლობოვო შეგხვდები და ცოცხალს
აღარ გაგიშვებ!“ მოხუცებს აღარ იკითხავ? აღარ იციან, ვის შესწირონ
მადლობა: დედამისი კინალამ ფეხებში ჩაუვარდა, ბლავის, მამამისი ამ-
ბობს: შეეცდით, თორე შენ, ჩვენო საყვარელო ქალიშვილო, განა ასე-
თს მიგათხოვებდითო. ერთხელ, კვირას ეკლესიაში მივდივართ: მე
კრაველის ქუდი მხურავს, თხელი მაუდის ხიფთანი და პლისეს შარვა-
ლი მაცვია; ის კურდღლის ახალთახალ ქურქშია, აბრეშუმის თავსა-
ფარში, მოკლედ, ერთმანეთს შევეფერებით. აი, როგორები ვართ, გვი-
ყურებენ და ტკბებიან: მე ხომ ჩემდათავად, აკულინუშკასაც სხვებზე წინ
თუ არა, ვერც უკან დააყენებ, ასე რომ, სხვებს არაფრით ჩამოუვარდე-
ბა...

ჰოდა, კარგია...

ჰოდა, მისმინე. ქორწილის მეორე დღესვე, თუმცა მთვრალი ვიყავი,
სტუმრებს გავექეცი... მივრბივარ: „ერთი მაჩვენეთ ის უქნარა ფილკა
მორლობოვი, ერთი დამანახეთ ეს არამზადა!“ გავყვირი მთელი ბაზრის
გასაგონად. გალეშილი ვიყავი; ჰოდა, ვლასოვების ახლოს დამიჭირეს;
სამმა კაცმა ძლივს მომიყვანა შინ. ქალაქში კი მითქმა-მოთქმაა. ბა-
ზარში გოგოები ერთმანეთს ეჩურჩულებიან. „გოგოებო, ჭკუის კოლო-
ფებო, თქვენ რამე გაიგეთ? აკულკა თურმე უმანკო ყოფილა!“. ფილკა
კი რამდენიმე ხნის შემდეგ ხალხში მეუბნება: „მომყიდეთ ცოლი სულ
მთვრალი იქნები. ჩვენთან ერთი სალდათი იყო, იაშკა, ცოლი მაგიტომ
მოიყვანა: ცოლთან არ წვებოდა, სამაგიეროდ, სამი წელიწადი სულ
მთვრალი იყო“; „არამზადავ-მეთქი!“ ვეუბნები, „შენ კი, ბრიყვი ხარო.
განა ფხიზელი იყავ, ჯვარი რომ დაგწერეს, აბა, რას მიხვდებოდი მაგის-
თანა საქმეში ამის შემდეგო“. მივედი შინ, ვყვირი: „თქვენ, მეთქი,
მთვრალს დამწერეთ ჯვარი“. დედამ შემომიბტია მაშინვე. „შენ, მეთქი,
დედაჩემო, ყურებზე ოქრო გაქვს ჩამოფარებული. აქ მომგვარე აკულ-
კა“. მივდექი და ვურტყვი, ვურტყვი ძმობილო, ვურტყვი, ვურტყვი, ორი
საათი ხელი არ გამიჩერებია. არ მოვეშვი, სანამ თვითონ არ დავვარ-
დი. სამი კვირა ზეზე ვერ დგებოდა.

ჰო, რასაკვირველია, გულგრილად შენიშნა ჩერევენმა, მაგათ თუ არ სცემე, ისე... რაო, საყვარელთან შეისწარი თუ?

არა, შესწრებით არ შემისწრია, ცოტაოდენი დუმილის შემდეგ თითქოს ძალდატანებით წარმოთქვა შიშკოვმა, მაგრამ გავმწარდი, ყველა მახელებდა, ამ ყველაფრის მოთავე კი ფილკა იყო: „შენ ცოლი სიაფანდზე გყავსო, სხვების დასანახადო! სხვებთან დამცხო: „მეუღლე ამას ისეთი გულკეთილი ჰყავს, ისეთი დიდსულოვანი, ყურადღებიანი; არავის არ აწყენინებს, აი, როგორ ცხოვრობს ბიჭი ახლა. შენ რა, დაგავიწყდა ყმაწვილო, შენი ხელით კუპრს რომ უსვამდი მის ჭიშკარს?“

მთვრალი ვიჯექი, მან კი იხელთა, დამითრია თმით, დამზინქა: „აბა დაუარე, აკულკას ქმარო, აი, ასე მეყოლები თმითდაჭერილი, შენ კი დაუარე!“

არამზადავ! ვყვირი; ის კი: „ჩემი ძმაკაცებით მოვალ და შენს ცოლს, აკულკას თვალწინ გაგირობგავ, რამდენიც მომესურვება!“ გინდ დაიჯერე, გინდა არა, მას მერე მთელი თვე შინიდან გამოსვლის მეშინოდა: ვაი თუ მოვიდეს, შემარცხვინოს-მეთქი. მაგიტომაც დავუწყე ცემა...

მერედა რად? კაცს ხელს კი გაუკავებ, მაგრამ პირს ვერ ამოუკრავ. ბევრი ცემაც არ ვარგა, დასაჯე, დაარიგე, მერე მიეფერე; აბა, ცოლი რისაა.

შიშკოვი ერთხანს დუმდა.

გავმწარდი, დაიწყო ისევ, ვერა და ვერ დავეხსენ ამ ჩვეულებას: ზოგჯერ დილიდან საღამომდე ვცემდი; ადგა, არ მომეწონა, გაიარა, თვალში არ მომივიდა. თუ არ ვცემ, მოწყენილი ვარ. ზოგჯერ ხდებოდა: ზის წყნარად, ფანჯარას გაჰყურებს, ტირის... თვალებიდან ცრემლი არ სცილდება, სულ ტიროდა; უცებ შემეცოდებოდა და მაინც ვცემდი. დედა ესარჩლებოდა: „შე არამზადაო, მომდგებოდა „შე სულძალლო“. „მოვკლავ, ვყვირი, და აბა, ვინმემ რამეს თქმა გამიბედეთ, იმიტომა, მოტყუებით დამაქორწინეთ-მეთქი“. მოხუცი ანკუდიმი პირველად იცავდა, თავად მოდიოდა: „თავს ნუ გაგივიდაო, მეუბნებოდა, თორემ მოგიძებნი სამართალსო!“ მაგრამ მერე ჩამომეხსნა. მარია სტეფანოვნა ხომ მთლად მოტყდა. ერთხელ მოვიდა, თვალცრემლიანი მემუდა-

რა: „გულს გიწყალებთ, ივან სემიონიჩ, ძნელი საქმე არ არის, თხოვნა კი დიდი მაქვს. ღმერთი გამიწყრეს, თუ ვცრუობდე, მამავ-ბატონო, მემუდარებოდა დაწყნარდი, აპატიე ჩვენს ქალიშვილსა ბოროტმა ენებმა ცილი დასწამეს; შენც ხომ იცი, პატიოსანი წაიყვანეო“. ფეხებში ჩამივარდა, ცრემლად იღვრება. მე კი მთლად გავდიდგულდი: „თქვენს ხმასაც ნუ გამაგონებთ ახლა! რასაც მინდა, იმას ვაკეთებ. ახლა ჩემს ჭკუაზე არა ვარ-მეთქი. ფილკა მოროზოვი კი, ვეუბნები, ჩემი ძმა და პირველი მეგობარია“.

ესე იგი, ისევ ერთად მოუღხინეთ?

რას ამბობ! სათოფებზე ვერ გაეკარები. სულმთლად გალოთდა. ყველაფერი გაანიავა და ვილაც მეშჩანს ქირით დაუდგა; გადაწყვიტა, ამ ოჯახის უფროსი ვაჟის მაგიერ ჯარში წასულიყო. ჩვენს მხარეში აგრეა მიღებული, როცა ნაქირავებია ვინმე, იმ ბოლო დღემდინ, ვინემ ჯარში წაიყვანდნენ, ამ ოჯახში ყველაფრის უფალი ისაა. ჯარში წასვლის დროს ფულს სრულად იღებს, მანამდე კი პატრონის ოჯახში, ზოგჯერ ნახევარი წელიც კი ცხოვრობს; და მაშინაა, საწყალ პატრონებს რომ ღვთის რისხვა ატყდებათ. აქაოდა, შენი შვილისთვის ჯარში ვეწერები, მაშასადამე, თქვენი კეთილისმყოფელი ვარ, თქვენ ყველანი პატივს უნდა მცემდეთ, თუ არადა, უარს ვიტყვიო.

ფილკამაც მეშჩანისას ერთი ორომტრიალი დაატრიალა. მის ქალიშვილთან გორაობს. ყოველდღე სადილის შემდეგ მეშჩანს წვერით ათრევს, ყველანაირ ხომს ისრულებს. ყოველდღე მისთვის აბანო მზადაა, ორთქლთან ერთად ღვინითაც უნდა აამონ, აბანოში კი მკლავებზე გადაწვენილი უნდა წაიყვანონ დედაკაცებმა. ქეიფიდან დაბრუნებული დადგება შუა ქუჩაში: „არ შევალ ჭიშკარში, გაარღვიეთ ღობე!“ იქვე, ჭიშკრის ახლოში გაურღვევენ; მაშინ გაივლის. ბოლოს ვადა დაუმთავრდა, ჩასაბარებლად წაიყვანეს, გამოათხიზლეს. მოაწყდა და მოაწყდა ხალხი ქუჩას: აქაოდა, ფილკა მოროზოვი ჩასაბარებლად მიჰყავთო.

ისიც სალამს არ იშურებს. აკულკა იმ დროს ბოსტნიდან მოდიოდა. მოჰკრა თუ არა ფილკამ თვალი, ზედ ჩვენს ჭიშკართან, „სდექო“, დაუყვირა, ორთვალადან გადმოხტა და იქვე თაყვანი სცა: „ჩემო გვრიტო,

ორი წელი მიყვარდიო, ახლა კი, ხომ ხედავ, მუსიკით ჯარში მიყვევარო. მაპატიე, პატიოსან მამის პატიოსანმა ქალიშვილმაო, იმიტომ, რომ არამზადა ვარ შენს წინაშე, ყველაფერში დამნაშავე ვარო!“ და მეორედაც სცა თაყვანი. აკულკა შედგა, ჯერ თითქოს შეკრთაო; მერე კი თითონაც მდაბლად თავი დაუკრა და უთხრა კიდევ: „შენც მომიტევე, ყოჩაღო ბიჭო. მე კი შენზე გაბრაზებული არაფერზე ვარო!“

და ქოხში შევიდა, შევყევი: „რა უთხარი, შე საძალღუ-მეთქი!“ იმან კი, აი, გინდ დაიჯერე, გინდა არა, შემომხედა და „მისი თავი ახლა მთელ ქვეყანას მირჩევნიაო“, მომიგო.

დახე!..

იმ დღეს ერთი სიტყვა აღარ მითქვამს მისთვის... მაგრამ, რომ შებინდდა: „აკულკა, ახლა კი მოგკლავ-მეთქი“, ვეუბნები. ღამეა, არ მეძინება. ქალანში გამოველ, ბურახი მომინდა; ამასობაში ალიონმაც მოაატანა. ქოხში შევბრუნდი.

„აკულკა, ვეუბნები, მოემზადე, ახლში მივდივართ“. იქ კი მანამდეც ვაპირებდი წასვლას, დედამაც იცოდა. „აი, ეგ ჭკუაა. ალოობაა, მუშაკაცი ახლა დღედაღამ იქ ტრიალებსო“. ორთვალაში ცხენი შევაბი. ვდუმვარ. ჩვენს ქალაქს როგორც გაცდები, იქვე წიწვიანი ტყე იწყება, თხუთმეტ ვერსამდე მიუყვება, ტყის გადაღმა კი ჩვენი ახლა. ტყით სამიოდე ვერსი რომ გავიარეთ, ცხენი შევაყენე.

„ადექი-მეთქი, აკულკა, შენი აღასასრული დადგა“. შეშინებული მიყურებს, წინ დამიდგა, დუმს, „თავი მომაბეზრე-მეთქი, ვებნეუბი: აბა, ილოცე!“ და ვწვდი თმებში: გრძელი, მსხვილი ნაწნავები ჰქონდა ეგეთი, მაგრად დავიხვიე ხელზე, ზურგზეც აქეთ-იქიდან მუხლი დავაჭირე, ვიძრე დანა, უკან გადმოვუგრიხე თავი და დავუსვი ყელზე... უცებ ისე დაიწვილა, სისხლმა ისე იჩქეფა, გავაგდე დანა, ხელები შემოვხვიე წინიდან, ჩავემხე, ჩავიკარი და ჩავბლავი, ასე მგონია, ცას სწვდება ჩემი ღრიალი; ისიც ყვირის, მეც ვყვირი: ხელში მიფართხალებს, უნდა რომ დამისხლტეს; სახეზე, ხელებზე, სულ თქრიალ-თქრიალით მასხამს სისხლი, ვუშვი ხელი, შიშმა ამიტანა, ცხენზე მივატოვე, მოვკურცხლე და მოვკურცხლე. უკანა მხრიდან მივირბინე შინ და აბანოში ვდურთე. ძვე-

ლი, გაუქმებული აბანო გვედგა, თაროებს შორის შევიკუნტე და ვარ იქა; ღამემდე იქ ვიჯექი.

აკულკა?

წამომდგარა, ეტყობა, ჩემს მერე და თითონაც შინისკენ წასულა. იმ ადგილიდან ას ნაბიჯზე ეპოვნათ.

ვერ დაგიკლავს, რაღა.

ჰო... წუთით შედგა შიშკოვი.

ერთი ძარღვია იმფერი, შენიშნა ჩერევიზმა, თუ სწორედ ის ძარღვი უცბად ვერ გადასტერი, სულ ფართხალში იქნება კაცი, და რამდენიც უნდა სდიოდეს სისხლი, მაინც არ მოკვდება.

ჰოო, მოკვდა. მკვდარი ენახათ შელამებულზე. აცნობეს ყველას. დამიწყეს ძებნა და ღამით ძლივს მი პოვეს აბანოში... აი, უკვე მეოთხე წელია, დაითვალე, აქა ვარ, დასძინა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

ჰმ... რასაკვირველია, თუ არა სცემე ისე სიკეთეს ნუ მოელი! გულგრილად და დამრიგებლური კილოთი შენიშნა ჩერევიზმა. კვლავ თუთუნი ამოიღო. დიდხანს სვენებ-სვენებით ყნოსავდა. გამოდიხარ სულელი. მეც ასე, ერთხელ საყვარელთან შევასწარი ცოლს. იცი, რა ვქენი? გავიყვანე ფარდულში, ავიღე ღვედი, ორად მოვკეცე: „ვისთვის მიგიცია ფიცი, ვუთხარი, ვისთვის მიგიცია ფიცი-მეთქი?“ მივდექი და ვურტყი ღვედი, ვურტყი და ვურტყი, საათნახევარი არ მოვცილებივარ; მაშინ კი იცოცხლე, იკადრა: ფეხებს დაგბანო, ყვიროდა და იმ ნაბანსვე დავლევო. ავდოტიას ეძახდნენ.

2.5. ზაფხული

აპრილია, აღდგომაც მოახლოვდა, ნება-ნება საგაზაფხულო სამუშაოებიც იწყება. მზეს სითბო და ელვარება დღითიდღე ემატება: ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს და გამაღიზიანებლად მოქმედებს ადამიანზე. გაზაფხულის კაშკაშა დღეები ბორკილდადებულსაც ააღელვებს, რალაცის საღერღელს აუშლის. მცხუნვარე მზისგულზე თითქოს უფრო ძალუმად გაწვება თავისუფლების დარდი, ვიდრე მოჟამულ ზამთარსა და შემოდგომაზე. ეს ყველა პატიმარს ემჩნევა. ნათელი დღეები თითქოს ახარებთ კიდევ, მაგრამ, ამასთან ერთად, მოუთმენლობა და აღტყინება უძლიერდებათ. ისიც კი შევნიშნე, გაზაფხულობით პატიმრები თითქოს უფრო მეტად ჩხუბობდნენ, მეტად კინკლაობდნენ. უფრო ხშირად ისმოდა ხმაური, ყვირილი და აურზაური. ტეხდნენ აყალმაყალს, ასეც ხდებოდა: გაიხედავ მუშაობს და უცებ თვალს მოჰკრავ, ფიქრებში წასული დაჟინებით გასცქერის ლურჯ შორეთს ირტიშს გაღმა, იქ, სადაც ათასხუთას ვერსზე უნაპირო სუფრასავით გაშლილი ლაღი ყირგიზული ველი იწყება, გაიგონებ, ღრმად, მთელი გულით როგორ ამოიოხრებს. იმ შორეული, თავისუფალი ჰაერის ჩასასუნთქად თითქოს რაღაც ეწევაო და გატანჯულ, შებოჭილ გულზე ეკალი ესობოდა.

„ეჰ! იტყვის ბოლოს პატიმარი, თითქოს ფიქრისა და ოცნებისგან ერთბაშად გამოერკვაო, მოღუშული წერაქვს ან აგურებს სწრაფად მიწვდება და მუშაობას განაგრძობს. წუთის შემდეგ აღარც კი ახსოვს ეს უნებური შეგრძნებები; მხიარულად იცინის ან ილანძღება გააჩნია, როგორი ხასიათი აქვს. ზოგი უჩვეულო, ლამისაა თავდავიწყებული გატაცებით ეძგერება დაკისრებულ სამუშაოს და მთელი თავგანწირვით, ძალღონის დაუზოგავად მუშაობს, თითქოს მომეტებული ჯაფით უნდა ჩაიხშოს რაღაც ისეთი, შიგნიდან რომ აწვება და გასაქანს არ აძლევს. ესენი ხომ ჯან-ღონით სავსე, უმეტესად გაფურჩქვნის ხანაში მყოფი ხალხია... ამ დროს ბორკილები მძიმე ასატანია!

ახლა პოეტური გატაცება როდი მალაპარაკებს. ეჭვიც არ მეპარება ჩემს სიმართლეში. გარდა იმისა, რომ სითბოში, კაშკაშა მზის ქვეშ, რო-

ცა ხედავ და მთელი გულით, სულითა და მთელი არსებით შეიგრძნობ შენს ირგვლივ გაღვიძებულ ბუნებას, კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი ხდება ცხრაკლიტულში ჯდომა, ბადრაგები და სხვისი მბრძანებლობა; ამას გარდა, გამოზაფხულებასთან ერთად, ტოროლას პირველ სიმღერისთანავე, ციმბირში და მთელ რუსეთში მოხეტიალეების დრო დგება: ღვთის გლახები საპყრობილეებიდან გარბიან და თავს ტყეებს აფარებენ. სასამართლოების, ბორკილების, წკეპლებისა და აშშორებული ორმოების შემდეგ თავის ნებაზე დაეხეტებიან. იქით მიდიან, საითაც თვალს გაუხარდება და მეტ ხალვათობას ელიან; რასაც მოიხელთებენ, იმას სვამენ და ჭამენ; სადაც უღამდებათ იქ უთენდებათ ღამით არხეინად მიეგდებიან სადმე ტყეში ან მინდორში, ტყის ფრინველებივით უბრუნველები, საპატიმროს მოწყენილობისგან თავისუფალნი; ძილის წინ მხოლოდ ზეციურ ვარსკვლავებს უსურვებენ „ღამე მშვიდობისას“ და უფლის კალთის ქვეშ მშვიდად განისვენებენ.

რა სათქმელია! ზოგჯერ მომქანცველიც, მძიმეც და მათხოვრულიცაა „გენერალ კუკუშკინთან სამსახური“. ხანდახან დღეები ისე გაივლის, პურს თვალით ვერ დალანდავ; ყველასი გემინია და ყველას ემალები. „ახალმოსახლე ჩვილ ბავშვს ჰგავს: რასაც დაინახავს, თავისკენ ექაჩება!“, ასე ამბობენ ციმბირში მათზე. იგივე ითქმის მაწანწალებზეც, უფრო მეტიც: იშვიათია, მაწანწალა არ ყაჩაღობდეს, ქურდობით ხომ თითქმის ყოველთვის ქურდობს, რა თქმა უნდა, უფრო იძულებით, ვიდრე მოწოდებით, მოურჯულებელი მაწანწალებიც არსებობენ. ზოგი კატორღის მოხდის შემდეგ, გადასახლებიდანაც კი გარბის, თუმცა აქ კმაყოფილი და უბრუნველყოფილიცაა. მაგრამ არა! სულ სიათკენლაც მიუწევს გული, რაღაც უხმობს და ეძახის. ტყეებში საშინელ ცხოვრებას, მაგრამ ლალი და ფათერაკით სავსე, რაღაც მაცთუნებელი და იღუმალად მიმზიდველია იმათთვის, ვისაც მაწანწალობა ერთხელ უკვე გამოუცდია! გაიხედავ და გაქცეული, ხშირად ისეთიც, თვინიერი, წყნარი რომ ეგონა ყველას და ამის იმედსაც იძლეოდა, ერთ ადგილას დაეფუნება, საქმიანი, ოჯახის კაცი ხდება. ზოგს ცოლიც მოჰყავს, ბავშვებსაც გაიჩენს, ხუთიოდე წელს ამ ადგილზეა; ერთ მშვენიერ დღეს კი უცებ

სადღაც გაქრება. ცოლი, ბავშვები და მთელი თემი, რომელზეც მიწერილი იყო, გაოგნებულია...

საპყრობილეში ერთი ასეთი მორბენალი გამაცნეს. მას რაიმე განსაკუთრებული დანაშაული არ ჩაუდენია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. თურმე სულ სადღაც გარბოდა... რუსეთის სამხრეთ საზღვარზეც კი იყო ნამყოფი დუნაის გაღმა. ყირგიზეთის ველზეც, აღმოსავლეთ ციმბირშიც და კავკასიაშიც... ვინ იცის, მოგზაურობის ასეთი ვნებით შეპყრობილი კაცი სხვა დროსა და სხვა გარემო პირობებში ეგება რობინზონ კრუზოც გამხდარიყო. თუმცაღა, მასზე ყველაფერს სხვები მიყვებოდნენ; თავად კი ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, ისიც ყველაზე აუცილებელ რამეს თუ ამოღერღავდა.

ეს იყო ორმოცდაათიოდე წლის ძალზე დაბალი მამაკაცი, ზედმიწევნით თვინიერი, თითქმის არაფრისმთქმელი, სილენჩემდე მშვიდი სახით. ზაფხულში მზებზე ჯდომა უყვარდა. იჯდა და ღიღინებდა, მაგრამ ისე ჩუმად, ხუთ ნაბიჯზეც ვერ გაიგონებდით. სახის ნაკვეთები როგორღაც გახევებული ჰქონდა, ცოტას ჭამდა, თითქმის ხმელა პურზე გადადიოდა. ერთხელაც კი არ უყიდია ვალაჩი ან ჭიქა ღვინო. ეტყობოდა, ფული არ ჰქონდა, თვლაც კი არ იცოდა, ალბათ, ყველაფერს სრულიად მშვიდად ხვდებოდა. საპყრობილის ძაღლებს ხანდახან ხელით აჭმევდა. ჩვენ შორის კი მათი გამკითხავი არავინ იყო. ცნობილია, რუს კაცს ძაღლების მოვლა არ უყვარს. ამბობდნენ, ორჯერ იყო დაქორწინებული, სადღაც შვილებიც ჰყავსო... რატომ მოხვდა საპყრობილეში, არ ვიცი. ჩვენები სულ ელოდნენ, ჩვენგანაც გაშვებოდა. მაგრამ, იქნებ შესაფერის დროს ვერ პოულობდა ან თავისი დღე უკვე მოეჭამა. ეს კია, იყო თავისთვის, მჭევრმეტყველურად განწყობილი იმ უცნაური გარემოებისადმი, რომელშიც იმყოფებოდა. დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია; ან კი, რად უნდა გაქცეულიყო? რას მოიგებდა? და მაინც, საპყრობილესთან შედარებით ტყეში მოხეტიალე ცხოვრება სამოთხეა. ეს მარტივად გასაგებია რაიმე შედარებაც დაუშვებელია. თუმცა მძიმე ცხოვრება გაქვს, ბედს მაინც არ ემდური, ფრთაგაშლილი ხარ.

ამიტომაცაა, რომ რუსეთში ყველა პატიმარი, სადაც უნდა იჯდეს, გაზაფხულზე, მზის პირველი სხივების გამონათებისთანავე როგორღაც მოუსვენარი ხდება. თუმცა, გაქცევა ყველას როდი სურს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, სიძნელისა და პასუხისმგებლობის გამო, ასში ერთი თუ გაბედავს, ხოლო დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი მხოლოდ ოცნებობს: როგორ და სად გაიქცეოდა. გულს მაინც მოიოხებს თუნდაც ნატვრით, შესაძლებლობის წარმოდგენით. ზოგი მოიგონებს, როგორ გარბოდა ოდესღაც...

ახლა მსჯავრდადებულებზე მოგახსენებდით, მაგრამ, ყველაზე ხშირად, რა თქმა უნდა, ბრალდებულები გარბიან. ვადამისჯილნი კი პატიმრობის პირველ ხანებში თუ გაბედავენ გაქცევას. კატორღის ორ-სამ წელს რომ მოიხდიან, ეს წლები უკვე ენანებათ და ნელ-ნელა მიდიან იმ დასკვნამდე, რომ აქედან კანონიერი გასვლა და ახალშენში დასახლება სჯობდა. ისინი აცნობიერებდნენ, რომ გაქცევა დიდად სახიფათო იყო და თუ ბედი უმტყუნებდათ, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, საშინელი დასასრული ელოდათ. ათიდან მხოლოდ ერთი თუ მიაღწევდა მიზანს. უკვე მისჯილებიდან უფრო მეტად ისინი გარბიან, რომელთაც მოსახდელი ვადა თხუთმეტი, ოცი წელი უსასრულოდ ეჩვენებათ. თუნდაც ათი წელი ჰქონდეთ გატარებული საპყრობილეში, მაინც მუდამ მზად არიან, ხვედრის შეცვლაზე იფიქრონ. დაბოლოს, გაქცევას, ნაწილობრივ, დალიც ხელს უშლის. ბედის შეცვლა კი ტექნიკური ტერმინია. თუ გაქცევისას დაიჭირეს, პატიმარი დაკითხვაზე ასეც პასუხობს, ბედის შეცვლა მინდოდაო. ეს, ცოტა არ იყოს, მწიგნობრული გამოთქმა, ამ შემთხვევისთვის ზედგამოჭრილია. ყოველმა გაქცეულმა იცის, რომ სრული გააზრტება, თითქმის შეუძლებელია, ამიტომ სხვა დაწესებულებაში ან ახალშენში მოხვედრას, ანდა ახალი უკვე მაწანწალობაში ჩადენილ დანაშაულის მიხედვით გასამართლებას ცდილობს. ერთი სიტყვით, ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ ძველ, მომაბეზრებელ საკანს არ დაუბრუნდეს. ეს მორბენლები ცდილობდნენ გამოსაზამთრებლად ვარგისი ადგილი ან ხეირიანი მფარველი ეპოვათ, ანდა, თუნდაც მკვლელობის გზით, ეშოვათ რაიმე პასპორტი, რომლითაც ყველგან

უპრობლემოდ იცხოვრებდნენ; მაგრამ თუ ეს ყველაფერი ვერ მოახერხეს, შემოდგომით, თუ მანამდე არ დააკავეს, მაწანწალების ბრბოში გარეულები ქალაქებსა და საპყრობილებს მიაშურებენ, რასაკვირველია, ზაფხულში ხელახლა გაქცევის იმედით. გაზაფხული ჩემზეც ახდენდა გავლენას. მახსოვს, ხანდახან როგორ ხარბად ვიყურებოდი ბოძებშუა ნაპრალიდან. შუბლით ჩვენს ღობეს მივეყრდნობოდი და თვალმოუშორებლად, დაჟინებით ვაკვირდებოდი, როგორ ხასხასებდა ბალახი მიწაყრილზე, როგორ ლურჯდებოდა თანდათან ცა. მოუსვენრობა და ნაღველი დღითიდღე მემატებოდა, საპყრობილეს სულ უფრო მეზიზღებოდა. პირველ წლებში პატიმრებს, როგორც აზნაური, ვძულდი. ამას განვიცდიდი, აუტანელი იყო და ცხოვრებას მიშხამავდა. ავადაც რომ არ ვყოფილიყავი, ჰოსპიტალში მაინც ვწევბოდი, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ საპყრობილეს განვრიდებოდი და, დაჟინებული და დაუოკებელი საყოველთაო მძულვარებისგან დროებით მაინც დამეღწია თავი. „უღმრთო ჯილაგისანო თქვენგან ბევრი სიმწარე გვახსოვს!“ მეუბნებოდნენ პატიმრები და, ღმერთო, საპყრობილეში მოხვედრილი უბირი ხალხის მშურდა! ყველას მაშინვე რომ უძმაკაცდებოდნენ! ამიტომაც, გაზაფხული, თავისუფლების აჩრდილი, ბუნების საყოველთაო მხიარულება, სევდას მმატებდა და მალიზიანებდა.

მარხვის დაწყებისთანავე უნტეროფიცერმა მთელი საპყრობილე შვიდ ცვლად დაყო, მარხვის კვირათა რაოდენობის მიხედვით. თითოეულ ცვლაში ოცდაათამდე კაცი აღმოჩნდა. მარხვის კვირა ძლიერ მომეწონა. ვინც მარხვაზე იყო, სამუშაოსგან ათავისუფლებდნენ, დღეში ორ-სამჯერ საპყრობილის შორიახლო მდებარე ეკლესიაში დავდიოდით. კარგა ხანია ეკლესიაში არ ვყოფილვარ: დიდმარხვის წირვა, ჯერ კიდევ ბავშვობიდან, მშობლიური სახლიდან, ნაცნობი იყო ჩემთვის, საზეიმო ლოცვები, თაყვანისცემა ყოველივე ეს, დიდი ხნის ამბებს, ბავშვობას მახსენებდა: როგორ მსიამოვნებდა, როცა დილას, ღამით დანამზრალ მიწაზე, საყდრისკენ მივაბიჯებდი შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით. ბადრაგი ეკლესიაში არ შემოდის. კართან შეეჭმუნებოდა. სულ ბოლოს დიაკონის ბოხ ხმას თუ მოვკრავდით ყურს,

ანდა ათასში ერთხელ ხალხის მიღმა მღვდლის შავი სამოსი და მელოტი თავი თუ გაიღვებდა. ეკლესიაში ხანდახან თვალს ვადევნებდი შესასვლელში შეჭვუფებულ უბრალო ხალხს, პირფერულად გზას რომ უთმობდა ბრჭყვიალა ეპოლეთიანს, გაბლენძილ მებატონეს ან გამოპრანჭულ, მაგრამ უაღრესად ღვთისმოსავ ქალბატონს, რომლებიც წინა რიგს მიაშურებდნენ და ამისთვის წარამარა ჩხუბობდნენ. იქ, შემოსასვლელთან, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, ლოცვითაც სხვანაირად ლოცულობდნენ, ვიდრე ჩვენთან, მორჩილად თავჩაქინდრულნი კარგად აცნობიერებდნენ თავიანთ უბადრუკ ყოფას.

ახლა მეც იმავე ადგილას მომიწია დგომა, თუმცაარა, ჩვენ ხომ დადალულები და დაბორკილნი ვიყავით. ყველა თავს გვარიდებდა, ჩვენი თითქოს ეშინოდათ. მხოლოდ მოწყალებას იმეტებდნენ, რაც თავისებურად მსიამოვნებდა კიდევ რაღაც მძაფრი, განსაკუთრებული შეგრძნება იყო. „იყოს, რაკი აგრეა“! ვფიქრობდი ჩემთვის. პატიმრები მეტად გულმოდგინედ ლოცულობდნენ, თითოეულ მათგანს ეკლესიაში ყოველთვის თან მიჰქონდა თავისი საცოდავი კაპიკი სანთლის ასანთებად ან ეკლესიისთვის შესაწირად. „მეც ხომ ადამიანი ვარ, ეგებ გრძნობდა ან ფიქრობდა რომელიმე პატიმარი ფულის გაღებისას. ღვთის წინაშე ხომ ყველანი თანასწორნი ვართ“. ადრეულ წირვაზე გვაზიარებდნენ ხოლმე, როცა მღვდელი ბარძიმით ხელში წაიკითხავდა: „ავაზაკთაც მიუტევენ შეცოდებანი მათნი“, თითქმის ყველანი, ბორკილების ჩხარუნით ძირს განვერთხმებოდით, რადგან ამ სიტყვებს, ალბათ, ყველა საკუთარ თავზე იღებდა.

აღდგომაც დადგა; უფროსობისგან თითო კვერცხი და ხორბლის ნაზუქის ნაჭერი გვერგო. ქალაქიდანაც მოგვაყარეს მოსაკითხი. ისევ მოვიდა მღვდელი ჯვრით, კვლავ გვინახულა უფროსობამ, ისევ მსუყე შჩი, ლოთიშფოთობა და ყიალი ყველაფერი გუსტად შობასავით განმეორდა, იმ განსხვავებით, რომ ახლა შეგვეძლო საპყრობილის ეზოში გავვესეირნა და მზეს შევფიცებოდით. როგორღაც მეტი სინათლე და სიხალვათე იგრძნობოდა, ვიდრე ზამთარში, მაგრამ რაღაცნაირი მეტი ნაღველიც.

ზაფხულის გრძელი, გაუთავებელი დღე განსაკუთრებით აუტანელი დღესასწაულებზე ხდებოდა. სამუშაო დღეებში კი დრო მალე გადიოდა. ზაფხულის სამუშაოები ზამთრისაზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდა. ძირითადად მშენებლობაზე ვმუშაობდით. პატიმრები აშენებდნენ, თხრიდნენ მიწას, აწყობდნენ აგურებს; სხვები სახაზინო სახლების რემონტისას საზეინკლო, სადურგლო ან სამღებრო სამუშაოს ასრულებდნენ. ზოგი ქარხანაში აგურის დასამზადებლად დადიოდა. ეს სამუშაო ყველაზე მძიმედ ითვლებოდა. ქარხანა საპყრობილიდან სამ-ოთხ ვერსზე იყო; ყოველ ცისმარე დილით, ექვს საათზე, მთელი ზაფხული, პატიმრების ორმოცდაათკაციანი ჯგუფი აგურის დასამზადებლად მიდიოდა. ამ სამუშაოებისთვის არჩევდნენ შავ მუშებს, ე.ი. არახელოსნებს, ხელობის არმცოდნეებს. მათ თან მიჰქონდათ პური, რადგან სადილად შინ მობრუნება, ანუ ზედმეტი რვა ვერსის გავლა, არ ღირდა. საღამოს საპყრობილეში სადილობდნენ. ძალზე მძიმე სამუშაო ჰქონდათ, ერთ დღეში ძლივს ასწრებდნენ. ჯერ ერთი, უნდა მოეთხარათ და გაეტანათ თიხა, მოეზიდათ წყალი და თავადვე მოეზიდათ თიხისსაზელ ორმოში. დაბოლოს, დაემზადებინათ მისგან რაღაც დიდი ოდენობის აგური, მგონი, ორი ასეული თუ ორნახევარიც კი; სულ ორჯერ ვიყავი ამ ქარხანაში. იქიდან საღამოს ბრუნდებოდნენ, დაღლილ-გატანჯულები და მთელი ზაფხული გამუდმებით აყვედრიდნენ სხვებს, ყველაზე ძნელ სამუშაოს ჩვენ ვასრულებთო. ამით როგორღაც თავს ინუგეშებდნენ. მიუხედავად ამისა, ზოგი იქ ერთგვარი ხალისითაც მიდიოდა: ჯერ ერთი, ქალაქგარეთა საქმე იზიდავდათ. გაშლილი, ლალი ადგილი ირტიშის პირას, რასაკვირველია, თვალს უფრო ახარებდა. ციხის ერთფეროვნებას გავიწყებდა. შეგეძლო თავისუფლადაც გაგებოლებინა და ნახევარი საათით ნებივრადაც წამოწოლილიყავი. მე კი ან ძველებურად სახელოსნოში დავდიოდი, ანდა ალებასტრზე, ან მშენებლობაზე აგურს ვაწვდიდი.

ერთხელ აგურების თრევა მომიწია ირტიშის ნაპირიდან სამოცდაათ ვერსზე, ყაზარმის მშენებლობაზე, თანაც მიწაყრილის გავლით. ეს სამუშაო ორ თვეს გრძელდებოდა. თითქმის მომეწონა კიდევ. თუმცა იმ

თოკისგან, რომლითაც აგურებს ვეზიდებოდი, განუწყვეტლივ მეყვლიფებოდა მხრები, მაგრამ მაინც მომწონდა და მუშაობას, როგორც ეტყობოდა, ჯანზე მოვყავდი. პირველად მხოლოდ რვა-რვა აგური გადამქონდა (თითო აგური თორმეტ გირვანქას იწონიდა); მერე თორმეტთხუთმეტ აგურამდეც ავედი, ეს ძლიერ მახარებდა. კატორღაში დაწყებული ცხოვრების მატერიალურ უკუღმართობასთან გასამკლავებლად ფიზიკური ძალა ზნეობრივზე არანაკლებ საჭიროა.

მე კი საპყრობილის მერეც ვაპირებდი ცხოვრებას.

აგურების თრევა მართო სხეულის გაკაჟებისთვის კი არ მსიამოვნებდა, არამედ იმიტომაც, რომ ირტიშის ნაპირას ვმუშაობდი. მხოლოდ და მხოლოდ იქიდან ჩანდა ქვეყნიერება, ნათელი, გამჭვირვალე შორეთი, დაუსახლებელი, თავისუფალი ველები, თავისი უკაცრიელობით ჩემზე უცნაურ შთაბეჭდილებას რომ ახდენდნენ. მხოლოდ ირტიშის ნაპირზე შეგეძლო ციხისთვის ბურგი შეგექცია, აღარ დაგენახა. ყველა დანარჩენი სამუშაო საპყრობილეში ან მის ახლოს სრულდებოდა. საპყრობილე, უფრო მეტად კი, ზოგიერთი შენობა, პირველი დღეებიდანვე დასანახად შემჯავრდა. ჩვენი პლაცმაიორის სახლს რაღაც ნაძრახ, საზიზღარ ადგილად აღვიქვამდი; ყოველთვის სიძულვილით ვუყურებდი.

ირტიშის სანაპირო კი ყველაფერს მავიწყებდა: ამ უსაზღვრო, უკაცრიელ სივრცეს ისე გავყურებდი, როგორც ციხის სარკმლიდან თავისუფლებას. აქ ყველაფერი მეძვირფასებოდა: ლურჯ, უძირო ცაზე მოელვარე მზეც და გაღმა ნაპირიდან მონაბერი ყირგიზის სიმღერაც. აკვირდები დიდხანს, ბოლოს კი, გაარჩევ რომელიმე საცოდავ იურთს, საიდანაც კვამლი ამოდის; ყირგიზ ქალს, ორი ცხვრის გადამკიდე იქვე რაღაცას რომ ფაციფუცობს. ყოველივე ეს სიღარიბე და სიველურეა, მაგრამ თავისუფლებაა. თვალს მოჰკრავ რომელიმე ფრინველს და დიდხანს დაჟინებით აკვირდები: აგერ, წყლის ზედაპირზე შეითამაშა, აგერ, ლაჟვარდში გაუჩინარდა, შორს კი პატარა წერტილივით ჩანდა... თვით უდღეურმა ყვავილმაც, რომელსაც ადრიან გაზაფხულზე კლდის ნაპრაღში წავაწყდი, ჩემი ყურადღება რაღაც ავადმყოფურად მიიქცია.

კატორღელისთვის განსაკუთრებით აუტანელია პირველი წელი. სევდა არ მტოვებდა, გამაღიზიანებლად, მწვავედ მოქმედებდა ჩემზე. ამის გამო პირველ წელს ჩემ გარშემო ბევრ რამეს ვერ ვამჩნევდი; უფროსწორად, თვალს ვხუჭავდი, არაფრის დანახვა არ მინდოდა. ჩემ მოძულე ბოროტ კატორღელებს შორის კარგი ადამიანები, რომლებსაც გრძნობისა და აზროვნების უნარი შესწევდათ, ვერ აღმოვაჩინე. მუდამ ღვარძლიანად მელაპარაკებოდნენ, არასდროს შემიმჩნევია ვინმე თბილად, კუდაბზიკობის გარეშე ეხსენებინათ. თუმცა მათ შესაძლოა ჩემზე მეტი ჰქონდათ გადატანილ-განცდილი. ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი არ ღირს.

მიხაროდა, როცა სამუშაოდან დაღლილ-დაქანცული ვბრუნდებოდი იქნებ დამძინებოდა! ზაფხულში ძილი წამება იყო, უარესი წამება, ვიდრე ზამთარში. თუმცა, ხანდახან, ჩინებული საღამოები იდგა. მთელ დღეს საპყრობილის ეზოზე მომდგარი მზე, ბოლოს თვალს მიეფარებოდა. აგრილდებოდა და მალე, თითქმის ცივი (შედარებით თუ ვიტყვით), ტრამალისებური ღამეც მოატანდა. ზოგჯერ პატიმრები, საკნებში შემწყვედვის მოლოდინში, ეზოში ჯგროდ დაბორილობდნენ. უმეტესობა სამზარეულოში იყრიდა თავს. იქ ყოველთვის წამოიჭრებოდა რაიმე საჭირბოროტო საკითხი. ბჭობდნენ ათას რამეზე, ხანდახან ჭორსაც კი განიხილავდნენ, ხშირად უგუნურს, მაგრამ ქვეყნიერებისგან მოწყვეტილ ამ ხალხის უცნაურ ყურადღებას მაინც იპყრობდა. მაგალითად, მოვიდა ცნობა, ჩვენს პლაცმაიორს კინწისკვრით აგდებენო. პატიმრები ბავშვივით მიაბიტები არიან: კარგად იციან, ეს მორიგი სისულელეა, რომელიც ყველასთვის ცნობილმა მოლაყბემ, „ახირებულმა“ კვასოვმა მოიტანა; არადა, დიდი ხნის წინ გადაწყვიტეს, მისთვის არაფერი დაეჯერებინათ ნამდვილი ქოსატყუილააო, ამბობდნენ. მაგრამ მაინც ინტერესდებიან, კამათობენ. თავს იტყუებენ. ბოლოს ყველაფერი იმით თავდება, თავადვე მოუვათ გული, შერცხვებათ, კვასოვს როგორ დაუჯერეთო.

აბა, ვინ გააგდებს? ყვირის ერთი, მე შენ გეტყვი, წვრილი კისერი აქვს, მოსტეხონ!

ალბათ, მასაც ჰყავს უფროსები! ეკამათება მეორე, ფიცხი და ერთობ ჭკვიანი, ბევრისმნახველი, მაგრამ იშვიათი მოპაექრე.

ძალდი ძალდის ტყავს არ დახევს! ზანტად, თითქოს თავისთვის შენიშნავს მესამე, ჭალარა პატიმარი, კუთხეში განმარტოებით რომ შეეცევა შჩის.

აზიის ხალხებში გადასატანი საცხოვრებელი ქეჩის კონუსისებრი ან ნახევარსფეროს ფორმის კარავი.

სწორედ შენ შეგეკითხებიან, შევცვალთ თუ არაო, გულგრილად დასძენს მეოთხე და თან ბალალაიკას მსუბუქად აჟღარუნებს.

რატომაც არა? ცხარდება მეორე, მაშასადამე, მთელი ჯამაათი ითხოვს.

თუ დაგვკითხეს, ყველამ განვაცხადოთ, თორემ ყვირილით ბევრი ყვირის, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივა, განზე დგებიან!

აბა, რა გეგონა! ამბობს მებალალაიკე, მაშ, რისი კატორღაა?

გუშინღამ, განაგრძობს ცხარედ მოკამათე, ფქვილი დაგვრჩა, მოფხიკეთ და ცოტაოდენი შეგროვდა, ნაძირალა. გავატანეთ გასაყიდად. მაგრამ არა, შეიტყო. ჩვენთანმა დაგვასმინა. წაგვართვეს: ვითომ, ეკონომიააო. სამართლიანია ეს თუ არა?

მერე ვისთან გინდა უჩივლო?

ვისთან? ლევიზორი რომ ჩამოდის, თვითონ მასთან.

ვინ ლევიზორი?

ეგ მართალია, ძმებო, რევიზორი ჩამოდის, ამბობს ერთი თამამი და წიგნიერი ჯეელი, ყოფილი მწერალი, რომელსაც წაუკითხავს „ჰერცოგის ქალი ლავალიერი“ თუ რაღაც ამდაგვარი. ოხუნჯია, საკბილოს ხელიდან არ გაუშვებს, მაგრამ ერთგვარი ცოდნისა და გამოცდილების გამო მის ოხუნჯობასაც პატივით იღებდნენ. ყურადღებას არ აქცევს მომავალი რევიზიით გამოწვეულ საერთო მძაფრ ცნობისმოყვარეობას, მზარეულთან მიდის და ღვიძლს ითხოვს; ჩვენი მზარეულები ხშირად ვაჭრობდნენ ამგვარებით, ღვიძლის მოზრდილ ნაჭერს ყიდულობდნენ, წვაგდნენ და პატიმრებზე მცირე ულუფებად ყიდდნენ.

გროშისა თუ ორის? ეკითხება მზარეული.

ორის ჩამოტყერი: დაე, დავუყენო ხალხს თვალი! მიუგებს პატიმარი, გენერალი, ძმებო, გენერალი მოდის პეტერბურგიდან, მთელი ციმბირი უნდა ნახოს. წყალი არ გაუვა, კომენდანტისას თქვეს.

ახალი ამბავი უჩვეულო მღელვარებას იწვევს. თხუთმეტ წუთს გრძელდება გამოკითხვები: რომელი გენერალი? აქაურ გენერლებზე უფროსია თუ არა? საუბარი ხარისხებზე, უფროსებზე, ვინ უფრო აღმატებულია, ვინ ვის აჯობებს და მათგან ვინ პირველი მოიდრიკება, პატიმრებს ძალიან უყვართ. გენერლების გამო ისე კამათობენ და ილანძღებიან, ლამისაა იჩხუბონ; არადა, მართლაც რაა აქ საჩხუბარი? მაგრამ გენერლებისა და საერთოდ, უფროსებზე დაწვრილებითი ინფორმაციის ცოდნით იზომება ამა თუ იმ პატიმრის განსწავლულობის, ჭკუისა და მნიშვნელობის ის დონეც, რაც ადრე, საპყრობილემდე, საზოგადოებაში ეკავა. ზოგადად, საპყრობილეში უმაღლეს წარჩინებულ პირებზე საუბარი ყველაზე ნატიფ და მნიშვნელოვან საქმედ ითვლებოდა.

მაშ, მართალი ყოფილა, ძმებო, მაიორის შესაცვლელად მოდიანო, შენიშნავს კვასოვი, გალეული, წითური კაცუნა, ფიცხი და საშინლად ბენტერა. პირველმა სწორედ მან მოიტანა მაიორის ამბავი.

მოქრთამავს! ასკვნის კუთხეში მიმჯდარი კუშტი მოხუცი, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, თავისი შჩი შეჭამა.

ეგეცაა, მოქრთამავს, ამბობს მეორე, მე შენ გეტყვი, ცოტა ფული მოხვეტა. ჯერ კიდევ ჩვენამდე ათასისთავად იყო. ამას წინ კი დეკანოზის ქალიშვილთან იწარხავდა საქმეს.

ხომ ვერ შეირთო: კარზე მიუთითეს, მაშასადამე, ღარიბი ყოფილა. რა სასიძო ეგა მყავს. ჩემი ავლადიდებაო, კურდღელს აეკიდებაო, მაგაზე ითქმის. ყველაფერი კარტში გაუფლანგავს. ფედკა ყვებოდა.

ღიახ, თუმც მფლანგველი არ ვარო, უფულოდ კი დავალო, საწყალი.

ეჰ, ძმობილო, მეც ცოლიანი ვიყავი. ღარიბი კაცის ქორწინება რა ვთქვი: ღამეც კი უდროოდ დაათენდება! შენიშნავს სკურატოვი, რომელმაც უცებ საიდანლაც თავი ამოჰყო.

მაშ, მაშ! სწორედ შენზეა ლაპარაკი, ურთავს ყოფილი მწერალი თამამად, შენ კი, კვასოვ, პირში გეტყვი, დიდი ჭკუისკოლოფი ვინმე ხარ.

ნუთუ გგონია, რომ ასეთ გენერალს მაიორი მოქრთამავს და მაიორის სარევიზიოდ განზრახ წამოვიდოდა პეტერბურგიდან? ჩერჩეტი ხარ, ბიძიკო, ჩერჩეტი!

ვითომ რაღაო? რაღა გენერალია, არ აიღებს თუ? სკეპტიკურად შენიშნა ვიღაცამ.

რა თქმა უნდა, არ აიღებს, თუ აიღებს, ბლომდაც აიღებს.

ცხადია, ბლომად; ჩინის შესაფერისად.

გენერალი ყოველთვის აიღებს, გადაჭრით შენიშნავს კვასოვი.

იქნებ თავად მიგიცია, ჰა? ზიზღით ეუბნება შემოსწრებული ბაკლუშინი, გენერალი, ალბათ, თვალითაც არ გინახავს?

თუ მინახავს?

ტყუი.

მატყუარას ხმა მესმის.

ბიჭებო, თუ უნახავს, აქვე საჯაროდ თქვას, რომელ გენერალს იცნობს?

აბა, თქვი, მე ყველა გენერალი ვიცი.

გენერალი ზიბერტი მინახავს, როგორღაც გაუბედავად მიუგებს კვასოვი.

ზიბერტი? ასეთი გენერალი არ გამიგია. ეტყობა, ზურგიდან მოგია-რა იმ ზიბერტმა, ალბათ, ჯერ კიდევ პოდპოლკოვნიკი იყო, შენ კი გენერლის ჩინი შიშისგან მოგეჩვენა.

არა, ყური მიგდეთ, ყვირის სკურატოვი, ცოლიანი ვარ, დამეჯერება, გენერალი ზიბერტი მართლაც იყო მოსკოვში, გერმანელებიდან წამოსული, მაგრამ რუსი. ყოველ წელს რუს მღვდელს აღსარებას აბარებდა და სულ წყალს სვამდა, ძმებო, სულ წყალს. თითქოს იხვიაო. ყოველდღე მდინარე მოსკოვიდან მოტანილ ორმოც ჭიქას სვამდა. ამბობდნენ, რაღაც სენს წყლით ირჩენსო. თვითონ მისი კამერდანი ამბობდა.

წყლისგან კინალამ კარჩხანები გასჩენოდა სტომაქში! დასძენს ბალაღაიკიანი პატიმარი.

გეყოფათ, ხალხო! აქ საქმეზეა ლაპარაკი, ესენი კი... ეგ რომელი ლევიზორია, ძმებო? მზრუნველად შენიშნავს ერთი მუდამ მოფუსფუსე პატიმარი, მოხუცი მარტინოვი, ყოფილი ჰუსარი.

ღმერთმანი, როგორ ტყუის ხალხი! ამბობს ერთი სკეპტიკოსთაგანი, საიდან რას მოჩმახავენ? სად რას გაასაღებენ? ყველაფერი ეს სისულელეა.

არა, არ არის სისულელე! აუღელვებლად შენიშნავს აქამდე დარბაისლურად მდუმარე კულიკოვი. ეს გახლდათ გავლენიანი, ასე ორმოცდაათ წელს აქ: კამერდინერი მიტანებული მეტად სანდომიანი სახის პატიმარი, რაღაც ბიზნარევი ქედმაღლური მანერები ჰქონდა. ამას კარგად აცნობიერებს და ეამაყება კიდევ. ის ნაწილობრივ ბოშაა. ქალაქში ცხენების მკურნალობით აკეთებს ფულს, კარგი ვეტერინარია. ჩვენთან, საპყრობილეში კი ღვინით ვაჭრობს. ჭკვიანია, ბევრის მნახველი. სიტყვას ისე ამბობდა, გეგონება, ოქროს არიგებსო.

დასაჯურია, ძმებო, წყნარად განაგრძობს, ჯერ კიდევ იმ კვირია გავიგონე: მეტად წარჩინებული გენერალი მოდის, მთელ ციმბირს რევიზია უნდა უყოს. ცნობილი ამბავია, მასაც მოქრთამავენ, მაგრამ ჩვენი ცხრათვალა სათოფეზეც ვერ მიეკარება. გენერალიც არის და გენერალიც, ძმებო. ყველანაირნი არიან. მხოლოდ ამას გეტყვით: ჩვენი მაიორი ყველა შემთხვევაში თავის ალაგასვე დარჩება. ეს ნამდვილია. ჩვენ უნო ხალხი ვართ. უფროსთაგანი კი არავინ დააბეზლებს თავისიანს. ლევიზორი ერთს შემოიხედავს საპყრობილეში, წავა თავის გზაზე. ყველაფერი რიგზე დამხვდაო, ჩაიტანს ამბავს...

იმიტომაცაა, მაიორი, ძმებო, შიშის ქარს აუტანია: დილიდანვე მთვრალია.

საღამოს კი სხვა ფურგონი მიჰყავს. ფედკა ამბობდა.

არ გათეთრდების ყორანიო... თითქოს პირველად არის მთვრალი?

არა, ეს რასა ჰგავს. თუ გენერალმაც არაფერი გააკეთა! კმარა მაგათი სისულელეების მოსმენა! აღელვებული ლაპარაკობენ პატიმრები.

რევიზორის ამბავი წამსვე მოედო მთელ საპყრობილეს. მიდი-მოდინ ებოში და ამ ცნობას ერთმანეთს მოუთმენლად გადასცემენ. ზოგი განზრახ დუმს, გულცივადაა. ამით ცდილობს თავს წონა შემატოს.

სხვები გულგრილად არიან. ყაზარმების კარის წინ ბალალაიკიანი პატიმრები ჩამოსხდარან; ვინ ყბედობას განაგრძობს, ვინ მღერის, მაგრამ, ზოგადად, ამ საღამოს ყველა ერთობ აგზნებულია.

ასე ათ საათზე დაგვთვლიდნენ ხოლმე, ყაზარმებში შეგვრეკავდნენ და დაგვამწყვდევდნენ. მოკლე ღამეები იყო; დილის ხუთ საათზე გვაღვიძებდნენ. დაძინებით კი თეთრმეტ საათზე ადრე ვერაფრით ვიძინებდით, რადგან ფუსფუსი და ყაყანი არ წყდებოდა; ხანაც, ისე როგორც ზამთრობით, ჩაის სმა ჩაღებოდა საკანში აუტანელი სიციხე და დახუთულობა იყო. ღია სარკმლიდან ღამის სიგრილე ატანდა, მაგრამ პატიმრები მაინც მთელი ღამე წრიალებდნენ ტახტებზე, თითქოს ციებციხელების ბურანში არიანო. ბალღინჯოებისგან ხომ საშველი აღარ იყო. ზამთარშიც საკმაოდ იყვნენ; გაზაფხულიდან მოყოლებული სწრაფად მრავლდებოდნენ; ამაზე ადრეც მსმენოდა, მაგრამ სანამ პირადად არ ვნახე, ვერ დავიჯერე. ისინი ზაფხულის მოახლოებისთანავე უფრო აქტიურად გვიტევდნენ. მართალია, ბალღინჯოებსაც შეეჩვევა კაცი, ეს საკუთარ თავზე გამოვცადე, მაგრამ მანამდე, შენი დაგემართება: იქამდე გამამაწარეს, რომ ღონემიხდილი გაოგნებულივით ვეგდე-ვგრძნობდი, კი არ მეძინა, ბურანში ვიყავი.

დაბოლოს, ალიონის პირზე, როცა ბალღინჯოებიც მიყუჩდებოდნენ, თითქოს გაწყდნენო, დილის ნიაგზე თითქოს მართლაც ტკბილად ჩავთვლემდა, საპყრობილის ჭიშკართან უმოწყალოდ აბრახუნებდნენ დაფდაფს, და იწყებოდა დაფიონი. უფრო თბილად ეხვევი ჯუბაში და წყევლა-კრულვით უსმენ ამ მკვეთრ, მკაფიო ხმებს, თითქოს ითვლიდე, და ამ ძილბურანში უნებურად აგეკვიატება აუტანელი აზრი, რომ ასევე იქნება ხვალ, ზეგ, რამდენიმე წელიწადს, ასე იქნება საბოლოო თავისუფლებამდე. როდის იქნება, როდის? ან ფიქრობ, სადაა ეს თავისუფლება? ამასობაში უნდა გაიღვიძო, იწყება ჩვეულებრივი სიარული, მიხ-

ლა-მოხლა... პატიმრები იცვამენ, სამუშაოდ მიდიან. უნდა ითქვას, ერთი საათით შუადღითაც შეგეძლო წაგეძინა.

რევიზორზე მართალი იქვეს. ხმები დღითიდღე უფრო სარწმუნო ხდებოდა, ბოლოს, ყველა დაბეჯითებით ამბობდა, რომ პეტერბურგიდან მთელი ციმბირის სარევიზიოდ დიდი გენერალი ჩამოვიდა და უკვე ტობოლსკშიაო. საპყრობილეში ყოველდღე ახალ-ახალი ცნობა მოდიოდა. ქალაქის ამბებიც მოჰქონდათ: ამბობდნენ, იქ დიდი ფაციფუცია, ყველა დამფრთხალია, ადვილი ხომ არაა, ყველა საქონელი წალმა მხრით უნდა უჩვენონო; უმაღლესი უფროსობა მეჯლისებისა და ზეიმებისთვის ემზადებაო. ქუჩების მოსასწორებლად, ციხეში კოლბოხების მოსაშლელად, ბოძებისა და ღობეების შესაღებად თუ შესაღესად პატიმრებს ჯგუფებად აგზავნიდნენ; ერთი სიტყვით, უნდოდათ სასწრაფოდ მოეწესრიგებინათ ყველაფერი, რის ნახვასაც, სავარაუდოდ, დიდი გენერალი მოითხოვდა ან თვალში მოხვდებოდა. პატიმრები ამას მშვენივრად ხვდებოდნენ, და სულ უფრო ცხარედ და გაბედულად მსჯელობდნენ. მათ ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა. იმასაც კი აპირებდნენ, პრეტენზია განეცხადებინათ, როცა გენერალი მათ გასაჭირზე შეეკითხებოდა. მანამდე კი კამათობდნენ და ერთმანეთს ლანძღვდნენ.

პლაცმაიორი ღელავდა. საპყრობილეში სიარულს მოუხშირა, წამდაუწუმ ყვიროდა, პატიმრებს უფრო ერჩოდა, გაცილებით ხშირად გაჰყავდა ხალხი კორდევარდში სისუფთავესა და წესრიგზე ამახვილებდა ყურადღებას. სწორედ ამ დროს, თითქოს განგებ, საპყრობილეში ერთი პატარა ინციდენტი მოხდა. ელოდნენ მაიორი აღელდებოდა, მაგრამ პირიქით, კმაყოფილიც კი დარჩა. ერთმა პატიმარმა მეორეს ჩხუბის დროს მკერდში სადგისი გაუყარა.

დანაშაული პატიმარმა ლომოვმა ჩაიდინა, ხოლო დაჭრილი გამოუსწორებელ მაწანწალად ცნობილი გავრილკა იყო.

ლომოვი კ. -სკის მაზრის შეძლებული გლეხის ოჯახიდან იყო. ლომოვები უწინ ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ: მოხუცი მამა, სამი ვაჟი და მათი ბიძა. გუბერნიაში ამბობდნენ, მათ ასიგნაციით სამი ათასის კაპიტალი აქვთო. მიწას ამუშავებდნენ, ტყავს ამზადებდნენ, ვაჭრობდნენ, მაგ-

რამ უფრო მეტად მევახშეობას, ნაქურდალი საქონლის დამალვასა და სხვა ამგვარ ხელობას მისდევდნენ. ნახევარი მაზრის გლეხობა მათი მევალე იყო. კაბალაში ჰყავდათ. ჭკვიან, ეშმაკ გლეხებად ითვლებოდნენ, მაგრამ, ბოლოს, გაყოფილდნენ, უმეტესად მას შემდეგ, რაც ერთმა იქაურმა დიდკაცმა მათთან სტუმრობას მოუხშირა. ის საზრიან მოხუცს სწყალობდა. ჰოდა, ლომოვებმაც იფიქრეს, ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო და არცერთ თაღლითურ საქმეს ხელიდან არ უშვებდნენ. მათით ყველა უკმაყოფილი იყო, სწყევლიდნენ. ისინი კი ცხვირს სულ უფრო მაღლა და მაღლა სწევდნენ. პროკურატურასა და მაზრის პოლიციის უფროსებს არაფრად აგდებდნენ. ბოლოს, ნამეტანი თავს წავიდნენ და დაიღუპნენ კიდევ; მაგრამ არა არაკაცური დანაშაულებების, არამედ ცილისწამებისთვის.

სოფლიდან ათ ვერსზე დიდი ხუტორი ჰქონდათ, ანუ, ციმბირის პირობაზე, ახლ. იქ შემოდგომის დამდეგს ექვსიოდე ყირგიზი მიწისმუშა დააბინავეს. ერთ ღამეს ყველასთვის ყელი გამოეჭრათ. დაიწყო გამოძიება. დიდხანს იკვლევდნენ. გზადაგზა ლომოვების ბევრი სხვა, ცუდი საქმეც გამომჟღავნდა. ერთი სიტყვით, ლომოვები თავიანთი მუშების მკვლელობაში დაადანაშაულეს. თვითონაც ასე ყვებოდნენ და მთელმა საპყრობილემაც იცოდა: ეჭვი იმიტომ მიიტანეს, რომ მათ მუშების საკმაოდ დიდი ვალი დაუგროვდათ და რაკი, სიმდიდრის მიუხედავად, ძუნწები იყვნენ, ვალი რომ არ გადაეხადათ ყველა ამოწყვიტეს. ძიებისა და სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში ლომოვები მთლად გაღატაკდნენ. მოხუცი მოკვდა. შვილები აქეთ-იქით დაიფანტნენ.

ერთ-ერთი ვაჟი ბიძასთან ერთად ჩვენს კატორღაში მოხვდა. თორმეტი წელი ჰქონდა მისჯილი. და მერე? აღმოჩნდა, რომ სრულიად უბრალონი იყვნენ ამ საქმეში! აქვე, საპყრობილეში გამოჩნდა ცნობილი თაღლითი, მხიარული და მარჯვე გავრილკა, რომელიც მთელ ამ საქმეს თავის თავზე იღებდა. მართალია, არ გამიგია, თვითონ ეღიარებინოს, მაგრამ საპყრობილეში ყველას სჯეროდა, რომ ყირგიზების ამბავი მისი დატრიალებული იყო.

გავრილკა ლომოვებთან ჯერ კიდევ მაწანწალობისას ურთიერთობდა. კატორღაში მცირე ხნით მოვიდა, როგორც მაწანწალა და დებერტირი. გაძარცვის მიზნით, ის და მისი სამი თანამზრახველი ყირგიზებს თავს დაესხნენ და ამოწყვიტეს.

ლომოვები, არ ვიცი რატომ, ჩვენთან არავის უყვარდა. ერთ-ერთი მათგანი ყოჩალი, ჭკვიანი, შემგუებლური ხასიათის ახალგზარდა იყო; მაგრამ ბიძამისი, ვინც გავრილკას სადგისი გაუყარა, ტლუ და ანჩხლი გავრია გახლდათ, მანამდეც ბევრთან კინკლაობდა და ლაზათიანადაც ცემდნენ.

მხიარული გავრილკა ყველას უყვარდა. ლომოვებმა იცოდნენ, რომ ის დამნაშავე იყო და მის გამო გაუბედურდნენ, მაგრამ არაფერს უშავებდნენ, სათოფებეც არ ეკარებოდნენ. მათდამი ყურადღებას არც გავრილკა იჩენდა. მაგრამ ბიძა ლომოვი ერთი უბინძურესი კახპის გამო წაეჩხუბა. გავრილკას თავი მოჰქონდა: გოგოს მოვწონვარო. ლომოვმა იეჭვიანა და ერთ მშვენიერ შუადღეს სადგისი გაუყარა.

ლომოვები, მართალია, გაკოტრდნენ, მაგრამ საპყრობილეში მდიდრებივით ცხოვრობდნენ. ეტყობა, იმდენი კიდევ შემორჩენოდათ, რომ საკუთარი სამოვარი ჰქონდათ და ჩაის ხშირად სვამდნენ. ჩვენმა მაიორმა ეს იცოდა და ამის გამო ორივე ლომოვი ეჯავრებოდა. მზად იყო მათ უბრალო რამეზე წაჩხუბებოდა, სულ გარშემო უტრიალებდა, მიზეზს ეძებდა. ლომოვები ფიქრობდნენ, მაიორს ჩვენგან ქრთამი უნდაო, მაგრამ არ აძლევდნენ.

რასაკვირველია, ლომოვს სადგისი ოდნავ ღრმად რომ ჩაერტო, გავრილკა ვერ გადარჩებოდა, მაგრამ ინციდენტი უბრალო გაკაწვრით დამთავრდა. მაიორს მოახსენეს. მახსოვს, როგორ მოიჭრა აქოშინებული და, ჩანდა, კმაყოფილიც. ალერსიანად, საკუთარი ძესავით მიუაღერსა გავრილკას.

რა იყო ძმობილო, შეძლებ ჰოსპიტლამდე მისვლას? არა, სჯობს ცხენი შევიბან. აბა, შეაბით ცხენი! სასწრაფოდ გასძახა უნტეროფიცერს.

მე, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, არაფერი მაწუხებს. ცოტათი მიჩხვლიტა. სულ ეგაა...

შენ არ იცი, არც იცი, ჩემო კარგო, აი ნახავ... საშიშ ადგილზეა, ზედ გულის ძირას მოუხვედრებია, ავაზაკს! დამაცა, დამაცა. აღრიალდა ლომოვის მისამართით, ახლა გაჩვენებ სეირს!.. კორდეგარდიაში!

მართლაც აჩვენა სეირი. თუმცა ჭრილობა ძალზე მსუბუქი აღმოჩნდა, ლომოვი გაასამართლეს. დამნაშავეს სამუშაო საათები დაუმატეს და ათასიან მწყობრშიც გაატარეს. მაიორი აშკარად კმაყოფილი ჩანდა...

ბოლოს, რევიზორი მართლაც ჩამოვიდა.

ქალაქში ჩამოსვლიდან მეორე დღესვე საპყრობილეში გვეწვია. დღესასწაულები იყო. ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე ყველაფერი დაგვარეცხინეს, დაგვასუფთავებინეს და დაგვაკრიალებინეს. პატიმრები გაპარსეს. თეთრი, სუფთა ტანსაცმელი დაურიგეს. ზაფხულობით, წესისამებრ, ყველას თეთრი ტილოს ქურთუკები და შარვლები ეცვა. ბურგზე ყოველ მათგანს ორი გოჯი დიამეტრის შავი წრე ჰქონდა ჩაკერებული. პატიმრებს ერთი საათი წვრთნიდნენ, როგორ ეპასუხათ, თუ ვინიცობაა რევიზორი გამოელაპარაკებოდა. ერთი სიტყვით, რეპეტიციები ტარდებოდა. მაიორი დამდურებულივით დაწრიალებდა. გენერლის მოსვლამდე ერთი საათით ადრე ყველა თავიანთ ადგილას იყო გაჭიმულნი, გაშეშებულნი. ბოლოს, დღის პირველ საათზე, გენერალიც მობრძანდა. ეს გახლდათ დიდი გენერალი, ისეთი დიდი, რომ, მის დანახვაზე, ალბათ, მთელი დასავლეთ ციმბირის თავკაცებს გული უფანცქალებდათ. შემოვიდა მკაცრი და დიდებული იერით, თან შემოჰყვა ადგილობრივ ხელისუფალთა მთელი ამალა, რამდენიმე გენერალი თუ პოლკოვნიკი. მათ შორის ერთი ლამაზი და ტანადი პეტერბურგელი, ფრაკსა და ყელიან წაღებში გამოწყობილი სამოქალაქო პირიც ერია. მეტად თავისუფლად და დამოუკიდებლად ეჭირა თავი. გენერალი ხშირხშირად თავაზიანად მიმართავდა. პატიმრები ამან საშინლად დააინტერესა. სამოქალაქო პირი და ასეთი პატივი, თანაც ასეთი

გენერლისგანო! შემდგომ მისი გვარიც გაიგეს და ვინაობაც, მაგრამ მითქმა-მოთქმა მაინც არ წყდებოდა. სამხედრო ყაიდაზე გამოწკვიპილ, თვალეხასისხლიანებულ ჩვენს მაიორს, ფერისმჭამელებიანი, აჭარხლებული სიფათით, ვეჯვობ, გენერალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოეხდინა. საპატიო სტუმრისადმი საგანგებო მოწიწების ნიშნად ის უსათვალოდ გახლდათ. ლარივით გაჭიმული იდგა და გაფაციცებით ელოდა, როდის დაავალებდნენ რამეს, რათა თავქუდმოგლეჯილი გავარდნილიყო მისი აღმატებულების სურვილის ასასრულებლად, მაგრამ არავინ დალაპარაკებია. გენერალმა მდუმარედ დაიარა ყაზარმები. შეიხედა სამზარეულოშიც, მგონი, შჩიც გასინჯა. ჩემზე მიუთითეს: ასე და ასეა, აზნაურიანო.

ჰაა! თქვა გენერალმა ახლა როგორ იქცევა?

ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად, თქვენო აღმატებულება, მიუგეს მას. გენერალმა თავი დააქნია. ორიოდე წუთის შემდეგ საპყრობილიდანაც წავიდა და დატოვა საგონებელში ჩავარდნილი, შეცბუნებული პატიმრები. მაიორის მიმართ რაიმე პრეტენზიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ამაში მაიორიც წინასწარვე იყო დარწმუნებული.

2.6. კატორღის ცხოველები

მალე ქურანას ყიდვის ამბავმა გაცილებით უფრო გაართო პატიმრები, ვიდრე საპატიო გენერლის სტუმრობამ. საპყრობილეში, წყლის საზიდად, ნაგვის გასატანად და ა.შ. ცხენს იყენებდნენ. მას პატიმარი უვლიდა და თავადვე და ჰყავდა, ცხადია, ბადრაგის თანხლებით. ჩვენს ცხენს, რომელიც უკვე ძალიან დიდი ხანია გვემსახურებოდა, სამუშაო ყოველ დილა-სალამოს სამყოფად ჰქონდა. კარგი ცხენი იყო, თუმცა უკვე დაძაბუნებული. ერთ მშვენიერ დილას, პეტრეპავლობის წინაღვეს, სალამოს კასრი რომ ამოიტანა, დავარდა და რამდენიმე წუთში ფეხიც გაფშკვა. ყველას შეეცოდა, გარს შემოეხვივნენ, კამათობდნენ, ბჭობდნენ. ჩვენმა ყოფილმა კავალერისტებმა, ბოშებმა, ვეტერინარებმა და სხვებმა მეცხენეობის დარგში იშვიათი განსწავლულობაც გამოამუღვენეს, წაკინკლავდნენ კიდევ ამის თაობაზე, მაგრამ ქურანას ვერაფერი არგეს.

ეგდო უსულოდ, მუცელგამობერილი, რომელშიც ყველა მოვალეობად თვლიდა თითი ეკრა. მოახსენეს მაიორს, რაც უფლის ნებით მოხდა. დაუყოვნებლივ ახალია საყიდელიო, განაცხადა.

პეტრე-პავლობას, დილის წირვის შემდეგ, როცა ყველანი შევიკრიბეთ, გასაყიდი ცხენების მოყვანა დაიწყეს. თავისთავად ცხადია, ყიდვის საკითხი პატიმრებს უნდა გადაეწყვიტათ. ჩვენთან ბევრი იყო ცხენმცოდნეობის ნამდვილი ოსტატი და, ბუნებრივია, ორასორმოცდაათი კაცის მოტყუება, ადრე სულ ამ საქმეში რომ ტრიალებდა, ადვილი როდი იყო; მოდიოდნენ ყირგიზები, გადამყიდველები, ბოშები, მეშჩანები. ყოველი ახალი ცხენის გამოჩენას პატიმრები მოუთმენლად ელოდნენ. ბავშვებივით ხალისობდნენ. ისე იქცეოდნენ, თითქოს მას თავისუფალი ადამიანებივით, საკუთარი ჯიბიდან ყიდულობდნენ. სამი ცხენი მოიყვანეს და წაიყვანეს. ეზოში შემოსული ვაჭრები, გარშემო ერთგვარი გაკვირვებით, რიდით იყურებოდნენ და შიგადაშიგ თანმხლებ ბადრაგსაც გადახედავდნენ. თავგადაპარსული, დაღდასმული, ბორკილებგაყრილი ორასკაციანი ბრბო, რომლის ბუნაგის ზღურბლს აქამდე გარეშეთა-

განი არ გადმოსცილებია, თავისებური მორიდების გრძნობას აღძრავდა. ყოველ ახალმოყვანილ ცხენს ჩვენები თავს დასტრიალებდნენ, მათი გამოცდისას ათასნაირ ეშმაკურ ხერხს მიმართავდნენ. სად არ შეუჭვრეტდნენ, სად არ შეავლებდნენ ხელს, თანაც ისეთი საქმიანი, ისეთი სერიოზული, მზრუნველი გამომეტყველებით, თითქოს საპყრობილის კეთილდღეობა ამაზნა დამოკიდებულიო. ჩერქები პატიმრები ცხენს მოაჯდნენ. თვალეები წამონთებოდათ. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ სხვებისთვის გაუგებარ ენაზე, ელვარე კბილებს წამდაუწუმ აჩენდნენ და თავებს აკანტურებდნენ. რუსები მთელი გულისყურით მიშტერებიან, თითქოს მათ თვალეებში ჩაძვრომას ლამობენო; რაკილა სიტყვები არ ესმით, მათ გამოხედვაში მაინც ხომ უნდა ამოეკითხათ, რას ფიქრობდნენ? კარგი ცხენია? გარეშე დამკვირვებელს ამგვარი ყურადღება უცნაურადაც მოეჩვენებოდა.

ჩვენში დარჩეს და, რა ძალა ადგა ამა თუ იმ პატიმარს თავი გამოედო, მით უმეტეს, რომელიმე მიგდებულს, ათვალწუნებულს, თავისიანებთანაც კი სიტყვის თქმას რომ ვერ ბედავდა?! ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, ცხენს თითქოს თავისთვის ყიდულობდა, თითქოს მისთვის სულერთი არ იყო, რას იყიდდნენ. ჩერქებების გარდა, განსაკუთრებით ყოფილი ვაჭრები და ბოშები აქტიურობდნენ. პირველ ადგილსა და პირველ სიტყვასაც მათ უთმობდნენ. აქ ერთგვარი კეთილშობილური პაექრობაც კი გაიმართა, განსაკუთრებით ორ პატიმარს შორის: ერთი ყოფილი ბოშა, ცხენი პარია და ქორვაჭარი კულიკოვი გახლდათ, მეორე თვითნასწავლი ვეტერინარი, ცბიერი ციმბირელი გლეხი. დიდი ხნის მოსული არ იყო, მაგრამ კულიკოვისათვის ყველა ქალაქელი მუშტრის წარმანძილი ცერის ბოლო ასე ორმოცდაათი წლის ეშმაკი გლეხის, რასკოლნიკ იოლკინის მოსვლისთანავე, კულიკოვი, როგორც ვეტერინარი დაიჩრდილა. სულ რაღაც ორიოდ თვეში მან კულიკოვს თითქმის ყველა ქალაქელი მუშტარი წაართვა. ისეთ ცხენებს ჰკურნავდა, თანაც სრულიად იოლად, რომლებზეც კულიკოვმა და ქალაქის პროფესიონალმა ვეტერინარებმაც ხელი ჩაიქნის. იოლკინი საპყრობილეში სხვებთან ერთად ყალბი ფულისთვის მოხვდა. სიბერის უამს ამ

საქმეში კომპანიონად გარეულიყო. თვითონვე გვიყვებოდა (თან თავის თავს დასცინოდა), რომ სამი ნამდვილი ოქროს ფულიდან მხოლოდ ერთი გამოგვივიდა ყალბიო.

კულიკოვი, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი გახლდათ იოლკინის ვეტერინარული წარმატებებით. სადაცაა პატიმრებშიც დაეცემოდა რეიტინგი. კაცი, რომელსაც საყვარელი ჰყავდა ფორშტადტში, დაპლისული ხიფთანით დადიოდა, ვერცხლის ბეჭედს, საყურეს და საკუთარ, ქობაშემოვლებულ ჩექმებს ატარებდა, უცებ, შემოსავლის დაკარგვის გამო, იძულებული გახდა მიკიტნობა დაეწყო.

ამის გამო ყველა მოელოდა, რომ, ახლა, ახალი ცხენის ყიდვისას, მტრები ერთმანეთს დასცხებდნენ. პატიმრებს ცნობისმოყვარეობა მოეძალათ. თითოეული მათგანი ორი დაპირისპირებული დასის წევრი იყო. დასის ბელადები მღელვარებისგან ცმუკავდნენ. ჩუმ-ჩუმად სალანძღავ სიტყვებსაც გადასძახებდნენ ერთმანეთს. თავად იოლკინსაც სახე ყველაზე სარკასტული ღიმილით დაჭყანვოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: კულიკოვი ოსტატურად მოიქცა. ჯერ დაუთმო, თავაზიანად მოისმინა მეტოქის აზრი; ერთი შეცდომა დაიჭირა, მოკრძალებით და მტკიცედ დაუსაბუთა, რომ ცდებოდა და ვიდრე იოლკინი გონს მოვიდოდა და შეცდომას გამოასწორებდა, ზუსტად გააანალიზა მისი არსი.

ერთი სიტყვით, ძალზე მოხერხებულად დააბნია იოლკინი და თუმცა საბოლოო გამარჯვება მაინც ამ უკანასკნელს ხვდა, კულიკოვის მომხრეებიც კმაყოფილნი დარჩნენ.

არა, ბიჭებო, ჩანს, ადვილად ვერ დააბნევ, არავის დაეჩაგვრინება! იძახდნენ ერთნი.

იოლკინი უფრო მცოდნეა! შენიშნავდნენ მეორენი. უცებ ორივე დასი აშკარად შემრიგებლური ტონით ალაპარაკდა.

მცოდნეც არ ეთქმის, ხელი აქვს უკეთესი. საქონლის ავ-კარგის გარჩევაში კი კულიკოვიც მაგარია.

მაგარი ბიჭია!

მაგარია!..

ახალი ქურანა, როგორც იქნა, შეარჩიეს და იყიდეს. დიდებული ცხენი იყო, ახალგაზრდა, ლამაზი, კუნთმაგარი. ისეთი საყვარელი, მკვირცხლი იერი ჰქონდა. რაღა თქმა უნდა, სხვა მხრივაც ყოვლად უზადო აღმოჩნდა. გაიმართა ვაჭრობა: ოცდაათ მანეთს ითხოვდნენ, ჩვენები ოცდახუთს აძლევდნენ. დიდხანს ცხარედ ვაჭრობდნენ. უკლებდნენ, თმობდნენ. ბოლოს საკუთარ თავზე ეცინებოდათ.

რა, საკუთარი ქისიდან იღებთ ფულს თუ? ამბობდნენ ერთნი. რაზე გვევაჭრებით?

ხაზინას ხომ არ მოვუფრთხილდეთ? ყვიროდნენ მეორენი.

რაც უნდა იყოს, ძმებო, ფულია, არტელისაა...

არტელისაა?! არა, აშკარაა, ჩვენისთანა სულელებს კი არ თესენ, თავად ვიბადებით...

საბოლოოდ, ოცდარვა მანეთად მორიგდნენ. მაიორს მოახსენეს, ყიდვა გადაწყდა. რასაკვირველია, მაშინვე გამოიტანეს პურმარილი და ახალი ქურანა საპყრობილეში პატივით შემოიყვანეს. ერთი პატიმარიც არ დარჩენილა, ახალი შენაძენისთვის ხელი კისერზე რომ არ მოეთათუნებინა ან დრუნჩზე არ მიფერებოდა. იმავე დღეს წაიყვანეს წყლის მოსატანად; ყველა უყურებდა, ახალ ქურანას კასრი როგორ მიჰქონდა.

ჩვენი წყალმომმარაგებელი რომანი ახალ ცხენს არაჩვეულებრივი თვითკმაყოფილებით აკვირდებოდა. ეს იყო ორმოცდაათიოდე წლის, ჩუმი, დარბაისელი გლეხკაცი.

ამბობენ, ყველა რუსი მეეტლე ერთობ დარბაისლური და ჩუმი ბუნებისაა, რაც ადასტურებს მოარულ აზრს, რომ ნიადაგ ცხენთან ურთიერთობა ერთგვარ სიდარბაისლესა და მედიდურობასაც კი სძენს ადამიანს.

წყნარი, ყველასთან ალერსიანი, სიტყვაძუნწი რომანი მუდამ თუთუნს ყნოსავდა და უხსოვარი დროიდან საპყრობილის თავლაში ქურანებს უვლიდა. ახალნაყიდი ცხენი მესამე იყო. ჩვენთან ყველას სწამდა, რომ წაბლა მალე გაჩნდებოდა და რატომღაც ამ მოვლენას სახლში დაბრუნებას უკავშირებდნენ. რომანიც ამას ამტკიცებდა. ამლაცს

არაფრით არ იყიდდნენ. წყალმომმარაგებლის ადგილი, რატომღაც მუდამ რომანს რჩებოდა. არავის უფიქრია მას შესცილებოდა. ბებერი ქურანა რომ მოკვდა, არავის, მაიორსაც კი აზრად არ მოსვლია, ამაში რომანი დაედანაშაულებინა. უფლის ნებაა, რას იზამო, რომანი კი კარგი მეეტლეაო.

მალე ქურანამ მთელი საპყრობილის სიყვარული დაიმსახურა. პატიმრები მკაცრი ხალხია, მაგრამ ხშირად მიუაღერებდნენ ხოლმე. მდინარიდან მობრუნებული რომანი უნტეროფიცრის მიერ გაღებულ ჭიშკარს დაკეტავდა, ამ დროს ქურანა ციხეში შემოვა, დადგება და ელოდება, ცერად იყურება მისკენ. აბა, მარტო წადი! შეუძახებს რომანი და ქურანაც მაშინვე მიახრიგინებს კასრს სამზარეულომდე და ჩერდება.

„ჭკუისკოლოფი ხარ, ქურანა!“ უყვირიან „მარტომ მოიტანა!.. გამგონეა“...

მართლაც, უყურე შენ! პირუტყვია, მაგრამ ესმის!
ყოჩაღ, ქურანავ!..

ქურანაც თავს აქეთ-იქით აქნევს, ფრუტუნებს, აქაოდა, თქვენი ქებით კმაყოფილი ვარო. იქვე ვინმე უსათუოდ პურს და მარილს გამოუტანს. ქურანა ჭამს და ისევ თავს აკანტურებს. თითქოს ეუბნება: „გიცნობ, გიცნობ! მეც საყვარელი ცხენი ვარ, შენც კაი კაცი ხარო!“

მეც მიყვარდა ქურანას გამასპინძლება. როგორღაც ყველას გვსიამოვნებდა მისი კოხტა დრუნჩის ყურება, როცა ხელის გულიდან მარჯვედ ჭამდა საკვებს. საერთოდ, ჩვენს პატიმრებს ცხოველები უყვარდათ. საპყრობილეში უფლება რომ მიეცათ, სიამოვნებით მოუვლიდნენ შინაურ საქონელსა თუ ფრინველს. ამგვარ საქმიანობაზე უკეთ რა მოალობდა და გააკეთილშობილებდა პატიმართა მკაცრ, მხეცურ ბუნებას? მაგრამ, არა და არა! ამის ნებას ოფიციალურად არავის აძლევდნენ. შინაგანაწესით იკრძალებოდა.

თუმცა, ჩემი საპყრობილეში ყოფნისას გვყავდა ძაღლები, ბატები, თხა ვასკა, ერთხანს არწივიც კი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საპყრობილის მუდმივი ბინადარი იყო შარიკაც, ჭკვიანი, კეთილი ძაღლი, ჩემი განუყრელი მეგობარი. მაგრამ, რაკილა ძაღლს, ზოგადად, უბრალო ხალხი ბინძურ ცხოველად მიიჩნევს, ჩვენთან ყურადღების ღირსადაც არავინ თვლიდა. ცხოვრობდა თავისთვის, ეზოში იძინებდა, სამზარეულოს ნასუფრალით იკვებებოდა და განსაკუთრებულ ინტერესს არავის აღუძრავდა, თუმცა ყველას სცნობდა და ყველა თავის პატრონად მიაჩნდა. როცა პატიმრები სამუშაოდან ბრუნდებოდნენ, ჭიშკრისკენ გარბოდა, თითოეულ პატიმარს ალერსით ეგებებოდა, კუდს აქიცინებდა და თვალებში მხიარულად შეჰყურებდა, ეგება, სულ მცირე ალერსი მაინც გაიმეტოსო. მაგრამ, ჩემ გარდა, არავინ ეფერებოდა. ამიტომაც გამორჩეულად ვუყვარდი.

არ მახსოვს, შემდგომ საიდან გაჩნდა მეორე ძაღლი, ბელკა, მესამე კი, კულტიაპკა, თავად მივიჩვიე ჯერ კიდევ ლეკვი იყო, როცა სახელოსნოში ვი პოვე და თან წამოვიყვანე. ბელკა უცნაური ქმნილება იყო. ვილაცის ეტლს გადაეარა ზედ და წელი ჩაზნექოდა; გაქცეული შორიდან თეთრ, ურთიერთშებრდილ, რაღაც ორ ცხოველად მოგეჩვენებოდა. ამას გარდა, უსუფთაო იყო, ერთთავად თვალებჩაჩირქიანებული; კუდი გაქუცული, თითქმის მთლად უბალნო, მუდამ აბურძვნილი ჰქონდა. ცხოვრებისგან დაჩაგრულს ეტყობოდა, გადაეწყვიტა, ბედს დამორჩილებოდა.

არავის შეჰყეფდა, თითქოს ვერ ბედავდა. პურის გამო ყაზარმის უკან ცხოვრობდა; დაინახავდა თუ არა ვინმეს, შორიდანვე, მორჩილების ნიშნად, ყირამალა გადატრიალებოდა: რაც გინდა, ის მიქენი, მე კი, ხომ ხედავ, წინააღმდეგობას არც ვფიქრობო! ყოველი პატიმარი, რომელსაც ფეხებში გაუგორდებოდა, ჩემმას ურტყამდა, თითქოს ამას თავის აუცილებელ მოვალეობად მიიჩნევდა. „შეხე, ამ წუნკალს!“ იტყოდნენ პატიმრები. მაგრამ ბელკა წკავწკავსაც ვერ ბედავდა, ხოლო თუკი მეტისმეტად აეწვებოდა, ყრუდ და საწყალადაცმუვლდებოდა. სწორედ ასევე უგორდებოდა შარიკასა და სხვა ძაღლებს. ხანდახან, თუ რომელიმე ყურებდაშვებული ნაგაზი ყეფა-ბრდღვინვით დაემუქრებოდა, გულაღმა გადატრიალდებოდა და მორჩილად წვებოდა.

ძალღებს უყვართ თავისთა მსგავსთა მორჩილება და თვინიერება. გაავებული ნაგაზი მაშინვე ცხრებოდა, როგორღაც გაყუჩებული წაადგებოდა მის წინაშე ფეხებაპლაკულ მორჩილ ძაღლს და გულდაგულ, ცნობისმოყვარეობით ყნოსავდა. ნეტა, რას ფიქრობდა ამ დროს აცახცახებული ბელკა? ვაი თუ დამგლიჯოს ავაზაკმაო! გაჰკრავდა ალბათ გულში. მაგრამ, ნაგაზი გულდასმით დაყნოსავდა, ბოლოს, მოშორდებოდა, რადგან მასში საინტერესოს ვერაფერს ნახულობდა. ბელკა მაშინვე წამოხტებოდა და კოჭლობით აედევნებოდა ძაღლებს, რომლებიც ლამაზ ცუგოს მიაცილებდნენ; არადა, დანამდვილებით იცოდა, ცუგოს ახლო გაცნობა არასდროს ეღირსებოდა, მაგრამ მისი შორიდან დანახვაც კი ანუგეშებდა უბედურ დღეზე გაჩენილს. ღირსებაზე ფიქრს, ეტყობა, დიდი ხანია თავი დაანება. კარგად იცოდა, რომ უპერსპექტივო მომავალი ჰქონდა. ერთხელ მივეფერე: ისე ეუცხოვა და გაუკვირდა, რომ უცებ მოწყვეტით, ოთხივე თათზე ჩაცუცქდა, ერთიანად აკანკალდა და გრძნობამორეული ხმამალალ წკმუტუნს მოჰყვა. ძალიან მებრალეობდა და ხშირად ვეფერებოდი. ჩემ დანახვამე მაშინვე წკმუტუნებდა, ავადმყოფურად და საწყალობლად წკავწკავებდა. ბოლოს, საპყრობილის გადაღმა, მიწაყრილზე ძაღლებმა დაგლიჯეს.

სულ სხვა ხასიათისა იყო კულტიაპკა. რატომ მივიყვანე სახელოსნოდან საპყრობილეში ჯერ ისევ თვალდახუჭული ლეკვი, არ ვიცი. მსიამოვნებდა, რომ ვაჭმევდი და ვზრდიდი. შარიკამ მაშინვე თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა კულტიაპკა, მასთან ერთად იძინებდა. ოდნავ წამოიზარდა თუ არა, ხან ყურებს დააკბენინებდა, ბეწვს მოაქაჩინებდა, ისე ეთამაშებოდა, როგორც ჩვეულებრივ, დიდი ძაღლები ეთამაშებიან ხოლმე ლეკვებს. უცნაურია, რომ კულტიაპკა სიმაღლეში ნაკლებად იზრდებოდა, სულ სიგრძე-სიგანეში მიდიოდა. ღიათაგვისფერი ბეწვი გაბანჯგვლოდა; ერთი ყური აღმა ეზრდებოდა, მეორე დაღმა; ფიცხელი და გიჟმაჟი ზნისა გახლდათ, ყველა ლეკვივით, რომლებიც პატრონის დანახვამე სიხარულისგან წკმუტუნითა და ყეფით იკლებენ იქაურობას. მოგახტებიან და სახეს გაგილოკავენ; მზად არიან სხვა გრძნობებიც გამოამჟღავნონ: მთავარია სიხარული გამოვხატო და

ზრდილობა რისი მაქნისიაო! სადაც უნდა ვყოფილიყავი, დავიძახებდი თუ არა: „კულტიაპკა!“ საიდანღაც უცებ გაჩნდებოდა, თითქოს ქვესკნელიდან ამოძვრათ. გიჟმაჟი წკმუტუნით მოჰქროდა, ბურთივით მოგორავდა, გზადაგზავც ყირაზე გადადიოდა. ეს პატარა გონჯიელა საოცრად შემეყვარდა. ისიც ბედით კმაყოფილი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს, პატიმარმა ნეუსტროევმა, რომელიც ქალის ფლოსტებს კერავდა და ტყავის გამოყვანა იცოდა, კულტიაპკას საგანგებო ყურადღება მიაქცია. თავისთან იხმო. ბეწვი გაუსინჯა და ალერსით მიწაზე პირაღმა წამოაწვინა. გულუბრყვილო, მოფერებას ნაჩვევი კულტიაპკა სიამოვნებისგან წკმუტუნებდა. ძალლი მეორე დილასვე გაქრა. დიდხანს ვეძებე. თითქოს მიწამ ჩაყლაპა... მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გავარკვიე, რომ კულტიაპკას ტყავი ნამეტანი მოსწონებოდა ნეუსტროევს. დაკლა, გააძრო, გამოქნა და ბულალტრის ცოლის შეკვეთილ ხავერდის დაბალყელიან წაღებს სითბოსთვის ამოუდო. ეს შედეგრი მეც მაჩვენა. საწყალი კულტიაპკა!

საპყრობილეში ტყავწარმოებით ბევრი იყო დაკავებული. ხშირად მოჰყავდათ ბეწვიანი ძაღლები, რომლებიც წამსვე უჩინარდებოდნენ. ზოგს ი პარავდნენ, ზოგს ყიდულობდნენ კიდევ. მახსოვს, სამზარეულოს უკან ერთხელ ორ პატიმარს წავაწყდი. რაღაცაზე თათბირობდნენ. ერთ-ერთს თოკით დიდებული ზორბა, ძვირფასი ჯიშის ძაღლი ეჭირა. ეტყობოდა, რომელიღაც არამზადა ლაქიას ბატონისთვის მოეპარა და ჩვენი მეწაღეებისთვის ოცდაათ კაპიკად მიეყიდა. ისინი ძაღლის ჩამოხრჩობას გეგმავდნენ. ასე უფრო მოხერხებული იყო: ტყავს გააძრობდნენ, ლეშს კი საპყრობილის ბოლოში მდებარე, უზარმაზარ ღრმა ორმოში გადაუძახებდნენ. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში ეს ორმო საშინლად ყარდა. იშვიათად თუ ამოასუფთავებდნენ. საბრალო ძაღლი თითქოს ხვდებოდა, რა ხვედრიც ელოდა. სამივეს რიგრიგობით დაჟინებით და შემფოთებით გვაცქერდებოდა, მხოლოდ შიგადაშიგ თუ გააქიცინებდა თავის ფუმფულა კუდს, თითქოს უნდა გული მოგვიღბოსო. იქაურობას საჩქაროდ გავეცალე; მათ კი, რასაკვირველია, თავისი საქმე მშვიდობიანად დაასრულეს.

არვინ იცის, საიდან და როგორ, შემთხვევით გამოჩნდნენ ბატებიც. ისინი ერთხანს პატიმრებს კარგად ართობდნენ და ქალაქშიც ცნობილნი გახდნენ. საპყრობილეშივე გამრავლდნენ და სამზარეულოს ნარჩენებით იკვებებოდნენ. როცა წამოიზარდნენ, ერთ გუნდად შეკრული ყველა ბატი პატიმრებს დაყვებოდა სამუშაოზე. როგორც კი დაფდაფს დაჰკრავდნენ და კატორღელები გასასვლელისკენ დაიძვრებოდნენ, ჩვენი ბატები ყიყინით აგვედევნებოდნენ, ფრთაგაშლილები, ზედიზედ ხტებოდნენ ამალლებულ ზღურბლზე, და მაშინვე მარჯვენა ფლანგს მიამურებდნენ, სადაც განაწილების მოლოდინში ჩავმწკრივდებოდით ხოლმე. ბატები, ჩვეულებრივ, ყველაზე დიდ ჯგუფს მიეკედლებოდნენ და იქვე ახლოს ბალახობდნენ. როგორც კი პატიმრები ყაზარმებისკენ დაიძვრებოდნენ, ისინიც აიშლებოდნენ. ხმა გავარდა, ბატები პატიმრებთან ერთად დადიან სამუშაოზე. „შეხე, პატიმრები თავიანთ ბატებიანად მოდიან!“ იტყოდნენ ხოლმე შემხვედრები. „კი, მარა, რანაირად ასწავლეთ“ „ეს თქვენი ბატებისთვის!“ დასძენდა მეორე და მოსაკითხს გვაძლევდა. მაგრამ, მიუხედავად ბატების ერთგულებისა, რომელიღაც ხსნილზე ყველა დაკლეს.

სამაგიეროდ, ჩვენს თხას, ვასკას არასდიდებით არ დაკლავდნენ, რომ არა საგანგებო შემთხვევა. არავინ იცოდა, საიდან გაჩნდა, მაგრამ ეს კია, საპყრობილეში მოულოდნელად პატარა, თეთრი, მშვენიერი ბეკევა გამოგვეცხადა. რამდენიმე დღეში ყველას შეგვიყვარდა. ის ჩვენი საერთო გასართობის დასიხარულის ობიექტი გახდა. მისი საპყრობილეში დატოვების საბაბიც მონახეს: საჭირო იყო თავლაში თხა ჰყოლოდათ, თუმცა, თავლას ვინ გააკარა, ჯერ სამზარეულოში ჰყავდათ, მერე კი ხან სად ნახავდით, ხან სად. ერთობ გრაციოზული და ანცი ვინმე გახლდათ, სახელის დაძახებაზე გამორბოდა, ყოველთვის გიჟმაჟი და ხალისიანი იყო. უკვე კაი გვარიანი რქები წამოზრდოდა, როცა, ერთ საღამოს სხვებთან ერთად ყაზარმის კარსწინა კიბეებზე მჯდარმა ლეკმა ბაბაიმ მასთან შერკინება გადაწყვიტა; კარგა ხანი ეჯახებოდნენ შუბლებით (მაღე ეს პატიმრების საყვარელი გასართობი გახდა). უცებ ვასკა სულ ზედა საფეხურზე შეხტა. ის-ის იყო ბაბაი შებრუნდა, მყისვე აი-

ყალყა, წინა ჩლიქები მკერდთან მიიბჯინა და მთელი ძალით გამოქანებულმა ისე დაჰკრა ლეკს კეფაში, რომ ძირს თავდაყირა გადაეშვა. ამით ყველა დამსწრე და, პირველ რიგში, თვით ბაბაი აღფრთოვანდა. ერთი სიტყვით, ვასკას ყველა სულში იძვრენდა; რომ წამოიზარდა, სერიოზული თათბირის შემდეგ, სატუსაღოს განთქმულმა ვეტერინარებმა მას ცნობილი ოპერაცია გაუკეთეს. თორემ თხის სუნი აუვაო, ამბობდნენ პატიმრები. ამის შემდეგ ვასკა მეტისმეტად გასუქდა. ისე აჭმევდნენ, თითქოს დასაკლავად ასუქებნო. ბოლოს, დიდი, მშვენიერი ვაცი დადგა. გრძელრქებიანი და მსუქანი, კი არ დადიოდა, ბაჯბაჯებდა. პატიმრებისა და შემხვედრთა გასამხიარულებლად ისიც ჩვენთან ერთად დადიოდა სამუშაოზე. ვასკას ყველა იცნობდა. ზოგჯერ, როცა პატიმრები მდინარის პირას მუშაობდნენ, ტირიფის მოქნილ რტოებს გლეჯდნენ, ფოთლებს აგროვებდნენ, მიწაყრილზე ყვავილებს ჰკრეფდნენ და ყველაფერ ამით ვასკას რთავდნენ: რქებზე ყვავილებსა და რტოებს შემოახვევდნენ, მთელ ტანზე გირლანდებს გადაჰფენდნენ. გაიხედავ, პატიმრებს მორთულ-მოკაზმული ვასკა მოუძღვება. ისინიც თავიანთი ვასკათი პატარა ბავშვივით ამაყობენ; ზოგი იმასაც ამბობდა: ვასკასთვის რქები ხომ არ მოგვეოქროვებინაო! მაგრამ სიტყვა არ შეუსრულებიათ. თუმცა, მახსოვს, აკიმ აკიმიჩს, ჩვენს ყველაზე კარგ ოქრომჭედელს ისაი ფომიჩის შემდეგ, შევეკითხე: მართლა თუა შესაძლებელი თხისთვის რქების მოოქროვება-თქო. მან თხა ჯერ ყურადღებით შეათვალიერა, სერიოზულად დაფიქრდა და მი პასუხა: სხვათა შორის, შეიძლება, მხოლოდ ეგაა, მალევე გადასცილდება და რა საჭიროაო! საქმეც ამით დამთავრდა.

დიდხანს იცოცხლებდა ვასკა, ალბათ, ქოშინი თუ მოუღებდა ბოლოს, მაგრამ ერთხელ, სამუშაოდან დაბრუნებულ პატიმრებს რომ მოუძღოდა მორთულ-მოკაზმული, ეტლით მიმავალ მაიორს გადააწყდა. „სდექ!“ დაიღრიალა, ვისია თხა?“ განუმარტეს. „როგორ! საპყრობილეში თხა გყოლიათ, თანაც ჩემს უნებართვოდ! უნტეროფიცერო!“ ეახლა უნტეროფიცერი. უბრძანა, დაუყოვნებლივ დაეკლათ, ტყავი ბაზარში გაეყიდათ და აღებული ფული პატიმართა ხაზინაში შეეტანათ. ხოლო

ხორციით შჩი მოეხარშათ და პატიმრებისთვის ეჭმიათ. საპყრობილეში იმსჯელეს, სინანული გამოთქვეს, მაგრამ ურჩობა ვერ გაბედეს. ვასკა ნაგვის ორმოს თავზე დაკლეს, ხორცი ერთ-ერთმა პატიმარმა მთლიანად შეისყიდა და საპყრობილეს მანეთნახევარი გადაუხადა. იმ ფულით კალაჩები იყიდეს, წვრილ-წვრილად დაჭრილი ვასკას ხორცი შემწვარ-მოხრაკულისთვის ისევ პატიმრებზე გასაღდა. ხორცი უგემრიელესი გამოდგა...

ჩვენთან, საპყრობილეში, ერთხანს არწივიც ბინადრობდა. ველის არწივის ჯიშისა. ვიღაცას მოეყვანა დაჭრილ-განაწამები. მთელი კატორღა შემოეხვია; ფრენა არ შეეძლო; მარჯვენა ფრთა მიწაზე დასთრევედა, ცალი ფეხი ნაღრძობი ჰქონდა. მახსოვს, გარშემო მრისხანედ იყურებოდა, ცნობისმოყვარე ბრბოს უთვალთვალეებდა და კაუჭა ნისკარტს აღებდა. მზად იყო ჩვენთვის ძვირად დაესვა თავისი სიცოცხლე. როცა მისი ყურებით გული იჯერეს და წავიდწამოვიდნენ, ასკინკილა, ჯანმრთელი ფრთის დახმარებით, კოჭლობით საპყრობილის ბოლოსკენ წაფართხუნდა, და კუთხეში, მესერთან მიიყუჟა. სამიოდე თვე ასე იყო, ადგილიდან ერთხელაც არ მოუცვლია ფეხი. თავდაპირველად ხშირად აკითხავდნენ, ძაღლს უქსევდნენ. შარკა დიდი რიხით უტევედა, მაგრამ ახლოს მისვლას ვერ უბედავდა. ამით პატიმრები ხალისობდნენ. „ველურია! ამბობდნენ, არ დანებდება!“ მერე და მერე შარკაც მწარედ აწვალებდა; შიში დაამარცხა და, როცა მიუქსევდნენ, ახერხებდა პირი მაინცდამაინც მტკივან ფრთაზე წაეველო. არწივი, კლანჭებითა და ნისკარტით, თავგამოდებით იგერიებდა, დაჭრილი მეფისამებრ მძინვარედ და ამაყად ათვალეირებდა ცნობისმოყვარეებს.

ბოლოს, არწივი ყველას მიავიწყდა. თუმცა ყოველდღე ნახავდით მის გვერდით ახალი ხორცის ნაფლეთებს, წყლით სავსე ქოთნის ნატეხს... ე.ი. ვიღაც პატრონობდა. საცოდავი, თავდაპირველად, არაფერს ჭამდა, რამდენიმე დღე არაფერს მიჰკარებია; ბოლოს, როგორც იქნა, ჭამა დაიწყო, მაგრამ არამც და არამც ვისმეს ხელიდან ან ვინმეს თანდასწრებით. შორიდან ვაკვირდებოდი. როცა თავს მარტოდ დაიგულეებდა, კუთხეს ოდნავ შორდებოდა: აქედან თორმეტიოდე ნაბიჯზე

კოჭლობით ჩაუყვებოდა მესერს, მერე უკანვე ბრუნდებოდა, შემდეგ კიდევ გამოვიდოდა, თითქოს ვარჯიშობსო. როგორც კი დამინახავდა, მაშინვე კოჭლობით და სკუპ-სკუპით, თავგამოდებით მიაშურებდა თავის ადგილს. თავს ასწევდა, ნისკარტს გაალებდა და საბრძოლველად განეწყობოდა. ვერაფრით მოვიგე მისი გული: მეძგერებოდა, მკბენდა, ძროხის ხორცს არ იკარებდა, თვალეში დაჟინებით მიყურებდა, თავისი ბრაზიანი, გამჭოლი მზერით მზად იყო გამირულად მომკვდარიყო; არც არავის ენდობოდა, არც არავის შერიგებია. ორი თვის მერე პატიმრებს ისევ გაახსენდათ. რატომღაც უცებ ყველა მისდამი თანაგრძნობით განიმსჭვალა. ამბობდნენ, არწივი აქედან უნდა გავიყვანოთო. თუ სიკვდილი უწერია, სჯობს საპყრობილეში არ მოკვდესო.

ლადი, ამაყი ფრინველია, საპყრობილეს არასდროს შეეგუება, კვერს უკრავდნენ მეორენი.

ჩანს, სხვა ჯილაგისაა, ჩვენ არ გვგავს, დაუმატა ვილაცამ.

დახე, რა წამოროშა: ის ფრინველია, ჩვენ კი ადამიანები ვართ, მაშა!

არწივი, ძმებო, ტყის მეფე გახლავთ... ის-ის იყო წამოიწყო სკურატოვმა, მაგრამ არავინ მოუსმინა და გაჩუმდა.

ერთხელ, ნასადილევეს, როცა დაფდაფმა სამუშაოზე წასვლა გვამცნო, აიყვანეს არწივი, ნისკარტი დაუჭირეს, რადგან გაათრებით იბრძოდა, და საპყრობილიდან წაიყვანეს. მიწაყრილამდე მივიდნენ. ამ ჯგუფის თორმეტოდე წევრს აინტერესებდა, საით წავიდოდა არწივი. უცნაური ამბავია, ყველა რაღაც კმაყოფილებას გრძნობდა: ისინი ხომ არწივს თავისუფლებას ანიჭებდნენ!

შეხე, ამ საძაღლეს! სიკეთეს უვშვრები, ეს კი ცდილობს მიკბინოს! ამბობდა პატიმარი, რომელსაც არწივი ეჭირა და მაინც სიყვარულით უყურებდა.

გაუშვი, მიკიტკა!

აბა, რა ეშმაკად უნდა ჩემოდანი. მაგას სილაღე უნდა, ნამდვილი, შეუბღუდავი თავისუფლება!

არწივი მიწაყრილიდან ველში გადაუშვეს. გვიანი შემოდგომა იყო, ცივი

და მოღუშული. შიშველ ტრამალზე ქარს ზუზუნნი გაჰქონდა და გადამხმარ-გადაყვითლებულ, დაკოშტებულ ველის ბალახში შარიშურობდა. არწივი მტკივანი ფრთის ქნევით პირდაპირ წავიდა. თითქოს ისწრაფვოდა, რაც შეიძლება მალე გაგვცლოდა. პატიმრები ინტერესით აკვირდებოდნენ.

დახე! ჩაფიქრებით თქვა ერთმა.

არც კი მოუხედავს! ჩაურთო მეორემ. ძმებო, ერთხელაც, არ მოუხედნია, მირბის თავისთვის!

რა გეგონა, მადლობის სათქმელად მოგიბრუნდებოდა? შენიშნა მესამემ.

ცნობილი ამბავია, თავისუფლება. სუნი ეცა თავისუფლებისა.

თავისუფლებათ, მათ.

აღარც კი მოსჩანს, ძმებო...

რას უდგახართ? გასწით! შემოგვძახა ბადრაგმა. ყველა უხმოდ, ზანტად გაუყევით სამუშაო ადგილისკენ მიმავალ ბილიკს.

2.7. პრეტენზია

ამ თავის დაწყებამდე, აწ განსვენებული ალექსანდრ პეტროვიჩ გორიანჩიკოვის ჩანაწერების გამომცემელი, თავს მოვალედ თვლის მკითხველს აცნობოს: „მკვდარი სახლის ჩანაწერების“ პირველ თავში ნახსენებია ერთი მამისმკვლელი აზნაური, რომელიც წარმოადგენს იმ იშვიათ ნიმუშს, თუ რა უგრძნობლად ლაპარაკობენ ზოგჯერ პატიმრები თავიანთ დანაშაულზე. ისიც ითქვა, რომ მკვლელმა არ აღიარა დანაშაული, მაგრამ, მისი საქმის მცოდნე პირთა ნაამბობით, ფაქტები იმდენად ნათელი იყო, არ შეიძლებოდა ეჭვი შეგპარვოდათ მის დანაშაულში. იგივე პირნი უმტკიცებდნენ „ჩანაწერების“ ავტორს, დამნაშავე აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდაო, ვალებში ჩაეფლო და მემკვიდრეობის ხელში ჩაგდების მიზნით მოკლა მამამისიო, თუმცა, მთელი ქალაქი, სადაც ადრე მამისმკვლელი მსახურობდა, ამ ამბავს ერთნაირად ყვებოდა. დაბოლოს, „ჩანაწერებში“ ნათქვამია: უაღრესად თავნება, ქარაფშუტა, წინდაუხედავი მკვლელი ციხეში მუდამ საუცხოო გუნებაზე იყო (მთლად სულელიც არ ეთქმოდა) და „ჩანაწერების“ ავტორს მისთვის განსაკუთრებული სისასტიკე არასდროს შეუნიშნავს. იქვე ეწერა: „რა თქმა უნდა, არ მჯეროდა, რომ ის დამნაშავე იყო“.

ამ დღეებში „მკვდარი სახლის ჩანაწერების“ გამომცემელს ციმბირიდან შეატყობინეს, ეს კაცი სასამართლომ ოფიციალურად გაამართლა და ათი წელი ტყუილუბრალოდ იტანჯა ციხეშიო. ნამდვილი დამნაშავენი უპოვიათ, რომლებიც გამომტყდარან. ეს უბედური კი მაშინვე გაუთავისუფლებიათ.

ვერაფერს დაამატებ! ამას იქნებოდა მსჯელობა ამ ფაქტის მთელ ტრაგიკულობაზე, ამგვარი საშინელი ბრალდებისგან ყმაწვილკაცობიდანვე გაუბედურებულ ადამიანზე. თავად ფაქტი მეტყველებს ყველაფერზე!

ვფიქრობთ, რაკი მსგავსი რამ შესაძლებელია, უკვე თავად ეს შესაძლებლობა წარმოგვიდგენს მკვდარ სახლს ახალ და ერთობ მკაფიო ფერებში.

უკვე აღვნიშნე, ბოლოს და ბოლოს, ციხის პირობებს შევეჩვიე-მეთქი. მაგრამ ამ „ბოლოს და ბოლოს“ ძალიან ძნელად, ტანჯვით, მეტისმეტად ნელა მივალწიე, თითქმის ერთი წელიწადი დამჭირდა. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე ხანა იყო. ასე ნათლად ამიტომაც დამამახსოვრდა. ასე მგონია, ამ წლის თითოეული საათი თანმიმდევრულად მახსოვს. ისიც ვთქვი, ციხის ცხოვრებასთან შეგუება არც სხვა პატიმრებისთვის იყო ადვილი. დაპატიმრების პირველ თვეებში ხშირად მიფიქრია: „რას შვრებიან სხვები, ნუთუ მშვიდად არიან-მეთქი?“ ეს მაინტერესებდა. უკვე ვახსენე, ყველა პატიმარი აქ ისე ცხოვრობდა, როგორც ფუნდუკში, თითქოს ბრძოლის რომელიღაცა ეტაპზე იყვნენ. სამუდამო პატიმრობამისჯილნიც კი წრიალებდნენ, დარდობდნენ. ყოველი მათგანი უსათუოდ ოცნებობდა თითქმის აუხდენელ რამეზე. მუდმივი მოუსვენრობა, თუმცა ჩუმი, მაგრამ მაინც საჩინო, უცნაური სიფიცხითა და მოუთმენლობით, ხანდახან უნებურად გამოთქმული, უმთავრესად, საფუძველსმოკლებული იმედები ლამის ბოღვას ჰგავდა. მაგრამ, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, არცთუ იშვიათად იკიდებდა ფეხს ყველაზე პრაქტიკული ადამიანების გონებაშიც კი, ყოველივე ეს სატუსაღოს უჩვეულო იერს აძლევდა.

ერთი შეხედვითვე იგრძნობოდა, რომ საპყრობილის გარეთ სხვაგვარად იყო. აქ ყველა მეოცნებე აუცილებლად გეცემოდათ თვალში, რადგან ოცნება პატიმართა უმეტესობის კუშტ, მოღუშულ იერს, ერთგვარ არაჯანსაღ ელფერს ანიჭებდა. უმრავლესობა სიტყვაძვირი იყო და საშინლად ბოროტი. თავისი იმედების გამომზეურება არ უყვარდათ. გულუბრყვილობა, გულღიაობა ზიზღს იმსახურებდა. რაც უფრო განუხორციელებელი ჩანდა იმედი, რაც უფრო მეტად გრძნობდა მეოცნებე მის უსაფუძვლობას, მით მეტი სიჯიუტითა და სისათუთით მალავდა, მაგრამ მაინც ვერ თმობდა, არ შეეძლო. ვინ იცის, ეგებ, ზოგს რცხვენოდა კიდევ ამის გამო. რუსული ხასიათი იმდენ დადებითს და საღ ხედვას წარმოაჩენს. ისე სჩვევია დაცინვა, უპირველესად, საკუთარი თავის... შესაძლოა, სწორედ საკუთარი თავით მუდმივი, იდუმალი უკმაყოფილებისგან დასჩემდათ ამ ადამიანებს ესოდენ მოუთმენლობა ერთმა-

ნეთთან ყოველდღიურ ურთიერთობაში, ამგვარი შეურიგებლობა, ამდენი ერთმანეთის დაცინვა... და თუ, მაგალითად, მათგანვე გამოტყვრებოდა ვინმე, უფრო მიამიტი და მოუთმენელი, და ხმამაღლა გამოთქვამდა იმას, რასაც ყველა ასაიდუმლოებდა თავის ოცნებებსა და იმედებზე ალაპარაკდებოდა, მაშინვე უხეშად შეაწყვეტინებდნენ, ხმას ჩააკმენდინებდნენ, მასხრად აიგდებდნენ. იქნებ, ამათგან ყველაზე დაუნდობელნი სწორედ ისინი იყვნენ, რომელთაც, თავიანთ ოცნებებსა და იმედებში, შესაძლოა, მასზე შორს შეეტოპათ.

თქვენ უკვე იცით, მიამიტებსა და უბირებს ყველა ისე უყურებდა, როგორც უკანასკნელ ყეყეჩებს, ზიზღით ექცეოდნენ. იმდენად პირქუში და თავმოყვარე იყო თითოეული პატიმარი, კეთილ და უთავმოყვარეო ამხანაგისადმი სიძულვილით იმსჯვალეობდა. მიამიტ-უბირ მოლაყბეთა გარდა, ყველა დანარჩენი, ე.ი. ენაძვირნი, მკვეთრად იყოფოდნენ კეთილებად და ბოროტებად, პირქუშებად და შუბლგახსნილებად. ბოროტნი და პირქუშნი გაცილებით სჭარბობდნენ: თუ მათ შორის გამოერეოდნენ ბუნებით ყბედები, ყველანი უსათუოდ მოუსვენარი ტორიკნები და ფეთიანი შურიანები იყვნენ. მუდამ სხვის საქმეში ეჩრებოდნენ; თუმცა, საკუთარი სულის, თავთავიანთი ხვაშიადის გამომჩეურება არც იმათ უყვარდათ. მოკლედ, ეს მოდაში არ იყო.

კეთილნი სულ პატარა ჯგუფი ჩუმად იყვნენ. გულში იმარხავდნენ თავიანთ იმედებს და, რა თქმა უნდა, იმედებისადმი მიდრეკილებას პირქუშებზე მეტად იჩენდნენ. სავსებით იმედგადაწურულთა ჯგუფიც არსებობდა; მათ შორის იყო, მაგალითად, სტაროდუბელი მოხუცი, ყოველ შემთხვევაში, ასეთები უმცირესობაში იყვნენ. მოხუცი მშვიდად გამოიყურებოდა (ის ზემოთაც ვახსენე), მაგრამ ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, ვვარაუდობ, სულიერად საშინლად იტანჯებოდა; ხსნის გზაც ეპოვა: ლოცვა და მოწამეობის იდეა. ბიბლიის კითხვით გატაცებული, შემოწმებული პატიმარიც (აკი ვახსენე, მაიორს აგურით ეცა-მეთქი), ალბათ, იმედგადაწურულებს ეკუთვნოდა; რაკი მთლად უიმედოდ ცხოვრება შეუძლებელია, გამოსავალი ნებაყოფლობით, თითქმის ხელოვნურ მოწამეობაში ი პოვა. ერთხელ განაცხადა, მაიორს ბოროტი განზრახ-

ვის გარეშე, მხოლოდ ტანჯვის წადილით დავუპირისპირდიო; ვინ უწყის, რა ხდებოდა მის სულში? რაიმე მიზნის გარეშე ცოცხალი ადამიანი უბრალოდ არ არსებობს. მიზან და იმედდაკარგული ადამიანი დარღისაგან ხშირად ნამდვილ ნადირად იქცევა... ყველა ჩვენგანის მიზანი კი თავისუფლება და კატორღიდან თავის დაღწევა იყო.

ახლა მთელი საპყრობილის დახარისხებას ვცდილობ, მაგრამ ეს შესაძლებელია? სინამდვილე ხომ უსასრულოდ მრავალფეროვანია; განყენებულ მკვეთრ აზრს, თუნდაც უჭკვიანესი ადამიანისგან თქმულს სინამდვილე ვერ იტანს. ის დაქუცმაცებისკენ მიილტვის. მიუხედავად საერთო გარემო პირობებისა, თითოეულ ჩვენგანს საკუთარი, შინაგანი ცხოვრება ჰქონდა.

ვცდილობდი, გულით მინდოდა ჩვენს ცხოვრებას ღრმად ჩავწვდომოდი; თავიდან მისი ყველა გარეგანი გამოვლენა გამოუთქმელ წამებას მაყენებდა. ხანდახან ეს ჩემსავით დატანჯულები უბრალოდ მძულდა. მათი მშურდა და საკუთარ ბედს ვწყევლიდი. მშურდა, რომ ისინი, ერთნაირნი, ერთმანეთს უგებდნენ. თუმცა, არსებითად მათაც, ისევე, როგორც მე, მობებრდათ, ყელში ამოუვიდათ როზგებსა და ჯოხებქვეშ ამხანაგობა; ეს იყო იძულებითი არტელი და ყოველი მათგანი უნებურად სხვაგან, გარეთ იყურებოდა. ვიმეორებ, ამ შურს, განმარტოების წუთებში რომ ვგრძნობდი, კანონიერი საფუძველი ჰქონდა. უთუოდ სცოდავს, ვინც ამბობს, აზნაურს, განათლებულს და ა.შ. სავსებით იმგვარადვე უმძიმს კატორღებსა თუ საპყრობილებში, როგორც რომელიმე გლეხსო. ბოლო ხანს ამგვარი მოსაზრება სადღაც წავიკითხე კიდევ. ეს იდეა მეტად განყენებულია. არ ითვალისწინებს რეალურად არსებულ პრაქტიკულ პირობებს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ განათლებული აზნაური უფრო ავადმყოფურად განიცდიდეს. მისი სულისა და განვითარების რაიმე მოცემულ დონესთან შეფარდება ძნელია. თვით განათლებაც, ამ შემთხვევაში, საზომად არ გამოდგება. პირველი დავადასტურებდი, რომ ყველაზე გაუნათლებელ, ყველაზე დაბეჩავებულ ტანჯულთა შორის უფაქიზესი სულიერი განვითარების ნიშნები შემიმჩნევია. საპყრობილეში ხანდახან ასეც ხდებოდა: რამდენიმე წელია იც-

ნობ კაცს და მასზე ფიქრობ, მხეციაო; გეზიზღება და მოულოდნელად დგება წუთი, როცა უნებურად გულს გადაგიხსნის და ისეთ სიმდიდრეს, გრძნობაგონებას დაინახავთ მასში, საკუთარი და სხვისი სატანჯველის ისეთ ნათელ გაგებას, რომ ერთბაშად ვერც კი დაგიჯერებთ, რაც საკუთარი თვალთ დაინახეთ და გაიგონეთ. პირიქითაც ხდება: ზოგჯერ პატიმრის განათლება ისეთ ბარბაროსობას, ისეთ ცინიზმს ერწყმის, რომ გული აგერევათ და მანამდე მისადმი რაც უნდა კეთილად ყოფილიყავით განწყობილი, ვერანაირ გამართლებას ვერ მოუძებნით.

აღარაფერს ვამბობ ჩვევების, ცხოვრების ნირის, საჭმლისა და სხვათა შეცვლაზეც, რაც საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენლისთვის, რასაკვირველია, უფრო ძნელია, ვიდრე გლეხისთვის, რომელსაც თავისუფლებაში არც თუ იშვიათად უშიშმილია, საპყრობილეში მაძღრად მაინც ჭამს. ამაზეც არ ვიკამათებ. ვთქვათ, თუნდაც ოდნავ ნებისყოფიანი ადამიანისთვის, სხვა გაჭირვებებთან შედარებით, ყოველივე ეს არაფერია; თუმცა, ჩვევათა არსებითი შეცვლა არც ისე უმნიშვნელო, ხელაღებით უარსაყოფი რამეა; არსებობს გაჭირვებანი, რომელთა წინაშე ყველაფერი ეს იმდენად უფერულდება, რომ ყურადღებას აღარ აქცევ არც სიბინძურეს, არც განათლებულობას, არც წყალწყალა, უგემურ კერძს. ფიზიკურ შრომას მიუჩვეველმა, აზიზმა ერთი დღეც რომ თავაუღებლად იმუშაოს, შავ პურსაც გეახლებათ და ხოჭოებიან შჩისაც. სწორედ ასეთ აზიზმაზიზებზე მღერიან ხოლმე პატიმრები: მაჭმევნ წყალწყალა კომბოსტოს, მივირთმევ გულის ბრაგუნით...

ყველაფერ ამაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ თითოეული პატიმარი საპყრობილეში მოსვლიდან ორ საათში ისეთივე ხდება, როგორც ყველა სხვა შინაურდება და საპყრობილის არტელის თანაბარუფლებიანი წევრი ხდება. მისი ყველას, მასაც ყველასი ესმის, ყველა თავისიანად თვლის. არისტოკრატის საქმე სხვაგვარადაა; რაც უნდა სამართლიანი, კეთილი, ჭკვიანი იყოს, ყველა სიძულვილით, ზიზღით უყურებს. მას ვერ უგებენ, რაც მთავარია, მისი არც სჯერათ. მასთან არავინ მეგობრობს. თუმცა ბოლოს, წლების შემდგომ, მიაღწევს იმას, რომ აღარ აწ-

ყენინებენ, მაგრამ თავისიანად მაინც არ ეგულებათ. ყოველთვის უცხოობისა და მარტოობის შეგნება სტანჯავს. მისგან შორსდგომის პოლიტიკას პატიმრები განზრახ როდი ადგანან, ამას უნებურად, გაუცნობიერებლად აკეთებენ ჩვენი კაცი არააო. მორჩა და გათავდა!

უცხო წრეში ცხოვრებაზე საშინელი არაფერია. პეტრეპავლოვსკის პორტში გადასახლებული ტაგანროგელი გლეხი, წამსვე მონახავს თავისსავე მსგავსს, წამსვე შეუხმატკბილდება... ორი საათის შემდეგ, კი, გაიხედავ, ერთად ცხოვრობენ ქოხსა თუ კარავში. აი, არისტოკრატების შემთხვევაში სხვაგვარადაა; მათ მდაბიო ხალხისგან უღრმესი უფსკრული ჰყოფს; ეს გნსხვაება სრულად მხოლოდ მაშინ შეიმჩნევა, როცა არისტოკრატი მოულოდნელად, აღრინდელ პრივილეგიებს დაკარგავს და გადატაკდება. სხვაგვარად, თუნდაც მთელი თქვენი ცხოვრება იცნობდეთ მათ და ყოველდღიურად ურთიერთობდეთ, ვთქვათ, სამსახურში, ადმინისტრაციულ ფორმებში ან, ჩვეულებრივ, უბრალოდ მეგობრობდეთ მათთან, ვერასოდეს ამ უფსკრულის არსს ვერ ჩასწვდებით. ყველაფერი მხოლოდ ზედაპირული მცდელობა იქნებოდა, მეტი არაფერი. ვიცი, უკლებლივ ყველა იტყვის, აზვიადებსო, მაგრამ ამ აზრის სისწორეში წიგნებმა, გონებამ კი არა, ცოცხალმა სინამდვილემ დამარწმუნა. თანაც ჩემი შეხედულებების შესამოწმებლად საკმაოდ დიდი დრო მქონდა.

ციხის მოვლენები თითქოს განგებ, დასაწყისიდანვე ადასტურებდა ჩემს დაკვირვებებს და ჩემზე ავადმყოფურად მოქმედებდა. პირველ ზაფხულს თითქმის მარტოსულივით დავეხეტებოდი. უკვე იცით, სულიერად როგორ ვიტანჯებოდი; ის კატორღელებიც ვერ გამოვარჩიე და დავაფასე, რომლებსაც ჩემთან მეგობრობა შეეძლოთ, პატივს მცემდნენ, თუმცა ჩემ თანასწორად არასდროს უგრძვნიათ თავი. არისტოკრატი ამხანაგებაც მყავდა, მაგრამ მათთან ურთიერთობა გულის სიმძიმეს ვერ მიმსუბუქებდა. მაგრამ რა უნდა მექნა? გასაქცევი ხომ არსაით იყო!

ერთ მაგალითს გავიხსენებ.

ერთხელ, აგვისტოს მიწურულს, კაშკაშა დღეს, ასე პირველი საათისთვის, ჩვეულებისამებრ, სადილობის შემდგომ, სამუშაოს დაწყებამდე ყველა ისვენებდა. უცებ მთელი კატორლა, ერთი კაცივით წამოდგა და საპყრობილის ეზოში მწყობრად მოწყობა დაიწყო. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა; იმ ხანებში ზოგჯერ ისე ღრმად ვიკეტებოდი ჩემ თავში, ირგვლივ თითქმის ვერაფერს ვამჩნევდი. არადა, თურმე მთელი კატორლა სამი დღეა ყრუდ გრგვინავდა. პატიმართა ნალაპარაკებიდან ზოგი რამ გამახსენდა. ბოლო დროს პატიმრები განსაკუთრებულად ჭირვეულობდნენ, ბრაზობდნენ და პირქუშად გამოიყურებოდნენ. ამას მძიმე სამუშაოს, უძილობას, გრძელ, მოსაწყენ ზაფხულის დღეებსა და თავისუფლებაზე უნებურ ოცნებას მივაწერდი. შესაძლოა, საქმე აჯანყებამდე მისულიყო, თუმცა, როგორც გავარკვიე, საბაბი საჭმელი იყო. უკანასკნელ დღეებში უკვე ხმამაღლა ჩიოდნენ პატიმრები, აღშფოთებას გამოთქვამდნენ ყაზარმებში, სასადილოში სადილად ან სავახშმოდ შეკრებილნი; მზარეულებს საყვედურობდნენ. იმდენს მიაღწიეს, ერთერთს სამსახური დაატოვებინეს, მაგრამ ახალიც ლამის მოსვლის დღესვე გააგდეს და ისევ ძველი დააბრუნეს. ერთი სიტყვით, ყველა აღრენილი იყო.

მძიმე სამუშაო გვაქვს, ჩვენ კი სულ შჩის გვაჭმევენ, აბუზღუნდებოდა ვინმე სასადილოში.

თუ არ მოგწონს, ბლანჟე მოითხოვე, აიტაცებდა მეორე.

შჩი შიგნეულით, ძმებო, ძაან მიყვარს, დასძენს მესამე, გემრიელია! როგორ, სულ ერთი და იგივე თუ ვხეთქეთ, მაინც გემრიელი იქნება? მაგ, რასაკვირველია, ხეირიანი ხორცეულის დროა, ამბობს მეოთხე, ქარხანაში ჭაპანწყვეტაში ვართ, განაკვეთის შემდეგ სანსვლა გინდება. შჩი რა საჭმელია!

თუ კი ხორციტ არა, გულით!

თუნდაც ეს გულით იყოს, სულ ერთია. ეს რა საჭმელია?

ჰო, ცუდი კვებაა.

ჯიბეს ხომ ისქელებს!

რა შენი ჭკუის საქმეა.

ვითომ რათაო? სტომაქი ხომ ჩემია. ყველამ ერთად რომ მოვითხოვოთ, პრეტენზია წავუყენოთ, საქმეც გამოვიდა.

მოვითხოვოთ? პრეტენზია წავუყენოთ?

ჰო.

ჩანს, მასეთი პრეტენზიისთვის ცოტა მოგხვედრია, ბოთე!

ეგ მართალია, ბუზღუნით დასძენს მეორე. აქამდე გაყუჩებული აჩქარებით ქვეყანა არავის მოუჭამია. რა უნდა მოითხოვო, ესაა ჯერ მთავარი!

ჰოდა, გეტყვი. ყველა თუ გავინძრევით, მეც ყველას ვეტყოდი, სიღარიბეამეთქი. ჩვენთან ვინ საკუთარს მიირთმევს, ვინ მართლ სახაზინობე გადადის.

დახე, თვალმახვილა შურიანს! სხვისი ბარაქისკენ გაქცევია თვალი.

სხვების ლუკმას ნუ შეჰყურებ, ადრე ადექი და საკუთარისთვის გაანძრე ხელი.

ხელი გაანძრე?!.. შენთან სიკვდილამდე ვაჭრობა დამჭირდებოდა ამისთანა საქმეში. მაშ, მდიდარი ყოფილხარ, თუ გულხელდაკრეფილი ჯდომა მოგინდომებია?

მდიდარია ეროშკა, მას ძალლი და კატაც ჰყავს.

მართლაც, ძმებო, რას ვუზივართ! გვეყო რალა სისულელეების ჩმახვა. ტყავს გვაძრობენ. რად უნდა გავჩუმდეთ?

რადა! ეგებ დაგიღეჭონ და პირში ჩაგიდონ. დაღეჭილის ჭამას სჩვევიხარ. ეს კატორლაა!

გამოდის, რომ ამღვრეულ წყალში თევზს ადვილად დავაჭერინებთ. სწორედ მაგრეა. ისედაც გასქელდა ცხრათვალა. წყვილი ცხენი უყიდია.

ჰო, დალევაც არ უყვარს.

გუშინლამ ბანქოს თამაშისას ვეტერინარს წაეჩხუბა.

მთელი ღამე თამაშობდნენ. ორი საათი მუშტი-კრივი ჰქონიათ გამართული. ფედკა ამბობდა...

მაგიტომაცაა შჩი გულით.

ეჭ, თქვე სულელებო! ჩვენი მდგომარეობის ხალხი როგორ უნდა გამოვიდეთ.

აბა, ერთი გამოვიდეთ ყველანი, ვნახავთ, რით გაიმართლებს თავს. მაგრად დავდგეთ.

გაიმართლებს! მოგაფეთებს კბილებში, სდიე მერე.

სამართალშიც მიგცემენ...

ერთი სიტყვით, ყველა ღელავდა. მაშინ მართლაც ცუდი კვება გვექონდა. ყველაფერი ერთმანეთს დაემატა. რაც მთავარია, საპატიმროში საერთო ნაღვლიანი განწყობა, გაუთავებელი ფარული ტანჯვა მეფობდა. კატორღელი ბუნებით ჭირვეული და ადვილად ფეთქებადია. მაგრამ, ყველა ერთად ან დიდ ჯგუფად იშვიათად ჯანყდებიან ხოლმე. მიზეზი მუდმივი ურთიერთუთანხმოება იყო. ეს თითოეულ მათგანსაც ესმოდა. ამიტომაც, ჩვენთან უფრო ილანძღებოდნენ, ვიდრე მოქმედებდნენ. თუმცა, მღელვარებას ამჯერად ამაოდ არ ჩაუვლია. ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ. ყაზარმებში ბჭობდნენ, იგინებოდნენ, ბრაზ-მორეულნი ლაპარაკობდნენ საპატიმროს უფროსობაზე; თავიანთ გულისნადებს ერთმანეთს უზიარებდნენ. ზოგიერთები გამორჩეულად ღელავდნენ. ყველა მსგავს საქმეს მუდამ მოვევლინებიან ხოლმე წამომწყებნი, მოთავენი ზოგადად, შესანიშნავი ხალხი საპატიმროებში, არტელებშიც, რაზმებშიც... მოთავე ყველგან ერთმანეთის მსგავსი, საგანგებო ტი პი გახლავთ ფიცხი, სამართლიანობისმოყვარე, რომელსაც გულუბრყვილოდ სწამს სამართლიანი მოთხოვნის შესრულების აუცილებლობა თუ გარდაუვალობა. მოთავენი სხვებზე უჭკუონი როდი არიან, მათ შორის ბევრი ჭკვიანიც შეგხვდებით. მაგრამ მეტისმეტად ფიცხნი არიან, რომ ეშმაკობა და ანგარიშიანობა მოახერხონ. იშვიათად გამოერევა მოწოდებით ლიდერი, რომელიც ბრბოს მარჯვედ წარმართვასა და საქმისმოგებას შეძლებს.

მაგრამ ისინი, რომლებზეც ახლა გიამბობთ, ამბოხების წამომწყებ-მოთავენი საქმეს ზედმეტი სიფიცხის გამო თითქმის ყოველთვის აგებენ და შემდგომ საპყრობილეებსა და კატორღებში ხვდებიან. თუმცა, სწორედ სიფიცხის წყალობით მთი პოვეს გავლენა მასაზე. ასეთებს მასა ხა-

ლისით მიჰყვება. მათი მგზნებარე და გულწრფელი აღშფოთება, ყველაზე მოქმედებს, ბოლოს, ყველაზე მერყევიან კი ემხრობიან. ლიდერების ბრმა რწმენა წარმატებისადმი ყველაზე მოურჯულეღელ სკეპტიკოსსაც შეაცდენს; მიუხედავად იმისა, რომ მათი რწმენა არამყარ, ბავშვურ საფუძველს ეყრდნობა; მოაზროვნე დამკვირვებელს კი უკვირს, მასა როგორ გაჰყვავაო.

მთავარი ისაა, რომ ისინი წინა ხაზზე დგებიან, ხარივით უშიშრად ეძგერებიან საქმეს, რომელიც არ აქვთ კარგად გაანალიზებული და გაცნობიერებული; აკლიათ პრაქტიკული იმპულსები, რომლის მეშვეობითაც ზოგი არამზადა საქმეს იგებს, მიზანს აღწევს და წყლიდან მშრალი გამოდის. ისინი კი უსათუოდ მარცხდებიან. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ეს ხალხი ღვარძლიანი, ბუბლუნა, გულფიცხი და მოუთმენელია. უფრო ხშირად კი საშინლად გონებაშებლუდულნი, რაც, სხვათა შორის, ნაწილობრივ, მათ ძალასაც შეადგენს! ყველაზე დასანანი კი ისაა, რომ მიზნისკენ პირდაპირი გზის ნაცვლად განზე გაუტევენ, წვრილმანებს ეკიდებიან; სწორედ ეს ღუპავთ, მაგრამ მასას მათი ესმის, ესაა მათი ძალა...

აუცილებლად უნდა ითქვას: რას ნიშნავს პრეტენზია?

ჩვენს საპყრობილეში პრეტენზიის გამო მოხვედრილი რამდენიმე კაცი იყო. ყველაზე მეტად სწორედ ისინი ღელავდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა ნაჰუსარალი, ფიცხი, მოუსვენარი და ეჭვიანი მარტინოვი. მას პატიოსანი და გულმართალი კაცის სახელი ჰქონდა. მეორე ვასილ ანტონოვი რაღაც გულგრილად ბრაზდებოდა ხოლმე; თავხედურად იხედებოდა, ქედმაღლურად, ირონიულად იღიმებოდა და საკმაოდ განათლებულიც იყო. ისიც პატიოსანი და გულმართალი კაცი გახლდათ. პატიმარი პეტროვი აქეთ-იქით დასუნსულებდა, ყველა ჯგუფს აყურადებდა, ცოტას ლაპარაკობდა, ეტყობოდა, ღელავდა. ის ერთ-ერთი პირველი გავარდა ყაზარმიდან, როცა მწყობრში ჩადგომა დაიწყო. ყველას ვერ ჩამოვთვლი ბლომად იყვნენ.

ჩვენი საპყრობილის უნტეროფიცერი, რომელსაც ფელდფებელის თანამდებობა ეკავა, მაშინვე დაფეთებული გამოვიდა. მწყობრში

მდგარმა პატიმრებმა მას ზრდილობიანად სთხოვეს, მაიორთან შეხვედრა გვინდა, შინაგანაწესის ზოგიერთი მუხლის თაობაზე. უნტეროფიცრის კვალდაკვალ შენობიდან ყველა ინვალიდი გამოიკრიფა და პატიმრების პირდაპირ დადგა.

საგანგებო დავალებამ უნტეროფიცერს შიშის ზარი დასცა, მაგრამ ის ვალდებული იყო მაიორისთვის დაუყოვნებლივ მოეხსენებინა. ჩვენი საპატიმროს უფროსობას კატორღელების ძალიან ეშინოდა. გაფითრებულ-აკანკალებული უნტეროფიცერი სასწრაფოდ მაიორთან წავიდა; მას არც კი უცდია პატიმრებისთვის რაიმე ეკითხა, სიტუაცია განემუხტა. ხვდებოდა, მას არ დაელაპარაკებოდნენ.

სრულიად გაუცნობიერებლად, ვიფიქრე, ალბათ, შემოწმება იყო, მეც მწყობრში ჩასადგომად გამოვედი (ამ საქმის ყველა წვრილმანი შემდგომ გავიგე). ზედამხედველები რომ ვერ დავინახე, გამიკვირდა, ირგვლივ მიმოვიხედე და აღელვებულ, გაბრაზებულ, შეფიქრიანებულ სახეებს წავაწყდი. ზოგს ფერიც დაკარგვოდა. ელოდებოდნენ მაიორისთვის საკუთარი პრეტენზიები გაეცნოთ. შევამჩნიე, ბევრმა მეტისმეტი გაოცებით შემომხედა, მაგრამ უსიტყვოდ იბრუნეს პირი. ეუცნაურათ, მათთან რომ დავდექი. არ სჯეროდათ, რომ მეც მინდოდა პრეტენზია გამომეხატა. თუმცა, მალე თითქმის ყველა კითხვის გამომხატველი თვალებით მომაშტერდა.

შენ აქ რა გინდა? როყოდ მკითხა ვასილ ანტონოვმა, რომელიც ჩემგან მოშორებით იდგა. ის აქამდე ყოველთვის თქვენობით მომმართავდა და თავაზიანად მეპყრობოდა.

შეცბუნებულმა შევხედე. ვგრძნობდი, რაღაც უჩვეულო ხდებოდა.

მართლაც, აქ რას აკეთებ? ყაზარმაში წადი! ჩაილაპარაკა ერთმა ყოფილმა სამხედრომ, წყნარმა, კეთილმა ყმაწვილკაცმა, რომელსაც აქამდე სულაც არ ვიცნობდი. ეს შენი ჭკუის საქმე არაა.

კი მაგრამ, აქ ეწყობიან ხომ? შემოწმება მეგონა, ვუპასუხე მშვიდად. გამოცოცდა რაღა, წამოიყვირა ერთმა.

უწყალო ჯილაგისა, ჩაილაპარაკა მეორემ.

ჩიტირეკია! გამოუთქმელი ზიზლით დაიძახა მესამემ. ამ მეტსახელ-
მა საერთო ხორხოცი გამოიწვია.

მის მოწყალეებასთან სამზარეულოში ჭამს, დაუმატა ვილაცამ.

ამათთვის ყველგან სამოთხეა. აქ კატორღაა, ისინი კი კალაჩებს მი-
ირთმევენ და გოჭებს ყიდულობენ. შენ ხომ შენი ფულით ჭამ, აქ რაღას
მოძვრები?

აქ თქვენ არაფერი გესაქმებათ, მოურიდებლად ჩამჩურჩულა კული-
კოვმა, მკლავში ხელი მომკიდა და მწყობრიდან გამიყვნა.

ის გაფითრებულიყო, შავი თვალები უელავდა, ქვედა ტუჩს იკვნეტ-
და. ჩანს, მაიორის მოლოდინში ისიც ღელავდა. სხვათა შორის, საოც-
რად მიყვარდა კულიკოვის ყურება ყველა მსგავს შემთხვევაში, ანუ
როცა თავის გამოჩენა იყო საჭირო. საშინლად კოხტაპრუწობდა, მაგ-
რამ საქმესაც აკეთებდა. ასე მგონია, დასასჯელადაც ერთგვარი ლაზა-
თით, კოპწიაობით გავიდოდა. ახლა, როცა ყველა შენობით მელაპარა-
კება, მაგინებდა; მან, ჩანდა, განგებ გააორკვეცა ჩემდამი თავაზიანობა,
ამავე დროს როგორღაც მტკიცე, ქედმაღლური, დაჟინებული ტონი
ჰქონდა, ისეთი, შეკამათებას რომ ვერ იტანს.

ეს ჩვენი პირადი საქმეა, ალექსანდრ პეტროვიჩ, სათქვენო არაფე-
რია, მიბრძანდით, დაიცადეთ... თქვენები აგერ სამზარეულოში არიან.
იქ წადით.

ცხრაკლიტულში, სადაც სულელი ანტი პკა ცხოვრობს, დაამატა ვი-
ლაცამ. სამზარეულოში, ღია ფანჯარასთან მართლაც დავინახე ჩვენი
პოლონელები; თუმცაღა, მომეჩვენა, რომ იქ სხვებიც მრავლად იყვნენ.
გულდაწყვეტილი სამზარეულოსკენ გავემართე. სიცილი, ლანძღვა-გი-
ნება და სტვენის შემცვლელი „აქშა“ დამადვენეს.

არ მოგწონთ?!.. ქშა-ქშა-ქშა, ჰკა მაგას!..

საპატიმროში ასეთი შეურაცხყოფა ჩემთვის ჯერ არავის მოუყენე-
ბია. სამზარეულოს დერეფანში კეთილშობილი წარმოშობის ტ.-ვსკი
შემომხვდა, მტკიცე და დიდსულოვანი ყმაწვილკაცი, მაგრამ არც თუ
ისე განათლებული. კატორღელები მას სხვებთან შედარებით უპირატე-

სობას ანიჭებდნენ, ნაწილობრივ უყვარდათ კიდევ. გულადი, ვაჟკაცური, ღონიერი იყო და ეს მის მანერებშიც აშკარად ჩანდა.

რა მოგივიდათ, გორიანჩიკოვ, დამიძახა მან. აქეთ მოდიო!

რა ამბავია იქ?

პრეტენზიის წარდგენას აპირებენ, ნუთუ არ იცით? რასაკვირველია, არაფერი გამოუვათ: კატორღელებს ვინ დაუჯერებს? ამ საქმის ორგანიზატორებს მოძებნიან. მათთან რომ დავდგეთ, ეს შფოთი, პირველ რიგში, ჩვენ დაგვბრალებს. გაიხსენეთ, რისთვის მოვხვდით აქ. იმათ უბრალოდ გარობგავენ, ჩვენ კი გასამართლება არ აგვცდება. მაიორს ჭირივით ვეზარებთ და არც დაგვინდობს. ჩვენი თავად იმართლებს თავს.

არც კატორღელები დაგვინდობენ! დასძინა მ.-ცკიმ, როცა სამზარეულოში შევედით.

ნუ გეშინია, არ შეგვიბრალებდნენ! ჩაურთო ტ.-ვსკიმ.

სამზარეულოში დიდგვაროვნების გარდა, ოცდაათამდე კაცი იყო. ისინი პრეტენზიის წარდგენის ცერემონიალს თავს არიდებდნენ, ერთნი შიშის, მეორენი ყოველგვარ პრეტენზიათა სრული უაზრობის აშკარა რწმენის გამო. აკიმ აკიმიჩი აქ იყო, მსგავსი პრეტენზიების ბუნებრივი მტერი. მისი აზრით, ეს სამსახურის სწორად მიმდინარეობას ხელს უშლიდა. საქმის დამთავრებას მშვიდად ელოდა. სულაც არ აშფოთებდა დასასრული, პირიქით, წესრიგისა და უფროსთა ნების გარდაუვალ გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდა. ცხვირჩამოშვებული, გაოცებული, შეშფოთებული ისაი ფომიჩი აქვე იყო; ხარბად, შიშნარევად გვისმენდა. მდაბიო პატიმარი პოლონელებიც აქ იყვნენ თავიანთ დიდგვაროვნებს მიკედლებოდნენ. აქვე შეამჩნევდით, მუდამუამ უენო, მხდალ რუს პატიმრებს, რომლებმაც სხვებთან ერთად გასვლა ვერ გაბედეს და დამწუხრებულნი ამ საქმის დამთავრებას ელოდნენ. დაბოლოს, რამდენიმე მუდამ პირქუში, მაგრამ უშიშარი პატიმარი ზიზღნარევი რწმენის გამო, რომ ეს ე.წ. პრეტენზიის წარდგენა სისულელე იყო და აქედან კარგი არაფერი გამოდნებოდა, თანამოძმეებს არ შეუერთდა. თუმცა, თავს მაინც უხერხულად გრძნობდნენ. ყველა კარგად აცნობიერებდა,

რომ ამბოხებულების პრეტენზია საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ იყო; ამიტომაც ე.წ. განდგომილები თავს უხერხულად გრძობდნენ, რადგან, ფაქტობრივად, მათი ამხანაგების ბედი ახლა პლაცმაიორის ხელში იყო. განდგომილთა შორის აღმოჩნდა იოლკინიც, ყალბი ფულისთვის გასამართლებული ციმბირელი ეშმაკი გლეხი, რომელმაც კულიკოვს ვეტერინარული პრაქტიკა წაართვა. სტაროდუბელი მოხუციც აქ იყო. მზარეულებიც; ყველა სამზარეულოში დარჩენილიყო, ალბათ, იმ მოტივით, რომ თავი ადმინისტრაციის ნაწილად მიაჩნდათ და, მაშასადამე, მის წინააღმდეგ ვერ გამოვიდოდნენ.

ჰო, მაგრამ, გაუბედავად წამოვიწყე მ.-ს მისამართით. ამათ გარდა, თითქმის ყველა იქაა.

მერე, ჩვენ რა? ჩაიბურტყუნა ბ.-მ.

ჩვენ რომ გავსულიყავით, მაგათზე ასჯერ მეტ რისკს გავწევდით; მერედა, რისთვის? le hais ces brigands

ნუთუ ერთი წუთითაც დაუშვებთ, რომ მათი პრეტენზია გავა, რა ძალა მადგას, სისულელეში გავვირიო?

არაფერი გამოვა მაქედან, დაემოწმა ერთ-ერთი კატორღელი, ჯიუტი და გაბოროტებული ბერიკაცი. იქვე მდგარმა აღმაზოვმაც კვერი დაუკრა.

ორმოცდაათამდე პატიმარს გაჯობავენ, ესაა მათი ბოლო.

მაიორი მოვიდა! დაიძახა ვილაცამ. ყველა ხარბად მიაწყდა ფანჯრებს. გაცეცხლებული, აწითლებული მაიორი ფრონტის ხაზთან უხმოდ, მაგრამ თამამად მივიდა. ასეთ სიტუაციებში არასდროს იბნეოდა. თუმცა რა, თითქმის ყოველთვის მთვრალი იყო. ამწუთს მის გაქონილ, ნარინჯისფერ ქუდსა და ბინძურ შევერცხლილ ეპოლეტებსაც კი რაღაც ავბედითი იერი დაჰკრავდა... უკან მოჰყვებოდა მწერალი დიატლოვი, ერთობ მნიშვნელოვანი პიროვნება ჩვენს საპყრობილეში, არსებითად ყველაფერს ის მართავდა და მაიორზეც კი ჰქონდა გავლენა ეშმაკი, ჭკვიანი ვინმე იყო, მაგრამ მთლად გახრწნილიაო, ვერ იტყოდით. ყოველ შემთხვევაში, პატიმრები ემადლიერებოდნენ. უკან ფეხდაფეხ უნტეროფიცერი მისდევდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ლანძღვის საკმარი-

სი დობა ჰქონდა მიღებული და, ალბათ, ათჯერ უარესს ელოდებოდა; შემდეგ ბადრაგები სამი-ოთხი ბადრაგი მოჰყვებოდა. მაიორის დანახვაზე თავშიშველი პატიმრები გასწორდნენ, ტანსაცმელი შეისწორ-შემოისწორეს და უმაღლესი პირის სიტყვის, უფრო სწორად დაყვირების მოლოდინში გაისუსნენ.

მაიორს არ დაუყოვნებია, მეორე სიტყვიდანვე მთელი ხმით აღრი-აღდა. ფანჯრიდანაც ვხედავდით, როგორ გარბი-გამორბოდა ფრონ-ტის გასწვრივ, რომელიმეს მივარდებოდა, ეკითხებოდა. თუმცა, სიშო-რის გამო არაფერი გვესმოდა. მხოლოდ ესღა გავიგონეთ, როგორ გაჰ-კიოდა: შფოთისთავებო!.. შენ ხარ მოთავე, შენ ხარ მოთავე! ხან ერთს ეცემოდა, ხან მეორეს. ცოტა ხანში მწყობრს ერთი პატიმარი გამოეყო და კორდეგარდიისკენ წავიდა. მას მეორე, მესამე... მიჰყვა ყველას სა-მართალში მიგცემთ! მე თქვენ გიჩვენებთ! იქ სამზარეულოში, ვინ არიან? დაიკვივლა, როცა გაღებულ ფანჯარაში თვალი მოგვკრა ყველა-ნი აქ მომგვარეთ! ახლავე მორეკეთ!

მწერალი დიატლოვი ჩვენკენ გამოემართა. სამზარეულოში უთ-ხრეს, პრეტენზია არა გვაქვსო. მაშინვე გაბრუნდა და მაიორს მოახსენ-ნა: აა, არა აქვთ! ჩაილაპარაკა გახარებულმა და დაამატა: სულ ერთია, ყველანი აქ მომგვარეთ!

გამოვედით. ვგრძნობდი, როგორღაც გვერიდებოდა გამოსვლა. თავჩაქინდრულები მივაბიჯებდით.

აა, პროკოფიევი! იოლკინიც, ეს შენა ხარ, აღმაზოვ... მოდით, მო-დით აქ! რალაცნაირად სხაპასხუპით, მაგრამ შერბილებული ტონით მოგვმართავდა, ერთგვარი ალერსითაც კი.

მ.-ცკი, შენც აქა ხარ... ჰოდა, დასწერეთ, დიატლოვ! ახლავე ჩასწე-რეთ ყველა კმაყოფილი ცალკე და ყველა უკმაყოფილო ცალკე, ყველა უკლებლივ, და ქალაღდი მე მომეცით. ყველას წარგადგენთ... სამარ-თალში! გაყურებინებთ სეირს, თაღლითები!

ქალაღდმა გასჭრა.

ჩვენც კმაყოფილები ვართ! უკმაყოფილოთა ჯგუფიდან კუშტად წა-მოიძახა უცებ ერთმა ხმამ გაუბედავად.

აჰა, კმაყოფილნი ხართ! ვინ არის კმაყოფილი? ვინც კმაყოფილია, გამოდით.

კმაყოფილები ვართ, კმაყოფილები ვართ! მიემატა რამდენიმე ხმა. კმაყოფილები ხართ! მაშ, წაუქეზებიხართ! მაშ, გვყავს ამტეხნი, შფოთისთავები? მით უარესი მათთვის!..

ღმერთო, ეს რა ხდება! გაისმა ვიღაცის ხმა ჯგუფში.

ვინ იყო, ვინ, ვინ დაიძახა? აღრიალდა მაიორი, და იქით ეცა, საიდანაც ხმა შემოესმა, ეს შენა ხარ, რასტორგუევო, შენ დაიძახე? კორდეგარდიაში! მაღალ-მაღალი ყმაწვილკაცი მწყობრს გამოეყო და კორდეგარდიისკენ ზანტად გაემართა. მას არ დაუძახია, მაგრამ, რადგან მასზე მიუთითეს, შეწინააღმდეგება არც უცდია.

ქონი გახელებთ, ღრიალით დაადევნა მაიორმა, დახე სქელ სითათს!.. ყველას, ყველას გი პოვით! გამოდით, კმაყოფილებო!

კმაყოფილი ვართ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! პირქუშად გაისმა რამდენიმე ათეული ხმა, დანარჩენები ჯიუტად ღუმდნენ. მაიორსაც სწორედ ეს უნდოდა. ეტყობოდა, საქმის სწრაფად დამთავრება ხელსაყრელად ეჩვენებოდა.

აბა, ახლა ყველა ხართ კმაყოფილი, არა?! ნაჩქარევად წარმოთქვა, ვხედავდი კიდევ ამას... ვიცოდი, ეგ მოთავევებმა ქნეს! ამათ შორის, ჩანს, მოთავეები არიან! განაგრძობდა და დიატლოვს მიუბრუნდა, ეს დაწვრილებით უნდა გამოიკვლიოთ. ახლა კი... ახლა სამუშაოს დაწყების დროა. დაფდაფს დაჰკარით.

თავად დაესწრო გამწესებას. პატიმრები ჩუმად, დაღვრემილნი წავიდ-წამოვიდნენ. ყოველ შემთხვევაში იმით მაინც იყვნენ კმაყოფილნი, რომ თვალს მიეფარებოდნენ.

განაწილების შემდეგ მაიორი მაშინვე კორდეგარდიისკენ გაემართა და „მოთავეებს“ მისდგა, თუმცა, განსაკუთრებული სიმკაცრე არ გამოუჩენია. ის კი არა, ჩქარობდა კიდევ. ერთ-ერთ მათგანს, როგორც შემდეგ ამბობდნენ, პატიება ეთხოვა და მაშინვე შეეწყალებინა. ჩანდა, ნაწილობრივ გუნებაზე ვერ იყო, შესაძლოა, კიდევ დაფრთხა. რაც უნდა იყოს, პრეტენზია საჩოთირო რამეა; პატიმართა საჩივარს, არსები-

თად, პრეტენზია არც ეთქმოდა, მაგრამ მაიორი მაინც შეშფოთებული იყო. არ მოეწონა, ყველამ პირი რომ შეკრა. ეს საქმე, რადაც უნდა დასჯდომოდათ, დროულად უნდა ჩაექროთ. „მოთავეები“ მალე გამოუშვეს. მეორე დღესვე გააუმჯობესეს კვება, მაგრამ ცოტა ხნით. პირველ დღეებში ხშირ-ხშირად გვაკითხავდა მაიორი და უფრო ხშირად ტუქსავდა მზარეულებს. ჩვენი უნტეროფიცერი აღელვებული და თავგზაარეული დადიოდა, თითქოს გაცეცხისგან ჯერაც ვერ გამორკვეულაო. რაც შეეხება პატიმრებს, ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ვერ დაწყნარდნენ, თუმცა წინანდელივით აღარ დელავდნენ. როგორღაც უჩუმრად აფორიაქებულნი, შეფიქრიანებულნი იყვნენ. ზოგი თავს მალლა ვერ სწევდა, ზოგი ბუზღუნით, თუმცა სიტყვაძუნწად, იხსენიებდა ამ ამბავს. ბევრი საკუთარ თავს ერთგვარი ღვარძლით, ხმამაღლა დასცინოდა, თითქოს პრეტენზიის გამო თავს ისჯიანო.

აჰა, ძმაო, აიღე, მიირთვი! იტყვის ერთი.

რასაც დასცინი, იქნებ მასვე დაემორჩილო! დასძენს მეორე.

ვის უნახავს თავს კატისთვის ეჟვანი შეებას? შენიშნავს მესამე.

ცნობილია, ჩვენისთანას კეტით თუ მოარჯულებ. კიდევ კარგი, ყველა არ გაგვრობგეს.

შენ კი მომავალში მეტი იფიქრე, ნაკლები იყბედე, უკეთესი იქნება!.. ღვარძლიანად შენიშნავს ვიღაც.

შენ რას მასწავლი. მასწავლებელი ხარ?

უბრალო, ცნობილ რამეს გახსენებ.

ვინ ბრძანდები, საიდან გამოტყვერი?

ჯერ ისევ ადამიანი ვარ, შენ კი ვილა ხარ?

ნახრავი ძვალი ხარ. აი, ვინ!

თითონა ხარ.

აბა, აბა, გეყოფათ! რას აყაყანდით! ყოველი მხრიდან უყვირიან მოკამათებს.

იმავე საღამოს, სწორედ პრეტენზიის დღეს, სამუშაოდან დაბრუნებულ პეტროვს შევხვდი. ყაზარმებს უკან დამძებდა; მომიახლოვდა თუ არა, რაღაც წაიბურტყუნა და მექანიკურად გამომყვა. ამ საქმეს ჯერაც

მტკვინეულად განვიცდიდი, და მეგონა, პეტროვი ზოგ რამეს განმიმარტავდა.

მიტხარით, პეტროვ, შევეკითხე, რად გვიბრაზდებიან თქვენები? ვინ გიბრაზდებათ? თითქოს ახლა გამოერკვაო, ისე მკითხა.

პატიმრები ჩვენ... თავადებს?

რატომ უნდა გიბრაზდებოდნენ?

ალბათ, იმისთვის, პრეტენზიაზე რომ არ გამოვედით.

კი მაგრამ, რა გაქვთ საპრეტენზიო? ჩამეკითხა, თითქოს ცდილობდა გაეგო, რატომ ვეკითხებოდი, თქვენ ხომ თქვენსას ჭამთ.

ოჰ, ღმერთო ჩემო! თქვენთანაც ბევრია, საკუთარს ჭამენ, მაგრამ აკი გამოვიდნენ. ჰოდა, ჩვენც უნდა გვექნა... ამხანაგობისთვის...

კი მაგრამ... სადაური ჩვენი ამხანაგი ხართ? მკითხა გაკვირვებულმა. მაშინვე შევხედე: ვერ გაეგო, საით ვუმიზნებდი. სამაგიეროდ, მე მივუხვდი.

მუდამ ერთი აკვიატებული აზრი მაწვალებდა, რომელსაც აქამდე ბუნდოვნად ვაცნობიერებდი: ის ახლა საბოლოოდ გავარკვიე. მივხვდი, სამუდამო პატიმარიც რომ ვყოფილიყავი, ამხანაგობაში მაინც არასდროს მიმიღებდნენ. იმ წუთს პეტროვის გამომეტყველება განსაკუთრებით დამამახსოვრდა. მის შეკითხვაში: სადაური ჩვენი ამხანაგი ხართ? ისეთი ხალასი გულუბრყვილობა, მიამიტური გაკვირვება გამოსჭვიოდა, ვიფიქრე: რაიმე ირონია, ღვარძლი, დაცინვა ხომ არ იმალება-მეთქი? არადა, მან უბრალოდ მაგრძნობინა: ამხანაგი არა ხარ, მორჩა და გათავდა. შენ შენი გზით იარე, ჩვენ ჩვენი, შენ შენი საქმე გაქვს, ჩვენ ჩვენიო.

რატომღაც მეგონა, პრეტენზიის შემდეგ საყვედურებს არ მოგვაკლებდნენ და არ მოგვასვენებდნენ. შევცდი. მსგავსი არაფერი მომხდარა. უბრალოდ, როგორც უწინ, როცა შემთხვევა მიეცემოდათ, შეგონებებით გულს გვიწყალებდნენ. ეს იყო და ეს. სხვათა შორის, პრეტენზიის მომხრეები არც იმათ უწყობდნენ, რომლებიც განზე გადგნენ და სამზარეულოში დარჩნენ; არც იმათ, ვინც პირველად დაიძახეს: ყველაფ-

რით კმაყოფილი ვართო. ამაზე სიტყვა არავის დაცდენია. ამ უკანასკნელის გაგება ნამდვილად ვერ შევძელი.

2.8. ამხანაგები

მე, რასაკვირველია, ჩემიანების, ე.ი. „დიდგვაროვნებისკენ“ უფრო მიმიწევდა გული, განსაკუთრებით, პატიმრობის პირველ ხანებში.

თუმცა, საპყრობილეში მყოფ სამ რუს ნააზნაურალთაგან (აკიმ აკი-მიჩი, ჯაშუში ა.-ვი და ე.წ. მამისმკვლელობაში ეჭვმიტანილი) მხოლოდ აკიმ აკიმიჩთან მქონდა ურთიერთობა. ვალიარებ, მასაც, ასე ვთქვათ, სასოწარკვეთის ყველაზე მძიმე წუთებში მივმართავდი მის გარდა, არც არავინ მეგულებოდა ისეთი, ვისთანაც მიმესვლებოდა.

ზემოთ პატიმრების ჯგუფებად დახარისხებას შევეცადე, მაგრამ, ახლა, აკიმ აკიმიჩის გახსენებაზე, ვიფიქრე, ერთიც შემიძლია დავამატო-მეთქი სავსებით გულგრილ კატორღელთა ჯგუფი, რომლის ერთადერთი წევრი აკიმ აკიმიჩი იქნებოდა. სრულიად გულგრილები, ანუ ისეთები, რომლებისთვისაც სულ ერთი იყო თავისუფლებასა თუ კატორღაში ცხოვრება, ჩვენთან, რასაკვირველია, არ ყოფილან და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, მაგრამ აკიმ აკიმიჩი, როგორც ჩანს, გამონაკლისი გახლდათ; ისე მოკალათდა საპყრობილეში, თითქოს მთელი სიცოცხლის აქ გატარებას აპირებდა. ქვეშაგებიდან დაწყებული ჭურჭლეულით დამთავრებული, ყველაფერი ისე მყარად, მკვიდრად განალაგა თავის გარშემო, დროებითი საცხოვრებლის კვალსაც ვერ შეატყობდით. კიდევ მრავალი წელი უნდა გაეტარებინა საპყრობილეში, მაგრამ საეჭვოა, ოდესმე აქედან გასვლაზე ეფიქრა. ხოლო თუკი შერიგებოდა სინამდვილეს, ცხადია, არა გულით, ერთადერთი, ალბათ, სუბორდინაციის ძალით, რაც, სხვათა შორის, მისთვის ერთი და იგივე გახლდათ. კეთილი ვაცი იყო და დასაწყისში რჩევით და ამა თუ იმ სახის სამსახურიტაც მეხმარებოდა, მაგრამ ზოგჯერ, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მისგან იმდენ სევდას ვგრძნობდი, ისედაც ნაღვლიან გუნება-განწყობას კიდევ უფრო მიმძიმებდა. არადა, მხოლოდ დარდის გაქარვება მინდოდა. ზოგჯერ კაცს მოგწყურდება ცოცხალი სიტყვა, თუნდაც ღვარძლიანი, თუნდაც თავშეუკავებელი. გულს ერთად მოვიოხებო-თქო, ვფიქრობდი, მაგრამ გაგიგონია? დუმს. თავის ფარანს აწებებს ან ყვება,

როგორი ალღუმი ჰქონდათ წინა წლებში, ვინ იყო მაშინ დივიზიის უფროსი, კმაყოფილი დარჩენილა თუ არა ის ალღუმით და სხვ. ყველაფერს ისე დინჯად, წყნარად ყვებოდა, ყოველგვარი ემოციის გარეშე, თითქოს წყალი წანწკარებსო. კავკასიაში რომელიღაც საქმეში მონაწილეობისთვის „წმინდა ანას“ ორდენი მიეღო. „წმინდა ანას“ როგორღაც უჩვეულოდ დარბაისლურად წარმოთქვამდა, ხმას დაუწევდა, რაღაც იდუმალეზამდეც კი, ბოლოს გაჩუმდებოდა, სამიოდე წუთი რაღაცნაირად უჩვეულოდ გამოიყურებოდა... პირველ წელს უგუნური დღეები მრავლად მქონდა, არ ვიცი რატომ, აკიმ აკმიჩისადმი ლამის სიძულვილით ვიმსჯვალეზობდი, ბედს ვწყევლიდი, მის თავით რომ მომათავსაწნარებზე. ჩვეულებრივ, ერთ საათში უკვე თავს ვსაყვედურებოდი ამის გამო. ასე მხოლოდ პირველ წელს იყო, შემდგომში ამის გახსენებაზეც კი მრცხვენოდა. სხვათა შორის, ჩვენ არასდროს წავჩხუბებულვართ.

ამ სამი რუსის გარდა, ჩემი პატიმრობის წლებში ჩვენთან კიდევ რვანი მოიყვანეს. ზოგს მალე გავუშინაურდი და თანაც სიამოვნებით. თუმცა, მათგან საუკეთესონიც როგორღაც ზედმიწევნით ავადმყოფურნი, განსხვავებულნი და აუტანელნი იყვნენ. ორს საერთოდ არ ველაპარაკებოდი. რვიდან სამი განათლებული იყო: ბ.-სკი, მ.-კი და მოხუცი ჟ.-კი, ყოფილი მათემატიკის პროფესორი, კარგი, კეთილი, დიდად ახირებული ვინმე და, მიუხედავად განათლებულობისა, ვფიქრობ, უაღრესად გონებაშეზღუდული ბერიკაცი.

სულ სხვანი იყვნენ მ.-კი და ბ.-კი. მ.-კის იმთავითვე კარგად შევეწყვე; არასდროს წავჩხუბებვივარ, პატივს ვცემდი, მაგრამ მისი შეყვარება და დამეგობრება ვერ შევძელი. უაღრესად უნდოსა და გაბოროტებულს საოცრად ეხერხებოდა თავის დაჭერა. სწორედ მისი ეს გადამეტებული უნარი არ მომწონდა. ვგრძნობდი, რომ გულს ბოლომდე არასდროს და არავის გადაუშლიდა. თუმცა, შესაძლოა, ვცდებოდე კიდევ. ზედმიწევნით კეთილშობილი, ძლიერი ბუნების კაცი იყო. ადამიანებთან ურთიერთობაში მეტისმეტი, ერთგვარი იეზუიტური მოქნილობა და სიფრთხილე მის ღრმა სკეპტიციზმს ამჟღავნებდა; ამავე დროს, სწორედ სულის ამ გაორებით სკეპტიციზმითა და ზოგიერთი საკუთარი, განსა-

კუთრებული შეხედულებისა თუ იმედის ღრმა, შეურყეველი რწმენით იტანჯებოდა. მთელი თავისი ცხოვრებისეული მოხერხებულობის მიუხედავად, შეურიგებლად ემტერებოდა ბ.-სა და მის მეგობარ ტ.-სკის; ავადმყოფი, რამდენადმე ჭლექისადმი მიდრეკილების ბ.-კი, სიანჩხლის მიუხედავად, მეტად კეთილი და დიდსულოვანიც კი იყო. მაგრამ ზოგჯერ ისე აეშლებოდა ნერვები, ისე ჭირვეულობდა, ვეღარ გავუძლებდი, თუმცა ყოველთვის მიყვარდა. მ.-კის არასდროს წავჩხუბებოვარ, თუმცა არც არასდროს მყვარებია. ბ.-ს რომ დავშორდი, ისე აეწყო, ტ.-სკისაც უნდა შევლევოდი, სწორედ იმ ყმაწვილკაცს, წინა თავში პრეტენზიაზე საუბრისას რომ ვახსენე. ეს კი ძალიან მწყინდა.

გაუნათლებლობის მიუხედავად, ტ.-სკი კეთილი, მამაცი, ერთი სიტყვით, ჩინებული ვაჟკაცი იყო. საქმე იმაშია, რომ მას იმდენად უყვარდა და პატივს სცემდა ბ.-ს, იმდენად ეთაყვანებოდა, რომ ვინც ბ.-სგან ოდნავ მოშორებით ყოფნას ამჯობინებდა, თითქმის თავის მტრად აღიქვამდა. შემდგომში, მგონი, მ.-საც ბ.-ს გამო დაშორდა, თუმცა დიდხანს იკავებდა თავს.

უნდა ითქვას, რომ ყველა ზნეობრივად ავადმყოფი, ღვარძლიანი, ნერვებმოშლილი და უნდობი იყო. ეს გასაგებიცაა, მათ ჩვენზე მეტად უმძიმდათ. სამშობლოდან შორს იყვნენ. ზოგიერთს ხანგრძლივი ვადა ათი-თორმეტი წელი ჰქონდა მისჯილი; რაც მთავარია, ერთგვარი წინასწარი ღრმა ცრურწმენით უყურებდნენ ყველა გარშემომყოფს, კატორღელებში მხოლოდ მხეცს ხედავდნენ; მათში რაიმე კარგისდანახვა არ შეეძლოთ, არც ცდილობდნენ, რაც სრულიად გასაგები იყო: ამ საშინელ თვალსაზრისზე ისინი გარემოებათა აუცილებლობამ და ბედმა დააყენა. ცხადია, საპყრობილეში ყველას დარდი ჰკლავდა. ჩერქეზებს, თათრებს, ისაი ფომიჩს ალერსიანად და გულლიად ექცეოდნენ, მაგრამ ყველა დანარჩენ კატორღელს ზიზღით გაუბრუნდნენ. მხოლოდ სტაროდუბელმა მოხუცმა დაიმსახურა მათი სრული პატივისცემა. უნდა ითქვას, რომ ჩემი ციხეში ყოფნისას ერთ კატორღელსაც კი არ გაუქირდავს ისინი წარმოშობის, რწმენის ან, თუნდაც, შეხედულებების გამო, რაც ასე ხშირად ახასიათებთ უბრალო რუსებს. ისინი უცხოელებს, უმე-

ტესად გერმანელებს დასცინიან. რუსი მდაბიო გერმანელს, ზოგადად, რაღაც უსაშველოდ კომიკურად აღიქვამს. საინტერესოა, რომ რუსი კატორღელები პოლონელებს უფრო პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვიდრე ჩვენ, რუსებს. მათთან არასდროს ჩხუბობდნენ. მაგრამ ამაზე არასდროს არაფერს ამბობდნენ, თითქოს ვერც ამჩნევდნენ.

ჰო, ტ.-სკზე ვამბობდი. სწორედ მას მოჰყავდა, გადასახლების ადრინდელი ადგილიდან, ჩვენს ციხეში ზურგემოკიდებული ბ.-ი, რადგან სუსტი აგებულების ბ.-ი მალე იღლებოდა. ჯერ უ.-გორსკში გადმოეგზავნათ. იქ, როგორც გვიყვებოდნენ, თავს კარგად გრძნობდნენ, გაცილებით უკეთ, ვიდრე ჩვენს საპყრობილეში. სავსებით უწყინარი მიწერ-მოწერა გაებათ სხვა ქალაქის გადმოსახლებულებთან და ამის გამო საჭიროდ სცნეს, ორივე ჩვენს ციხეში გადმოეყვანათ; ჩვენს უმაღლეს უფროსობას რომ ცხვირწინ ჰყოლოდათ. მათი მესამე ამხანაგი ჟ.-კი იყო. მათ მოსვლამდე მ.-კი მარტო იყო. გადმოსახლების პირველ წელს მას, ალბათ, დარდი ახრჩობდა!

ბებერი ჟ.-კი მუდამ ლოცულობდა. ჩვენთან მხოლოდ ახალგაზრდა პოლიტიკური დამნაშავეები ისხდნენ. მხოლოდ ჟ.-კი იყო ორმოცდაათს გადაცილებული. პატიოსანი, მაგრამ ცოტა უცნაური მოხუცი გახლდათ. ბ.-კისა და ტ.-კის ის არ უყვარდათ, არც კი ელაპარაკებოდნენ, ჯიუტი და სულელიაო, ამბობდნენ. ვერ გეტყვით, რამდენად მართალნი იყვნენ. ერთი კია, საპყრობილეში, სადაც ადამიანები არა ნებით, არამედ იძულებით არიან თავშეყრილნი, ჩემი აზრით, ჩხუბი და სიძულვილი უფრო მოსალოდნელია, ვიდრე თავისუფლებისას; ამას ხელს უწყობს მრავალი გარემოება. ჟ.-კი მართლაც გვარიანი ყვეყჩი გახლდათ და, ერთგვარად, უსიამოვნოც; არც სხვებს ეხატებოდათ მაინცდამაინც გულზე, თუმცა მე არასოდეს წავჩხუბებოვარ, არც დავმეგობრებულვარ. თავისი საგანი, მათემატიკა, ვფიქრობ, უნდა სცოდნოდა. მახსოვს, თავის ჩიქორთული რუსულით ერთთავად მიხსნიდა რაღაც განსაკუთრებულ, მის მიერ გამოგონებულ ასტრონომიულ სისტემას. მითხრეს, ოდესღაც ამაზე კიდევ დაბეჭდა, მაგრამ სწავლულებმა დასცინესო. მგონი, სრულ ჭკუაზე არ უნდა ყოფილიყო. მთელი დღეები მუხლმოყრილი ლოცუ-

ლობდა, რითაც კატორღელთა საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. საპატიმროს ჰოსპიტალში ჩემ თვალწინ მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა. სხვათა შორის, კატორღელთა პატივისცემა აქ ფეხის შემოდგომისთანავე მოეპოვებინა, მაიორთან ჩხუბის წყალობით. როცა უ.-გორსკიდან ჩვენს ციხემდე საშინლად დაღლილი, გაუპარსავ-გაბანჯგვლული პატიმრები (სად გაი პარსავდნენ?) პლაცმაიორს მიუყვანეს, ეს უკანასკნელი სუბორდინაციის ამგვარმა დარღვევამ კინალამ გადარია, თუმცა ისინი არაფერ შუაში იყვნენ.

რასა ჰგვანან! აღრიალდა, მაწანწალები! ყაჩაღები!

ჟ.-კმა მაშინ ცუდად იცოდა რუსული და გაიფიქრა, გვეკითხება: მაწანწალები ხართ თუ ყაჩაღებიო? და მიუგო: მაწანწალები კი არა, პოლიტიკური დამნაშავეები ვართო.

რა-აოო, მეუბრდელები? მეუბრდელება! აღრიალდა მაიორი, კორდეგარდიაში! ასი როზგი, ახლავე!

ბერიკაცი უსიტყვოდ დაწვა როზგებქვეშ, მკლავს ჩააფრინდა კბილებით და, სასჯელი ყოველგვარი წამოყვირების, კვნესის გარეშე, გაუნძრევლად გადაიტანა. ბ.-კი და ტ.-კი ამასობაში საკანში შეიყვანეს, მ.-კი მათ უკვე კართან ელოდებოდა და კისერზე მოეხვია, თუმცა მანამდე არც ერთი მათგანი თვალით არ ენახა. პლაცმაიორის მიღებით აღელვებულებმა, მას ყველაფერი უამბეს. მახსოვს, მ.-კი ამაზე მეც მიყვებოდა: „კინალამ გადავირიე, არ ვიცოდი, რა მემართებოდა, ციებიანივით მაკანკალებდა. ჟ.-კის კართან ველოდებოდი. კორდეგარდიიდან, სადაც სჯიდნენ, პირდაპირ აქ უნდა მოსულიყო. ვხედავ: ფერმკრთალი ჟ.-კი არავის უყურებს, ჩალურჯებული ტუჩები უთრთის, ეზოში თავმოყრილ კატორღელებში გაატარეს, ყველამ უკვე იცოდა, რომ არისტოკრატ პატიმარს სჯიდნენ, შევიდა საკანში, პირდაპირ თავის ადგილას მივიდა, კრინტი არ დაუძრავს, მუხლებზე დაეცა და ლოცვა დაიწყო. კატორღელები განცვიფრებულნი და გულაჩუყებულნიც კი იყვნენ: რაწამს სამშობლოს, შვილებს, ცოლს მოშორებული, სამარცხვინოდ დასჯილი, ეგ ჭაღარა ბერიკაცი დაჩოქილი დავინახე, ყაზარმის უკან გავვარდი და მთელი ორი საათი სრულს ჭკუაზე არ ვიყავი. ამის შემდეგ კა-

ტორღელები ე.-კის მუდამ მოწიწებით ეპყრობოდნენ. ყველაზე მეტად ის მოსწონდათ, როზგებქვეშ ერთხელაც რომ არ დაიყვირა.

აქ სიმართლის თქმაა საჭირო: ამ მაგალითით ყველა ციმბირელ უფროსზე ვერ იმსჯელებ, ვერც მათ მოპყრობაზე გადმოსახლებული აზნაურებისადმი, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რუსები თუ პოლონელები. ეგ მაგალითი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ავკაცები ყველგან არიან. რა თქმა უნდა, ვინიცობაა ეს ავკაცი გადასახლებულს უფროს მეთაურად გამოგეცხადებოდა და გამორჩევით აგითვალწუნებდა, ერთობ არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდებოდი; მაგრამ შეუძლებელია არ აღიარო, რომ ციმბირში, თვით უმაღლესი უფროსობა, რომელზეც ყველა დანარჩენ მეთაურთა ტონი და განწყობაა დამოკიდებული, მეტად განასხვავებს გადმოსახლებულ აზნაურებს და, ზოგ შემთხვევაში, ცდილობს კიდევ მდებო კატორღელებთან შედარებით მათშელავათი მისცეს; ამის მიზეზები ნათელია: ჯერ ერთი, რომ უმაღლესი უფროსობა თვითონაც თავადაზნაურები არიან; მეორეც, არაერთხელ მომხდარა ისეც, რომ ზოგიერთი ნააზნაურალი როზგებქვეშ არ დაწოლილა და აღმსრულებელს სძგერებია, საშინელება დაუტრიალებია; მესამეც, ჩემი აზრით, ეს მთავარია, უკვე დიდი ხნის, ჯერ კიდევ ოცდათხუთმეტი წლის წინ, ციმბირში, ერთბაშად გადმოსახლებულ თავადაზნაურთა დიდი მასა გამოჩნდა. ისინი ოცდაათი წელი ისე იქცეოდნენ, მთელ ციმბირში თავი ისე გამოიჩინეს, რომ აქედან მოყოლებული უფროსობა, მისდაუნებურად, გარკვეული ჯგუფის თავადაზნაურ დამნაშავეებს, ყველა დანარჩენ გადასახლებულთან შედარებით, კარგი თვალით უყურებდა. მათი მიბაძვით, დაბალი რანგის მეთაურებიც მიეჩვივნენ პატიმრების წოდების მიხედვით დაყოფას; თუმცა ბევრი მათგანი ჩუმად აკრიტიკებდა უმაღლეს განკარგულებებს და დიდად მოხარული იქნებოდა, თუ კი თავიანთ ყაიდაზე მბრძანებლობაში ხელს არავინ შეუშლიდა. მაგრამ ამის უფლება, უმეტეს შემთხვევაში, მათ არ ჰქონდათ. სრული საფუძველი მაქვს ასე ვიფიქრო: ციხის პატიმართაგან შემდგარ კატორღელთა მეორე ჯგუფს, რომელშიც მეც ვირიცხებოდი, სამხედრო მეთაური განაგებდა და აქ გაცილებით მძიმე პირობები იყო, ვიდრე და-

ნარჩენ ორში მესამესა (საქარხნო) და პირველში (მაღაროებში მომუშავე). აქ მუშაობა მართო თავადაზნაურებისთვის კი არა, ყველა პატიმრისთვის მძიმე იყო, სწორედ იმიტომ, რომ ამ ჯგუფის უფროსობა და შემადგენლობა მთლიანად სამხედროა და ძალიან ჰგავს რუსეთის პატიმართა ასეულებს. სამხედრო მეთაურობა და შინაგანაწესი უფრო მკაცრია პატიმრები მუდამ ბორკილებში არიან და ბადრაგები მეთვალყურეობენ. პირველ ორ ჯგუფში კი ასე არაა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ ჩვენი პატიმრები. ყველა სიხარულით გადავიდოდა პირველ ჯგუფში, რომელიც კანონის მიხედვით უმძიმესად ითვლებოდა; ბევრჯერ უოცნებიათ კიდევ ამაზე. რაც შეეხება პატიმართა ასეულებს, ჩვენები, იქ ნამყოფნი, შეძრწუნებულნი ყვებოდნენ იქაურობაზე და ირწმუნებოდნენ, რუსეთის ციხეებში პატიმართა ასეულებში არსებულ მძიმე პირობებზე უარესს სხვაგან ვერსად წააწყდებითო; რომ იქაურ ყოფასთან შედარებით ციმბირში სამოთხეაო. მაშასადამე, ისეთ მკაცრ პირობებშიც, როგორც ჩვენს საპრობილეში იყო, სამხედრო უფროსობის მეთვალყურეობის ქვეშ, თვით გენერალ-გუბერნატორის თვალწინ, დაბოლოს, ისეთი შემთხვევების (ხანდახან მაინც რომ გამოერეოდა) მიუხედავადაც, როცა ზოგი გარეშე ოფიციალური პირი განზრახ ბოროტულად ან სამსახურისადმი გულმოდგინების გამო, მზად იყო ვინმე არაკეთილმოსურნე მეთაური დაებებდებინა, აქაოდა ამა და ამ ჯგუფის დამნაშავეს შეღავათებს აძლევსო. თუ ასეთი რამ ნამდვილად ხდებოდა, გამოდის, რომ პირველი და მესამე ჯგუფის მიმართ კიდევ უფრო დამთმობნი იქნებოდნენ. მაშასადამე, იმ საპატიმროს მიხედვით, სადაც მე ვიმყოფებოდი, შემძლია მთელ ციმბირზეც ვიმსჯელო. ყველაფერი, რაც პირველი და მესამე ჯგუფის პატიმრებზე ვიცოდი, ჩემეულ დასკვნას ადასტურებდა. მართლაც ასე იყო: თავადაზნაურებს, საპრობილის უფროსობა მეტი სიფრთხილითა და ყურადღებით გვექცეოდა, თუმცა ჩვენი მუშაობა და ყოფითი პირობები სხვა პატიმრებისგან არაფრით განსხვავდებოდა: სამუშაოები, ბორკილები, კვება... ყველაფერი ზუსტად ისეთივე იყო, რაც, ზოგადად, ციმბირის ყველა პატიმრის ხვედრია. ჩვენთვის რაიმეს შემსუბუქება შეუძლებელიც იყო. ხსენებულ

ქალაქში წარსულშიცა და ჩემი იქ ყოფნის დროსაც იმდენი მახეზღარა და ინტრიგანი იყო, ბუნებრივია, უფროსებს დასმენისა ეშინოდათ.

ერთი სიტყვით, თავადაზნაურობა და მდაბიო პატიმრებიც თანაბარ პირობებში ვცხოვრობდით, თუმცა ფიზიკური დასჯის მხრივ ერთგვარი გამონაკლისი არსებობდა. მართალია, მეტად არხეინად გაგვწყველავდნენ, თუ დავიმსახურებდით მათთვის რამე მიუღებელს ჩავიდენდით; ამას მოითხოვდა უფროსობისგან სამსახურებრივი მოვალეობა და თანასწორობა ფიზიკური სასჯელის წინაშე; მაგრამ ჰაიჰარად, ტყუილუბრალოდ მაინც არ გაგვწყველავდნენ, ხოლო რიგით პატიმრებთან ამგვარი მოპყრობა, ცხადია, შეიძლებოდა. მით უმეტეს, ასეთი რამ, ჩვეულებრივ, ყოველთვის მოსალოდნელი იყო ზოგიერთი ექსპრესიული, ლოთი თუ ბრძანებების მოტრფიალე მეთაურთაგან, ყოველგვარი შემთხვევის ჭკუისსასწავლებელ გაკვეთილად გამოყენება რომ უყვართ.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კომენდანტმა მოხუც ჟ.-ვის გაროზგვის ამბავი რომ შეიტყო, მაიორს გაუბრაზდა; გაუფრთხილებია: მომავალში ხელები დაიმოკლეთ. ისიც შევიტყვეთ, თვით გენერალ-გუბერნატორს, რომელიც ჩვენს მაიორს ენდობოდა და ერთგვარად აფასებდა კიდევ, როგორც უნარიანს, საქმის კარგ აღმასრულებელს, ეს ამბავი რომ გაუგია, საყვედურები არც მას დაუკლია. ბუნებრივია, მაიორმა ეს ყურად იღო. არადა, როგორ უნდოდა, მაგალითად, რაიმეში გამოეჭირა მ.-ი, რომელიც ა.-ვის ცილისწამების გამოისობით ჭირივით სძულდა, მაგრამ მის გაროზგვას ვერ ახერხებდა; მუდამ უთვალთვალეობდა, დევნიდა და ცემის საბაბს ეძებდა...

ჟ.-ვის ამბავი მალე მთელმა ქალაქმა გაიგო და მაიორს ბევრი საყვედურობდა, ზოგნი მკვახედაც. მახსენდება ჩემი პირველი შეხვედრა პლაცმაიორთან. ჩვენ, ანუ მე და მეორე გადასახლებულ არისტოკრატს, ამ კაცის ავ ზნეზე ლაპარაკით ჯერ კიდევ ტობოლსკში გვაშინებდნენ. იმხანად იქმყოფი ოცდახუთი წლის წინ გადმოსახლებული თავადაზნაურები სტუმართმოყვრულად შეგვხვდნენ და ვიდრე გამანაწილებელ ბანაკში ვისხედით, ჩვენთან კავშირი არ გაუწყვეტიათ; გვაფრთხილებდნენ ჩვენი მომავალი მეთაურის გამო და გვპირდებოდნენ, ნაცნო-

ბების დახმარებით, რაც შეგვიძლია ყველაფერს გავაკეთებთ მისი დენისგან რომ დავიხსნათო. მართლაც, გენერალ-გუბერნატორის სამმა ქალიშვილმა, რომლებიც მამამის სტუმრობდნენ იმ დღეებში მათი წერილები მიიღეს, რომლებშიც ისინი ჩვენი მდგომარეობის შემსუბუქებას ითხოვდნენ; მაგრამ რის გაკეთება შეეძლო გენერალ-გუბერნატორს? ალბათ, მხოლოდ ის უთხრა მაიორს, ჩვენს საქციელზე მეტად დაფიქრებულიყო.

ნაშუადღევი იქნებოდა, მე და ჩემი ამხანაგი ამ ქალაქში რომ ჩამოვიყვანეს. ბადრაგები მაშინვე ჩვენი მბრძანებლისკენ წავგიძღვნენ. წინკარში ვიდექით და ველოდებოდით. საპყრობილის უნტეროფიცრის დასაძახებლადაც კაცი გაგზავნეს. მალე პლაცმაიორიც მოვიდა. მისმა აჭარხლებულმა, ფერისმჭამლებიანმა, ბოროტმა სახემ მეტისმეტად ნაღვლიანი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე თითქოს ავი ობობა დააცხრა აბლაბუდაში გაბმულ საწყალ ბუზსო.

რა გქვია? შეეკითხა ჩემს ამხანაგს. მოჭრით, მკვახედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა. აშკარად ჩვენზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობდა.

ესა და ესო.

შენა? ახლა მე მომიბრუნდა და სათვალისანი სახე მომაშტერა.

ესა და ეს.

უნტეროფიცერო! ახლავე საკანში წაიყვანეთ, კორდეგარდიაში მიიყვანეთ და დაუყოვნებლივ გაპარსეთ სამოქალაქო ყაიდაზე, ბორკილები ხვალვე გამოაჭედინეთ. ეგ რა შინელი გაცვიათ? საიდან მიიღეთ? უცებ ყურადღება მიაქცია ტობოლსკში მოცემულ, ზურგზე ყვითელწრეჩაკერებულ, რუხ კაპოტებს ეს ახალი ფორმაა?! ალბათ, ასეა!.. ჯერ მხოლოდ სცდიან... პეტერბურგიდან...

ამბობდა და მორიგეობით გვატრიალებდა. თან არაფერი აქვთ? ჰკითხა უცებ ჩვენს ბადრაგს.

საკუთარი ტანსაცმელი აქვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მიუგო ოდნავ შემკრთალმა ჟანდარმმა და მყისვე გაიჭიმა. მას ყველა იცნობდა, მისი ხასიათის ამბავიც იცოდნენ, ყველას შიშის ზარს სცემდა.

ყველაფერი ჩამოართვით, მხოლოდ საცვალე დაუტოვეთ, ისიც თეთრი, თუ ფერადია, ჩამოართვით. დანარჩენი აუქციონით გაუყიდეთ. ფული შემოსავალში ჩაწერეთ. პატიმარს საკუთრება არ გააჩნია! განაგრძო და მკაცრად გადმოგვხედა, იცოდეთ, ჭკუით იყავით! ცუდი არაფერი გავიგო! თორემ... ფიზი-კუ-რად დაი-სჯე-ბით! მცირე დანაშაულისთვის კი რ-რ-როზგებია!..

ამგვარი მიღების გამო მთელი ის საღამო თავს ავადმყოფივით ვგრძნობდი. თუმცა, შთაბეჭდილება საპყრობილეში ნანახმაც გამიმძაფრა.

ზემოთ აღვნიშნე, უბრალო შეღავათსაც არ გვიწევდნენ, ვერ ბედავდნენ, ჩვენი მუშაობა როგორმე შეემსუბუქებინათ სხვა პატიმრებთან შედარებით-მეთქი. მაგრამ ერთხელ სცადეს: მე და ბ.-კი მთელი სამი თვე საინჟინრო კანცელარიაში მწერლებად გვამუშავეს. ეს საქმე მალულად საინჟინრო უფროსობამ გააკეთა. სხვებმა იცოდნენ, მაგრამ, ალბათ, არ იმჩნევდნენ.

ეს ამბავი რაზმის მეთაურ გ.-კის დროს მოხდა. პოდპოლკოვნიკი გ.-კი თითქოს ღმერთმა მოგვივლინა; მეტად მცირე ხანს დაჰყო ჩვენთან, თუ არ ვცდები, ნახევარ წლამდე, მალე რუსეთს გაემგზავრა. მან ყველა პატიმარზე უჩვეულო შთაბეჭდილება დატოვა. პატიმრებს არამც თუ უყვარდათ, ეთაყვანებოდნენ კიდევ, თუკი შესაძლებელია ამ სიტყვის აქ ხმარება. როგორ მოახერხა, არ ვიცი, მაგრამ მაშინვე ყველა მონუსხა, „მამა, მამა? მამას არ ინატრებთ!“ წამდაუწუმ გაიძახოდნენ პატიმრები. მგონი, უსაშველო მოქეიფე გახლდათ. თავხედური, მედიდური გამოხედვა ჰქონდა. მაგრამ პატიმრებისადმი თბილი იყო და მართლაც რომ მამასავით უყვარდა ისინი. რად შეყვარებოდათ ასე, არ ვიცი. პატიმარს დაინახავდა თუ არა, რაიმე ალერსიან, მხიარულ სიტყვას უთუოდ ეტყოდა, გაეხუმრებოდა, მასთან ერთად გაიცინებდა, და, რაც მთავარია, რაიმე უფროსულს, უთანასწორობის ან წმინდა უფროს-უმცროსული დამოკიდებულების ნიშანწყალსაც კი ვერ შეამჩნევდით. ზედმიწევნით ერთგული ადამიანი გახლდათ. მაგრამ, მიუხედავად მთელი მისი ინსტინქტური დემოკრატიზმისა, პატიმრებს მასთან არასოდეს წა-

მოსცდებოდათ რაიმე ზედმეტი, არ სჭირდებოდათ ფამილარობა. პირიქით, შეხვედრისას ერთიანად გაებადრებოდათ ხოლმე სახე, ქუდს მოიშვლეპდნენ და უკვე გაღიმებულნი ელოდნენ, როდის მოგვიახლოვდებო. თუკი დაილაპარაკებდა პირიდან თითქოს თაფლი ამოსდიოდა. დიახ, ასეთი პოპულარული ადამიანები არსებობენ! ყოჩაღად, მხნედ გამოიყურებოდა. „არწივია!“ იტყოდნენ ხოლმე მასზე პატიმრები.

რასაკვირველია, მათი მდგომარეობის შემსუბუქება მას არ შეეძლო; ის მხოლოდ საინჟინრო სამუშაოებს განაგებდა, რომლებიც ყველა მეთაურის დროს ერთხელ და სამუდამოდ კანონით დადგენილი წესით სრულდებოდა. ეს კი იყო, თუ სამუშაოს ბოლოს პატიმართა ჯგუფს შემთხვევით დაინახავდა, ზედმეტად აღარ გააჩერებდა, დაფდაფამდე გამოუშვებდა. ყველას სიმპათიას იმსახურებდა, რადგან პატიმრებს ენდობოდა, წვრილმანი პედანტობისა და გულფიცხობისგან, უფროსულუმცროსული ურთიერთობის სხვა შეურაცხმყოფელი ფორმებისგან შორს იყო. ათასი მანეთიც რომ დაჰკარგვოდა, უპირველეს ქურდსაც რომ ეპოვა, ვფიქრობ, აუცილებლად მიუტანდა. დიახ, დარწმუნებული ვარ, ასე მოიქცეოდა.

მასსოვს, როგორ უთანაგრძნეს პატიმრებმა, როცა ჩვენი არწივი-მეთაური საძულველ მაიორს სასტიკად წაეჩხუბა. ერთი თვის ჩამოსულიც არ იყო, ეს ამბავი რომ დატრიალდა. ჩვენი მაიორი ოდესღაც მისი თანამშრომელი ყოფილიყო. ხანგრძლივი განშორების შემდეგ მეგობრებივით შეხვდნენ ერთმანეთს და ერთად ქეიფობდნენ კიდევ. მაგრამ უცებ ურთიერთობა გაწყვიტეს. ერთმანეთი ამოიჩემეს, გ.-კი მოსისხლე მტრად გადაეკიდა. ამბობდნენ, სასტიკად იჩხუბესო, რაც ჩვენი მაიორისგან გასაკვირი სულაც არ იყო ხშირად ჩხუბობდა ხოლმე. მოჰკრეს თუ არა ამას ყური პატიმრებმა, უსაზღვროდ გაიხარეს: „მისთანას ცხრათვალა როგორ შეეგუება! ის არწივია, ჩვენი კი...“ და აქ, ჩვეულებისამებრ, უშვერ გინებას მიაყოლებდნენ. საშინლად აინტერესებდათ, ჩხუბში რომელმა გაიმარჯვა. თუ მათი ჩხუბის შესახებ ხმები ყალბი იყო (შესაძლოა, ასეც ყოფილიყო), ჩვენს პატიმრებს ძალიან დასწყდებო-

დათ გული. „აბა, უთუოდ მეთაური აჯობებდა, ამბობდნენ ისინი. დაბა-
ლია, სამაგიეროდმარჯვეა, ეს კია, თურმე საწოლქვეშ შემძვრალა“.

გ.-კი მალე წავიდა და პატიმრებმა ისევ ყურები ჩამოყარეს. ინჟინე-
რი მეთაურები ჩვენთან, უნდა ითქვას, ყველანი კარგები იყვნენ; ჩემ
დროს ორისამი გამოიცვალა: „მაგნაირი მაინც აღარ გვეღირსება, ამ-
ბობდნენ გულდაწყვეტილი პატიმრები, არწივი იყო, არწივი და ერთგუ-
ლი“... სწორედ ეს გ.-კი იყო, ჩვენ, აზნაურები, ძალიან რომ ვუყვარდით,
და მე და ბ.-ს ხანდახან კანცელარიაშიც გვამწესებდა.

მისი წასვლის შემდეგაც ჩვენი საქმე ნორმალურად მიდიოდა. ინ-
ჟინრები ჩვენ მიმართ (უფრო მეტად ერთი) ერთობ სიმპათიით იყვნენ
განწყობილნი; კანცელარიაში ქალაქლების გადასაწერად დავდი-
ოდით, ხელწერაც კი გავიუმჯობესეთ, მაგრამ მოულოდნელად უმაღ-
ლესი უფროსობისგან განკარგულება მოვიდა ადრინდელ სამუშაოებზე
დავებრუნებინეთ; ვიღაცას უკვე მოესწრო ჩვენი დასმენა! თუმცა ეს უკე-
თესიც გახლდათ: კანცელარია ორივეს ძალიან მოგვებზრდა! ამის შემ-
დეგ ორი წელი მუდამდღე ბ.-სთან ერთად დავდიოდი სამუშაოებზე, უფ-
რო ხშირად სახელოსნოში. ვსაუბრობდით ჩვენს იმედებზე, შეხედულე-
ბებზე. დიდებული კაცი იყო, მაგრამ ზოგჯერ მეტად უცნაურ, განსაკუთ-
რებულ აზრებს გამოთქვამდა. რას იზამ, ხშირად პატიმარს, თუნდაც
ძალზე ჭკვიანს, სავსებით პარადოქსული წარმოდგენები უყალიბდება
ხოლმე.

მაგრამ მათ გამო ცხოვრებაში იმდენი ტანჯვა გადაუტანიათ, ისეთი
სასოებით მოუპოვებიათ, უარყოფა მეტისმეტად უჭირთ, ვერ ელევთან;
ბ.-კის არ სიამოვნებდა თუ მისი აზრის საწინააღმდეგოს ვიტყოდი და
გესლიანად მპასუხობდა. თუმცა, ბევრ რამეში, შესაძლოა, ჩემზე მარ-
თალიც ცოფილიყო; დაბოლოს, დავშორდით. ამან ძალიან მატკინა გუ-
ლი: ჩვენ იმდენი რამ გადავიტანეთ ერთად... მ.-კი წლიდან წლამდე
სულ უფრო და უფრო მოღუშული და დარდიანი ხდებოდა. ნაღველი ით-
რევდა. უწინ, კატორღის დასაწყისში, უფრო კონტაქტური და გულლია
იყო; მრავალი რამით ინტერესდებოდა: რა ხდებოდა ქვეყანაში, მეკით-
ხებოდა ხოლმე, მისმენდა, ღელავდა. მაგრამ ბოლოს, წლების შემდეგ

(როგორც კი მესამე წელი დაიწყო), ყველაფერს როგორღაც გულში იგროვებდა, რაც გულს უსიებდა. ნაკვერცხალს ნაცარი ცვლიდა. გაბოროტება სულ უფრო ეძალებოდა.

„le hais ces brigands“ ხშირად მიმეორებდა და ზიზღით უყურებდა სხვა კატორღელებს, რომელთა ახლო გაცნობაც უკვე მოვასწარი. მათ სასარგებლოდ ნათქვამი არავითარი მოსაზრება არ სჭრიდა. ვერ ხვდებოდა, რისი თქმა მინდოდა. თუმცა, ხანდახან დაფანტულად დამთანხმდებოდა, მაგრამ მეორე დღეს იგივეს იმეორებდა: „le hais ces brigands“. სხვათა შორის, ფრანგულად ხშირად ვმუსაიფობდით ხოლმე. ამის გამო სამუშაოების ერთ-ერთმა ზედამხედველმა, საინჟინრო ნაწილის ჯარისკაცმა დრანიშნიკოვმა, არ ვიცი რა მოსაზრებით, ფერშლევად მოგვნათლა. მ.-კი მხოლოდ დედის გახსენებისას გამოცოცხლდებოდა, „მოხუცია, დავრდომილი, მეუბნებოდა, ჩემი თავი ყველაფერს ურჩევნია ამქვეყნად, მე კი ისიც არ ვიცი, ცოცხალია თუ არა?! იმის ცოდნაც ეყოფა, მწყობრშუა რომ მათრიეს“... მ.-კი თავადი არ იყო და გადასახლების წინ ფიზიკურად დაესაჯათ. ამის გახსენებისას ტუჩებს მოკუმავდა, ცდილობდა განზე ეცქირა. ბოლო ხანებში განმარტოებით სიარულს მოუხშირა. ერთხელ დილით, ასე თორმეტ საათზე, კომენდანტთან გამოიძახეს. კომენდანტი მხიარული ღიმილით შეხვდა.

აბა, მ.-კი, რა ნახე დღეს სიზმარში? ჰკითხა.

ეგრევე შევკრთი, გვიყვებოდა უკან მობრუნებული მ.-კი... თითქოს გულში გამჭვალა.

მესიზმრა, დედისგან წერილი მივიღე... მიუგო მან.

მით უფრო უკეთესი! უკეთესი! შეეპასუხა კომენდანტი. თავისუფალი ხართ! დედაშენმა ითხოვა... თხოვნა შეიწყნარეს. აი, მისი წერილი, ეს ბრძანებაა შენზე. საპყრობილედან დღესვე გახვალ!

გაფითრებული დაბრუნდა, ცნობისგან ჯერ ისევ გაოგნებული. ვულოცავდით. აკანკალებულ, გაყინულ ხელებს გვიწვდიდა... მოსალოცად სხვა პატიმრებიც მოდიოდნენ, მისი ბედნიერება ახარებდათ. საცხოვრებლად ჩვენს ქალაქში დარჩა. თავდაპირველად ხშირად მოდიო-

და საპრობილესთან და, როცა შეეძლო, გვამცნობდა სხვადასხვა ახალ ამბავს, უმეტესად პოლიტიკურს.

დანარჩენი ოთხიდან ანუ მ.-ს, ტ.-ს, ბ.-სა და ჟ.-ს გარდა, ორნი ჯერ ისევ ყმაწვილები იყვნენ, მოკლე ვადით გამოგზავნილები, მცირედგანათლებულნი, მაგრამ პატიოსნები, უბრალონი, პირდაპირნი. მესამე, ა.-ჩუკოვსკი, მეტისმეტად სულელი იყო, ვერაფრით გამოირჩეოდა. მაგრამ მეოთხე, უკვე ხანშიშესული ბ.-მი, უსაძაგლეს შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. ჩემთვის გაუგებარია, ამგვარ დამნაშავეთა ჯგუფში როგორ მოხვდა. ეს იყო ტლანქი, გაუნათლებელი, წვრილმეშჩანური სულისკვეთების კაცი, რომელსაც ანგარიშში დაკლებული კაპიკებით გამდიდრებული მედუქნის ჩვევები ჰქონდა. თავისი ხელობის გარდა, არაფერი აინტერესებდა. მღებავი იყო, მაგრამ იშვიათი, დიდებული მღებავი.

მისი ამბავი მალე მისწვდა უფროსობის ყურებს. ჭერ-კედლების შესაღებად ბ.-მს მთელი ქალაქი ითხოვდა. ორ წელიწადში თითქმის ყველა სახაზინო ბინა შეღება. თავის მხრივ, ბინის მეპატრონენიც გასამრჯელოს აძლევდნენ, ასე რომ, არცთუ ღარიბად ცხოვრობდა. ამაში კარგი ისიც იყო, რომ სამუშაოდ სხვა ამხანაგებთან ერთად გზავნიდნენ. იმ სამიდან თან რომ დაჰყვებოდა, ორმა მისგან ხელობა ისწავლა და ერთი მათგანი ტ.-ჟევსკი, მასწავლებელს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

სახაზინო სახლში მცხოვრებმა ჩვენმა პლაცმაიორმაც ბ.-მის ყველა ჭერკედლის მოხატვა დაავალა. მასაც იცოცხლე, თავი არ დაუზოგავს. ამგვარი მოხატულობა თვით გენერალ-გუბერნატორსაც შეშურდებოდა; გარედან ერთობ ძველი, ერთსართულიანი, ქეციანი ხის სახლი შიგნიდან სასახლესავით ბრწყინავდა. მაიორი აღტაცებას ვერ მალავდა... ხელებს იფშენეტდა და ამბობდა, ახლა კი უსათუოდ დავქორწინდებიო: ამგვარი ბინის პატრონი როგორ შეიძლება არ დაქორწინდესო, დასძენდა მეტად სერიოზულად. სულ უფრო და უფრო კმაყოფილი იყო ბ.-მით, ხოლო მისი წყალობით, მასთან ერთად მომუშავენიც. მუშაობა მთელი თვე გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე მაიორმა ჩვენებზე საე-

სებით შეიცვალა შეხედულება, მფარველობდა. საქმე იქამდე მივიდა, ერთხელ, მოულოდნელად ჟ.-კი დაიბარა: ჟ.-კი, შეურაცხგყავ, ტყუილუბრალოდ გაგროზგე, ვიცი ეგ. ვნანობ. გესმის თუ არა? მე, მე, მე ვინანიებ!

ჟ.-კიმ უპასუხა, ეს კარგად მესმისო.

გესმის თუ არა, რომ მე, მე, შენმა უფროსმა, იმისთვის დაგიძახე, პატრება გთხოვო! გრძნობ თუ არა ამას? ვინა ხარ შენ ჩემთან შედარებით? ჭიალუა! ჭიალუაზე მცირე. შენ პატიმარი ხარ! მე კი წყალობითა ღვთისათა, მაიორი ვარ. მაიორი! გესმის თუ არა შენ ეს?

ჟ.-კიმ უპასუხა, ესეც მესმისო.

ჰოდა, ახლა გირიგდები. მაგრამ გრძნობ თუ არა, გრძნობ თუ არა ამას სრულად? შეგწევს მაგდენი უნარი, მიხვდე და შეიგნო ეს? ერთი დაუკვირდი: მე, მე, მაიორი... და ა.შ.

ამ სცენის წვრილმანებს ჟ.-კი თავად მიყვებოდა. მაშასადამე, ჰქონია ამ ლოთ, ქარათშუტა და მოუწესრიგებელ კაცს ადამიანური გრძნობა. მისი განვითარების დონეს თუ გავითვალისწინებთ, ამგვარი საქციელი თითქმის დიდსულოვნებად უნდა ჩაგვეთვალა. თუმცა რა, შესაძლოა, ამ დროს ღვინოც ალაპარაკებდა.

ოცნება არ აუხდა: ვერ დაქორწინდა, თუმცა სავსებით გადაწყვეტილი ჰქონდა, როცა ბინის კეთილმოწყობა დაამთავრა. ქორწინების ნაცვლად სამართალში მოხვდა და სამსახურიდან გადადგომა მოსთხოვეს. ძველი ცოდვები გაუხსენეს... უწინ ამ ქალაქში, ვგონებ, გოროდნიჩად მსახურობდა. უბედურება მოულოდნელად დაატყდა თავს...

ამ ცნობამ პატიმრები უზომოდ გაახარა. ისინი ზეიმობდნენ. ეს ნამდვილი დღესასწაული იყო! მაიორი თურმე ბებრუხანა დედაკაცივით ბღაოდა; ცრემლად იღვრებოდაო, ამბობდნენ. მაგრამ თავს ვერ უშველა. გადააყენეს. წყვილი რუხი ცხენი მიაყიდა, მერე მთელი მამულიც. გაღატაკდა. გაცვეთილ სამოქალაქო სერთუკში, კოკარდიან ქუდში ვხვდებოდით ხოლმე. პატიმრებს ბოროტ მზერას სტყორცნიდა. მაგრამ, რა წამს მუნდირი გაიხადა, მთელი თავისი ჯადოც დაკარგა. მუნდირში ღვთის რისხვა იყო, სერთუკს სრულ არარაობად ექცია, ლაქიას

ჰგავდა. საოცარია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუნდირს ამ ადამიანებისთვის.

2.9. გაქცევა

ჩვენი პლაცმაიორის გადაყენების შემდეგ საპყრობილეში ძირფესვიანი ცვლილებები დაიწყო. კატორღა გააუქმეს და რუსეთის პატიმართა ასეულების ბაზაზე, სამხედრო უწყების პატიმართა ასეული დააარსეს. რაც იმას ნიშნავდა, რომ მეორე თანრიგის გადასახლებული კატორღელები ჩვენს საპყრობილეში აღარ იყვნენ. ამიერიდან აქ მხოლოდ სამხედრო დამნაშავეებს გზავნიდნენ, მაშასადამე, ქონებაზე უფლებაშენარჩუნებულ ხანმოკლე ვადით მისჯილებს (ექვსიოდე წლით). ვადის გასვლის შემდეგ ჯარისკაცები კატორღიდან თავიანთ ბატალიონს რიგითებად (გასამართლებამდეც რიგითები იყვნენ) უბრუნდებოდნენ. თუმცა, განმეორებითი დანაშაულისთვის ჯარისკაცებს, წინანდებურად, ოცწლიანი სასჯელი გარანტირებული ჰქონდათ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს საპყრობილეში ამ ცვლილებამდეც იყო სამხედრო თანრიგის პატიმართა განყოფილება, თუმცა ისინი აქ უადგილობის გამო მოჰყავდათ. ახლა კი მთელი საპყრობილე სამხედრო პატიმრებს ეკავათ. თავისთავად ცხადია, რომ ადრინდელი ნამდვილი სამოქალაქო კატორღელები, ყოველგვარ უფლებაჩამორთმეულნი, დაღდასმულნი და თავგადაპარსულები, ვადის სრულ ამოწურვამდე საპყრობილეში დატოვეს. ისინი თანდათან ტოვებდნენ საპატიმროს, ახალი სამოქალაქოები კი აღარ მოჰყავდათ. ამგვარად, ათიოდე წლის შემდეგ ჩვენს საპყრობილეში ერთი კატორღელიც აღარ იქნებოდა.

საპყრობილეში შენარჩუნდა განსაკუთრებულ დანაშაულთა განყოფილებაც, ციმბირში ყველაზე მძიმე კატორღული სამუშაოების დაწყებამდე დროდადრო იქ კიდევ აგზავნიდნენ სამხედრო უწყების მძიმე დამნაშავეებს, სანამ, ამრიგად, ჩვენს კატორღულ ცხოვრებაში არსებითად არაფერი შეცვლილა: იგივე კვება და მუშაობა, თითქმის იგივე წესები, მხოლოდ მმართველობა შეიცვალა და გართულდა. დაინიშნა შტაბოფიცერი, ასეულის მეთაური და ოთხი ობეროფიცერი, რომლებიც საპყრობილეში რიგრიგობით მორიგეობდნენ ხოლმე. გააუქმეს ინვალიდებიც, მათ ნაცვლად დაამტკიცეს თორმეტი უნტეროფიცერი და

კაპტ ენარმუსი შემოიღეს ათეულებად დაყოფა, თვით პატიმრებისგან ირჩევდნენ ეფრეიტორებს, რასაკვირველია, პატიოსნად. თავისთავად ცხადია, ეფრეიტორობა, პირველ რიგში, აკიმ აკიმიჩს ერგო.

საპყრობილე თავისი ჩინიანებითა და პატიმრებით, უწინდებურად კომენდანტის ხელმძღვანელობის ქვეშ დარჩა. პატიმრები, თავდაპირველად, ძლიერ ღელავდნენ, ბჭობდნენ, ცდილობდნენ გამოეცნოთ, მოესინჯათ, რას წარმოადგენდნენ ახალი უფროსები; მაგრამ, როცა დაინახეს, ყველაფერი ძველებურად იყო, მაშინვე დამშვიდდნენ და ცხოვრებაც ჩვეულებრივად წარიმართა.

მთავარი ისაა, რომ ადრინდელი პლაცმაიორი მოგვმორდა; თითქოს ყველამ მოისვენა და გამხნევდა. გაქრნენ დაშინებული სახეები. ახლა ყველამ იცოდა, რომ თუ საჭირო გახდებოდა, შეეძლოთ უფროსთან გულახდილად ელაპარაკათ; დამნაშავეს ნაცვლად ალაღმართალს მხოლოდ შემთხვევით თუ დასჯიდნენ. ღვინის გაყიდვაც კი ძველი წესრიგით გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელი ინვალიდების ნაცვლად უნტეროფიცრები დააყენეს, ისინი, უმეტესწილად, წესიერი და საზრიანი ხალხი აღმოჩნდა, თავიანთი მდგომარეობა ესმოდათ. თუმცა ზოგი, თავდაპირველად, კულაბიკობისადმი მიდრეკილებას ამჟღავნებდა ეს, რა თქმა უნდა, გამოუცდელიობით მოსდიოდა, უნდოდა პატიმრებს ჯარისკაცებივით მოქცეოდა; მალე ყველა ჩასწვდა საქმის არსს; დანარჩენებს, მეტისმეტად ჯიუტებს, თავად პატიმრებმა ასწავლეს ჭკუა, უნდა ითქვას, საკმაოდ მძაფრი შეხლა-შემოხლის შემდეგ: მაგალითად, ატყუებდნენ, ათრობდნენ. გამოფხიზლებულს მოახსენებენ, რასაკვირველია, შინაურულად, ჩვენთან ერთად დალიეო.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ უნტეროფიცრები გულგრილად უყურებდნენ ან ცდილობდნენ არ დაენახათ, ბუშტებით როგორ შემოჰქონდათ და ჰყიდდნენ არაყს. მეტიც: ძველ ინვალიდთა მსგავსად, ბაზარშიც დადიოდნენ და პატიმრებისთვის კალაჩები, ძროხის ხორცი და სხვ. მოჰქონდათ; მოკლედ, ისეთი რამეები, რისთვისაც მაინცდამაინც არავის დატუქსავდნენ. რამ განაპირობა ამგვარი ცვლილებები, ეს ნამ-

დვილად არ ვიცი. ეს ყველაფერი ჩემი კატორღის ბოლო ორ წელიწადში მოხდა.

საპყრობილეში გატარებული ყოველი წლის აღწერას არ ვაპირებ. ყველა ამბავი ერთფეროვანია. მით უმეტეს, თუ მკითხველს მეორე თანრიგის კატორღელთა ცხოვრებაზე ოდნავი წარმოდგენა მაინც შეექმნა. მთელი ჩვენი საპყრობილე და ყოველივე, რაც იმ წლებში ვნახე და განვიცადე, მინდოდა ერთ ნათელ, თვალსაჩინო სურათად მეჩვენებინა. მივალწიე თუ არა მიზანს, არ ვიცი. თანაც, ნაწილობრივ, ჩემს საქმედ არც მიმაჩნია ამის განსჯა. შემიძლია აქ დავსვა წერტილი. მითუმეტეს, საპყრობილის გახსენებაზე ყოველთვის სევდა მაწვება გულზე. ყველაფრის გახსენება, უბრალოდ, შეუძლებელიცაა, ბევრი რამ როგორღაც წაიშალა ჩემი მეხსიერებიდან. ეს წლები არსებითად ერთმანეთს ჰგავდა, უფერულად, ნაღვლიანად გადიოდა. გრძელი, მოსაწყენი დღეები ნაწვიმარზე სახურავიდან მოწანწკარე წვეთების მსგავსად ერთფეროვანი იყო. საპატიმროში მხოლოდ მომავლის, განახლების, ახალი ცხოვრების დაწყების ერთადერთი მძაფრი სურვილი მმატებდა ძალას. ბოლოს გავკაჟდი: თითოეულ დღის მოსვლას ველოდი, დღეებს ვითვლიდი და, მიუხედავად იმისა, კიდევ ათასობით მრჩებოდა, თითოეულ დღეს სასოებით მოვაკლებდი, გავისტუმრებდი, დავასამარებდი; მეორე დღის დადგომა მიხაროდა, რადგან ათასის ნაცვლად, ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი დღე მრჩებოდა.

პატიმრობის წლები, ასეულობით ამხანაგის მიუხედავად, საშინელ მარტოობაში გავატარე. დაბოლოს, ეს მარტოობა შემიყვარდა კიდევ. სულით ობოლი, განვლილ ცხოვრებაზე ვფიქრობდი, ვაანალიზებდი, უკანასკნელ წვრილმანებში ვიქექებოდი, საკუთარ თავს უღმობლად, მკაცრად ვაკრიტიკებდი. ხანდახან ბედსაც კი ვუმაძლოდი იმისთვის, მარტოობა რომ მარგუნა წილად, რადგან სხვაგვარად განვლილი ცხოვრების რევიზიას ვერ შევძლებდი!

რა იმედებით მიძგერდა მაშინ გული?! ვფიქრობდი, ვადარებდი... ვიფიციებოდი, რომ არასდროს დავუშვებდი მსგავს შეცდომებს, სულიერადაც არასდროს დავეცემოდი. მომავალი ცხოვრების მიზანი ვიპოვე

და გადავწყვიტე, მტკიცედ მივყოლოდი. ჩემშიბრმა რწმენა აღორძინდა, რომ ყველაფერს შევასრულებდი და შევძლებდი კიდევ... მოუთმენლად ველოდი, თავისუფლებას ვეძახდი: მინდოდა, თავი ახალ ბრძოლაში გამომეცადა. ხანდახან გაშმაგებული მოუთმენლობა მი ჰყრობდა... ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობის გახსენება ძალიან მიჭირს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მხოლოდ მე მეხება... მაგრამ ეს სწორედ იმიტომ დავწერე, რომ ვინც ოდესმე ციხეში მოხვდება, მით უმეტეს, ახალგაზრდობის წლებში, დარდი შევუმსუბუქო, დავაფიქრო...

ამაზე მეტი ლაპარაკი აღარ ღირს! არც მინდა ამ ტონზე დავამთავრო.

ვინმე აუცილებლად იკითხავს: ნუთუ კატორღიდან გაქცევა შეუძლებელი იყო? ნუთუ არავინ გაქცეულა? პატიმარი ორ-სამ წელს რომ დაჰყოფს კატორღაში, ამ დროის დაფასებას იწყებს და უნებურად ანგარიშობს: სჯობს ხათაბალის გარეშე, მშვიდობიანად მოვათავო დანარჩენიც და კანონიერად გავიდე დასახლებაშიო. მაგრამ ასე მხოლოდ მოკლევადიანი პატიმარი მსჯელობს, მრავალწლებმისჯილი, უმეტესად, მზადაა გარისკოს... მაგრამ ჩვენთან რატომღაც ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო. არ ვიცი, ეშინოდათ, თუ განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ ან იქნებ, ჩვენი ქალაქის ადგილმდებარეობა უშლიდათ ხელს? უმეტესწილად გაშლილი ტრამალები ძნელი სათქმელია. ვფიქრობ, ყველა ამ მიზეზს თავისებური გავლენა ჰქონდა. სატუსაღოდან გაქცევა მართლაც ძნელი საქმე იყო. მიუხედავად ამისა, ერთხელ ორმა გაბედა, ისიც ყველაზე მძიმე დამნაშავეებმა...

ჩვენი პლაცმაიორის შეცვლის შემდგომ ა.-ვი (მაიორთან კატორღელებს რომ აბეზღებდა) სრულიად მარტო, მფარველის გარეშე დარჩა. სავსებით ყმაწვილკაცს ხასიათი წლიდან წლამდე უმტკიცდებოდა და უყალიბდებოდა, საზოგადოდ, თავხედი, თამამი და ერთობ საზრიანიც კი იყო. თავისუფლება რომ მიეღო, კვლავაც ჯაშუშობასა და სხვადასხვა ბნელ-ბნელ საქმიანობას განაგრძობდა, მაგრამ ისე სულელურად და წინდაუხედავად აღარ ებმებოდა მახეში, როგორც უწინ, თავისი უგუნურობით გადასახლებაში რომ მოხვდა. ჩვენთან, ნაწილობრივ, ყალბი

პასპორტების საქმეშიც ტრიალებდა. თუმცა დანამდვილებით არ ვიცი. პატიმრები ამბობდნენ, ამ საქმით, შეძლებისდაგვარად, კარგად მოითბო ხელიო. ერთი სიტყვით, საკუთარი ბედის შესაცვლელად, ალბათ, ყველაფერს იკადრებდა.

მქონდა ბედნიერება, მის სულს, შეძლებისდაგვარად, ჩაწვდომოდი. მისი ცინიზმი აღმაშფოთებელ თავხედობამდე, ყველაზე გულცივ დაცინვამდე აღწევდა და ზიზღს იწვევდა. ვფიქრობ, ერთი ჭიქა ღვინისთვის კაცს მოკლავდა, თუ კი ამის უნუმრად, ყველასგან ფარულად გაკეთების შესაძლებლობა ექნებოდა. საპყრობილეში ანგარიშიანობას მიეჩვია. სწორედ ამ ყმაწვილკაცს მიაქცია ყურადღება განსაკუთრებული განყოფილების პატიმარმა კულიკოვმა.

კულიკოვზე უკვე იცით. არცთუ ახალგაზრდა, მაგრამ მგზნებარე, ამტანი, ძლიერი ადამიანი იყო. ღმერთს გამორჩეული და მრავალფეროვანი ნიჭით დაეჯილდოებინა. ძალა მოსდევდა და სიცოცხლე სწყუროდა. ასეთი ხალხი ღრმა სიბერემდე ახალგაზრდულ სულს ინარჩუნებს. ძალიან მიკვირდა, რომ კულიკოვი ციხიდან არ გარბოდა.

ვის მეტი გავლენა ჰქონდა: ა.-ვს კულიკოვზე, თუ კულიკოვს ა.-ვზე, არ ვიცი. ოღონდ ეს კია, ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ და ამგვარი საქმისთვის ერთნაირად გამოდგებოდნენ. ისინი დამეგობრდნენ. კულიკოვი ვარაუდობდა, ა.-ვი პასპორტებს მოამზადებდა. ა.-ვი მაღალი საზოგადოებიდან იყო, რაც ერთგვარად, მრავალფეროვან თავგადასავალს ჰპირდებოდათ მომავალში, ოღონდ აქაურობიდან თავი დაეღწიათ.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ გეგმები ციმბირული მაწანწალობის ერთფეროვნებას ნამდვილად სცილდებოდა. კულიკოვი ბუნებით მსახიობი გახლდათ, მრავალი და ნაირფეროვანი როლის შესრულება ეხერხებოდა. ბევრი რამის იმედი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, მრავალფეროვნებისა მაინც. ასეთ ადამიანებს მეტისმეტად უჭირთ ხოლმე საპყრობილეში. ამიტომაც გასაქცევად შეიკრნენ.

ბადრაგის გარეშე გაქცევა შეუძლებელი იყო. ბადრაგიც უნდა დაეყოლიებინათ. ციხეში მდგარ ერთ-ერთ ბატალიონში ერთი პოლონე-

ლი მსახურობდა. ენერგიული კაცი, და, შესაძლოა, უკეთესი ცხოვრების ღირსიც. უკვე ხანდაზმული, ყოჩაღი, სერიოზული; ჯერ ისევ ყმაწვილი მოსულიყო ციმბირში, სამშობლოს დარდი ველარ აეტანა და გაქცეულიყო. დაიჭირეს, დასაჯეს და ერთი-ორი წელი პატიმართა ასეულში ამყოფეს. როცა ჯარისკაცად დააბრუნეს, ცხოვრების ნირი შეიცვალა, გულმოდგინედ მუშაობდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა. წარჩინებისთვის ეფრეთრობა უბოძეს. ეს იყო პატივმოყვარე, თავდაჯერებული ადამიანი. საკუთარი თავის ფასი იცოდა, რადგან სწორედ ისეთი გამოხედვა ჰქონდა და ისე ლაპარაკობდა, როგორც ეს თავისთავის ყადრის მცოდნეს შეეფერება.

პატიმრობის წლებში მას რამდენჯერმე შეეხვდი. ზოგი რამ პოლონელებმაც მითხრეს. მომეჩვენა, უწინდელი ნაღველი სიძულვილად გადაქცეოდა ყრუ, ფარულ, საუკუნო სიძულვილად. ამ კაცს ყველაფრის გაბედვა შეეძლო. კულიკოვი არ შემცდარა, ამხანაგად ის რომ აირჩია. გვარად კოლერი გახლდათ. მოილაპარაკეს და დღევ დათქვეს.

ეს იყო ივნისში. ამ ქალაქში ჰავა საკმაოდ თანაბარია, ზაფხულობით კი პაპანაქება სიცხე იცის. ეს ხელს უწყობს მაწანწალას. რა თქა უნდა, არავის შეეძლო ეგრევე ციხიდან გაპარულიყო: ყოველი მხრიდან ღია ქალაქი გაშლილ მალლობზე დგას. ირგვლივ, საკმაოდ ვრცელ მანძილზე, ტყე არსადაა, საჭირო იყო ადგილობრივების ტანსაცმელი გადაეცვათ, ამისთვის კი ფორშტადტში უნდა შეეღწიათ, სადაც კულიკოვი დიდხანს ცხოვრობდა. არ ვიცი, ფორშტადტში ჰყავდათ თუ არა მოკავშირეები. მაგრამ, სავარაუდოდ, ასე უნდა ყოფილიყო.

იმ წელს ფორშტადტში ის-ის იყო ასპარეზზე გამოდიოდა ერთობ სანდომიანი ყმაწვილქალი, მეტსახელად ვანკა-ტანკა; დიდ იმედს იძლეოდა და, ნაწილობრივ, შემდგომ განახორციელა კიდევ. ცეცხლსაც ეძახდნენ. ვფიქრობ, ამ საქმეში ისიც მონაწილეობდა. აგერ წელიწადი იყო, კულიკოვს აკოტრებდა. ჩვენი ბიჭები დილის მწყობრში გამოცხადდნენ. მერე იმდენი მოახერხეს, ცარიელი ყაზარმების შესალესად პატიმარ შილკინს, მეღუმელესა და მებათქაშეს გაჰყვნენ. ა.-ვი და კულიკოვი შავ მუშად იყვნენ. კოლერი ზედამხედველად აედევნა. რადგან

სამ პატიმარს ორი ზედამხედველი სჭირდებოდა, კოლერს, როგორც გამოცდილ ჯარისკაცსა და ეფრეიტორს, ხალისით გააყოლეს ახალგაზრდა გამოუცდელი რეკრუტი, რომელიც ამ საქმის შესწავლას ცდილობდა. ჩანს, მეტად ძლიერი ზეგავლენა უნდა ჰქონოდა ჩვენს ლტოლვილებს კოლერზე, რადგან ამ უკანასკნელმა მათ დაუჯერა, ხანგრძლივი, ბოლო წლებში წარმატებული სამსახურის შემდეგ, ჭკვიანი, დინჯი, ანგარიშიანი კაცი ცთუნებას აჰყვა.

მოვიდნენ ყაზარმებში. დილის ექვსი საათი იქნებოდა. არავინ დახვედრიათ. ერთი საათი რომ წაიმუშავეს, კულიკოვმა და ა.-ვმა შილკინს უთხრეს, სახელოსნოში უნდა წავიდეთო. ერთი ვინმე გვყავს სანახავი და ბარემ საჭირო ხელსაწყოსაც წამოვიღებთო. შილკინთან საქმის ეშმაკურად, რაც შეიძლება ბუნებრივად წარმართვა მართებდათ. მოსკოველი გახლდათ, ღუმლის ოსტატი, მემწიანთაგანი; ეშმაკი, გაქნილი, ჭკვიანი, სიტყვაძუნწი; გარეგნულად ერთი სუსტი, გალეული ვინმე. მუდამ ჟილეტსა და ხიფთანში დადიოდა, მოსკოვურ ყაიდაზე, მაგრამ ბედმა უმტყუნა და ბევრი ხეტიალის შემდეგ სამუდამოდ საპყრობილეში ჩარჩა, განსაკუთრებულ, ყველაზე მძიმე სამხედრო დამნაშავეთა ჯგუფში. რით დაემსახურებინა ამგვარი კარიერა, არ ვიცი, მაგრამ განსაკუთრებული უკმაყოფილება არასდროს შემიმჩნევია, მორჩილად და მშვიდად ეჭირა თავი: ხანდახან ხარაზივით თუ გაილეშებოდა, მაგრამ მაშინაც ურიგოს არაფერს ჩაიდენდა. რასაკვირველია, არავინ ენდობოდა; მახვილი თვალები ჰქონდა. კულიკოვმა აგრძნობინა, ღვინისთვის მივდივართ, გუშინდლიდან სახელოსნოში გვაქვს გადანახულიო. ამან მოალობო შილკინი, არავითარი ეჭვი არ აუღია, რეკრუტთან დარჩა. კულიკოვმა, ა.-ვმა და კოლერმა ფორშტადტში გასწიეს.

ნახევარი საათი გავიდა, ისინი არ ჩანდნენ. შილკინი უცებ გონს მოვიდა.

შეფიქრიანდა. გამოქექილი ბიჭი იყო, ნემსის ყუნწში არაერთხელ გამძვრალა. ახლალა გაახსენდა, რომ კულიკოვი უცნაურად გამოიყურებოდა. ა.-ვმაც თითქოს ორჯერ რაღაც წასჩურჩულა; კულიკოვმა ერთი-ორჯერ ჩაუკრა თვალი. კოლერსაც რაღაც ემჩნეოდა: ყოველ შემ-

თხვევაში, იმათ რომ მიჰყვებოდა, რეკრუტს ჭკუას არიგებდა: როგორ მოქცეულიყო მის არყოფნაში, ეს კი არცთუ მთლად ბუნებრივი ჩანდა, მით უმეტეს, კოლერისგან. ერთი სიტყვით, რაც უფრო ძაბავდა შილკინი მეხსიერებას, მით მეტად ღრღნიდა ეჭვის ჭია.

დრო გადიოდა. არავინ დაბრუნებულა. საშინლად შეშფოთდა. ძალიან კარგად ესმოდა, მისთვის ეს ამბავი კარგს არაფერს მოასწავებდა: უფროსებს შეეძლოთ მასზეც მიეტანათ ეჭვი: განზრახ, ურთიერთშეთანხმებით, გაუშვა ამხანაგებიო. კულიკოვისა და ა.-ვის გაუჩინარების ამბავს თუ სწრაფად არ განაცხადებდა, ეჭვი კიდევ უფრო გაღრმავდებოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ისიც გაახსენდა, ბოლო ხანებში კულიკოვსა და ა.-ვს სულ ერთად ხედავდა, ხშირად ჩურჩულებდნენ, გადიოდნენ ყაზარმების უკან, გარეშე თვალთაგან მოშორებით. თავის ბადრავს გამომცდელად შეხედა: თოფს დაყრდნობოდა, ამოქნარებდა, თითოთ ცხვირს იჩინქნიდა, გულუბრყვილო სახე ჰქონდა; შილკინმა ის თავისი მოსაზრების განდობის ღირსადაც არ ჩათვალა. უბრალოდ უთხრა: საინჟინრო სახელოსნოში გამომყევით.

სახელოსნოში არავინ აღმოჩნდა, არც არავის ენახა ისინი. „იქნებ, უბრალოდ, დასალევად, დროის გასატარებლად წავიდნენ ფორშტადტში, რაც არაერთხელ გაუკეთებია კულიკოვს, ფიქრობდა შილკინი, ახლა ესეც კი გამორიცხულია: ხომ მეტყოდნენ, ამის დამალვა არც ღირდა“. შილკინმა სამუშაოს თავი ანება და პირდაპირ საპყრობილისკენ გაეშურა.

ასე ცხრა საათი იქნებოდა, როცა შილკინი ფელდფებელთან მივიდა და ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. ფელდფებელი დაიბნა. ჯერ დაჯერებაც არ უნდოდა. ცხადია, შილკინი გუმანით, ეჭვით ლაპარაკობდა. ფელდფებელი მყისვე მაიორთან გავარდა, მაიორი კომენდანტთან. თხუთმეტ წუთში ყველა აუცილებელი ზომა მიიღეს. თვით გენერალ-გუბერნატორმაც. მსხვილფეხა დამნაშავეები იყვნენ და პეტერბურგიდან აუცილებლად შეახურებდნენ. მართებულად თუ უმართებულად, ა.-ვი პოლიტიკურ დანაშაულზე იჯდა, კულიკოვი „განსაკუთრებული განყოფილებისა“ გახლდათ, არქი-დამნაშავე, თანაც სამხედრო. აქამდე გან-

საკუთრებული განყოფილებიდან არავინ გაქცეულა. სხვათა შორის, გაახსენდათ, რომ ამ განყოფილების ყოველ პატიმარზე, წესისამებრ, ორი ზედამხედველი მოდიოდა, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი მაინც. ეს წესი დარღვეული იყო. ჰოდა, უსიამოვნებები ელოდათ. ყველა თემში, ახლომახლო ადგილებში მაცნეები გაგზავნეს, რათა გაქცეულთა ამბავი განეცხადებინათ და მათი აღწერილობა დაეტოვებინათ, კაზაკებიც დაადევნეს. მეზობელ მაზრებსა და გუბერნიებში მისწერეს... ერთი სიტყვით, ძალიან დაფრთხნენ.

ამასობაში ჩვენს პატიმრებს სხვა ხასიათის მღელვარება შეყროდათ. სამუშაოდან დაბრუნებული პატიმრები ერთგვარი უჩვეულო, ფარული სიხარულით ხვდებოდნენ ამ ცნობას. ყველას შეუტოკდა გული... გარდა ამისა, ამ შემთხვევამ საპყრობილის მონოტონური ცხოვრება დაარღვია.

ყველა ბუდემოშლილ ჭიანჭველებივით აფუსფუსდა; გაქცევამ, თანაც ამგვარმა გაქცევამ, პატიმრებს დიდი ხნის დადუმებული სიმები შეურხია: რაღაც იმედის, გაბედულების, ბედის შეცვლის შესაძლებლობის მაგვარმა აათრთოლა თითოეული. „ხომ გაიქცნენ?!“ ამის გაფიქრებაზე ყოველი მათგანი მხნევდებოდა და სხვებს გამომწვევად უყურებდა. როგორღაც უცებ ყველა გაამაყდა, უნტეროფიცრებს ქედმაღლურად უყურებდნენ.

რასაკვირველია, საპყრობილეს მაშინვე დააცხრა უფროსობა. მოვიდა კომენდანტიც. ჩვენები თამამად, ის კი არა, ერთგვარიზიზლითა და რაღაცნაირი ფარული, მკაცრი სიდარბაისლითაც იმზირებოდნენ: „აქაოდა, გვეხერხება, საქმის მოკვარახჭინებაო“. თავისთავად იგულისხმება, ჩვენთან ყველამ წინასწარ განჭვრიტა, რომ მთელი უფროსობა დაგვესხმებოდა თავს. ჰოდა, არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ ჩხრეკას დაიწყებდნენ. ამიტომ ყველაფერი გადამალეს; იცოდნენ, უფროსობა გონს გვიან მოეგებოდა.

ასეც მოხდა. ატყდა აურზაური. ყველაფერი გადააქოთეს, გადაჩხრიკეს, მაგრამ ხელმოსაჭიდი ვერაფერი ნახეს. ცხადია, სადილის შემდგომ სამუშაოზე პატიმრებს გაძლიერებული ბადრაგი გაჰყვა. საღამო-

ხანს წარამარა გვაკითხავდნენ ყარაულები, ჩვეულებრივთან შედარებით მეტჯერ გადათვალეს ხალხი, ამასთან, ჩვეულებრივზე ერთი-ორჯერ მეტად შეეშალათ; ისევ ფაციფუცი ატეხეს: ეზოში გამოგვრეკეს და ხელახლა დაგვთვალეს. შემდეგ კიდევ ერთხელ გადაგვთვალეს ყაზარმებში... ერთი სიტყვით, დიდი საზრუნავი გაუჩნდათ.

პატიმრები ყურსაც არ იბერტყავდნენ, ყველა ერთობ დამოუკიდებელი ადამიანის იერით იყურებოდა და, როგორც ყოველთვის ამგვარ შემთხვევებში სჩვევიათ ხოლმე, მთელ სალამოს ზედმეტად წესიერად ეჭირათ თავი: „მაშასადამე, შარს ვერ მოგვდებენ!“ უფროსობა კი ფიქრობდა: „გაქცეულთა თანამზრახველები ხომ არ არიან საპყრობილეშიო“ და ბრძანეს, პატიმრებს დაკვირვებოდნენ, მათი ლაპარაკისთვის მიეყურადებინათ. პატიმრები ამაზე იცინოდნენ.

„განა ისეთი საქმეა, თანამზრახველები რომ დატოვო?“ „ასეთი საქმე ფეხაკრეფით კეთდება;“ „ვითომ კულიკოვი, რა ისეთი ვაცი ნახეს ანდა ა.-ვი, რომ ამ საქმეში კვალი დაეტოვებინათ? ოსტატურად, მალულადაა გაკეთებული. გამოქექილი, ნემსის ყურში განამძვრალი ხალხია. ჩარაბული კარიც არაფრად მიაჩნიათ!“ ერთი სიტყვით, კულიკოვმა და ა.-ვმა სახელი გაითქვეს, ყველა ამაცობდა მათით. გრძნობდნენ, კატორღელთა მრავალ თაობამდე მიაღწევდა იმათი გმირობის ამბავი.

ოსტატი ხალხია! ამბობდნენ ერთნი.

ხომ ფიქრობდნენ, ჩვენთან არ გარბიანო, აკი გაიქცნენ!.. დასძენდნენ მეორენი.

გაიქცნენ! გამოჩნდა მესამე, რომელიც ერთგვარი მბრძანებლური იერით ხედავდა მერედა ვინ გაიქცა... მათი ტოლბადალი ხარ, აი?

სხვა დროს ნებისმიერი პატიმარი ამგვარ პასუხზე აუცილებლად სამაგიეროს გადაუხდიდა შეურაცხმყოფელს, ღირსებას დაიცავდა, მაგრამ ახლა გაიყურსა, „მართლაც, ყველა კულიკოვისა და ა.-ვისთანა როდია. ჯერ თავი უნდა გამოიჩინო...“

მართლაც, რა გვინდა, ძმებო, აქ? არღვევს სიჩუმეს მეოთხე, წყნარად რომ მიმჯდარა სამზარეულოს ფანჯარასთან. რალაცნაირად მოდუნებული, მაგრამ შინაგანად თვითკმაყოფილი გრძნობისგან ოდნავ წამ-

დერებით ლაპარაკობს: რანი ვართ აქა? ცოცხალი ადამიანი არ გვეთქმის, არც ჩაძაღვებული მიცვალებული. ე-ე-ეჰ!

ამგვარი საქმე წულა ხომ არ გგონია, ხელის ერთი მოქნევით წაიძრო. რაა ეს, ე-ეჰ!

აი, კულიკოვი ხომ... ის იყო ჩაერია გულფიცხი ყმაწვილი.

კულიკოვი, მაშინვე აიტაცებს მეორე და ზიზღით გადახედავს ბიჭს. კულიკოვი.

ვითომ, კულიკოვისთანა ბევრი არ არისო.

ა.-ვიც, ძმებო, გაქნილია. უჰ, რა გაქნილია!

გიყვარდეს! ეგ კულიკოვსაც ამოიჩრის. გაუგე ასავალ-დასავალი, უპოვე ბეჭედს ბოლო.

ნეტავ შორს თუ მოასწრეს, ძმებო, წასვლა? საინტერესოა...

და მაშინვე გაიმართა სჯა-ბაასი: შორს წავიდოდნენ? რომელი მხრით? რა გზით სჯობდა წასულიყვნენ? რომელი თემია ახლოს? ახლომახლო ადგილების მცოდნე ადამიანებიც მოიძებნენ. მათ ცნობის-მოყვარეობით უსმენდნენ. მეზობელი სოფლების მცხოვრებლებზე თქვეს და დაასკვნეს, სანდონი არ არიანო. ქალაქის სიახლოვეს ხალხი გაქექილია, არავინ დაათარებს ხელს, დაიჭერენ და გასცემენო.

აქაური გლეხი ბოროტია, ძმებო, უ-უ-უ რა გლეხები არიან ქარაფშუტა გლეხები არიან!

ციმბირელი ყურებდაშაშხულია. არ შეხედო, თორემ მოგკლავს.

ჰო, მარა ჩვენებიც...

თავისთავად, აქ უკვე ვინ ვის. არც ჩვენები გახლავთ იმნაირი.

ჰოდა, თუ ცოცხლები დავრჩებით, ვნახავთ.

როგორ გგონია? დაიჭერენ?

მე მგონია, მისდღემში ვერ დაიჭერენ, დაურთავს ერთ-ერთი გულფიცხთაგანი და მუშტს დაჰკრავს მაგიდას.

ჰმ! გააჩნია, როგორ შეტრიალდება საქმე.

მე კი, აი, რას ვფიქრობ, ძმებო, გაიძახის სკურატოვი, მაწანწალა ვიყო, მისდღემში ვერ დამიჭერდნენ.

ეს შენა?

სიცილი აუტყდებათ, სხვები თავს ისე აჩვენებენ, თითქოს არც უსმენენ. მაგრამ სკურატოვმა უკვე აიშვა.

მისდღემხი ვერ დამიჭერდნენ! ენერგიულად განაგრძობს. მე, ძმებო, ხშირად ვფიქრობ ამას და თვითონვე მივივრის ჩემი თავისა. აი, მართლაც, მგონია, ჭუჭრუტანაში გავძვრებოდი, ვერ დამიჭერდნენ.

ნუ გეშინია, კუჭი რომ აგეწვება, გლუხს მიადგები პურისთვის. ატყდა საერთო ხარხარი.

პურისთვისინაო? სტყუი!

შენ რას არახუნებ. ძია ვასიასთან ერთად არ იყო, ძროხის გათვალვისთვის რომ მოჰყალით?

ამიტომაც აქ გივრეს თავი.

ხარხარი მატულობს. სერიოზულები კიდევ უფრო მეტად აღშფოთებულნი არიან.

ოლოლო, სტყუი! ჰყვირის სკურატოვი, ეგ მივიტამ მოჩმახა, თანაც მე კი არა, ვასკას ეხება აიღეს და მეც მიმაცოლეს. მე მოსკოველი გახლავართ და პატარაობიდანვე მაწანწალობის სკოლაში დავდიოდი. ჯერ დიაკონი მასწავლიდა წერა-კითხვას, ხშირად ყურებს მიწევდა. „შემიწყალე მე, უფალო, წყალობითა დიდითა შენითა“... იმის გამოსაჯარებლად მეც ვიმეორებდი: „წამაბრძანეს პოლიციაში წყალობითა შენითა და ასე შემდეგ“... აი, სულ პატარაობითვე როგორ ვიქცეოდი!

ისევ ახარხარდნენ. სკურატოვსაც მეტი რა უნდოდა. მასხარაობა უყვარდა. მალე მიანებეს თავი და ისევ სერიოზული საუბარი გააბეს. უფრო მეტად მოხუცები და საქმის მცოდნენი მსჯელობდნენ. ახალგაზრდები და თვინიერები მხოლოდ ხარობდნენ, კისერს იგრძელებდნენ მოსასმენად. სასადილო ხალხით გაჭედდილიყო, რა თქმა უნდა, უნტეროფიცრები აქ არ იყვნენ. მათი თანდასწრებით ყველაფერს როდი იტყოდნენ. განსაკუთრებულად მოხარულთა შორის ერთი თათარი შევნიშნე, ტანმორჩილი, ფართოყვრიმალებიანი, ერთობ კომიკური გარეგნობის მამედკა. რუსული არ იცოდა, მაგრამ, სადაც სხვები ლაპარაკობდნენ, იქით მიიწევდა, უსმენდა, რა ნეტარებით უსმენდა!

რაო, მამედკა, იახში? გადაეკიდა მიტოვებული, მოცლილი სკურატოვი.

იახში, უჰ, იახში! ჩაიბურტყუნა ერთიანად გამოცოცხლებულმა მამედკამ და თავისი სასაცილო გოგრა სკურატოვს დაუკანტურა, იახში!

ვერ დაიჭერენ? იოხ?

იოხ, იოხ! ისევ აქაქანდა მამედკა, თან ხელებს იქნევდა.

მაშ, ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრათო, ასეა ხომ?

ასე, ასე, იახში! თავის ქნევით დაუდასტურა მამედკამ.

ჰოდა, იახში!

სკურატოვმა წკი პურტი ჰკრა ქუდზე, მერე თვალებზე ჩამოაფხატა და მხიარულად დატოვა სასადილო. მამედკა ცოტა არ იყოს, სახტად დარჩა.

სიმკაცრე საპყრობილეში მთელი კვირა გრძელდებოდა, გაძლიერებული თვალთვალი და ძებნა ახლომახლო მიდამოებში არ შეუწყვეტიათ. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ახალ ამბებს პატიმრები მყისვე გებულობდნენ. უფროსთა მოქმედებაზე ხვდებოდნენ, რომ გაქცეულები ჯერ ვერ ეპოვათ. გაუჩინარდნენ, მორჩა და გათავდაო. ჩვენები ნიშნისმოგებით იცინოდნენ. გაქცეულთა ბედის

გამო აღარ ღელავდნენ. „ვერაფერს ი პოვნიან, ვერავის დაიჭერენ“... თვითკმაყოფილებით ამბობდა ყველა.

ტყვია გავარდება, ჩანს რამე?

მშვიდობით, არ შეშინდეთ, მალე დავბრუნდები!

ახლომახლო გლეხოზა ფეხზე დააყენეს, ყველა საეჭვო ადგილზე უსაფრდებოდა.

სისულელეა, იტყოდნენ ჩვენები და ჩაიცინებდნენ, ალბათ, სანდო კაცთან ცხოვრობენო.

უსათუოდ ეყოლებოდათ ვინმე! ამბობდნენ მეორენი, ჭკვიანი ხალხია, ყველაფერს წინასწარ მოამზადებდნენ.

ვარაუდისას უფრო შორსაც შესტოპავდნენ: ლაპარაკობდნენ, გაქცეულები, შესაძლოა, დღემდე ფორშტადტშიც არიან, სადმე სარდაფში

იცდიან, ვიდრე „განგაში“ გაივლის და თმა მოეზრდებათ. ნახევარ წელს, წელიწადს დაჰყოფენ, მერე კი დაკრავენ ფეხს და წავლენო...

ერთი სიტყვით, ყველა რალაცნაირ რომანტიკულ განწყობაზეც კი იყო, რომ უეცრად, გაქცევიდან ასე რვა დღის შემდეგ, ხმა გავარდა, კვალისთვის მიუგნიათო. რასაკვირველია, უგუნური ჭორი მაშინვე ზიზღით უკუაგდეს. მაგრამ ხმა იმავე საღამოს დადასტურდა. პატიმრებს შეშფოთება დაეტყობო. მეორე დღეს, დილით, ქალაქში ხმა დაიჩხა, დაუჭერიათ, უკვე მოჰყავთო. სადილის შემდგომ უფრო დაწვრილებით შეიტყვეს: სამოცდაათ ვერსზე, ამა და ამ სოფელში შეუპყრიათო.

დასასრულ, ზუსტი ცნობა მოვიდა. მაიორისგან მობრუნებულმა ფელდფებელმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ მოიყვანდნენ, საპყრობილის კორდეგარდიაში. საეჭვო აღარაფერი იყო. ძნელია გადმოსცეის განწყობა, რაც ამ ცნობამ მოახდინა პატიმრებზე. ჯერ თითქოს ყველა გაბრაზდა, მერე ყურები ჩამოყარეს. შემდეგ დაცინვისადმი რალაცნაირმა მიდრეკილებამ იჩინა თავი. დასცინოდნენ, მაგრამ მღევრებს კი აღარ, დაჭერილებს. ჯერ თითო-ოროლა, მერე თითქმის ყველა, ზოგიერთი სერიოზულის გარდა, რომლებიც დამოუკიდებლად ამროვნებდნენ, დაცინვას არ იზიარებდნენ, არ იბნეოდნენ ამ დაცინვების გამო, ამჩატებულ ბრბოს ზიზღით უყურებდნენ და ღუმდნენ.

ერთი სიტყვით, რამდენადაც უწინ ცამდე აჰყავდათ კულიკოვი და ა.ვი, ახლა იმდენადვე ძირს დააგდეს, ამცირებდნენ და თანაც ერთგვარი სიამოვნებითაც. თითქოს გაქცეულებმა რალაცით აწყენინესო. ზიზღნარევი იერით ყვებოდნენ, ალბათ, საჭმელი მოუნდათ, შიმშილი ვერ აიტანეს და სოფელში გლეხებთან გასწიეს სამათხოვროდო. ასე ამბობდნენ მაწანწალები, როცა ვინმეს უკიდურესად დამცირება უნდოდათ. თუმცა, ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. გაქცეულებს ტყეში მიაკვლიეს. ალყა შემოარტყეს. გაქცეულები მიხვდნენ, რომ ვერ გააღწევდნენ და დანებდნენ.

საღამოხანს მოიყვანეს ხელფეხშეკრული და ჟანდარმებით გარშემორტყმული ჩვენი გაქცეულები. მთელი კატორღა მესერს მისცვივდა: აინტერესებდათ, რა მოხდებოდა. რა თქმა უნდა, ვერაფერი დაინახეს,

კორდეგარდიასთან მდგარი მაიორისა და კომენდატის ეკი ჰაუსის გარდა. გაქცეულნი საიდუმლო საკანში მოათავსეს, ბორკილები დაადეს და მეორე დღესვე სამართალში მისცეს. პატიმრების ზიზღი და დაცინვა მალე თავისთავად გაქრა. როცა დაწვრილებით შეიტყვეს მომხდარის თაობაზე, მათ პროცესს სასამართლოში ყველა გულისხმიერად ადევნებდა თვალყურს.

ათასს აჰკიდებენ, ამბობდნენ ერთნი.

რის ათასს! ამბობდნენ მეორენი. ცემით სულს ამოხდიან. ა.-ვს, კიდე ჰო, ათასს აკმარებენ, მაგრამ იმას მიასიკვდილებენ, იმიტომ, ჩემო ძმაო, განსაკუთრებული განყოფილებისაა.

თუმცა, ვერ გამოიცნეს. გაითვალისწინეს რა მისი წინანდელი დამაკმაყოფილებელი საქციელი, ა.-ვს სულ ხუთასიოდე გადაუწყვიტეს, კულიკოვს, ვფიქრობ, ათას ხუთასი მისცეს. საკმაოდ ღმობიერად სჯიდნენ, როგორც გონიერ ხალხს შეჰფერის. დამნაშავეებს თავიანთ საქმეში არავინ ჩაუთრევიათ; მკაფიოდ, ზუსტად ლაპარაკობდნენ: პირდაპირ ციხიდან გავიქეციით, არსად შეგვივლიათ. ყველაზე მეტად კოლერი მეცოდებოდა: მან ყველაფერი დაკარგა, უკანასკნელი იმედიც კი. ყველაზე მეტი მას მისცეს, მგონი, ორი ათასი და სხვა საპყრობილეში გაგზავნეს. ა.-ვი მსუბუქად დასაჯეს, ღმობიერად; ამას ექიმებს უნდა უმადლოდეს. ჰოსპიტალში მეტიჩრობდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა. აშკარა იყო, ახლა ნამდვილად ყველაფერს იკადრებდა, ყველაფრისთვის მზად იყო, აქაურობას უარეს ამბებს დააწევდა. კულიკოვს ისე ეჭირა თავი, როგორც ყოველთვის: დარბაისლურად, წესიერად; დასჯის შემდეგ საპყრობილეში მიბრუნებული ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარაო; მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდნენ პატიმრები. მიუხედავად იმისა, კულიკოვს ყველგანდა ყოველთვის ეხერხებოდა საკუთრი ღირსების დაცვა, პატიმრებს როგორღაც მისდამი პატივისცემა გაუქრათ. ამიერიდან უფრო უბოდიშოდ, ძმაბიჭურად ექცეოდნენ; ერთი სიტყვით, ამ გაქცევის შემდეგ, კულიკოვის სახელი დიდად დაიჩრდილა. ადამიანებისთვის წარმატება ბევრს ნიშნავს...

2.10. გათავისუფლება

ყოველივე ეს ჩემი კატორღის ბოლო წელს მოხდა. ყველაფერი ნათლად მახსოვს. ამ წელს, თუმცა ერთი სული მქონდა ვადას როდის დავასრულებდი, უფრო იოლად მეცხოვრებოდა, ვიდრე გადასახლების წინა წლებში. ჯერ ერთი, პატიმრებს შორის ბევრი მეგობარი გავიჩინე. მათ საბოლოოდ დაასკვნეს, რომ კარგი ადამიანი ვიყავი და ბოლომდე მიერთგულეს, ზოგს გულწრფელად ვუყვარდი კიდევ. პიონერი ლამის იყო ატირდა, როცა მე და ჩემს ამხანაგს გვაცილებდა. როცა შემდგომ, უკვე გამოსულებმა კიდევ მთელი თვე დავეყავით ამ ქალაქის ერთ სახაზინო შენობაში, თითქმის ყოველდღე შემოგვივლიდა ხოლმე, ისე, უბრალოდ, რომ ვენახეთ. მაგრამ იყვნენ უცხოვროპირონი, ბოლომდე პირქუშებიც, რომელთაც, ვფიქრობ ეძვირებოდათ ჩემთვის სიტყვის თქმა ღმერთმა უწყის, რატომ. თითქოს ჩვენ შორის ვიღაცას გადაულახავი ბარიერი აღემატათა...

ბოლო ხანებში საერთოდ მეტი შეღავათი მქონდა, ვიდრე კატორღის წინა წლებში. იმ ქალაქის სამხედრო მოსამსახურეთა შორის ნაცნობები აღმომაჩნდა. სკოლის ამხანაგებიც კი. მათთან კავშირი განვაახლე. მათი დახმარებით მეტი ფული მქონდა, სამშობლოში წერილებს ვწერდი, წიგნებიც კი ვიშოვე. რამდენიმე წელია, ერთი წიგნიც არ წამეკითხა; ძნელია იმ უცნაური, ამასთან, ამაღელვებელი შთაბეჭდილების გადმოცემა, რაც საპყრობილეში წაკითხულმა პირველმა წიგნმა მომანიჭა. მახსოვს, საღამოს, ყაზარმების ჩაკეტვის შემდეგ, რომ ჩავუჯექი, ცისკრამდე არ ავმდგარვარ.

ეს სქელი ჟურნალი იყო. თითქოს ჩემი ქვეყნის ამბავი მახარესო. ადრინდელი ცხოვრება ნათლად და მკაფიოდ წარმომიდგა; ვცდილობდი წაკითხულის მიხედვით მივმხვდარიყავი: ბევრით ჩამოვრჩებოდი ამ ცხოვრებას? ბევრი რამ შეიცვალა იქ უჩემოდ? ახლა რა აინტერესებდა ხალხს? თითოეულ სიტყვას ჩავვირკიტებდი, სტრიქონებში ვკითხულობდი, იდუმალი აზრის, წარსულზე მინიშნებების მიგნებას ვცდილობდი. იმ კვალს დავეძებდი, რაც ადრე აღელვებდათ ადამიანებს; გუ-

ლი მეტკინა, როცა გავაცნობიერე, ახალი ცხოვრებისთვის უცხო ვიყავი, ქსოვილის გადაგდებულ, უვარგის ნაჭრად ვიგრძენი თავი. ნორმალური არსებობისთვის ახალთან შეგუება აუცილებელი პირობა იყო, ახალი თაობა უნდა გამეცნო. გაშმაგებით ვკითხულობდი იმ სტატიას, რომლის ქვეშ ადრე ნაცნობი ადამიანის სახელს წავაწყდებოდი... მაგრამ ახალი სახელებიც მრავლად იყო. მათ გაცნობას ვესწრაფვოდი და გული მწყდებოდა, რომ წასაკითხი ცოტა მქონდა, რომ ძნელად მიმიწვდებოდა მათზე ხელი. უწინ კი, ადრინდელი პლაცმაიორის დროს, კატორღაში წიგნების შემოტანა საშიშიც კი იყო. გაჩხრეკის შემთხვევაში აუცილებლად დაგიწყებდნენ გამოძიებას: „საიდან გაქვს წიგნი? სად აიღე? მაშ, ურთიერთობა გქონია?...“ რა უნდა მეპასუხა ასეთ შეკითხვებზე? ამიტომაც უწიგნებოდ დარჩენილი, უნებურად საკუთარ თავში ვიკეტებოდი... ყოველივე ამას ასე მარტივად ვერ გადმოსცემ!..

საპყრობილეში ზამთარში მივედი. ამიტომ ზამთარში გამათავისუფლებდნენ. ზუსტად იმ რიცხვში, როცა მიმიყვანეს. როგორი მოუთმენლობით ველოდი ზამთარს, როგორი ნეტარებით შევყურებდი ფოთოლჭკნობას ზაფხულის ბოლოს, ბალახების გადაყვითლებას. გავიდა ზაფხული, აზზუნდა შემოდგომის ქარი, წამოვიდა პირველი ფანტელი. ბოლოს, დიდი ხნის ნანატრი ზამთარიც დადგა. ვგრძნობდი, როგორ ყრუდ და ძალუმად მიძგერდა ხანდახან გული. მაგრამ უცნაური ამბავია: დრო რაც უფრო გადიოდა, რაც უფრო მიახლოვდებოდა გასვლის დრო, მით უფრო მომთმენი ვხდებოდი. სულ ბოლო დღეებში მიკვირდა კიდევ და თავსაც ვსაყვედურობდი: მომეჩვენა, თავისუფლებას სავესებით გულგრილად ვხვდებოდი. ბევრი პატიმარი გამომელაპარაკებოდა და მილოცავდა.

მალე, სულ მალე გახვალთ, მამილო ალექსანდრ პეტროვიჩ, თავისუფლებაში.

ეულად, ობლად გვტოვებთ...

მერედა რაო, მარტინოვ, თქვენც ხომ მალე გათავისუფლდებით? ვეუბნები.

მეე! ეჰ! შვიდი წელი კიდევ უნდა ვიტანჯო...

ამოიხრებს თავისთვის. გაჩერდება, დაფანტული იყურება, თითქოს მომავალში იხედებო... დიახ, ბევრი გულწრფელად და სიხარულით მილოცავდა. მომეჩვენა, თითქოს ყველა ადრინდელზე უფრო გულთბილად მეპყრობოდა. ჩანს, უცხოლ მიგულებდნენ უკვე: მემშვიდობებოდნენ. კოჩინსკის, პოლონელ აზნაურს, ჩუმ, თვინიერ ყმაწვილკაცს, დასვენების დღეს ჩემსავით ბევრი სიარული უყვარდა ებოში. უნდოდა სუფთა ჰაერით დახუთული ყაზარმული ღამეების მავნე გავლენა აენაზღაურებინა. „მოუთმენლად ველი, როდის გახვალთ, მითხრა დიმილით. მეც ზუსტად წელიწადიღა მრჩება“.

გაკვრით აღვნიშნავ, თავისუფლებას გადაჩვეულ პატიმრებს თავისუფლება უფრო ლალ რამედ ეჩვენებოდათ, ვიდრე სინამდვილეშია. პატიმრები ნამდვილი თავისუფლების ცნებას აზვიადებდნენ. ეს თითოეული პატიმრისთვის ისე ბუნებრივი და ნიშანდობლივია, რომ ვინმე ჩამოფლეთილი ოფიცრის დენშჩიკი ჩვენთან ლამის მეფედ, თავისუფალი ადამიანის იდეალად მიიჩნეოდა, რაკილა თავგადაუხოტრავად, უბორკილებოდ და ზედამხედველის გარეშე დადიოდა.

გათავისუფლების წინა საღამოს, ბინდბუნდში, მთელ საპყრობილეს ღობელობე უკანასკნელად შემოვუარე. აქ, ყაზარმების უკან, მარტოდ-მარტო, ობოლივით განადგურებული დავებეტებოდი ჩემი კატორღის პირველ წელს. მახსოვს, მაშინაც კი ვითვლიდი დარჩენილ ათასობით ღამეს. ღმერთო, ეს რა დიდი ხნის წინ იყო! აი, აქ, ამ კუთხეში, ჩვენი ტყვე არწივი ბინადრობდა. აქ ხშირად მხვდებოდა პეტროვი. ახლაც არ მშორდებოდა. მოირბენს და, თითქოს ხვდება ჩემს ფიქრებსო, ჩუმად მომყვება გვერდით და თანაც თითქოს რაღაც უკვირს თავისთვის. გულში ვეთხოვებოდი ჩვენი ყაზარმების ამ ჩაშავებულ ძელურებს. მახსოვს, როგორი უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე თავდაპირველად. ალბათ, მაშინდელთან შედარებით, ახლა ესენიც დაბერდნენ, მაგრამ ამას ვერ ვამჩნევდი. და, რამდენი ახალგაზრდული სიცოცხლე, რამდენი ენერჯია ამოდ ჩაიძარხა აქ, ამ კედლებში! ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი უნდა ითქვას: ეს ხალხი ხომ არაჩვეულებრივი ხალხი იყო! ეგება, ყველაზე ნიჭიერნი და ძლიერნი სწორედ ესენი იყვნენ.

რა ტყუილად, არანორმალურად, უკანონოდ, სამუდამოდ შთაინთქა მძლავრი ენერგია. ჰოდა, ვინაა დამნაშავე?

საკითხავიც ესაა, ვინ არის დამნაშავე?

მეორე დღეს, დილით ადრე, სამუშაოზე გასვლის წინ, ინათა თუ არა, ყველა ყაზარმას ჩამოვუარე, რომ ყველა პატიმარს გამოვმშვიდობებოდი. ბევრმა ალერსიანად გამომიწოდა დაკოჭრილი, ღონიერი მარჯვენა. ზოგი სავსებით ამხანაგურადაც მართმევდა ხელს. მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ. სხვებს უკვე ძალიან კარგად ესმოდათ, რომ მათთან შედარებით მე მალე სულ სხვა ადამიანად ვიქცეოდი. იცოდნენ, ქალაქში ნაცნობები მყავდა და რომ აქედან პირდაპირ მათთან მივიდოდი და, ამ ბატონებს, როგორც სწორი სწორს, გვერდით მივუჯდებოდი. ამას აცნობიერებდნენ. გულთბილად და ალერსიანად მემშვიდობებოდნენ, მაგრამ არა როგორც ამხანაგს, არამედ როგორც ბატონს. ზოგიერთები პირს იბრუნებდნენ და კუშტი დუმილით მპასუხობდნენ. ზოგმა რაღაცნაირი სიძულვილითაც შემომხედა.

დაფდაფს დაჰკრეს და ყველა სამუშაოდ გაიკრიფა, მე კი შინ დავრჩი. სუშილოვი ყველაზე ადრე ამდგარიყო და გაფაციცებული ჩემთვის ჩაის ამზადებდა. საბრალო სუშილოვი ატირდა, როცა ჩემი გამონაცვალის პერანგები, ბორკილებქვეშა საფენები და ცოტაოდენი ფული ვაჩუქე. „განა ეს მინდა? მეუბნებოდა და თავს ძლივს იკავებდა, როგორ შეგელიოთ, ალექსანდრ პეტროვიჩი? ვის ანაბარა დავრჩე აქ უთქვენოდ?“ უკანასკნელად აკიმ აკიმიჩს გამოვეთხოვე.

თქვენც ცოტაღა დაგრჩენიათ! ვუთხარი.

კიდევ დიდი ხანი მომიწევს, კიდევ ბევრი დამრჩა, ბუტბუტებდა, თან ხელს მართმევდა. კისერზე მოვეხვიე. ერთმანეთი გადავკოცნეთ.

პატიმრები რომ წავიდნენ, ათი წუთის შემდეგ ჩვენც გამოვედით საპყრობილედან, მე და ჩემი ამხანაგი მასთან ერთად მოვედი და აქედანაც ერთად გავდიოდით. პირდაპირ სამჭედლოში უნდა წავსულიყავით, ბორკილები აგვეხსნევინებინა. თოფიანი ბადრაგი აღარ მოგვეყვებოდა: უნტეროფიცერი გვახლდა. ბორკილებს ჩვენი პატიმრები გვხსნიდნენ. საინჟინრო სახელოსნოში დაველოდე, სანამ ამხანაგსაც

აჰყრიდნენ, მერე მეც მივედი გრდემლთან. მჭედლებმა შემატრიალეს, უკნიდან ფეხი ამაწევინეს, გრდემლზე დამადებინეს... ფაციფუცობდნენ, უნდოდათ მარჯვედ და კარგად გამოსვლოდათ.

საკეტი, საკეტი მოაბრუნე ჯერ!.. განკარგულებებს იძლეოდა უფროსი, დააყენე, აი, აგრე, კარგია... ახლა ურო დაჰკა!

ბორკილები დავარდა. დაწვდი და ავიღე... უკანასკნელად შევხედე. ისე გამიკვირდა, თითქოს მე არ დავათრევდი.

აბა, ღმერთი შეგეწიოთ! ღმერთი შეგეწიოთ! გვემშვიდობებოდნენ პატიმრები ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მოუხეშავი, მაგრამ თითქოს რალაციტ კმაყოფილი ხმით.

აგრე ღმერთი შეგეწიოთ! თავისუფლება! ახალი ცხოვრება! მკვდრეთით აღდგომა... რა საამური წუთია!

ვინ იყო ფიოდორ დოსტოევსკი?

ბავშვობა და ოჯახი

ფიოდორ დოსტოევსკი დაიბადა 1821 წლის 30 ოქტომბერს (ახალი სტილით 11 ნოემბერს) მოსკოვში, ექიმის ოჯახში. ის ყოფილა საშუალო ტანის, გამხდარი, ფართო მხარბეჭიანი; ჰქონია წაბლისფერი წვერი, მაღალი შუბლი, თხელი თმა, ნაზი კანი, მომცრო, ნათელი და უპეებში ღრმად ჩამჯდარი მოყავისფრო თვალები.

მომავალი მწერლის მამა მიხაილი ღარიბ-ლატაკთა საავადმყოფოს ექიმი იყო. მასზე ამბობენ, რომ ექიმის ჰუმანური პროფესია სრულიადაც არ შეეფერებოდა მის მძიმე და მძვინვარე ხასიათს, რადგან უაღრესად ფიცხი და ამპარტავანი ყოფილა. პირქუშად ეწეოდა ცხოვრების მძიმე უღელს, ახლობლების მიმართ სასტიკად მომთხოვნი, მკაცრი და ძუნწი იყო. ალკოჰოლიზმის მძიმე ფორმით ყოფილა დაავადებული. მან აზნაურის წოდების მისაღებად ათასგვარ ხერხს მიმართა. ბოლოს მიზანს მიაღწია და 1831 წელს ტულის გუბერნიაში მცირე მამულიც შეიძინა.

მწერლის დედა მარია ნეჩაევა კი ვაჭრის ოჯახიდან გამოსული, განათლებული და კეთილი ქალი ყოფილა, პოეზიისა და რომანების მოყვარული, მუსიკაშიც გათვითცნობიერებული. იყო კარგი მეოჯახე, მოსიყვარულე და მზრუნველი დედა, მკაცრი და ეჭვიანი ქმრის უერთგულესი მეუღლე. მათ შვიდი შვილი ჰყავდათ. ფიოდორ დოსტოევსკი მეორე იყო.

მწერალი ყოველთვის სიყვარულითა და მოწიწებით იხსენებდა მძიმე ოჯახური ცხოვრებით გატანჯულ დედას, რომელსაც საოცრად ჰგავდა სახის იერით მაღალი და ფართო შუბლით, თვალებით, დაკვირვებული და ოდნავ სევდიანი მზერით... დოსტოევსკიზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებმა, რომლებსაც დედა ბავშვობაში უკითხავდა.

ბავშვები წამოიზარდნენ და ოჯახში მათი სწავლის საკითხიც დადგა. თავდაპირველად, როგორც მიღებული იყო, მასწავლებლები დაუქირავეს, შემდეგ მოსკოვის სხვადასხვა კერძო პანსიონის კურსიც დაამთავრებინეს. სახლში და პანსიონებში ძმები, განსაკუთრებით ფედია (ასე ეძახდნენ მწერალს), ხარბად დაეწაფნენ წიგნებს, რომლებმაც მათზე სულიერი და ზნეობრივი გავლენა მოახდინეს.

გავიდა რამდენიმე წელი და დოსტოევსკების ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალდა. 1837 წელს, როცა მომავალი მწერალი 15 წლის იყო, დედამისი ტლექით გარდაიცვალა.

1838 წელს მამამ უფროსი ვაჟიშვილები მიხაილი და ფიოდორი პეტერბურგის სამხედრო საინჟინრო სასწავლებელში მიიბარა. ფიოდორს არ აინტერესებდა ეს საქმე. ის და მისი ძმა ლიტერატურით იყვნენ გატაცებულნი, რის გამოც მათ მამა დასცინოდა და მკაცრად მოითხოვდა, ამ სისულელისთვის თავი დაენებებინათ.

სასწავლებელში მომავალი მწერალი იძულებული იყო დაეზუთხა ტექნიკური საგნები, დაეხაზა, გაეწყო საველე პრაქტიკა, ამ ყველაფერს თან ერთვოდა სასტიკი სამხედრო დისციპლინა.

მომავალ მწერალს მამა მოუკლეს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მიხაილი სოფელში განმარტოვდა ლოთობდა, გამუდმებით შეურაცხყოფას აყენებდა ყმა-გლეხებს, რომლებმაც 1839 წელს ის მოკლეს.

დაობლებულ ჭაბუკებს სწავლასთან ერთად უმცროს და-ძმებზე ზრუნვაც მოუხდათ; ძალიან გაუჭირდათ, ხშირად ლუკმაპურიც ენატრებოდათ. მომავალი მწერლის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას მისი ავადმყოფობაც ამძიმებდა. როცა მან მამის გარდაცვალების შესახებ შეიტყო, ბნედამ მოუარა იატაკზე დაეცა, საშინელმა კრუნჩხვამ შეიპყრო და არაადამიანური ბლავილი აღმოხდა. გაცილებით უფრო გვიან ექიმებმა დაადგინეს, რომ ფიოდორი ეპილეფსიის უკურნებელი სენით

იყო შეპყრობილი. ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ბნედა მოუვლიდა ხოლმე და სასოწარკვეთაში აგდებდა.

ლიტერატურული კარიერის დასაწყისი

დოსტოევსკის ლიტერატურა ბავშვობიდანვე უყვარდა. ის გატაცებული იყო კითხულობდა ბიბლიას, კარამზინს, პუშკინს, ლერმონტოვს, განსაკუთრებით კი გოგოლს, ხოლო საზღვარგარეთელი მწერლებიდან შექსპირს, ბალზაკს, შილერს, ჟორჟ სანდს და სხვა კლასიკოსებს. საინჟინრო სასწავლებელში დოსტოევსკიმ თავადაც დაიწყო წერა. იქ დაწერა რომანტიკული დრამები „მარიამ სტიუარტი“ და „ბორის გოდუნოვი“.

სწავლის დამთავრების შემდეგ, 1843 წელს დოსტოევსკი საინჟინრო დეპარტამენტში მხაზველად დანიშნეს. ეს უმნიშვნელო, უფერული და მცირეხელფასიანი ადგილი ლიტერატურით გატაცებულ ახალგაზრდას ვერ აკმაყოფილებდა. მატერიალურად გაჭირვებული მწერალი ფუქსავატიც იყო. როგორც კი ფულს მოიხელთებდა, მაშინვე უაზროდ ხარჯავდა ან ვინმეს, მასავით გაჭირვებულს, ჩუქნიდა. მწერალმა პეტერბურგის მევახშე-დამგირავებლებიც გაიცნო და ორიოდვე გროშად ხშირად საათი, ბეჭედი, პალტო დაუგირავებია...

1844 წელს სამსახური მიატოვა და გადაწყვიტა, მთელი დრო შემოქმედებითი მუშაობისთვის დაეთმო. იმავე წელს დოსტოევსკიმ თარგმნა და გამოაქვეყნა ბალზაკის რომანი „ეჟენი გრანდე“, მაგრამ პირველი დიდი წარმატება მთი პოეზია საკუთარი ნაწარმოებით „საბრალო ადამიანები“, რომელიც 1845 წელს დაწერა. იგი ნეკრასოვს გააცნო. ნეკრასოვმა დამწეებ მწერალში ახალი გოგოლი დაინახა და ხელნაწერი დაუყოვნებლივ ბელინსკს გადასცა. დიდი კრიტიკოსიც აღტაცებით შეხვდა რომანს, მაშინვე გაეცნო და დიდხანს გულთბილად ესაუბრა ავტორს. „ეს იყო ყველაზე უფრო აღმაფრთოვანებელი წუთი ჩემს ცხოვრებაში,“ იგონებდა მწერალი ათეული წლების შემდეგ.

მოკლედ, ასეთმა უეცარმა ტრიუმფმა დოსტოევსკი გააბრუა. ერთ პირად წერილში ის თავმოძრონედ წერდა ძმას: „ყველა გავკვირვებით მიყურებს, როგორც სასწაულს. პირიც კი ვერ გამიღია ისე, რომ ყოველ

კუთხეში არ ატყდეს ჩოჩქოლი: დოსტოევსკიმ ეს თქვა... დოსტოევსკის ეს სურს... ბელინსკის ჩემზე უკეთესი არავინ ჰყავს“.

პირველი დიდი წარმატების შემდეგ დოსტოევსკი მომავალზე ოცნებობს, შრომობს, ლიტერატურულ მოღვაწეობას თან ერთვის მატერიალური კეთილდღეობის, სიღატაკისგან თავის დაღწევისა და უმცროსი და-ძმების უზრუნველყოფის იმედი. მაგრამ დოსტოევსკი ცხოვრებამ ამ თავბრუდამხვევი ოცნებებიდან მალე გამოაფხიზლა...

„საბრალო ადამიანების“ შემდეგ შეიქმნა: „ორეული“ (1846); „დიასახლისი“ (1847); „სუსტი გული“ (1848); „თეთრი ღამეები“ (1848), რომლებშიც მწერალი ძირითადად პეტერბურგის ღარიბი ინტელიგენციის უღიმღამო ცხოვრებასა და განცდებს ასახავს. „სუსტ გულსა“ და „თეთრ ღამეებში“ მწერალი აგრძელებს გოგოლის „პეტერბურგული მოთხრობების“ ხაზს და ჩაგრულთა დამცველად გამოდის, „ორეულსა“ და „დიასახლისზე“ კი იმავს ვერ ვიტყვით. ამ უკანასკნელ ნაწარმოებებს იგივე ბელინსკი უკვე კრიტიკულად შეხვდა. შეამჩნია, რომ დოსტოევსკი გოგოლის სტილს დალატობდა და ქადაგებდა რაღაც მისტიკურ იდეას, რომ ადამიანი თავისი ბუნებით გაორებული არსებაა, რომ მასში შეთავსებულია უმაღლესი ზნეობა და უმდაბლესი უზნეობა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა „ორეული“, რომელშიც მთავარი მოქმედი პირის სახით გამოყვანილია იმ ტიპის ჩანასახი, რომლის გარშემოც შემდეგ დოსტოევსკის მთელი შემოქმედება ტრიალებდა. ეს მთავარი მოქმედი პირია ღარიბი მეშჩანი გოლიადკინი, სულიერად გაორებული და არანორმალური ადამიანი. ის მტკიცე საყრდენის უქონლობის გამო ცხოვრების გრიგალმა დაამტვრია და საგიჟეთში გადაიხროლა.

დოსტოევსკის წინ გადასახლებაც ელოდა...

„მკვდარი სახლის ჩანაწერები“

1847 წელს დოსტოევსკი დაუახლოვდა პეტრაშეველებს რუსი ახალგაზრდების ჯგუფს, უტოპისტ სოციალისტებსა და დემოკრატებს, რომლებიც თვითმპყრობელური და ბატონყმური რუსეთის გარდაქმნას ცდილობდნენ; მწერლის ასეთი ნაბიჯი ლოგიკურად გამომდინარეობდა მისი იდეური განვითარებიდან. ის მიემხრო პეტრაშეველების უკიდურეს ფრთას სპემნევის წრეს, რომელსაც ამბოხების მოსაწყობად გარკვეული პროგრამა ჰქონდა.

1849 წლის გაზაფხულზე პეტრაშეველები, მათ შორის დოსტოევსკიც, დააპატიმრეს და თითქმის ყველას დახვრეტა მიუსაჯეს. 1849 წლის 22 დეკემბერს ისინი დასახვრეტად წაიყვანეს, ბოძებზე მიაბეს, თვალები აუხვიეს და ის იყო თოფებს უნდა ეგრიალა, შიკრიკმა მეფის, ნიკოლოზ პირველის ბრძანება მოიტანა სიკვდილი კატორლით შეეცვალათ. გაისმა ნერვული ხარხარი, იცინოდნენ სიგიჟემდე მისული განწირულები. დახვრეტის მოლოდინის რამდენიმე წუთი იმდენად საშინელი აღმოჩნდა დოსტოევსკისა და მისი ამხანაგებისთვის, რომ ერთი მათგანი ჭკუიდან შეიშალა. მწერლისთვის ეს იყო მესამე საშინელი განცდა, რომელმაც თავისებური დაღი დაასვა მის ფსიქიკას.

1850-1854 წლები დოსტოევსკიმ ომსკის ციხეში გაატარა. ოთხწლიანი კატორლისას მწერალი ახლოს გაეცნო უბრალო ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანებს, ყმა-გლეხებს, ჯარისკაცებს, „სახელმწიფო დამნაშავეებს“, კატორლის აუტანელ პირობებსა და ყველაფერი ეს აღწერა რომანში „მკვდარი სახლის ჩანაწერები“ (1861-1862). ნაწარმოებში არ არის არც სენტიმენტალური გოდება და არც რომანტიკული იდეალიზაცია. აქ მწერალი ობიექტურად და უშუალოდ აღწერს კატორღელთა ყოველდღიურ ცხოვრებას.

ავტორი სისხლის სამართლის დამნაშავის, ალექსანდრე გორიანჩიკოვის პირით მოგვითხრობს, როგორ იტანჯებოდნენ პატიმრები კატორღაში, რომელსაც ის მკვდარ სახლს ადარებს. მწერალი ცოცხლად წარმოგვიდგენს კატორღელთა პორტრეტების მთელ გალერეას, მათ

ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს, აღწერს ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სისასტიკეს.

მწერალი არ აიდიალებს კატორღაში მოხვედრილ კაცისმკვლელებს, ყაჩაღებსა და მძარცველებს, ამხელს მათ ბარბაროსობასა და უვიცობას, მაგრამ, ამავე დროს, გვიჩვენებს, რომ ყველაფერი ეს გამოწვეული იყო არანორმალური საზოგადოებრივი პირობებით, ხალხის უუფლებობითა და ჩაგვრით. ავტორი ყურადღებით აკვირდებოდა პატიმართა სახეებს, თითოეულის ხასიათს ეცნობოდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველა ეს კაცისმკვლეელი, მძარცველი და ავაზაკი, ზოგჯერ ჩვეულებრივ ადამიანებზე უკეთესები არიან და მათი კატორღაში მოხვედრა არსებული წეს-წყობილების ბრალია. მწერალი ფიქრობდა, რომ ადამიანი ბუნებით ავაზაკი არ იბადება, არამედ გარემო და პიროვნებები აქცევენ მას ბოროტმოქმედად.

ამავე რომანში კარგად ჩანს დოსტოევსკის რელიგიურობაც მას უაზროდ და მცდარად ეჩვენება კატორღელთა პროტესტი ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ და ქრისტიანულ მოთმინებას ქადაგებს. მწერალი დიდი სიმპათიით გვიხატავს ერთ დაღესტნელ კატორღელს, გულუბრყვილო და ცნობისმოყვარე მთიელ ალიეს, რომელმაც ციხეში სახარების დახმარებით წერა-კითხვა ისწავლა.

სხვათა შორის, რომანი „მკვდარი სახლის ჩანაწერები“ უკვე დიდი ხნის დაბეჭდილი იყო, როცა პატიმრებს წაუკითხეს. ისინი აღშფოთდნენ, არ მოეწონათ, მწერალმა მათი ხასიათი და საპყრობილის უამრავი საიდუმლოება სააშკარაოზე რომ გაიტანა და მთელ ქვეყანას გაუმხილა. თუმცა, დოსტოევსკისთვის ჭეშმარიტების დღის სინათლეზე გამოტანა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პატიმართა აზრი.

1854 წელს მწერალი მეფის ბრძანებით ციხიდან გაათავისუფლეს და ქ. სემი პალატინსკის ერთ-ერთ ბატალიონში რიგით ჯარისკაცად ჩარიცხეს, ერთი წლის მერე უნტეროფიცრობა უბოძეს, 1856 წელს კი ოფიცრობა. გადასახლებიდან დოსტოევსკი 1859 წელს დაბრუნდა. კატორღამ ცუდად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე, გარკვეულწილად შეეცვალა მსოფლმხედველობაც უფრო მეტად რელიგიური გახდა და სო-

ციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი გაუმძაფრდა.

დოსტოევსკი ლიტერატურულ კარიერას აგრძელებს...

1859 წლის დეკემბერში მწერალი პეტერბურგში დაბრუნდა. მის შემოქმედებაში მეორე პერიოდი იწყება ლიტერატურულ-ჟურნალისტურ-საგამომცემლო, რომელსაც თან სდევს სიძნელებიც.

ამ დროისთვის გამოქვეყნდა მისი თხზულებები „ბიძის სიზმარი“ (1859), „სოფელი სტეპანჩიკოვი და მისი მცხოვრებნი“ (1859), „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ (1861) და კატორღის ცხოვრების ამსახველი რომანი „მკვდარი სახლის ჩანაწერები“ (1861-1862).

ციმბირში ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ათმა წელმა დოსტოევსკის სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი გაუმძაფრა. ამავე წლებმა განაპირობა მისი ტრაგიკული მსოფლმხედველობითი წინააღმდეგობანი: რევოლუციური სიტუაციის პირობებში დოსტოევსკი გამოდიოდა რევოლუციურდემოკრატიული პროგრამის წინააღმდეგ, ის ილაშქრებდა ესთეტიკური უტილიტარიზმის (იდეალისტური ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ადამიანის მორალს საფუძვლად უდევს სარგებლიანობის პრინცი პი) წინააღმდეგ, ეკამათებოდა დობროლიუბოსს, რომელსაც, მისი აზრით, ეს უტილიტარიზმი ახასიათებდა.

დოსტოევსკი მძაფრად აკრიტიკებდა ბატონყმური რუსეთის წესწყობილებას, ასახავდა თავადაზნაურთა კლასის გახრწნას, ექსპლუატაციას, ახალი კაპიტალისტური ფორმების ზრდას. რუსეთის საგანგებო როლი საყოველთაო ბედნიერების დამკვიდრებაში, მისი აზრით, უნდა აღსრულებულიყო მხოლოდ ნიადაგს მოწყვეტილი თავადაზნაურობის ხალხთან დაახლოების, მონარქიისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობით, ყველა წოდების გაერთიანების გზით. დოსტოევსკის მიხედვით, ეთიკური ნორმების გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ რელიგიის საშუალებით, ინდივიდის ზნეობრივი სრულყოფით. ეს შეხედულებანი შემდგომში მის მრავალ ნაწარმოებში აისახა.

დოსტოევსკი ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1861 წელს ძმასთან ერთად დააარსა ჟურნალი „ვრემია“, რო-

მელთანაც კრიტიკოსი აპოლონ გრიგორიევი თანამშრომლობდა. დოსტოევსკიმ ამ ჟურნალში გამოაქვეყნა თავისი ორი თხზულება „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ და „მკვდარი სახლის ჩანაწერები“.

მწერალი იმედოვნებდა, რომ მისი დროც მოვიდოდა და მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებდა. მაგრამ იმედები კვლავ გაუცრუვდა: ერთი პოლიტიკური სტატიისთვის, რომელიც „ვრემიაში“ პოლონეთის აჯანყების შესახებ გამოქვეყნდა, მთავრობამ ჟურნალი დახურა. მის ნაცვლად ძმებმა 1864 წელს ახალი ჟურნალის „ეპოქა“ დაარსება სცადეს, მაგრამ ერთხელ დარღვეული წონასწორობა ვერ აღიდგინეს, უსახსრობის გამო „ეპოქის“ გამოცემა მალევე შეწყვიტეს. ამავე წელს გარდაიცვალა მიხაილ დოსტოევსკი. ძმის დაობლებული ოჯახის შენახვა ისედაც ხელმოკლე მწერალს მძიმე ტვირთად დააწვა.

1865 წელს დოსტოევსკიმ ძლივს მოახერხა ცოტა ხნით საზღვარგარეთ წასულიყო. 1866 წელს მან კატკოვის ჟურნალ „რუსკიე ვესტნიკში“ თავისი საუკეთესო რომანი „დანაშაული და სასჯელი“ გამოაქვეყნა. მაგრამ ვერც ამან გამოასწორა მისი მატერიალური მდგომარეობა: ყოველდღე კარზე მომდგარი მევალეები უკვე საკმაოდ ცნობილ მწერალს ციხით ემუქრებოდნენ. ასეთ პირობებში ნორმალური მუშაობა შეუძლებელი იყო.

1867 წელს დოსტოევსკი ცოლთან, ანა გრიგორევნასთან ერთად საზღვარგარეთ გაიქცა. მწერალი იყო შვეიცარიაში, გერმანიაში და იტალიაში. ევროპაში მან ოთხი წელი დაჰყო. სიღარიბის გამო ტკბილი ცხოვრება არც იქ ეწერა. სასოწარკვეთილმა მწერალმა ბანქოსა და სხვა აზრტულ თამაშებს მიჰყო ხელი. რომ არა ანა გრიგორევნა ქმრის მფარველი ანგელოზი მწერალი, ალბათ, სამუდამოდ დაიღუპებოდა.

საზღვარგარეთ ყოფნისას დოსტოევსკი გამალებული წერს რამდენიმე რომანს და წინასწარ აღებული ავანსების განაღდებას ცდილობს. სწორედ ამ დროს შეიქმნა მისი ორი ვრცელი რომანი: „იდიოტი“ (1868) და „ემშაკნი“ (1870).

1871 წელს დოსტოევსკი მეუღლესა და ორ შვილთან ერთად პირველხარისხოვანი მწერლის სახელით პეტერბურგში დაბრუნდა. მისი ეკონომიკური მდგომარეობაც გაუმჯობესდა. 1875 წელს დააარსა საკუთარი ჟურნალი „მწერლის დღიურები“, რომელიც მხოლოდ დოსტოევსკის ბელეტრისტული, პოლიტიკური და პუბლიცისტური ნაწერებისგან შედგებოდა და საზოგადოებაში ფართოდ ვრცელდებოდა.

ამ დროს მწერალმა თავისი პოპულარობის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

1880 წელს პუშკინის ძეგლის გახსნაზე დოსტოევსკის მიერ მოსკოვში წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. თავის სიტყვაში, რომელიც შემდეგ „მწერლის დღიურებში“ დაიბეჭდა, მწერალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პუშკინი იყო ეროვნული მწერალი, რადგან მას ჰქონდა უცხო ხალხთა იდეალებისა და წესჩვეულებების გათავისების ნიჭი, რომელიც მეტნაკლებად ყოველ რუსს ახასიათებს და ამტკიცებდა, რომ უზენაესი განგების ძალით რუს ხალხს შეუძლია მსოფლიო ხალხთა მემკვიდრედ იქცეს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დოსტოევსკი მუშაობდა დიდ რომანზე „ძმები კარამაზოვები“, რომლის დაწერის იდეა მას ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ყოფნის დროს გაუჩნდა და რომლის დასრულებასაც მისმა სიკვდილმა შეუშალა ხელი. ფიოდორ დოსტოევსკი 1881 წლის 28 იანვარს (ახალი სტილით 9 თებერვალს)

გარდაიცვალა. დასაფლავებულია პეტერბურგში.

დოსტოევსკის მთავარი რომანებია „მკვდარი სახლის ჩანაწერები“ (1861-1862), „დანაშაული და სასჯელი“ (1866), „იდიოტი“ (1868), „ემმაკანი“ (1871-1872), „ყმაწვილი“ (1875), „ძმები კარამაზოვები“ (1879-1880).

მის შემოქმედებაში ფსიქოლოგიური, ბნეობრივი, პოლიტიკური და ფილოსოფიური პრობლემები ურთიერთკავშირშია და სინამდვილისა და საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგობას ასახავს. ტრაგედია პიროვნებისა, რომლის ადამიანური ღირსება შებღალულია უსამართლო საზოგადოების მკაცრი კანონებით, სიმბოლურ განზოგადებას აღწევს ცხოვრებისგან გათელილი მარმელადოვის აღსარებაში („დანაშაული და სასჯელი“), ანასტასია ფილი პოვნას ყიდვა-გაყიდვის სცენაში („იდიოტი“), ყმაწვილი დოლგორუკოვის მისწრაფებაში — გახდეს „თანამედროვე როტმილდი“ („ყმაწვილი“). დოსტოევსკიმ შექმნა მაღალმხატვრულ პერსონაჟთა გალერეა, კარიერისტებით დაწყებული და მაღალი „იდეოლოგებით“ დამთავრებული.

შეიძლება ითქვას, რომ ფიოდორ დოსტოევსკის რომანები ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურია. შემთხვევით არ თვლიდა მას თავის მასწავლებლად გერმანელი მოაზროვნე ფრიდრიხ ნიცშე, რომელიც ამბობდა: „დოსტოევსკი ერთადერთი ფსიქოლოგია, რომლისგანაც მე შევძელი რამე მესწავლა“.